საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

II

საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

II

თბილისი
2020

უაკ 339.1

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გურგენიძე დავით – სტუ-ის რექტორი (თავმჯდომარე)
ფრანგიშვილი არჩილ – სტუ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
კლიმიაშვილი ლევან – სტუ-ის ვიცე-რექტორი
გასიტაშვილი ზურაბ – სტუ-ის რექტორის მოადგილე
კოპალიანი კარლო – სტუ-ის კანცლერი
ქუთათელაძე რუსუდან – სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
ბუაჩიძე ზაზა – სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი.

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

ქუთათელაძე რუსუდან – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბარათაშვილი ევგენი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
აბრალავა ანზორ – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
იაშვილი გენადი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
მეტრეველი მარინა – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
გრიგალაშვილი ლევან – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ცაავა გიორგი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყანდაშვილი თემურ – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ფაილოძე ნინო – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ვილჰელმ ჰაუზერი – პროფესორი, ზაარბრიუკენის ტექნიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტი
ფეჰერვოლგუი ბიეტა – პროფესორი, პანონიის უნივერსიტეტი, უნგრეთი, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი
ცუპონი ვიქტორია – პროფესორი, პანონიის უნივერსიტეტი, უნგრეთი, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი
ქოქრაშვილი ქეთევან – პროფესორი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
ჩხეიძე მაია – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი
შონია ნანა – პროფესორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
თაკალანძე ლარისა – პროფესორი, სოხუმის უნივერსიტეტი, სპიკერი
ჩიკვილაძე ნინო – ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყურაშვილი გუგული – ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
კიკნაძე მზია – პროფესორი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
კობიაშვილი ანა – პროფესორი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
ქუთათელაძე ქეთევან – პროფესორი, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი.

ჟურნალში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ავტორისეული რედაქციით

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2020
ISBN 978-9941-28-650-6 (ყველა ნაწილი)
ISBN 978-9941-28-952-0 (მეორე ნაწილი)
http://www.gtu.ge

Verba volant, scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

FACULTY OF BUSINESS TECHNOLOGIES

GLOBALIZATION AND CURRENT CHALLENGES IN BUSINESS

IV International Scientific Conference Proceedings

II

Tbilisi

2020

UDC 339.1

GLOBALIZATION AND CURRENT CHALLENGES IN BUSINESS

IV INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

THE CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE:

Gurgenidze Davit – Rector of GTU, academic (Chairman)
Prangishvili Archil – Chairman GTU Supervisory Board
Klimiashvili Levan – Vice Rector of GTU
Gasitashvili Zurab – Deputy Rector of GTU
Kopaliani Karlo – Chancellor of GTU
Kutateladze Rusudan – Dean of the Faculty of Bisines Technologies at GTU
Buachidze Zaza – Manager of the Faculty of Business Technologies at GTU

THE CONFERENCE EDITORIAL COUNCIL:

Kutateladze Rusudan– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Baratashvili Evgeni– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Abralava Anzor – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Iashvili Genadi– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Metreveli Marina– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Grigalashvili Levan – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Tsaava Giorgi – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Kandashvili Temur – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Pailodze Nino – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Wilhelm Houzer – Professor at University of Technology and Economics in Saarbrücken
Fehérvölgyi Beáta – Professor at University of Pannoia, Hungary, Faculty of Business and Economics, Dean of Faculty
Csizmadiáné Czuppon Viktória – Professor at University of Pannoia, Hungary, Faculty of Business and Economics
Kokrashvili Ketevan – Professor at GTU, the Faculty of Law and International Relations
Chkheidze Maia – Professor at GTU
Shonia Nana – Professor at Akaki Tsereteli State University
Takalandze Larisa – Professor of at Sokhumi State University, Speaker
Cikviladze nino – Associate at GTU, the Faculty of Business Technologies
Kurashvili Guguli – Associate Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Kiknadze Mzia – Professor at GTU, the Faculty of Informations and Control Systems
Kobiashvili Ana – Professor at GTU, the Faculty of Informations and Control Systems
Kutateladze Ketevan – Professor at GTU, the Faculty of Power Engineerring and Telecommunication

The Presented materials are printed according to the authors original way

© Publishing House „Technical University“, 2020
ISBN 978-9941-28-650-6 (All part)
ISBN 978-9941-28-652-0 (Second part)
http://www.gtu.ge
All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.
Piracy is punished according to the law.
Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.
The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.

Verba volant, scripta manent

შინაარსი

სექცია III

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა, აგრობიზნესი და სტატისტიკა
განვითარების თანამედროვე ეტაპზე

ბაღათურია გიორგი, იაშვილი ირინე, ბაღათურია ოთარ
საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამოწვევები პანდემიის გაკვეთილების გათვალისწინებით 15

ბაღათურია მარინა, ბერუაშვილი მანანა
ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზები საქართველოში..... 20

ბენია ირინა
აგროტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში..... 23

ბენია მაია, გაგვიშვილი ლევან
ინოვაციური და ციფრული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში 27

ბილისეიშვილი თათია
საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორობა და ცხოვრების დონე 33

გარსევანიშვილი გიორგი, გორშკოვი თეიმურაზ
საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები 37

გიაშვილი ია
პროდუქციის წარმოების ოპტიმალური პარტიის განსაზღვრის ალგორითმი, დანახარჯების მინიმიზაციის კრიტერიუმით რესურსებზე ფასდაკლების გათვალისწინებით 42

დათაშვილი ვახტანგი, ბერიძე იაგო
ბიზნეს-გარემო, როგორც სახელმწიფო ეკონომიკის სწრაფი განვითარების ძირითადი ფაქტორი..... 45

დევიძე თამარი
სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში 50

ვეფხვაძე ეკა
გლობალიზაცია -დადებითი და უარყოფითი მხარეები..... 53

ზარქუა ირაკლი
ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკის თეორიული ასპექტები..... 57

თოფჩიშვილი მარინე, გილაური ნელი, ტოკლიკაშვილი ნინო
ბუნებრივი პროდუქტები უალკოჰოლო სასმელებში 62

კოკორაშვილი შორენა
„COVID19“-ის ეკონომიკური მხარე და მედიის მუშაობის განსხვავებული სპეციფიკა..... 66

ლობჯანიძე გელა, ტაბატაძე გოდერძი
მინერალურ-რესურსული პოტენციალის ათვისების მსოფლიო ბიზნესის აქტუალური ასპექტები 71

მარტიაშვილი მაია, ფიფია ასმათი
უცხოური ინვესტიციების ეფექტურად გამოყენების მიმართულებები საქართველოში 80

ნუცუბიძე ნინო
ქალთა დასაქმების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები 84

ოთარაშვილი ქეთევან, გვაჯაია ლუარა
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 89

ონიანი მაია
სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტები 92

სულაშვილი გიორგი, სულაშვილი მალხაზ, ტარუაშვილი ნინო
მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში 98

ღამბაშიძე თამარ, ხუჭუა ნინო
კორონა და თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური რეალობის პარადოქსები 103

ყანდაშვილი თემურ, ნუცუბიძე პოლიკო
საქართველო და დიდი აბრეშუმის გზა 108

ყიზილაშვილი კონსტანტინე, მიქელაძე თამარ
კორონა ვირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე 113

შენგელია რევაზ, წიკლაური-შენგელია ჟუჟუნა, შენგელია ნათია
ეროვნული წარმოების განვითარების ახალი შესაძლებლობები კორონომიკური კრიზისის ფონზე 117

ცოფურაშვილი გოჩა
რეგიონული ეკონომიკის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის დარგის ინტენსიური
განვითარების და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფაში 121

ძნელაძე ნანა, ქუთათელაძე რუსუდან
სამედიცინო ლაბორატორიების სტანდარტიზაციის პროცესები საქართველოში 127

სექცია IV

საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

ბიელსკა ტეტიანა, ხალიფე ალი, ბერიძე ლიკა, გოდერძიშვილი ბელა
მოქალაქეთა ჩართულობა - როგორც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის დაგეგმვის ინსტრუმენტი 131

აბესაძე ქეთევან
პანდემია და პროფესია-მასწავლებელი 136

აბრალავა ანზორ, დგებუაძე მარინე
თანამედროვე საარჩევნო სისტემები 141

აგირბაია გიორგი
საჯარო მართვაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები 147

ანთია არკადი
ორგანიზაციებში არსებული მართვის სტილი, ლიდერი თუ ხელმძღვანელი 151

ბარბაქაძე თამარი
ელექტრონული მმართველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში 156

გვაზავა თამარ
სოცკონფლიქტის თემატური მედიარეზონანსი, უახლეს პრობლემატურ ფონზე 160

გოჩიტაშვილი ლალი, აფციაური ია, დვალი თორნიკე, შიუკიშვილი მარიამ
ელექტრონული მმართველობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში 165

გუმბათოვი ქიარიმ
ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, როგორც საჯარო მმართველობის ეფექტურობის ზრდის ფაქტორი 171

დანელია ვაჟა
საქართველოს სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუციური განვითარებისა და პერიოდიზაციის საკითხისათვის.... 177

ერისთავი რატი
საინფორმაციო სივრცე კორონავირუსის პირობებში - რისკები და გამოწვევები 181

თავზარაშვილი ნინო
პროფესიული განათლების სისტემა და მიმდინარე გამოწვევები 185

იარღანაშვილი ხათუნა, ბაღათურია ოთარ
დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში საჯარო მმართველობის დაწესებულებების
საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა 189

კანდელაკი ქეთევან
ჭკვიანი ქალაქი და ჭკვიანი მობილობა 193

კეცხოველი ირმა
სამართლის კულტურის საკითხისათვის საქართველოში 197

კობიაშვილი ანა, კიკნაძე მზია, ქუთათელაძე რუსუდან
ელექტრონული ტენდერების სისტემის მოდიფიცირება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის 201

ლომიშვილი მაია
ადამიანური რესურსების მართვა ადგილობრივ თვითმმართველობებში 207

მელაძე ციალა
სოციალური პოლიტიკა არჩევნებში 212

მეტრეველი ლია
ფსიქოლოგის საგანმანათლებლო როლი - დისტანციური სწავლების პროცესში 215

მძინარაშვილი გიორგი
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - სპორტის ერთი გაკვეთილი 221

ნადირაძე გოჩა
საქართველოში განხორციელებული ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები და შესყიდვების დაგეგმვის
ეტაპამდე განსახორციელებელი ღონისძიებები 226

საგინაშვილი ხათუნა
მედია ფასეულობათა ტრასფორმაციის სამსახურში 231

სუხიშვილი სოფიო
საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს) როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში
ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში 234

ფაჩულია სოფიო
ლიდერის როლი გენდერული სტერეოტიპების კვლევის დროს 238

ქათამაძე ნატო
გამჭირვალობა საჯარო სამსახურებში 243

შამათავა ირაკლი
სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი 247

ცოტნიაშვილი ნანა
სწავლისადმი დემოტივაცია მოსწავლეებში და თანამედროვე სოციალური თეორიების გამოყენება სასწავლო პროცესში 256

წვერავა ლაშა
მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინოვაციური მექანიზმების სრულყოფა საჯარო სამსახურში 259

წიკლაური ირინე
ინკლუზიური სწავლების ზოგიერთი საკითხი საქართველოს სკოლებში 264

ჭანტურია მარიამ
ადგილობრივი თვითმმართველობის დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა და თანამედროვე გამოწვევები 268

ჭყონია ნატალია
ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში 272

ჭიაურელი ვანო, სტრელკოვა რუსუდან
პიარისა და პროპაგანდის ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურება 276

სექცია V

ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები

ბიატა ფეჰერვოლგი, ქუთათელაძე რუსუდან, ვიქტორია ცუპონი, ჩაჩავა ნინო, ფაილოძე ნინო
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური კოლაბორაციის ურთიერთდახმარების პრინციპები 279

აქიმიშვილი ნინო
სასტუმრო ბაზარი და მარკეტინგის სტრატეგია 285

ახალაია ნანა
საქართველოს მაღალმთიანეთის დემოგრაფიული გამოწვევა 289

ბარკალაია ბესიკ, აქიმიშვილი ნინო
სასტუმრო ინდუსტრიაზე ინვესტიციების გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი 294

ბაქანიძე მაგდა, ბაქანიძე თეონა
უსაფრთხოება ტურისტულ სექტორში 297

ბლიაძე მურმანი
ტურიზმი და მენეჯმენტის როლი მაპინძლობის დარგში 301

გალახვარიძე ნაირა
ეკოლოგიურ მენეჯმენტში ბუნებათსარგებლობის რეგულირებისა და კონტროლის ასპექტები 305

გოგიტიძე გიორგი, ნადირაშვილი ნანა
ტურიზმის გამოწვევების ზოგიერთი ასპექტი მთიან აჭარაში 310

ვასაძე მანანა, სარალიძე თამარ
ტურიზმის მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილების პირობებში 314

კანაშვილი თამარ, ბერიძე თამარ
Covid19-ის ზეგავლენა ტრენინგ ინდუსტრიაზე 319

მამფორია ნანი
ღვინის როლი საქართველოს ტურიზმში 322

მეტრეველი მარინა, დოლიძე თინათინ
COVID-19 და მისი გავლენა სასტუმრო ბიზნესზე 325

მეტრეველი მარინა, კეკელიძე ნინო
ინსტიტუციური მოდელი „აღმოაჩინე საქართველო“ საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის 330

ოსიტაშვილი ნინო, ნადარეიშვილი ნანა
რისკ-ფაქტორებისა და კრიზისების გავლენა ტურიზმზე 335

ტაბატაძე სესილი
რისკ-მენეჯმენტი ტურისტულ ბიზნესში 340

ქვარაია ირაკლი, ქუთათელაძე ქეთევან, მალანია ელისაბედ
თბილისში, ძველი შენობების „ახალი სიცოცხლის“ შედეგად გახსნილი სასტუმროები და მათი როლი ტურიზმის განვითარებაში 344

ქინქლაძე რუსუდან, აბესაძე ნინო, აბესაძე ოთარ
ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა 349

ქობლიანიძე თამარ, ტაბიძე თამარ
Covid 19 - ის გამოწვევები და ქართული ტურიზმის ახალი შესაძლებლობები 356

ხმიადაშვილი ნინო
ხარისხის მართვის ძირითადი ასპექტები სასტუმრო ბიზნესში 361

CONTENT

შინაარსი III

Bagaturia Giorgi, Iashvili Irine, Bagaturia Otar
ჩვენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების Geoრესურსებზე ბაზრის ფასების 15

Bagaturia Marina, Beruashvili Manana
ეფექტური ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის Geoრესურსი..... 20

Benia Irina
ეფექტიანობა Aგრარული ინოვაციური განვითარება Geoრესურსი ეკონომიკ..... 23

Benia Maia, Gagvishvili Levan
ინოვაციური განვითარება მონიტორინგი და მართვა ეროვნულ ეკონომიკაში Geoრესურსი..... 27

Biliseishvili Tatia
Iნექციალური ინვესტიციები სტანდარტიზაცია Geoრესურსებზე..... 33

Garsevanishvili Giorgi, Gorshkov Teimuraz
Mოდერნიზაციის Geoრესურსი ეროვნულ ეკონომიკურ კატეგორიად..... 37

Giashvili Ia
Aფრიკის ფრანკოფონიზმი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ეკონომიკური ეფექტიანობა და ეროვნული ეკონომიკა ეფექტიანობა დისფუნქციური ნორმები..... 42

Datashvili Vakhtang, Beridze Iago
Bუსინესინვესტიციები ენერგეტიკა კომერციული რეალიზაცია ენერგეტიკა ეროვნულ ეკონომიკაში..... 45

Devidze Tamar
Maნაგმენტი ეროვნული ეკონომიკა Duრბილი ფინანსური ანალიზი..... 50

Vepkhvadze Eka
Gloბალიზაციის პოზიტიური ნეგატიური ასპექტები..... 53

Zarkua Irakli
Iნოვაციური ტენდენციები კოლეგიალური ფასდაკლებები..... 57

Topchishvili Marine, Gilauri Neli, Toklikashvili Nino
Naturალური ტურიზმი ეროვნული-ალტერნატიული..... 62

Kokorashvili Shorena
ეფექტური ეკონომიკა „COVID-19“ ანალიზი ეროვნული ემიგრაციის სფერო..... 66

Lobjanidze Gela, Tabatadze Goderdzi
Topical aspects of world business development of mineral-resource potential…….....71

Martiashvili Maia, Pipia Asmati
Dirექტორიატი ფინანსური ანგარიშგების ეროვნული Geoრესურსი..... 80

Nutsubidze Nino
ეფექტიანობა ეროვნული ეკონომიკა ეროვნული ენ'ს ემ ალეი ენერ..... 84

Otarashvili Ketevan, Gvadjaia Luara

[illegible] 89

Oniani Maia
[illegible] 92

Sulashvili Giorgi, Sulashvili Malkhaz, Taruashvili Nino
[illegible] 98

Ghambashidze Tamar, Khutchua Nino
[illegible] 103

Kandashvili Temur, Nutsubidze Poliko
[illegible] 108

Kizilashvili Konstantine, Mikeladze Tamar
[illegible] 113

Shengelia Revaz, Tsiklauri-Shengelia Jujuna, Shengelia Natia
[illegible] 117

Tsopurashvili Gocha
[illegible] 121

Dzneladze Nana, Kutateladze Rusudan
[illegible] 127

[illegible] IV

[illegible]

Tetiana V. Bielska, Ali H. Khalife, Beridze Lika, Goderdzishvili Bella
[illegible] 131

Abesadze Ketevan
[illegible] 136

Abralava Anzor, Dgebuadze Marine
[illegible] 141

Agirbaia Giorgi
[illegible] 147

Antia Arkadi
[illegible] 151

Barbakadze Tamari
[illegible] 156

Gvazava Tamar
[illegible] 160

Gochitashvili Lali, Apciauri Ia, Dvali Tornike, Shiukashvili Mariam
[illegible] 165

Gumbatov Kiarim
[illegible] 171

Danelia Vaja
[illegible] 177

Eristavi Rati
[illegible] 181

Tavzarashvili Nino
[illegible] 185

Iarganashvili Khatuna, Baghaturia Otar
[illegible] 189

Kandelaki Ketevan
[illegible] 193

Ketskhoveli Irma
[illegible] 197

Kobiashvili Ana, Kiknadze Mzia, Kutateladze Rusudan
[illegible] 201

Lomishvili Maia
[illegible] 207

Meladze Tsiala
[illegible] 212

Metreveli Lia
[illegible] 215

Mdzinarashvili Giorgi
[illegible] 221

Nadiradze Gocha
[illegible] 226

Saginashvili Khatuna
[illegible] 231

Sukhishvili Sophio
[illegible] 234

Pachulia Sophio
[illegible] 238

Katamadze Nato
[illegible] 243

Shamatava Irakli
His[illegible] L[illegible] A[illegible] [illegible] -L[illegible] 247

Tsotniashvili Nana
De[illegible] 256

Tsverava Lasha
P[illegible] -[illegible] 259

Tsiklauri Irine
[illegible] Geo[illegible] 264

Tchanturia Mariam
A [illegible]
[illegible] 268

Chkonia natalia
[illegible] Geo[illegible] 272

Chiaureli Vano, Strelkova Rusudan
[illegible] 276

[illegible] V

M[illegible]

Bi[illegible]ta Feh[illegible]rvgIgyi, Kutateladze rusudan, Vikt[illegible]ria Csizmadi[illegible]n[illegible] Czuppon, Chachava Nino, Pailodze Nino
[illegible]
[illegible] 279

Akimishvili Nino
Ho[illegible] Ma[illegible] Ma[illegible] [illegible] 285

Akhalaia Nana
De[illegible] Mo[illegible] Geo[illegible] 289

Barkalaia Besik, Aqimishvili Nino
E[illegible] 294

Bakanidze Magda, Bakanidze Teona
[illegible] 297

Bliadze Murmani
[illegible] 301

Galakhvaridze Naira
E[illegible] A[illegible] 305

Gogitidze Giorgi, Nadareishvili Nana
[illegible] A[illegible] 310

Vasadze Manana, Saralidze Tamar

[illegible] Dev[illegible] [illegible] P[illegible] 314

Kanashvili Tamar, Beridze Tamar
[illegible] 319

Mamporia Nani
[illegible] Geo[illegible] 322

Metreveli Marina, Dolidze Tinatin
[illegible] OVID-19 [illegible] 325

Metreveli Marina, Kekelidze Nino
[illegible] Mo[illegible] Dis[illegible] Geo[illegible] "Fo[illegible] Geo[illegible]
[illegible] 330

Ositashvili Nino, Nadareishvili Nana
[illegible] 335

Tabatadze Sesili
[illegible] Ma[illegible] [illegible] 340

Kvaraia Irakli, Kutateladze Ketevan, Malania Elisabed
[illegible] Ne[illegible] L[illegible] [illegible]
[illegible] 344

Kinkladze Rusudan, Abesadze Nino, Abesadze Otar
[illegible] EU [illegible] Geo[illegible] 349

Koblianidze Tamar, Tabidze Tamar
[illegible] 19 [illegible] Geo[illegible]
[illegible] 356

Khmiadashvili Nino
[illegible] Qu[illegible] Ma[illegible] [illegible] 361

საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამოწვევები პანდემიის გაკვეთილების გათვალისწინებით

ბაღათურია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

იაშვილი ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბაღათურია ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებული პოსტპანდემიური ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების შესაძლებლობები. არსებული ეკონომიკური ვიტარებისა და წარსულის ეკონომიკური კრიზისების მიზეზების გაანალიზებით ნაჩვენებია, რომ მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ვითარება პანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვად არ შეიცვლება, ცოტა ხნის დაპაუზების შემდეგ ყველაფერი დაუბრუნდება ჩვეულ ვითარებას, თუმცა მრავალ ადამიანსა და კომპანიას დიდი ზიანი მიადგება.

საქართველოს ეკონომიკური ვითარებაც დამძიმდება, მაგრამ საერთაშორისო დახმარებისა და ხელისუფლების ეფექტიანი ანტიკრიზისული მენეჯმენტის წყალობით ქვეყანა თავს დააღწევს პოსტპანდემიურ ვითარებას მინიმალური დანაკარგებით. სამომავლოდ საქართველომ აუცილებლად უნდა იზრუნოს თვითკმარი ეკონომიკის შექმნისათვის, სადაც წამყვანი პოზიციები უნდა დაიკავოს ინდუსტრიულმა სოფლის მეურნეობამ, სამრეწველო განვითარებამ და ინოვაციურმა ტექნოლოგიებმა.

ეკონომიკის აღორძინების პროცესში კაცობრიობამ უმდა გამოიჩინოს პასუხისმგებლობა რათა შეანელოს „გამალებული ეკონომიკური განვითარება" „გამალებული შეიარაღების“ შეჩერების მცდელობის მსგავსად.

საკვანძო სიტყვები: პოსტპანდემიური ეკონომიკა; ეკონომიკური კრიზისის მიზეზები; მსოფლიოს ეკონომიკა; საქართველოს ეკონომიკა; თვითკმარი განვითარება; „გამალებული შეიარაღების“ შეჩერება, „გამალებული ეკონომიკური განვითარების“ შენელება.

შესავალი

პანდემიამ უკვე სერიოზული ეკონომიკური ზარალი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ბუნებრივია, რომ ეკონომიკურმა დაპაუზებამ 3-4 თვის განმავლობაში სერიოზულად დაქვეითა მთელი მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობა, მ.შ. საქართველომ, როგორც სუსტმა და ღარიბმა ქვეყანამ უფრო მეტი ზარალი განიცადა, მაგრამ ზარალი კატასტროფული იქნებოდა რომ არა მთავრობის ეფექტური და ეფექტიანი მოქმედება პროფესიონალი ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების შესაბამისად. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზით გლობალური მასშტაბით ივარაუდება ეკონომიკის სერიოზული შემცირება თითქმის 4%-მდე, საქართველოში კი მოსალოდნელია ეკონომიკის შემცირების 5% (შესაძლოა მეტიც). ეს მძიმე ვითარებაა, მაგრამ არ არის კატასტროფული მდგომარეობა და თუ არაფერი შეიცვალა 2021 წელს მსოფლიომ (და საქართველომაც) უნდა აღიდგინოს პანდემიამდელი ეკონომიკური მდგომარეობა.

რა იძლევა ასეთი პროგნოზის შესაძლებლობას? ქვემოთ დასაბუთებულია ასეთი მოსაზრება. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკა ერთი საკითხია. როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკა პოსტპანდემირ პერიოდში? მსოფლიო ეკონომიკის დიდი დანაკარგების გარეშე აღდგენა ავტომატურად ნიშნავს საქართველოს ეკონომიკის თუნდაც პანდემიანდელ დონემდე აღდგენას? ჩვენი აზრით საქართველოს ეკონომიკის დამაკმაყოფილებელი განვითარება შეუძლებელია ხელისუფლების, ბიზნესის, პროფესიონალების განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე? ქვემოთ განხილულია ეს მოსაზრებებიც.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის შესაძლებლობები

მსოფლიოშიც და საქართველოშიც სიღარიბე გაიზრდება. გაკიტრდება დიდი კომპანიები - გაკოტრების შესახებ გამოაცხადა მრავალმა მსხვილი კომპანია,მათ შორისაა ძირითადად საცალო ვაჭრობის ქსელები, ნავთობმომპოვობელი და გადამზიდავი კომპანიები, ავიაკომპანიები, მაღალრისკიანი სტარტ-აპები და სხვ. თუმცა, უნდა აღინიშნოს რაო ამ კომპანიებს უკვე ჰქონდათ მენეჯმენტის პრობლემები, კორონოვიურუსმა კი დააჩქარა პროცესები. ეს კომპანიებია: მოდის საცალო ვაჭრობის ქსელები[1]: ***Debenhams*** (ბრიტანეთი), ***JCPenney*** (აშშ), ***J.Crew*** (აშშ), ***Neiman Marcus*** - ამერიკული, პრემიუმ კლასის სავაჭრო ობიექტი, ***Intelsat***[2] - უმსხვილესი სატელიტურმა ოპერატორი, ***OneWeb***[3] - ონლაინ-სტარტაპი (კოსმოსში თანამგზავრების დაფინანსება SoftBank-ისგან, , რომელიც თავად გაკოტრდა), ***Pioneer Energy***[4] - ნავთობმზიდი კომპანია, ***Diamond Offshore Drilling***[5], ავიაკომპანიები: **Flybe**[6], ***Virgin Australia*** [7] და სხვ.

კორონავირუსის პანდემია თავის მძიმე შედეგებს კიდევ კარგა ხანი მოიტანს. ეკონომიკის გახსნა და ბიზნესის ამოქმედება არ ნიშნავს, რომ პრობლემები უკანაა მოტოვებული. წინ საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პერიოდია მოსალოდნელი. მოსალოდნელია დიდი დეპრესიის მასშტაბის კრიზისი. ამასთან კრიზისი ეკონომიკასთან ერთად ჯანდაცვასაც შეეხება. დღეს უმწვავესი პრობლემაა კორონავირუსის ეკონომიკაზე გავლენის შემცირება.

მსოფლიო ეკონომიკამ უკვე დაიწყო ამოძრავება, ეკონომიკა იხსნება ეტაპობრივად და, შესაბამისად 1 ან მაქსიმუმ 2 წლის შემდეგ ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდება ეკონომიკური თვალსაზრისისთ თუ, რასაკვირველია, წარსული მსგავსი „შავი გედის ეფექტი“ [8] კვლავ არ განმეორდება. თუმცა, არ გვავიწყდება, რომ მიუხედავად ეკონომიკური აღდგენისა მრავალი ადამიანი კიდევ უფრო გაღარიბდება, გაკოტრდენა ერთ დროს წარმატებული კომპანიები და ა.შ., მაგრამ ამ რეცესიამ ვერ უნდა მოახდინოს მსოფლიო ეკონომიკის სერიოზული დამუხრუჭება. მსოფლიო ეკონომიკის თუნდაც ზედაპირული ანალიზი აჩვენებს, რომ გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც შეუძლია მისი რღვევა გამოიწვიოს, არ დაზიანებულია სასიცოცხლო ფუნქციები, ტექნოლოგიები და სპეციალისტები არსად გამქრალა და ა.შ.

შევნიშნოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პროგნოზი ძირითადად ეყრდნობა წარსული გამოცდილების გაანალიზებას, რაც რა თქმა უნდა არასრულყოფილი მეთოდია, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვას ვერაფერს ეკონომიკური მეცნიერება ვერ მოიფიქრებს. მაინც ადრეული გამოცდილება იძლევა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ ანალიზს. რამ გამოიწვია ადრე წარმოქმნილი

---

[1]These 14 retailers and restaurant chains have filed for bankruptcy or liquidation in 2020. https://www.businessinsider.com/retailers-filed-bankruptcy-liquidation-closing-stores-2020-2#garden-fresh-restaurants-owner-of-the-buffet-chains-souplantation-and-sweet-tomatoes-filed-for-chapter-7-bankruptcy-on-may-14-choosing-to-close-its-doors-for-good-13

[2] Intelsat Bankruptcy https://www.google.com/search?client=firefox-b-d&q=intelsat+bankruptcy

[3]OneWeb Bankruptcy https://www.google.com/search?client=firefox-b-d&q=oneweb+bankruptcy

[4] Pioneer Energy Bankruptcy; https://www.google.com/search?client=firefox-b-d&q=pioneer+energy+bankruptcy

[5]Diamond Offshore Drilling Bankruptcy; https://www.google.com/search?client=firefox-b-d&q=diamond+offshore+drilling+bankruptcy

[6] Flybe Collapse https://www.google.com/search?client=firefox-b-d&q=flybe+collapse

[7] Virgin Australia collapse: creditors meet amid speculation of steep losses for investors. https://www.theguardian.com/business/2020/apr/30/virgin-australia-collapse-creditors-meet-amid-speculation-of-steep-losses-for-investors

[8] Black Swan Event - Guide to Unpredictable Catastrophic Events. https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/black-swan-event/

მსოფლიო მასშტაბის კრიზისები? ძირითადად ასეთ კრიზისებს იწვევდა მსოფლიო გეოპოლიტიკური კატასტროფები[1] და კრიზისულ ვითარებაში სახელმწიფო მმართველობის არასწორი მიდგომები[2]. თავის მხრივ არასწორი სახელმწიფო მმართველობა განაპირობებს გეოპოლიტიკურ კატასტროფებს. ასე, რომ ძალიან ძნელია ზუსტად დაადგინო კრიზისების პირველწყაროები და ეკონომიკირი განვითარების პერსპექტივები. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკური თეორიები სრულიად უსუსურია კრიზისების პროგნოზირების თვალსაზრისით, რაც „ბუნებრივად" იწვევს უკვე გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ რყევებს.

ასეთი დაძაბულობა ძალიან ადვილად გადაიზარდება ხოლმე სახლმწიფოთა პოლიტიკური ნგრევის პროცესში, თუ დროზე არ განხორციელდა ძლიერი სახელმწიფო მმართველობა. ასე, რომ კარლ მარქსი არ ცდებოდა, როდესაც გამუდმებულ კრიზისებს წინასწარმეტყველებდა იმ დროინდელ სამყაროში. სხვა საქმეა, რომ „კაპიტალისტებმაც" ისწავლეს სახელმწიფოს მართვა და აღარ უშვებენ განსაკუთრებით აღმაშფოთებელ შეცდომებს (განსხვავებით რუსეთის იმპერატორებისგან).

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა თუ რამ გამოიწვია კრიზისი, ეკონომიკის ნგრევას საბოლოო ანგარიშით იწვევს კრიზისების შედეგად წარმოქმნილი ქაოსი, ეკონომიკური ურთიერთობების წყვეტა, ვალდებულებების შეუსრულებლობა, კრიმინალური „კორპორაციების" ფორმირება და მათი შეუზღუდავი თარეში და სხვ. კრიზისიდან თავის დაღწევა ძალუძს მხოლოდ ძლიერ სახელმწიფო მმართველობას, რომელსაც შეუძლია მოახერხოს ან ახალი ეკონომიკური ურთიერთობების შექმნა ან, უკიდურეს შემთხვევაში (თუ ამის შესაძლებლობას იძლვე მოცემული ვითარება), ეკონომიკური ურთიერთობების რეკონსტრუირება - ახალი მენეჯმენტი, სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა, რესურსების (დრო, ცოდნა, კაპიტალი) ეფექტიანი გამოყენება და სხვ.

დღეს სხვა ვითარება გვაქვს. ეკონომიკა არ არის განადგურებული, ის მხოლოდ შეჩერებულია, „დაპაუზებულია". კაპიტალი, ტექნოლოგიები, ცოდნა, შრომითი რესურსი, მოთხოვნა ეკონომიკის პროდუქტზე არსად გამქრალა, შესაბამისად შეიქმნება მიწოდებაც და მსოფლიო ეკონომიკა ნელ-ნელა ამოქმედდება. არცთუ შირეულ წარსულში ხცოვრებაც ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება თავისთავად ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე - ადამიანს სჭირდება საზოგადოება, შეაბამისად აღდგება ყველა ის საქმიანობა, რაც უკავშირდება ადამიანთა ერთობლივ საქმიანობას.[3]

შესაძლოა მსოფლიო საერთოდ ეკონომიკის განვითარების შენელებული მოთხოვნების ინიციატორად გამოვიდეს და დაძლიოს ჯევანსის პარადოქის მავნე შედეგები[4].

მოსაზრებები საქართველოს ეკონომიკური განვითარები შესაძლებლობებისა და მიმართულებების შესახებ.

პოსტპანდემიური თვალსაზრისით მწვავე ეკონომიკური პრობლემები წამოიჭრება საქართველოში - უმუშვრობა ისედაც მძიმე საკითხია. შესაბამისად მაღალია სიღარიბის დონე. ეს მაჩვენებლები უკანსაკნელ წლებში ნელ-ნელა უმჯობესდება და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ხდებოდა, რაც მთავარია მომავალი იმედიანი ჩანდა. კორონავირუსის პანდემიამ კი ქვეყნის ეკონომიკური სურათი ძლიერ გააუარესა. სრულიად აშკარად გამოიკვეთა ტურიზმით მიღებული შემოსავლების დანაკარგები, საზღვარგარეთიდან ემოგრანტების მეირ გადმორიცული თანხების შემცირება (რაც წინა წლებში 1,3 მილიარდ დოლარს აღწევდა).

მოსახლეობის დასახმარებლად ქვეყანაში ტარდება შესაძლო ღონისძიებები, მ.შ. დამუშავებულია

---

[1] პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია. მე-2 მსოფლიო ომი, ნავთობის კრიზისები მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. სსრკ- დაშლა. აქვე შევნიშნოთ, რომ სსრკ-ს დაშლა და ამ მოვლენით გამოწვეული ხალხთა ტრაგედიები გლობალური მასშტაბის კატასტროფას მიეკუთვნებოდა, რაც ნამდვილად დამანგრეველი გახლდათ პირველ რიგში სწორედ საქართველოსთვის, რომელიც ვერ და ვერ გარდაიქმნა წარმატებულ ქვეყნად მიუხედავად უკვე 30 წლიანი დამოუკიდებლობისა.

[2] მოუსავლიანობა რუსეთში (смутное время), ასევე მოუსავლიანობა საფრანგეთში ლუდოვიკო XVI-ს დროს, დიდი დეპრესია აშშ-ში, და სულ ახლახან, 21-ე საუკუნის დასაწყისში 2007-8 წლების საფინანსო კრიზისი.

[3] „ადამიანი პოლიტიკური ცხოველია" - არისტოტელე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გამნამრტებაში ადამიანის ცხოველური ბუნებაც მითითებულია.

[4] ჯევონსის პარადოქსის (Jevons paradox) მიხედვით ტექნოლოგიური განვითარება არ იწვევს რესურსების მოსალოდნელ დაზოგვას.Mario Giampietro and Kozo Mayumi. Unraveling the Complexity of the Jevons Paradox: The Link Between Innovation, Efficiency, and Sustainability. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fenrg.2018.00026/full.

ტურიზმის დასახმარებელი ანტიკრიზისული სქემა, დაგეგმილია ე.წ. „მწვანე საზღვრების“ გახსნა, სხვადასხვა შეღავათები და ა.შ. მაგრამ ეს დახმარება ფაქტობრივად სოციალურ ხასიათს ატარებს და არა გვგონია, ვინმეს იმედი ჰქონდეს, რომ ტურიზმის ბიზნესი ამუშავდება რამდენადმე მნიშვნელოვანი სიმძლავრით. საქართველოს ეკონომიკაზე გარკვეული გავლენას ახდენს ცრუეკონომიკური თეორიები, მ.შ. ე.წ. რიკარდოს თეორია.

უხეშად, რომ ვთქვათ რიკარდოს თეორიის მიხედვით ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და ყველა უკეთ ვიქნებით. ამდენად, ადამიანებისა და კომპანიების ინტერესებში იქნება, რომ აკეთონ და აწარმოონ ის, რაც გამოსდით უკეთ და გაცვალონ ეს იმაში, რაც სხვას გამოსდის უკეთ, მათ კი სჭირდებათ“.

ეს თეორია სწორია, ასე ვთქვათ, მათემატიკურად, მაგრამ არ შეესაბამება რეალობას. (როგორც საზოგადოდ, მრავალი ეკონომიკური თეორია). ამ თეორიის მიხედვით გამოდის, რომ ღარიბი და მატერიალური რესურსების (ვთქვათ, წიაღისეულის) არმქონე ქვეყნები მუდამ ჩამორჩენილნი უნდა იყვნენ. სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს, მაგალითად, ფინეთისა და ტაივანის (ასევე სხვა მცირე ქვეყნების) გამოცდილება. მათ რომ ახალი შესაძლებლობები არ ეძებნათ დღემდე ჩამორჩენილნი იქნებოდნენ, დღეს კი ისინი მოწინავეთა რიგებში არიან როგორც ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად, ისე პოლიტიკურად. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკაც (შესაძლოა რიკარდოს თეორიის გავლენითაც) პრიორიტეტულად ტურიზმის განვითარებას თვლის, და კიდევ, ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ თანხებსაც კი აქტივში თვლის. რიკარდოს თეორიის შემხედვარე რა შეგვიძლია? ცეკვა-თამაში, სიმღერა, ღვინის სმა და ტურისტების მომსახურება (სერვისსაც ვერ ვიტყვით). მორჩა, არც ინოვაციური ტექნოლოგიები, არც მრეწველობა და სხვა რაც ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს განაპირობებს. რა ვქნათ, „რიკარდომ ასე დაგვიბარა“ და ვიყოთ ასე, მათხოვრების მსგავსად, სხვისი ხელისშემყურე. რიკარდოს თეორიის შესაბამისად მოქმედება არამცთუ არასწორია, არამედ მავნეა საქართველოსთვის[1].

მაშ, რა უნდა გაკეთდეს საქართველოში? რა გვასწავლა პანდემიის ეკონომიკამ? გვასწავლა ის, რაც თითქოს ძალიან კარგად ვიცოდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ ვაკეთებდით

დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებას სხვა მაჩვენებლებთან ერთად განაპირობებს იმპორტ-ექსორტის დაბალანსებული თანაფარდობა. ამ გარე-მოების შესახებ ჯერ კიდევ ნინო ნიკოლაძე აღნიშნავდა. მაგრამ რამ უნდა გააუმჯობესოს ს მაჩვენებელი? რა თქმა უნდა ადგილბრივმა წარმოებამ, რომელიც თუ ისეთი ვერ იქნება, რომ დააკმაყოფილოს საექსპორტო მოთხოვნები. ადგილობრივ მაზარს მაინც დააკმაყოფილებს. ადგილობრივი, თვითკმარი სოფლის მეორნეობის საჭიროება თვალნათლივ დაგვანახა პანდემიამ, თანამედროვე ტენდენციების მიუთითებს „ნაციონალური ეკონომიკებისკენ“ სწრაფვას (პროდუქტების ექსპორტის აკრძალვა რიგი ქვეყნებიდან).

სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროების შესახებ დიდი ხანია მიუთითებენ სპეციალის-ტები და პოლიტიკოსები, მაგრამ საქმე წინ მაინც არ იძვრის. ჩვენი აზრით ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზია ის გარემოება რომ სოფლის მეურნეობა არ განიხილება, როგორც ინდუსტრიული დარგი და ხშირად ვიფარგლებით იმ მოწოდებით, რომ საჭიროა მიწას დავუბრუნდეთ და სხვ. ინდივიდუალური მეურნეობა კი ვერ მოიტანს სასარგებლო შედეგს მისი ინდუსტრიალიზაციის გარეშე, რაც მხოლოდ პროდუქციის მოყვანას კი არ გულისხმობს, არამედ პროდუქციის გადამუშავებას, შეფუთვას, შენახვას, გადაზიდვას, რეალიზაციას ერთიან პროცესში. და ეს ყოველივე უნდა სრულდებოდეს მაღალი შრომის ნაყოფიერებითა და დისციპლინით. ეს უკანასკნელი კი საზოგადოების თვითშეგნებისა და პასუხის-მგებლობასთან ერთად სათანადოდ მოტივირებული უნდა იყოს.

მაგრამ, მხოლოდ სოფლის მეურნეობა, თუნდაც ინდუსტრიული, საკმარისი არ არის.საჭიროა აგრეთვე ქვეყნის ოდესღაც არსებული სამრეწველო პოტენციალის აღდგენა, მანამ სანამ ჯერ კიდევ

[1] გიორგი ბაღათურია. შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია და საქართველოს მომავალი.
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერნციის შრომათა კრებული „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, თბილისი, 19–20 მაისი, 2017.

არსებობს საინჟინრო პოტენციალი. ამ რიგში შესაძლოა განიხილობედოს როგრც ადრე არსებული, ისე ახალი სამრწველო საწარმოები (თვითმფრინავმშენებელი და ელმავალმშნებელი ქარხნები, ქუთაისის ავტაქარხანა, ჩარხმშენებელი ქარხანა და სხვ.) ამავე რიგში პორტების მშენებლობის განვიტარება, მათ შორის ანაკლიის პორტის მშენებლობა, რომელსაც ამჯამად არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი ეკონომიკური მომგებიანობის დასაბუტებამ ნაგრამ ამ აზარმაზარ პროექტს აქვს დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სტრატეგიული შესაძლებლობები.

საინჟინრო-სამრეწველო ადგრების საჭიროებაზე მიუთითებს აგრეთვე მსოფლიო ეკონომიკაში უკანასკნელ დროს თითქოს გაჩენიი ტენდენცია რაც ჩინეთიდან მსხვილი საწარმოების გამოტანას გულისხმობს. მასპინძელი ქვეყნის როლში შესაძლოა საქართველოს აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ისე სათანადო ინტელექტუალური საინჟინრო პოატენციალის არსებოპბის შემთხვევაში.

დაბოლოს, აუცილებელია ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, რის საიმედო ნიშნები ჩანს რეგიონებში ინოვაციური ჰაპეპბის დანერგვით. ამასთანავე, უდიდეს მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი რესურსებისს (წყალი, ენერგეტიკა) ყაირათიანად გამოყენებას.

დასკვნა

რა უნდა გაკეთდეს?

პანდემიის შედეგად როგორც მსოფლიომ, ისე საქართველომ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკური მასშტაბითკატასტროფა არ მომხდარა, მაგრამ ყველას დაანახა, რა დაუცველია ადამიანი და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პლანეტას და ხალხების, სახელმწიფოების ურთიერთთანადგომას ერთმანეთისადმი. ამიტომ, მსგავსად მცდელობისა შეწყვეტილყო „გამალებული შეიარაღება“, უნდა შენელდეს გამალებული ეკონომიკური განვითარება. პლანეტისა და კაცობრიობის შესანარჩუნებლად ადამიანი უნდა მიეჩვიოს სადად ცხოვრებას და რაციონალურ წარმოებას.

რაც შეეხება საქართველოს, მანაც უნდა ისწავლოს თვითკმარი ცხოვრება და არ იყოს გამუდმებით სხვა დიდი ქვეყნების დახმარების ხელისშემყურე.

ლიტერატურა

1. Bლაცკ შ ან Eვენტ - Guიფ ტ Unპრ ფიცტ ს ჩ ა ს ტ ა ნ ი ც Eვენ ტ. ჰ ტ ტ ა://ც ი ფ ო ტ ი ნ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა.ც ი /რ ს ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა/ კ ნ ი ტ ლ ე ბ ი/ შ ა ნ ც ე ბ ი ლ ა ა ს ა ნ - ე ვ ე ნ ტ /
2. Diaმ ი ნ ი O ს ნ ი ბ ი Dr ი ნ ი ნ ი B ა ნ კ რ ე ბ ტ ; ჰ ტ ტ ა://ა ა ა .ბ ი ბ ლ ი ო ნ ი /ს ე ა ბ ე ბ ი ც ლ ი ნ ი ნ ი ნ

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზები საქართველოში

ბაღათურია მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი

ბერუაშვილი მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი

აბსტრაქტი

აქტუალურია საკითხი ისეთი მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევასთან დაკავშირებით როგორიცაა: წონასწორობა მოხმარებასა და დაგროვებას შორის, გადახდისუნარიან მოთხოვნასა და შესაბამისი მოცულობის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის, სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებს შორის, ფულის მიმოქცევის კანონის მოთხოვნასა და მიმოქცევაში რეალურად არსებული ფულადი მასის მოცულობას შორის. ამიტომ, გაანალიზებულია სახელმწიფოს ანტიინ-ფლაციური პოლიტიკის როლი, მისი მოკრძალებული მიზანი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინფლაცია გახადოს მართვადი, ხოლო მისი დონე საკმაოდ ზომიერი. ასევე განხილული და გაანალიზებულია ინფლაციის თარგეთირების საკითხი, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამის მიზეზად დასახელებულია მაღალი ინფლაციის უარყოფითი შედეგები. დასაბუთებულია თარგეთირების რეჟიმზე გადასვლის უპირატესობა, რაც განპირობებული იყო ტრადიციული მეთოდების არაეფექტიანობით. განსაზღვრულია ინფლაციის თარგეთირება, როგორც მონეტარული პოლიტიკის საბოლოო და შუალედური მიზნების ერთობლიობა.

საკვანძო სიტყვები: ინფლაციის თარგეთირება, ანტიინფლაციური პოლიტიკა, მიმოქცევის კანონი

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანა და მათ შორის საქართველო, განიცდის ეკონომიკაზე ინ-ფლაციურ ზეწოლას. ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებები, ეს იქნება ანტიინფლაციური სტრატეგია და ტაქტიკა, თუ ინფლაციურ დონესა და ჩარჩოში ჩაყენება.

როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი ანტიინფლაციური პოლიტიკის შემუ-შავება, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა ინფლაციის შეჩერებას, არამედ ღია ინფლაციის პარამეტრებზე გადასვლას და მის მართვას.

ანტიინფლაციური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ინფლაციური მოლოდინის დაძ-ლევა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის მექანიზმებთან და ფუნქციონირებასთან პირდაპირი კა-ვშირები არ გააჩნია ისეთ პროცესებს , როგორიცაა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, მცირე ბიზნესის წახალისება, წარმოებისა და გაცვლის დივერსიფიკაციის სტიმულირება, საბაზრო ფუნქცი-ონირებაზე რეგულარული კონტროლი და მონოპოლისტური ქცევის ფაქტების დროულად აღკვეთა, ფასების განთავისუფლება და სხვა. მაინც მათ გარეშე ინფლაციური მოლოდინის აღმოფხვრა შეუძლებელია.

ქართული სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობს ინფლაციის თანდათანობით შენელების კურსს დაადგეს და სარგებლობს მოსახლეობის ნდობით და ავტორიტეტით. ამ საქმეში საყურადღებოა ორგა-ნიზებული საინფორმაციო პრაქტიკა. მთავრობამ ხალხის ნდობის მისაღწევად აირჩია ანტიინფლაციურ საქმიანობაში გულწრფელობის, განსახორციელებელი ღონისძიებებისა და საჯაროობის და გამჭვირ-ვალობის გზა. ამით მთავრობამ ირწმუნა, რომ დასახული ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორ-ციელება და ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებები მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე შეუძ-ლებელია.

მთავრობის ფულადი პოლიტიკის ანტიინფლაციური ხასიათი მაშინ მიიღწევა, როდესაც ფულის მასის ყოველწლიური მატების ლიმიტი ხანგრძლივი დროისათვის არის გათვალისწინებული და მასზე არ უნდა მოქმედებდეს ბიუჯეტის დეფიციტი, უმუშევრობის დონე და სხვა მაკროეკონო-მიკური მაჩვენებლები. ფულადი ექსპანსიის ზღვარმა უნდა შეზღუდოს ფულის მასის ცვლილებებთან

დაკავშირებული ხელისუფლების ნებისმიერი საქმიანობა. როდესაც ძალიან დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები და დიდია უმუშევრობის დონე არანაირად არ არის გამართლებული ინფლაციური გარემოს გამწვავება მიმოქცევაში ლიმიტის ზევით ფულის რაოდენობის გადიდებით.

ანტიინფლაციური პოლიტიკის მთავარი ნაწილის - ფულადი სტრატეგიის განხორციელება ისეთ ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებ-ლად ფუნქციონირებენ. ჩვენი ქვეყნის, საქაართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი აყვანილია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. თუმცა ანტიინფლაციური ფულადი პოლიტიკის გატარება ძალიან ძნელია. საქართველოში დაწესებული ლიმიტის გადამეტებას ეკონომიკისათვის სასიკეთო შედეგი არ მოუტანია. გადახრები აძლიერებს ინფლაციურ მოლოდინს.

ანტიინფლაციურ პროგრამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება გადასახადების გადიდებით ან ხარჯების შემცირებით. რა თქმა უნდა მისაღებია სახელმწიფო ხარჯების შემცირების გზით წასვლა. გადასახადების გადიდება მტკივნეული გზაა. იგი ხელს უშლის საბაზრო მექანიზმების ამოქმედებას, მეწარმეობის განვითარებას. ამას ქვია საგადასახადო წნეხი, რომელიც იწვევს ეროვნული ეკონომიკის და კორუფციის აღზევებას. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ აქცენტი უნდა გააკეთოს სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე.

ანტიინფლაციური ტაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. საქართველო ანტიინფლაციური ტაქტიკის ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს: ფირმებისა და საწარმოების შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა და საბანკო დაკრედიტება, საბაზრო ინფორმაციის განვითარება , სახელმწიფო ქონების სწორად ორგანიზებული პრივატიზაცია, მიმდინარე მოთხოვნის რეგულირების მიზნით დანაზოგების ნორმის გადიდება და მისი ლიკვიდობის დონის შემცირება, კონფისკაციური ტიპის ფულის რეფორმა, რომელიც მტკივნეულია ხელისუფლებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არის ინფლაციის თარგეთირება. როცა წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. 2020 წლისათვისს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენდა 3 %.

ფასების სტაბილურობიდან გამომდინარე ცენტრალურმა ბანკმა უნდა გამოიყენოს მონეტარული პოლიტიკის ის რეჟიმი, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობის მიზანს. ინფლაციის თარგეთირების მთავარი დანიშნულებაა ეკონომიკისთვის ნომინალური ფუნქციის შესრულება. ეს კი მიზნად ისახავს გრძელვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას. ცენტრალურმა ბანკებმა მრავალი ტიპის რეჟიმი სცადეს, ამათგან მოქნილად უპასუხა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმმა.[1]

ფასების სტაბილურობა მონეტარული პოლიტიკის მთავარი საზრუნავია. ინფლაცია არის ერთადერთი ცვლადი გრძელვადიან პერიოდში, რომელიც შეუძლია მართოს ცენტრალურმა ბანკმა. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი შედგება სხვადასხვა ელემენტებისაგან, რომელიც უნდა სტრულდებოდეს ქვეყნის წარმატებისთვის. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი აგებულია ფასების სტაბილურობის, გამჭვირვალობის , ანგარიშვალდებულებების პრინციპის ირგვლივ. მონეტარული პოლიტიკა კი საუკეთესო წვლილს შეიტანს ეკონომიკურ წინსვლაში.

თანამედროვე მაკროეკონომიკაში დაბალი და სტაბილური ინფლაციის მიღწევა ითვლება ოპტიმალურ მონეტარულ პოლიტიკად.

ინფლაციის თარგეთი არ არის ინფლაციის ზედა ზღვარი. ის არის ორიენტირი საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, რომელიც ეწინააღმდეგება, როგორც მაღალ ინფლაციას, ასევე მაღალ დეფლაციას. ფასების სტაბილურობაზე როცა ვსაუბრობთ აქ იგულისხმება ნულოვანი ინფლაცია, თუმცა ეს არის თეორიული ანალიზი.

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=550

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიო და მისი განვითარების პერსპექტივები წარმოუდგენელია მყარი ეკონომიკის გარეშე. მყარი ეკონომიკა ქვეყნის სტაბილური განვითარების საფუძველთა საფუძველია. ეკონომიკა კი, წარმოუდგენელია იმ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გარეშე, რომელთაგან ერთ-ერთი ინფლაციაა. ინფლაციას ძირითადად კი ფულზე არსებული მოთხოვნა ქმნის, რადგან შეზღუდული რესურსების პირობებში შეუძლებელია ყველა ეკონომიკური სუბიექტის სურვილების დაკმაყოფილება იმ დონეზე რომ ყველას შეეძლოს ეკონომიკური სიკეთეების თანაბარი მიღება. ინფლაცია არ არის მხოლოდ ფულის გაუფასურების მაჩვენებელი, იგი ასევე ასახავს სამომხმარებლო ფასებს ინდექსაც, რაც თავის მხრივ გვიჩვენებს თუ რამდენად აწვება არსებული ფასები მომხმარებლების ჯიბეს და ზოგადად მოსახლეობას.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის შეთანხმებული მოქმედება და ყველა იმ აუცილებელი ბერკეტების გამოყენება, რომლებსაც ფლობენ ისინი ინფლაციის სტაბილურ დონეზე შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=550 - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.05.2020
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555 - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.05.2020
3. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia3.pdf - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.05.2020
4. https://tsulearn.files.wordpress.com/2015/01/e18394e18399e1839de1839ce1839de1839be18398e18399e18398e183a1-e1839ee183a0e18398e1839ce183aae18398e1839ee18394e18391e18398-e18392.pdf - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.05.2020

[illegible]

Bagaturia Marina
Assistant-Professor of Georgian Technical University

Beruashvili Manana
Assistant-Professor of Georgian Technical University

[illegible]

[illegible]

აგროტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ზენია ირინა
თჰუ-ს ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ბოლო წლებში უცხოელ ვიზიტორთა დაინტერესება საქართველოთი და შესაბამისად, მათი რაოდენობა, მკვეთრად გაიზარდა. ისინი, ძირითადად, მთისა და ზღვის კურორტებზე დასასვენებლად, ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად ჩამოდიან, თუმცა საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანას, აქვს შესაძლებლობა, რომ აგროტურიზმიც განავითაროს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. სოფლის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განუზომელია. თუმცა დღეს ქართული სოფელი მეტად სავალალო მდგომარეობაშია, მას დახმარება სჭირდება. ეს გაცნობირებული აქვს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ასევე თითოეულ მის მოქალაქეს.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, აგროტურიზმი, ფერმერული მეურნეობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სოფელი ნიშნავს განვითარებულ დასახლებას, სადაც ათვისებულია მისი აგრარული პოტენციალი, განვითარებულია ტურიზმი და აგროტურიზმი. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, იგი ჩვეულებრივი ეკონომიკაა, მხოლოდ მისი სპეციფიკის გამო გამოყოფილია ცალკე. როდესაც საუბარია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, პირველ რიგში საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება მთლიანობაში, კაპიტალის, მიწის და საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი, რაც სოფლის მეურნეობას სჭირდება.

ბოლო წლებში უცხოელ ვიზიტორთა დაინტერესება საქართველოთი და შესაბამისად, მათი რაოდენობა, მკვეთრად გაიზარდა. ისინი, ძირითადად, მთისა და ზღვის კურორტებზე დასასვენებლად, ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად ჩამოდიან, თუმცა საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანას, აქვს შესაძლებლობა, რომ აგროტურიზმიც განვითარდეს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. სოფლის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განუზომელია. თუმცა დღეს ქართული სოფელი მეტად სავალალო მდგომარეობაშია, მას დახმარება სჭირდება. ეს გაცნობირებული აქვს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე თითოეულ მის მოქალაქეს.

საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების სტრატეგია წარმოადგინა, რომელიც 2017-2020 წლებში სოფლის განვითარების საკვანძო საკითხებს განსაზღვრავს. დღეს "სოფლის განვითარების სტრატეგიული გეგმა" საკმაოდ დროული და საჭირო ინიციატივაა. სოფლის განვითარების ახალი ხედვა საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიქმნა ევროკავშირის (EU) დახმარებით და გაეროს ორი სააგენტოს – გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სოფლის განვითარების სტრატეგიული ხედვა 5 ძირითად მიმართულებას ეფუძნება. ესენია: მდიდარი კულტურული ცხოვრება, მრავალფეროვანი ეკონომიკური შესაძლებლობები, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ხელმისაწვდომი სოციალური სიკეთეები და გარემოს დაცვა, ხოლო პრიორიტეტული მიმართულებებია: კონკურენტუნარიანობის, სოციალური პირობებისა და ცხოვრების დონის ამაღლება. სტრატეგიაში საუბარია ფერმერული საქმიანობის ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, მის დივერსიფიკაციაზე ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით; სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარებაზე და ა.შ

ახალი აგროტურისტული მიმართულებების შექმნა და განვითარება მნიშვნელოვანია სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. საქართველოში აგროტურისტული მიმართულე-

ბისადმი ინტერესი გაიზარდა როგორც ქართველი მწარმოებლების, ასევე ტურისტების მხრიდანაც. ტურისტების ინტერესის საფუძველია ძირითადად ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის ახლოს გაცნობა, ახალი პროდუქტების აღმოჩენა და დაგემოვნება.

აგროტურიზმს ზოგან სოფლის ტურიზმს, ფერმერულ ტურიზმს ან ბუნების ტურიზმს უწოდებენ. სოფლის ტურიზმი გულისხმობს ტურისტთა ჯგუფების მოგზაურობას სოფლად. ამ შემთხვევაში ტურისტული ობიექტების მეპატრონე და მმართველი სოფლის მცხოვრებია.

ფერმერული ტურიზმი ითვალისწინებს ტურისტების დაბინავებას ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გასაცნობად. მაგალითად, ტურისტები ფერმერებთან ერთად გადიან პლანტაციებში, აკვირდებიან მათ შრომას და თვითონაც ეხმარებიან. ზოგს მეთევზეთა დასახლებებში ცხოვრება და მათთან ერთად სათევზაოდ სიარული მოსწონს.

აგროტურიზმი იმით გამოირჩევა, რომ დასვენება შედარებით მცირე დანახარჯით შეიძლება. ტურისტმა შესაძლოა, იცხოვროს ძველ, გლეხურ სახლში და ოფიციანტების ნაცვლად დიასახლისი გაუმასპინძლდეს. სტუმრები მიირთმევენ ადგილობრივ ნატურალურ პროდუქტებს: ხილ-ბოსტნეულს, შინაურ ყველს, შინ დაყენებულ ღვინოს, ხორცსა და ხორცპროდუქტებს. სასოფლო ტურები ბავშვებისთვისაც საინტერესოა. ისინი აკვირდებიან შინაურ ცხოველებს, სეირნობენ ცხენებით, სწავლობენ ყველის ამოყვანასა თუ თონეში პურის ჩაკვრას. თუ სურთ, ტურისტები ნაციონალური კერძების მომზადებასაც ეუფლებიან. აგროტურიზმი იმითაც არის საინტერესო და მომგებიანი, რომ მას არ აბრკოლებს წელიწადის დროების მონაცვლეობა.

კომპანია და საოჯახო სასტუმრო უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს სთავაზობს აგროტურებს, რაც გულისხმობს რთველში მონაწილეობას, ყურძნის დაწურვას, ჩურჩხელების ამოვლებას, ყველის ამოყვანასა და იქვე, თონის თავზე, ახალამოყრილ შოთ-ლავაშთან ერთად დაგემოვნებას, ასევე - მწვადის შეწვასა თუ თაფლის ამოღებას. მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო ფართოდ შეიძლება აგროტურიზმის განვითარება, ამით კი სოფლის მეურნეობის განვითარებასაც შეეწყობა ხელი.

აგროტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა როგორც ფერმერების ფინანსური მხარდაჭერა, ისე ცოდნის ამაღლება. სწორი მიდგომით საქართველოში სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობა შეიცვლება.

აგროტურიზმი ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების და მათი ტრადიციული საქმიანობის, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის, პროდუქციის გაცნობისა და ტურისტებისთვის ცოდნის გაზიარების კარგი საშუალებაა.

აგროტურიზმი მისწრებაა იმ მცირე მეურნეებისთვის, რომლებიც სავარგულების სიმცირის გამო კონკურენციას ვერ გაუწევენ არა მხოლოდ უცხოელ, არამედ საქართველოში მომუშავე ფერმერებსაც.

აგროტურიზმმა ჩვენთან უკვე მოიკიდა ფეხი. მომავალში უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა მრავალფეროვანი ბუნების, კულტურისა და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

თუმცა ამ სფეროს აქვს სისუსტეებიც. მთავარი სოფლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობაა. ამის მიუხედავად, თუ აგროტურიზმი განვითარდება, მცირე ფერმერებს შეუძლიათ სარგებელი ნახონ და მცირე ფერმერული მეურნეობა მომგებიან კომერციულ საქმიანობად აქციონ.

ევროპაში აგროტურიზმი კარგად არის განვითარებული. ამ დარგს, ეკონომიკური კრიზისიც ვერაფერს აკლებს. მაგალითად, იტალიაში კრიზისმა შეამცირა სხვადასხვა სფეროს შემოსავალი, მაგრამ აგროტურიზმში ჩართული ფერმერების შემოსავალი უცვლელი დარჩა. ბოლო მონაცემებით, ეს წელიწადში დაახლოებით 52.500 ევროა. მსოფლიოში ტურიზმით მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლის ტურიზმის წილად მოდის.

აგროტურიზმის განვითრების პროგრამების დანერგვა და განხორციელება მაღალ დონეზე ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, საფრანგეთი, ავსტრია. ავსტრიაში სოფლის მეურნეობის გავნითარების პროგრამის განხორციელებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილია 1 მილიარდი ევროს ბიუჯეტი წელიწადში, რაც ითვალისწინებს ასევე აგროტურისტული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. საფრანგეთში 6000-მდე სოფლად მცხოვრები ჩართულია აგროტურიზმის ინდუსტრიაში.

შეიქმნა დოკუმენტი „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიზანია ისეთი გზამკვლევის

შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. საქართველოს მთავრობის ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ხსენებული მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან.

პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში.

პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. ბიუჯეტი შეადგენს USD 14,747,479 .

ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) მხარს უჭერენ საქართველოს მთავრობას სოფლის განვითარებას, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და სოფლის მეურნეობის პოტენციალის გაზრდას. მიმდინარე ინიციატივა ეყრდნობა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) პირველი ფაზის შედეგებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი სფეროების მხარდაჭერას, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, სურსათის უსაფრთხოება, ფიტო სანიტარია, ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება და მოქალაქეთა ჩართულობა.

ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ეხმარება საქართველოს, შეიმუშავოს სოფლის განვითარების პირველი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გაიზიაროს ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილება და გააძლიეროს სოფლის განვითარების პროცესში ჩართული უწყებები - სამინისტროები, ეროვნული სააგენტოები, ასოციაციები და სასწავლო ცენტრები. სოფლის ეფექტური განვითარება კომპლექსური სფეროა, რომელიც მოითხოვს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებას. ამ ერთიან პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი დარგების განვითარება და წარმატება, როგორიცაა განათლება, მეწარმეობა, ინფრასტრუქტურა, ბიო მრავალფეროვნების დაცვა, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია.

2019 წლის ნოემბრიდან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსთან ერთად ახორციელებს პროექტს – ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა. პროექტის მიზანია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა შემდეგი სამი აქტივობის საფუძველზე: 1. ორგანიზაციული შეფასება; 2. ხუთ წლიანი სტრატეგიის შემუშავება (2020-2024 წლებისთვის); 3. KPMG-ის რეკომენდაციების შესრულება.

დასკვნა

აგროტურიზმი, აგროტურისტული მეურნეობების საქმიანობა ქმნის აგროკულტურულ მრავალფეროვნებას, რაც ტერიტორიის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია და ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას მაღალმთიან რეგიონებში. შეიძლება ითქვას, რომ აგროტურისტული აქტივობაა დამატებითი შემოსავლის წყარო და დასაქმების ალტერნატივა სოფლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან აღსანიშნავია სლოვენიის მოდელი, რომელმაც სულ ახლახანს გაიარა ის გზა, რომელიც საქართველოსთვისაც ყველაზე ოპტიმალურია - დაქუცმაცებული წვრილი აგრომეურნეობებიდან ევროპული სტილის კონსლიდირებულ მეურნეობებამდე. სლოვენიაში თვალსაჩინოა მოსახლეობის ქალაქიდან სოფლად მიგრაცია, ჩვენც ასე უნდა

მოვიქცეთ. ხელს უწყობენ ახალგაზრდების სუბსიდირებას და ახალგაზრდების ჩართულობას. სლოვენიის საუკეთესო აგრომეწარმედ 29 წლის ახალგაზრდა დასახელდა, რომელმაც 5 წელი მოანდომა პატარა საწარმოს სრულ გამართვას. საქართველოს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტურიზმის სპეციალიზებული სახეობის – აგროტურიზმის დანერგვა-განვითარებას. ქვეყანაში აგროტურისტული კომპლექსების (ცენტრების) შექმნა, მათი ქსელის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ინფრასტრუქტურების განვითარებას, სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (რაც გამოიხატება გლეხთა საცხოვრებელი კარმიდამოს და დამხმარე მეურნეობის მოდერნიზაციითა და კეთილმოწყობით), აგრარული პროდუქციის მომწოდებლის (გლეხის) შემოსავლის დამატებითი წყაროების შექმნას, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ბუნებრივი გარემოს დაცვას, რეგიონებში ტურისტების, დამსვენებლებისა და ექსკურსანტების მოზიდვას, შემოსავლების ზრდას.

მთავრობის მხრიდან ევროკავშირის სტრუქტურების ჩართულობით,მაკრო და მიკრო პროექტების სტიმულირებით, ახალგაზრდებისათვის მოტივაციის გაჩენით შესაძლებელია ქართული სოფლის აღორძინება, ქართული სოფლის ინფრასტრუქურის მოდერნიზაცია და მისი ქცევა ევროპული მოდელის შესაბამის ქართული იდნეტობის მატარებელ მნიშვნელოვან ინსტიტუტად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/17
2. https://projects.org.ge/
3. https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/48
4. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/enpard-2--promoting-rural-development-in-georgia.html
5. https://gfa.org.ge
6. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #627 (21.11.1999წ.) და ბრძანებულება #198 (06.04. 2005წ.) საქართველოში აგროტურიზმის დანერგვისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ
7. https://gnta.ge/wp-content/uploads/

[illegible] Agro[illegible] [illegible] Dev[illegible] [illegible] Ec[illegible]

Benia Irina
Associate professor of Tbilisi Humanitarian University

[illegible]

[illegible] Geo[illegible] [illegible] [illegible] [

ინოვაციური და ციფრული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ბენია მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გაგვიშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

თუ იგივე პრიორიტეტები გვექნება რაც კრიზისამდე გვქონდა და მხოლოდ იმ სექტორების დახმარებზე ვიფიქრებთ რასაც პანდემიამ ზიანი მიაყენა, ისევ სიღარიბეში მოგვიწევს ცხოვრების გაგრძელება. ინოვაციური მიდგომა, კრეატიული აზროვნება, შემოქმედებითი ნგრევის კონცეფცია ყველაზე მეტად მიესადაგება კრიზისის დაძლევის მეთოდიკას. ინოვაციური საქმიანობის აქტუალობიდან გამომდინარე დამკვიდრდა დეფინიცია ,,ინოვაციური ადამიანი"- Homo innovaticus. საჭიროა მეტი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან რომ Homo sapiens-ის ევოლუცია ინოვაციური ადამიანისკენ შეუფერხებლად წარიმართოს. გარდა ამისა ისევ სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ საზოგადოებაში იყოს ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო, რომელიც თავისი ბუნებით მიდრეკილია მაღალი სარგებლის მიღებისკენ, პესიმისტური ეკონომიკური გარემო კი რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, ცდილობს რისკების მინიმიზაციას გარანტირებული სარგებლის მიღების პირობებში. რისკიანი ინოვაციების ირგვლივ ადგილობრივი მეწარმეები უნდა გაერთიანდნენ, უნდა დაისახონ პრიორიტეტად განვითარებული ბაზრისთვის უნიკალური უპირატესობის შეთავაზება, რათა ქვეყანა მიმზიდველ საინვესტიციო გარემოდ იქცეს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ბიზნესგარემო; ეკონომიკური ოპტიმიზმი; აღმოსავლეთ პარტნიორობა; გარღვევის მომხდენი ინოვაცია; ელ- კომერცია; ელ- ჯანმრთელობა; ციფრული ეკონომიკა; ადამიანი-ინოვატორი.

ძირითადი ტექსტი

კრიზისმა დღევანდელ ვითარებაში წარმოშვა როგორც გლობალური საფრთხეები, ასევე ფართო შესაძლებლობები. პანდემიის პირობებში მოგვეცა საშუალება გაგვეანალიზებინა წარსულში გადადგმული მცდარი ნაბიჯები და გადაგვეხალისებინა დაგეგმილი პოლიტიკა. თუ იგივე პრიორიტეტები გვექნება რაც კრიზისამდე გვქონდა და მხოლოდ იმ სექტორების დახმარებზე ვიფიქრებთ რასაც პანდემიამ ზიანი მიაყენა, ისევ სიღარიბეში მოგვიწევს ცხოვრების გაგრძელება. ინოვაციური მიდგომა, კრეატიული აზროვნება, შემოქმედებითი ნგრევის კონცეფცია ყველაზე მეტად მიესადაგება კრიზისის დაძლევის მეთოდიკას. ინოვაციის ცნება განსაკუტრებიტ აქტუალურია დღეს, საერთოდ კი "ინოვაციის" კონცეფცია პირველად ჯოზეფ შუმპეტერმა აღწერა 1911 წელს. რა განასხვავებს ინოვაციას გამოგონებისაგან? ის აუცილებლად უნდა დაინერგოს წარმოებაში, ეკონომიკის სტიმულირება გამოიწვიოს, მოიტანოს მოგება. ვგულისხმობთ საბოლოო შედეგს, პროდუქტს, რომელიც მიდის მომხმარებლამდე.. ინოვაციების ობიექტები მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ან პროდუქტის (მომსახურების) შედეგს. სხვა პროცესების მსგავსად, ინოვაციების შექმნას აქვს წინასწარ გააზრებული და რაციონალურად გათვლილი საბოლოო შედეგი. ინოვაციური საქმიანობა ასტიმულირებს ორგანიზაციების მუშაობას, რაც მას საშუალებას აძლევს გადალახოს კრიტიკული მომენტები, გააუმჯობესოს მუშაობის ხარისხი და შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი იყოს მაღალკონკურენტუნარიანი. თითოეული ორგანიზაციისთვის ინოვაციის ამოცანები ინდივიდუალურად დგინდება - საწარმოს მიზნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. საჭირო რესურსების მოპოვების პერიპეტიები გავლენას ახდენს დასახული ამოცანების მასშტაბსა და მიმდინარეობაზე.

ბიზნესის თეორიაში, შემოქმედებითი გარდამტეხი ინოვაცია არის ის ინოვაცია, რომელიც ქმნის ახალ ფასეულობებს, ანგრევს არსებულ ბაზარზე დამკვიდრებულ სტერეოტიპებს და ფასეულობათა ახალ სკალას ქმნის, ავიწროვებს და გამოდევნის ყავლგასულ პროდუქტებსა და ფირმებს. ტერმინი

განსაზღვრეს და პირველად გააანალიზეს ამერიკელმა მეცნიერმა კლეიტონ მ. კრისტენსენმა ჯოზეფ ბაუერთან ერთად 1995 წ. თავის წიგნში **Disruptive Technologies: Catching the Wave** განიხილეს იდეები კომპანიის გადასარესტარტებლად.

კრისტენსენი **„ნოვატორის დილემა“** -ში მეტად უღრმავდება თემას და გარღვევის მომტან ტექნოლოგიას უკვე საბოლოოდ უწოდებს ,,**გარღვევის მომხდენ ინოვაციას“,** სადაც მაგალითად მოყავს ბორბალის ჩანაცვლება ჰიდრავლიკით. მაიკლ ე.რეინორტთან ერთად კრისტენსენმა დაასკვნა, ევოლუცია ტექნოლოგიური მიმართულებიდან ბიზნეს-მოდელირებისკენ იკავებს მთავარ ადგილს ბიზნესის და ბაზრის ევოლუციაში. კრისტენსენმა და მარკ ჯონსონმა დააფუძნეს კონსალტინგური ფირმა **Innosight**, აღწერეს ინოვაციური ბიზნეს-მოდელი პრესტიჟულ გამოცემაში 2008 წლის **Harvard Business Review**-ში სტატია "**Reinventing Your Business Model**". ინოვაციური ეკონომიკის კვლევებში რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილებების გამოვლენის ტრადიცია დაამკვიდრა სწორედ გარღვევის მომტანი ინოვაციის კონცეფციამ. მართვის ინსტრუმენტების შემუშავება, განვითარებისა და კონკურენციის პოლიტიკაც ამაზეა ცალსახად დამოკიდებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინოვაცია არ არის გარღვევის მომტანი, თუნდაც ის რევოლუციური იყოს. მაგალითად, მე-19-ე საუკუნის ბოლოს პირველი მანქანების გამოჩენა არ იყო დამანგრეველი სიახლე, რადგან ადრეული მანქანები იყო ძვირადღირებული ფუფუნების საქონელი მდიდარი სეგმენტისთვის და შესაბამისად არ გამოაგდო ბაზრიდან ცხენოსანი სახალხო ტრანსპორტი. სატრანსპორტო ბაზარი არსებითად ხელუხლებელი დარჩა, სანამ არ მოხდა იაფფასიანი **FORD**ის მოდელის დებიუტი 1908 წელს, როემლიც უუკვე საშუალო ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი. რადგან პირველი ოცდაათი წელი მანქანების მასიური წარმოებას ადგილიარ ჰქონია, პირადი ავტომანქანა უკვე გარღვევის მომხდენი სიახლეაღმოჩნდა, რადგან მან კარდინალურად შეცვალა სატრანსპორტო ბაზარი.

მე-19 საუკუნის დასასრულიდან უკვე მსოფლიომ გააცნობიერა, რომ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს სარგებელი საკუთარი გამოგონებიდან. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის 27-ე მუხლით **ინტელექტუალური საკუთრების უფლება** (IPR) **ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად** განიხილება. ინტელექტუალური საკუთრების უფლების სისტემის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოს, რომელშიც კრეატიულობას და ინოვაციას აყვავება შეუძლია. ახლად შექმნილის კანონით დაცვა ასტიმულირებს არა მარტო დამატებითი რესურსების გამოყოფას მომავალი ინოვაციებისთვის – ინტელექტუალური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა სტიმულს აძლევს ასევე ეკონომიკურ განვითარებას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და წარმოებას, აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.. ამჟამად აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანა(საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი მოლდოვა და ბელარუსი) WIPO-ს (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის) წევრია. ამდენად, საკანონმდებლო ჩარჩო პატენტების მიღების და საპატენტო უფლებების უზრუნველყოფის პროცედურების, ასევე საავტორო და მათთან დაკავშირებული უფლებების ამოქმედებისთვის ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობას შორის უკვე ჰარმონიზებულია. ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია არის ევროკავშირის მიერ ევს ქვეყანაში განხორციელებული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი, რომელმაც რეალური სარგებლობა უნდა მოუტანოს მოქალაქეებს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. ევროკავშირის მხარდაჭერა ამ სფეროში ხორციელდება ინიციატივის EU4Digital საშუალებით, რომელიც ამ დარგის პრიორიტეტულ პროგრამებს და ღონისძიებებს აერთიანებს და მისი მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარება ეკონომიკური ზრდის, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის დახმარების მიზნით. ციფრული ეკონომიკის და ქსელური **საზოგადოების მხარდაჭერის პოლიტიკა (2019-2022) ხორციელდება ექვს ძირითად სექტორში: ტელეკომუნიკაციის წესები, ნდობა და უსაფრთხოება, ელექტრონული ვაჭრობა (ე-ვაჭრობა), საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციები, ელექტრონული ჯანმრთელობა (ე-ჯანმრთელობა) და ელექტრონული უნარები (ე-უნარები). ციფრული საზოგადოების მშენებლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის გრძელვადიან პრიორიტეტად არის გამოცხადებული.** უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული ეკონომიკა არის სფერო, რომლის პოტენციალი ჯერ არ არის სათანადოდ

გამოყენებული ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებში როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის და ზრდის კუთხით. ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია – შეტანილია „ეკონომიკური განვითარების და საბაზრო შესაძლებლობების“ პრიორიტეტულ სფეროში. მასში აღნიშნულია: „განხორციელდება ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა იმ არსებული დაბრკოლებების და ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის პანევროპული **ე-მთავრობის** და **ე-ბიზნესის** სერვისების მიწოდებას; ამის შედეგად გაუმჯობესდება ონლაინ მომსახურება, შემცირდება მისი ფასები და გაიზრდება არჩევანი; მოხდება ინვესტიციების მოზიდვა, დასაქმების სტიმულირება და არსებული კომპანიების უფრო სწრაფი ზრდის ხელშეწყობა, ხოლო სტარტაპების შექმნა გამარტივდება“. **EU4Digital** ევროკავშირის მხარდაჭერის **ქოლგა-ინიციატივაა** და ამჟამად მოიცავს ევროკავშირის შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და პროგრამებს: ინერნეტის ფართოზოლოვანი სტრატეგიები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, **CYBER** კიბერ-უსაფრთხოების გასაძლიერებლად პარტნიორ ქვეყნებში და ნდობის ასამაღლებლად ციფრული სერვისების გამოყენების მიმართ.

სოციალური მედია, მობილური ვებსერვისები, კომპიუტერული ქლაუდ- სისტემები და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის მართვის იმმოდელებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ინერგება. სამყაროს წინაშე დგას არჩევანი – გაითავისონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიკეთე თუ ზრდის ტემპი შეანელონ და არაკონკურენტულ ერთეულებად იქცნენ. 2016 წ-დან მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს ექნება წვდომა 5G ფართოზოლოვან უკაბელო ინტერნეტთან. ეს თავისთავად გულისხმობს ცოდნის გავრცელების გამარტივებულ პროცესებს, საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სიმარტივეს. აშშ და შვედეთი **ტრენდ-სეტერები** არიან: ბოლო რამდენიმე წელიწადში 500,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შტატებში მობილური აპლიკაციების ინდუსტრიაში შეიქმნა. ევროპის ქვეყნები ჯერ კიდევ მიმდევრის პოზიციაში არიან. ციფრული ეკონომიკის პრინციპები სრულფასოვნად, ევროპული ორგანიზაციების მხოლოდ 2%-ს აქვს დანერგილი, 41% სრულიად არაციფრულია, არ გამოიყენება ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემები, საქმის წარმოება არა ვირტუალურ, არამედ ძირითადად რეალურ დოკუმენტბრუნვაზეა დამყარებული. გადავხედოთ სტატისტიკას, რამხელა შესაძლებლობებს იძლევა მაღალტექნოლოგიური სფერო ახალგაზრდებისთვის, ვისთვისაც კომპიუტერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, და ეს იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი საგანგაშო პარამეტრებს აღწევს: საბერძნეთი – 55%, ესპანეთი – 52%, ევროპის სხვა ქვეყნები – 20-22%, საქართველო – 31%. ასეთ პირობებში ციფრული ეკონომიკის განვითარება, ინოვაციების ხელშეწყობა, მაღალტექნოლოგიური სისტემების მცირე ორგანიზაციებში დანერგვაც კი შესაძლოა, სინათლის ერთადერთი სხივი იყოს გვირაბის ბოლოს. ევროკომისიის გაანგარიშებით, ევროპული ქვეყნების მიერ შვედეთის ან აშშ-ის მაგალითის “ანარეკლის პრინციპით“ დანერგვა დამატებით 1,500,000 სამუშაო ადგილს შექმნიდა. პრინციპი გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის მომზადებას, ცნობადობისა და სწავლების კომპონენტის გაძლიერებას, ციფრული მეწარმეობის მხარდაჭერას. ამ დროს:

ციფრულ ეკონომიკაში უკვე დასაქმებულია 200 მილიონი ადამიანი. 2020 წლამდე ეს რიცხვი 50%-ით გაიზრდება; **ევროპის მასშტაბით,** 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავებს დამატებით 5 მილიონი ადამიანი; **IნტᲠᲜᲔᲗᲘᲡ მონაცემებზე** დაყრდნობით, მსოფლიოში 19 მილიონი პროგრამისტია, მათი რიცხვი 2019 წელს 25 მილიონამდე გაიზარდა; **2020 წელს** 50 მილიარდი უკაბელო მოწყობილობა დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას; **2020 წელს** ახალი სამუშაოს დაწყების მსურველი კანდიდატების 90% დადგება სავალდებულო მოთხოვნის წინაშე, რომ მათ უნდა იცოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; **საერთაშორისო ორგანიზაციების** 75% მასშტაბური **ინვესტირება გააკეთა ციფრულ ტექნოლოგიებში.** ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მცირე ბიზნესერთეულების მხოლოდ 10% რჩება ბაზარზე, კომერციალიზაციიდან 3 წლის შემდეგ. მძლავრი კონკურენცია მარტივად განდევნის ბაზრიდან სუსტ ერთეულებს. ციფრული მეწარმეობის მხარდასაჭერად, ევროკომისიამ

სახელმწიფო აქტივობების 5 ძირითადი მიმართულება გამოყო:

1.ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების არსებობა;

2.ციფრული ბიზნეს გარემოს სტიმულირება და მხარდაჭერა;

3.გამარტივებული წვდომა ფინანსებთან;

4.ციფრული უნარებისა და ნიჭის მხარდაჭერა;

5.ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება.

ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება მნიშვნელოვანი ქმედება იქნება სახელმწიფოს მხრიდან. პროგნოზირებული 250-მილიარდიანი ზრდა ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში ევროკომისიას ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს. აღნიშნული ტენდენციის დასამ-კვიდრებლად ამოქმედებულია რამდენიმე გლობალური პროექტი: " ევროკავშირის ინციატივა – Digital Agenda For Europe, Europe 2020 Initiative"; "ეკონომიკური ფორუმის ინციატივა – Grand Coalition for Digital Jobs-ი და სხვა. ევროკავშირის მხრიდან იგეგმება მილიონობით ინვესტიციის განხორციელება პერსონა-ლის გადამზადებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის. გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

ციფრული ინოვაციების შესახებმარკეტინგულიკამპანიისჩატარება; არსებული ინდუსტრიის კლა სტერული გაძლიერება; სპეციფიკური ინდუსტრიებისთვის შესაბამისი ციფრული პლატფორმების შეთავაზება და გაძლიერება; ციფრული მეწარმეობის შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიის ჩატარება; ახალგაზრდა მეწარმეების გაცვლითი პროგრამების სტიმულირება;

ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა; მეწარმეობის სწავლების კომპონენტის გაძლიერება; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წახალისება ციფრული ბიზნესის დასაწყებად. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას ის კი არ უნდა ვიფიქროთ რომ "გაციფრუ-ლება"მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სტარტაპების გაჩენას განაპირობებს ბაზარზე, არამედ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში უნდა მოხდეს. ეკონომიკური ზრდა სხვაგვარად შეუძლებელი გახდება. ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს განათლებაში გასატარებელ რეფორმას, ციფრული სამეწარმეო კულტურის არარსებობასა და რიგ რეგულაციებს, რომელთა მოგვარება სახელმწიფოს აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, პანდემიის პირობებში გვჭირდება განვითარება და არა გადარჩენა. კრიზისის შემდეგ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და არა ძველ ნიშნულთან დაბრუნება. უკეთესი მომავლისთვის მეტი კრეატიულობა და განსხვავებული სტრატეგია არის საჭირო. თუ გადავხედავთ არსებულ მდგომარეობას, ჩანს რომ საქართველოში მშპ ერთ სულზე დაახლოებით 4 260 დოლარია, მაშინ როდესაც მსოფლიოში, ეს მაჩვენებელი საშუალოდ 11 300 დოლარს შეადგენს. ანუ 2,4-ჯერ უფრო ღარიბულად ვცხოვრობთ ვიდრე საშუალო დონის დანარჩენი ქვეყნები. თუ საბჭოთა დიქტატურიდან ტავის დაღწევის 27 წლის თავზე მოსახლეობის ცხოვრების დონე არ გაუმჯობესდა, გამოდის მთლად სწორ გზას არ ვადგავართ. სხვა ქვეყნების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ვნახავთ როგორ მიაღწიეს მათ საგრძნობ ეკონომიკურ წინსვლას: იაფი მუშახელით ან სასარგებლო წიაღისეულით. გაყიდვით მიღწეული სწრაფი ეკონომიკური ზრდა გვექნება ასეთ დროს, მაქსიმალური ექსპლუატაციის პირობებშიც, ეკოლოგიური პრობლემები მეტი გვექნება ვიდრე სარგებელი. სტაბილურობა, კვალიფიციური სამუშაო ძალა, თავისუფალი ვაჭრობა და საგადასახადო შეღავათები - ირლანდიისთვის ან პოლონეთისთვის ამ ყველაფერმა სასწაული მოახდინა, მაგრამ ოკუპირებული ტერიტორიების, არაპროგნოზირებადი ჩრდილოელი მეზობლის და სხვა ხელშემლელი ფაქტორების გავითვალისწინებთ, არც ეს მოდელი იქნება პანაცეა. ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს "**Dilრეფორმ Iნნოვაციის**" ანუ დიდი გარღვევის მომხდენი ინოვაციები, რაც გულისხმობს ისეთი ინოვაციების განვითარებას, რომელიც არსებულ პროდუქტს თუ მომსახურებას გახდის უფრო ხელმისაწვდომს მასებისათვის. მაგალითად მოვიყვანთ იაპონია. კომპანიებმა დაიწყეს არსებული ტენდეციების დანგრევა და მრავალი სახეობის პროდუქტი გახადეს ხელმისაწვდომი მილიარდობით ადამიანისთვის, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. ტოიოტამ ეს შეძლო ავტო ინდუსტრიაში, სონიმ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ქენონმა კი საშუალება მოგვცა სახლებისა თუ ოფისებისთვის მასიურად

შეგვეძინა პრინტერები. ინოვაციებზე ფოკუსირების სტრატეგიამ იაპონიას მოუტანა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა თითქმის ოცდაათი წელი და უმუშევრობის დონე მინიმუმამდე შემცირდა. ომის შედეგად განადგურებული ქვეყნიდან მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერეს ეკონომიკად გარდაიქმნა.

ინოვაციური საქმიანობის აქტუალობიდან გამომდინარე დამკვიდრდა დეფინიცია **„ინოვაციური ადამიანი“- Homo innovaticus** რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: ახალი იდეების გენერირება და მათი განხორციელება; უწყვეტი სწავლა-თვითგანვითარება; მობილურობა გეოგრაფიული და მენტალური თვალსაზრისით; სიახლისადმი ღიაობა და რისკიანობა; ვიწრო სპეციალიზაციის პარალელურად მასშტაბური ხედვა და აზროვნება; კვლევითი და საპროექტო უნარების სინტეზი; სტრატეგიული აზროვნებისა და ტაქტიკური მოქმედების უნარი; მაღალი სანდოობა და პარტნიორობის უნარი; გუნდურობა და კოლეგიალობა; ეს შეიძლება ერთ ადამიანს ახალისათებდეს ან ადამიანტა ჯგუფს, რომელთა ხედვა მიპყრობილია ერთი მიმართულებით. **Homo innovaticus** მომავალზე ორიენტირებული ადამიანია და საჭიროა მეტი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან რომ **Homo sapiens**-ის ევოლუცია ინოვაციური ადამიანისკენ შეუფერხებლად წარიმართოს. გარდა ამისა ისევ სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ საზოგადოებაში იყოს ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო, რომელიც თავისი ბუნებით მიდრეკილია მაღალი სარგებლის მიღებისკენ, პესიმისტური ეკონომიკური გარემო კი რაც დამახასიათებელია ევროკავშირის წევრი 11 პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის, ცდილობს რისკების მინიმიზაციას გარანტირებული სარგებლის მიღების პირობებში. ასეთ შემთხვევაში რთულია გარღვევის მომხდენ ინოვაციებზე საუბარი. ეს შეიძლება თორემის სახით ასეც ჩამოყალიბდეს: უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის რეჟიმში, როცა ნაკლებ ეფექტურიდან გადასვლა ხდება უფრო მაღალ ეფექტურ მოდელზე, გონივრულია ეს პროცესი დაემთხვეს ზღურბლოვან ბარიერს მნიშვნელოვნად გადაცილებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპს.

ლიტერატურა:

1. https://www.euractiv.com/section/economy-jobs/news/eu-kommisia-4-dit-strategia-mkhardi-inovatsiebis-kvlevis-dasakhmarebit/
2. Другова Е. А. Homo innovaticus: парадоксы и противоречия инновационного антропологического проекта. Инновации, 2013, № 8 (178), <www.cyberleninka.ru/article/n/homo-innovaticus-paradoksy-i-protivorechiya-innovatsionnogo-antropologicheskogo-proekta/viewer>.
3. 3.Paasa V. "On the Non-Economic Principles of Innovation". European Journal of Innovation Management, 2019, Vol. 8, No. 2, <www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/14601060310471764/full/html>.
4. 4.European Union Maintains Its Position, 2015." European Commission, 2018, <www.ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:Hospitalization-rates,_standardised_by_age_and_sex,_2015.png&oldid=377421>. Amadori K. "European Debt Crisis Causes, Effects, and Possible Remedies."
5. https://scholar.google.com/scholar_lookup?hl=en&q=Innovation%20%2B%20Knowledge%20%2B%20Capital&publication_year=2010&author=Higgins%20Innovation%20Analytics&author=Sorensen&author=Madsen&author=Madsen&volume=4&issue=3&pages=412-412&journal=Journal%20of%20Knowledge%20Management&pq=eyJhIjogMSwgIm1pbnRzIjogMTAsIm1heHRzIjogMTAsIm1pbmRlIjogMCwgIm1heHRlIjogMTAsIm1pbmRzIjogMCwgIm1heHJzIjogMTAsIm1pbmFzIjogMCwgIm1heGFzIjogMTAsIm1pbmFsIjogMCwgIm1heGFsIjogMTAsIm1pbmFpIjogMCwgIm1heGFpIjogMTAsIm1pbmFtIjogMCwgIm1heGFtIjogMTAsIm1pbmFuIjogMCwgIm1heGFuIjogMTAsIm1pbmFvIjogMCwgIm1heGFvIjogMTAsIm1pbmFyIjogMCwgIm1heGFyIjogMTAsIm1pbmFzIjogMCwgIm1heGFz

ორჯერ ინფექციური დაავადებების ელექტროფიზიკური ყინვიერება

Benia Maia
Associate Professor of Georgian Technical University

Gagvishvili Levan
Associate Professor of Georgian Technical University

შუამავალი

ISWE ჰაეროვანი სამეანოლოგიურად ჰადბეფორა ცოცხალი ოდენობით აბორტიანი ჰაერი ბევრ დამაბეჭდავი ტიპი ანალოგიური ლუბა ინკუბაციის აბალ. ეხე ინფიცირებული აპარატი, ცალკეულებიანი, ტიპი ცოცხალი ფალატეცლილებისაგან ეფექტური ეხ ტიპი ცალის D-ში ტიფი შრენგ ოფიციალური ანალოგიური, ტიდენიტიფიკაციაში ინფიცირებული კერძო" - Hამ ინფიცირებულ- ჰასბეენ ესტაბლიდ Mor სეპარაციისნედლიდან ტიესტანდარტულად ტესტეერლიფიცირ Hამ

ინფიცირებულ ინკუბაციის ოფენ.
Iნ ალიტიკურ,ოფსტიდან ოფენ სტანდარტულ ანენვიროლ ენტოვიროლ ინფესიოვენ,ყ ჰიც ბყ ინფიცირებულ ტეფლტრაციის ჰაბ ბენეფიტ,ყ ჰილენ კესინ ინტიფიკაციის ცენვიროლ ენტ,ყ ჰიც ინყაიცდრიოლ ოფიციალ, ტესტიფიკ ინ ინზესს ინტერ ოფ ანტეფენეფ.L ოდენტიფიდ ინ ნეედ ტესტიფიდ ინ ინფიცირებულ პარაზიტიფ შიფ ადანტაე ოფ დევლოდ მ არეტ,ოტალტა ცენტრბეინ ეს ან ატმოფ ინვესტენტ ენვიროლ ენტ.

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორობა და ცხოვრების დონე

ბილისეიშვილი თათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორობა და ცხოვრების დონე. გამოკვლევის უმთავრესი მიზანია საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბროდ განაწილების პრობლემის სიმწვავის წარმოჩენა და მის შესამცირებლად ბიზნესის განვითარების კუთხით ქმედითი ღონისძიებების შემუშავება. მეცნიერები არ გააჩნიათ საერთო აზრი შემოსავლებში უთანასწორობის გამომწვევ მიზეზების დასახელებაშიც. ერთნი ამის მიზეზად თვლიან განსხვავებებს ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, ქონების ფლობასა და პროფესიულ გემოვნებაში. მეორენი განსხვავებას ინტელექტში, მემკვიდრეობითი საკუთრების ღირებულებაში, ოჯახურ ფაქტორებში და ა. შ. აღნიშნული მიზეზები ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა წინა საუკუნეებშიც იდგა, დღესაც დგას და როგორც ჩანს მომავალშიც იქნება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მოსახლეობა, უთანასწორობა, შემოსავლები, ხარჯები, ეკონომიკა, საზოგადოება, მსოფლიო, ჯინის კოეფიციენტი, ხელისუფლება.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში არ არსებობს შემოსავლებში სრულიად თანასწორი საზოგადოება, ისე როგორც არ არსებობს სრულიად უთანასწორო საზოგადოება. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს მთელი საზოგადოების და არა მხოლოდ მდიდრების კეთილდღეობაზე, რომ მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობა კრიტიკულ ზღვარს არ უახლოვდებოდეს. საზოგადოება ოდიდგან ზრუნავს ცხოვრების დრონის გაუმჯობესებაზე რაც აისახება ეკონომიკური, მატერიალური თუ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოდილებაში.

მოსახლეობაში არსებულ ცხოვრების დონეზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს ზეგავლენას ესენია:

- ეკონომიკური ფაქტორები,
- პოლიტიკური ფაქტორები,
- სოციალური ფაქტორები,
- ისტორიული ფაქტორები,
- ეროვნული ფაქტორები,
- ბუნებრივი პირობები.

,,ცხოვრების დონე უპირველეს ყოვლისა არის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, იგი ახასიათებს ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონეს. ცხოვრების დონე ცვალებადი და დინამიკურია, რადგან იგი დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნილებების განვითარების დონეზე, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ პარამეტრებზე. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრების დონის კატეგორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოთხოვნილების დინამიკა და სტრუქტურა, რომელიც სწრაფად იცვლება საზოგადოებრივი პროგრესის ზეგავლენით.''

ნებისმიერ ქვეყანაში შემოსავლების განაწილებაზე მეცნიერთა მსჯელობა თვით შემოსავლების კატეგორიის განმარტებით იწყება. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის შემოსავლები და იგი სამართლიანადაც წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. მოსახლეობის შემოსავლები რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ უთანაბროა და განაპირობებს კიდეც სიმდიდრის არათანაბარ დაგროვებას და მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციას. ეს პროცესი განსაკუთრებით

იგრძნობა განვითარებად ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში, ამიტომ ქვეყნის მთავრობას ევალება შეიმუშავოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ეს უთანასწორობა კიდევ უფრო არ გაღრმავდეს და არ გამოიწვიოს სოციალური დაძაბულობა.

გარკვეული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოში სიღარიბე არ შემცირებულა, უთანასწორობა კი უფრო გაიზარდა. 2016 წელს საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის შემოსავლების უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლი ჰქონდა. მოსახლეობის ცხოვრების დონის მონაცემეთა ცვლილება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პოტენციალზეა დამოკიდებული. ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილებების ზრდაც. მაგალითად წლების წინ თუ ადამიანს ჰქონდა საჭირო საკვები ოჯახის წევრების გამოსაკვებად, იგი თავს არ თვლიდა ღარიბად. ხოლო დღეს ადამიანის მოთხოვნილებებს საზღვარი აღარ აქვს.

,,ისტორიული თვალსაზრისით, ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე წინა საუკუნეებში, ანუ ადგილი აქვს სიმდიდრის ზრდის ტენდენციას. ამიტომ დღევანდელი საშუალო ფენის წარმომადგენელი, წარსულის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩნდეს არა შემოსავლების, არამედ, უმთავრესად, ცხოვრების კომფორტის მიხედვით, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები განაპირობებს. მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის მიზეზი გარდა სოციალური უთანასწორობისა, იყო მასობრივი უბედურება _ მოუსავლიანობა, ეპიდემიები, წყალდიდობები, ხანძრები, ომები და სხვა. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცხოვრების დაბალ დონესა და სიღარიბეს ძირითადად განაპირობებს ტექნოლოგიების დაბალი დონე, მწირი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ეკონომიკის არასწორი რეგულირება და სხვა.”

თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკაში მოსახლეობის ცხოვრების დონეს ვიწრო და ფართო გაგებას განასხვავებენ.

- ვიწრო გაგებით - ცხოვრების დონეს სინთეზური (რეალური შემოსავალი, ეროვნული შემოსავალი, საშუალო ხელფასი და სხვა) და კერძო (კვების პროდუქტების, ტანსაცმლის და ავეჯის მოხმარება როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ისე ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით) მაჩვენებლები ახასიათებს.
- ფართო გაგებით - ცხოვრების დონეს ახასიათებს სოციალური მაჩვენებლები, კერძოდ შრომის დაცვა, სამუშაო დროის, თავისუფალი დროის ხანგრძლივობა, უმაღლეს, საშუალო და დაწყებით საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 10 000 მაცხოვრებელზე და ა.შ.

პრაქტიკაში გამოყოფენ მოსახლეობის ცხოვრების ოთხ დონეს:

1) უზრუნველყოფილი დონე - ეს არის ე.წ კეთილდღეობის დონე, რა დროსაც ადამიანის ყოველმხრივი განვითარებაა შესაძლებელი;

2) ცხოვრების ნორმალური დონე - რაციონალურ მოხმარებას ნორმების მიხედვით შესაძლებელს ხდის ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას;

3) სიღარიბე - ამ დონეზე მხოლოდ შრომისუნარიანობის შენარჩუნებაა შესაძლებელი. იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს;

4) სიღატაკე - მასში საქონლისა ნაკრები იგულისხმება და შენარჩუნებულია მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა.

თანამედროვე პირობებში ცხოვრების დონის დასახასიათებლად სტატისტიკისათვის იყენებენ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელ სისტემას ანუ არ გვხვდება მოსახლეობის ცხოვრების დონის კატეგორიის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოში ცხოვრების დონეს შემდეგი სამი მონაცემის მიხედვით იკვლევს:

- ფარდობითი სიღარიბე.
- აბსოლიტური სიღარიბე.
- ჯინის კოეფიციენტი.

ჯინის კოეფიციენტს, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, იგი საქართველოს 2009 - 2018 წლების განმავლობაში 0.40 -0.37 -ის ფარგლებში მერყეობდა, კერძოდ:

ცხრილი 1. ჯინის კოეფიციენტი

წელი	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2009	0,43	0,50	0,45	0,40	0,47	0,43
2010	0,44	0,49	0,45	0,42	0,48	0,44
2011	0,43	0,49	0,46	0,42	0,49	0,46
2012	0,42	0,47	0,44	0,41	0,48	0,44
2013	0,40	0,43	0,41	0,39	0,45	0,42
2014	0,40	0,43	0,41	0,39	0,47	0,44
2015	0,40	0,43	0,41	0,38	0,45	0,43
2016	0,40	0,43	0,41	0,39	0,46	0,43
2017	0,41	0,45	0,43	0,40	0,47	0,45
2018	0,39	0,42	0,40	0,37	0,44	0,42

მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით გამომთვლელი ჯინის კოეფიციენტი - 0,40 - შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. თუმცა 2018 წელს მკვეთრად შემცირდა და 0.37 შეადგინა, მაგრამ რეალურად დიდი სხვაობა მაინც არ არის, რადგან მისი კრიტიკული ზღვარი 0,41-0,46-ია.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოსახლეობის შემოსავლების უთანასწოობა მცირდება უმნიშვნელოდ.

რაც შეეხება მოსახლეობის საშუალო შემოსავლების სიდიდეს, რომლითაც ასევე ხასიათდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, იგი ძალიან მცირეა. ცხრილები გვიჩვენებს, რომ :

ცხრილი 4. საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავალი და დანაზოგი საქართველოში 2016 -2018 წლებში

წელი	სულადობრივი შემოსავალი თვეში	საშუალო სულადობრივი ხარჯი თვეში	თვიური დანაზოგი
2016	302.2	297.7	4,5
2017	317,2	312.2	5.0
2018	318,3	312.2	6.1

2016 წელს საქართელოს მოსახლეობის შემოსავალი, ერთ სულზე შეადგენდა 302.2 ლარს, ხარჯი კი 297.7 ლარი იყო. შესაბამისად, 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე თვიურმა დანაზოგმა 4,5 ლარი შეადგინა.

2017 წელს სულადობრივმა შემოსავალმა 317,2 ლარი შეადგინა, საშუალო სულადობრივმა ხარჯმა 312.2 ლარი, დანაზოგი კი 5.0 ლარია.

2018 წელს სულადობრივმა შემოსავალმა 318,3 ლარი შეადგინა, საშუალო სულადობრივი ხარჯი სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით არ შეცვლილა და კვლავ 312.2 იყო, მაგრამ რადგან შემოსავალმა მოიმატა 1,1 ლარით, დანაზოგიც 1,1 ლარით მეტია წინა წელთან შედარებით და შესაბამისად 6.1 შეადგინა.

როგორც ვხედავთ, თვიური დანაზოგი ბოლო სამი წლის განმავლობაში ათ ლარსაც კი ვერ აღწევს.

2018 წელს მთლიანი წლის განმავლობაში დანაზოგი 73,2 ლარია. რაც იმდენად მიზერული თანხაა, რომ არანაირ რეალურ ზეგავლენას ვერ მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

შემოსავლები.

დასკვნა: ამრიგად, საქართველოში არსებული სიღარიბის დასაძლევად და უთანასწორობის შესამცირებლად ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ არის, საჭიროა

უფრო რადიკალური მოქმედებები ბიზნესის განვითარების მიმართულებით, კერძოდ ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობა უნდა გაიზარდოს, იმ დონემდე, რომ მან დაიკავოს ბიზნესის ბრუნვაში დომინირებული მდგომარეობა. ვფიქრობთ, ამ გზით ამაღლდება დასაქმება და გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესხია ი., გაბელაშვილი კ. _ მოსახლეობის ცხოვრების დონე, თბ., 2004, გვ. 14.
2. აბესაძე რ. _ მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 2010, გვ. 10
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi

ინოვაციური ეკონომიკა ლატვიის სტანდარტებზე დაფუძნებული პროფესიული

Biliseishvili Tatia

PhD student of Georgian Technical University

შუამავალ

ინოვაციური ეკონომიკა ეფექტიანი ინოვაციური ეკონომიკა Geoრია პროფესიონალი

ინოვაციური ეკონომიკა ორსაფეხურიანი ინტეგრირებული სეგმენტია, რომელიც ეფუძნება პროფესიონალიზმის ინოვაციურ ეკონომიკას ტექნოლოგიურ Geoრიაზე ტალღოვანი ეფექტის ფორმირებას ენერგეტიკულ.

შეიძლება ითქვა, რომ ჰაბიტატი ინოვაციურ ეფექტიანობა ინოვაციური ეკონომიკა

Oneრატორი ფორმა ინტეგრირებული ინვესტიციები ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროფესიონალ ტალენტი

ინოვაციური ინტეგრირების ინფორმაციული ტექვალიტეტი, ეს იწვევს, ანდა ორი.

ინოვაციურ ჰას ალაქს ეხება ანდ სტიმულირებულ, ვიც მ ეანს ტალანტი პროფესიონალიზმი ინოვაციური ჰას ეხება პრეფიქსი ცვლილებისტიმულირებ ფაქტ, ანდ ისეთ ტალანტი ტექვალიტეტ.

Keსიტყვები: Geoრია, Pროფესიონალიზმი, ინოვაციური, Eხპერიმენტი, Eცონომიკ, შეფასება ან ოფლ Genერაციული, Goვერნანტ.

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები

გარსევანიშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გორშკოვი თეიმურაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ვითარება და ფოკუსირებულია საჯარო მმართველობის განხორციელებაზე ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით. გამოკვლეულია ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები, ეკონომიკური საფრთხეები და შემუშავებულია რეკომენდაციები სახელმწიფოს უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების მიზნით. აღნიშნული კი თავის მხრივ განსაზღვრავს საჯარო მმართველობის კონცეფციათა შემუშავებას ქვეყნის უსაფრთხო განვითარებისათვის და ფუნქციონირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეკონომიკა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, საჯარო მმართველობა, ემპირიული კვლევა, ეკონომიკური სტრატეგია.

ძირითადი ტექსტი

დღეს, საქართველო განვითარების უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. ცხოვრების დონე არასაკმარისი ტემპებით ვითარდება, სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია. ფაქტობრივად სახელმწიფოს სოციალურ - პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე გამოწვევების უგულვებელყოფას, რითაც ქვეყანა რეალურად დადგა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის წინაშე.

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ,,საქართველო 2020“ და გადადგა კიდეც კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. აღინიშნა, რომ 2019 წელს ქვეყნის ეკონომიკა 5%-ით გაიზარდა. უმჯობესდება ექსპორტ-იმპორტის ბალანსი, საქართველოს ბიზნეს - რეიტინგი გაუმჯობესდა, მიმდინარეობს დიდი ეკონომიკური პროექტების განხორციელება და ა.შ. მიუხედავად ამისა ლარი განაგრძობს გაუფასურებას, მოსახლეობა ძირითადად უკმაყოფილოა ქვეყნის და შესაბამისად საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობით.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოს წარმოშობის თანმდევი პრობლეგაა. მას კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თითოეული ადამიანისათვის და თვით სახელმწიფოებისთვისაც. ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი მიზანი დროსა და სივრცეში იცვლება ქვეყნის და საზოგადოების წინაშე მდგარი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანებიდან გამომდინარე. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან, ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოუდგენელია ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკის წარმატებულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი ყოფის თითქმის ყველა სფეროს - პოლიტიკის, ხელოვნების, სპორტის, განათლების, სამართალდამცავი სტრუქტურების ნორმალური განვითარება.

2013 წელს ახალმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა დაიწყო. 2013 წელს, ყველაზე მეტად, 11.3%-ით გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორი, რადგან მთავრობამ ხალხს ხვნა-თესვის ვაუჩერები დაურიგა. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება კი

მშენებლობის სექტორში იყო - 10%.

2014-2016 წლებში ეკონომიკა საშუალოდ 3.4%- ით იზრდებოდა. 27%-ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი, რაც ძირითადად რუსეთსა და აზერბაიჯანში არსებული კრიზისით იყო გამოწვეული. 22%-ით შემცირდა საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები. 2014-2016 წლებში დაეცა ტურიზმის ზრდის ტემპიც. შემცირებულმა საგარეო შემოსავლებმა ლარის გაუფასურება გამოიწვია, კურსმა დოლარის მიმართ 2.8-საც კი მიაღწია. ბოლო 4 წელიწადში ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 3.7%-ია. სახელმწიფო ვალი მშპ-ის მიმართ 44%-მდე გაიზარდა. აღნიშნულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მეტი 2014 წელს იყო - $1.8 მილიარდი. მომდევნო წლებში კი საშუალოდ $1.6 მილიარდის ინვესტიცია შემოვიდა.

სახელმწიფო ხელისუფლების მმართველი გუნდის ავტორიტარული მეთოდებით მართვამ, კორუფციის ელიტარულ - კლანურ ფორმად ჩამოყალიბებამ, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გამოწვეულმა შედეგებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას და საგრძნობლად დააქვეითა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი.

2012 წლიდან პოლიტიკური სტაბილურობის გაუმჯობესებასთან ერთად, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების და მეგობარი სახელმწიფოების მხარდაჭერით საქართველოში გატარდა მრავალი ეკონომიკური რეფორმა. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ადეკვატური სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც შემაფერხებელი ფაქტორი გახდა ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. ამას დაემატა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ინფლაციისა და უმუშევრობის მაღალი დონე, დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, საწარმოო პოტენციალის ნაკლებობა, ე.წ. ,,მცოცავი ოკუპაცია“ და ა.შ. საქართველო მსოფლიო ქვეყნებს შორის, 2019 წლის მაჩვენებლებით, სიმდიდრით კვლავ მეორე ასეულში იმყოფება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მონაცემებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე ნომინალის მიხედვით, იგივე GDP (nominal) per capita $4 400-ია. შედეგად, მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში 105-ე ადგილზე ვართ.

საქართველოს ახალი ტექნოლოგიების შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნილებებთან, ქართული პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა და წარმოების დაბალი დონე, მსოფლიო ბაზარზე გასვლის შემაფერხებელი ფაქტორებია. აღნიშნულიდან გამომდინარე ცივილიზებულ მსოფლიოს ინტეგრაციის გზაზე ყველა აღნიშნული ინტერესებისა და სტრატეგიული მიზნების განხორციელება სახელმწიფოს ეფექტიანი ინსტიტუციონალური მოწყობით, კონკურენტუნარიანი ბიზნესის არსებობითა და ეკონომიკური ზრდის ტემპებით არის შესაძლებელი. ჩვენი გადმოსახედიდან უმთავრესია ქვეყანაში განვითარდეს მრეწველობა და ახალი ტექნოლოგიები ანუ ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებმაც შექმნეს პოლიტიკურად სტაბილური და ეკონომიკურად მდიდარი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების განვითარების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი ეკონომიკური კეთილდღეობის პროგრესს მრეწველობის დარგების განვითარება და სახელმწიფოების ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება განსაზღვრავს. საქართველოს გააჩნია ყველა რესურსი ანალოგიური გზით განავითაროს ეკონომიკა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ქვეყანაში არსებობდა მრეწველობის საკმაოდ განვითარებული საწარმოები, კერძოდ: თბილისის საავიაციო და ელმავალშემკეთებელი ქარხნები, ქუთაისის ავნოსამშენებლო ქარხანა, გორის ბამბეულის საქსოვ-სართავი კომბინატი, ხილ-ბოსტნეულის საკონსერვო ქარხანა, მეჯვრისხევის მეფრინველეობისა და ბებნისის მებოცვრეობის ფაბრიკები, აგარის შაქრის სახდელი ქარხანა და ა. შ. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყნის მასშტაბით სამეწარმეო სფეროში შექმნა მძიმე მდგომარეობა და საქართველო აღმოჩნდა რეალური ეკონომიკური საფრთხეების ქვეშ. ,,საქართველოში მშპ-ის მოცულობა 90-იან წლებში დაახლოებით 60%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 80%-ით დაეცა. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 80-იან წლების დასასრულს მსოფლიოში დაახლოებით 2.600 აშშ-ის დოლარი იყო, ხოლო საქართველოში იგი დაახლოებით 700 აშშ-ს დოლარს შეადგენდა.

თანამედროვე საქათველოს გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედებს შემდეგი საფრთხეები, კერძოდ:

გარე და შიდა დესტრუქციული ძალების ქმედებები, მაგ.: გლობალური დაძაბულობა, ოკუპაცია, ტერორიზმი, კიბერ თავდასხმები, ქვეყნის ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობის დარღვევა, ინსტიტუციური წესრიგის სისუსტე, სოციალური უპასუხისმგებლობა და ზნეობრივი დეფიციტი, თანამედროვე მაკრო და მიკრო ეკონომიკური აზროვნების დაბალი ტემპები, მ.შ.პ_ს შემცირება, საგარეო და საშინაო ვალი, ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) პრობლემები, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალი მასშტაბები, სავალუტო კრიზისები, ცხოვრების დაბალი დონე და ხარისხი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების უკმარისობა, ქვეყნის ერთიანი ბაზის ჩამოუყალიბებლობა, ინფლაცია და უმუშევრობა, და სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტები. თუმცა დღევანდელი კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებმა, წარმოუდგენელი პრობლემები შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა, ახლა უკვე შემთხვევათა რაოდენობა 2 მილიონზე მეტია. 2 მლრდ-ზე მეტი ადამიანი იძულებით სახლებშია გამოკეტილი. წარმოება და მომსახურება შეჩერებული, გლობალური ზარალი ყოველდღიურად 11 ნიშნა რიცხვით იზრდება. ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი სარეიტინგო სააგენტო S&P-ის თანახმად, მსოფლიოს ეკონომიკა უკვე შევიდა გლობალურ რეცესიაში. რეცესია ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან კლებას ნიშნავს: ამ დროს იკლებს მთლიანი შიდა პროდუქტი, შემოსავლები, დასაქმება, წარმოება და საცალო გაყიდვები. 2020 წელი მსოფლიო ეკონომიკისთვის 1930-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ ყველაზე რთული იქნება - ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა ვაშინგტონში გამართული ბრიფინგის დროს განაცხადეს. სავარაუდოა, რომ შექმნილი ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მეტად ევროკავშირის ქვეყნებს დააზარალებს, რომლებიც დღესდღეობით პანდემიის ეპიცენტრს წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკა, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც ტურიზმზე, ვაჭრობაზე და საზღვარგარეთიდან შემოსულ ფინანსურ გზავნილებზეა დიდწილად დამოკიდებული, ბუნებრივია მიმდინარე კორონავირუსუს გამო გამოწვეული ქმედებების ფონზე უკვე განიცდის სერიოზულ კრიზისს. მაგალითად, ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებაში თითქმის 25-40 თეთრით გაუფასურდაა, ეროვნული ბანკის 14 აპრილი მონაცემებით 1 დოლარი 3.13 ლარი ხოლო 1 ევრო — 3.43 ლარი ღირს; 20 მარტიდან დაიხურა სავაჭრო ობიექტები, შეიზღუდა ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა (აფთიაქების, ბანკების, საწვავის სადგურების და სასურსათო მაღაზიების გარდა); ჩაიკეტა ქვეყნის საზღვრები, არაერთი ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება დასაქმების შემცირების და შემოსავლების შემცირების-გაქრობის რისკებს აჩენს არაერთი მოქალაქისათვის.

,,აზიის განვითარების ბანკის“ პროგნოზი 2020-ის ვარაუდით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა 2020 წელს 0%-მდე დაეცემა. სრული პროგნოზები COVID-19-ით საქართველოში გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებთან დაკავშირებით ჯერჯერობით გაურკვეველია და დამოკიდებულია ვირუსის მოქმედების ვადებზე და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ანალიტიკოსების შეფასებით, კრიზისი მსოფლიოსთვის ისეთივე სიმძიმის იქნება, როგორიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და შესაბამისი მასშტაბის ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ქვეყნების სუსტი და ძლიერი მხარეები და კიდევ ერთხელ დააფიქრა მთავრობაც, ბიზნესწრეებიც და მოსახლეობაც საკუთარი ქვეყნის შიდა წარმოების გაფართოების აუცილებლობაზე.

ემპირიული კვლევით ჩამოყალიბდა საქართველოს ეკონმიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ხელისუფლების მიერ, რათა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უზრუნველყოს თანამედროვე გამოწვევებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება:

უნდა შემუშავდეს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანის სტრატეგია, რათა მან მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ახალ გარემოში ეფექტიანი ფუნქციონირების უნარი შეიძინოს.

- განისაზღვროს ის ძირითადი პრინციპები, რომელთა რეალიზაცია თითოეული ადამიანის

უსაფრთხო განვითარებას უზრუნველყოფს.

- პიროვნების პოტენციალის ყველა სეგმენტის განვითარება. მისი საქმიანობის მოტივაციისა და შედეგიანობის ამაღლება
- ადამიანის არსებობისათვის სათანადო პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.
- ეკონომიკური რეფორმების გამბედაობა.
- შეიქმნას ეკონომიკური მოდელი, რომელიც მოიზიდავს ინვესტიციებს ეკონომიკის რეალურ სექტორში,
- სამუშაო ადგილების შექმნა
- ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება
- დღეს საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის მეტი გააქტიურება და ქმედითობა, სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირებისა და კოორდინაციის გაუმჯობესება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ფორმირება,
- ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, ეკონომიკური ზრდა თანხვედრაში იყოს საზოგადოების ლიბერალურ და დემოკრატიულ ფასეულობებთან.
- რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე დაფუძნებულ კვლევების ორგანიზება და გაუმჯობესება.
- უნდა გაუმჯობესდეს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისადმი სახელმწიფოებრივი მართვის პრიორიტეტული მიდგომა.
- ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის პრიორიტეტულ აუცილებ-ლობას უნდა წარმოადგენდეს დიდ ეკონომიკურ პროექტებში ევროკვაშირისა და მეგობარი სახელმწიფოების ჩართულობა.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქარ-თველომ უნდა:

- განავითაროს სახელმწიფო ინსტიტუტები და განამტკიცოს დემოკრატიის მშენებლობის პროცესი:
- განავითაროს ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემა:
- განამტკიცოს ეროვნული ერთიანობა და სამოქალაქო თანხმობა;
- სრულყოს საკადრო პოლიტიკა;
- უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და სხვ.

რომელთაგან მრავალი ნაბიჯი ზემოთ იქნა მითითებული. ზემოაღნიშნული წარმოადგენს ქვეყნის ხელისუფლების შესაძლებლობების არეალს. ამ ჩამონათვალში არ მივუთითეთ უპირველესი და უმ-თავრესი პრობლემა - ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ვინაიდან ეს უმწვავესი პრობლემა სცილდება საქართველოს ხელისუფლების და თუნდაც საზოგა-დოების ძალისხმევის შესაძლებლობების ფარგლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაღათურია გ, ბაღათურია ო, დოღონაძე შ, იაშვილი გ, იაშვილი თ. „კვლევის მეთოდების საფუძვლები საჯარო მმართველობის ამოცანებში „ სახელმძღვანელო თბილისი 2019 წ;
2. ეჯიბაძე ო. ,,მართვა“, თბილისი 2010წ, გვ 346-347
3. ნატროშვილი.გ. „ ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნები, ფაქტობი და მაჩვენებლები.
4. ჭითანავა ნ. „ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია-ეროვნულ სახელმწიფოებრივი ეკონომიკური იდეოლოგიის ფორმირების საფუძველი“
5. აბაშიძე ზ.,,არარსებული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა“ forges.ge/news/1727/ararsebuli qveynebis-ekonomikuri-mdgomareoba”.
6. საბერძნეთი და საქართველო ევროპის ყველაზე ღარიბი ქვეყნების სიაში, აღებულია ვებგვერდიდან https://georgians.gr/saberdzneti-da-saqartvelo-europis/, ბოლო ნახვა 9 იანვარი 2020

MODERNIZATION OF GEORGIAN ELECTRIC POWER SYSTEM AND PROBLEMS ASSOCIATED WITH IT

Garsevanishvili Giorgi
PhD student of Georgian Technical University

Gorshkov Teimuraz
Invited Associate Professor, Georgian Technical University

შუმი არყ

ნაშრომში განხილულია Geo-ინჟინერიული ყ'ს მოდერნიზაციის საკითხები ენერგეტიკულ პრობლემებთან ერთად. ეს ანალიზი ვალდებულია ეროვნული ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლებასთან. ეს ანალიზი ეხება ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ინტეგრაციას ელექტროენერგეტიკულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ეს ანალიზი ეხება ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ინტეგრაციას ელექტროენერგეტიკულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან.

პროდუქციის წარმოების ოპტიმალური პარტიის განსაზღვრის ალგორითმი, დანახარჯების მინიმიზაციის კრიტერიუმით რესურსებზე ფასდაკლების გათვალისწინებით

გიაშვილი ია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პირობებში, გაზრდილმა კონკურენციამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა საწარმოს ეფექტურად მართვის პროცესი და გამოყენებული რესურსების ეკონომიურობა. სწორედ დანახარჯების მართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად და, როგორც შედეგი, მოგებისა და რენტაბელობის ზრდა. დანახარჯების დონე არის კრიტერიუმი საქმიანობის ეფექტური ან არაეფექტური ფორმებისა და მეთოდების გამოყენების, ყოველივე ეს კი წარმოადგენს მეწარმეების ფართო წრის ინტერესს საწარმოო პოტენციალის უფრო რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით, კერძოდ მინიმალური დანახარჯებით მაღალი შედეგების მიღება.

აქედან გამომდინარეობს მოდელისა და ალგორითმის შემუშავებისა და გამოყენების მნიშვნელობა, რომელიც პროდუქციის პარტიებად წარმოების დროს ოპტიმალური პარტიის დონის განსაზღვრის საშუალებას იძლევა მინიმალური დანახრჯებით, რომელიც მოიცავს: წარმოების დანახარჯებს, ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოების დანახრჯებს, მარაგების შენახვის დანახარჯებსა და სხვა სარგებელსა თუ დანაკარგებს, რომლებიც თან ახლავს ამ პროცესს. შემუშავებული მოდელი ღირებულია იმით, რომ ის გვაძლევს საშუალებას მიღებულ იქნას მრავალი გადაწყვეტილებები სტანდარტული მიდგომის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, პარტიის ოპტიმალური მოცულობა, რესურსებზე ფასდაკლება, დანახარჯების მინიმიზაცია, ალგორითმი.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია თავდაპირველად განიმარტა როგორც „მრავალეროვნული კომპანიების მიერ წარმოებული ცალკეული პროდუქციის ბაზრების შერწყმის პროცესი“. შემდგომ მან მოიცვა საინვესტიციო, სავაჭრო, ფინანსური და საწარმოო სფეროები, გადაიქცა რა პროცესად, რომელიც აყალიბებს ახალი ტიპის მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობებსა და უზრუნველყოფს ახალი მსოფლიო ეკონომიკური სივრცის შექმნას.

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობებში ნორმად იქცა მკაცრი, დაუნდობელი კონკურენცია გასაღების ბაზრებისთვის, რესურსების ფლობისთვის, ინვესტიციებისთვის, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებისთვის. თუ მიზნად იქნება დასახული მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვება, მაშინ ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებად შეიძლება მიჩნეულ იქნას შეცვლილი გარემოს მიმართ ადაპტაცია, მდგრადობის ზრდა, რესურსების ეკონომიურობა.

სწორედ დანახარჯების ეფექტური მართვა არის კომპანიის და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ეფექტურობის ზრდის ქმედითი ინსტრუმენტი. გასათვალისწინებელია ის, რომ წარმოებული პროდუქციის პარტიის მოცულობა ახდენს გავლენას წარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. საწარმოს მიზნია - შეიმუშაოს ისეთი გეგმა, რომლის დროსაც წარმოების, შენახვის და სხვა დანახარჯები მინიმალურია, პროდუქციაზე მოთხოვნის სრულად და დროულად დაკმაყოფილების პირობებში. შესწავლის საგანია მარაგების Q რაოდენობასა და დროს t შოროს დამოკიდებულების Q=f(t) განსაზღვრა.

დანახარჯების ფუნქციაა $C = \frac{s \times d}{q} + c \times d + \frac{q}{2} \times h$, სადაც d- პერიოდის მოთხოვნაა, რომელიც მუდმივია და უწყვეტი პერიოდის მანძილზე; s - ერთი პარტიის ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოების დანახარჯი, რომელიც არ არის დამოკიდებული წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე; c - პროდუქციის ერთი ერთეულის წარმოების დანახარჯი, რომელიც მუდმივია; h - პროდუქციის ერთი

ერთეულის შენახვის დანახარჯი, რომელიც მუდმივია პერიოდის მანძილზე; d - პარტიის მოცულობა, რომელიც მუდმივი სიდიდეა პერიოდის მანძილზე და პროდუქციის მოწოდება ხდება მომენტალურად, როგორც კი მარაგის დონე იქნება ნულის ტოლი.

დანახარჯების ფუნქცია უწყვეტია. ფუნქციის მინიმალური მნიშვნელობა არის ექსტრემუმის წერტილი მოცემული ინტერვალისთვის. წარმოებულის ნულთან გატოლება შეესაბამება ფუნქციის ექსტრემუმის წერტილს, მინიმალურ მთლიან დანახარჯებს და პარტიის ოპტიმალურ მოცულობას:

$$\frac{dC}{dq} = 0, -\frac{s \times d}{q^2} + 0 + \frac{h}{2} = 0;\ q^* = \sqrt{\frac{2sd}{h}}$$

სადაც q^* - პარტიის ოპტიმალური მოცულობაა.

როდესაც პროდუქციის მოწოდება საწყობში უშუალოდ წარმოებიდან ხდება, მოწოდება შეიძლება არ იყოს მომენტალური. დამატებითი პარამეტრია - წარმოების ტემპი p - პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. პროდუქციის მარაგების დონის ცვლილების და შევსების გრაფიკი წარმოების დროის გათვალისწინებით მოცემულია ნახ. 1, სადაც Q - მარაგის დონე; t - დრო; RT - მარაგიების მაქსიმალური დონე; t_1 - მიწოდების ხანგრძლივობა; V' - მარაგების შევსების სიჩქარე, რაც უდრის p - d ; V'' -მუდმივი მოთხოვნა ინტენსივობით d.



ნახ. 1. მარაგების დონის ცვლილების გრაფიკი.

მარაგის საშუალო დონის განსაზღვრისთვის გამოვიყენოთ შემდეგი ორი გარემოება: მაქსიმალური დონე RT=(p-d)×t; ერთ პარტიაში პროდუქციის რაოდენობაა q=p×t. მაშინ მარაგების საშუალო დონე გამოითვლება შემდეგნაირად:

$0{,}5RT = \frac{(p-d)\times t}{2}$, რადგან $t = \frac{q}{p}$ $0{,}5RT = \frac{(p-d)\times q}{2p}$

პერიოდის მთლიანი დანახარჯების განტოლება იქნება

$$C = \frac{s \times d}{q} + c \times d + \frac{(p-q) \times q \times h}{2p}$$

$$\frac{dC}{dq} = 0, -\frac{s \times d}{q^2} + \frac{(p-q) \times h}{2p} = 0\ ;\ q^* = \sqrt{\frac{2psd}{(p-q) \times h}} = \sqrt{\frac{2sd}{h \times (1 - \frac{d}{p})}}$$

პარტიის ოპტიმალური მოცულობის ფორმულის გამოყენების შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი დანახარჯების ფუნქცია უნდა იყოს უწყვეტი და დიფერენცირებული ინტერვალში. შესაბამისად პარტიის ოპტიმალური მოცულობის ამოცანა, რომელიც მოგვცემს საშუალებას პერიოდის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს სრულად და დროულად, და თან მინიმალური დანახარჯებით, ამოიხსნება ერთ ბიჯზე.

გამოთვლების ალგორითმს შეცვლის, მაგალითად, რესურსებზე ფასდაკლების სისტემის ანალიზი, რაც გვიჩვენებს, რომ მთლიანი დანახარჯების ფუნქციას ექნება წყვეტა. ამოცანის გადაჭრა მოხდება თითიეულ ინტერვალში წყვეტის წერტილებს შორის და თვითონ წერტილებში მთლიანი დანახარჯების მინიმალური მნიშვნელობების განსაზღვრის მეშვეობით, ანუ მნიშვნელობების გადარჩევის მეთოდით. ვარიანტები რომლებიც უნდა გამოითვალოს და შედარდეს იქნება იმდენი, რამდენიც იქნება თვითონ

პარამეტრების კომბინაცია მთლიანი დანახარჯების ფუნქციაში.

თუ რესურსების დიდი მოცულობის შეკვეთაზე ხდება ფასდაკლება, ეს გავლენას ახდენს მთლიან დანახარჯებზე და მარაგების მართვაზე (ნახ.2).



ნახ.2. მთლიან დანახარჯების გრაფიკი

Q_{p1} ე.წ. ფასების წყვეტის წერტილია, რადგან პარტიისთვის, რომლის მოცულობა აღემატება Q_{p1}-ს, ერთი ერთეული პროდუქციის წარმოების დანახარჯები ნაკლებია, ვინაიდან რესურსების უფრო დიდი მოცულობის პარტიის შესყიდვა შეიძლება თავდაპირველ ფასთან შედარებით უფრო დაბალი ფასით $P_1 < P$. რომ განვსაზღვროთ წარმოების ოპტიმალური მოცულობა Q^*, უნდა გავაანალიზოთ სამიდან ერთ-ერთ რომელ არეში მოხვდა ფასების წყვეტის წერტილი (ნახ.2).



ნახ.3. პროდუქციის ოპტიმალური პარტიის მოცულობის გრაფიკი

ჩამოვაყალიბოთ ალგორითმი:

1. განვსაზღვროთ Qw ფორმულით.

2. თუ $Q_{p1} < Q_w$ (არე 1), მაშინ $Q^* = Q_w$ (ნახ.3.ა); წინააღმდეგ შემთხვევაში ვიპოვოთ $Q_1 > Q_w$ მნიშვნელობა, რომლის მთლიანი დანახარჯები, რომელიც გამოთვლილია P [illegible] P_1 ფასებისთვის, ემთხვევა ერთმანეთს, ანუ $C(Q_W) = C_1(Q_1)$.

3. თუ $Q_w \leq Q_{p1} < Q_1$ (II არე), მაშინ $Q^* = Q_{p1}$ (ნახ. 3.ბ).

4. თუ $Q_{p1} \geq Q_1$ (III არე), მაშინ $Q^* = Q_w$ (ნახ.3. გ).

დასკვნა

ამრიგად, მოდელში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც გავლანეს ახდენს პროდუქციის პარტიებად წარმოების პროცესში მისაღებ გადაწყვეტილებებზე. წარმოდგენილი მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტები შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად, რაც საწარმოებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს მოუტანთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიაშვილი ი. პროდუქციაზე მოთხოვნის მინიმალური საწარმოო დანახარჯებით დაკმაყოფილების მოდელი შეუზღუდავი საწარმოო სიმძლავრეების დროს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. № 1(10). 2011.
2. Рамазанова Н.В. Роль малого предпринимательства в условиях глобализаци экономики. Известия Российского государственного педагогического университета. 2008. №1.
3. ლომინაძე თ., გიაშვილი ი. ობიექტების ოპტიმალური ქვესიმრავლეებისა და მიმდევრობების განსაზღვრის ალგორითმების ზოგადი სტრუქტურა. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, №3(26), 2006.

Algორიდმ [illegible] ინინგზე ოპტიმალურ [illegible], [illegible] ცოდნა [illegible] ინინგ [illegible] ინტელექტუალ [illegible]

Giashvili Ia

Associate Professor of Georgian Technical University

შუმ არყ

Uიდრეკ ცილიტ [illegible] ასმ ალ ტ ე პ ა რ ფ ს ო ფ ( ) ( ) მ ა ნ ა ბ ე ე ნ ტ ფ ტ ე ნ ტ ( ) ( ) ( )

აბსტრაქტი

სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე, მით უფრო ქვეყნისთვის რომელიც ახდენს ინვესტიციებსი იმპორტს, ერთობ მნიშვნელოვანია და საჭიროც საინვესტიციო გარემოს შეფასება და ანალიზი, ანალიზი კი გულისხმობს რამდენად მიმზიდველი გარემოა ინვესტორისთვის კაპიტალდაბანდების კუთხით, აფასებს მრავალმხრივ სიტუაციას, რომელიც მოიცავს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, ფინანსურ მდგრადობას, აფასებს საინვესტიციო რისკებს, იკვლევს რამდენად ეფექტურია კაპიტალდაბანდება ეკონომიკური თვალსაზრისით შემდეგ ღებულობს გადაწყვეტილებას, უცხოური კაპიტალის შემოდინება ქვეყნაში ეკონომიკური კრიზისის შეჩერებას უწყობს ხელს, ასევე დასაქმების ზრდას, რაც ყველაზე მთავარია სახელმწიფო ვალის აღების გარეშე მიღწეული იქნება სხვადასხვა პარამეტრების ზრდა, შეიძლება ითქვას რომ საქართველო ინვესტორებისთვის მიმზიდველად გარემოდ ჩამოყალიბდა და ჯერ კიდევ ამ პროცესშია, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია მისი სწორად შეფასება და ამ პროცესისთვის ხელის შეწყობა.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო.

ძირითადი ტექსტი

საინვესტიციო გარემო - როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ - სამართლებრივი, და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. რომლის ფორმირებაც შესაძლებელია ხორციელდებოდეს მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე, რაც საბოლოოდ იწვევს მყარი საინვესტიციო მზაობის შექმნასა და წარმოქნას.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედებს შემდეგი მაჩვენებლები:

- მაკროეკონომიკური პარამეტრები
- ფინანსური მდგრადობა
- საგადასახადო სისტემა
- გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სხვა

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებიდან გამომდინარე გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთო მაჩვენებელია, რომლის შეცვლა სახელმწიფოს არ შეუძლია და შესაბამისად ვერ ახდენს მასზე გავლენას, თუმცა შესაბამისი პირობების შექმნით შესაძლებელია კონკურენციის გაწევა რათა მოხდეს კონკრეტული ქვეყნის არჩევა და კაპიტალდაბანდება.

საინვესტიციო გარემო თავისთავში გულისხმობს და წარმოაჩენს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლითაც განისაზღვრება კაპიტალის დაბანდებისთვის ინვესტიციის მოზიდვას ან განრიდებას, მოიცავს ღრმა ანალიზსა და რისკების შეფასებას რითაც საბოლოოდ დგინდება არის თუ არა იგი ხელსაყრელი, მნიშვნელოვანია რამდენად არის განვითარებული მიმღები ქვეყნის ეკონომიკა, რომელშიც ასახულია ინფლაციის დონე, საშინაო და საგარეო ვალის სიდიდე და სხვა.

საინვესტიციო გარემოზე ჩამოყალიბებას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ექსპორტზე ორიენტაციის დონე;
- სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები.

მსოფლიოს საინვესტიციო გარემოს შეფასების პირველი გამოკვლევა ეკუთვნით ჰარვარდის ბიზნესის სკოლის წარმომადგენლებს. კვლევის მეთოდიკა კი ითვალისწინებდა საექსპერტო შკალას რომელიც მოიცავდა ცალკეული ქვეყნების მიხედვით შემდეგ მახასიათებლებს: საკანონმდებლო პირობები უცხოური და ადგილობრივი ინვესტორებისათვის; ეროვნული ვალუტის სიმყარე; ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება; ინფლაციის დონე; ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა და სხვ.

საინვესტიციო გარემო ეყრდნობა შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას:

- მშპ-ის, საპრივატიზაციო პროცესების მიმდინარეობა;
- ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების დინამიკა;
- საინვესტიციო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მდგომარეობა;

- მეურნეობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიური უსაფრთხოება, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა და სხვა;
- რეგიონის საბაზრო გარემო, (პრივატიზაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება, საექსპორტო შესაძლებლობები;
- პოლიტიკური მდგომარეობა;
- სოციალურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები;
- ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის მოცულობა, საბანკო რეგულაციები და სხვა).

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რომ საინვესტიციო გარემოს შეფასებისთვის ვერ ვიქნებით ერთიანი მიდგომით და კრიტერიუმით, მას ჩვეულებრივად ავსებენ იმ ფაქტორების განვითარების შესახებ ინფორმაციით, რომლებიც უშაოლოდ გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოს მდგომარეობასა და დინამიკაზე.

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა, ამისთვის კი აუცილებელია:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, რომელიც ინარჩუნებს ინფლაციის დონეს და არ აძლევს საშუალებას მეწარმეს წარმოების დაცემისათვის, თუმცა აუცილებელია უარყოფითი პროცესების კონტროლი და დროული რეაგირება, მათი შესწავლა და ანალიზი;
2. ისეთი სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;
3. ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა;
4. მნიშვნელოვანია შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სათანადო სისტემა.

ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და შექმნას ინოვაციური პროექტები და მაქსიმალურად იყოს დაცული სახელმწიფოს ინტერესები, როგორიც შეიძლება იყოს:

- ეკოლოგიური უსაფრთხოება
- ადგილობრივი მუშახელი

სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, ინვესტორებისთვის საგადასახადო შეღავათების შეთავაზება, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოსთვის კერძო სექტორის საკუთრების უფლება იყოს დაცული, კორუფცის და ბიუროკრატის დაბალი დონე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ქვეყნების ათეული (იხ. ცხრ.1)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	1 039.2	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
I კვ	291.8	331.9	343.4	392.2	411.7	323.5	283.6
II კვ	224.1	217.6	493.2	452.1	394.0	403.6	209.8
III კვ	271.6	749.5	531.1	506.5	627.9	367.0	427.4
IV კვ	251.6	538.0	361.3	299.5	529.0	171.0	347.0

მილიონი აშშ დოლარი (ცხრ. 2)





(ცხრ.3)

დასკვნა

სტატისტიკურ მონაცემს თუ დავეყრდნობით, ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი:

- ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არარსებობს სტაბილური საკანონმდებლო გარემო. ხშირად იცვლება კანონმდებლობა, რაც ინვესტორებისთის ნაკლებას მიმზიდველია;
- უნდა გატარდეს ცვლილებეი საგადასახადო კოდექსში;
- სწრაფად უნდა მოხდეს შრომის კოდექსის ფორმირება;
- აუცილებელია ქვეყანაში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს საქართველოში და მეტად გაზრდის ინვესტორების ნდობას;
- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები სახელმწიფოში კაპიტალდაბანდების ძრითადი მექანიზმი უნდა იყოს, აუცილებელია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ინვესტორს შეუქმნიდა მოტივაციისთის საჭირო გარემოს და გრძელვადიან ასპექტში გამოიწვევდა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული პოლიტიკის, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარების, საინვესტიციო გარემოსთვის ძრითადი ამოცანების გადაჭრის შემდეგ შესაძლებელი იქნება კიდევ უფრო მეტად განვითარდეს და ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო შეიქმნას ქვეყანაში, რითაც შეიცვლება ქვეყნის-სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარდება წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. 2009. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი.
2. ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე. 2013. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ჟ. „ეკონომისტი“ 2
3. https://www.geostat.ge/ka (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).
4. https://www.nbg.gov.ge (საქართველოს ეროვნული ბანკი).
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020. ნოემბერი, 2013 წელი.
6. http://www.economy.ge/

ᲑᲣᲡᲘᲜᲔᲡ ᲔᲜᲕᲘᲠᲝᲜᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡᲮᲛᲘᲡᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

Datashvili Vakhtang
Professor of Georgian Technical University

Beridze Iago
PhD student of Georgian Technical University

ᲨᲔᲯᲐᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ

ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲠᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ-ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ მდგომარეობა და განვითარდება წარმოება.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში

დევიძე თამარი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს კაპიტალის დიდი ნაწილი ძირითადად უცხოური კაპიტალია და ამ კაპიტალს სჭირდება გარკვეული სტაბილიზაცია. სახელმწიფო ვალდებულია მისი მხრიდან მოახდინოს ინვესტიცია ეკონომიკის ტრანსფორმირებისათვის, რადგან ეს უფრო მეტ პოტენციალს გააჩენს, ვიდრე მხოლოდ სტაბილიზაციის მცდელობა. ეკონომიკის ტრანსფორმაციაში იგულისხმება ისეთი ეკონომიკური პროექტების ინიცირება ან მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადამიანთა დასაქმებას და მათთვის შემოსავლების გაჩენას, ასევე ეკონომიკის სტრატეგიული დარგებისა და ქვედარგების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, საფინანსო პოლიტიკა, ეროვნული ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკის ფინანსური რეგულირება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ეფუძნება საზოგადოების განვითარების პროცესზე ზემოქმედების ეფექტიანი ბერკეტების გამოყენებას.

სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობით, საბიუჯეტო, საგადასახადო, საინვესტიციო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ყალიბდება ეკონომიკაზე ფინანსური ზემოქმედების კონკრეტული მექანიზმი ანუ ქვეყნის საფინანსო კანონმდებლობაზე დაფუძვნებული, ფინანსური რესურსების განაწილების და გამოყენების ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას და სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკას წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ეკონომიკური ინტერესების განხორციელებისათვის სახელმწიფო იყენებს საფინანსო პოლიტიკას, როგორც ინსტრუმენტს ამ მიზნების მისაღწევად. მაშასადამე, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით მიიღწევა ეკონომიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გატარებულ საფინანსო პოლიტიკას. მასზეა დამოკიდებული, თუ რა შედეგები იქნება მიღწეული და როგორ გაუმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკური სისტემა.

საფინანსო პოლიტიკა თავის თავში აერთიანებს პოლიტიკის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა საბიუჯეტო პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, ხარჯების პოლიტიკა, ვალის პოლიტიკა. საფინანსო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად აღნიშნული სტრუქტურები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ეს შეიძლება იყოს: რეფინანსირების სესხები, სავალუტო აუქციონები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, სადეპოზიტო სერთიფიკატები და სხვ. ამ ინსტრუმენტების გატარების მიზნები შეიძლება მრავალგვარი იყოს. ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ბიუჯეტის ბალანსირება. ეს გულისხმობს ბიუჯეტის სტრუქტურის დაბალანსებას, რაშიც იგულისხმება მისი შემოსავლებისა და ხარჯების ტოლობა. ნებისმიერი უნდა იქნას დიდი ყურადღებით დამუშავებული და შესწავლილი. საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებით მიიღწევა ეფექტიანი, სტაბილური და დამაკმაყოფილებელი ბიუჯეტის პროექტი და მისი განხორციელების შემდეგ კი ქვეყანა მხოლოდ დადებით შედეგებს უნდა ელოდოს. თუმცა ძალზე ძნელია საბიუჯეტო პოლიტიკაში ყველაფრის სრულყოფილად დაგეგმვა და ხშირადაა ბიუჯეტის არამიზნობრივი გახარჯვისა თუ მისი შემოსავლების არასწორად დაგეგმვის მაგალითები.

საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემებში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა და რიგმა საგარეო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაზე.

ეკონომიკა სათანადოდ ვერ იმუშავებს, თუ ქვეყანაში მაღალ დონეზე არ განვითარდა ტელესაკომუნიკაციო სისტემა, გამართულ რეჟიმზე მომუშავე ენერგეტიკა, სასტუმროების, კვების ობიექტებისა და

მომსახურების სხვა სფეროების ქსელი. ამისათვის კი საჭიროა ეკონომიკის ყველა სხვა დარგის განვითარება, რაც აუცილებელია მოცემული დარგების მაღალეფექტიანი მუშაობისათვის. ეს დარგები უპირველესად არის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა (სურსათის უზრუნველყოფის თვალსაზრისით).

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის წარუმატებლობის ფაქტორებად მიგვაჩნია:

1. კაპიტალის პირვანდელი დაგროვებისაკენ სწრაფვა სოციალურად ჯანსაღ კაპიტალდაბანდებათა ნაცვლად;
2. სოციალური განუკითხაობა;
3. უცხოეთიდან საქართველოში მოდინებადი კაპიტალის დაკვალიანება არა უკუგებისათვის, არამედ დახარჯვისათვის უკუგების გარეშე.

სახელმწიფო აუცილელად უნდა ეხმარებოდეს იმ კერძო მეწარმეებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარგებში მონაწილეობენ. რაც გამოიხატება, კერძოდ:

1. მათი მარკეტინგული სტრატეგიისადმი ხელშეწყობით;
2. საყოველთაო რესტრუქტურიზაციაში დახმარებით;
3. ფინანსური უკუგებიანი საკრედიტო დახმარებით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენს ქვეყანაში აქა-იქ შეიმჩნევა კერძო სექტორის ფუნქციონირების წარმატებები; მაკროეკონომიკის რეგულირების დროებითი ფაქტორები და გადარჩენილთა საქართველოსკენ სვლა ნაცვლად საქართველოს გადარჩენისა.

უნდა ავღნიშნოთ, რომ აუცილებელია კერძო და საჯარო სექტორთა მონაცვლეობა, პარტნიორობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში წარმატების მოთხოვნათა შესაბამისად სიტუაციის მიხედვით, სხვანაირად საკითხის დასმა შეცდომა იქნებოდა.

დემოკრატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საბიუჯეტო გეგმის შედგენისა და განხორციელების დროს გარკვეული პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ. საჯაროობის პრინციპის საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ ბიუჯეტის ფუნქციონირების ყველა სტადია ისე, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს თავისთვის სარწმუნო სურათის შექმნის შესაძლებლობა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპი. იგი მოითხოვს, რომ ყველა შემოსავალსა და ხარჯს ბიუჯეტი მოიცავდეს. სამართლებრივი ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მომჭირნეობა. მართალია ბიუჯეტის ამ პრინციპს არსებითად უნდა დავუჭიროთ მხარი, მაგრამ ამან შეიძლება იმოქმედოს კონტრპროდუქტიულადაც, რადგან ბიუჯეტში ასახული ხარჯები მიმდინარე საბიუჯეტო წელს აუცილებლად უნდა დაიხარჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება საბიუჯეტო ნაშთები, რომლებიც გადავადდება და მომდევნო წლის ბიუჯეტში ჩაისმება.

მნიშველოვანი დეტალია სახელმწიფო პრიორიტეტების თემა. პრიორიტეტების ქვეშ ჩამოთვლილია ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს ჩვეულებრივ, კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას წარმოადგენს. სინამდვილეში კი პრიორიტეტი ისეთი ამოცანაა რომელიც ემყარება ქვეყნის განვითარების სუსტი მხარეების და რისკფაქტორების გამოვლენას. მასზე უნდა იყოს კონცენტრირებული მთელი ძალისხმევა, რადგანაც დაგეგმილი პრიორიტეტები მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობას ეხება და მას სტრატეგიული დანიშნულება არ გააჩნია.

სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულებაა, შექმნას პირობები საკუთარი მოქალაქის კეთილდღეობისათვის, უზრუნველყოს წესრიგი, რათა ადამიანი იყოს დაცული და თავისუფალი. შექმნას გარემო, რომელშიც შესაძლებელია თავისუფლების მოპოვება და განვითარება. მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში იქნება ადამიანი ბედნიერი და წარმატებული.

სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისთან გასამკლავებლად 3,5 მილიარდამდე ლარის მოძიება მოხდა საერთაშორისო ინსტიტუციებისგან. საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა მიიღო COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შედეგების შერბილებისა და მათზე რეაგირებისათვის. როდესაც ქვეყანაში ჩნდება დიდი რაოდენობის თანხები, აქ იქმნება სერიოზული გავლენების ამუშავება და ინტერესების ლობირება. აუცილებელია, რომ მთავრობამ შეიმუშაოს მკვეთრი პოლიტიკა და მკაფიოდ იყოს თანხების მიმართვის სტანდარტები განსაზღვრული, რათა არ გაჩნდეს უსამართლობის განცდა. ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ

იქნას დაშვებული ნეპოტიზმი თუ კორუფცია.

კრიზისის პერიოდში რადიკალური ცვლილებების დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შემოქმედებითობის გააქტიურება და ლიდერობის უნარის განვითარება - მიზნების და გეგმების რეკონსტრუირების, თანამშრომელთა მოტივირების და ამავდროულად გუნდურობის შენარჩუნების უნარი.

რა არის მართვა? ეს არის სისტემა, სადაც კოორდინირებულია მოქმედებები, რომელიც ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევას ემსახურება.

ვის ვმართავთ? ესენი არან ადამიანები, რომელთაც გარდა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისა, თავიანთი პიროვნულ-ფსიქოლოგიური განსხვავებული ინდივიდუალიზმით უწევთ ერთ ორგანიზაციაში, როგორც სამსახურეობრივი, ასევე პიროვნული ურთიერთობები და ამ ურთიერთობის ეფექტიანობაზე დიდწილადაა დამოკიდებული ორგანიზაციის უკუგებიანი მუშაობა.

როგორ ვმართავთ? მართვისთვის აუცილებელია ვერკვეოდეთ ადამიანის ფსიქოლოგიაში, როგორც ზოგადად ადამიანის ფსიქოლოგიური სისტემის შესაძლებლობებში, ასევე მოტივაციებსა და მამოტივირებელ ინსტრუმენტებში.

საქართველოში ბოლო პერიოდში მწვანე თემატიკა ბიზნესის სფეროში საკმაოდ პოპულარული გახდა. უკვე ნათლად გამოიკვეთა, რომ არსებულ, რთულ მდგომარეობას შედარებით მარტივად გადალახავენ ის ბიზნესები, რომლებიც მოახერხებენ ახალ რეალობაზე საკუთარი საქმიანობის მორგებას და ბიზნეს ოპერაციების გადაწყობას. ამ პროცესში კი კრიტიკულად მნიშნელოვანია საკონსულტაციო კომპანიების ჩართულობა.

დღევანდელი მთავრობის პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკის ხედვა, მოქმედების გეგმა, პირველ რიგში, უნდა მოიცავდეს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული დარგების, არამედ ქვედარგების განვითარებასაც. დარგობრივი ეკონომიკის განვითარება და აქედან გამომდინარე იმის განსაზღვრა, თუ რა პოტენციური კადრები დაგვჭირდება მნიშვნელოვნად სასიცოცხლოა ქვეყნის და თითოეული მოქალაქის გადარჩენისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბ., 2014.
2. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2012.
3. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., 2015.
4. პაპავა ვლ. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ., 2015.
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია __ საქართველო 2020.
6. ყურაშვილი გ., დევიძე თ. თანამედროვე ბიზნესის ძირითადი თავისებურებები და ინტერესები. ჟურნ. „მოამბე“. XXXV. 2019.

Mანაბემენტიშეეცნიერებაბესტერურინაშეცრიზისანდკოზტრიზისერი

Devidze Tamari

Associate Professor of Georgian Technical University

შამმ არყ

MolსტოუGeoრიაუ ცაიტანდ აიდ ზოიტ ცაიტანდ ბე ცაიტანლეს ა ცეჭაიტალ ოიეიეს ტანდიოს ეიტანოლ ეიდტ აკ ანტვესბ ენტინოლერტანსოზ ბე ეცნიერ ყ, ბეცაუბ ბიდ ოლენერტ ოკ კოზენტალ ტანუსტან ატბეტუტალიზიოთანსოზ ატიოზეეცნიერ ყ ი კლიენტინაზოლ ეკოზენეცნიერ ი ცრეიტს ზ ვიც კოზიდ ზ ი ბეკ ენტოუვეიოლ ანდ გენერტბეირენუს, ას ზ ელდ დელ ტ ბ ტანუტ ანდ სუბ-სეტ ეიოზეცნიერ ყ. ი ბე კოზცრეს ეცნიერ ყ ვიტ ეიოზ ბ ბ ბ

გლობალიზაცია -დადებითი და უარყოფითი მხარეები

ვეფხვაძე ეკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიო წესრიგს მრავალი ობიექტური პროცესი ახლავს, რომელთაგან ერთ-ერთი გლობალიზაციაა.

ის, გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე პოსტ ინდუსტრიულ საზოგადოებაში და წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს განვითარების დომინანტურ ტენდენციას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაუსწრო სოციალური განვითარების დონეს, გამწვავდა გლობალური პრობლემების მთელი სპექტრი, რომელთაგან ერთ-ერთი ტერორიზმია.

"ტერორიზმის" ცნება (ლათ. "ტერორი" - შიში, საშინელება) ზოგადად, ნიშნავს მოქმედებას, რომელიც საზოგადოებაში საშინელებისა და შიშის სპეციფიკური ატმოსფეროს შესაქმნელად გამოიყენება და არის ექსტრემიზმის უკიდურესი ფორმა, რაც გამოიხატება ანტისოციალურ ქცევასა და საქმიანობაში, ვლინდება სხვადასხვაში საზოგადოების სფეროები, საზღვრის ჩათვლით. ტერორის კონცეფცია შემოიღო არისტოტელემ. ეს იყო საშინელება, რომელიც წარმოდგენილია ტკივილის, ქაოსის, განადგურების სახით. ითვლება, რომ თეატრის მეშვეობით ტერორის ინტერპრეტაციამ საფუძველი მისცა სასამართლოს რიტუალს, როგორც ერთგვარ თეატრს, რომელიც კანონის მეშვეობით დაამარცხებს ტერორს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ტერორიზმი, მედია, მსოფლიო,

შესავალი

აუცილებელია გლობალიზაციის პროცესის არსის გაგება, ვიცოდეთ მისი წარმოშობა, პოზიტიური და უარყოფითი განვითარების ტენდენციები, რათა შეიქმნას ტერორიზმის წინააღმდეგობის სისტემა.

განვიხილოთ "გლობალიზაციის" კონცეფცია და გამოავავლინოთ მისი ურთიერთობა ისეთ ფენომენთან, როგორიცაა ტერორიზმი. ამ გადმოსახედიდან, გლობალიზაცია არის ლიბერალური ფასეულობების საფუძველზე განვითარებული პროცესი, რაც გულისხმობს ცალმხრივი სამყაროს შექმნას, ერთი სახელმწიფოს ინტერესების იდენტიფიცირებას მთელი მსოფლიო საზოგადოების ინტერესებთან. ეს ტენდენცია ცივი ომის დასრულების შემდეგ წარმოიშვა ბიპოლარული სამყაროს სისტემის განადგურების გამო. გლობალიზაციის კონცეფციის გასაგებად რამდენიმე მიდგომა არსებობს. პირველი მიდგომა: გლობალიზაცია არის ფუნდამენტურად ახალი სოციალური ფენომენი, რომელსაც ახასიათებს მსოფლიო საზოგადოებაში სხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ეპოქაში შესვლა და მისი განვითარების ვექტორის ცვლილება. მეორე მიდგომა: გლობალიზაცია ბუნებრივი შედეგია კაცობრიობის ცხოვრების ადაპტაციისაკენ.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია, პირველ რიგში, გლობალური ეკონომიკისა და გლობალური ფინანსური ბაზრის ფორმირებაა. დემოგრაფებს აწუხებთ პლანეტის მთლიანი მოსახლეობის ზრდის პრობლემები, ეკოლოგები შეშფოთებული არიან ეკოლოგიური კრიზისის დაძლევის შესაძლებლობებით. გლობალიზაცია ხსნის დიდ შესაძლებლობებს ადამიანის ცივილიზაციის განვითარებისთვის. ამავე დროს, ის მრავალი პრობლემის წინაშე დგება. ცვლილებები, რაც ხდება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, როგორც განსაზღვრავს ახალი მსოფლიო წესრიგის საჭიროებას. მის საფუძვლებს კოლექტიურად განსაზღვრავენ სახელმწიფოები და ასახულია გაეროს სამიტზე მიღებული ათასწლეულის დეკლარაციაში: მასში, ნათქვამია: "... მხოლოდ ფართო და მუდმივი ძალისხმევით შევქმნათ საერთო მომავალი, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს საერთო კაცობრიობაზე მთელი თავისი მრავალფეროვნებით, გლობალიზაცია შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი და სამართლიანი" ამასთან, გლობალიზაცია არ უარყოფს სახელ-

მწიფოების ვალდებულებას, დაიცვან თავიანთი ურთიერთობები.

სხვადასხვა მიდგომებით, გლობალიზაცია განისაზღვრება, როგორც პროცესი, და როგორც სახელმწიფო, და როგორც ფენომენი. გლობალიზაციის სტატუსის, როგორც ფენომენის განსაზღვრის ფუნდამენტური განსხვავებაა ის, რომ თუ მასზე, ფენომენზეა ლაპარაკი, მაშინ იგულისხმება „გლობალიზმის“ ცნება. როდესაც სახელმწიფო გაანალიზებულია, მაშინ ის არის "გლობალური" და თუ ეხება პროცესს - ეს არის "გლობალიზაცია"

სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც ახლავს კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის განვითარებაზე. ამ პროცესს საფუძველი ჩაეყარა თანდათანობით, მეცნიერების სხვადასხვა დარგში აღმოჩენილი შედეგების, არსებული მიღწევების გაუმჯობესების შედეგად.

მსოფლიო საზოგადოების განვითარების ტენდენციებმა, პროგრესმა და ზოგადი კეთილდღეობამ და მკვეთრად დაგმობამ, გლობალიზაცია აღიქვა, როგორც მსოფლიოში სასიცოცხლო ინტერესებისა და სტაბილურობის საფრთხე.

გლობალიზაცია ნიშნავს ქვეყნების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას საერთაშორისო ვაჭრობის გაზრდის და მისი ფარგლების გაფართოებას.გამოიხატება საბაჟო და სხვა ბარიერების აღმოფხვრაში მთელ მსოფლიოში.

ფინანსების, საქონლისა და მომსახურების გლობალური ბაზრის შექმნა (გლობალური ეკონომიკა), ბიზნესი, რომელიც სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნის გზით. გლობალიზაციით, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებით, სამეცნიერო ცოდნით, ტექნოლოგიებით. ახასიათებს ინფორმაციული ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება და ერთიანი გლობალური ინფორმაციის სივრცის შექმნა.

გლობალიზაციის უარყოფითი ტენდენცია ის არის, რომ იგი მიმდინარეობს უაღრესად პოლარიზებული მსოფლიო სისტემის პირობებში. ეს განლაგება პოტენციური წყაროა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემების წარმოშობის მიზნით. მაგალითად, კონფლიქტური სიტუაციების მანიფესტაციები, მათ შორის ტერორისტული.

გლობალიზაციის პროცესები სერიოზულად ცვლის თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ბუნებას. ჩნდება ახალი საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები, შეიარაღებული ბრძოლის უფრო დახვეწილი და ხელმისაწვდომი მეთოდები ამცირებს სახელმწიფო საზღვრების და ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის სხვა ტრადიციული საშუალებების მნიშვნელობას. ასევე იზრდება ტერორისტული საქმიანობის მრავალფეროვნება, რაც პირდაპირ კავშირშია ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებთან, სეპარატისტულ და ექსტრემისტულ მოძრაობებთან და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მოქმედი სხვადასხვა მიწისქვეშა ორგანიზაციების საქმიანობასთან, იარაღის უკანონო ბიზნესთან, მსოფლიო სავაჭრო მარშრუტებთან მეკობრეობასთან, ადამიანებით ვაჭრობასთან და სხვა სფეროებთან.

ტერორისტული საქმიანობის ესკალაცია ხდება, მისი გეოგრაფია ფართოვდება, მისი ხასიათი, მანიფესტაციის ფორმები, გართულებები ხდება, იზრდება ტერორისტული აქტების რიცხვი, იზრდება ტერორისტული თავდასხმების ობიექტები და სამიზნეები, რაც უფრო ნაკლებად პროგნოზირდება. ტერორიზმი გლობალური ხდება.

ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებასთან, გლობალური პროპორციების საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროს შექმნასთან დაკავშირებით, ტერორისტული საფრთხეების როლი იცვლება. ტერორიზმი აქტიურად იყენებს იმ პირობებს, რაც ქმნის გლობალიზაციას. ის არსებობს არალეგალური ქსელის სტრუქტურის სახით, აქტიურად იყენებს გლობალიზაციის შესაძლებლობებს. არაპროგნოზირებადობის გამო, ტერორისტულმა ძალებმა გლობალიზაციის პირობებში უპირატესობა მიანიჭეს ლეგიტიმურ მთავრობებს, კანონმორჩილ მოქალაქეებს, ორიენტირებულნი არიან სასამართლო პროცესებზე და კანონის უზენაესობაზე.

დღეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გლობალიზაციის პირობებში ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. თუ გასული საუკუნის შუა პერიოდში ტერორისტები ძირითადად ერთჯერადი გულშემატკივრები, გონებრივად არაჯანსაღი ხალხი იყო, ახლა ფართომასშტაბიანი მოქმედებები

ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ტერორიზმი გლობალიზაციის კონტექსტში მჭიდრო კავშირშია კრიმინალურ გარემოსთან; დანაშაულებრივი ჯგუფეში ათასობით ადამიანია. ტერორისტული აქტის ჩასატარებლად იმპროვიზირებული ასაფეთქებელ მოწყობილობებს, თვითნაკეთი მცირე იარაღებს იყენებენ. ამჟამად, ტერორისტები ფლობენ საგარეო და საშინაო წარმოების ყველაზე თანამედროვე იარაღს. ამასთან, ტერორისტების მიერ მათ საქმიანობაში ბირთვული იარაღის ტექნოლოგიის გამოყენების რეალური საფრთხე არსებობს, რადგან თანამედროვე გლობალურ სამყაროში ნებისმიერი ინფორმაციის მიღწევა შეიძლება განხორციელდეს პროფესიონალურად გაწვრთნილი სპეციალისტების მიერ, რომლებიც ტერორისტების რიცხვში ბევრია, ამასთან, არსებობს ასევე ინფორმაციის გაჟონვის, ჯაშუშობის ან ღალატის ფაქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასიკვდილო იარაღის გამოყენების საშიშროება არ მოდის მსოფლიო საზოგადოების მიერ ოფიციალურად აღიარებულ ბირთვულ ძალებზე, არამედ მათგან, ვისაც აქვს ტერორისტული მიზნების შექმნის და გამოყენების უნარი

გლობალიზაციის პროცესს მივყავართ ისეთ უარყოფით შედეგებამდე, როგორიცაა სახელმწიფოების მკვეთრად დაყოფა ძალიან ღარიბი და მდიდარი, ფართომასშტაბიანი მიგრაციული ნაკადებისკენ.

მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია. გლობალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ინფორმაციული, სამართლებრივი და სამხედრო-პოლიტიკური პროცესების ინტეგრაცია. ტერორიზმის სტიმულირების ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი არის ის, რომ გლობალიზაციამ გამოიწვია თანამედროვე მსოფლიოს დიფერენციაცია. ეს გამოიხატა სექტორულ დაყოფაში პირველ, მეორე, მესამე სამყაროში. ეკონომიკური, პოლიტიკური, ძალაუფლების, ინფორმაციის დიფერენციაციას მივყავართ იმ პირთა საქმიანობის ესკალაციისკენ, რომლებიც არ მოხვდება ამა თუ იმ სამყაროში, მაგრამ აქვს სურვილი, რომ იქ იყოს.

მიზეზი, რომელიც ასტიმულირებს ტერორისტულ საქმიანობას, არის გლობალიზაციის ისეთი მახასიათებელი, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების შეჯვარება მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოების ინტერესებით.

ამან შეიძლება გამოიწვიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარება, ხოლო უკონტროლო ფინანსური ნაკადებით დაფინანსდება ტერორისტული ორგანიზაციები.

თუ წარსულში, ინდივიდუალური ან ჯგუფური (ორგანიზებული) ტერორიზმი იყო გეოგრაფიულად ლოკალიზებული, ამჟამად ეს ფენომენი ფართოდ გავრცელდა, მოხდა ტერორიზმის ერთგვარი გლობალიზაცია. ახლა, სხვადასხვა ეროვნების ხალხმა და სხვადასხვა ქვეყნებიდან, დაიწყეს გაერთიანება ტერორისტულ ჯგუფებში, ეს ჯგუფები მოქმედებენ, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე შორს. ტერორიზმი გლობალიზაციის ჭრილში გამოირჩევა მაღალი ორგანიზაციით, ერთიანი მმართველი ცენტრის არსებობით. ის იყენებს ყველა უახლეს სამეცნიერო მიღწევას - სატელიტური ტელეფონებიდან დაწყებული გლობალური ორიენტაციის სისტემებით, ცდილობს შექმნას და გამოიყენოს ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღი.

ტერორისტები ფართოდ იყენებენ მედიასა და ინტერნეტს, როგორც ყურადღების მიპყრობის (და თანაგრძნობასაც კი), ისე ხალხის დასაშინებლად, შიშის შენარჩუნების მიზნით. თანამედროვე ტერორიზმი მნიშვნელოვან დაფინანსებას მოითხოვს. ის მომგებიან ბიზნესად გადაიქცა. დაინტერესებული პოლიტიკოსები, ხშირად დიდი ბიზნესიც, მონაწილეობენ თანამედროვე ტერორიზმის დაფინანსებაში. ეს უკანასკნელი ხორციელდება იურიდიული სახსრებით, ხშირად ფორმალურად კეთილშობილური მიზნებით.

თანამედროვე ტერორიზმი უფრო და უფრო უერთდება კრიმინალურ სტრუქტურებს და კრიმინალურ ბიზნესს, რომელიც მოიცავს მის დანაშაულებრივ საქმიანობას გარკვეული სოციალური თუ ეროვნული პრობლემების გადაჭრით. თანამედროვე ტერორიზმის სერიოზული და ძალიან საშიში მოვლენა გახდა ტერორიზმის იდეოლოგებისა და ლიდერების მიერ მოზიდული ადამიანების რაოდენობის სწრაფი ზრდა. ტერორისტული ჯგუფები, რომელთაც სურთ სიცოცხლე შეეწირონ ტერორისტულ აქტებს. ტერორისტები აღარ ირჩევენ მსხვერპლს, ისინი ირჩევენ ადგილს, სადაც შეძლებენ თავინთი მიზნების განხორციელებას. ახლა ისინი ამ ცოდნასა და უნარებს გადასცემენ ტერორისტების ახალ

თაობებს. გლობალიზაციის პროცესის შეჩერება რთულია, მაგრამ მის განვითარებაზე გავლენის მოხდენა სავსებით შესაძლებელია. აუცილებელია მისი სწორი მიმართულებით წარმართვა და მისი მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება. მნიშვნელოვანია გლობალიზაციიდან პოზიტიური მესიჯების მოპოვება და მისი გამოყენება.

ტერორისტული ფსიქოლოგია ყოველთვის ემყარება საზოგადოების მხრიდან აშკარა უკმაყოფილებას, პოლიტიკურ ჩაგვრას, საკუთარ მატერიალურ ავადმყოფობას, ინდივიდს ან მთლიანობას. ანდაზა: „ისინი წყალს იღებენ შეურაცხყოფისგან“- ფსიქოლოგიური საფუძველია ტერორისტული ორგანიზაციებისთვის.

დასკვნა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმი არის როგორც გლობალური საფრთხე მსოფლიო საზოგადოებისთვის. ახალი ეპოქის დადგომისთანავე, ზოგიერთი თანამედროვე საერთაშორისო წესი და ნორმები აღარ შეესაბამება მსოფლიო ტერორიზმის საჭიროებებს, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აუცილებელია გარკვეული სამართლებრივი შეზღუდვების ახალი გაგება და გადასინჯვა, რაც ხელს უშლის ეფექტურ რეაგირებას აგრესიულ გამოწვევებზე და საფრთხეებზე.

გლობალიზაციამ, რომელიც გამოხატავს მსოფლიოს განვითარების მთავარ მიმართულებას და XX საუკუნის მთავარ წინააღმდეგობებს, გამოიწვია მსოფლიოში დამყარებული ურთიერთობების დაშლა, ორ მსოფლიო სისტემას შორის დაპირისპირების გარკვეული სტაბილურობის დარღვევა. კომპიუტერულ, ტექნოლოგიებსა და მის შედეგებზე დაფუძნებული ერთიანი ფინანსური და ინფორმაციის სივრცის შექმნა, იწვევს სასტიკი, მათ შორის, ძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების, ჯგუფებისა და მსოფლიოს სეგმენტების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლუალიზაციის ინსტიტუტი: Pერსპექტივები Pოლიტიკიდან ქ. — Bასიგ-სტიკ 2000; Gლობალიზაციის: შესავალი GlიბალიზაციაL., 2000.
2. Oმან, შ. (2003) ჩ ო მ შ ი ც ა ფ ი ნ ი ر ر ი ბ ი ე ლ ჯ ე ტ ო ბ ა ს ა ბ ა ს ე ნ ს ი ნ ს ო ბ ი ر ر ი ბ ი . L ი ზ ლ ზ: შAGE Pუბლიკაციები

GლობალიზაციA - პოზიტიური ანდ ნეგატიური ასპექტებ

Vepkhvadze Eka

PhD student of Georgian Technical University

Summary

ჩ ო ზ ტ ე ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს ა ც ი ე ა ნ ი ე ლ ბ ქ ა ლ ე ბ ი ს ა ს ე ბ ი ს ე ბ ი ე ბ ი ს ბ ლ ო ბ ა ი ც ი ზ ი ბ ლ ი ბ ლ ი ბ ი

I ბ რ ა ბ ლ ბ ბ ბ

ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკის თეორიული ასპექტები

ზარქუა ირაკლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს მსგავსი მცირე ღია ეკონომიკის პირობებში ინოვაციების განვითარების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გატანისას გლობალურ კონკურენტებთან ხდება დაპირისპირება და უპირატესობის მოსაპოვებლად უნიკალურობა და ინოვაციურობა ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია. ინოვაციების განვითარებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა ინოვაციების ხელშეწყობის სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. აღნიშნული პოლიტიკის განხილვისთვის მნიშვნელოვანია გავიაზროთ ეროვნული ინოვაციური გარემო როგორც სისტემა, რომელიც მოიცავს მრავალი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის ერთობლიობას. მათ შორის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის მოძრაობა ადამიანებს, საწარმოებსა და ინსტიტუტებს შორის. ეკონომიკური აგენტები მუდმივად ეძებენ ეფექტიან გზებს მიზნების მისაღწევად. ინოვაციების განვითარება როგორც სახელმწიფოს, ისე ფირმების მხრივ სწორედ ამგვარ გამოწვევებზე პასუხია. ნაშრომის მიზანია ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკის თეორიული მიდგომების გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

ტერმინი „ინოვაციური პოლიტიკა“ შედარებით ახალია. ამ ტერმინის წარმოშობა უკაშირდება ინოვაციების კვლევების გაფართოებას და შესაბამისი ინტელექტუალური გარემოს განვითრებას სასექსის უნივერსიტეტის სამეცნიერო პოლიტიკის კვლევითი ერთეულის (Science Policy Research Unit (SPRU) at the University of Sussex) გარშემო 1960-იანი წლების ბოლოდან, რომელიც შემდგომ პერიოდში ფართოდ გაიშალა (Fagerberg et al., 2011 *Research Policy* 40(7): 897–916). SPRU-ის პროფესორ როტველის ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულა აღნიშნულთან დაკავშირებით 1980-იან წლებში (Rothwell, 1982).

მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ორგანიზაციის (ეთგო) კვლევები მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ამ ორგანიზაციის წევრებმა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან ერთად საკითხზე განსაკუთრებული აქცენტირება გააკეთეს (Fagerberg, 2017). „ეთგოს“ კვლევები და პუბლიკაციები ადასტურებს მეცნიერის ამ აღნიშვნას. საინოვაციო პოლიტიკის ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც ეთგო-მ გაამახვილა ყურადღება, ბევრი მომდევნო კვლევის და პრაქტიკული საქმიანობისთვის საბაზისო აღმოჩნდა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სისტემური მიდგომის წინა პლანზე წამოწევა. მაგალითად, ეთგო განმარტავს, რომ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება სისტემის აქტორთა კავშირურთიერთობების კომპლექსური ნაკრებია, რომელიც მოიცავს საწარმოებს, უნივერსიტეტებს და სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებს. ეროვნული ინოვაციური სისტემის გააზრება პოლიტიკის შემქმნელებს დახმარებას გაუწევს იმ ბერკეტების იდენტიფიცირებაში, რომელიც ინოვაციების ეფექტიანობას და მთლიან კონკურენტუნარიანობას გააუმჯობესებს (OECD, 1997, p. 7).

ინოვაციები მიიჩნევა ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან წყაროდ და მზარდი სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებად. ამ გარემოებასაც უნდა უკავშირდებოდეს ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკისადმი მზარდი ყურადღება. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან თანდათან განვითარდა როგორც ზოგადი თეორიული ჩარჩოები საინოვაციო სისტემების იდენტიფიცირებისათვის, ასევე, გამოიკვეთა ეროვნული ინოვაციური სისტემების თავისებურებებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობა. ბოლო წლებში დიდი ყურადღება დაეთმო ერთიანი ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტების შეფასებას სხვადასხვა ქვეყანაში. ამასთან, ასეთ შეფასებებს შეიძლება მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ ურთიერთქმედება სხვადასხვა პოლიტიკას შორის, ისევე როგორც

სისტემური ეფექტები და უკუკავშირები, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. ამ კონტექსტით გაფართოვდა ინოვაციების პოლიტიკის კვლევის ჩარჩოებიც და მკვლევრები მიუთითებენ ე. წ. არატრივიალური მიდგომების გამოყენების უპირატესობაზე.

ინოვაციების სტიმულირების ეფექტიანი პოლიტიკისთვის სწორი ორიენტირების პოვნა დღესაც გამოწვევად რჩება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ აქტიურ სახელმწიფო პოლიტიკას ბევრი კრიტიკულად განხილავს. მაგალითად, მკვლევრები აანალიზებენ ინოვაციების პოლიტიკის სამეცნიერო კვლევებს და მის შედეგებს და კრიტიკულად აღნიშნავენ, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობა სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნებს და წინააღმდეგობას ინტერესთა ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის. ამიტომ მეტი სიფრთხილის რეკომენდაციას იძლევიან ინოვაციების მასტიმულირებელი პოლიტიკის შემუშავებისას (Kärnä *et al.*, 2020).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინოვაციების სტიმულირებისადმი კომპლექსური მიდგომა და საინფორმაციო ნაკადებისა და შედეგების გადადინების მოძრაობაზე ყურადღების გამახვილება. ეთგო მიუთითებს, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემების გაზომვა და შეფასება ორიენტირებული უნდა იყოს ოთხი სახის ცოდნის ან ინფორმაციის ნაკადზე: 1) ურთიერთქმედება საწარმოებს შორის, პირველ რიგში, ერთობლივი კვლევითი საქმიანობა და სხვა ტექნიკური თანამშრომლობა; 2) ურთიერთქმედება საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და საზოგადოებრივ კვლევით ინსტიტუტებს შორის, მათ შორის ერთობ-ლივი კვლევები, ერთობლივი დაპატენტება, ერთობლივი პუბლიკაციები და მეტი არაფორმალური კავშირები; 3) ცოდნისა და ტექნოლოგიის გავრცელება საწარმოებში, მათ შორის ინდუსტრიის მიერ ახა-ლი ტექნოლოგიების მიღებისა და მათი გავრცელების დონე მანქანა-მოწყობილობების მეშვეობით; 4) პერსონალის მობილურობა, რომელიც ფოკუსირებულია ტექნიკური პერსონალის გადაადგილებაზე საჯარო და კერძო სექტორებს შორის. ამ ნაკადების ეფექტიანობა ზრდის საინოვაციო შესაძლებლობებს (National Innovation Systems, OECD, 1997, p. 7).

ლიბერალური მიდგომების მომხრე მეცნიერებიც კი მიუთითებენ, რომ ე. წ. ძლიერი პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივის წარმატების მისაღწევად პოლიტიკას უნდა შეეძლოს გადალახოს როგორც ინფორმაციული, ასევე, წამახალისებელი შეზღუდვები. იმისათვის, რომ პოლიტიკა იყოს ეფექტიანი, პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია, რომლის მიღწევაც ძნელი იქნება ბაზარზე დაყრდნობის გარეშე (Hayek, 1945).

როდესაც პოლიტიკა შემუშავებულია ისე, რომ გადაჭრას როგორც სტიმულების, ასევე, ინფორ-მაციის შეზღუდვის პრობლემა, არსებობს პოლიტიკის „მდგრადი" სტრუქტურისთვის წარმატების უფრო დიდი შანსი (Leeson and Subrick, 2006; Pennington, 2010). აღნიშნულის გათვალისწინება სასარგებლო იქნება ინოვაციური პოლიტიკისთვის.

სისტემის ელემენტებს შორის კავშირებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია ეროვნული ინოვაციური პოლიტიკისადმი სპეციფიკური მიდგომის შემუშავებისთვისაც. რამდენადაც იგი დახმარებას გაუწევს სისტემის შიგნით არსებული წინააღმდეგობების განსაზღვრას როგორც ინსტიტუ-ტებს შორის, ისე სამთავრობო პოლიტიკასთან მიმართებით, რომელიც შეიძლება აფერხებდეს ტექნოლოგიების და ინოვაციებს განვითარებას. პოლიტიკები, რომლებიც ორიენტირებულია სისტემის აქტორებსა და ინსტიტუტებს შორის კავშირურთიერთობის ქსელის გაუმჯობესებაზე და მიზნად ისახავს ფირმების ინოვაციური შესაძლებლობების გაძლიერებას, განსაკუთრებით თუ ასეთი პოლიტიკები მიმართულია მათი შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და ტექნოლოგიების დანერგვაზე, ამ თვალსაზრისით მეტად ღირებულია.

ზოგადად, ქვეყნის ტექნოლოგიური დინამიკა სხვადასხვა პროცესების ურთიერთქმედების შედეგია და მასზე შესაძლებელია გავლენას ახდენდეს მთელი რიგი პოლიტიკები, რომელთა უმრავლე-სობას შეიძლება არ ქონდეს „ინოვაციის" სახელწოდება. შესაბამისად, შედეგზე ორიენტირებული ინოვაციური პოლიტიკა მოითხოვს პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციას სხვადასხვა დონეზე და ცოდნაზე დაფუძნებული მართვის ახალი ფორმების შემუშავებას, რაც შესაძლებელს ხდის ინოვაციურ განვითარებას. ეს მეტად რთული ამოცანაა, მაგრამ წარმატების შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკური სისტემის და მისი მთავრობის შესაძლებლობებზე, გაუმკლავ-

დნენ იმ საკითხებს, რომელთა გადაჭრა თავისთავად შეუძლებელია.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ერთიანი განმარტება არ არსებობს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ განმარტებებზე ყურადღების გამახვილება, რამდენადაც მათი ურთიერთშეჯერებით ვლინდება, რომ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სისტემის ელემენტებს შორის კავშირები. მაგალითად, ინოვაციების ეროვნული სისტემა განმარტებულია როგორც:

- „ქსელი კერძო და საჯარო ინსტიტუტებისა, რომელთა საქმიანობა და ურთიერთქმედება, ახდენს ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტს, მოდიფიცირებას და გავრცელებას“ (Feeman, 1987);
- „ის ელემენტები და ურთიერთობები, რომლებიც ახალი და ეკონომიკურად სასარგებლო ცოდნის წარმობაში, გავრცელებასა და გამოყენებში ურთიერთქმედებენ ... და იმყოფება ან დანერგილია ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში“ (Lundvall, 1992);
- „ინსტიტუტების ნაკრები, რომელთა ურთიერთქმედება განსაზღვრავს ეროვნული ფირმების ინოვაციურ ეფექტიანობას“ (Nelson, 1993);
- „ეროვნული ინსტიტუტები, მათი წამახალისებელი სტრუქტურები და მათი კომპეტენციები, რომლებიც განსაზღვრავს ტექნოლოგიური სწავლის დონეს და მიმართულებას (ან განზოგადებული საქმიანობების ცვლილების მოცულობას და შემადგენლობას) ქვეყანაში“ (Patel and Pavitt, 1994);
- „განსაკუთრებული ინსტიტუტების ნაკრები, რომლებსაც ერთობლივად და ინდივიდუალურად შეაქვს წვლილი ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და გავრცელებაში და რომელიც უზრუნველყოფს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც მთავრობები ქმნიან და ატარებენ პოლიტიკებს ინოვაციურ პროცესებზე გავლენის განსახორციელებლად. ამდენად ეს არის ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტების სისტემა ცოდნის, უნარების და არტეფაქტების შექმნის, შენახვისა და გადაცემისათვის“ (Metcalfe, 1995).

მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი, რაც შეიძლება გამოვკვეთოთ, არის კომპლექსური მიდგომა და ინსტიტუტებს შორის ეფექტიანი ურთიერთობები. მაშასადამე, ინოვაციების მასტიმულირებელმა პოლიტიკამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ცოდნისა და ინოვაციების გადადინების ქსელების ეფექტიანობაზე. მკვლევრები ამ თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებენ ერთობლივ კვლევით საქმიანობასა და სხვა ტექნიკური თანამშრომლობის როლზე საწარმოებსა და საჯარო სექტორის ინსტიტუტებს შორის; სქემებზე, რომლებიც ასტიმულირებს კვლევებს და მოწინავე ტექნოლოგიებს სახელმწიფოსთან პარტნიორობით; ერთობლივი პატენტების დონის ამაღლებას, ერთობლივ პუბლიკაციებს და პერსონალის მობილურობას, ინტელექტუალური საკუთრების წესების დაცვას, შრომის ბაზრის პოლიტიკას და გაცვლით პროგრამებს ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. ამგვარი პოლიტიკა აღიარებს ცოდნის და ტექნიკურ ქსელებზე წვდომის არაფორმალური ნაკადების მნიშვნელობასაც; საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის ხელშემწყობ პოლიტიკას; ითვალისწინებს ინოვაციური კლასტერების განვითარების წახალისებას და მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ახლო ურთიერთობების განვითრებას და ამ გზით სათანადო კონკურენციის პოლიტიკის ჩარჩოს შექმნას.

კარგად შემუშავებული პოლიტიკების ჩარჩო, რომელიც აკავშირებს კონკურენციას ინოვაციების სტიმულირებაში და ახალი იდეებიდან უკუგებას, მნიშვნელოვანია. არსებობს მტკიცებულება, რომ დაბალი მულტიფაქტორული პროდუქტიულობის დონეს შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონდეს კერძო ინოვაციურ აქტივობაზე, მაგრამ შედეგები ასევე მიუთითებს, რომ პრო-კონკურენციის პოლიტიკა მნიშვნელოვანია ცოდნის ეფექტური გავრცელებისთვის როგორც საშინაო, ისე საზღვარგარეთული წყაროებიდან (Westmore, 2014).

დასკვნა

საინოვაციო გარემოზე, როგორც სისტემაზე აქცენტირება მნიშვნელოვან მიდგომებს გვთავაზობს ეფექტიანი სამთავრობო პოლიტიკისთვის. საჭიროა ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკა მიმართული იყოს სისტემური ხარვეზების მოსაგვარებლად, განსაკუთრებით პოლიტიკა მიმართული უნდა

იყოს კავშირურთიერთობათა ქსელის და ფირმების შესაძლებლობების გასაუმჯობესლად, რათა მათ ინოვაციების შემუშავება, ათვისება და დანერგვა გაუმჯობესონ.

ეროვნული ინოვაციური სისტემები ვითარდება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ურთიერთკავშირით. ინოვაციების მასტიმულირებელი ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისას არსებითია ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება, რადგან ქვეყნები განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების დონით, ქვეყნის შიგნით სექტორებს აქვთ განსხვავებული ინოვაციური დინამიკა და მოთხოვნები, პოლიტიკური სისტემები განსხვავდება მათი წარმოშობისა და მახასიათებლების მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ინოვაციური სისტემები შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს. ამასთან, ეს არ გამორიცხავს სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას. თუმცა „სამიზნე ნიშნულების" შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ მდგომარეობის შესწავლა ან პრობლემის გამოვლენა სისტემის მხოლოდ ერთი კომპონენტის შესწავლით შეუძლებელია. საჭიროა მთლიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის ტექნოლოგიური დინამიკის ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ᲔᲓᲥᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘ. (2004) ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ. In J. Fagerberg, D. Mowery and R. Nelson (Eds.) Oxford Handbook of Innovation (pp. 181–208). Oxford: Oxford University Press
2. Fagerberg, J., Folster, M., Berlin, A., and Martin, B.R., (2011) Innovation Freedom and Growth in Europe
3. Fagerberg J., Innovation: A Guide to the Literature, Oxford University Press, and Innovation, Knowledge, Development (2017) Vol. 31, No. 2, pp. 497–512)
4. FREEMAN, C. (1987), Technology and Economic Performance: Lessons from Japan, Pinter Publishers.)
5. Hayek, F. (1945), The Use of Knowledge in Society, American Economic Review 35(4), 519– 30.
6. Kärkkäinen, Karhunen, Jussila and Ende Erkko (2020) Performance Measurement in Innovation Ecosystems: Insights from Finnish Companies, Industrial Marketing Management, Paper No. 1334
7. Lessing, P. O. and Stranger, J. R. (2006), 'Research Policy', The American Economic Review 19(2-3), 107–111.
8. Lundvall B-Å. (2007) National Innovation Systems: Analytical Concepts and Development Perspectives, Industry & Innovation 14(1): 95–119.
9. LUNDVALL, B-Å. (Ed) (1992). National Systems of Innovation: Towards a Theory of Innovation and Interactive Learning, Pinter Publishers.)
10. MEOKALFE, S. (1995), "The Economic Foundations of Evolutionary Policy and Evolutionary Perspectives", in P. Stoneman (Ed), Handbook of the Economics of Innovation and Technological Change, Blackwell Publishers, Oxford (UK)/Cambridge (US).
11. National Innovation Systems, OECD, 1997.
12. NELSON, R. (Ed) (1993), National Innovation Systems: A Comparative Analysis, Oxford University Press, New York/Oxford)
13. PATEL, P. and K. PAVITT (1994), "The Nature and Economic Importance of National Innovation Systems", STI Review, No. 14, OECD, Paris
14. Pennington M. (2010), Promoting Economic Growth. Lessons from Finland and Estonia
15. Porter M.E. (1982) Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors, Free Press, New York/Oxford 22(1): 3–30.).
16. Jessop, Bob (2014), "Performance Management and Innovation", OECD Journal: Economic Studies, Vol.2013/1. https://doi.org/10.1787/eco_studies-2013-5k3tpmqlsjhq

Innovation in the field of logistics as a factor of competitiveness

Zarkua Irakli
PhD student of Georgian Technical University

შუმ არყ

ინე ᲕᲠᲩ ისდევრეᲚᲠᲗᲐ სᲗᲧ ᲠᲗᲐᲠᲗᲘᲡᲐᲐᲠᲝᲒᲔᲡ ᲠᲗᲘᲜᲠᲐᲗᲘᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘ კᲠᲘᲪDisᲪᲘᲡᲘᲒ ᲗᲔ ᲓᲔᲕᲔᲚᲘ ᲔᲜᲗᲠᲘᲜᲠᲐᲗᲘᲠᲘᲜᲐ სᲛ ᲐᲚᲠᲔᲜ ᲔᲠᲗᲠᲘ Ყ ᲚᲘ GeoრᲘᲐ,ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲗᲐᲗᲘᲠᲘᲡᲔᲠᲚᲘ კᲐᲘᲓᲗᲐᲗᲕᲘ ᲘᲜᲡᲘᲡᲠᲗ ᲨᲘᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲜᲓ ᲘᲜᲠᲐᲗᲘᲠᲘᲠᲗ Მ ᲐᲠᲔᲗᲐᲠᲠᲔᲪᲘᲡᲐᲜᲓ ᲡᲔᲠᲘᲪᲔᲡᲐᲡ ᲗᲕ ᲙᲔᲧ ᲨᲘᲗᲘᲗ ᲗᲠᲐᲘᲜᲗᲕᲘᲡ. ᲘᲛ კᲚᲘᲔᲜᲗᲐᲜᲗᲠᲗᲕᲘ ᲠᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲜᲠᲐᲗᲘᲠᲘᲠᲘᲠᲔᲠᲛ ᲔᲜᲗ ᲪᲚᲘᲔᲜᲗᲐᲛ ᲠᲗᲒ ᲗᲕ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲕᲔᲚᲘᲗ ᲔᲜᲗ ᲠᲗᲘᲜᲠᲐᲗᲘᲠᲗᲘᲡ UnᲓᲘᲠᲗᲜᲘᲗ ᲗᲔ ᲜᲐᲗᲘᲡᲚᲘᲜᲠᲐᲗᲘ ᲔᲜᲕᲘᲠᲝᲛᲔᲜᲗᲐᲡ Ა ᲡᲘᲡᲗᲔᲛᲐᲨᲘ ᲨᲐᲗᲘᲪᲚᲘᲡ Ა ᲪᲘ ᲑᲘᲜᲐᲗᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲓ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐᲗᲐ კᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲜᲓ ᲘᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲜᲓ ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲠᲗᲒᲘᲡᲔᲠᲘᲡ ᲔᲜᲗᲠᲘᲜᲠᲐᲗᲘᲡ კᲠᲘᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲪᲐᲑᲔᲜᲗᲡᲐᲠ ᲪᲘᲡᲗᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲘᲡ ᲔᲛᲪᲘᲤᲠᲔᲑᲐᲡ ᲗᲠᲐᲜᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲓ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ

ბუნებრივი პროდუქტები უალკოჰოლო სასმელებში

თოფჩიშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი

გილაური ნელი
კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევის
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ტოკლიკიშვილი ნინო
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

ჯერ კიდევ ცივილიზაციის დასაწყისში ბუნებრივი პროდუქტების გამოყენებით დამზადებული უალკოჰოლო სასმელები გამოიყენებოდა როგორც ბუნებრივი სამკურნალო საშუალება, რომლის მეცნიერული მოხმარებით მრავალი სნეულება იკურნებოდა და ხშირად სასწაულის მოხდენაც კი შეეძლო, სადაც ფარმაკოლოგიური საშუალებები უძლური იყო.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, როგორც მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროებით, ასევე ბუნებრივი საკვები მცენარეებით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია უალკოჰოლო სასმელებში სამკურნალო ნაყენის მოსამზადებლად.

საქართველოს ბუნებრივი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის უალკოჰოლო სასმელები, რომელიც კონკურენციას გაუწევს საზ-ღვარგარეთიდან შემოტანილ, ძვირადღირებულ კონცენტრატებზე დამზადებულ უალკოჰოლო სასმელებს.

სპეციალური დანიშნულების სასმელები, გარდა წყურვილის მოკვლის უნარისა და სასიამოვნო გემოვნური თვისებებისა, ხასიათდება გარკვეული ფიზიოლოგიური თვისებებით, რის გამოც მათი დამ-ზადება წარმოებს გარკვეული მიზნებისთვის, ან როგორც პროფილაქტიკური საშუალება გარკვეული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, ან კონკრეტული ფიზიოლოგიური ეფექტის მისაღებად.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, უალკოჰოლო სასმელები, ტოპინაბური, ბუნებრივი ნაყენი, სამკურნალო თვისებები.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში სწორი სახელმწიფო პოლიტიკით შესაძლებელია ყველა იმ გამოწვევას ვუპასუ-ხოთ, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად დადგა. საჭიროა, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური მაღალი ტექნოლოგიით დამუშავებული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს საერთაშორისო ბაზარზე.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყოს საკმაოდ მაღალი დონის საექსპორტო პოტენციალი, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა.

საქართველოში ჯანდაცვის სისტემა, როგორც ეროვნული ეკონომიკის სოციალური სფერო, წამყვან როლს თამაშობს მოქალაქეების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გამყარებაში. ასევე უზრუნველყოფს მოსახლეობის მომსახურებას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

მსოფლიოში დღითიდღე მატულობს სხვადასხვა დაავადებების მქონე, განსაკუთრებით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი. თითქმის ყველა დაავადების შემთხვევაში მისაღებია უალკოჰოლო სასმელების მიღება, როგორც ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმისთვის, ასევე დიაბეტით დაავადებულ-თათვის აუცილებელიც კია სითხის მიღება უალკოჰოლო სასმელის სახით. დიაბეტით დაავადებულ-თათვის განკუთვნილი უალკოჰოლო სასმელი მომზადებული უნდა იყოს შაქარშემცვლელი ნივთი-ერების გამოყენებით, როგორიცაა: შაქარინი, ციკლომატი, ასპარტამი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ასპარტამი (სინთეზური შაქრის შემცველი) ყოველმხრივ არის შესწავლილი. ექიმების მიერ ჩატარებული

დაკვირვებების საფუძველზე დაასკვნეს, რომ ასპარტამის ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ტვინის სიმსივნეს, ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მოძიებული იქნა ნატურალური მცენარეული შაქრის შემცვლელი მაგ., სტევია, ტოპინაბური და სხვა.

ტოპინაბური იგივე მიწავაშლა, ბალახეული მცენარეა, მისი დასახელება ჩილელი ინდიელების ერთ-ერთი ტომისგან - ტოპინაბოებისგან მომდინარეობს. მათ მიწავაშლა დიდი ოსტატობით მოჰყავ-დათ. ყაზახები მიწავაშლას ჩინურ კარტოფილს უწოდებენ, რადგან მათთან ეს კულტურა ჩინეთიდან მოხვდა. ტოპინაბური - მიწავაშლა ამერიკიდან ევროპაში მე-17 საუკუნეში შეიტანეს. მე-18 საუკუნეში გავრცელდა ჯერ რუსეთში, შემდეგ საქართველოში. მიწავაშლას იყენებდნენ კოსმეტიკურ საშუალება-დაც, რადგან იგი კარგ ეფექტს იძლევა ნაოჭებთან ბრძოლაში. დიაბეტით დაავადებულებს ყოველთვის ურჩევნდნენ მიწავაშლას მიღებას, რადგან იგი ორგანიზმში ინსულინის მოვალეობას ასრულებს - შაქრის აქტიური დამშლელია.

მიწავაშლას - ტოპინაბურის შემადგენლობა გამოირჩევა მასში შემავალი მინერალებისა და ვიტამინების მრავალფეროვნებით. რკინის შემცველობით საგრძნობლად უსწრებს სტაფილოს, თალგამს, ჭარხალს, გარდა ამისა, ის შეიცავს: კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, ფთორს, ქრომს და სხვა მინერალებს. ტოპინაბური შეიცავს უჯრედისს, პექტინებს, ორგანულ მჟავებს, ცხიმებს, ნახშირწყლებსა და ამინომ-ჟავებს (არგინინი, ვალინილიზინი, ლეიცინი), ასევე ვიტამინებს: B1, B2, B6, C, PP-სა და კაროტინინო-იდებს. 1 კგ მიწავაშლაში მოიპოვება 60-70 მილიგრამი კაროტინი. მას გააჩნია ბევრი სამკურნალო და სასარგებლო თვისება. მის ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებას კი მის ბოლქვებში არსებული ინსულინი წარმოადგენს, რომელიც ინსულინის ბუნებრივი ანალოგია. ამიტომ იგი შეუცვლელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

საქართველოში მიწავაშლა - ტოპინაბური თითქმის ყველა კუთხეში ხარობს. იგი კარტოფილის მსგავსი მცენარეა და ფორმითაც წააგავს. სიმაღლით 2 მეტრამდე იზრდება, ხოლო მისი ნაყოფი ტუბერის ანუ ბოლქვის სახით მწიფდება. მისი საკვები ღირებულება მეტად მაღალია. მას მიირთმევენ როგორც შემწვარს, ასევე მოხარშულს, თუმცა უმი ნაყოფის კვებითი ღირებულება ყველაზე მაღალია. მცენარე ძალიან ბევრ ვიტამინს შეიცავს და საუკეთესოა სხვადასხვა დაავადების დროს: ჰიპერტონიის, პოლიართრიტის, ღვიძლის დაავადების საწინააღმდეგოდ. მიწავაშლას ორგანიზმიდან მეტად სწრაფად გამოაქვს წიდები და მარილები. ის სასარგებლოა ცხოველებისათვის. მისი ფოთლები სასილოსოდაც გამოიყენება, ხოლო გადაუმუშავებელ ბოლქვებს შინაურ ცხოველებს აჭმევენ.

ტოპინაბურიდან (მიწავაშლადან) მიღებულია შაქრის შემცველი, რომელსაც არა აქვს სპეციფიკუ-რი სუნი, ფერი, გემო. შესწავლილია მისი აღების და შენახვის პირობები, და მუშავებულია შაქარშემცვე-ლის მიღების ტექნოლოგია. ყურადღება გამახვილებულია ნატურალური შაქრის შემცველის გამოყენე-ბით დაბალკალორიული უალკოჰოლო სასმელის და საკვები პროდუქტის დამზადებაზე, კვების ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ხანგრძლივ ცხოვრებაზე და მის აქტიურ მოქმედებაზე.

ამიტომ უნდა შეიქმნას მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავებული ჯანსაღი საკვები. როგორც ვიცით, კვების რაციონში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ნახშირწყლების რაოდენობა, რაც იწვევს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, შაქრიან დიაბეტს და წონის მატებას. სხვა კვების პროდუქტებთან შედარებით შაქარი მდიდარია ნახშირწყლებით.

უცხოეთის მრავალ ქვეყანაში შემცირებულია შაქარზე მოთხოვნა, ამიტომ ის საწარმოები, რომ-ლებიც ამზადებენ უალკოჰოლო სასმელებს, იყენებენ შაქრის შემცვლელ ნივთიერებას. დამატკბობელ ნივთიერებად გამოყენებულია ორი სახის დამატკბობელი: ხელოვნური და ნატურალური. ნატუ-რალური არის მცენარეული წარმოშობის გლუკოზო-ფრუქტოზული სიროფი, ხოლო ხელოვნური - ასპარტამი, სახარინი და სხვა.

ლიტერატურული მონაცემებით დიაბეტით დაავადებული ადამიანების 1 კგ წონაზე შეიძლება მიღებულ იქნეს 0,5-1,2 გ. ფრუქტოზა, როგორც ყოველდღიური საკვები კომპონენტი საკვებში. ფრუქ-ტოზის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ შეიძლება ის ჯანმრთელმა ადამიანმაც მიიღოს. ასევე საკმაოდ გავრცელებულია შაქრის შემცველი ტოპინაბური...

ტოპინაბურის დამუშავება ხდება ორი მეთოდით:

1. მიღებული ტოპინაბურის ბოლქვები დახარისხდება, გაირეცხება, დაქუცმაცდება და წნეხის გამოყენებით მიღებული იქნება წვენი. წვენის გამოსავლიანობა მერყეობს 55-60%-ში.
2. ტოპინაბურის დამუშავება მოხდება ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, მხოლოდ გამოწნეხვის ნაცვლად წვენი მიღებული იქნება დიფუზიის მეთოდით. ტემპერატურა 75-80^{0}C, დიფუზია მიმდინარეობდა 30-35 სთ-ის განმავლობაში.

ფრუქტოზის სუფთა სახით მისაღებად საჭიროა ფრუქტოზის გამოლექვა კალციუმის ჟანგით 2-8^{0}C. მიღებული ფრუქტოზკალციუმის ნალექი გამოიყოფა ფოსფორმჟავით ან CO_2-თი, უხსნადი ნალექი იფილტრება. მიღებული სუფთა ფრუქტოზა იონშემცვლელით გაიწმინდება, ბოლოს სუფთა ფრუქტოზა კონცენტრირდება ვაკუუმით.

ტოპინაბური (მიწავაშლა) არის კარგი ნედლეული ფრუქტოზის მისაღებად, რომელსაც აქვს pH-4,5, არის თაფლის მაგვარი და შეიძლება გამოყენებული იქნას დიეტური და დიაბეტური სასმელების დასამზადებლად.

დასკვნა

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყოს საკმაოდ მაღალი დონის საექსპორტო პოტენციალი, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა.

მოქალქეების ჯანმრთელობის შენარჩუნება და დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, რათა უზრუნველყოს საკვებ პროდუქტებში და მედიკამენტებში ბუნებრივი რესურსის გამოყენება. ერთ-ერთი ასეთი ბუნებრივი პროდუქტი არის ტოპინაბური, იგივე მიწავაშლა, რომლის ათვისება და გამოყენება საკვებ პროდუქტებში ბევრად გაუმჯობესებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციების კრებული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969.
2. თოფჩიშვილი მ., „საქართველოში უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბიზნესის განვითარების ასპექტები“ (მონოგრაფია), თბ., 2018.
3. მიწავაშლა - თესვა-დარგვა, მოვლა, მოყვანა, გამოყენება. https://khasaia.wordpress.com/2017/12/30/მიწავაშლა-თესვა-დარგვა/#more-4601
4. მიწავაშლა - დაუფასებელი საქართველოში და შეუფასებელი მსოფლიოში https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/33413-mitsavashla-daufasebeli-saqarthveloshi-da-sheufasebeli-msoflioshi.html

Naშრომ Prოდუქტin No6-ალკოჰოლების

Topchishvili Marine
Assistant-Professor of Georgian Technical University

Gilauri Neli
Scientist of the Institute of Scientific research in Food Industry

Toklikishvili Nino
Student of Georgian Agricultural University

შუმ არყ

Aსეე ბეეიტიიგ ოგიიოზაანეიგ ნოზ-ალკოლიგვერგეს მ ალ ვიზ.ნაშრომლოლცტსუმ შედასანატალ რმ ელ. ოგელ ვერ შედსიგიზეიგაულ ოლერტოუ მ ანყ სიცეესანდ ქეიტეზ ვენ ეეარ ალკოლიგაულს ვერ ტელეგეი, ტელ ვერ აალზეიზუ მ ორლეს.

Geoრიასრიცნ ნაშრომსუგ. ოგე ცუნტყოლ ნს ბოზ.ნე ერეს მ ოგრალეგ ანდ ნატალეოლ ალანს ვეიც ცნ ბე შედზოკარეალბ ტე რმ ელ ნ ინნოზ-ალკოლიგვერგეს.

Geoრia's ნაშრომლეიტიცოლიტნალლეს ტოკოლეცე ეიგ ქუალიფნდ ვიყ რანე ოგნოზ-ალკოლ ბევერგეს. ოგელ არ აალეზოცე ეეტელ ვიტ ზოეიზ ნოზ-ალკოლიგევერგეს მ ალ ოზ ელსენსიგ ცოცნტუზეს მ ანუფლეგიდზე აბოდ

შეეიალეიგს, ტოეტერ ვიტე აილიზეილეზანდ ალსანტუალეგ ეეიგ ცარტეოზ ელყ ცოზაინ ეეყსიალეგ ცაზოერიელიგანტსუ რეყოზ ტელ ეაეე ბეიგ პრეარ ზოცოზაინოზეს ველეეე ბენ შედასა პროეალეგ ალ ეიოყ ცოზაიზეიყეს ოლოტაიგ ასეეიგვალეგ ცაზეგ.

Keყოოყ: Naშრომლესუგ, No6-ალკოლიგევერგეს, Naტარეგერგ, Meდიცინალ ოერეტიეს

„COVID19“-ის ეკონომიკური მხარე და მედიის მუშაობის განსხვავებული სპეციფიკა

კოკორაშვილი შორენა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

პანდემიის პერიოდში მედიის როლი განსუსაზღვრელად დიდი იყო. მაშინ როცა ახალი ვირუსი სპეციალისტებისთვისაც კვლევის საგანს წარმოადგენდა მნიშვნელოვანი იყო სახლში დარჩენილი და გაურკვევლობაში მყოფი მოსახლეობისთვის პროფესიონალების აზრის მოსმენა და იმ ინფორმაციის გაგება, რომელიც მეცნიერებს პრაქტიუკული გამოცდილების შედეგად დაუგროვდათ. შეიძლება ითქვას, რომ სამი თვის განმავლობაში ქართული მედიის, ისევე როგორც მსოფლიო მედიის, მთავარი თემა „კოვიდ19“ და მის წინააღმდეგ დაცვის მექანიზმები იყო. ჟურნალისტებმა დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვეს თავის.

ტურიზმის სექტორის პრობლემებს მედიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. შექმნილი ვითარების სიღრმისეულად წარმოსაჩენად მომზადდა არაერთი სტატია და რეპორტაჟები. თემაზე მომუშავე ჟურნალისტებმა დეტალურად აღწერეს შექმნილი ვითარება. ყოველი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, მედიის წარმომადგენლები ეკონომიკური გუნდის წევრებს სისტემატიურად ეკითხებოდნენ რითი აპირებდა სახელმწიფო იმ დარგების დახმარებას, რომლებიც პანდემიის გამო ყველაზე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. საქართველოს მთავრობამ მალევე ახალი გეგმა წარმოადგინა.

პანდემიის გავრცელებამ ყველაზე დადებითი გავლენა გარემოზე იქონია. „კოვიდ19“-მა კიდევ უფრო ცხადი გახადა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის წახალისებას. სპეციალისტებმა ჰაერის ერთ-ერთი ძირითადი დამაბინძურებლის NO2 (აზოტის დიოქსიდის) მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირეს.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, „კოვიდ19“, ტურიზმის პრობლემები, მედია, ბიზნესი, მთავრობა, გარემოს დაცვა, ექიმები.

შესავალი

მას შემდეგ რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ „კოვიდ19“-ი მსოფლიო პანდემიად გამოაცხადა და ლოზუნგის „დარჩი სახლში“ რელობაში განხორციელებას შეუდგა, აღნიშნული რეკომენდაციის დაცვა ექიმების მსგავსად ვერც მედიის წარმომადგენლებმა მოახერხეს. ჟურნალისტები ისევე როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები მოვლენების ეპიცენტრში იყვნენ და სწორედ მედიის საშუალებით იგებდნენ სახლში მყოფო მოქალაქეები თუ რა ხდებოდა მათ ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში. მასმედიის წარმომადგენლებს საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ უწევდათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სპეციალური აღჭურვილობით იყვნენ შეიარაღებულნი, დაინფიცირების რისკი მაინც მაღალი იყო. საქართველოში პანდემიის შეკავება საბედნიეროდ ეფექტურად მოხერხდა, რასაც მსოფილო ჯანდაცვის ორგანიზაციაც აღიარებს. მედია ეპიდემიის ე.წ. პიკის პერიოდში ფაქტობრივად დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა. რესპონდენტების ჩართვა სკაიპის საშუალებით ხდებოდა და მასალები ძირითადად ამგვარი სახით მზადდებოდა. თუმცა, ჟურნალისტებს ექიმებთან შეხვედრა და ამბის გაგება მაინც უწევდათ. ამიტომ, თითოეულმა რედაქციამ, ტელევიზიამ თუ რადიომაუწყებლობამ ინდივიდუალური შინაგანაწესი შეიმუშავა. ტელევიზიებში ჯგუფები დაიყო კლასტერებად, რათა ვირუსის გავრცელების შემთხვევაში, მუშაობის პარალიზება არ მომხდარიყო.

პანდემიის პერიოდში მედიის თემა „კოვიდ19“ და მასთან დაკავშირებული მოვლენები იყო. მედიის უმთავრესი მიზანი, მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებულობა გახლდათ. არაორდინალურ ვითარებაში მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობას სცოდნოდა სიმპტომების შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულივნენ. საჯარო სივრცეში გასვლის შემთხვევაში რა წესები უნდა დაეცვათ. რისკ-ჯგუფებში მოხვედრის შემთხვევაში რა ღონისძებებისთვის უნდა მიემართად. მედია ყველაფერს აკეთებდა

საიმისოთ, რათა ადამიანებს სცდნოდათ როგორ და რა გაეკეთებინათ სწორად, რა რეკომენდაციები ჰქონდათ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ახალი კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო სტრატეგიაზე მუშაობდნენ.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში „კოვიდ19“-ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი რყევენბი გამოიწვია ყველა მიმართულებით. ავიაკომპანიების მსგავსად ტურიზმის სექტორმა უმნიშვნელოვანესი დარტყმა მიიღო. სეზონის მოახლოებასთან ერთად, პრობლემამ კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი. საქართველოსთვის ტურიზმის სექტორზე ფინანსური დარტყმა განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა, რადგან ამ სექტორში 100 000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული და მიღებული შემოსავლები საქართველოს ეკონომიკის 20%-ზე მეტს შეადგენდა.

საქართველოს ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში შეიკრიბნენ და ეკონომიკის მინისტრს ღია წერილი მიწერეს. მათი განცხადებით პანდემიის სწარფი გავრცეების გამო იანვარ-თებერვალში სასტუმროების 80-90% ფაქტობრივად დაუტვირთავი იყო. მარტსა და აპრილში კი ჯავშნების 90% მოიხსნა. იმისთის, რომ ტურიზმის სექტორი არ ჩამოშლილიყო და თანამშრომლების დიდი ნაწილი შეენარჩუნებინათ, ასოციაციის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს დახმარება რამდენიმე მიმართულებით ითხოვეს.

კერძოდ: მოითხოვდნენ მთავრობისგან ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის მიღებას ტურიზმის სექტორში დასაქმებული ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით. ბიზნესის მოთხოვნა იყო კომუნალური გადასახადების გარკვეული ვადით გადავადება , ასევე, ქონების, საშემოსავლო და საპენსიო შენატანის შემდგომ თვეებზე გადანაწილება. ბიზნესის წარმომადგენლები მთავრობას ბანკებთან შუამდგომლობას სთხოვდნენ და საბანკო ვალდებულებების გარკვეული ვადით გადაწევას რესტრუქტურიზაციის მიზნით ითხოვდნენ.

მთავრობამ ბიზნესექტორის მოთხოვნებს მალევე უპასუხა. ტურიზმთან დაკავშირებული დარგების ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები პირველ ნოემბრამდე გადაუვა. ამასთან სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, დაგეგმილი 600 მილიონი დასაბრუნებელი დეღეგეს ნაცვლად, თანხა გაორმაგდა და ეკონომიკას, კომპანიებს დამატებით 600 მილიონი ლარი დაუბრუნდებათ. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობის ინიციატივა ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკას დღგ-ს საშუალებით 1,2 მილიარდი ლარის ოდენობის ფინანსურ რესურსს დააბრუნებს. მთავრობამ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს მოუწოდა მაქსიმალურად შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები. თუმცა, კომპანიებმა კადრების შენარჩუნება სრულად ვერ შეძლეს და თანამშრომლების ნაწილთან კონტრაქტების შეწყვეტა მოუწიათ. თუმცა, სამსახურის გარეშე დარჩენილ თანამშრომლების დროებით დასაქმებაზე სურვილი რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა. კრიზისულ ვითარებაში ბიზნესმა ერთმანეთის დახმარება დაიწყო. კომპანიებმა, რომლებმაც კეთილი ნება გამოხატეს ჟურნალისტებმა სტატიები და რეპორტაჟები მიუძღვნეს. ამის შემდეგ, დამსაქმებელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მართალია ეს არ იყო მაღალანაზღაურებადი სამსახურები, მაგრამ სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანებისთვი, ამ ტიპის სოციალური პასუხისმგებლობა, გარკვეული შეღავათი ნამდვილად აღმოჩნდა.

2020 წლის მეორე კვარტალში ტურიზმის მოცულობა თითქმის განულდა, შემცირდა კერძო ინვესტიციებიც. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ვარაუდობდა, რომ პანდემიის გამო შემცირდება ექსპორტზე მოთხოვნაც და მისი მოცულობაც. ტურიზმის სექტორი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციების გაიდლაინების მოლოდინში არიან. შესაბამისად დარგის სპეციალისტები ტურიზმის ინდუსტრიაზე იმედებს ვეღარ ამყარებენ. საპირისპიროს ფიქრობს საქართველოს მთავრობა, მიაჩნიათ, რომ რადგან „კოვიდ19“-თან ბრძოლაში საქართველო წარმატებული აღმოჩნდა, ტურისტებისთვის ჩვენი ქვეყანა მიმზიდველი აღმოჩნდება. არავინ იცის რა ფასი დაუჯდება საქართველოს საზღვრის გახსნა და ტურისტების შემოშვება ზაფხულში. ან რამდენად იქნება ტურისტების მხრიდან მოთხოვნა საქართველოში ჩამოსვლის. ექსპერტები ჟურნალისტებთან საუბრობენ, რომ შეზღუდვების მოხსნის შემდეგ პირველი 2-3 თვის განმავლობაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე ფიქრი არასერიოზულია.

ეკონომიკის საქმიანობის შეწყვეტა კოპანიებისთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა. BAG ინდექსის კვლევის ფარგლებში საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას სრულად მოუწია საქმიანობის შეჩერება, ხოლო 38% ნაწილობრივ აგრძელებდა მუშაობას საგანგებო მდგომარეობის პირობებში. კითხვაზე ვირუსის გავრცელების ფაზის დასრულების შემდეგ, რა პერიოდი დასჭირდება თქვენს ბიზნესს პანდენიამდე არსებულ ძირითად ფინანსურ მაჩვენებელს დაუბრუნდეს, უმეტესობა 7-დან 12 თვემდე პერიოდს ასახელებს.



ყველაზე დადებითი რაც პანდემიის გავრცელებამ მოიტანა, გარემოზე მავნე გავლენის მკვეთრად შემცირება იყო. ფაქტობრივად დედამიწამ ამოისუნთქა იმ დაბინძურებისგან, რასაც ადამიანები ყოველდღიურად სჩადიოდნენ. ქარხნების, ფაბრიკების, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის შეჩერებამ ჰაერზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ნახშირბადების ემისიები მკვეთრად შემცირდა. მედია აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ პანდემიის შემდეგ მსხვილი კომპანიები შესაძლოა დაფიქრდნენ დისტანციური მუშაობის დადებით მხარეებზე და საოფისე და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზე. საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს ხელმძღვანელი, აპრილის დასაწყისში მედიასთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში ჰაერის ერთ-ერთი ძირითადი დამაბინძურებელი NO2 (აზოტის დიოქსიდი) ყველაზე კარგ მაჩვენებელზე იყო და კლების ტენდენციას განაგრძობდა. აზოტის დიოქსიდი ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვის შედეგად იფრქვევა და პანდემიის შედეგად მოქალაქეების თვითიზოლაციაში გადასვლამ კონცენტრაციის კლება თვალსაჩინო გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ „კოვიდ19“-ით გამოწვეულმა პრობლემებმა მოსახლეობას უამრავი თავსატეხი გაუჩინა, მედია პანდემიის ვითარებაში არ მუშაობდა, „ჩასაფრებულის პოზიციიდა“. სატელევიზიო, ბეჭდურმა თუ ონლაინ პლათფორმებმა კონკრეტულ შედეგებზე დაფუძნებული ანალიზი წარმოედგინეს. მთავრობის მიმართ შემცირდა მწვავე კრიტიკა, რომელიც მანამდე ისმოდა. ერთვარი მორატორიუმი აიღო ოპოზიციამაც. მედიასივრცე თითქმის სრულად ეთმობოდა ახალ კორონავირუსს და მის დაძლევის გზებს. იყო გარკვეული აზრთასხვადასხვაობა სწრაფი ტესტების თემაზე პოლიტიკოსებსა და ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებს შორის. თავად ქართველ ექიმებს შორის უთანხმოება იყო პრეპარატ პლაქვენილთან დაკავშირებით. მაშინ როცა ინფექციონისტები საქართველოში აღნიშნულ პრეპარატს ვირუსის წინააღმდეგ იყენებდნენ, ამერიკაში და ევრობაში მოღვაწე ექიმები აღნიშნული მედიკამენტის უარყოფით მხარეებზე საუბრობდნენ და დასტურად საერთაშორისო და ავტორიტეტული კლინიკების კვლევის შედეგები მოჰყავდათ. შეჯერება ვერ მოხერხდა, იყო უხერხული მომენტებიც, თუმცა ჯანსაღი დისკუსია მადიაში სასარგებლო და საჭირო აღმოჩნდა.

მედიის მუშაობა თვითიზოლაციაში მყოფი მოსახლეობისთვის ძალიან დიდი ნუგეში აღმოჩნდა. ჩემს მიერ გამოკითხული მოსახლეობის 80% აღნიშნავდა, რომ მათთვის ინფორმაციის წყარო მედია იყო და ვირუსის შესახებ საჭირო ინფორმაციას სწორედ ტელევიზიისა თუ მედიაპორტალების მეშვეობით

იღებდნენ. 20% ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტით ეცნობოდა. გამოკითხვა თბილისის მასშტაბით ვაწარმოე და მასში მონაწილეობა 300-მდე ადამიანმა მიიღო. გამოკითხვის შედეგები საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ გამოკითხულთა 70 პროცენტს ქართულ მედიაში ახალი კორონავირუსის შესახებ მომზადებული გადაცემები და სტატიები საყურადღებოდ და ინფორმა-ციულად დატვირთულად მიიჩნიეს. მოსახლეობა მედიას მოშაობას უქებდა.

როდესაც მსოფლიოში ამგვარი მასშტაბური ეპიდემია გავრცელდა მედიას ამ დროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ერთის მხრივ არ დაეძაფრა მოსახლეობა და ისედაც დაძაბულ ვითარებაში დამატებითი შფოთი არ შეეტანა და მეორეს მხრივ არც მოდუნების საშუალება მიეცა მოსახლეობისთვის. მსგავს სიტუაციაში მედიის წარმომადგენლები ცდილობდნენ თემაზე მუშაობისას რეალური ფაქტები ისე გადმოსცენ, საზოგადოება მიმდინარე მოვლენების შესახებ მაქსიმალურად ინფორმირებულნი გახადონ და ის სასარგებლო და საჭირო რჩევები გაუზიარონ, რაც დაინფიცირების შემთხვევაში ნებისმიერ ჩვენგანს გამოადგებოდა.

კრიზისულ სიტუაციაში სწორმა საინფორმაციო რეაგირებამ, შესაძლოა, უდიდესი განსხვავება მოგვცეს. განსხვავება - ათობით ან ასობით დაზარალებულ ადამიანსა და ათასობით ან მილიონობით დაზარალებულს შორის. მედიას შეუძლია სწრაფად და მასშტაბურად მიაწვდინოს ხმა მოსახლეობას, ერთმანეთთან დააკავშიროს მოქალაქეები, ექსპერტები და სწრაფი რეაგირების სამსახურები. მედიას შესწევს ძალა სანდო წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, რათა მათ იცოდნენ როგორ დაიცვან თავი, როდის და რა გზებით მოიძიონ ეფექტური მკურნალობის მეთოდები.

დასკვნა

კრიზისული სიტუაციის საზიანო გავლენის შემცირება, თავის მხრივ, ჯანდაცვის სამსახურების დატვირთვასაც ამცირებს და კიდევ უფრო მეტ სიცოცხლეს იცავს. საგანგებო სიტუაციებისას ზუსტი და სანდო ინფორმაციის ნაკლებობამ, შეიძლება მითქმა-მოთქმა და დეზინფორმაცია გამოიწვიოს, რაც თავის მხრივ, პანიკასა და ქაოსს იწვევს, ეს კი ადამიანებს კიდევ უფრო მეტი რისკის ქვეშ აყენებს, და/ან იწვევს სტიგმას დაავადებულებთან დაკავშირებით. ყოველივე ამან, შეიძლება დაავადების გავრცელებას შეუწყოს ხელი და უფრო მეტი ადამიანის ავადმყოფობა და სიკვდილი გამოიწვიოს.

მედიაორგანიზაციებს შესწევთ ძალა შეავსონ სახიფათო ინფორმაციული ვაკუუმი და წინ აღუდ-გნენ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას. ასევე ცხადია, რომ ჯანმრთელობის კრიზისების დროს, მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საზოგადოების გამხნევებასა და დამშვიდებაში, მოტივაციის ამაღლებაში, რათა ადამიანებმა თავად გადადგან ნაბიჯები სიტუაციის გამოსასწორებლად. „COVID19" კი ამის ნათელი მაგალითი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ?ტ?ა/ ?ა ?ა?ა?ა?ა?ა/?ა?ა?ა/ ?ა?ა/135/?ა?ა?ა ?ა ?ნ?ა?ა?ა-?ა?ა?ა?ა?ა

[illegible] "COVID-19" [illegible]

Kokorashvili Shorena
PhD student of Georgian Technical University

შუმმ არყ

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

Keყ[illegible]: P[illegible], "[illegible]-19", P[illegible], Me[illegible], B[illegible], Go[illegible], E[illegible], P[illegible]

მინერალურ-რესურსული პოტენციალის ათვისების მსოფლიო ბიზნესის აქტუალური ასპექტები

ლობჟანიძე გელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ტაბატაძე გოდერძი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუსი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ძირითადი მინერალური რესურსების მსოფლიო მარაგები, წარმოების და მოხმარების სტრატეგიული საკითხები. მიმდინარე გლობალური მოვლენების მაგალითზე ნაჩვენებია მინერალური ნედლეულის გავლენა მსოფლიო გეოპოლიტიკაზე და განხილულია მსოფლიო სანედლეულო ბაზრებში საქართველოს ჩართვის შესაძლებლობა, ასევე შემოთავაზებულია მდგრადი მინერალურ-სანედლეულო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: მინერალური რესურსები, მოთხოვნა, მარაგი, ფასები, ფინანსური მაჩვენებ-ლები, მდგრადი მინერალურ-სანედლეულო პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის მინერალური რესურსული ბაზის რაციონალური მართვისა და სამთო-მოპოვების კეთილსინდისიერი პრაქტიკის უზრუნველყოფის შესაძლებლობები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, პერსპექტი-ვაში სამთო-სამრეწველო ბიზნესის ეფექტიანი განვითარების თვალსაზრისით.

XX (განსაკუთრებით მისი მე-2 ნახევრიდან) და XXI საუკუნის დასაწყისში უმთავრესი გლობალური პროცესები, მძლავრი დემოგრაფიული აფეთქება (პლანეტის მოსახლეობა ზრდა 1900 წლის 1.5 მლრდ მოსახლედან 2000 წელს 6 მლრდ-მდე და 2018 წელს 7.6 მლრდ-მდე), სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და სამრეწველო წარმოების მაღალი ტემპებით განვითარება, მშპ-ის და განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის ზრდა, მწვანე ეკონომიკის ანუ დაბალი ნახშირბადის შემცველი ეკონომიკის მოთხოვნილებაც კი, გახდა ბუნებრივი რესურსების და მ. შ. მინერალური რესურსების მოხმარების გარკვეული ზრდის საფუძველი [1]. სახელდობრ, თუ სპილენძის მსოფლიო წარმოებამ XX საუკუნის დასაწყისში შეადგინა დაახლოებით 500 ათასი ტონას და თითქმის 100 წლის განმავლობაში, 1997 წელს მან გადააჭარბა 11 მლნ ტონას, 2018 წლის ბოლოსთვის კი, იგი მიუახლოვდა 24 მლნ ტონას და საპროგნოზო 2020 წლისათვის 27 მლნ ტონას მიაღწევს, ასევე მზარდია მსოფლიო ბაზრის მოთხოვნა სხვა დანარჩენი ძირითადი წიაღისეულის ცალკეული სახეობების მიმართაც (იხ. ცხრილი 1). ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ძირითადი წიაღისეული რესურსების მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან აღსანიშნავია მდიდარი საბადოების მარაგების შემცირება, ძნელად მისადგომ ადგილებში ახალი საბადოების გამოკვლევისა და დამუშავების აუცილებლობა, რესურსების შეზღუდულობა წიაღისეულის ათვისების მიზნით და სხვ., შედეგად, გაიზარდა ხარჯები და ინოვაციების საჭიროება, მაღაროების მომგებიანობის შენარჩუნებისა და ძირითადი რესურსების რაციონალური ათვისების უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, მინერალური რესურსები მიეკუთვნება შეზღუდულ, არაგანახლებად და ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს.

მთლიანობაში ვითარება ისეთია, რომ თუმცა მინერალური ნედლეულის ბუნებრივი რესურსები უზარმაზარია, მათი ეფექტური ნაწილი მცირეა, რაც ეკონომიკაში გამოყენებისას ბევრ საზრუნავს აჩენს. ცხადია, არასწორია ვიფიქროთ, რომ მსოფლიო დგას მინერალური ნედლეულის ამოწურვის მიჯნაზე. ასეთი მწვავე სიტუაცია დამახასიათებელია მცირე სახეობის ნედლეულისათვის, თუმცა არის იმედის საფუძველი, რომ აღმოჩენილ იქნება მათი ახალი საბადოები.

ცხრილი 1

ზოგიერთ ძირითად წიაღისეულ რესურსზე ზრდის მოთხოვნა მსოფლიოში, 2010-2020 წლებში [2]

სასაქონლო პროდუქციის დასახელება	განზომილების ერთეული	წლები					
		2010	2011	2012	2015	2020	წლიური ზრდის საერთო ტემპი (2010-2020)
სპილენძი	ათასი ტ	19 220	19 890	20 190	22 815	27 068	3,5 %
ალუმინი	ათასი ტ	40 900	45 200	48 000	59 200	82 465	7,3 %
თუთია	ათასი ტ	12 030	12 760	13 400	15 000	17 752	4,0 %
ნიკელი	ათასი ტ	1 494	1 595	1 693	1 940	2 430	5,0 %
რკინის მადანი	მლნ ტ	1 025	1 090	1 145	1 401	1 919	6,5 %
კოქსვადი ნახშირი	მლნ ტ	266	256	281	320	374	3,5 %
ენერგეტიკული ნახშირი	მლნ ტ	713	774	810	919	1 136	4,8 %
ოქრო	ტ	4 261	4 090	4 324	4 188	4 274	0,3 %

მინერალური რესურსების ამოღების კოეფიციენტი შეიძლება გავზარდოთ ძველი ბუდობების ექსპლუატაციისას. მაგრამ, ამასთანავე, ძალზე რეალურად გამოიყურება საუკეთესო ხარისხის მინერალური რესურსების ამოწურვა, რომელიც ეფექტურია მოსაპოვებლად და გამოსაყენებლად დღეს და ხვალ.

რაც შეეხება ცალკეულ ქვეყნებს, მდგომარეობა თითოეულ მათგანში ძალზე განსხვავებულია, რადგანაც მინერალური რესურსები ტერიტორიულად უკიდურესად არათანაბრადაა განწილებული. მაგალითად, ნავთობის მსოფლიო დადასტურებული მარაგის ნახევარზე მეტი თავმოყრილია ახლო აღმოსავლეთში, ნახშირის 95 % განლაგებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ამასთან ნახშირის მსოფ-ლიო მარაგის 88 %-ს ფლობს სამი ქვეყანა – რუსეთი, აშშ და ჩინეთი (იხ. ცხრილი 2).

ცნობილი, რომ მიუხედავად ბუნებრივი რესურსების სიუხვისა დედამიწის ქერქში, მინერალური რესურსების უმრავლეს სახეობათა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ბევრ ქვეყანაში შედარებით დაბალია, რასაც ემატება ამ რესურსების მნიშვნელოვანი დანაკარგები წარმოების პროცესში. ამიტომაც წიაღის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების საკითხი ძალზე აქტუალურია მთელ მსოფლიოში.

მინერალური რესურსების ამოწურვისა და მისი ეკონომიკაზე გავლენის თაობაზე არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. პირველის თანახმად ,,რომელიმე მინერალური რესურსის ამოწურვა კაცობრიობას ისეთ გართულებებს შეუქმნის, რომ უბრა-ლოდ ეს არ უნდა დავუშვათ“. ამ აზრის მომხრენი თვლიან, რომ არ უნდა დავკარგოთ თუნდაც ყველაზე დაბალი ხარისხის წიაღისეულის მარაგის ნაწილი. მეორის თანახმად ,,თუ საჭიროება იქნება, გზაც გამოინახება, ანუ საჭიროება გამო-გონების დედაა“. როცა რომელიმე სახის მინერალური ნედლეულის რეალური ამოწურვის პერსპექტივა მოახლოვდება, კაცობ-რიობა იპოვის გამოსავალს ჩიხიდან, შექმნის ალტერნატიულს და ისწავლის ცხოვრებას ამ რესურსის გარეშე, ასე რომ მისი ამოწურვა ვერ შექმნის კატასტროფულ სიტუაციას. შეიძლება ითქვას, რომ მეორე აზრი უფრო რეალისტურია, რაც დადასტურებულია თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით. ამასთან, ტექნიკურ პროგრესს და ახალ გეოლოგიურ აღმოჩენებს დადებითი კორექტივები შეაქვთ მარაგების ამოწურვის არახელსაყრელ ტენდენციაში. მაგალითები: მეტალურგიული მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ ახალ მიმართულებად ითვლება მიკრობი-ოლოგიური ჰიდრომეტალურგია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ფერადი, იშვიათი, კეთილშობილი და სხვა ლითონების მსხვილმასშტაბიანი ამოკრეფა ბალანსგარე მადნებიდან და სანაყაროებიდან.

დაბალკალორიული მურა ნახშირის ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება გაიზარდოს ძრავის დეფიციტურ, თხევად და გაზისებურ საწვავად მათი გარდაქმნის მეთოდების ათვისების შემდეგ.

ცხრილი 2

ზოგიერთი ძირითადი მინერალური რესურსის მარაგი მსოფლიოში, 2018 წელი [3,4]

მინერალური რესურსები	დაძიებული მარაგები	რესურსუზრუნველყოფა, წელი
ნავთობი, მლრდ ტ	156,7	41
ბუნებრივი გაზი, ტრლნ $მ^3$	175,8	67,1
ნახშირი, ტრლნ ტ	1,75	400
რკინის მადანი, მლრდ ტ	150-200	250
ალუმინი/ბოქსიტები, მლრდ ტ	20-30, 55-75	250
მანგანუმის მადანი, მლნ ტ	760	41
სპილენძის მადანი, მლნ ტ	450	55
ოქრო, ათასი ტ	50	16
ვერცხლი, ათასი ტ	560	21

აღსანიშნავია, რომ მინერალურ-სანედლეულო კომპლექსის განვითარების ტემპებზე გავლენას ახდენს შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორი:

- **მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი.** რაც უფრო მაღალია მშპ-ს ზრდის ტემპი, მით მეტია წარმოების მოთხოვნა მინერალურ რესურსებზე. კვლავწარმოების უცვლელი პირობების დროს მათ შორის იარსებებდა პროპორციული კავშირი. სწორედ ასეთი მიდგომა ახასიათებდა საბჭოთა დაგეგმვის სისტემას. მაგალითად, შავ ლითონებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნის პროგნოზირებისას ეყრდნობოდნენ ადრე ჩამოყალიბებულ მასალების ხარჯის სტაბილურ ,,ნორმებს“ 1 მლნ მშპ-ზე, მაგრამ ასეთი მიდგომა უგულებელყოფდა ცვლილებებს მშპ-ის შიგა სტუქტურაში და ორიენტაციას იღებდა ექსტენსიური განვითარების ევოლუციურ გზაზე. ასეთ პირობებში ქვეყნის მოთხოვნის შემცირება ლითონებზე სხვადასხვა მოვლენების გამო (განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში) მასში შეუძლებელი იყო ასახულიყო.
- **მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნის ცვლილება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით.** ახალი დარგებისა და ტექნოლოგიების წარმოშობის კვალობაზე წინა პლანზე გამოდის ნედლეულის ის სახეები, რომლებიც ადრე ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა. მაგალითად, ისეთი მაღალტექნოლოგიური დარგების შექმნამ, როგორიცაა ავიაკოსმოსური, გამომთვლელი მანქანები, მიკროპროცესორები, რობოტო-ტექნიკა, ლაზერული ტექნიკა და ბოჭკოვანი ოპტიკა, წარმოშვა ახალი მოთხოვნები რიგ ლითონებზე და ქიმიურ ელემენტებზე, რომლებიც ადრე არსებითად არ გამოიყენებოდა (ტიტანი, იშვიათმიწა ლითონები და ა.შ.). ამასთან, ერთდროულად მცირდებოდა პროდუქციის ენერგო– და მასალატევადობა, რაც ამცირებდა მოთხოვნას ტრადიციულ მინერალურ ნედლეულზე.
- **მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნის შემცირება რესურსდაზოგვის ღონისძიების ხარჯზე.** მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსი შეიძლება მიღწეულ იქნას არა მარტო მოპოვების გადიდებით, არამედ თვით მოთხოვნის შემცირებით. რესურსდაზოგვის ღონისძიებები და საზღვრები სხვადასხვაა თავისი ხასიათით – სუფთა ორგანიზაციულიდან ტექნოლოგიურამდე. ზოგი მათგანის განხორციელება უფრო იაფია, ვიდრე მინერალური ნედლეულის მოპოვების და გადამუშავების სიმძლავრეების მატება.

აშშ-ში ბოლო წლების განმავლობაში მიღწეულია მშპ-ის ერთეულის ხვედრითი ენერგოტევადობის 30 %-ით შემცირება, ხოლო ხვედრითი მასალისა და ლითონტევადობისა – შესაბამისად 20 და 16 %-ით.

- **მინერალური ნედლეულის ჩანაცვლება.** ცალკეული სახის მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნის შემცირების ერთ-ერთი გზაა მისი ჩანაცვლება სხვა მინერალური ნედლეულით ან სინთეტიკური

მასალით. შეცვლა გამართლებულია, როდესაც შემცვლელი ნაკლებად დეფიციტურია ან ეკონომიკურად უფრო ეფექტური. შენაცვლებას მივყავართ ეკონომიკის მოთხოვნების დაკმაყოფილების მეთოდების საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებასთან. ამასთან, ერთი სახის მინერალური ნედლეულის მოპოვების მოცულობა მცირდება, მეორისა – იზრდება; სახელდობრ, ეკოლოგიურად სუფთა და იაფმა ბუნებრივმა გაზმა მნიშვნელოვნად შეამცირა ნახშირის ხვედრითი წილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში. ექსპერტების ვარაუდით, 2030 წლამდე ნახშირის წილი თითქმის უცვლელი დარჩება, ხოლო მურა ნახშირის გათხევადების ეფექტური ტექნოლოგიის დამუშავების პირობებში მისი როლი გაიზრდება.

- **მეორეული ნედლეულის ტექნოგენური რესურსების გამოყენება.** მინერალური ნედლეულის მრავალი სახეობა შეიძლება მეორეჯერ იქნას გამოყენებული. ეს ეხება თითქმის ყველა ლითონს, მანქანას ან დეტალს. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ ისინი იქცევა ჯართად, რითაც შესაძლებელი ხდება ახალი ლითონის გამოდნობა. ეს კი ხელს უწყობს ახალ მადნებზე მოთხოვნის შემცირებას. მინერალური ნედლეულის მსხვილ ტექნოგენურ წყაროებს მიეკუთვნება სანაყაროებისა და საკუდე მეურნეობის (კუდსაცავების) ქანები.

ყოფილ სსრკ-ში XX საუკუნის 80-იან წლებში მოპოვებული 15 მლრდ ტ სამთო მასიდან საბოლოო პროდუქტმა შეადგინა მხოლოდ 40 % (ანუ 6 მლრდ ტ), ხოლო სანაყაროებზე დაგროვილი იყო 60 %, ანუ 9 მლრდ ტ ქანი და ნარჩენი. ნავთობსა და ნავთობპროდუქტების წვის პროდუქტებში კონცენტრირებულია 40-ზე მეტი სხვადასხვა ქიმიური ელემენტი. ამჟამად ცალკეულ ქვეყნებში მისგან იღებენ მხოლოდ ვანადიუმს, გოგირდს და ვერცხლისწყალს [5].

როდესაც არ არსებობს მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნის ეფექტური დაკმაყოფი-ლების შესაძლებლობა, ხდება იმპორტზე გადასვლა. სწორედ იმპორტით იკმაყოფილებს რიგი ქვეყნები თავის მოთხოვნებს მინერალურ ნედლეულზე. ეს ეხება როგორც იმ ქვეყნებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი საკმარისი მინერალური რესურსები (იაპონია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. ,,ახალი ინდუსტრიული ქვეყნები“ და სხვ.), ასევე იმათაც, რომელთაც აქვთ საკმაო მარაგები, მაგრამ უპირა-ტესობას ანიჭებენ იაფი ნედლეულის გარედან შემოტანას (მაგალითად, აშშ, სადაც ზოგიერთ შელფზე გამოცხადებულია მორატორიუმი ნავთობძიებასა და მოპოვებაზე).

ნახშირმომპოვებელი საწარმოების კონკურენტუნარიანობა მჭიდროდაა დაკავშირე-ბული ალტერ-ნატიულ ენერგომატარებლების – პირველ რიგში, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ფასების დონესთან. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამცირებს ნავთობისა და გაზის კონკურენტუნარიანობას ნახშირთან შედარებით, საბადოების განლაგებაა უკიდურესად რთულ კლიმატურ ზონებში და ჭაბურღილების დებიტების დაქვეითებაა მათი ექსპლუ-ატაციის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ნავთობის (156,7 მლრდ ტ) და ბუნებრივი გაზის (175,8 ტრლნ $მ^3$) მსოფლიო დაძიებული მარაგი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნახშირის მარაგი (1,75 ტრლნ ტ). ამასთან, ექსპერტთა შეფასებით 2030 წლისთვის პირველადი ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში ნავთობის წილი 2000 წელთან შედარებით 39 %-დან შემცირდება 34 %-მდე, გაზისა 24,2 %-დან გაიზრდება 28,9 %-მდე, ხოლო ნახშირისა თითქმის უცვლელი დარჩება – 22 % [5,6].

სამშენებლო მინერალური რესურსები შედარებით იაფია, საწვავი – გაცილებით ძვირი. ფერადი ლითონები უკიდურესად ძვირია, ამიტომ საწვავისა და ფერადი ლითონების ნაწილი, მოპოვებული მინერალური ნედლეულის საერთო ღირებულებაში, გაცილებით მეტია, ვიდრე სამშენებლო წიაღი-სეული რესურსებისა, ხოლო ამ ,,ელიტური“ პროდუქციის საერთო მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ფერადი და იშვიათი ლითონების გარეშე დღეს ტექნიკური პროგრესი წარმოუდგენელია.

გასული ათწლეულის განმავლობაში, სამთო პროდუქციაზე სასაქონლო ფასები გასცდა ისტორიულ მაჩვენებლებს, თუმცა ზოგიერთ მათგანზე გარკვეულწილად შემცირდა; ამასთან, სამთო კომპანიები მონაწილეობდნენ გაერთიანების ინტენსიურ, აქტივების შეძენისა და კონსოლიდაციის პროცესში; საოპერაციო მოქმედებები ღრმა ცვლილებებს განიცდიდა ციფრული რევოლუციის ფონზე. ეს ტენდენციები ასევე გაგრძელდა გასული წლის განმავლობაში. ციკლური დაბალი ფასების შემდეგ, სამთო პროდუქციაზე ფასები თანდა-თანობით გაიზარდა ჩინეთში სამთავრობო ინვესტიციების

სტიმულირების და განვითა-რებულ და განვითარებად ქვეყნებში მათზე მოთხოვნის ზრდის შედეგად, ასევეა საპროგნოზო შეფასებაც (იხ. ცხრილი 3). ამ თვალსაზრისის და განხორციელებული მნიშ-ვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც გრძელვადიან ეფექტს ახდენს დარგზე, სამთო სექტორი კიდევ ერთხელ მზად არის ეკონომიკური ზრდისთვის.

მინერალური რესურსებით მდიდარი მრავალი განვითარებული ქვეყანა ბოლო ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში აჩვენებს ძლიერ ეკონომიკურ ზრდას, სტიმუ-ლირებულია მათი რესურსების ექსპორტის სწრაფი გაფართოებით და სამთო-სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ზრდით. სამთო მრეწველობას, სხვა მოპოვებითი ინდუსტრიების მსგავსად, მდგრადი ეკონომიკური ზრდის პირობებში შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მზარდი სავალუტო და ფინანსური შემოსავალით. სამთო ინდუსტრიის გავლენა ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურის პარალელური განვითარებით და სხვა ინდუსტრიებთან ძლიერი კავშირებით, საქონლისა და მომსახურების ეროვნული მიწოდების არხებით. ამ პროცესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო და კერძო ბიზნესს შორის გონივრულ თანამშრომლობას [6, 7].

მთლიანობაში 2018-2019 წლებში გლობალურ სამთო მრეწველობაში შეინიშნებოდა პოზიტიური პროცესები, რომელიც დაიწყო 2017 წელს და დაკავშირებულია 2013-2014 წლების კრიზისიდან გამოსვლასთან, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ძირითადი სანედლეულო რესურსების მოპოვება მსხვილი სამთომომპოვებელი კორპორაციების მხრიდან 2018 წელს მსოფლიოში ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით. სახელდობრ, კომპანიამ ,,BHP BILLITON" გაზარდა წარმოება სპილენძის – 427 ათასი ტონით, ნიკელის – 5 ათასი ტონით, რკინის მადნით – 7 მლნ ტონით [7].

ცხრილი 3

მინერალური რესურსების ზოგიერთი ძირითადი სახეობის პროგნოზული ფასები [6]

მინერალური რესურსები	**განზომილების მაჩვენებელი**	**წლები**							
		2019	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**
ნავთობი	$	64,4	40,1	50,0	57,5	73,3	86,4	89,8	92,6
ენერგომატარებლები (მიმდინარე/კორექტირებული)									
ბუნებრივი გაზი	$/1000მ³	171	189/ 145	224/ 190	269/ 245	308/ 292	337/ 320	366/ 350	373/ 373
ენერგეტიკული ნახშირი	$/ტ	77,9	75,0	80,7	86,4	92,3	98,9	106,0	108,1
შავი მეტალურგია (მიმდინარე/კორექტირებული)									
რკინის მადანი	$/ტ	93,8	93,4	95,2	96,4	97,0	98,4	101,6	103,6
საკოქსე ნახშირი	$/ტ	185	190/ 150	187/ 155	184/ 160	182/ 165	180/ 170	179/ 177	182/ 182
ფოლადი	$/ტ	609	638/ 518	663/ 580	683/ 640	698/ 685	702/ 702	714/ 714	728/ 728
ძვიფასი ლითონები (მიმდინარე/კორექტირებული)									
ოქრო	$/უნცია	1392	1424/ 1670	1457/ 1457	1508/ 1508	1553/ 1553	1592/ 1592	1620/ 1620	1653/ 1653
ვერცხლი	$/უნცია	16,2	17,4/ 16,5	18,9/ 18,9	20,3/ 20,3	21,9/ 21,9	23,4/ 23,4	24,7/ 24,7	25,2/ 25,2
ფერადი ლითონები (მიმდინარე/კორექტირებული)									
ნიკელი	$/ტ	13 907	14 640/ 12 550	15 401/ 13 650	15 955/ 15 250	16 513/ 16 513	17 044/ 17 044	17 340/ 17 340	17 687/ 17 687
თუთია	$/ტ	2 549	2 655/ 2 150	2 774/ 2 420	2 907/ 2 710	3 038/ 2 920	3 230/ 3 150	3 464/ 3 380	3 533/ 3 533
სპილენძი	$/ტ	6 005	6 245/ 5 250	6 616/ 5 840	6 987/ 6 830	7 357/ 7 357	7 688/ 7 688	8 081/ 8 081	8 243/ 8 243
ალუმინი	$/ტ	1 792	1851/ 1520	1990/ 1657	2094/ 1780	2135/ 1850	2175/ 1893	2216/ 1929	2239/ 1963
პლატინოიდები (მიმდინარე/კორექტირებული)									

პლატინა	$/ტ	863	920/ 820	980/ 780	1 039/ 817	1 107/ 871	1 181/ 929	1 270/ 999	1 295/ 1 019
პალადიუმი	$/ტ	1539	1 507/ 2 250	1 397/ 2 322	1 319/ 2 375	1 256/ 2 261	1 211/ 2 131	1 167/ 2 034	1 190/ 1 937
სასუქები (მიმდინარე/კორექტირებული)									
კალიუმიანი	$/ტ	256	269/ 255	290/ 280	313/ 300	344/ 330	363/ 350	385/ 375	393/ 393
ფოსფატური	$/ტ	306	335/ 290	367/ 340	402/ 380	441/ 420	482/ 465	540/ 510	551/ 551
აზოტიანი	$/ტ	245	267/ 230	282/ 260	297/ 290	314/ 310	333/ 333	352/ 352	359/ 359

აღსანიშნავია, რომ გლობალურმა კორონავირუსულმა პანდემიამ ძალიან შეცვალა ჩვენი ცხოვრება, შეიცვალა არა მხოლოდ ადამიანების ცხოვრება, არამედ შეიცვალა სამრეწველო კომპანიების და მისი პერსონალის ცხოვრება. Wall Street Journal-ის ინფორმაციით, COVID-19 პანდემიამ უდიდესი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს უმსხვილეს სამთო კომპანიებს, რომელთა კაპიტალიზაცია მნიშვნელოვნად დაეცა. სახელდობრ, წლის დასაწყისში Anglo American-ს აქციები 40%-ით დაეცა, Glencore-ს - 41%-ით, Freeport-McMoRan-ის – ნახევარზე მეტად ამასთან, IHS Markit-ის მონაცემების თანახმად, მკვეთრად გაიზარდა სამთო მომპოვებელი კომპანიების CDS (credit default swaps) ღირებულება. კერძოდ, 2020 წლის მარტის თვის მეორე ნახევრის მონაცემებით, CDS Glencore-ის ღირებულებამ შეადგინა უკვე 485,989 ათასი $ წელიწადში ვიდრე წლის დასაწყისში იყო 127 ათასი $. Anglo American-ის შემთხვევაში იგი გაიზარდა 84 ათასი $-დან 307.15 ათას $-დე, ასევე 2020 წლის პირველ კვარტალში სექტორმა დაკარგა 282 მლრდ $-ის შემოსავალი, რაც თავისთავად დარგის გლობალურ ზრდას გარკვეულწილად შეამცირებს [7, 8]. ამავდროულად, მიუხე-დავად საკმაო წინააღმდეგობებისა სამთო და მეტალურგიულმა კომპანიებმა, როგორც უწყვეტი ციკლის წარმოების კომპანიებმა და, რომლებიც მოიაზრება როგორც ეკონომიკის ხერხემალი, არ შეაჩერეს თავიანთი საქმიანობა. ყველა ამ საწარმოში შემუშავდა და განხორციელდა კორონავირუსული ინფექციის პრევენციისა და პროფილაქტიკისთვის საჭირო გონივრული ზომები, რომლებმაც დარგის მდგრადობა მნიშვნელოვნად განაპირობეს, თუმცა სამთო კომპანიებს მოუწევთ ადაპტირება COVID-19–ით გამოწვეულ გრძელვადიან ზემოქმედებებზე.

ცხრილი 4

მსოფლიოს 40 უმსხვილესი სამთომომპოვებელი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები [6]

მაჩვენებლები	**წლები**			**ცვლილება, %**
	2019	**2018**	**2017**	
შემოსავალი, მლრდ $	686	683	632	8
ოპერაციული ხარჯები, მლრდ $	(511)	(505)	(465)	9
სხვა ოპერაციული ხარჯები, მლრდ $	(6)	(13)	(9)	44
EBITDA, მლრდ $	169	165	158	4
აქტივების გაუფასერებით მიღებული ზარალი, მლრდ $	(4)	(12)	(12)	(300)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, მლრდ $	(46) (47)	(47)	(47)	0
წმინდა ფინანსური ხარჯები, მლრდ $	(10)	(13)	(13)	(0)
მოგება გადასახადების გადახდამდე, მლრდ $	109	93	95	(2)
ხარჯები მოგების გადასახადზე, მლრდ $	(33)	(27)	(30)	(10)
წმინდა მოგება, მლრდ $	76	66 65 2	65	2

პერსპექტივაში სამთო კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია მოგების ზრდა, გარემოს-დაცვითი და სოციალური მდგრადობა, პასუხისმგებლიანი მიდგომა წიაღისეული რესურსე-ბის ათვისებაზე მწარმოებლურობის ავტომატიზაციის ამაღლების გზით, პროგნოზირებადი, მდგრადი და მოქნილი სამუშაო პროცესების გამოყენება, ასევე მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და საზოგადოებასთან.

მინერალური პროდუქცია მგრძნობიარეა ტექნოლოგიური ინოვაციების მიმართ მათი მოპოვების, გადამუშავების და გამოყენების სფეროებში, რაც გავლენას ახდენს მათ მიწოდებასა და მოთხოვნაზე. გადასახადების დაწესებით ან სუბსიდიების გაცემით სახელმწიფოს შეუძლია ფაქტიურად აკონტროლოს მინერალური საქონლის გაყიდვის ფასები და მასზე მოთხოვნა. ზოგიერთ ქვეყანაში ნავთობის წარმოება სუბსიდირებულია, რაც მასზე მოთხოვნას ზრდის. ასევე ზოგიერთი სახელმწიფო კრძალავს მინერალური საქონლით თავისუფალ ვაჭრობას (მაგალითად ნავთობითა და გაზით). ნავთობი იმდენად მგრძნობიარეა სხვადასხვა ფაქტორების (სახელმწიფო პოლიტიკა, სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობები, ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციები) მიმართ, რომ მასზე ფასები შეიძლება მყისიერად გაიზარდოს, თუმცა ეს არ იწვევს მოთხოვნის ადექვატურ შემცირებას. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს გარკვეული კორექტივები შეაქვს მინერალურ პროდუქციაზე მოთხოვნაში, თუმცა მათი დროული და სწორად გაგება მიუხედავად სირთულისა, მაინც უნდა მოხდეს მინერალური პროდუქციის წარმოების ოპტიმალური დაგეგმვისათვის. სხვა შემთხვევაში, არასწორმა გათვლებმა შეიძლება ზარალი მიაყენოს მწარმოებლებს კონკურენტულ ბაზარზე. მიუხე-დავად ამისა, ჯერჯერობით ბევრ მინერალურ პროდუქტზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსი ყოველთვის ირღვევა ზემოთ ნახსენები და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ცნობილი ინგლისელი მეცნიერის მილტონ ჰ. სპენსერის დღემდე და მომავალშიც აქტუალური მოსაზრება: ,,თქვენ შეიძლება განცვიფრდეთ, ბევრ ქვეყანას, და მათ შორის ყველაზე ღარიბსაც, აქვს უზარმაზარი რაოდენობის გამოუყენებელი რესურსები. ეს იმიტომ, რომ მათზე მსოფლიო მოთხოვნა არასაკმარისია, რათა მათი მოპოვება იყოს მომგებიანი არსებული ტექნოლოგიებით. როდესაც ეს პირობები შეიცვლება, ქვეყნის ბუნებრივი რესურსები შეიძენს ახალ ეკონომიკურ მნიშვნელობას.

ამიტომ, ქვეყნის ბუნებრივი ნედლეულის მარაგი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც ფიქსირებული ფიზიკური რაოდენობა. იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ცვლადი სიდიდე, რომლის ზომა განი-საზღვრება ეკონომიკური და ტექნოლოგიური პირობების ცვლილებით“ [5, 6].

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მინერალურ-სანედლეულო ბაზა, მომპოვებელი და გადამა-მუშავებელი მრეწველობა, მათთან ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგები ქმნიან ქვეყნის ეკონო-მიკის განვითარების რეალურ საფუძველს. თანამედროვე პირობებში, სამთო და მეტალურგიული ინდუსტრიის სამომავლო განვითარება ორიენტირებულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მწარმოებლურობის ამაღლებასა და პორტფელების ოპტიმიზაციაზე, სადაც მოთამაშეებს მოუწევთ ადაპტირება ახალ კონკურენტულ გარემოსთან და დინამიურ პირობებთან. აქციონერების მომგები-ანობის ზრდის აუცილებლობა კომპანიებს მოუწოდებს თამამი სტრატეგიების განსაზღვრასა და განხორ-ციელებაში გრძელვადიანი მწარმოებლურობის ზრდის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებაზე. ციფრული ინოვაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში, ინ-დუსტრიული კომპანიების გადარჩენა და კეთილდღეობა ახალ პერიოდში დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ არა მათ ისარგებლონ ციფრული ტექნოლოგიებით და გაზარდონ ეფექტურობა ღირებუ-ლების ქსელის მასშტაბით.

ამრიგად, შესაძლებლობების ღია ფანჯრის წყალობით, სამთო კომპანიებმა უნდა აჩვენონ, თუ რამდენად საჭიროა ისინი მომავლის რესურსების უზრუნველსაყოფად და რო-გორ შეუძლიათ სწრაფად რეაგირებენ ახალ გამოწვევებზე სწრაფად ცვალებად სამყაროში. მათ უნდა გამოიყენონ თავიანთი მყარი ფინანსური მდგომარეობა და შექმნან ფულადი სახსრების გენერირების უნარი რთული, მაგრამ მნიშვნე-ლოვანი გარდაქმნების მიზნით, დარგის დაბალი ნახშირბადის, მაღალტექნოლოგიური და მომხმარე-ბელზე ორიენტირებული მომავლის ინდუსტრიაზე ფოკუსირებით. ამიტომ მნიშვნელოვანია სამთო

კომპანიებმა იმო-ქმედონ ინვესტორის განწყობის და დამოკიდებულების ცვლილებების გათვალის-წინებით, სადაც გაითვალისწინება უფრო მაღალი ეკოლოგიური სტანდარტი და უფრო მაღალი სოცი-ალური პასუხისმგებლობა.

აღსანიშნავია, რომ სამთო მრეწველობა დღესდღეობით ახალი გამოწვევების წინაშე დგას, თუ წარსულში, სამთო კომპანიები თავიანთ წარმოებას გეგმავდნენ ,,უმაღლესი მოცულობის წარმოების ყველაზე დაბალი ღირებულების“ საფუძველზე, დღესდღეობით, მათ მოეთხოვება გაითვალისწინონ დაინტერესებული მხარეების – აქციონერების, პერსონალის, ადგილობრივი თემების, მომხმარებლების, მთავრობების და რეგულატორების მოთხოვნები და იყვნენ არა მხოლოდ როგორც მომგებიანი და პროდუქტიული, არამედ პასუხისმგებლი-ანი, უსაფრთხო, მდგრადი, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეფექტიანად მმართველო-ბითი.

ამასთან, სამთო კომპანიები უნდა ადაპტირდნენ მუდმივი სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილების, ინოვაციების და ციფრული ტრანსფორმაციის ახალ ნორმასთან. ამ წინსვლის მაგალითებია ანალიტიკა, ავტომატიზაცია, ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი, 3D დათვალიერება და ჭკვიანი სენსორები, რომელთა ეფექტიანი განხორციელებით შესაძლებელია სამთო წარმოება გახდეს უფრო უსაფრთხო და ეფექტური [9, 10, 11, 12].

ცხადია, ზემოაღნიშნული ტენდენციების გათვალისწინება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში არსებული წიაღისეული რესურსების უმეტესობა კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე, რომელთა ეფექტიანი და რაციონალური ათვისება სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, რადგან სექტორს გააჩნია განვითარების რეალურად ხელსაყრელი შესაძლებლობები და პოტენციალი სამთო-სამრეწველო პროდუქციის ბაზარზე მოწინავე პოზიციების დასაკავებლად, სადაც გაითვალისწინება დამატებითი ღირებულებების ჯაჭვის შექმნა, გაზრდილი ეკონომიკური მაჩვენებლები, საკმაოდ განვითარებული სანედლეულო და ეკონომიკურად მომგებიანი საინვესტიციო ბაზა.

ლიტერატურა

1. ჰტტპ://გიბრტოფ.წ ორგ/არტიკ-კლუბაქა-მ ეტალურგიდ-ზ ფენქკ-ტექნოლოგ/
2. ჰტტპ://წწწ .ალტერ.ცომ /–ალმ ედა/ალტერ/ცოფეტინ-ალეტსოფტ/ლიტ ენ ტ/ლიტერატურ/კლაცენტრ-ეფექტ ანცემ ინიგ.კლ
3. ჰტტპ://ლარუ .ოლიფ/მ ეტალურგ-ქცა-სერბრ-ვ-მ ინ/
4. Minერალი მ ოლიხსუ მ არტ 2020. შეიეფეფრა ცანბიგ წ ოლ.შ. Geoლოგიაფეფ, 200 პ.
5. ტაბატაძე გ., ქოიავა ნ., კახაძე ბ. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ეკონომიკა და მენეჯმენტი. თბილისი, ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007. 190 გვ.
6. Milton H. შპენცერ ბ ოსტ პ ოლარ E ცონ ომ ინსტ.E დ, New Yor, 1986. 680 პ.
7. ჰტტპ://წწწ .პწ ცეფ /ბხ/ენ/ენეფ-შეფ ოფ ინ ბ/პშლ ინ ბ/კლშპწ ფ-ინ-2020.კლ
8. ჰტტპ://წწწ .პწ ცეფ /ბხ/ენ/ნეწ-ოფ /არეს-ოლ ეს/2020/ინ-2020.ჰფ ლ
9. ჰტტპ://აცბ.ფ/არკ/ფ/ფლ ეშლ ინ ბ/2094.კლ
10. ჰტტპ://ბშარბერ.ფ/ტარიქ–სქრექ–ონკ/აერმ ოტ–ინ ბ–ცნ–ნა–ოინ ნქ–ბრეკ–ბინ.ენ ბ–სქრ ა/
11. ჰტტპ://წწწ .პწ ცეფ /ინ ხ/ესშლ ინ ბ/არკ/ინ/2019/06/20190604-პწ ცინ ხ -ინ ინ-ოკ-2019.კლ
12. ჰტტპ://ინიგ-ინ ედ.ე/ოლ/ოლ ეფ ინ ბ/4527-ბლ ეფ ლ ქა-ბ ოლ ქა-კრ ქსკლ ინ ბ-2018 -ბ ოლ-ინ ინ ინ

Topical aspects of world business development of mineral-resource potential

Lobjanidze Gela
Georgian Technical University, Associate Professor

Tabatadze Goderdzi
Georgian Technical University, Emeritus

შუმი არყ

ინვესტიციებსა ან ფულადი სახსრების,სტაბილურობის ფასიანი ქაღალდების,ფასეულობათა ბაზრის ინფრასტრუქტურის,ინოვაციური ტექნოლოგიების,ინფორმაციის,ინტელექტუალური საკუთრების,ადამიანური კაპიტალის,ეროვნული ეკონომიკის,ეროვნული ფინანსური ბაზრის,ეროვნული ბანკის,ეროვნული ფასიანი ქაღალდების,Georgia's ეროვნული ენერგეტიკული ბალანსის,ასევე ელექტრონული ბანკინგის,ელექტრონული ბიზნესის,ეროვნული ბანკის

KEY WORDS Minერალური ნედლეულის, ლეგალიზაციის, პროცესებიფინანსურიაქტივების,ბანკის,ეროვნული ბანკის

უცხოური ინვესტიციების ეფექტურად გამოყენების მიმართულებები საქართველოში

მარტიაშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ფიფია ასმათი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოში ეკონომიკური დონის ზრდისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისათვის, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობაა, საინვესტიციო პროცესების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს მსგავსი პატარა, რესურსებით არც თუ ისე მდიდარი ქვეყნებისათვის. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ სამართლებრივი აქტების საფუძველზე საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არაფინანსურ აქტივებში ინვესტიციების აღრიცხვას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უჭირავს. ინვესტიცია შეიძლება იყოს შიდა ან საგარეო (უცხოური). ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის. საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს ისეთი შემოსავალი არ აქვს რომ ფული დაზოგოს. სწორედ ეს ფაქტორი კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.

სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (პუი), რადგან სწორედ ის არის ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მთავარი ფაქტორი. დღევანდელი მეთოდოლოგიით პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია, თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10%-ზე მეტია. ქვეყნის შიდა ბიზნეს-გარემოს გარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: უცხოური ინვესტიციები, ბიზნეს-გარემო, ინვესტიციების პორტფელი, ეკონომიკური ზრდა, პრივატიზაცია.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება.

როგორც ცნობილია, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით და სამუშაო ძალის სიიაფით საქართველო მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. თუმცა არის მთელი რიგი მიზეზებისა, რის გამოც საქართველო ნაკლებად მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, კერძოდ: პოლიტიკური არასტაბილურობა, დიდი საგარეო ვალი, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები საბოლოოდ არაა დაზუსტებული და ა.შ.

ჩვენი აზრით, ინვესტიციების მოზიდვას ხელს შეუწყობს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. დაბეგვრის შეღავათიანი სისტემის დაწესება;
2. დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების უფლების მიცემა;
3. უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიმართ სელექციური პოლიტიკის გატარება (დარგების დაჯგუფება უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზანშეწონილობის მიხედვით);
4. საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება.

მართალია, საქართველოში კანონის მიხედვით უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ ინვესტორები საქართველოში შემოსვლისათვის **პოლიტიკური რისკის დაზღვევას** ითხოვენ, ამასთან აუცილებელია **სასამართლო სისტემის სრულყოფა,** ინვესტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი საკუთრება დაცული იქნება.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები უჩვენებს, რომ საქართველოში დღემდე ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება **ეფექტური ბიზნეს გარემოს** შექმნა. **სახელმწიფო პოლიტიკა,** რომელიც მოიცავს ისეთ

მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებს, როგორიცაა ქვეყნის მონაწილეობა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც მოცემულ საკითხს არეგულირებენ და ამ ხელშეკრულების პირობების დაცვა, მოქნილი სასამართლო სისტემის ფორმირება, ეკონომიკური რეფორმირების დასრულება და სხვა, გავლენას ახდენს ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე კაპიტალდაბანდებასთან მიმართებაში. საგულისხმოა, რომ რეალური ინვესტორი ქვეყანაში კაპიტალს არ დააბანდებს, თუ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელის ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა. ანუ ინვესტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა შენარჩუნებული იქნება და კრიზისული მდგომარეობა არ შეიქმნება მისი საინვესტიციო პროექტის მსვლელობის პერიოდში.

2003 წლიდან მოყოლებული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური (შაჰ-დენიზის) გაზსადენის მშენებლობას უკავშირდება.**

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ინვესტიციების დაბანდების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა **პრივატიზაცია** ქსელურ ინდუსტრიაში (ტელეკომუნიკაციები, ელექტროენრგიის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობტერმინალები, მედია), უძრავ ქონებაში (სასტუმროები), მძიმე მრეწველობაში ან ნედლეულის მოპოვებაში (შავი ლითონები, მაგნეზიტი, სასუქები, სპილენძი, ცემენტი).

უძრავი ქონება, მძიმე მრეწველობა და ნედლეულის მოპოვება შედარებით ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან ისინი არ ზრდიან ეკონომიკურ სიმძლავრეებს და დასაქმებისა და დამატებითი ეკონომიკური ეფექტების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ხოლო პრივატიზების შედეგად მიღებული საინვესტიციო ნაკადები თავისი ბუნებით ერთჯერადია, თუ მათ არ მოჰყვება შემდგომი მსხვილი კაპიტალდაბანდებები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბაზრის მასშტაბები საკმაოდ მცირეა და ამიტომ **სტრატეგიული ინვესტორები** (მილსადენების პროექტების გარდა) საქართველოში უმთავრესად გაცნობის (და არარეალური ქმედების) მიზნით ჩამოდიოდნენ, ხოლო ინვესტიციებს, ფაქტობრივად, შედარებით წვრილი კომპანიები ახორციელებდნენ, საქართველო იძენს მნიშვნელოვან საერთაშორისო **ეკონომიკურ ფუნქციას** – "ევროპა-კავკასია-აზიის" სატრანსპორტო დერეფანის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ხდება. რამაც სტრატეგიული ინვესტორებისათვის საქართველო მიმზიდველი და ყურადსაღები ქვეყანა გახადა, რადგანაც საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის ეფექტიანობა საქართველოს ან თუნდაც მთელ სამხრეთ კავკასიის ბაზრის მასშტაბებით აღარ განისაზღვრება, ვინაიდან სატრანსპორტო არტერიის გათვალისწინებით (საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის რეალური აღიარება მოხდა 1998 წელს, როცა დაიწყო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა და ამოქმედება) ეს უკანასკნელი ერთდროულად ორი – ევროპისა და აზიის მიმართულებით შეიძლება გაიზარდოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქართველოში ბიზნესის კლიმატის გაუმჯობესებამ ქვეყანა ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი გახადა. რეფორმების შედეგად შექმნილი ზრდის ინერცია ეხმარება ეკონომიკას, რათა აანაზღაუროს მთავარი საექსპორტო ბაზრის (რუსეთის) დაკარგვისაგან მიღებული ზარალი. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სანქციების მიუხედავად, უცხოელი ინვესტორები უფრო მეტად დაინტერესდნენ საქართველოში საინვესტიციო საქმიანობით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებები, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესება 2006 წლის ოქტომბერში და 2008 წლის ომი, უარყოფითად აისახა საქართველოს **საინვესტიციო გარემოზე** (საერთაშორისო ექსპერტების მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგზე დაყრდნობით), რამაც განაპირობა ინვესტიციების შემცირება გეოპოლიტიკური რისკის ზრდის გამო და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება.

საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება სჭირდება, ამისათვის კი ყოველწლიურად უფრო მეტი პუი უნდა შემოვიდეს, ვიდრე ბოლო წლებში შემოდის. მართალია დღეს მსოფლიოში საინვესტიციო ბუმი არ არის (რომელიც იყო 2006-2008 წლებში), თუმცა ეს არ ნიშნავს , რომ მეტი ინვესტიციის მოზიდვა არ შეგვიძლია, თუკი უკეთესი ბიზნესგარემო გვექნება. საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ასევე, საკმაოდ ლიბერალური სავიზო რეჟიმი (90-მდე ქვეყნის მოქალაქეს უვიზოდ შემოსვლა შეუძლია).

2016 წლის მონაცემებით საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია 2,2 მილიარდი დოლარით. შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო 1,8 მილიარდი დოლარით. მესამეზე ნიდერლანდებია 1,6 მილიარდი დოლარით. აზერბაიჯანული და ბრიტანული ინვესტიციები ძირითადად საქართველოზე გამავალ ნავთობისა და გაზის მილსადენებს უკავშირდება.

საინტერესოა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკის რომელი სექტორები იზიდავენ ყველაზე მეტად. 2016 წლის მონაცემებით სექტორების მიხედვით ლიდერობას ტრანსპორტი ინარჩუნებს, მეორე ადგილზე მშენებლობაა ხოლო მესამეზე საფინანსო სექტორი. ჩამონათვალს ასრულებს სოფლის მეურნეობა.

საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის კიდევ ერთი მიმზიდველი მხარდაჭერის მექანიზმს წარმოადგენს "საპარტნიორო ფონდი". აღნიშნული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი მეწარმეს სთავაზობს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას (ექვიტი, სესხი), რათა უცხოელი ინვესტორისთვის მოხდეს დამატებითი რისკების შემცირება. საქართველოში ასევე აქტიურად ფუნქციონირებს ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც მოქმედებს ფოთში, ქუთაისსა და თბილისში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

„აწარმოე საქართველოში“ - ინვესტიციის მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

2020 წლის 1 კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურა ასეთია: პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო - 44,2%, მეორე ადგილზე აშშ - 17,17%, მესამეზე პანამა - 11,9%, მეოთხეზე დანია - 7%, მეხუთეზე ნიდერლანდები - 6,7% , მეექვსეზე თურქეთი - 6,7% ხოლო მეშვიდე ადგილს დანარჩენი ქვეყნები იკავებს - 6,5%.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის 1 კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება კი ასეთია: საფინანსო სექტორი - 57,4%, უძრავი ქონება - 20,6%, სასტუმროები და რესტორნები - 9,5%, კავშირგაბმულობა 7,7%, ხოლო დანარჩენი სექტორები - 4,8%.

ასევე 2020 წლის წინასწარ მონაცემებით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის 1 კვარტალში 165,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის 1 კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 41,7%-ით ნაკლებია. შემცირების და ცვლილებების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის საჭიროა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ:

პირველი - აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება, რადგან საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით საქართველო კვლავაც რჩება ქვეყნად, სადაც საკმაოდ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული კორუფცია და ბიუროკრატიული აპარატი, მიუხედავად ამ სფეროში მომხდარი დადებითი ძვრებისა;

მეორე - მიუხედავად ბოლო პერიოდში საგადასახადო კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილებებისა და გადასახადების საერთო რიცხვის შემცირებისა, კოდექსი კვლავაც მოითხოვს შემდგომ სრულყოფას, განსაკუთრებით ადმინისტრირების ნაწილში. შესაბამისად, საქართველოს განვითარებისათვის აუ-

ცილებელია მსხვილი ინვესტიციები, ამიტომ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება დღესაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე. ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი დიდი პრობლემაა, შეუძლებელია მოხდეს უცხოური ინვესტიციების გარეშე. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. თუ არ მოხდა ინვესტიციების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, შეუძლებელია შევაჩეროთ ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა ემიგრაციის ზრდა, ან დემოგრაფიული პროცესები, რომელიც ფაქტიურად საქართველოს დეპოპულაციისკენ მიაქანებს. ყველა ამ პრობლემის მოგვარების გზა არის მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ. ინვესტიციების თეორიული გენეზისი THEORETICAL GENESIS OF INVESTMENTS. სტუ, თბილისი, 2013;
2. კაკულია ე. ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა. თბ., 2010;
3. ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე. სტუ, თბ., 2010;
4. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ. კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია). სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბ., 2016 (ელექტრონული წიგნი).
5. Липартиа З. Ш., Липартиа Л.З. Инвестиционные решения в условиях инфляции в экономике Грузии. Международная конференция, ГТУ. Тб., - 2011.
6. https://www.geostat.ge
7. https://www.geostat.ge
8. http://www.enterprisegeorgia.gov.ge

Direct [illegible] Geo[illegible]

Martiashvili Maia
Assistant-professor of Georgian Technical University

Pipia Asmati
Assistant-professor of Georgian Technical University

[illegible]

F[illegible] Geo[illegible] [illegible] 10%. [illegible]

ქალთა დასაქმების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

ნუცუბიძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გაძლიერება დასაქმების დინამიკისა და მუშახელის ხარისხისადმი, ეკონომიკის მოთხოვნილებების შრომით უზრუნველყოფაში შესაძლო დისბალანსის წანამძღვრებმა აქტუალური გახადა დასაქმების პრობლემები. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შეიძლება გამოვყოთ ორი მიდგომა ცნებისადმი „მოსახლეობის დასაქმება“: წარმოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური.

„ქალთა დასაქმება“ წარმოადგენს საერთო ცნების დაკონკრეტებას, თუმცა, იმავდროულად, მას გააჩნია დამოუკიდებელი შინაარსი. ქალთა ჩაბმას საზოგადოებრივ წარმოებაში თან ახლდა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა შესწავლაც აისახა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქალთა შრომის ადგილსა და როლს საზოგადოებრივ წარმოებაში განსაზღვრავს მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივი ურთიერთობების დონე და ხასიათი.

ქალთა შრომა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ საზოგადოებრივი შრომის ნაწილად მისი ხასიათიდან, გამოვლენის ფორმიდან და განვითარების კანონზომიერებებიდან გამომდინარე, არამედ როგორც აღნიშნული შრომის განსაკუთრებული ნაწილი. მოცემული თავისებურება განპირობებულია ქალის იმ როლით, რომელსაც იგი ასრულებს მოსახლეობის აღწარმოებასა და მოზარდი თაობის აღზრდაში.

ქალთა პროფესიული დასაქმების განვითარებაში უნდა გამოვყოთ სამი პერიოდი: წინარეინ-დუსტრიული (X-XVIII სს), ინდუსტრიული (XIX-XX საუკუნის პირველი ნახევარი), პოსტინდუსტრიული (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღმდე).

პოსტინდუსტრიულ ეტაპი ხასიათდება შემდეგი დამახასიათებელი ნიშნებით:

- საზოგადოებრივად ორგანიზებულ შრომაში ქალთა უმრავლესობის ჩაბმა;
- ქალთა კვალიფიციური შრომის პრიორიტეტულობის ზრდის ტენდენცია;
- სქესისმიერი როლური დიფერენციაციის ცვლილება შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში;
- ყურადღებას იქცევს ქალურ დარგებში დასაქმების ევოლუციის თავისებურება;
- მას განსაზღვრავს ქალურ დარგებში დასაქმების თანამედროვე ტიპზე დაჩქარებული გადასვლა.

საკვანძო სიტყვები: ქალთა დასაქმება, დიფერენციაცია, ევოლუცია, საზოგადოებრივი წარმოება, აღწარმოება, სამუშაო ძალა, ინდუსტრიული პერიოდი.

ძირითადი ტექსტი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გაძლიერება დასაქმების დინამიკისა და მუშახელის ხარისხისადმი, ეკონომიკის მოთხოვნილებების შრომით უზრუნველყოფაში შესაძლო დისბალანსის წანამძღვრებმა აქტუალური გახადა დასაქმების პრობლემები 1960-1970-იან წლებში.

მოსახლეობის დასაქმების ცნებისადმი არსებობს ორი მიდგომა: წარმოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური. პირველი მიდგომის მომხრეები დასაქმებას განიხილავენ წარმოების პოზიციიდან და მას ეკონომიკურ კატეგორიად თვლიან, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს საზოგადოებრივ წარმოებაში ადამიანის ჩაბმასთან დაკავშირებით. დასაქმების ასეთი გაგების მთავარი ნაკლი ის არის, რომ ადამიანი და მუშახელი გაიგივებულია, ხოლო პიროვნული და ნივთიერი ფაქტორები წარმოების თანაბარმნიშვნელოვან ელემენტებადაა მიჩნეული. ადამიანი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების იარაღი. პრიორიტეტული სოციალური მიზნების მიღწევის ნაცვლად ადამიანის მიმართ გამოიყენებოდა ე.წ. წარმოებრივი (რესურსული)

მიდგომა. დასაქმების მართვის პოლიტიკა, ათწლეულების მანძილზე, ყველა დონეზე განისაზღვრებოდა არა ადამიანის, არამედ სახელმწიფოსა და ეკონომიკური ინტერესებით.

ჩვენი აზრით, დასაქმებისადმი ასეთი მიდგომა წმინდა ეკონომიკურია და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დასაქმების პრობლემატიკა მრავალასპექტიანია და დაკავშრებულია ადამიანის ცხოველ-ქმედების ყველა მხარესთან: წარმოებასთან, განაწილებასთან, მოხმარებასთან, მოსახლეობის შემოსავლებსა და კულტურასთან, მის რეპროდუქციულ ქცევასთან, ცხოვრების წესთან.

მეორე მიდგომის წარმომადგენლები, რომლის მომხრეებიც ვართ ჩვენ, აანალიზებენ დასაქმებას როგორც სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას. ასე, მაგალითად, გ.ე. სლენგერი[1] აღნიშნავს, რომ დასაქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, ახასიათებს საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში, შესაბამისი შემოსავლის მიღებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს.

მასში შედის მომუშავეთა დასაქმების ყველანაირი სახეები და ფორმები, ხოლო დასაქმებულ მოსახლეობას მიაკუთვნებენ ყველა პირს, რომელიც დაკავებულია ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში. ყველა ამ მოთხოვნას პასუხობს საქართველოს კანონში „მოსახლეობის დასაქმების შესახებ“[2] გადმოცე-მული დასაქმების განმარტება. ამრიგად, მოსახლეობის დასაქმებაში ჩვენ ვგულისხმობთ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც ასახავს ადამიანის მონაწილეობას არა მხოლოდ დაქირავებული შრომის პროცესში, არამედ მეწარმეობაში ან საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებაში, თვითდასაქმებას.

„ქალთა დასაქმება“ წარმოადგენს საერთო ცნების „მოსახლეობის დასაქმება“ დაკონკრეტებას, თუმცა, გააჩნია დამოუკიდებელი შინაარსი. ქალთა დასაქმების საკითხების შესწავლის საქმეში თვალსაჩინო ნაშრომების რიცხვს მიეკუთვნება პირველ რიგში ს.გ. სტრუმილინის შრომები. მან შეიმუშავა შრომითი რესურსების ბალანსი სქესის ასპექტით, განსაზღვრა ქალთა დასაქმების სტრუქტურა სახალხო მეურნეობაში, გამოავლინა წარმოებაში ქალთა შრომის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი შესაძლებლობები.

ქალთა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს იკვლევდნენ სხვადასხვა მეცნი-ერები. ქალთა შრომითი საქმიანობის პრაქტიკული ასპექტების, მათი საოჯახო და პროფესიული მოვალეობების შერწყმის საკითხების კვლევას მიეძღვნა არაერთი შრომა.

საკვლევი საკითხების წრე დღეისათვის საკმაოდ ფართოა და მოიცავს ახალ ეკონომიკურ პირობებთან ქალთა ადაპტაციის პრობლემებს, ქალთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერას, შრომის ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას, დასაქმების სფეროში არსებულ დისკრიმინაციას, დასაქმების პოლიტიკისა და შრომითი კანონმდებლობის გენდერულ ექსპერტიზას. აქტუალურია საკითხი სამეცნიერო ლექსიკონში ტერმინების - „ქალი - სამუშაო ძალა“, „ქალთა შრომა“, „ქალთა შრომის ეფექტიანობა“, „ქალთა დასაქმება“ „ქალურ დარგებში დასაქმება“ - გამოყენების საკითხი.

ქალთა შრომის ადგილსა და როლს საზოგადოებრივ წარმოებაში განსაზღვრავს მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივი ურთიერთობების დონე და ხასიათი. საზოგადოების თანამედროვე განვითარების ეტაპზე იგი გახდა მთლიანად საზოგადოებრივი შრომის ნაწილი, შეიძინა ისეთივე ნიშნები, როგორც მამაკაცის შრომამ. ამავდროულად, ქალის შრომა განსხვავდება მამაკაცის შრომისაგან: ქალები არა მხოლოდ ხელს უწყობენ მატერიალური სიკეთეების წარმოებას, არამედ ასრულებენ დედის ფუნქციასაც, რაც მათ უზღუდავს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ქალთა შრომის რაოდენობაზე გავლენას ახდენს სოციალურად აუცილებელი შრომითი წყვეტა.

1980-იან წლებში სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოჩნდა სხვადასხვა თვალსაზრისი „ქალთა შრომის“ ცნებასთან მიმართებით. ეს არის შრომა, რომელსაც შეიძლება ასრულებდეს ქალი მისი ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებებით განპირობებული შრომითი შესაძლებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ქალთა შრომას განიხილავენ როგორც საზოგადოებრივ წარმოებაში, საოჯახო ყოფა-ცხოვრებაში, ბავშვთა მოვლისა და აღზრდის სფეროში ქალთა ფიზიკური და

[1] Слезингер Г.Э. Труд в условиях рыночной экономики. - М.: ИНФРА-М, 2016.-336 с.

[2] საქართველოს კანონი დასაქმების შესახებ

სულიერი შესაძლებლობების გახარჯვის პროცესს.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ცნებები ფემინური შრომა და ქალთა შრომა, ანუ შრომა, რომელსაც ფაქტობრივად ასრულებენ ქალები. ჩვენ ვეთანხმებით ზ.მ. იუკს იმასთან დაკავშირებით, რომ ტერმინი „ფემინური შრომა“ უნდა შეიცვალოს „ქალთა შრომით“. მეცნიერული თვალსაზრისით, ცნება „ქალთა შრომა“ გამოხატავს მთლიანი საზოგადოებრივი შრომის სწორედ იმ ნაწილს, რომელსაც ისინი ასრულებენ. ტერმინი „ქალთა შრომა“ გვაძლევს საშუალებას ყველაზე სწორად დავაყენოთ ეკონომიკაში ქალთა შრომის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, უზრუნველვყოთ სოციალური და ბიოლოგიური შესაბამისობა.

კატეგორია „ქალთა შრომის ეფექტიანობა“ უნდა განვიხილოთ მხოლოდ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებთან ერთობლიობაში. თუმცა, სხვადასხვა მიდგომებში ძლიერდება ესა თუ ის ასპექტი. ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი შრომისა და საზოგადოების დემოგრაფიული პრობლემების ურთიერთკავშირს, ვინაიდან ქალთა მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილება იწვევს ცვლილებებს მოსახლეობაში.

ქალთა საზოგადოებრივი შრომის ეფექტიანობის დონე უშუალოდაა დამოკიდებული საზოგადოებრივ წარმოებასა და შინამეურნეობაში მისი შრომითი დანახარჯების თანაფარდობასთან. საშინაო შრომა ამჟამად ძირითადად ქალთა შრომაა. შინამეურნეობებში შრომის მთლიანი დანახარჯების თითქმის ორი მესამედი მოდის ქალებზე, შვილების აღზრდის გათვალისწინებით. საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით (1994 წ.), საშინაო საქმეებთან დაკავშირებით კითხვაზე ფაქტობრივად ერთნაირი თვალსაზრისი გამოითქვა: მამაკაცები ქალებზე ნაკლებად მონაწილეობენ საშინაო საქმეებში. ამის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის საქმიანობას შორის განსხვავებას საზოგადოებრივი წარმოების მიღმა კლების ტენდენცია აქვს. მაგალითად, 1920-იან წლებში მამაკაცებისა და ქალების შრომითი დანახარჯების თანაფარდობა საშინაო საქმეებში შეადგენდა 1:5-ს, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისისთვის უკვე 1:2,5-ს.

ქალთა დასაქმებით ურთიერთობებს განსაზღვრავს კატეგორიები „ქალურ დარგებში დასაქმება“ და „ქალთა დასაქმება“. სამეცნიერო ბრუნვაში შემოაქვთ განსხვავებები ზემოთ აღნიშნულ ტერმინებს შორის. „ქალურ დარგებში დასაქმებაში“ გულისხმობენ ქალთა განაწილებას იმ სფეროების, დარგების, წარმოებებისა და პროფესიების მიხედვით, რომლებიც სრულად შეესაბამება ქალის შრომის გამოყენების სპეციფიკას, ხოლო „ქალთა დასაქმებაში“ - ქალთა შრომის პრაქტიკულ გამოყენებას.

ჩვენი აზრით, მოცემული განმარტებები არ გამოხატავს ქალთა დასაქმებითი ურთიერთობების სპეციფიკას თანამედროვე პერიოდში. პროფესიულ საქმიანობას დღეისათვის ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია ქალთა ფასეულობით ორიენტირებში და დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს პირველ რიგში როგორც თვითრეალიზაციის სფერო, თუმცა არც ეკონომიკურ მოტივაციას გამორიცხავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კატეგორია „ქალურ დარგებში დასაქმება“ უნდა ასახავდეს საზოგადოების ინტერესებს. აღნიშნულ ტერმინში უნდა ვიგულისხმოთ დასაქმება, რომელიც დაკავშირებული იქნება ქალთა შრომასთან, როცა მათი შრომითი საქმიანობა განიხილება არა უბრალოდ ეკონომიკურ აუცილებლობად, არამედ ქალის პიროვნული თვითგამოხატვის საშუალებად, რაც მოცემულ ეტაპზე უდიდეს სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

ქალთა პროფესიული დასაქმების განვითარებაში უნდა გამოვყოთ სამი პერიოდი: წინარეინდუსტრიული (X-XVIII სს), ინდუსტრიული (XIX ს. – XX საუკუნის პირველი ნახევარი), პოსტინდუსტრიული (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღმდე).

წინარეინდუსტრიულ პერიოდში განვითარება ჰპოვა ქალთა დასაქმების ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა დიასახლისობა, შინამოსამსახურეობა, ოჯახურად ორგანიზებული შრომა (ყოველდღიური მოთხოვნილების საგნების წარმოება საამქროებსა და სახელოსნოებში). ხელობა, რომლითაც შეიძლებოდა დაკავებული ყოფილიყო მამაკაციც და ქალიც, მრავლად იყო. X-XV საუკუნეებში თითქმის ყველა პროფესია მისაწვდომი იყო ქალებისთვის. გვიან შუასაუკუნეებში შეინიშნება პროფესიული შრომის ბაზრიდან ქალის გამოძევება, რომლის საფუძველი გახდა დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში.

სამრეწველო გადატრიალების შედეგად, ოჯახურად ორგანიზებულმა შრომამ, როგორც ქალთა დასაქმების ფორმამ, არსებობა შეწყვიტა, გავრცელდა ქალთა დასაქმება საზოგადოებრივად ორგანიზებული დაქირავებული შრომის ფორმით. საფაბრიკო მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ დაიწყო ქალთა მასობრივი ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში, რაც, ვ.ი. ლენინის შეფასებით, პროგრესული მოვლენა იყო. მანქანურმა წარმოებამ გააკოტრა მცირე საქონელმწარმოებლების აბსოლუტური უმრავლესობა და განაპირობა დიდი მოთხოვნები ნაკლებად კვალიფიციურ და იაფ სამუშაო ძალაზე, რამაც ქალის საფაბრიკო შრომა კონკურენტუნარიანი გახადა.

XIX საუკუნის შუახანებისთვის იქმნება ე.წ. ქალური დარგები: საფეიქრო, სამკერვალო, წინდების, თამბაქოს მწარმოებელი. დიდ ბრიტანეთში 1840 წლისათვის ბამბეულის ფაბრიკაში ქალები შეადგენდნენ მომუშავეთა 56 %-ს, ქსოვილის ფაბრიკაში - 70 %-ს, აბრეშუმსაქსოვ და სელის საქსოვ ფაბრიკებში - 71 %-ს. მოყვანილი სტატისტიკა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ქალებს შეეძლოთ ემუშავათ ისეთ დარგებში, რომლებიც ახლოს იყო მათი ტრადიციული საქმიანობის სფეროსთან.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში დიდი მნიშნელობა შეინარჩუნა ქალთა დასაქმების ისეთმა ფორმამ, როგორიცაა შინამოსამსახურეობა. 1870-1880-იან წლებში ევროპის ქვეყნებში შინამოსამსახურეებად მუშაობდა შრომისუნარიანი ასაკის ქალთა 10-12 %, საქართველოში კი მათი რიცხვი 44 %-ს აღწევდა.

დასაქმების სფეროში ქალთა მონაწილეობის ინდუსტრიული პერიოდის დასრულება მიეკუთვნება XX საუკუნის პირველ ნახევარს. ამ დროისათვის ქალთა ხვედრითი წილი ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობის 25-40 % შეადგენდა. აღნიშნული ეტაპის თავისებურებას წარმოადგენს წარმოების სფეროში გაუთხოვარი ქალების ჩაბმა. 1911 წელს, ინგლისში, დასაქმებულ ქალთა 70 % მარტოხელა ქალები იყვნენ და მხოლოდ 10 % - დაოჯახებული. ამასთანავე, ქალთა შრომა ნაკლებად კვალიფიციურ შრომად რჩებოდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ქალურ დარგებში დასაქმება ძირეულ ცვლილებებს განიცდის, რაც მოწმობს მისი განვითარების ახალი, - პოსტინდუსტრიული ეტაპის დაწყებას. შეიძლება გამოვყოთ თანამედროვე ეტაპის შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

- საზოგადოებრივად ორგანიზებულ შრომაში ქალთა უმრავლესობის ჩაბმა;
- ქალთა კვალიფიციური შრომის პრიორიტეტულობის ზრდის ტენდენცია;
- სქესისმიერი როლური დიფერენციაციის ცვლილება შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში;
- ყურადღებას იქცევს ქალურ დარგებში დასაქმების ევოლუციის თავისებურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Барбьери Э.М. Роль женщины в обществе будущего // Курьер ЮНЕСКО. -2008.-№ 1.-С.41-43.
2. Беккер Г.С. Экономика семьи и макроповедение // США: экономика, политика, идеология. - 1994. - № 2.- С. 99-108, № 3. - С. 93-99.
3. Моор СМ. Женщина на пороге XXI века: тендерные исследования социально-экономических проблем. - Тюмень: Издательство Тюменского университета,2009, 243.
4. Les pays qui font le plus de place aux femmes. // Expansion. - P., 1997. 5 nov.-P. 120-124. 147
5. Гидценс Э. Пол, патриархат и развитие капитализма // Социологические исследования.-1992.-№7.-С. 135-140. 137

[illegible]

Nutsubidze Nino
PhD student of Georgian Technical University

შუამავალი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

პირდაპირი უცხოური ინვესტივიების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ოთარაშვილი ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გვაჯაია ლუარა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის საშუალებით. შესაბამისად აღნიშნულ პროცესთან ერთად გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოელ ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს. [1]

ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა განახოციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან ინვესტიციების მოზიდვა განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდის და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად .[2]

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლოა უარყოფითი შდეგიც ჰქონდეს.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტიციები, ეკონომიკა, განვითარება, ფინანსური სტაბილურობა

ძირითადი ტექსტი

ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

ნებისმიერი ინვესტირების, მთავარი მოქმედი პირი ინვესტორია. ინვესტორი არის პირი ან კომპანია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ბიზნესის რომელ სფეროში რა სახის ინვესტირება განახორციელოს.[3]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე მრავალმხრივია, დაბალანსებულ მეთოდად შეგვიძლია განვიხილოთ მისი დაყოფა მაკრო და მიკროეკონომიკურ მოდელებად. პირველი გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ემპირიულ ანალიზს ეკონომიკის ზრდაზე, ვაჭრობაზე, დასაქმებასა და უმუშევრობა. ასევე ხელფასების დინამიკის ცვალებადობაზეზე დაკვირვებით. ხოლო მიკრო დონეზე კი ინვესტიციები შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული საწარმოების დონეზე.

წარმოების მიხედვით , ინვესტიციები იყოფა ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებად,

ადგილობრივია ინვესტიცია, რომელიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტის მიერ არის განხორციელებული. უცხოური შესაბამისად უცხო ქვეყნის მიერ აგნხორციელებულ ინვსტიციას გულისხმობს.

წარმომავლობის მიუხედავად, დღევანდელ პერიოდში განსაკუთრებულად დიდია გრძელვადიანი ინვესტიციების როლი. რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებსი მყარ გარანტს იძლევა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთი ტიპის ინვესტიციების მიმართ მიმღები ქვეყნებისა და ორგანიზაციების

---

[1] Aფუკიზაძე 2003
[2] OECD, 2002
[3] http://delta-capital.ge/news/id=5

დაინტერესება დიდია.

განასხვავებე უცხოური ინვსტიციების შემდეგ ტიპებს:

“გრინფილდ ინვესტიცია“ - პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ისეთი ფორმაა, რომელიც ახალი საწარმოს ნულიდან შექმნას, ან უკვე არსებულის გაფართოვებას გულისხმობს, ასეთი ტიპის ინვესტიციებს ძირითადად დიდი საერთაშორისო კორპორაციები მიმართავენ.

“ბრაუნფილდ ინვესტიცია“ - გულისხმობს უკვე არსებული დაწესებულების შეძენას, რათა ის სხვა საქმიანობისთვის იქნეს გამოყენებული.

„შერწყმა“ და „შთანთქმა“ - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი განსხვავბული სახეობაა, შერწყმა გულისხმობს ორიან მეტი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების გაერთიანებას, ხოლო „შთანთქმა“ გულისხმობს უფრო დიდი კომპანიების მიერ შედარებით მცირე ზომის კომპანიების მიერთებას.

ჰორიზონტალური ინვესტიციების დროს ინვესტიციები მიმართულია კომპანიის არსებული ძირითადი დარგისკენ.

ვერტიკალური ინვესტციები

ვერტიკალური ინვესტიციებისას წარმოების პროცესი დაყოფილია რამდენიმე ეტაპად, ხდება ფილიალების განთავსება სხვა და სხვა ქვეყანაში, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების შიდა პროცესს. გაასხვავებენ ვერტიკალური ინვესტიციის ორ ტიპს - პირველი, ისეთი სახის ინვესტიციაა, როდესაც ნედლეულის წარმოება ხდება მიმღებ ქვეყანაშ, რომელიც შემდგომ იგზავნება სათავო ოფისში, მეორე შემთხვევაში ტრანსნაციონალური კომპანიები სხვა და სხვა ქვეყანაში განთავსებულ ფილიალებს გადასცემენ წარმოების ფაქტორებს, შიდა წარმოების პროცესის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მსგავსი მცირე ზომის ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა განსაკუთრებით ფასეულია, მდგრადი ეკონომიკური გარემოს შესანარჩუნებლად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის ანგარიშში „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ პოზიტიურად აფასებს საქართველოში ბაზრის ეფექტიანობას. 2012 წელთან შედარებით ქვეყნის შეფასება 28 პოზიციით გაუმჯობესდა და 2017 წელს 46-ე ადგილი დაიკავა. ქვეყნის მდგომარეობა შემდეგ კომპონენტებში გაუმჯობესდა:

- ადგილობრივი კონკურენციის სიძლიერე 50 პოზიციით გაუმჯობესდა და 128-ე ადგილიდან 78-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- ბაზარზე დომინანტის მოცულობა 36 პოზიციით გაუმჯობესდა და 112-ე ადგილიდან 76-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- გადასახადის ეფექტი ინვესტიციებზე 24 პოზიციით გაუმჯობესდა და 35-ე ადგილიდან მე-11 ადგილზე გადმოინაცვლა;
- სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 37-ე ადგილიდან მე-14 ადგილზე გადმოინაცვლა;
- ბიზნესის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე 30 პოზიციით გაუმჯობესდა და 53-ე ადგილიდან 23-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- საბაჟო პროცედურების ტვირთი 15 პოზიციით გაუმჯობესდა და 27-ე ადგილიდან მე-12 ადგილზე გადმოინაცვლა.

ბიზნესის კეთება: საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, რაც სხვადასხვა რეიტინგებში პოზიტიურად აისახა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში ბიურიკრატიული წნეხის არქონას და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობას.

დასკვნა

ბოლო ათწლეულში შექმნილმა საინვესტიციო გარემომ, ქართული მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისთვის განსაკუთრებული შესაძლებლობები შექმნა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ.

მცირე და საშუალო ზომის კოპანიებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ პირდაპირი კომუნიკაცია

პოტენციურ ინვესტორთან და განავითარონ საკუთარი ბიზნესი.

უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე ძირითადად დადებითია, როგორც ეკონომიკური, ისე ადამიანური კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით.

ინვესტიციების ნაკადის თანმდევი ეფექტია მულტინაციონალური კომპანიების ფორმირება, რაც საქართველოშ მოქმედი კომპანიების მენეჯმენტისთვის ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

მულტინაციონალური კომპანიების მართვა ახლებურ მიდგომასა და თეორიულ-პრაქტიკულ ბაზას საჭიროებს, კულტურათაშორისი სხვაობების გათვალისწინებით.

საქართველოში არსებული კომპანიები, ამ ეტაპზე ხასიათდებიან კულტურათაშორისი კომუნიკაციების მართვის მწირი გამოცდილებით, რაც საჭიროებს სრულყოფასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aსრ L., ჩ ჰანდა, A., Kaleმ ლOzcან, შ., შაქეკ, შ. (2004). FDI ანდ EცნOმ იCGrოw ტ:ჰOმეე ღOლOULOვლ FinაnციაMaრეტ,ალOნ.ალOIნტეგრატOOEცOმ იC.
2. Áსეარ I., Maრn, ღ. (2010), EნტრეპOს ანდ ნატIOnალსტმ ს OIOინOვატIOnალO
3. ჰტტp://ბანკOშეOშიაბე
4. Bარk, F., Goეტ, H., McDowელლ., (2003), Ouტwარდ FDI ანდ ტჰ ინვესმ ენტდეველOp ენტვატეOვალატე IOლესტრალნმეOO: ევIOფnცეOOO Iრელნდ ღეგIOnალტეეს
5. ჰტტp://NaprბOw.ბე/
6. ჰტტp://www .OOOს.ბე/
7. ჰტტp://www .inვესტOOIატIO/ტOპ1/OOOI.ხs
8. ჰტტp://www .ხტაxOOw/

OვეIმ პაცOOFOOOm DirეcტInვესტ ენტO GეOOIიაOn ტეეcOO ყ

Otarashvili Ketevan
PhD student of Georgian Technical University

Gvajaia Luara
Professor of Georgian Technical University

შეmმ არყ

Aცეალიტეეე პრOბს OვალეეOლიზOვOრეOს ლეველეIc ცOნტOm wიტOკOOOენტეOOOრაკIდეcOO IC ბOლw ტ ტOOეb აcეს ტOტეrატOcOOOm ანდ ექეOტ Iნ ლOO wიტეეe აეOეe პრObს, OOOიb ლIმcIcინვესტ ენტeას ალsOcmაქედ FoრIიb ლIმcტ OOsm ენტ ფლეxOOIიb ინვესტIcIეe ასეტm OO ეmIcეcეcეnდOOb ინვესტ ენტ OკOOენტOOOOO OO ეmIcეcეeეe OOტ ენეOOm, ინტეrატOcეrOOcეcეnდm პრObსეს, wიcეe ინტm Icეcmაეს ტეnეme ბეOOmm ალIეეს.

GeoრIიაისა ლეველეIc ცOnsw, ანდ OOOიb ლImcIcინვესტ ენტIსან OკOOენტnb ანდ ანIcეnეmb OOOmm s ტO IcინვესტcეmატOOs, ეხაანდ ანდ ჰაme ა კOmIcეmIe პაcტ OOეe ცOnsw.

An ატmxOOe ინვესm ენტcეIიატეsცOOnb კOOOიxOOmატეeb ნეesსაw, bეnნOxეe OOm ცIcIcIc OOO IcინვესტOe OOmეატIOw wიcეe Ib IcOOmეcეe bეe ტOOmxეe ტეe ავაOOეIეOOIcOOsb ანდ ტe m აrეtIნ ტeOb OO rsOOsIcეsეაrეe GeoრIიაismm OOb OOOიtIOOOOOOcეeაb OOOOm

KეyOOrdsb FoრIიაn ლImcეnIcეsm ენტIcIcეsm ენტIcეcეnOO ყ, GeoრIიაlეveeee

სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტები

ონიანი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტები, რაც გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურაში და საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი შესწავლა სულ უფრო მზარდი ხდება. სოციალური პოლიტიკა არაერთმნიშვნელოვან პრობლემას მოიცავს, ისეთებს როგორიცაა: შრომის პოლიტიკა და შრომის უფლება; უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და საცხოვრისის უფლება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და სხვა. სოციალური პოლიტიკა უპირველესად, იმ მოწყვლად ჯგუფთა ინტერესების დაცვა-რეალიზაციას ემსახურება, რომლებიც სახელმწიფო მხრიდან განსაკუთრებულ თანადგომას საჭიროებს. დახმარება კი მხოლოდ სამართლებრივი გარანტიების მიცემაში კი არ გამოიხატება, არამედ ფინანსური ინსტრუმენტების გადაცემაშიც. სოციალური პოლიტიკის ფარგლებში გამოყოფილი სუბსიდირებაც მნიშვნელოვანი დახმარებაა იმ მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების სოციალურად შეჭირვებულ ნაწილს რამდენადაც, სოციალური ინტეგრაცია მხოლოდ სიღარიბესთან თანასწორობისთვის ბრძოლას არ ნიშნავს, სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს სოციალური უთანასწორობის პრევენციას და მისი დაძლევის გზებს.

სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, თანასწორობის პრინციპის დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, რადგან ის უპირველესად გამომდინარეობს ქვეყნის უზენაესი კანონიდან, - კონსტიტუციიდან, რომლის დანაწესით, „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პოლიტიკა, ინტეგრაცია, სოციალური ბიუჯეტი, სუბსიდირება, თანასწორობა

ძირითადი ტექსტი

„სოციალური პოლიტიკა“,[1] როგორც ტერმინი წარმოადგენს ადამიანთა მოღვაწეობის სფეროს, დაკავშირებულს სახელმწიფო სუბიექტებთან, რომელთა მოქმედება მოწოდებულია უზრუნველყოს მათი უსაფრთხო და სტაბილური ცხოვრება.[2/3] სხვაგვარად, ტერმინოლოგიური განმარტებით,[4] „დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ფართო სოციალურ საფუძველს ემყარება და აქტიურ, ძლიერ სოციალურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანსაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ან მისი სტაბილურად შენარჩუნება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და რეალიზება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, თანამედროვე სისტემების შექმნა, სოციალური კონფლიქტების თავიდან აცილება, წარმატებით მოგვარება წარმოადგენს“.[5/6] სოციალური

---

[1]შენიშვნა: ევროპულ ქვეყნებში იდენტური ცნებებადმოიხსენიება:„socialpolicy“,„socialwelfare“andthe„welfarestate“.,იხ.,ვრცლადაღნიშნულზე*GoughI.*,GlobalizationandRegionalWelfareRegimes:TheEastAsianCase,GlobalSocialPolicy.,2004,5.<http://eprints.lse.ac.uk/43959/1/__lse.ac.uk_storage_LIBRARY_Secondary_libfile_shared_repository_Content_Gough,%20I_Gough_Globalization_regional_welfare_2001_Gough_Globalisation_%20regional_welfare_%202006.pdf>[11.05.2020].

[2]*ბუხრაშვილი ე.*,ევროპის სოციალური პოლიტიკა.,სალექციოკურსი.,თბ.2017,7.

[3]იხ.,ვრცლად:*ჯულუხაძეთ.,დიაკონიძეა.*,სოციალურიპოლიტიკისძირითადისაკითხები.,საქართველოსსაზოგადოებრივსაქმეთაინსტიტუტი,თბ,2014.<https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/MA_11756.pdf>[11.05.2020].

[4]სოციალურდაპოლიტიკურტერმინთალექსიკონი-ცნობარი,(რედ.)*ჩიტაშვილიმ.,*2004,208-209.

[5]*კოდუაე.,ბურძენიძემ.,გოროზიავ.,დონაძენ.,კაჭკაჭიშვილიიდასხვები.*,სოციალურდაპოლიტიკურტერმინთალექსიკონი.,*სოციალ ურმცნიერებათასერიისრედ.ჩიტაშვილიმ.,*,თბ.,2004,284-285.

[6]“სოციალურიპოლიტიკისმთავარიმიზანიეკონომიკურიზრდისხელშეწყობაადაარადეკომოდიფიცირებაანსოციალურიუფლებებისუზრუნველყოფა”.,*GoughI.*,GlobalizationandRegionalWelfareRegimes:TheEastAsianCase,GlobalSocialPolicy.,2004,1:163.<http://eprints.lse.ac.uk/43959/1/__lse.ac.uk_storage_LIBRARY_Secondary_libfile_shared_repository_Content_Gough,%20I_Gough_Globalization_regional_welfare_2001_Gough_Globalisation_%20regional_welfare_%202006.pdf>[11.05.2020].

პოლიტიკის ტრადიციული ანალიზი გულისხმობს, რომ კეთილდღეობის სერვისები, პოლიტიკა და ინსტიტუტები ერთი ქვეყნის ფარგლებში იქმნება და მხოლოდ მისი მოქალაქეებისათვის მოქმედებს.[1] რომ „სოციალური პოლიტიკის დაგეგმვა- განხორციელებისას, სახელმწიფოებს მეტად უწევთ საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გათვალისწინება",[2/3] რამდენადაც "ყველა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ფორმირების ტრაექტორია ერთმანეთის იდენტურია და სრული დერეგულაციისაკენ მიდის".[4]

პრაქტიკულ ნაწილში, სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს სუბიექტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირებისაკენ,[5] მოწოდებულია შექმნას საზოგადოებრივად მისაღები პირობები ადამიანთა შესაძ-ლებლობებისა და მოთხოვნილებების რეალიზაციისთვის.[6]

სოციალური პოლიტიკა საზოგადოების სოციალური სტრუქტურების ძირითადი ელემენტების ურთიერთობას ახასიათებს. ისტორიულად, სახელმწიფო ატარებდა სოციალურ პოლიტიკას საზოგადო-ების სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილიზაციის შენარჩუნების უზრუნველსაყო-ფად. ამ მიდგომების საფუძველია ისტორიული შეხედულებანი სამართლიანობასა და თანასწორობაზე, რომლებიც საზოგადოების კულტურულ ღირებულებებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციებსა და ჩვეულებებშია განმტკიცებული.

სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, თანასწორობის პრინციპის დაცვა სახელმწიფოებ-რივი მნიშვნელობისაა, რადგან ის უპირველესად გამომდინარეობს ქვეყნის უზენაესი კანონიდან, - კონსტიტუციიდან, რომლის განსაზღვრებით, „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სა-მართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების გან-მტკიცებაზე",[7] რომ „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია მიუხედავად მისი ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა".[8] ეს დანაწესები კი, თავისთავად, სახელმწიფოსადმი ნდობის გაღრმავების ერთ-ერთპირობას წარმოადგენს. გამომდინარეობს, რომ ქვეყანაში სოციალური ინტეგრაციის დაცვა[9/10] სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა, შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმ(ებ)ის აღსრულებაც მხოლოდ მისი კომპეტენციაა.

სოციალური ინტეგრაცია[11/12] მხოლოდ თანასწორობასთან და სიღარიბესთან ბრძოლას არ ნიშნავს. სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს სოციალური უთანასწორობის პრევენციას და მისი დაძლევის გზებს. „სწორედ ამის გამო აღიარეს ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა სოციალური ინტეგრაცია პრიორიტეტად. 1997 წლის ოქტომბერში სტრასბურგში გამართულ შეხვედრაზე ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა სოციალური ინტეგრაცია განსაზღვრეს, როგორც

---

[1] *ჯულუხაძე თ., დიაკონიძე ა.,* სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები. 2014,23.<https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/MA_11756.pdf>[11.05.2020].

[2] *HeywoodA,*PoliticalIdeologies,ThirdEdition,Palgrave,Macmillan;2003.<http://www.retawprojects.com/uploads/politics-ideologies.pdf>

[3] Note:ModernizationTheprocessofsocialandpoliticalchangethroughwhichmodernindustrialsocietiescameabout;

[4] *BaldockJ.,ManningN., VickerstaffS.,*SocialPolicy.OxfordUniversityPress,REVIEWS1145,2007.<https://www.academia.edu/12333809/SOCIAL_POLICY_-_Edited_by_John_Baldock_Nick_Manning_and_Sarah_Vickerstaff>[11.05.2020].

[5] სოციალურიგანვითარებისტერმინოლოგიურგანმარტებაზეიხვრცლად.„„Socialdevelopmentisaboutimprovingthewell-beingofeveryindividualinsocietysotheycanreachtheirfullpotential.Socialdevelopmentmeansinvestinginpeople..." <https://www2.gnb.ca/content/gnb/en/departments/esic/overview/content/what_is_social_development.html>[11.05.2020].

[6] *ბუხრაშვილიე.,*ევროპისსოციალურიპოლიტიკა.,სალექციოკურსი.,თბ.2017,6-7.

[7] საქართველოსკონსტიტუცია,მუხლი5,საქართველოსპარლამენტისუწყებები,31-33,24/08/1995.

[8] საქართველოსკონსტიტუცია,მუხლი11,საქართველოსპარლამენტისუწყებები,31-33,24/08/1995.

[9] იხ.,ვრცლად:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/socialuri-uflebebis-xelmisawvdomoba.pdf>[11.05.2020].

[10] იხ.,სოციალურიინტეგრაციისასპექტებზემკვლევარისშემდეგინაშრომები:*BlauPeterM.,*AMacrosociologicalTheoryofSocialStructure., TheAmericanJournalofSociology,Vol.83,No.1Jul.,1977,26-54<https://www.suz.uzh.ch/dam/jcr:00000000-5489-62fb-ffff-ffffd5fe3dc8/5.2_blau.pdf>[11.05.2020];*BlauPeterM.,*ATheoryofSocialIntegration,AmericanJournalofSociology,Volume65,Number6,May,1960.

[11] ***Note:***"Society'ssocialintegrationisatheoreticaltermnotdirectlymeasuredbutreflectedinthemeasuredprevalenceofsocialassociationsamongdifferentpositionsintermsofvariousspecificparameters.Similarly,thestructuralcomplexityofsocietyisanunmeasuredtheoreticaltermreflectedinthedegreeofdifferentiationintermsofvariousspecificparametersandthedegreeofintersectionoftheseparameters". *BlauPeterM.,*AMacrosociologicalTheoryofSocialStructure.,TheAmericanJournalofSociology,Vol.83,No.1Jul.,1977,33.<https://www.suz.uzh.ch/dam/jcr:00000000-5489-62fb-ffff-ffffd5fe3dc8/5.2_blau.pdf>[11.05.2020];

[12] <https://www.un.org/esa/socdev/social/meetings/egm6_social_integration/documents/Jeannotte_Concepts.pdf> [13.05.2020].

გაფართოებული ევროპის ერთ-ერთი უპირველესი აუცილებლობა და [...] ადამიანის უფლებათა და ღირსების დაცვის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.[1]

როგორც აღვნიშნეთ, სოციალური ინტეგრაცია ადამიანთა არა მარტო თანასწორობის, არამედ ღირსების დაცვასაც გულისხმობს; მშვიდ და სამართლებრივ გარემოში ცხოვრება და უფლებათა რეალიზაცია აბსოლუტურად უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი. სწორედ ამიტომაც, სახელმწიფოს როლი განსაკუთრებულია მსგავს საკითხთა მოწესრიგებაში. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ქმნიდეს ისეთ სოციალური პოლიტიკას, სადაც ადამიანის ღირსებები მაქსიმალურად იქნება დაცული.[2]„პატივი და ღირსება ადამიანის სოციალური იდენტობის არსებითი ატრიბუტებია, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მორალურ მდგომარეობას საზოგადოებაში. აღნიშნული უფლება ბუნებით უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს ღირსების უფლება აქვს იმიტომ, რომ იგი ადამიანია“. [3]თუ ეს მიდგომა და ბალანსი სახელმწიფოს მხრიდან დაცულია, სოციალური პოლიტიკის ფარგლებში მიღებული სარგებელი აღარ არის ქველმოქმედება ან დახმარება, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების შეჭირვებული ფენისათვის, ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა, რომლებიც ყველასთვის თანაბარი და იდენტურია.

„რაც არ უნდა ძლიერად იყოს კანონმდებლობით უფლებები დაცული, არ არის ყოველთვის ადვილი უზრუნველყო, რომ საზოგადოების ყველა წევრმა, განსაკუთრებით კი ყველაზე უმწეოებმა, საკუთარი უფლებებით რეალური სარგებელი მიიღოს. პარადოქსია, მაგრამ მათ, ვისაც ყველაზე მეტად ესაჭიროება საკუთარი უფლებების დაცვა, ამის ყველაზე ნაკლები საშუალება აქვთ. სწორედ ამიტომ იურიდიულ დაცვასთან ერთად ყოველთვის საჭიროა ისეთი სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველამ ისარგებლოს თავისი უფლებებით“.[4]

სახელმწიფოს ძირითადი საზრუნავიც სწორედ თითოეული მოქალაქის უფლებების მაქსიმალურ დაცვაში მდგომარეობს, განსაკუთრებით, იმ ადამიანების უფლებათა დაცვა არის საფრთხილო/საყურადღებო, რომლებიც ამას განსაკუთრებულად საჭიროებენ. ძირითადად, საუბარია იმ მოწყვლად ჯგუფებზე, ვისაც სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირება ესაჭიროება და სახელმწიფოსაც უწევს მათთვის ცენტრალურ თუ ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში სოციალური ღონისძიებების გათვალისწინება, - ამ კუთხით, შესაბამისი თანხების/ასიგნების გამოყოფა.

დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, საქართველოს სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი ძირითადად მიმართულია სოციალური საკითხების მოგვარებაზე და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გვაქვს „სოციალური ბიუჯეტი“. იყო და არის მცდელობა, რომ დღეს არსებული ბიუჯეტი შეიცვალოს და გახდეს „პროგრამული“, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხმა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა თვითონ გადაწყვიტონ და შეადგინონ ბიუჯეტი მათივე საჭიროებებიდან გამომდინარე, თუმცა ჯერჯერობით ეს სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება და რეალობაში, საპილოტე პროგრამების განხორციელების მიუხედავად, ასახვა ვერ ჰპოვა.

სახელმწიფო იცავს სოციალური მარგინალიზაციის საფრთხის წინაშე მყოფ ადამიანთა ჯგუფებს. ამიტომ სოციალური დაცვის სისტემების ფუნქცია არა მარტო სოციალური უზრუნველყოფაა, რომელიც გამიზნულია საზოგადოების ყველა წევრის დასაცავად სიცოცხლის რისკებისგან, არამედ ყველა ადამიანისთვის სოციალური მომსახურების, ხოლო განსაკუთრებული საჭიროებების მქონეთათვის — სოციალური დახმარების გაწევაც.[5] ამდენად, ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული რა პასუხისმგებლობით მოეკიდოს სოციალურ დახმარებასა და სოციალური მომსახურების გამოყენებას.

სახელმწიფო იცავს სათანადო თანასწორობას სიმდიდრის განაწილებაში ისეთი სოლიდარობის

---

[1]„სოციალურიინტეგრაციისახალისტარატეგია“.დამტკიცებულიევროპისსაბჭოსმინისტრთაკომიტეტისმიერ2004წლის31მარტს.სოციალურიინტეგრაციისევროპულიკომიტეტი(CDCS).

[2]„ადამიანისღირსებისდაცვაარისის, რაცუპირობოდეკუთვნისყველაადამიანსსახელმწიფოსგან“. იხ., საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, N2/2-389, 26 ოქტომბერი, 2007.

[3]საქართველოსმოქალაქენოდარმუმლაურისაქართველოსპარლამენტისწინააღმდეგ, № 2/5/560, 28 ოქტომბერი, 2015.

[4]„სოციალურიინტეგრაციისახალისტარატეგია“.დამტკიცებულიევროპისსაბჭოსმინისტრთაკომიტეტისმიერ2004წლის31მარტს.სოციალურიინტეგრაციისევროპულიკომიტეტი(CDCS).

[5]იქვე;

მექანიზმებით, როგორებიცაა გადანაწილებული დაბეგვრა და სოციალური უზრუნველყოფა. მართლაც, სოციალური უზრუნველყოფის სისტემები სოციალური სოლიდარობის ყველაზე ძლიერი ინსტიტუციური ინსტრუმენტია. სოლიდარობაზე დამყარებული სოციალური უზრუნველყოფის გამართული სისტემის შექმნა ან მართვა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად არის მიჩნეული. ამიტომ სოციალური ინტეგრაციის სტრატეგიის მთავარი მიზანი უნდა იყოს მდგრადი სოციალური უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სისტემების მომავალ განვითარებასა და დაფინანსებასთან დაკავშირებით მრავალი კითხვა ჩნდება.[1] „მარგინალიზაციის კიდევ ერთი ფორმა წარმოდგება სოციალური დაცვის ქსელში არსებული ნაკლოვანებებიდან. წევრ ქვეყნებში არსებულ სოციალური დაცვის ქსელში არსებობს გარკვეული თვალსაჩინო ნაკლოვანებები, რომელთა შედეგადაც ადამიანებს ექმნებათ დაბრკოლებები იმისათვის, რომ მოითხოვონ თავიანთი სოციალური უფლებები ან ისინი მთლიანად იზოლირებულნი რჩებიან ამ სისტემიდან“.[2]

ანგარიში, „სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში“, რომელიცსტრასბურგში, 2002 წლის 28-30 მაისს, სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტის მიერ (CDCS) იქნა მიღებული, აღნიშნულია, რომ „აქტუალური კიდევ ერთი ნაკლოვანებაა განსხვავებული დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის არსებობა. როგორც ჩანს, ორივე ფართოდ არის გავრცელებული. მართალია, ამის მიზეზი შეიძლება იყოს საკანონმდებლო ხარვეზები ან ნაკლოვანებები, უფრო სავარაუდოა, რომ განსხვავებული დამოკიდებულება და დისკრიმინაცია არსებობდეს იმის გამო, რომ არ სრულდება მონიტორინგი ან კანონის ცხოვრებაში განხორციელება, ანდა იმის გამო, რომ ტარდება სეგრეგაციის და არა ინტეგრაციის პოლიტიკა. მაგალითად, სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობაზე, სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში განსხვავებული დამოკიდებულების ფაქტები მრავლადაა სხვადასხვა ქვეყანაში“.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ხარვეზები სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში შეიძლება შეგვხვდეს მრავალი კუთხით, იქნება ეს მომსახურება, - ანუ მენეჯმენტი და პროცედურული დაბრკოლებები, როგორიც შესაძლოა იყოს სისტემის გამართულობა ან გაუმართაობა, ხარვეზიანი საკანონმდებლო ბაზა, განცხადების წარდგენის და განხილვის პროცედურები, სოციალური გავლენები და ა.შ მაგრამ, ყოველ კონკრეტულ ხარვეზთან მიმართებაში სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს ხარვეზების აღმოფხვრის დროული პრევენცია დამოქალაქეთა უფლებების განუხრელი დაცვა.

დასკვნა

სოციალური ინტეგრაცია, მშვიდ და სამართლებრივ გარემოში, თანასწორობისა და ღირსების განუხრელ დაცვას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულებ(ებ)ის პაკეტს ადამიანის ღირსებების მაქსიმალური დაცვა წარმოადგენს. სოციალური მარგინალიზაციის საფრთხის წინაშე მყოფ ადამიანთა ჯგუფებს, სახელმწიფო განსაკუთრებულად იცავს, რაც გამოიხატება არა მხოლოდ სამართლებრივი გარანტიების მიცემაში, არამედ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონეთათვის სოციალური დახმარების გაწევაშიც. სახელმწიფოს ძირითადი საზრუნავიც სწორედ თითოეული მოქალაქის უფლებების მაქსიმალურ დაცვაში მდგომარეობს, - განსაკუთრებით საფრთხილო ზემოხსენებული მოწყვლადი ჯგუფებია, რომელთათვისაც სუბსიდირება სასიცოცხლო მნიშვნელობის შესაძლოა იყოს. სახელმწიფოსაც უწევს მათთვის ცენტრალურ თუ ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში სოციალური ღონისძიებების გათვალისწინება, -ამ კუთხით, შესაბამისი თანხების/ასიგნების გამოყოფა.

სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტის მიერ (CDCS) 2004 წლის 31 მარტს მიღებულ ანგარიშში, „სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში“, აღნიშნულია, რომ რაც არ უნდა

---

[1] „სოციალურიინტეგრაციისახალისტარატეგია“.დამტკიცებულიევროპისსაბჭოსმინისტრთაკომიტეტისმიერ2004წლის31მარტს.სოციალურიინტეგრაციისევროპულიკომიტეტი(CDCS).

[2] სოციალურიუფლებებისხელმისაწვდომობაევროპაში.ანგარიშიმომზადებულიამერიდეილისმიერ,ქუინისუნივერსიტეტი,ბელფასტი.მიღებულიასოციალურიინტეგრაციისევროპულიკომიტეტისმიერ(CDCS)მე-8სხდომაზე(სტრასბურგი,2002წლის28-30მაისი).

ძლიერად იყოს კანონმდებლობით უფლებები დაცული, არ არის ყოველთვის ადვილი უზრუნველყო, რომ საზოგადოების ყველა წევრმა, განსაკუთრებით კი ყველაზე უმწეოებმა, საკუთარი უფლებებით რეალური სარგებელი მიიღოს. პარადოქსია, მაგრამ მათ, ვისაც ყველაზე მეტად ესაჭიროება საკუთარი უფლებების დაცვა, ამის ყველაზე ნაკლები საშუალება აქვთ. სწორედ ამიტომ იურიდიულ დაცვასთან ერთად ყოველთვის საჭიროა ისეთი სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველამ ისარგებლოს თავისი უფლებებით.

სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი ძირითადად მიმართულია სოციალური საკითხების მოგვარებაზე და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გვაქვს „სოციალური ბიუჯეტი". იყო და არის მცდელობა, რომ დღეს არსებული ბიუჯეტი შეიცვალოს და გახდეს „პროგრამული", რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხმა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მაცხოვ-რებლებმა საჭიროებებიდან გამომდინარე თავად დაგეგმონ ბიუჯეტი. იმისათვის რომ, სახელმწიფომ ხარვეზების გარეშე განახორციელოს ეს ფუნქცია, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობის პრინციპი და ამ პრინციპის დასაცავად გაატაროს ყველა შესაბამისი და სათანადო ქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. „სოციალური ინტეგრაციის ახალი სტარატეგია". დამტკიცებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2004 წლის 31 მარტს. სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტი (CDCS)
3. *ბუხრაშვილი ე.,* ევროპის სოციალური პოლიტიკა., სალექციო კურსი., თბ. 2017.
4. *კოდუა ე., ბურძენიძე მ., გოროზია ვ., დონაძე ნ., კაჭკაჭიშვილი ი და სხვები.,* სოციალურდაპოლიტიკურტერმინთალექსიკონი., *სოციალურ მცნიერებათა სერიის რედ. ჩიტაშვილი მ.,*,თბ., 2004.
5. სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში. ანგარიში მომზადებულია მერი დეილის მიერ, ქუინის უნივერსიტეტი, ბელფასტი. მიღებულია სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტის მიერ (CDCS) მე-8 სხდომაზე (სტრასბურგი, 2002 წლის 28-30 მაისი).
6. *ჯულუხაძე თ., დიაკონიძე ა.,* სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები., საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბ, 2014.
7. *Baldock J., Manning N., Vickerstaff S.,* Social Policy. Oxford University Press, REVIEWS 1145, 2007.
8. *Blau Peter M.,* A Macrosociological Theory of Social Structure., The American Journal of Sociology, Vol. 83, No. 1 Jul., 1977.
9. *Blau Peter M.,* A Theory of Social Integration, American Journal of Sociology, Volume 65, Number 6, May, 1960.
10. *Gough I.*, Globalization and Regional Welfare Regimes: The East Asian Case, Global Social Policy., 2004, 5.
11. *Heywood A,* Political Ideologies, Third Edition, Palgrave, Macmillan; 2003.
12. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/socialuri-uflebebis-xelmisawvdomoba.pdf> [11.05.2020].
13. <https://www2.gnb.ca/content/gnb/en/departments/esic/overview/content/what_is_social_development.html> [11.05.2020].
14. <u>საქართველოსმოქალაქენოდარმუმლაურისაქართველოსპარლამენტისწინააღმდეგ, № 2/5/560, 28 ოქტომბერი, 2015</u>.
15. საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, N2/2-389, 26 ოქტომბერი, 2007.

[illegible] კორპორატიულ [illegible]

Oniani Maia
PhD student of Georgian Technical University

შუამდინარეობა

[illegible] კორპორატიულ [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში

სულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სულაშვილი მალხაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ტარუაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნებისმიერი ქვეყნის მეურნეობა სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროს სხვადასხვა დარგებს მოიცავს, რომელიც ისტორიულად საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შედეგად ჩამოყალიბდა. ბოლო ორი ასწლეულის განმავლობაში მრეწველობის განვითარებამ და ინდუსტრიული სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდამ კაცობრიობის ცხოვრების წესის და პირობების გაუმჯობესებასთან მიგვიყვანა. ეკონომიკა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ ეკონომიკურ გარემოში და შეგვაქვს ჩვენი წილი მის განვითარებაში. თითოეული ოჯახი აწარმოებს საკუთარ ეკონომიკურ პროცესებს.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების სამრეწველო წარმოების აღდგენა-განვითარება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: მრეწველობა, მსოფლიო ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი, სამრეწველო საწარმოები.

ძირითადი ტექსტი

მრეწველობა არის მატერიალური სფეროს განვითარებადი დარგი. მრეწველობის სტრუქტურა ასახავს საწარმოო და არასაწარმოო სფეროებს შორის პროპორციას. ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ეკონომიკის სხვადხვა დარგებში მოსახლეობის აქტივობით და ჩართულობით.

მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების ანალიზისას საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები, სტატისტიკური ორგანოები, ეკონომისტები ფართოდ გამოიყენებენ მთლიანი შიდა პროდუქტის სამ სექტორიან მოდელს. ამ მოდელის თანახმად ყოველი სახელმწიფო იყოფა პირველად სექტორად (სასოფლო-სამეურნეო: სასოფლო, სატყეო, მეთევზეობა, ნადირობა); მეორად სექტორად (ინდუსტრიული: მომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა; ელექტრო და გაზ მომარაგება); მესამე სექტორი (მომსახურება, ვაჭრობა, ფინანსები, უძრავი ქონება, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სასაწყობე მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, კულტურა, ტურიზმი, მართვა თავდაცვა).

მრეწველობა (ასევე გამოიყენება ტერმინი ინდუსტრია)- უმნიშვნელოვანესი და ტექნიკურად სრულყოფილი დარგია მატერიალური წარმოების, რომელსაც აქვს გადამწყვეტი გავლენა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე. სამრეწველო საწარმოებში იქმნება შრომის ხელსაწყოები, წარმოების საშუალებები და მოხმარების საგნები. არსებობს მრეწველობის მრავალრიცხოვანი დარგები.

წამყვანი სექტორი მსოფლიო ეკონომიკაში და მაღალგანვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში ახლა უკვე არის მომსახურების სფერო. ხოლო განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ჯერ მხოლოდ ახლა დგამენ ინდუსტრიალიზმის სტადიაში ფეხს. ასეთ ქვეყნებში მრეწველობის წილი იზრდება მთლიანი შიდა პროდუქციის შექმნაში.

კონტრასტი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ხასიათდება პირველ რიგში მათი მრეწველობის განვითარების დონით და მათი ინდუსტრიული პოტენციალით.

მრეწველობის როლის შეფასებისას თანამედროვე საზოგადოებაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ

მომსახურების სფეროს ნაწილს უშუალო შეხება აქვს სამეწარმეო მომსახურებასთან და ეს ფუნქციები ადრე თვითონ სამრეწველო ფირმების მიერ ხორციელდებოდა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზუსტად მრეწველობის ზრდამ გახადა შესაძლებელი მომსახურების სფეროს წილის მატება მსოფლიო ეკონომიკაში. არსებობს მომსახურების სფეროს შიდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი, მაგალითად როდესაც ორგანიზაცია, რომელიც ვაჭრობს ჩაით, ახდენს მის დაფასოებას და შეფუთვას, ან როდესაც კომპიუტერებით მოვაჭრე ორგანიზცია თავად აწარმოებს მათ აწყობას.

მსოფლიო ეკონომიკაში მეორადი სექტორის კლება არც თუ ისე საგრძნობია თუ გავითვალისწინებთ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფ განვითარებას. მაგალითად, ჩინეთის, ინდოეთის, მექსიკის, ბრაზილიის და ა.შ. ქვეყნების უმეტესი ნაწილი ისევ ინდუსტრიული განვითარების საფეხურზე იმყოფებიან ან ეხლა უახლოვდებიან მას (აზიის და აფრიკის მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნები).

საწარმოო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საწარმო, რომელიც აწარმოებს პროდუქციასა და მომსახურებას. ნათელია რომ საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებელია მრეწველობის აღორძინება. სამრეწველო სექტორის განვითარების საკითხებზე მომუშავე გაეროს სპეციალურმა ორგანიზაციამ დაადგინა, რომ სამრეწველო განვითარება სტატისტიკურად დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე და რენტაბელურობაზე. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს სამრეწველო წარმოებასა და ექსპორტს შორის, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ შემოსავლების ზრდას. საშუალო განათლების დონე და უნარები მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში. ყოველ მეათე კომპანიაში დასაქმებულია მენეჯერები უცხოეთში მიღებული ეკონომიკური განათლებით. საწარმოების ყველაზე არსებითი პრობლემა დღეს არის კვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობა, რომლებთანაც დაკავშირებულია ადეკვატური შრომის მიწოდების ნაკლებობა და განვითარების შიდა ტრენინგის ნაკლებობა.[1]

ზოგადად, კონკურენტულ საწარმოებს არ აქვთ სრულყოფილი მართვის სისტემა, შესაბამისად ტერიტორიებზე მუშაობა არ ბალანსდება და სცილდება განვითარების სტრატეგიას.

საქართველოში არიან დამსაქმებლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შრომის უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა დასაქმებულის ჩაფხუტით და უნიფორმით ამოიწურება. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. დამსაქმებლები ხშირად არ ითვალისწინებენ გარემო პირობებს, საველე პირობებში მუშაობის სირთულეს და სხვა მრავალ პრობლემას, რომელიც სამრეწველო საწარმოებში იჩენს თავს. ამისათვის ყველა ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დეტალურად არეგულირებს მსგავს საკითხებს. შრომის უსაფრთხეობა ისეთი საკითხია, რომელიც კანონით აუცილებლად უნდა იყოს დარეგულირებული. საქართველოში კი ხდება ის, რომ არათუ ამომწურავად, საერთოდ არ არის შრომის უსაფრთხოების საკითხები საკანონმდებლო კუთხით დარეგულირებული. დამსაქმებლები ამ საკითხს საკუთარი შეხედულებისამებრ უდგებიან, ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას.

შრომის უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება სამრეწველო საწარმოში ფინანსურად გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება, კერძოდ სათანადო ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შეძენა; მონიტორინგის შესაბამისი კადრის საჭიროება, რაც საბოლოო ჯამში, ბიზნესის წარმოების ხარჯებზე აისახება. დამსაქმებელთა მიდგომა მაქსიმალურად ნაკლებ დანახარჯებს ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, თუკი დანახარჯების შემცირებით ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ექმნებოდა. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი არის უკანასკნელ წლებში.

საქართველოში არსებობენ ისეთი სამრეწველო საწარმოები სადაც აწარმოებენ სტანდარტების შესაბამის პროდუქციას. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „რუსთავის აზოტი“, რომელიც წარმოადგენს ამიერკავკასიაში მინერალური სასუქებისა და ინდუსტრიული ქიმიკატების მწარმოებელ უმსხვილეს ქიმიურ საწარმოს.[2]

ნახევარსაუკუნოვანი ქიმიური საწარმო „რუსთავის აზოტი“ აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსთავის «აზოტის» ამოქმედების შესახებ მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის - კოქსის აირის არსებობის საფუძველზე 1947 წელს გადაწყვიტეს. 1956 წლის 27 თებერვალს ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით მიიღეს პირველი ამიაკი. სწორედ ეს თარიღია მიჩნეული საწარმოს დაბადების დღედ.

„რუსთავის აზოტი“ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას აწარმოებს და საქართველოს შიდა ბაზარზე, ასევე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აზოტოვანი სასუქების ძირითად მიმწოდებელს წარმოადგენს. პროდუქციის მომხმარებლები არიან ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნები (საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი, სირია, მაროკო და სხვ). დღეს საწარმოში მუშაობს 2000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 947 ქალი. საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში იძლევა 450 ათას ტონა მინერალურ სასუქს, 400 ათას ტონა ამიაკს, 11 ათას ტონა ნატრიუმის ციანიდს. შექმნის დღიდან საწარმომ ბევრი მფლობელი გამოიცვალა. იყო რთული პერიოდებიც, როცა არ იყიდებოდა პროდუქცია, წარმოება გაჩერებული იყო, მაგრამ დღეისათვის, „რუსთავის აზოტი” სიდიდით საქართველოს პირველი სამრეწველო საწარმოა.

სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც, სამრეწველო სექტორმა მომსახურების სფეროს დაუთმო პოზიციები, როგორც მოსახლეობის დასაქმების ძირითად ფაქტორს და ეროვნული კეთილდღეობის ძირითად წყაროს. მრეწველობაში დასაქმების ხასიათი პასუხობს წარმოებაში არსებულ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც (ქვეყნის მრავალ რეგიონში) კომპანიების დახურვასთანაა დაკავშირებული. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება 2014-2018 წწ. (იხ. ცხრილი 1).

წელი	2 014	2 015	2 016	2 017	2 018	საშ. მაჩვ.
სულ დასაქმებული (ათასი კაცი)	1 694,40	1 733,80	1 717,30	1 706,60	1 694,20	1 709,26
მრეწველობის დარგში დასაქ. რაოდენობა (ათასი კ	115,50	123,40	125,90	130,70	124,55	124,01
მრეწველობის დარგში დასაქ. % მაჩვენებელი	6,82	7,12	7,33	7,66	7,35	7,26

ცხრილი 1. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა2014- 2018 წწ.

მრეწველობაში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი დასაქმებულთა საერთო მაჩვენებელში კი საშაულოდ 7,26 % შეადგენს. პირველ რიგში ჩვენ გარკვეული ორიენტირები უნდა დავსახოთ, შევაფასოთ ჩვენი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, განვითარების ეტაპები და სასურველი ტემპები.

მსოფლიოს ქვეყნები ოთხ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ, დამყარებული მათი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობაზე:

1) უღარიბესი ქვეყნები - მშპ/სულზე ნაკლებია 1,000 დოლარზე;

2) განვითარებადი ქვეყნები - მშპ/სულზე არის 1,000-5,000 დოლარი;

3) საშუალო განვითარების ქვეყნები - მშპ/სულზე არის 5,000-12,000 დოლარი;

4) განვითარებული ქვეყნები - მშპ/სულზე 12,000 დოლარზე მეტია.

ეს კლასიფიკაცია კარგად ასახავს ქვეყნების ძირითად ჯგუფებს ეკონომიკური განვითარების მიხედვით და მისი საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასებისათვის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი წარმოადგენს. მთლიანი შიდა პროდუქტი აჩვენებს დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყნის შიგნით საბოლოო მოხმარებისთვის წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობას. მშპ-ს მოცულობის განსაზღვრის არაერთი მაჩვენებელი არსებობს (ნომინალური მშპ, რეალური მშპ, PPP მშპ და სხვა), თუმცა ამ აგრეგატების უნარი, ტენდენცია აღწეროს, უნივერსალური არ არის.[3]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს ასახავს ცხრილი 2.

საქართველოს მშპ/სულზე დაახლოებით 3500 ამერიკული დოლარია. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, საქართველო საშუალო განვითარების ქვეყნად ვაქციოთ, რისთვისაც საჭიროა 5000-6000 დოლარიან მშპ-ს მივაღწიოთ. ეს არის ეკონომიკური განვითარების ის მინიმალური დონე, საიდანაც შეიძლება საუბარი სოციალურ პროგრამებზე, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების ამ დონეზე გამოიკვეთება, თუ როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკის

როლი და ფუნქციები გლობალურ ეკონომიკაში, რომელი დარგები გახდება წამყვანი. განსაკუთრებით ეს მრეწველობას ეხება.

მაჩვენებელი	2015	2016	2017	2018	I 2019*	II 2019*	III 2019*	IV 2019*	2019*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	35.8	40.8	44.6	10.2	12.0	13.4	14.3	50.0
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	34.9	36.6	38.4	9.1	10.2	10.6	11.0	40.4
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	3.0	2.9	4.8	4.8	5.0	4.6	5.8	5.1	5.1
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	5.8	2.6	8.5	4.4	1.7	5.1	7.2	11.2	6.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	9 109.4	9 613.9	10 933.9	11 968.0	2 739.4	3 229.5	3 611.3	3 848.8	13 428.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	1 026.7	1 179.0	1 237.0	1 306.5	4 763.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	3.8	4.4	4.6	4.9	17.7

ცხრილი 2. მშპ-ს მოცულობის შეფასების მაჩვენებლები

დასკვნა

საქართველოს მრეწველობა სრულ სტაგნაციაშია, მისი აღორძინებისა და ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა მეტად მნიშვნელოვანია. ქვეყანამ გეზი ტურიზმის გან-ვითარებისკენ აიღო, მაგრამ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომელმაც მოახერხა ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევა მრეწველობის განვითარების გარეშე. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსების რაციონალური და ეკონომიკური გამოყენება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, ტექნოლოგიების წარმოებაში ფართოდ დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე, მრეწველობა, "საქართველოს ეკონომიკა" რედ. რ. ასათიანი. თბ. გამომცემლობა "სიახლე" 2012. გვ. 163.
2. https://rustaviazot.ge/ უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2020;
3. https://factcheck.ge/ka/story/ უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2020;
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2020;
5. James R. Cambridge, Michigan Limited Liability Companies, 2011 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2020;
6. ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი. www.mof.ge/5233 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2020;
7. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2020.

[illegible]

Sulashvili Giorgi
Associate Professor of Georgian Technical University

Sulashvili Malkhaz
Associate Professor of Georgian Technical University

Taruashvili Nino
PhD student of Georgian Technical University

[illegible]

[illegible]

კორონა და თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური რეალობის პარადოქსები

ღამბაშიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ხუჭუა ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

დღეს სრულიად სამყარო მოიცვა ვირუსის სახეობამ -ახალმა კორონამ, რომელმაც საყოველთაოდ ახალი ძალისხმევა და გონიერება მოითხოვა ადამიანისგან. ყველა კრიზისული პერიოდი გაურკვევ-ლობითა და არამდგრადობით ხასიათდება. ამის წინააღდმეგობრიობა ის არის, რომ რამდენადაც ასიათასობით ადამიანია ამ ვირუსით ინფიცირებული, იმდენადვეა მსოფლიო საზოგადოება თავად გაურკვევლობით და ქაოტურობის განცდის მატარებელი, რაც თავად ვირუსზე მეტი უარყოფითი შე-დეგის მომტანია. ყველა კრიზისის დროს თუ მისი უკან მოტოვების შემდეგ. პირველ რიგში ჯანმრთელობის მდგომარეობის ზრუნვის, პრევენციული თუ პოსტ რეგულაციების შემოღება-გატარებისას, მეორე რიგში კი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური წესრიგის (თუ ამას კიდევ წესრიგს ვუწოდებთ) მდგომარეობაა საზრუნავი.

საკვანძო სიტყვები: ადამიანთა უფლებები პრევენციული რეგულაციები სოციალური უსაფრთხოება ანტიკრიზისული გეგმა ზარალიანი სექტორი

ძირითადი ტექსტი

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ კორონის ეპიდემიის დინამიკურ ფაზაში, როდესაც უცნობია პროცესის დასასრული, არგუმენტირებული ანალიზის გაკეთება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამდენად, გვაქვს მცდელობა პროცესებზე მონიტორინგის საშუალებით აღწერლო-ბითი-საინფორმაციო და შესაძლებლობის ფარგლებში ანალიტიკური სურათი წარმოვადგინოთ.

დღესდღეისობით კორონა ვირუსი (ჩOVID-19) მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და პოპულარული გამოცემები თუ სატელევიზიო არხები აქტიურად წერენ იმ პრობლემებზე, რომელიც კორონა ვირუსმა უკვე შეუქმნა მსოფლიოს ეკონომიკას. ის რომ კორონა ვირუსი მსოფლიო ეკონომიკაზე ნეგატიურად ზემოქმედებს და მისი ფართოდ გავრცელების შემთხვევაში შესაძლოა ქვეყნების უმრავლესობა ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანოს, აზრს მოკლებული მსჯელობა ნამდვილად არ არის. ამ პროცესში კი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გაანალიზება თუ რა შედეგები შეიძლება იქონიოს ეკონომიკურმა კრიზისმა ადამიანის უფლებებზე და როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული ქცევა აღნიშნულ პროცესში. კორონა ვირუსის ეპიდემიამ და ვირუსის მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გავრცელებამ საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის უმეტეს დარგზე უარყოფითად იმოქმედა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნეგატიური ეფექტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება.

ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს თანასწორობის პრინციპი, არ შეზღუდოს ადამიანის უფლებები და ასეთის არსებობის შემთხვევაში ყოველი შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს მწვავე სოციალური საჭიროებით.

გაზრდილი უმუშევრობის პირობებში ევროკავშირის სახელმწიფებმა კრიზისის წინააღმდეგ სხვადასხვა კონტრზომები განახორციელეს. მაგალითისთვის, გაერთიანებულმა სამეფომ პოსტ-კრიზისული პერიოდის ფონზე შექმნა პროგრამა, რომელიც 18-24 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში უმუშევრები იყვნენ, სამსახურს სთავაზობდა. ლიტვაში, ლიტვის შრომის ბირჟის ახალი პროექტი, რომელსაც მხარს უჭერდა ევროპული სოციალური ფონდი „იყავი აქტიური შრომის ბაზარზე“, დამსაქმებლებს სთავაზობდა მწირი გამოცდილების მქონე დასაქმებულთა

ხელფასების 50%-იან სუბსიდირებას. მსგავსი შინაარსის ღონისძიებები განახორციელეს სხვა ქვეყნებმაც, როგორიცაა ესპანეთი, საფრანგეთი და სხვა.

ეკონომიკურ კრიზისებთან ბრძოლის წარსულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ კრიზისის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები წარმატებულია მაშინ, როდესაც ის არ უგულებელყოფს ადამიანის უფლებებს. პირიქით, ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვა და საჭიროების შემთხვევაში მათი პროპორციული შეზღუდვა განაპირობებს კრიზისისგან სწრაფ გამოსვლას. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მოეთხოვება განსაკუთრებული სიფრთხილით შეზღუდოს ადამიანის უფლებები, რათა თავიდან აირიდოს კერძო სტიმულების ჩახშობა.

კორონავირუსმა მსხვილი ბანკებით დაწყებული და ტურიზმით დამთავრებული, ეკონომიკის არაერთი სექტორი დააზარალა. თუმცა, რამდენიმე კომპანიამ კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვანი სარგებელი ნახა და მათი აქციების ფასი გაიზრდა. წარმოების ქსელში, იმის გამო, რომ ასობით ცნობილი კომპანიის პროდუქციას ძირთადად ჩინეთში აწარმოებენ, მსოფლიოს მასშტაბით ისეთი კომპანიების გაყიდვები, როგორებიცაა Apple, Nike და Microsoft, მნიშვნელოვნად შემცირდა. Apple-ის საფონდო ინდექსი 3.4%-ით, ხოლო Microsoft-ის 2.6%-ით შემცირდა.

ინფორმაციამ CNN-ზე გვაუწყა, რომ მსხვილი კომპანიების გარდა, კორონა ვირუსის საფრთხემ ჩინეთში არსებული მცირე საწარმოები და ბიზნესებიც დააზარალა, რომლებსაც საკუთარი პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე გაჰქონდათ. Euronews-ის ინფორმაციით, მსოფლიოს მასშტაბით ნავთობზე მოთხოვნა შემცირდა და მისი ფასი 3.7%-ით დაეცა (2020 წლის 22 აპრილის მდგომარეობა) დაზარალებულია საბანკო სექტორზეც. JPMorgan Chase-ის საფონდო ინდექსი 2.1%-ით, ხოლო Bank of America-ს მაჩვენებელი 4.4%-ით შემცირდა.

მნიშვნელოვნად არის შემცირებული ამანათების საერთაშორისო გადაზიდვასა და ნივთების ინტერნეტის მეშვეობით. მსხვილმა ავიაგადამზიდმა კომპანია Air France- KLM-მა განაცხადა, რომ თებერვალ-აპრილის მონაკვეთში მათი შემოსავალი დაახლოებით 150-200 მილიონი ევროთი შემცირდება. ნეგატიურია გავლენა ტურიზმის სექტორზე. არაერთმა ქვეყანამ ჩინეთთან, სამხრეთ კორეასთან და ირანთან საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა შეწყვიტა. საფრთხის გამო გაუქმდა ასობით ავიარეისი, ათასობით ადამიანმა კი სამოგზაუროდ წასვლაზე უარი თქვა.

მსოფლიოს უმსხვილესი საკრუიზო და ავიაკომპანიების საფონდო ინდექსი მნიშვნელოვნად დაეცა, მათ შორის, American Airlines-ის 8.2%, Delta Air Lines-ის 5.8%, British Airways-ის 9%, Carnival Cruise Line-ის 7.9%, ხოლო Royal Caribbean Cruises-ის 7.7%-ით შემცირდა.

დაზარალებულია სასტუმროების ბიზნესი. მხოლოდ უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში (26 მარტიდან ათვლილი) ინდონეზიის კუნძულ ბალიზე, რომელიც ქვეყნის ყველაზე პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს, სასტუმროს 40 000-ზე მეტი ჯავშანი გაუქმდა. ჩინელი ტურისტების შემცირების გამო დიდ ზარალს განიცდიან პოპულარული ევროპული კურორტებიც. ათასობით დამსვენებელი მთელი მსოფლიოდან თავს არიდებს იმ ადგილებს, სადაც, როგორც წესი, განსაკუთრებით ბევრი ჩინელი ჩადის.

ტანსაცმლის ინდუსტრიის ბრენდი Burberry, ისევე, როგორც ამ კატეგორიის სხვა ძვირად ღირებული კომპანიები, აღნიშნავენ, რომ ჩინეთში მათი ბიზნესი მძიმე მდგომარეობაშია. როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, დაავადებამ ასევე მნიშვნელოვნად დააზარალა სხვა ყველა ფუფუნების საგნების მწარმოებლებიც. მუშაობა დღემდე შეჩერებული აქვს ჩინეთის „დისნეი ლენდს“, სტარბაქსის და მაკდონალდსის რამდენიმე ასეულ ობიექტს.

უარყოფითი გამოვლინების ფონზე ვირუსმა რამდენიმე კომპანიის საფონდო ინდექსი გაზარდა. როგორც მოსალოდნელი იყო საფონდო ბირჟაზე ფარმაცევტული კომპანიების აქციების გაძვირება დაიწყო.

გაიზარდა კომპანია Novacyt-ის აქციების ფასი, რომელიც ამზადებს ტესტებს. 30%-ით გაიზარდა სამედიცინო ნიღბებისა და თავდაცვის ქიმიური საშუალებების მწარმოებელი კომპანიის, Allied Healthcare-ის აქციები. ვაქცინის შესაქმნელად კომპანიამ 9-მილიონიანი გრანტი მიიღო. ამერიკული ბიოტექნოლოგიების კომპანიის Gilead Sciences, რომელიც ამჟამად კორონა ვირუსის დასამარცხებელი

პრეპარატის შექმნაზე მუშაობს. კომპანიის ინდექსი 4,1%-ით გაიზარდა. 1.7%-ით გაიზარდა ამერიკული კომპანიის Clorox-ის საფონდო ინდექსი, რომელიც სადეზინფექციო ქიმიური ხსნარების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია. ვებ-გვერდზე Zoom Video ონლაინ მომსახურება 40%-ით გაიზარდა.

CNBC-ის ინფორმაციით, 5%-ით გაიზარდა აპლიკაცია Teladoc-ის საფონდო ინდექსი, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს სახლიდან გაუსვლელად სამედიცინო-საკონსულტაციო მომსახურება მიიღონ.

გლობალური ეკონომიკური რეცესიის პირობებში განვითარებადი ქვეყნები და მათ შორის საქართველო, სამწუხაროდ დაუცველები არიან. ამასთან, საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა. მისი შიდა სამომხმარებლო ბაზრის 75 პროცენტამდე (სურსათის ჩათვლით) იმპორტირებული პროდუქციაა. კორონას პანდემიის გამო შემცირებულია ტურიზმისა და ტრანსპორტის ინდუსტრიის მაჩვენებლები. იმის გათვალისწინებით, რომ ლარის ინფლაციის დონე კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც ერთნიშნა ციფრია, ეკონომიკური კრიზისი ქვეყანას მნიშვნელოვნად დააზარალებს. ეკონომიკური კრიზისის პირობებში და განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დადგება ადამიანის ისეთი უფლებები, როგორიცაა შრომის, თანასწორობის, უსაფრთხოების, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის და სხვა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. სახეზეა მანკიერი ეკონომიკური სტრუქტურა, რომელიც ინტენსიფიკაციის რელსებზე ვერა და ვერ გადავიდა. ქვეყანაში კვლავაც ძირითად დარგებს, არა ტექნოლოგიები და მომპოვებელ-დამამუშავებელი მრეწველობა, არამედ ტურიზმი, საშუალო დონეზე განვითარებული მშენებლობა, მომსახურების სექტორი და ტრანსპორტი წარმოადგენს. მრეწველობის წილი ეკონომიკაში ამჟამად 2.5-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო 1980 -იანი წლების ბოლოს.

რადგან ექსპორტი მცირეა და იმპორტის მხოლოდ 2/5-ს ფარავს, ტურისტების მიერ უცხოურ ვალუტის საქართველოში დახარჯვისა და ემიგრანტების მიერ გადმორიცხვების შემცირების გამო, ლარი უფასურდება სხვა ვალუტებთან მიმართებაში, რაც აძვირებს, განსაკუთრებით საბაზისო სამომხმარებ-ლო პროდუქტს. ამით განსაკუთრებით ზარალდება სოციალურად დაუცველი და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები.

საქართველოში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, 29 მარტიდან შეწყდა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. სპეციალისტები ავიამიმოსვლის შეზღუდვის გამო ტურისტული ნაკადის შემცირებას და ამ დარგში ათობით ათასი დოლარის ზარალს ელოდებიან. 2019 წლის განმავლობაში საქართველოში ჩინეთიდან 48 071 ვიზიტორი შემოვიდა, რაც წინა წლის პერიოდთან შედარებით 50.9%-ით მეტი იყო. საშუალოდ ჩინეთის მოქალაქე ერთ ვიზიტზე საქართველოში 2.253 ლარს ხარჯავდა, რა მაჩვენებლითაც ჩინეთის მოქალაქეები საქართველოში მეშვიდე ყველაზე მაღალმხარჯველი ვიზიტორები არიან. 2019 წელს საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი 14.9%-ითგაიზარდა და 227,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 3,0%-ით გაიზარდა და 858,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ძირითად პროდუქცი, რასაც ჩინეთში ვყიდით არის: მადნები და კონცენტრატები სპილენძი; ყურძნის ნატურალური ღვინოები; მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი; მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონების; კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები; თხილი და სხვა კაკალი. ხოლო ჩინეთიდან შემოგვაქვს: ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან; მოწყობილობები ჰაერის კონდიცირებისათვის; მოწყობილობები ჰაერის კონდიცირებისათვის; რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები; აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის, ასევე ფეხსაცმელი, მაცივრები, ხორცი, ნათურები და ა.შ. პანდემიის დროს, საზოგადოება მოითხოვს და გააჩნია მოლოდინი სახელმწიფოსგან -ჩაერიოს ტოტალურად კრიზისის მართვაში, დაიცვას მოსახ-ლეობა ყოველმხრივ, და იზრუნოს მთელი ეკონომიკის (როგორც ინდუსტრიის, ისე სოფლის მეურ-ნეობის) გადარჩენისთვის. საქართველოში თავად სამედიცინო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლი-ტიკური ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში მუშაობს. მიუხედავად სოციალ-პოლიტიკურ სისტემებს შორის განსხვავებისა, მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთნაირი მეთოდებით იბრძვის ამ გამოწვევის წინააღმდეგ – თუმცა, ეფექტურობის და დროულობის სხვადასხვა მაჩვენებლით. უფრო

მნიშვნელოვნია, რომ როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამ დაიწყოს სერიოზული ფიქრი, და მეტიც, შემუშავება პოსტ-კრიზისულ პერიოდში ქვეყნის განვითარებისათვის, რა შემთხვევაშიც მინიმუმამდე უნდა შემცირდეს იმ შეცდომათა რიცხვი, რომლებმაც შეიძლება კრიზისის გაგრძელების შემთხვევაში და მისი დასრულების შემდგომ, შეაფერხონ ქვეყნის შეძლებისდაგვარად სწრაფი წინსვლა. პირველი და უმთავრესია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რითაც ქვეყანამ თვითკმარი არსებობა არა მხოლოდ გლობალური და ლოკალური კრიზისების დროს უნდა შეძლოს, არამედ ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობის დროსაც.

24 აპრილს პრემიერმა გიორგი გახარიამ სატელევიზიო გამოსვლით წარმოადგინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური ხელშეწყობის და განვითარების პლატფორმა, სადაც პუნქტობრივად ნაჩვენებია ყველა მაჩვენებელი - სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად გამოიყოფა: გრანტები 30 000 ლარამდე, მოხდება სესხის პროცენტის სრული დაფინანსება, მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები 6 თვის განმავლობაში 600 ლარიანი დახმარებით ისარგებლებენ, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე, მათ, რომელთა სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000-მდეა, სახელმწიფო ექვსი თვის განმავლობაში 600 ლარით დაეხმარება. 2021 წლიდან ყველა პენსიონერს პენსია გაეზრდება მინიმუმ 20 ლარით, ხოლო 70 წელს ზემოთ 25 ლარით.

„აწარმოე საქართველოში“ თანადაფინანსების მექანიზმი შეიცვლება და სახელმწიფოს მონაწილეობა პროცენტის დაფინანსებაში გაიზრდება.

კრიზისული მენეჯმენტისთვის 3 მილიარდ 500 მილიონ ლარი დაიხარჯება

ღია ტიპის აგრარული ბაზრების საქმიანობა 27 აპრილიდან სრულად იქნება დაშვებული

გადაწყვეტილება იქნა მიღებული 200 მილიონი ლარის ოდენობით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ფასთა შორის სხვაობის დაზღვევის შესახებ, ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნება და დამატებით 600 მილიონი ლარი ბიუჯეტიდან დაბრუნებული იქნება დღგ-ს სახით, 27 აპრილიდან სრულად იქნება დაშვებული ონლაინვაჭრობა.

სესხის გადავადების შეთავაზებით უკვე ისარგებლა 600 ათასმა მოქალაქემ, ყველა კომპანია, რომელიც სამუშაო ადგილს შეინარჩუნებს, 6 თვის განმავლობაში, 750 ლარამდე ხელფასის ანგარიშით, საშემოსავლო გადასახადის ნაწილში სრულ სუბსიდირებას მიიღებს, დახმარებით ისარგებლებს 350 ათასამდე მოქალაქე, რაც ბიუჯეტისთვის ნიშნავს 460 მილიონი ლარის ხარჯს, მთავრობა ერთჯერადად 300 ლარით დაეხმარება მოქალაქეებს, რომლებიც არაფორმალურ სექტორში იყვნენ დასაქმებული ან თავს მიიჩნევდნენ თვითდასაქმებულად.

დასკვნა

კორონა-პანდემიულ ვითარებაში, დღევანდელი გადასახედიდან, აშკარაა, რომ თითოეული სახელმწიფო მხოლოდ თავის მოქალაქეებზეა კონცენტრირებული და სოლიდარობის ერთაშორისო პრინციპმა გარკვეულწილად უკანა პლანზე გადაიწია. თუმცა, ეროვნული სახელმწიფოების როლის წინ წამოწევამ მაქსიმალურად არ უნდა გამოიწვიოს მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, კულტურული და აკადემიური დესტრუქცია რასაც, თავის მხრივ, მომავალში კიდევ უფრო მეტი და მძიმე კრიზისების გამოწვევა შუძლია. ამ კრიზისმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახა მსოფლიოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება მხოლოდ ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომ, ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა თუ სხვა მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში გამართულად არსებობისათვის, მუდმივ კომუნკაციაში უნდა იყოს განხილული განათლებისა და კვლევის აკადემიურ სივრცესთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ონლაინ პლატფორმის - Financer Georgia-ის ანალიტიკოსები
2. ამონარიდი Twitter-ის REUTER ის გვერდიდან -.ავტორი ირაკლი მაკალათია
3. 27.01.2020 – 01.02.2020 მთავარი ეკონომიკური მოვლენების ჩამონათვალი-მამუკა ბერიაშვილი, ილია მარჯანიძე
4. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა-კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია Stop. Gov.ge\- 2020
5. Coronavirus Disease (covid-19)-statistics and research by Max roser, Hannah Ritchie, Esteban Ortiz and Joe Hasell april 16, 2020(London Time)
6. Вспышка коронавируса — чрезвычайная ситуация международного значения -Материалы учреждений системы ООН
7. Под прицелом COVID-19. Коронавирус поставил под удар единую валюту Евросоюза 03 апреля 2020
8. OECD Interim Economic Assessment Coronavirus: The world economy at risk 2 March 2020

ჩორცა ანდ ფეე აარჯზეს ოფ ოჯერნაოვიოსჩოფ ინრეაფფ

Ghambashidze Tamar
Associate Professor of Georgian Technical University

khutchua Nino
PhD student of Georgian Technical University

შ უმ მ ა რყ

ინე ცფოზაოეშ (ჩ OVID-19) ოუტფაკ ჰასალეფყ ბოუბკფცინიფრბლეუფ ან სუფფრბ ანდ მ ა ოფოეცზოფ ინ დინაკტიOuტეფცინტოფ ოინ ჰინ ა ოუ ბეინ ფ ულეფ ოუ ნ ტ ე ოჯლეფ ოეცტ ინ კეყ ანდ ოინ ოჯ ინ ჰას ინბლეფ ოფ ოეკ ცპ ინ, ტ ოფ ოლ ინ ცინ მ ოჯ ინ ოეეტ ა ოეეტ ინ ეეინ ა ეუ ბ ლ ინ ინ ეეეუ ინ ეოეეეუ ინ ეოეეეუ ინ ეო

საქართველო და დიდი აბრეშუმის გზა

ყანდაშვილი თემურ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნუცუბიძე პოლიკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ოდითგანვე სხვადსხვა ცივილიზაციების გადაკვეთის წერტილი იყო, რაზეც დიდი აბრეშუმის გზის ისტორიაც მოწმობს. ძველი აბრეშუმის გზა ხშირად იცვლიდა მარშრუტს სახვდასხვა მიზეზების გამო, მაგრამ საქართველო ყოველთვის იყო აღნიშნული დერეფნის უცვლელი მონაკვეთი.

მიმდინარე სიტუაციაში საქართველოს სრული დატვირთვის შემთხვევაში მხოლოდ 15 მილიონი ტონა ტვირთის გატარება შეუძლია, რაც არც ისე დიდი მაჩვენებელია, როდესაც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა საქართველოზე გადის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმენა იწყება. ასტანაში შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, სადაც ბრიტანული სამართალი მოქმედებს, უზბეკეთი კი, აქტიურად ეძებს ინვესტორებს. 2018 წელს ცენტრალური აზიის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი 285.6 მილიარდი იყო და ამ ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები სწარაფად იზრდება.ვარაუდობენ, რომ 2023 წლისთვის ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკის ზომა 416 მლიარდს მიაღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ რაღაც 4 წელიწადში 131 მილიარდით მეტი საქონლის მოხმარებას შეძლებს აღნიშნული ქვეყნები [3].

დღესდღეისობით კი, როდესაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების გზაზე დგას კარგი იქნება თუ უფრო ეფექტურად გამოიყენებს აღნიშნულ მდებარეობას და დაიბრუნებს ძველი აბრეშუმის გზის დონის სტატუსს.ამ ყველაფრის პოტენციალი კი საქართველოს გააჩნია და არსებობს იმის პერსპექტივაც, რომ ეს ყველაფერი წარმატებით განახორციელდეს.

საკვანძო სიტყვები: სატრანზიტო პოტენციალი, ეფექტური ფუნქციუნირება,ალტერნატიული დერეფნები.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს სატრანზიტო დერეფანში მნიშვნელოვანი როლი აკისრია.იგი არის აზიის და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა. მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია გახდეს არამარტო სამხრეთ კავკასიის რეგიონის სატვირთო ჰაბი, არამედ საშუალო ვადიან პერსპექტივაში ცენტრალური აზიის მნიშვნელოვანი სატრნაზიტო მარშუტი, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი ალტერნატიული გზა. სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტის გამო არის ჩინეთი დაინტერესებული ძველი აბრეშუმის გზის აღდგენით, რომელსაც „ერთი გზა ერთი სარტყელი“ ქვია. ჩინეთთან სატვირთო გადაზიდვების მხრივ თანამშრომლობა კი ძალიან მნიშვნელოვანი არის რადგნა მსოფლიო ბაზარზე ჩინური საქონლის ბუმია და ამ სოქონელს შეუძლია ნებისმიერი სატრანზიტო დერეფანი სრული დატვირთვით ამუშაოს, მიმდინარე პერიოდში კი როცა ჩინეთმა ბევრ საწარმოო სიმძლავრეებზე მართველობის სრული უფლება დაიბრუნა მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი საქონლის წარმოება და შესაბამისად გადაზიდვა.

საქართველოში შემოსული ტვირთბის 30% ადგილზე რჩება, 30%-30% კი სომხეთ აზერბაიჯანის არის, დარჩენილი 10% კი შუაზიის ტვირთბია [1]. საქართველოში სხვადასხვა ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება.



ნახ.1

აქ ნათლად ჩანს რომ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მაჩვენებელი არ იცვლება, და ეს მის ერთი მხრივ სტაბილურობაზე მიუთითებს. [4]

გარდა მშრალი ტვირთების საქართველო ასევე ნავთობ პროდუქტების გადაზიდვაშიც აქტიურად არის ჩრთული და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.



ნახ.2

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სატრანზიტო პოტენციალი საჭიროებს დამატებით შესწავლას რადგან მოხდეს შედარება ალტერნატიულ სატრანზიტო დერეფნებთან და გარკვევა იმის თუ რამდენად კუნკურენტუნარიანია აღნიშნული დარგი.

საქართველოს პორტებში გატარებული ტვირთების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე.

თუ დავაკვირდებით ადვილად შესამჩნევია ის ფაქტი, რომ საქართველოს პორტებში ტვირთვბრუნვა საგრძნობლად შემცირებულია, 2000 წელთან შედარებით საქართველოს პორტებში ტვირთბრუნვა დაახლოებით 33% არის შემცირებული რაც 7.4 მლნ ტვირთის დაკარგვის ტოლფასია. ტვირთების კლება პირველ რიგში შუა აზიური ნავთობის (ძირითადად ყაზახურის) უფრო მეტი წილს ჩრდილოეთის დერეფანში გადასვლით არის გამოწვეული. საქართველოს პორტებიც ძირითადად ნავთობ პროდუქტების მიღებით იყო დაკავებული და მშრალ და საკონტეინერო ტვირთებს ნაკლებად ატარებს. ბოლო პერიოდებში სიტუაცია შედარები შეიცვალა და 2019 წელს 453 938 ათასი კონტეინერი გადაამუშავა, რაც 15%-ით მეტია გასულ პერიოდებთან შედარებით.



ნახ.3



ნახ.4

აქაც თვალნათლივ ჩანს ის ფაქტი, რომ ტვირთები სარკინიგზო დერეფანშიც შემცირებულია, რაც იმავე მიზეზით არის გამოწვეული, რაც ზემოთ ვახსენეთ პორტების შემთხვევაში. საქართველოს მაგალითზე, რკინიგზის ტვირთბრუნვა დამოკიდებულია პორტების ეფექტურ ფუნქციონირებაზე, საქართველოს პორტებში შემოსული ტვირთების დიდი ნაწილის გადაზიდვა კი საავტომობილო ტრნაპორტით ხდება რაც უფრო მობლური და იაფია, შესაბამისად სარკინგზო მაგისტრალზე ტვირთებამა მოიკლო.

შეიძლება ითქვას რომ საქართველოს სატრანზიტო უნარი და მისი ეფექტიანობის გასაზრდელად საჭიროა სხვდასხვა ქმედებების გატარება, მაგალითად ინფასტრუქტურის მაღალ დონეზე მოწყობა, გარკვეული რეგულაციების მიღება რომელიც გაადვილებს გადაზიდვებს, საერთაშორისო დონეზე კანონმდებლობის მორგება და სხვა. სატრანზიტო დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს რადგანაც ამ დერეფნის სიგრძე სულ რაღაც 550 კილომეტრია და ადვილად მოხდება მისი გაკონტროლება და სათანადო დონეზე აღჭურვა.

სწორედ ამიტომ ხდება, რომ წესრიგდება სააავტომობილო გზები მსოფლიო სახვდასხვა ორგა-ნიზაციების დაფინანსებით, იქნება ეს მსოფლიო ბანკი თუ აზიის განვითრების ბანკი რომელიც ჩვენს ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებს.

მიმდინარე პერიოდებში საქართველოს რა დონის ინფრასტრუქტურაც გააჩნია იმით დაახლოებით 15 მილიონი ტონა ტვირთის გატარება შეუძლია, რაც აზია ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი დერეფნისთვის უდაოდ მცირე მაჩვენებელია, სწორედ ამიტომ იყოს სახვდასხვა საუკუნის პროექტების განხორციელება დაწყებული, როგორიცაა ანკლიის პორტი(პროექტი ჯერ-ჯერობით შეჩერებულია) რომელსაც სრული დატვირთვის შემთხვევაში 100 მილიონი ტვირთი უნდა გაეტარებინა, ახალქალაქის რკინიგზა და სხვა.

ლოჯისტიკის სფერო საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს,მისი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 12%-ია, ლოჯისტიკის სფეროს საქართველოშ განვითრება ხელს შეუწყობს ქვეყნის გლობალურ საკითხებში დამოვლენებში კიდევ უფრო მეტ ჩართულობას ეფექტურად დააკავშირებს მსოფლიოს სხვდასხვა ბაზრებთან. საქართველოს აქვს იმის შესაძლებლობა რომ გაატაროს დიდი რაოდენოსბის ტვირთი რომელიც იქნება ცენტრალური აზიისათვის განკუთვნილი და ასევე ტვირთები რომელიც ჩინეთიდან იქნება წამოსული, ეს პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას შეუწობს ხელს.

რაცარუნდა ბევრი ვისაუბროთ იმაზე რომ საქართველოს კარგი მდებარეობა გააჩნია, არსებობს ალტერნატიული დერეფნები რომელიც კონკურენციას უწევენ მას. კონკურენტ დერეფნებს ყველას თავისი დადებითი და უარყიფითი მხარე გააჩნია. ძირითადი კონკურენტი მაინც არის, ყაზახეთი რუსეთი, აზერბაიჯანი თურქეთი ან ყაზახეთი კასპიის ზღვის გავლით.



ნახ.5 [2]

გამოყენებული ლიტერატურა

1. მსოფლიო ბანკის დოკუმენტი: საქართველო, შესაძლებლობები და კეთილდეღეობის მისაღწევად, გვ.85 გვ.87
2. ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი: http:parliamnet.ge
3. http://eugeorgia.info/ka/latestarticle/107/evropidan-saqartvelos-gavlit-iranuli-tvirtebis-gadazidva-daiwyo/
4. ნახ.1, ნახ.3 ნახ.4 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

GEORGIAS PROBLEMURI INVESTICIURI PROGRAMEBI DA FINANSURI PROBLEMA

Kandashvili Temur
Professor of Georgian Technical University

Nutsubidze Poliko
PhD student of Georgian Technical University

შუამავარ

Georgia's გიორგი ბეჟიტაშვილი ინვესტიციებზე ბევრ ფიქრობს. ეს ინვესტიციები ნიშნავდა ტურიზმის ლიბერალიზაციას, ეს ეხება ცალკეულ ოლქებს, ანდა ეს ეხება ოფშორ Grეკუთვნილი ტერიტორიების ნებადართული ოფშორული ზონების ანგარიშებს ოფშორული ანგარიშებს, ბუღალტერიაში Georgia's ინვესტიციები

ეს ეხება აუცილებელი ინფრასტრუქტურული ინვესტიციებს ეროვნულ ეკონომიკაში ანდ ფორმა მ ოლონ ოლიგოპოლიები ეხება ბევრ ანდ სტიმულირებულ სტრუქტურებზე Eასტ ევროპა ესტ Georgia's ეკონომიკა ინ ოფშორული ინ ასეთ ეფექტურობა ეს Aგაბისაშვილი ბაცბარაშიდ ოფლუალიზაციო ინვესტიციები Georgia's ეკონომიკა ტერიტორიული ვარიანტ ფინანსური ინფორმაციაზე ინფორმაციაზ ანდ ატანდენტი ინვესტიციებ ენტიე ეკონომიკა Georgia's ალიტიკაშუ ეკონომიკა ინვესტიციებ ეფექტურობა ეს ბანკ სუბ ასMSC, MAEDSK LIENE, KAOON AND KOMPANI, SILK DOAD GROUP, ანდ ფენ ჰავე ალეფდ აკეიდ ოფ ტემ არეტ.

Keკეოდ: Orbnit Proფენციალეფ Funცტიონ, Alტერნატივ ოფდ ინვესტიციონ

კორონა ვირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე

ყიზილაშვილი კონსტანტინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მიქელაძე თამარ
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში „კორონა ვირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე", მიმოხილულია გლობალური პანდემიით გამოწვეული საფრთხეები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს; იქნება ეს გლობალური მიწოდების ქსელების, ლოჯისტიკური მიწოდების ჯაჭვის, ასევე, საჰაერო მიმოსვლის შეჩერება და სხვ.

განხილულია კორონა ვირუსის პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე. ნაშრომში აღნიშნულია თუ რა უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანა ჰიპერგლობალიზაციამ; არსებული კრიზის ფონზე კი შეიძლება ითქვას რომ ერთგვარად დეგლობალიზაციის წინაშე აღმოვჩნდით.

ნაშრომში აღნიშნულია, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას მსოფლიო უხილავი მტრის წინაშე; თუ რა ანტიკრიზისული გეგმა შეიმუშავეს მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ, მოსალოდნელი ეკონომიკური კოლაფსის შედარებით შესასუსტებლად.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თუ რა ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს პანდემია უახლოესი რამოდენიმე წლის განმავლობაში. აგრეთვე აღნიშნულია, კრიზისის ფონზე თუ როგორ დაზარალდა ტურიზმის სექტორი მსოფლიოს მასშტაბით; ამასთან, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის უსაფრთხო დერეფნის სტატუსის მინიჭება ტურისტული თვალსაზრისით, ასევე, ქვეყანაში შიდა ტურიზმის, ეკო და აგროტურიზმის განვითარების სამომავლო პერსექტივები.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ეკონომიკა, კორონა კრიზისი, რეცესია, ეკონომიკური კოლაფსი, გლობალიზაცია, დეგლობალიზაცია.

ძირითადი ტექსტი

მოგეხსენებათ, გლობალურმა პანდემიამ, კორონა ვირუსმა შეცვალა მსოფლიო დღის წესრიგი. მან საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმი მთელს მსოფლიოში სულ სხვა რელსებზე გადაიყვანა. 2020 წლის ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც კორონა კრიზისი, ხოლო ინგლისური ტერმინით „გრეით ლოკდაუნ" (Great Lockdown) უწოდეს, გამოწვეულია კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზით რეცესია გარდაუვალია და ეს უკანასკნელი იმაზე მეტად სერიოზულია, ვიდრე 1930-იანი წლების „დიდი დეპრესია" და ასევე, 2009 წლის გლობალური ფინანასური კრიზისი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ჭ ᲝᲓ) პროგნოზით, მოსალოდნელია მსოფლიო ვაჭრობის მკვეთრი ვარდნა, დაახლოებით 13-დან 32 პროცენტამდე. როგორც სსფს-ს აღნიშნავს, კორონა კრიზისით გამოწვეული რეცესია დამანგრეველია მსოფლიო ეკონომიკისათვის.

აღსანიშნავია, რომ გლობალური პანდემიით გამოწვეული ე.წ. კორონა-კრიზისი თითქმის ყველა სფეროს ელვისებური სისწრაფით ანადგურებს. საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ ბევრ ქვეყანაში დაპაუზებულია; შეჩერებულია გლობალური მიწოდების ქსელები, ლოჯისტიკური გადაზიდვები, ასევე, საჰაერო მიმოსვლა ქვეყნებს შორის. კომპანიების უმრავლესობა გაკოტრების ზღვარზეა, ხოლო საფონდო ბირჟები კრახს განიცდიან. ევროპა რეცესიისკენ იხრება. რიგმა ევროპის სახელმწიფოებმა, ასევე საქართველომ სწრაფად და ეფექტურად გაატარეს განსაკუთრებული ზომები ვირუსის პრევენციისათვის და გარკვეულწილად დასახეს გზები, რაც მოსალოდნელ ეკონომიკურ კრიზისს შეასუსტებდა, თუმცა, ეს საკმარისი არ არის ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული კრიზისიდან გამომდინარე ბევრ კომპანიას დიდი დავალიანება დაუგროვდა.

ბევრმა ქვეყანამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ჩარევით დღესდღეისობით გარკვეულწილად შეასუსტა ფინანსური კრიზისი. ამასთან, თუ რამდენად საკმარისია ამა თუ იმ ქვეყნის

ფულადი და ფისკალური პოლიტიკა, ეს დამოკიდებულია კრიზისის ბუნებაზე და პანდემიის ხანგრძლივობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი გამოწვევები არ ეხება მხოლოდ ეკონომიკურ სფეროებს, არამედ, ახალი კორონა ვირუსი ერთგვარი გამოწვევა სახელმწიფოებისა და ხელისუფალთათვის, რამდენად შესწევთ მათ საკმარისი უნარი, დაიცვან თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლე, ამასთან, მართონ კრიზისულ სიტუაციაში ქვეყნები. არსებული კრიზისის პირობებში ერთი რამ ცხადია, რომ კრიზისის წარმატებული მართვა აძლიერებს სახელმწიფოს ნდობას დომინანტი სახელმწიფოს თვალთახედვით.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესის შედეგად მიწოდების ჯაჭვის შექმნამ ბევრი ქვეყანა ეკონომიკურად მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან. გავრცელებული ვირუსის ფონზე ქვეყნების მიერ გამკაცრებულმა საჰაერო თუ სახმელეთო შეზღუდვებმა ხელი შეუშალა მიწოდების სრულყოფილ განხორციელებას და თავისთავად შეაფერხა ეკონომიკური აქტივობა.

ეკონომიკური კრიზისი მომდინარეობს კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებიდან გამომდინარე. მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო კომპანიები იძულებულნი არიან შეაჩერონ საწარმოო პროცესი, რაც თავისთავად აფერხებს მიწოდებას. მოთხოვნისა და მიწოდების შეზღუდვა კი თავის მხრივ მნიშვნელოვან პრობლემას წამოადგენს მსოფლიო ეკონომიკური სტაბილურობისათვის. არსებული ვითარებით გამოწვეული კრიზისი აისახა ფინანსურ ბაზრებზე, კრიზისი შეეხო ასევე სასაქონლო ბაზრებსაც. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ნავთობპროდუქტების ყველაზე მსხვილი იმპორტიორია; ხოლო, ნავთობზე მოთხოვნა კი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია.

შრომის ბაზრის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ კორონა კრიზისი თითქმის ყველა ქვეყანაში უმუშევრობას გაზრდის. ბევრი კომპანია მსოფლიო მაშტაბით გაურკვეველი საშიშროების წინაშე დგას. ეს არ ეხება მხოლოდ მოგების ან გაყიდვების შემცირებას, არამედ, ეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და სამომავლოდ ბევრი საწარმოს ყოფნა-არყოფნას განსაზღვრავს. კომპანიები იბრძვიან თვითგადარჩენისათვის კორონა კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური კოლაფსის წინააღმდეგ.

ცხადია, კრიზისი დიდი გამოცდის წინაშე აყენებს ფინანსურ და ეკონომიკურ სისტემას. ე.წ„შატდაუნად“ წოდებულ მაკროეკონომიკურ ზარალს სერიოზული შედეგები გააჩნია. ექსპერტები დღეისათვის ვარაუდობენ, 2020 წლისთვის მშპ დაახლოებით 5 პროცენტით შემცირებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კორონა კრიზისი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ერთნაირი ინტენსივობით არ უტევს; სერიოზულად დაზარალდა ავიაკომპანიები, ასევე, ვაჭრობის სფერო, რომლებიც ებრძვიან ლიკვიდურობის პრობლემებს. აღსანიშნავია, რომ პანდემიამ განსაკუთრებით დააზარალა ტურიზმის სექტორი. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო მასშტაბით ბოლო წლების მაჩვენებლებს, ტურიზმმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. იტალიაში სწორედ ტურისტები დასახელდნენ ინფექციის გავრცელების მთავარ წყაროდ. არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე უპირატესობა ენიჭება ისეთ დასასვენებელ ადგილებს, სადაც ადამიანები თავს დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობენ. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, საქართველოს ტურიზმის სექტორიც დიდი გამოწვევის წინაშე დგას, ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოც სხვა რამოდენიმე ქვეყანასთან ერთად (ისევე როგორც, ისრაელი) ტურისტებისათვის უსაფრთხო ქვეყნად დასახელდა. ამასთან საქართველოს მთავრობის ინიციატივას პირველ ეტაპზე შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორცილებული ანტიკრიზისული გეგმა, არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მიზნით ფერმერებისათვის სუბსიდიის გამოყოფასთან დაკავშირებით, ქვეყნისთვის არსებითი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება ეკო და აგრო ტურიზმის განვითარებას. რაც, ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სინერგიას გულისხმობს. ტურიზმის ამ მიმართულებით განვითარება კი ხელს შუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას დამატებითი მატერიალური დოვლათის შექმნაში.

გლობალურმა კრიზისმა ნათლად დაგვანახა, თუ რა სენსიტიური გაგვხადა ჰიპერგლობალიზაციამ და ამასთან, რა უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანა. გლობალური მიწოდების ქსელები სუსტდება, ხოლო ფინანსური ბაზრები სრულიად დაუცველია კრიზისისაგან. კორონა კრიზისმა ერთის

მხრივ დააჩქარა იმ პროცესის განვითარება, რომელიც დიდი ხანია დაწყებულია: ეს არის დეგლობა-ლიზაცია. პროცესის ბოლოს შესაძლოა გლობალურმა სამუშაო ძალთა განაწილებამ მიგვიყვანოს კონკურენტ ეკონომიკურ ბლოკებად დანაწევრებამდე.

როგორი იქნება მსოფლიო კორონა კრიზისის შემდგომ პოსტკრიზისულ პერიოდში?! როგორც აღვნიშნეთ, გასულ საუკუნეში რამოდენიმე გლობალურმა კრიზისულმა მოვლენამ მსოფლიო ეკონო-მიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ეს გლობალური მოვლენები იყო 30-იანი წლების დიდი დეპრესია, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური კრიზისი, საბჭოთა სოციალისტური ბანაკის დაშლით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნა, ასევე, 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ყველა დასახელებულ კრიზისს თავისი გამომწვევი მიზეზი და კრიზისის დაძლევის სტრატეგია გააჩნდა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კორონა ვირუსით გამოწვეული კრიზისი თავისი მასშტაბებით გაცილებით დიდ დარყმას მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას, ვიდრე ზემოთხსენებული გლობალური რეცესიები. არსებული კრიზისის დაძლევას კი ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თუ მსოფლიო კარანტინის პროცესი დიდხანს გასტანს სხვადასხვა ფორმით, ამ შემთხვევაში ახალი ეკონომიკური წესრიგის გადაწყობის მომსწრენი ვიქნებით. როგორ წარიმართება მომავალში არსებული გლობალური პროცესები, ყოველივე ეს მსოფლიოს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

როგორც სხვადასხვა ცნობილი მედია და ონლაინგამოცემა (მათ შორის სააგენტო „Bloomberg"), აღნიშნავს, რომ ჩინეთმა ვირუსის გავრცელების მასშტაბი დამალა, ასევე მათ მიერ დასახელებული ვირუსით დაღუპულთა სტატისტიკა არასრულია. აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩინეთს ღიად დებს ბრალს გლობალური ეკონომიკური რეცესიის გამოწვევაში. ჯერ რთულია იმის განსაზღვრა, დაუწესებენ თუ არა ჩინეთს ეკონომიკურ სანქციებს, ან საერთაშორისო კაპიტალზე შეზღუდვებს, მაგრამ მიმდინარე პროცესებიდან, ასევე, ექსპერტების წინასწარი შეფასებებით, მოსალოდნელია მოწმენი გავხდეთ ჩინეთ-დასავლეთის დიპლომატიური და ეკონომიკური დაპირისპირების. რაც თავის მხრივ ბიძგს მისცემს მნიშვნელოვან მსოფლიო ახალ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ გადაწყობას.

დასკვნა

ლოგისტიკური ჯაჭვის რღვევამ მსოფლიო მასშტაბით ბევრი კომპანია დააზარალა. ცხადია, ბიზნესი დგება არჩევანის წინაშე, რამდენად ღირს ჩინეთში წარმოების ან ბიზნეს საქმიანობის გაგრძელება; ამასთან, შესაძლოა ბევრმა სახელმწიფომ ჩინეთთან ვაჭრობაზე შეზღუდვები დააწესოს.

გარდა გეოპოლიტიკური ფაქტორისა, რაც ზემოთ განვიხილეთ, ასევე, ჩინეთთან სავარაუდო სავაჭრო შეზღუდვებისა თუ ლოჯისტიკური ჯაჭვის გაწყვეტისა, ბევრი კომპანია გადაწყვეტს ინვესტიციის განხორციელებას ნაკლებრისკიან, უსაფრთხო ქვეყანაში. ასეთ ვითარებაში ის ქვეყნები იქნება ხელსაყრელი, რომელთა ეკონომიკური კლიმატი და რეგულაციები მისაღებია ინვესტიციის განხორციელებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ 2010-2011 წლებში საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციისათვის ასეთი ტიპის ინვესტიციები განხორციელდა საქართველოში, (2009 წლის მე-2 კვარტალში -9-პროცენტიანი ვარდნა გვქონდა, 2010 და 2011 წლები კი, შესაბამისად, ეკონომიკის +6.4 და +7.2-პროცენტიანი ზრდით დავასრულეთ).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ მსოფლიოში მხოლოდ შვიდ ქვეყანას აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ჩინეთთან და ევროკავშირთან ერთდროულად; ეს ქვეყნებია: ისლანდია, პერუ, ჩილე, სინგაპური, სამხ. კორეა, შვეიცარია და საქართველო. საქართველო კი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საკმაოდ მიმზიდველია ინვესტიციების მოსაზიდად და ბიზნესის კეთების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველო თავის ადგილს დაიმკვიდრებს ახალ გეოპოლიტიკურ ასპარეზზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.dw.com/de/tourismus-die-corona-krise-und-ihre-weitreichenden-folgen/g-52693665?fbclid=IwAR0uIWMJqCJe7TgHa-mC8BgtJZA4HuVjG10oc7Q5a8YSaG5HZ_nwDhpOmhY (უკანასკნელად გადამოწმდა 22.04.2020)
2. https://www.tagesspiegel.de/politik/folgen-fuer-die-weltwirtschaft-die-coronakrise-verstaerkt-die-trends-zur-deglobalisierung/25695862.html?fbclid=IwAR3_cV-WjyopV2pOdg2lJIDB5HBk5xQnFgCoP9NI8jPl4tHMYZY_PfGbF2E (უკანასკნელად გადამოწმდა 22.04.2020)
3. https://de.wikipedia.org/wiki/Wirtschaftskrise_2020?fbclid=IwAR0b9lfJrwXd03G_g_LpdvR6xnGKd_nVDr6h_mrJ1SB9iHdH87Bkr6n24eY (უკანასკნელად გადამოწმდა 23.04.2020)
4. https://www.dw.com/de/corona-krise-wirtschaft-unter-schock/a-53056764?fbclid=IwAR2C0RHVdHUsEzjMl-NwCTIFrXS79z_9YJdmu9pHPmtQ8tv8_dTwlddG_v0 (უკანასკნელად გადამოწმდა 23.04.2020)
5. https://finanzmarktwelt.de/dirk-mueller-ueber-die-dramatischen-folgen-der-corona-krise-163083/?fbclid=IwAR2e5OFqMWt2jumA9jnqw7FlCDqSTrwQdiduE6SXFpn3ICR9qP6udbN3440 (უკანასკნელად გადამოწმდა 23.04.2020)
6. https://forbes.ge/news/8192/Coronaekonomika (უკანასკნელად გადამოწმდა 10.05.2020)
7. https://www.radiotavisupleba.ge/a/30561505.html (უკანასკნელად გადამოწმდა 10.05.2020)
8. https://forbes.ge/blog/522/kompaniebi-CineTs-toveben-SesaZlebloba-ganviTarebad-qveynebs (უკანასკნელად გადამოწმდა 10.05.2020)

[illegible] COVID-19 პანდემიის [illegible] World Economy-ზე [illegible]

Kizilashvili Konstantine
Professor of Georgian Technical University

Mikeladze Tamar
Doctor of Social Sciences in Mass Communication

შუმი არეა

[illegible] COVID-19 [illegible] COVID-19 [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული წარმოების განვითარების ახალი შესაძლებლობები კორონომიკური კრიზისის ფონზე

შენგელია რევაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

წიკლაური-შენგელია ჟუჟუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შენგელია ნათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საერთოდ, კრიზისი ნორმალური მოვლენაა. დროდადრო ის ხდება ნებისმიერ ეკონომიკაში და შეიძლება შეფასდეს როგორც ამა თუ იმ მოვლენის ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით. კორონომიკური კრიზისის პირობებში კი:

ა)მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული წარმოების შენარჩუნებაზე, გადარჩენაზე, ხოლო პოსტკორონომიკური კრიზისის შემდეგ მის სწრაფ განვითარებაზე;

ბ)ეროვნული წარმოების განსავითარებლად საინვესტიციო რესურსებია საჭირო. ამ მხრივ შიდა ინვესტიციების მოზიდვისა და გამოცდილი მუშაკების დასაქმების თვალსაზრისით დადებითი ტენდენციაა საქართველოდან წასული ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში;

გ)თუკი ქართული სოფლების აღდგენისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების შედეგად წახალისდება ეროვნული წარმოება და შესაბამისად, გამყარდება ეროვნული ვალუტაც;

დ)სახელმწიფომ უნდა წაახალისოს იმ დარგებში განსახორციელებელი ინვესტიციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან იმპორტშმცვლელი პროდუქციის წარმოებაზე ან ექსპორტზე;

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, კორონომიკა, კორონომიკური კრიზისი, ეროვნული წარმოება.

ძირითადი ტექსტი

საერთოდ, კრიზისი ნორმალური მოვლენაა. დროდადრო ის ხდება ნებისმიერ ეკონომიკაში და შეიძლება შეფასდეს როგორც ამა თუ იმ მოვლენის კორექტირება, ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით. ეკონომიკური კრიზისის დროს მკვეთრად უარესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ეცემა სამამულო წარმოება, კოტრდებიან საწარმოები, იზრდება უმუშევრობა, რაც, საბოლოო ანგარიშში, იწვევს ადამიანთა ცხოვრების დონის გაუარესებას.

რაც შეეხება კორონავირუსს, იგი არის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის, ანუ როგორც ლიტერატურაში მოიხსენიებენ, „კორონომიკური კრიზისის“ გამომწვევი და პრაქტიკულად შეიძლება „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნას. „გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, კორონავირუსმა არა მხოლოდ ჯანდაცვის კრიზისი, არამედ ეკონომიკური და შრომითი ბაზრის კრიზისიც გამოიწვია - პანდემიის ფონზე მსოფლიოში შესაძლოა 24 მილიონი ადამიანი დარჩეს უმუშევარი. (1)

რა შეიძლება გააკეთოს ნებისმიერმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ იმ ადამიანების დასახმარებლად, ვინც დროებით ან ხანგრძლივად სამსახურის და შესაბამისად, შემოსავლების გარეშე დარჩება?

საერთოდ კრიზისის და მითუმეტეს კორონომიკური კრიზისის პირობებში:

1. მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული წარმოების შენარჩუნებაზე, გადარჩენაზე, ხოლო შემდგომ პოსტკორონომიკური კრიზისის შემდეგ მის სწრაფ განვითარებაზე. მთელი ძალისხმევა უნდა წარვმართოთ იმ დარგებში, რომლებმაც ამ ვითარებაში განსაკუთრებული სიმყიფე აჩვენა. ასეთი, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობაა. რა დასამალია და, ცნობილია, რომ საქართველო მხოლოდ კვერცხისა და კარტოფილის წარმოებით უზრუნველყოფს საკუთარ მოხმარებას

100%-ით. დანარჩენი პროდუქტების მოხმარებისას კი შემოტანილ, იმპორტირებულ პროდუქციაზე ვართ დამოკიდებული. მარცვლეულში 85%-ით, მათ შორის რუსეთის ფედერაციაზე დიდწილად და არა მხოლოდ მარცვლეულით. ჩვენ უნდა შევძლოთ შიდა წარმოების გაზრდა იმდენად, რომ იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი არ იყოს 40-45%-ზე მეტი. არადა, მაგალითად, ისრაელი, მათი კლიმატური პირობების გათვალისწინებითაც კი, აწარმოებს საკუთარი სასურსათო მოხმარების 95%-ს და ამ სფეროში დასაქმებულია 20 ათასზე ნაკლები ადამიანი. ეს, რასაკვირველია, შრომის მაღალი მწარმოებლურობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგია.(1). იმედია, რომ საქართველოში ათასობით დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავება დაიწყება. ქვეყანა მიხვდება, რომ ტურიზმის განვითარებაზე უფრო აუცილებელი (მრავალჯერ მეტად) მარცვლეული დარგის(კერძოდ, მწარმოებლური დარგების) განვითარებაა; ამ დარგის განვითარება ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებას, აღარ დაგვჭირდება დოლარებზე ვიყიდოთ კომბინირებული საკვები და სხვა მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო პროდუქტები; ამით შემცირდება მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა უცხოურ ვალუთაში; ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, ექსპორტის ზრდას და იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებულებას.

2. ეროვნული წარმოების განსავითარებლად საინვესტიციო რესურსებია საჭირო. ამ მხრივ შიდა ინვესტიციების მოზიდვისა და გამოცდილი მუშაკების დასაქმების თვალსაზრისით დადებითი ტენდენციაა საქართველოდან წასული ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში. ამის შედეგად მოსალოდნელია აღდგეს დაცარიელებული ქართული სოფლები (ასეთი სულ 700 საოფელია, 800 სოფელში კი მხოლოდ პენსიონერები ცხოვრობენ); ეს კი ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასაც. იმედია ემიგრანტები უკან აღარ წავლენ, თუკი მათ შევუქმნით სასურველ საინვესტიციო გარემოს და თავიანთ სამშობლოში უფრო დაცული იქნებიან. საჭიროა ინვესტიციების მოსაზიდად ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება. კარგია ამ მიმართულებით მეღვინეობის, მოცვის, მაყვალის, ჟოლოს, ზეთისხილის, ნუშის დარგების დაფინანსება, გრანტებისა და შეღვათიანი კრედიტების გაცემა, უფრო აუცილებელია და გადაუდებელია სტრატეგიული კულტურის - ხორბლის წარმოების დაფინანსება, რომ არ ვიყოთ მხოლოდ რუსეთისა და ყაზახეთის ხორბალზე დამოკიდებული.ეროვნული წარმოების განსავითარებლად არანაკლები მნიშვნელობა ექნება უცხოურ ინვესტიციებს.კორონომიკამ დაგვანახა, რომ „მსხვილი კომპანიებისათვის შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი გახდეს ჩინეთიდან თავიანთი ქარხნების გატანა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჩინეთთან უკვე აქვთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. ევროკავშირთან მიმართებაში, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ისეთი ქვეყნები (მაგალითად, ისლანდია, საქართველო, შვეიცარია, და სხვ.), რომელთაც თავისუფალი ვაჭრობა ერთდროულად აქვთ ევროკავშირთანაც და ჩინეთთანაც. თუმცა, განსაკუთებულ ყურადღებას იმსახურებს პოსტსაბჭოთა საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად ევროკავშირსა და ჩინეთს შორისაა და ის მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანში. აქვე გასათვალისწინებელია აშშ-ის დაინტერესებაც ჰქონდეს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. საქართველოს გამოყენება რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად პოსტკრიზისული განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს“. (2)

3.თუკი ქართული სოფლების აღდგენისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების შედეგად აღარ დაგვჭირდეება უცხო ვალუტაში ვიყიდოთ, მაგალითად, ნიორი, კარტოფილი, ხახვი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის პროდუქტები, მაშინ, ბუნებრივია, ამით ეროვნული წარმოება წახალისდება და შესაბამისად, გამყარდება ეროვნული ვალუტაც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასაც, რადგან, თუკი უცხოელ ტურისტებს უცხოური პროდუქტებით გავუმასპინძლდებით, ამით ჩვენ დავაფინანსებთ ისევ უცხოელებს და ტურიზმისაგან მიღებული შედეგი ქვეყნისთვის წამგებიანი აღმოჩნდება;

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე აქცენტის გამახვილება სულაც არ ნიშნავს უარის თქმას მრეწველობის, განსაკუთრებით, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე. პირიქით, აუცილებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის გადამაუშავებელი ქარხნების - ინდუსტრიის განვითარება; ასევე იმედია ქვეყანა მიხვდება, რომ მაგალითად, ასანთი, საპონი, ვედრო და

სხვა საყოფაცხოვრებო ინვეტარი არ იყიდონ დოლარებზე და თვითონ აწარმოონ;

5. საქართველოში 26 060 მდინარეა, საერთო სიგრძით 60 000 კმ. იმედია, მოსახლეობა აწი მაინც წინააღმდეგობას არ გაუწევს ჰიდროელექტრო ჰესების მშენებლობას და აღარ დაგვჭირდება ელექტრო ენერგიის შეძენაზე უცხოური ვალუტის გადახდა, პირიქით, ჩვენ უნდა გავხდეთ ელექტრო ენერგიის ექსპორტიორები ვალუტაში;

6. ზოგჯერ კომპანიების ნაწილი, რომლებიც შექმნილ ვითარებაში მუშაობას ვერ აგრძელებენ, თანამშრომლების ნაწილს უხელფასო შვებულებაში უშვებს. ამ შემთხვევაში რის გაკეთება შეუძლია ქვეყანას? ცხადია, ყველა სამუშაო ადგილის შენარჩუნება ვერ მოხერხდება, მაგრამ გვაქვს მაგალითები, როცა დასაქმებულებს სთავაზობენ საქმიანობის პროფილის შეცვლას. მართალია ბევრი სამუშაო დაიხურება, მაგრამ გაცნდება ახალიც, გაიზრდება დასაქმებულთა დატვირთვა ციფრული ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებით;

ამრიგად, ეროვნული წარმოების განვითარების პერსპექტივებზე კორონომიკური კრიზისის ფონზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ა)ინვესტიციურმა პოლიტიკამ გარკვეული თავდაცვითი ხასიათი უნდა მიიღოს. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ინვესტიციებზე იმ დარგებში, რომლებსაც საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ემიგრანტებისათვის სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნას.სამამულო ნაწარმის გადიდება, ადგილობრივი წარმოების განვითარება კრიზისის, განსაკუთრებით, კორონომიკური კრიზისის დროს ქვეყნის გადარჩენის ყველაზე საუკეთესო და შედეგიანი საშუალებაა(3);

ბ)სახელმწიფომ უნდა წაახალისოს იმ დარგებში განსახორციელებელი ინვესტიციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან იმპორტშმცვლელი პროდუქციის წარმოებაზე ან ექსპორტზე;

გ) უნდა მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები ისეთ დარგებში, რომელთა ათვისება ადგილობრივ მეწარმეებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ;

დ)წავახალისოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციებში ინვესტირებაზე; 21-ე საუკუნის ეკონომიკა ხომ მხოლოდ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა უნდა გახდეს.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება საქართველოში გამოიწვევს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას იმ დონეზე, რისი ღირსიცაა შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივ-ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების მქონე ქვეყანა. ამით, ბედნიერი სახელმწიფოების სიაში 117-ე კი არ ვიქნებით, არამედ ათეულშიც შიძლება მოვხვდეთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ კორონომიკური კრიზისი რამდენხანს გაგრძელდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ყველაფერი შედარებით მალე გადაივლის და ეკონომიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვეულ რიტმსა და კალაპოტს დაუბრუნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვირის პალიტრა,23 მარტი,2020წ.
2. ვლადიმერ(ლადო) პაპავა. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. FOR.GE.21 მარტი, 2020;
3. ჟურნალი „ეკონომიკა“, N7,2009 წ.

[illegible] New O[illegible] [illegible] Dev[illegible] [illegible] Na[illegible] [illegible]
During [illegible]

Shengelia Revaz
Professor of Georgian Technical University

Tsiklauri-Shengelia Jujuna
Professor of Georgian Technical University

Shengelia Natia
Associate Professor of Georgian Technical University

[illegible]

Gen[illegible] [illegible] Fro[illegible] [illegible] [illegible] [

რეგიონული ეკონომიკის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის დარგის ინტენსიური განვითარების და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფაში

ცოფურაშვილი გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი მოსაზრება, რომ რეგიონული ეკონომიკა სოფლის მეურნეობის დარგის ინტენ-სიური განვითარების და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფაში უდავოდ მნიშვნელოვანია კითხვებს არ აჩენს, თუმცა რა ფორმით და რომელი მეთოდებით უნდა მოხდეს საკითხის შესწავლა, როგორი სამოქმედო მოდელი უნდა იქნეს გამოყენებული მიზნის მისაღწევად , სწორედ ამ თემატიკას მოიცავს ნაშრომი. საქართველოს მდგომარეობა, შესაძლებლობები , პირობები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები აუცილებელი მოცემულობაა

სამოქმედო მოდელის შესაქმნელად, თუმცა სიტუაციური კვლევა სტატისტიკურ-ანალიტიკური ინფორმაცია, ასევე კონკრეტული ლოკაციების და მიკროზონების რესურსული შესაძლებლობების განსაზღვრა იძლევა სამოქმედო მიზნობრივ-კონცეპტუალური მოდელის შექმნის წინაპირობას. ეს არის გამოწვევა დღევანდელი საქართველოსთვის, რადგან პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის ამ ნაწილში ინერციით სვლა ყოვლად დაუშვებელია. ქვეყანას სჭირდება ახალი, მომავალზე და პერსპექტიულ განვითარებაზე დაფუძნებული აგრარული და რეგიონული პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ინტენსიური განვითარება , ინკლუზიური ჩართულობა, ცენტრისკენული პოლიტიკა, შესაძლებლობების კვლევა, რაციონალიზმი და ოპტიმიზაცია, ინოვაციები, კომპლექსურობა.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის როლი, რადგან მიუხედავად გატარებული მაკროეკო-ნომიკური რეფორმებისა, რომელიც მეტნაკლებად წარმატებულია ფისკალური და მონეტარული თვალ-საზრისით, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების ინოვაციურობის და ინკლუზიურობის კუთხით ვერ პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს და სწორედ დარგობრივი მიკროზონული კვლევების, ტერიტორიული სივრცითი დაგეგმვის, შესაძლებლობების და უპირატესობების, ასევე საყოველთაო ჩართულობის განსაკუთრებულ პირობებს აჩენს ეფექტური რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. საგულისხმო ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია, რაც კიდევ ერთი მანიშნებელია , რომ თანამედროვე დარგობრივი პოლიტიკა და განსაკუთრებით ,,აგრარული პოლიტიკა '' წარმოუდგენელია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე (ამ შემთხვევაში სოფლის განვითარების პოლიტიკა მნიშვნელოვანი ნაწილია ერთიან რეგიონულ პოლიტიკაში). უკანასკნელ წლებში ქვეყანა ძალიან აქტიურად ცდილობს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას. მოქმედებს უამრავი ხელშემწყობი მექანიზმი და პროექტი, თუმცა პროცესს აშკარად აკლია სისტემურობა, კომპლექსურობა, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი რაციონალური და კარგად სტრუქტურირებული პროგრამები, რომლებიც დასახულ მიზანს და ამოცანებს შეასრულებს. კვაზი პროტექციონისტული პოლიტიკა და მკაცრად ცენტრალი-ზებული სახელმწიფო პროექტები, სადაც მთავრობა თავს იწონებს ლიბერალური მონიტორინგით და თვითმმართველობის სრული იგნორით შედეგს ვერ მოიტანს, სწორედ ამ რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი, რომ უკანასკნელი სამი ათეული წელი ეკონომიკის რეფორმირების რამოდენიმე ეტაპის მიუხე-დავად ჩვენ ვერ მივაღწიეთ მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის არსებით გაუმჯობესებას. კეთილდღეობის სტატისტიკური ინდიკატორი და მშპ გაანგარიშების თანამედროვე მექანიზმი კიდევ უფრო რთულ რეალობას გვიწინასწარმეტყველებს. აქედან გამომდინარე ჩვენს ქვეყანას არა აქვს იმის ფუფუნება , რომ არ გამოიყენოს დღეს არსებული ყველა საშუალება ეკონომიკის სწრაფი ზრდის და

ეფექტური, სისტემური მართვის. ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ორგანული ნაწილია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის სრულფასოვან ფორმირებას ცენტრალური ხელისუფ-ლება არ ჩქარობს. თვითმმართველობის გაძლიერება, ფინანსური და უფლებრივი დეცენტრალიზაცია, სივრცითი დაგეგმა და შესაძლებლობის ოპტიმიზაცია ეს ის აუცილებელი ფაქტორებია, რომლის გარეშეც წინ ვერ წავალთ. უმნიშვნელოვანესია ევროპული გამოცდილების გაზიარება , გასათვალის-წინებელია მთელიო რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთ-რებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიულ-დემოგრაფიული, კლიმა-ტურ-რელიეფური, კულტურულ-ტრადიციული მრავალფეროვნება. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დგება საკითხი აქტიურად ჩავრთოთ თვითმმართველობა, მივანიჭოთ მას მეტი პასუხისმგებ-ლობის ტვირთი, რომელიც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტად იყოს სახელმწიფო პროგრამები ფოკუსირებული შედეგზე, გამოვკვეთოთ სტაგნაციის მთავარი მიზეზები და შევქმნათ მექანიზმი მის აღმოსაფხვრელა. გავაძლიეროთ დარგში ინოვაციურობის ელემენტი, შევქმნათ კოოპერირების, კლას-ტერული მეურნეობების, ინკლუზიური ჩართულობის და კომპლექსური განვითარების პროექტები.

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება მოწმობს რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათ-ვის. უკანასკნელი ორი ათეული წელიწადი თვალნათლივ ცხადყოფს ევროპულ ქვეყნებში დადებით ტენდენციებს, როგორც მდგრადი და სივრცითი დაგეგმვის თვალსაზრისით, ასევე კონკურენტული პროდუქციის წარმოებით, დეცენტრალიზაციის მაღალი დონით და რაც ჩვენთან განსაკუთრებით პრობლემატურია კონვერგენციის ხარისხით და ეკონომიკის ინკლუზიური ხასიათით. მათი მკვლევა-რები თამამად აცხადებენ, რომ ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს ევროკავშირის მიღმა არსებული ქვეყნების შთაგონების წყაროს, ასევე ნიშანდობლივია განმარტება - „ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავალ შესაძლებლობებს, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით არამედ გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით.'' მსოფლიო ეკონომიკურ და მის მომიჯნავე მეცნიერებებში რეგიონული განვითარების საკითხებზე შემუშავებულია მრავალი საინტერესო კონცეფცია და სამოქმედო მოდელი. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის რეგიონალური განვითარების ორი გამოკვეთილი მოდელი არსებობდა, ეს იყო კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ფარგლებში ჩამოყალიბებული ხედვა, რომელიც თანმიმდევრულად ყალიბდებოდა 70-80 წლებში. მსოფლიოს ცნობილმა რეგიონალისტებმა უამრავი გამოკვლევა მიუძღვნეს ამ თემას, თუმცა დღემდე არაა გარკვეული მისი სრულყოფილი ცალსახა ფორმულირება. მიზეზის გარკვევა იოლია სიტყვა რეგიონი ბუნებრივად წარმოშობს ურთიერთგადაკვეთას ისეთი თემატიკასთან როგორიცაა - პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოგრა-ფია, დემოგრაფია, ისტორია, სოციალური მეცნიერება, თუმცა ნებისმიერი კუთხით მის განმარტებაში აუცილებლად ფიგურირებს ერთი გამორჩეული ელემენტი - ტერიტორია, აქედამ გამომდინარე რეგიონის აღქმაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ რიგში იგულისხმება გარკვეული ტერიტორია. რეგიონი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მხარეს, ოლქს, რაიონს, ტერიტორიას, ზოგადად ქვეყნის ნაწილს, რომელიც ბუნებრივი და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ პირობებისა და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ერთობლიობით გამოირჩევა . კვლევის მიზნებიდან გამომდინარე უპრიანია მიკლედ მიმოვიხილოთ „რეგიონის'' ცნებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხები და დავადგინოთ რა შინაარსის მატარებელია იგი განვითარების თანამედროვე ეტაპზე. დღეისათვის რეგიონის კატეგორიის განსაზღვრებაში შეიძლება გამოიყოს სამი განსხვავებული მიდგომა:

1. რეგიონის კატეგორიის ქვეშ იგულისხმება ქვეყანაში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტო-რიული ერთეულები (მაგ. აშშ-ში შტატები, ოლქები, მუნიციპალიტეტები. გერმანიაში მიწები, თემები. საფრანგეთში დეპარტამენტები, კომუნები, რუსეთში ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები, მხარეები, ადმინისტრაციული რაიონები და ა.შ.).

2. რეგიონის კატეგორიის განსაზღვრაში უპირატესობა ენიჭება ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებელს. აქ წინა პლანზეა შრომის ტერიტორიული დანაწილება, საწარმოო ძალთა რესურსული

შესაძლებლობები და სფეციფიკა, ასევე მნიშვნელოვანია ბუნებრივი პირობების ერთგვაროვნება, მისი შესატყვისობა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურასთან.

3. რეგიონის კატეგორიის განმარტებაში წინა პლანზეა პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომები, დარგობრივ-სექტორული სფეციფიკა, წარმოების კომპლექსური და სისტემური უზრუნველყოფა, ასევე მნიშვნელოვანია ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ტრადიციები, ზნეჩვეულება და ეთნიკური ფაქტორი. აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე მეცნიერთა შორის აღსანიშნავია პროფესორ ი. მესხიას მიერ მოცემულ რეგიონის მცნების განმარტებას, მისი აზრით რეგიონი ეს არის ერთიანი გლობალური სახალხომეურნეობრივი კომპლექსის გამოცალკავებული ნაწილი რაღაც ნიშნით (ტერიტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური), რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს კონკრეტულ ტერიტორიას მატერიალური წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების კომპლექსს. ამ ფაქტორებიდან რომელიმეს წინა პლანზე წამოწევა განაპირობებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ან გეოგრაფიული რეგიონის ფორმირებას. საყურადღებოა, რომ 80-იან წლებში საქართველოში იყო მცდელობა ქვეყნის ტერიტორიის 8 ეკონომიკურ ზონად დაყოფის, ის იყო ფაქტიურად გამოძახილი იმ საინტერესო პროცესების, რომელიც ევროპამ დაიწყო 70-იან წლებში. მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაიწყო ეკონომიკის მართვის ახალი მექანიზმების დანერგვა, რამაც საგრძნობლად შეცვალა ვითარება , ამავდროულად გარკვეული ცვლილებები განიცადა ქვეყნის რეგიონალურმა მოწყობამ, შესაბამისად მათი მართვის პრინციპებმა და მეთოდებმა, თუმცა დღესაც საქართველოში რეგიონალიზაციის პროცესი არ დასრულებულა. ქვეყნებს გააჩნიათ სტრატეგიული, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანები, რომლებიც ცალსახად ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა და მისი შესრულების პროცესში ყველა დონე ექვემდებარება ამ მიზანს , მაგრამ იქ სადაც კომპაქტურ ტერიტორიაზე, კონკრეტულ მიკროზონაში შეიძლება ამ რეგიონისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთება, ინიციატივა არა თუ შეფერხებული, არამედ ყოველმხრივ მხარდაჭერილი და წახალისებული უნდა იყო, რადგან მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს რამდენად ეფექტურია ადგილზე ჩამოყალიბებული და სისტემატიზირებული ბიზნესი, რომელიც სწორად, რაციონალურად და მიზანმიმართულად მოქმედებს. ამავდროულად ეს არის თემა, რომელიც საშუალებას აჩენს მოსახლეობის ადგილზე დამაგრების და ეკონომიკის ინკლუზიურად განვითარების, რაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის გახდა სერიოზული გამოწვევა. აქედან გამომდინარე სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ერთის მხრივ, მიმართული იქნება მთლიანად ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად, ხოლო მეორეს მხრივ, ამა თუ იმ რეგიონის ცხოვრების დონის და ხარისხის გასაუმჯობესებლად. დღევანდელ მოცემულობაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, თუმცა გასათვალისწინებელია, ის ფაქტი, რომ საქართველოს სჭირდება განვითარების საკუთარი მოდელი. განსაკუთრებულად აქტიური ფაზა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული კვლევებისა გასული საუკუნის 80- იანი წლებია, როდესაც მკაფიოდ ჩამოყალიბდა თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები, სადაც მკვეთრად გამოიხატა მისი პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობა და მისალოდნელი ეფექტი. აქედან გამომდინარე ჩვენთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და გაანალიზება, როგორც რესურსულ-ანალიტიკური შეფასების კუთხით, ასევე სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. აგრარულ სფეროში მოქმედი პროტექციონისტული პოლიტიკა უპრიანია იმართებოდეს სახელმწიფო რეგულირების მკაცრი მონიტორინგის ქვეშ და არა საყოველთაო გულგრილობის და ინერციის რეჟიმში, რადგან უსისტემოდ და უპასუხისმგებლოდ დახარჯული სახელმწიფო ფული იძლევა უარყოფით შედეგს, როგორც მატერიალური, ასევე მორალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენ ასეთი ქმედებით პროცესი გადაგვყავს განვითარების ევოლლუციურ რეჟიმზე, ამით კი მხოლოდ ვახანგრძლივებთ თაობების და საზოგადოების მენტალურ წარსულში ყოფნას.

აღნიშნულ საკითხში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი 2000 წლის ლისაბონის სტრატეგიაა, სადაც წინა პლანზე წამოიწია ეკონომიკის ინკლუზიური ზრდისა და სამუშაო ადგილების საკითხმა.

შეთანხმება მოხდა მთავარზე, რომ ევროკავშირის ეკონომიკა უნდა იყოს ცოდნაზე და ინოვაციებზე დაფუძნებული, მსოფლიო მასშტაბით ყველაზე კონკურენტული და დინამიური, ასევე 2006 წლიდან ჩვენთვის ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანი ფაქტორები მინდა გამოვყო:

ა) ცოდნის ეკონომიკის გამოყენება;

ბ) სახელმწიფო სტრუქტურების და მენეჯმენტის მეტი პასუხისმგებლობა პროექტებზე;

გ) რეგიონებისათვის კიდევ უფრო მეტი ფინანსური და უფლებრივი დეცენტრალიზაცია;

დ) ბიუროკრატიის შემცირება, პროცედურების გამარტივება და დაჩქარება;

ე) რეგიონის პოტენციალის შესაძლებლობების სრულფასოვანი კვლევა;

ვ) კლიმატური ცვლილებებზე დაკვირვება და კლიმატგონივრული პოლიტიკის შექმნა;

ზ) ეფექტური სოციალური პოლიტიკა და სხვა. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა არის მოქნილი, ეფექტური, დინამიური და შედეგზე გათვლილი, ხოლო მასში მონაწილე ყველა რგოლს აქვს გამოკვეთილი ფუნქცია-პასუხისნგებლობა. საქართველოს სოფლის მეურნეობა თავისი შინაარსით, წარსულით და დღევანდელობით მოიცავს ბევრ მნიშვნელოვან, საგულისხმო თავისებურებას, თუმცა მათ შორის უმნიშვნელოვანესია მცირემიწიანობა, ნიადაგურ-კლიმატური მრავალფეროვნება, სოფლების მდებარეობა და თავისებურება, საწარმოო საშუალებების მრავალფეროვნება და მრავალი სხვა ნიუანსი, რომელიც ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ქვეყნის აგრარული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ინტენსიური მეთოდით განვითარებას, არამედ იგი უნდა იყოს შეთანაწყობილი რეგიონული სპეციფიკებიდან და თავისებურებიდან გამომდინარე ინკლუზიური ჩართულობის ინდივიდუალურ მოდელებს. აქედან გამომდინარე დაუშვებელია პროცესის თვითდინებაზე მიშვება, ჩვენი ქვეყნის რეგიონების და სოფლების სივრცით-ფუნქციონალურ დაგეგმვას მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მექანიზმები ვერ შეძლებენ, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ და წაახალისონ სისტემა, რომელიც უნდა არსებობდეს . შესაბამისად დღის წესრიგში დგება მიზანი და ამოცანა, როგორ ვმართოდ ეს პროცესი, სადაც ზუსტად უნდა განისაზღვროს ინტენსიურობის და ინკლუზიურობის ელემენტი, რათა არ შეფერხდეს განვითარება და ეკონომიკური ზრდის პარალელურად აქცენტი გაკეთდეს სოციალურ მდგრადობაზე, მოსახლეობის გონივრული რეჟიმით დამაგრებაზე, ახალი შესაძლებლობების გაჩენაზე და კონვერგენციული პრინციპებით განვითარებაზე სრულიად საქართველოს მასშტაბით. სამწუხაროდ ახალ 2021-2027 წლის სოფლის და სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში სრულიად იგნორირებულია, უფრო სწორი გამოთქმა იქნება, ზედმიწევნით ფრაგმენტულია რეგიონული და სოფლის განვითარების თემატიკა, თუმცა შესაძლებელი იყო დოკუმენტში ასახულიყო კვლევის მეთოდების დანერგვის და ანალიზის აუცილებლობა, რომელიც საწყისი ფაზაა ეფექტური რეგიონული და სოფლის პოლიტიკის ფორმირებისას. აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შექმნისას არის კვლევის მეთოდების დანერგვა სამ ეტაპად:

ა) სიტუაციური ანალიზის მწყობრი სისტემა და გაზომვადი ინდიკატორები, რომლების დაგვეხმარებიან რეალური მდგომარეობის შეფასებაში;

ბ) რესურსული კვლევა, რომელიც ასახავს შესაძლებლობების დონეს და მის პერსპექტიულობას, ასევე უპირატესობებს და რისკებს;

გ) თემის კომპლექსურად, მულტისექტორულად გააზრება, სისტემურ-სტრუქტურული უზრუნველყოფა და მოქმედების პროგრამული მოდელირება;

ქვეყნის მომავალი მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია რეგიონების აქტიური ჩართულობის გარეშე, კვლევის მეთოდების სამივე მიმართულება გვაძლევს დარგობრივ-სექტორული წარმატების რეალურ სურათს, ასევე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლად განვითარების პოლიტიკა, რადგან თანამედროვე გამოწვევებმა მნიშვნელოვნად შეცვალა გარემოებები და მოითხოვა გამორჩეულად მოქნილი და გონივრული პოლიტიკა. საქართველოსთვის დღეს უპირობო დღის წესრიგია შექმნას მეცნიერულად დასაბუთებული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ამოცანა იქნება ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარების პროცესში მთავარი დამსაქმებლის როლის შესრულება. მან უნდა მოახერხოს უფრო რაციონალურად და ეფექტურად გამოიყენოს ის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელსაც ადგილებზე ფლობს. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის

სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ეფექტურად ამოქმედება მისცემს ახალ სიცოცხლეს და შესაძლებლობებს ამ თემას. ძირითადი ორიენტირები სწორედ გლობალური სახელმწიფო პოლიტი-კიდან უნდა გამომდინარეობდეს. იგი ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიის ორგანული ნაწილია და მოიცავს სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა სისტემას, რომლითაც მიიღწევა საწარმოო ძალთა ოპტიმალური განლაგება , მეწარმეობის სტიმულირება და მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრება. დღევანდელ რეალობაში რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ორიენტირებს განსაზღვრავს:

1. საბიუჯეტო პოლიტიკა;
2. საგადასახადო პოლიტიკა;
3. ფასების პოლიტიკა;
4. საინვესტიციო პოლიტიკა;
5. სოციალური პოლიტიკა.

სხვა ტიპის ეკონომიკური აქტიურობა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელებული, ეკონომიკურ-სტრუქტურულ რეგიონალურ პოლიტიკას, ჩვენ პირობებში უკავია სუსტი, ფრაგმენტული ხასიათი, რომელიც არც კანონმდებლობითაა განსაზღვრული და არც რაიმე მასტიმულირებელი სისტემით. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა მხოლოდ მისი ეფექტური პროგრამა- მოდელი იძლევა საშუალებას სისტემურად, სტრუქტურულად, ოპტიმალურად და რაციონალური ელემენტების გამოყენებით ზუსტად განვსაზღვროთ სოფლის მეურ-ნეობის დარგის ინტენსიური და ინკლუზიური განვითარების შესაძლებლობები. პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ჩვენს პირობებში მრავალი ელემენტის გონივრულად მართვას მოიცავს, სწორედ ეს უნდა იყოს გააზრებული სამოქმედო გეგმაში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოდელი უნდა ითვალისწინებდეს შედეგს და არა დღევანდელი საქართველოსთვის დამახასიათებელ მოჩვენებით აქტიურობას.

დასკვნა

საქართველოში იგეგმება 2021-2027 წლის სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგიის ამოქმედება, სადაც აქცენტი ზოგადად კეთდება დარგის და სოფლის განვითარებაზე , თუმცა მიდგომები ზედმიწევნით ფრაგმენტულია, ამასთანავე ნაკლებად გამოყენებულია რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობები, ინოვაციური და ინკლუზიური განვითარების მოდელები , აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია სტრატეგიაში დასმული მიზნების და ამოცანების გადასაწყვეტად სრულიად სხვა დონის სამოქმედო გეგმაა დამუშავდეს. ნაშრომში კეთდება აქცენტი სისტემურ-სტრუქტურულ რეფორმაზე და ინოვაციურ-ინკლუზიურ მოდელების შექმნაზე. ქვეყნის წინაშე დგას სერიოზული გამოწვევა: ან ვირჩევთ ევროპული ტიპის მოდელირებულ მართვას შესაბამისი შედეგით , ან ვაგრძელებთ არაფრის მომცემ ევოლუციურ ინერციას და შერჩევით ფრაგმენტულობას.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. სოფლის და სოფლის მეურნეობის სტრატეგია 2021-2027 წ
2. სოფლის განვითარება ევროპაში - 1970 წლიდან დღემდე. ელექტრონული სახელმძღვანელო. რედაქტორი და მთარგმნელი პროფ. პ. კოღუაშვილი 2015 წ
3. რეგიონული სტრატეგიები - ქვეყნის განვითარების საწინდარი . საქართველოს ეკონომიკა ნომერი 3. ზარანდია ჯ, ბარათაშვილი ე, აბრალავა თ , ძიძიკაშვილი ნ, ციმინტია კ, ნადარეიშვილი ნ. 2008 წ.
4. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. ე. გველესიანი ჟურნალი ეკონომიკა 2009 წ
5. Е. Уткин А. Денисов региональная политика стран членов ЕС . москва. 2005 г.
6. Ларина Государственное регулирование регионального развития. Новосибирск ИЕООП СО РАН 2005

[illegible]

Tsopurashvili Gocha
PhD student of Georgian Technical University

შემმ არყ

[illegible]

სამედიცინო ლაბორატორიების სტანდარტიზაციის პროცესები საქართველოში

ძნელაძე ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია წარმოჩენილი იქნას ხარისხის მენეჯმენტის სისტემების დანერგვის მნიშვნელობა სამედიცინო ლაბორატორიებში, ხარისხის სისტემების როლი ლაბორატორიის სწორი მენეჯმენტის წარმართვაში. ავტორები განიხილავენ და აანალიზებენ საქართველოში არსებულ მდგომარეობას ამ კუთხით და ადარებენ მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების სამედიცინო ლაბორატორიებში არსებულ ვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ლაბორატორია, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, ხარისხის კონტროლი, ლაბორატორიის აკრედიტაცია

ძირითადი ტექსტი

ხარისხის კონტროლი მენეჯმენტის ფუნდამენტური ელემენტია და მის განხორციელებაში უდიდესი როლი ენიჭება.

დემინგის განმარტებით, "ხარისხი არის მომხმარებელთა მოთხოვნების შესრულება და მათი დაკმაყოფილება" (Deming, W. E. Out of Crisis. 1986; Cambridge, MA: MIT Press). გოტეჩისა და დევისის განმარტებით კი“ ხარისხი არის დინამიური მცნება, ასოცირებული პროდუქტთან, სერვისთან, ადამიანებთან, მიზანთან და გარემოსთან, რომელიც აღემატება მოლოდინებს და ეხმარება უმაღლესი ღირებულებების შექმნაში“ (Gootesch and davis, 2010).

სამედიცინო ლაბორატორიის ხარისხი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიზუსტე, საიმედოობა და ტესტის შედეგების დროულობა. ლაბორატორიის გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად შემცირდეს, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უზუსტობის დონე, რადგანაც სიზუსტის 99% შეიძლება ერთი შეხედვით მისაღები ჩანდეს, მაგრამ შეცდომების 1% უკვე საკმაოდ დიდ პრობლემასთან ასოცირდება. არაზუსტი შედეგი პირდაპირ კავშირშია არასაჭირო მკურნალობასთან, მკურნალობის გართულებებთან, სწორი დიაგნოზის დაგვიანებით ვერიფიცირებასთან, დამატებითი და არასაჭირო დიაგნოსტიკურ ტესტირებასთან და ა.შ. ამ შედეგების შედეგი კი დროში გაზრდილი ხარჯია.

ლაბორატორიული გამოკვლევა არის პროცედურების კომპლექსი, რომლის მიზანია ადამიანიდან მიღებული ბიოლოგიური მასალის რაოდენობრივი ან თვისობრივი მახასიათებლების განსაზღვრა და მიმდინარეობს დაავადების პრევენციის მიზნით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად, მკურნალობის მონიტორინგისათვის და სწორი დიაგნოსტირებისათვის. გამოკვლევის პროცესი არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი საქმიანობის ერთობა, რომელიც მიმართულია, რომ საწყისი პროდუქტიდან მივიღოთ შედეგი და შედგება სამი ეტაპისაგან: პრეანალიზური, ანალიზური და პოსტანალიზური. სწორი გამოკვლევის შედეგის მისაღებად აუცილებელია ზედმიწევნით ზუსტად იქნას დაცული კვლევის სამივე ეტაპი. მაგ., პაციენტების მომზადება და ინფორმირება ამა თუ იმ გამოკვლევის ჩასატარებლად, სინჯების აღება, იდენტიფიკაცია, ტრანსპორტირება, შენახვა, დამუშავება, საჭირო მასალებით უზრუნველყოფა, რომელიც პრენალიზურ ეტაპზე წარმოებს, უშუალოდ ტესტირება - რომელიც ანალიზურ ეტაპს წარმოადგენს; გამოკვლევის შედეგების შეტანა, დადასტურება, შეტყობინება, მათზე კონსულტირება, უსაფრთხოებისა და სამედიცინო ეთიკის დაცვა- ეს პოსტანალიზური ეტაპია.

ლაბორატორიულ საქმიანობაში ჩართულია არაერთი პირი, რომლებიც ამ სამუშაოს ასრულებენ სხვადასხვა სისტემებისა და მანქანების გამოყენებით. სისტემის სირთულე მდგომარეობს პროცესების მრავალფეროვნებაში, და ძალიან მნიშვნელოვანია პროცედურების სწორად შესრულება. შესაბამისად,

ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა იძლევა ისეთ მოდელს, რომელიც აკონტროლებს მთელ სისტემას. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც "კოორდინირებული საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს ორგანიზაცია ხარისხის მხრივ". ამ განმარტებას იყენებს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO) და კლინიკურ ლაბორატორიული სტანდარტების ინსტიტუტი (CLSI).

ხარისხის სტანდარტები ხარისხის სისტემის განუყოფელი ნაწილია. ისინი შექმნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს ლაბორატორიებს დააკმაყოფილონ მარეგულირებელი მოთხოვნები. ისო სტანდარტების დანერგვა ემსახურება არა მარტო ლაბორატორიის განვითარებას, არამედ ორიენტირებულია მომხმარებელზე-პაციენტზე.

საქართველოს ლაბორატორიები ძირითადად სერტიფიცირებულია ISO 9001:2015 სტანდარტით, რომლის პრინციპებია: ორიენტაცია მომხმარებელზე, ლიდერობა, პერსონალის ჩართულობა, პროცესუალური მიდგომები, გაუმჯობესება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და ურთიერთობების მართვა. ეხება მართვასა და მენეჯმენტის განვითარებას, რისკების მნიშვნელოვან გამოვლენას და არის საუკეთესო ჩარჩო გრძელვადიანი წარმატებისა და მომხმარებლის კმაყოფილებისათვის. საერთაშორისო ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნებისმიერი პროდუქტის და/ან მომსახურების მიმწოდებელი ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ, ძალიან კარგად ერგება ლაბორატორიულ საქმიანობას და მისი დანერგვა არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი ნებისმიერი სამედიცინო ლაბორატორიისათვის. წარმოადგენს რა მენეჯმენტის უნივერსალურ სტანდარტს, რომლის ინტეგრირება შესაძლებელია სხვა სასერტიფიკატო სტანდარტებთან.

ლაბორატორიის აკრედიტაციის არაერთი სტანდარტი არსებობს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ხარისხის გაუმჯობესება. რთულ ვითარებაში ხარისხის სისტემის შექმნა შეუძლებელია, თუმცა გონივრულ ვადაში ხარისხის სისტემის დანერგვა საბოლოოდ გამოიწვევს ხარისხიანი ლაბორატორიის ჩამოყალიბებას. სისტემის დანერგვაზე გაწეული ხარჯები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე უხარისხო მუშაობით გამოწვეული მავნე შედეგებით გაწეული ხარჯები: არასწორი დიაგნოზი, განმეორებითი ტესტირებები, ფუჭად დაკარგული დრო და ა.შ.

ლაბორატორიის შეფასების პროცესი მოიცავს ხარისხის შესრულების დომენებს, როგორიცაა პერსონალი და ორგანიზაცია, ხარისხის მართვის სისტემა, აღჭურვილობა და რეაგენტები, მასალების და ნიმუშების მართვა, ჩანაწერების და სისტემების მართვა და ა.შ. აკრედიტაციის პროცესის სახელმძღვანელო ჩარჩოებად გამოყენებული სტანდარტები მიღებულია საერთაშორისო დონეზე და ჰარმონიზებული. მათ შორისაა კარგი კლინიკური ლაბორატორიული პრაქტიკა (GCLP) და ISO15189. ლაბორატორიის ხარისხის მართვის სისტემები მიმართავს ლაბორატორიის მუშაობის ყველა ასპექტს და ადგენს კოორდინირებულ პოლიტიკას, პროცესებსა და პროცედურებს ლაბორატორიის წარმართვისა და კონტროლის მიზნით, ხარისხის უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტებისა და მითითებების შესაბამისად .

საქართველოში ISO-ს სტანდარტების დანერგვა 2000 წლიდან დაიწყო და დღესდღეობით წარმატებული ქართული კომპანიები თავიანთ საქმიანობას უკვე საერთაშორისო სტანდარტებზე აგებენ. საქართველოში დანერგილია არაერთი სართაშორისო სტანდარტი.

სამედიცინო ლაბორატორია -ეს არის ჯანდაცვის ის სფერო, რომელიც საჭიროებს სტანდარტიზაციას. სტანდარტი ისო 15189 : 2012/2015 „სამედიცინო ლაბორატორიები - კერძო მოთხოვნები ხარისხისა და კომპეტენტურობის მიმართ" ადგენს აკრედიტაციის ცენტრის სპეციფიკურ პროცედურებს სამედიცინო ლაბორატორიების სსტ ისო 15189:2012/2015 სტანდარტთან შესაბამისობაზე.

ლაბორატორიის აკრედიტაცია წარმოადგენს ლაბორატორიის ხარისხის, მუშაობის, საიმედოობისა და ეფექტურობის შეფასების საყოველთაოდ მიღებული პროცესს. მკვეთრად აუმჯობესებს ლაბორატორიული ტესტირების ხარისხის და მინიმუმამდე დაჰყავს შეცდომების რაოდენობა. აკრედიტაცია ასევე ზრდის ლაბორატორიის მიერ მიწოდებული შედეგებისა და მომსახურების სანდოობას, იმის აღიარებით, რომ იგი შეესაბამება ხარისხისა და კომპეტენციის სტანდარტებს, რაც აუცილებელია ზუსტი, საიმედო და უსაფრთხო ტესტირებისთვის. აკრედიტაციის მნიშვნელობა მდგომარეობს პაციენტის

მენეჯმენტისთვის სანდო შედეგების მიწოდებაში ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიტიკული ჩარევისთვის სანდო მონაცემების წარმოებაში.

აკრედიტაციის ორგანოები არიან ორგანიზაციები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შეაფასონ ლაბორატორიები და დაადასტურონ მათი მოქმედება ხარისხის სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანოების ჩამონათვალში შედის ამერიკის პათოლოგთა კოლეჯი (CAP), საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია (ISO), სამხრეთ აფრიკის ეროვნული აკრედიტაციის სქემა (SANAS), გაერთიანებული კომისია საერთაშორისო (JCI), გაერთიანებული სამეფოს აკრედიტაციის სერვისები (UKAS), კლინიკური პათოლოგიის აკრედიტაცია (CPA) და ტესტირების ორგანოთა ეროვნული ასოციაცია (NATA).

აკრედიტაციის პროცესი სასარგებლოა ინდივიდუალური ლაბორატორიებისთვის, რადგან მათ საშუალებას აძლევს ამოიცნონ ის სფეროები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას და გაუმჯობესონ მათი გაუმჯობესების მცდელობები, ასევე უზრუნველყოფს სტიმულს, რომ ლაბორატორიამ მუდმივად მიაღწიოს მოთხოვნის იმ დონეს, რომელიც საჭიროა აკრედიტაციის სტატუსის შესანარჩუნებლად და საშუალებებს, რომ გაამართლონ რესურსები, რაც მათ სჭირდებათ ხარისხის შესანარჩუნებლად. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ აკრედიტაცია მხოლოდ ინსტრუმენტია ლაბორატორიის ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის დასადგენად და არა თავისთავად მიზანი. ლაბორატორიებმა უნდა შეინარჩუნონ ხარისხის სტანდარტები, რომ შეინარჩუნონ მათი ხარისხის მართვის სისტემების სანდოობა და საერთო საიმედოობა. სერტიფიცირებისა თუ აკრედიტაციის სისტემების დანერგვის შემდეგ შემფასებელი ორგანოს მიერ წარმოებს ლაბორატორიის ყოველწლიური მონიტორინგი, საჭიროა ლაბორატორიის კომპეტენციის დადასტურება, რაც ლაბორატორიას არ აძლევს მოდუნების საშუალებას, ლაბორატორია მუდმივად უნდა იმყოფებოდეს განვითარების პროცესში და ზრუნავდეს პროცესების გაუმჯობესებაზე.

განვითარებად ქვეყნებში (წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები), აკრედიტაციის მიმართულებით ეროვნული ლაბორატორიული სისტემების გასაძლიერებლად, ლაბორატორიის ხელშეწყობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა ლაბორატორიული მენეჯმენტის გაძლიერების პროგრამა (SLMTA), რადგანაც იმ ქვეყნებში, სადაც ლაბორატორიის აკრედიტაცია არ არის სავალდებულო, ლაბორატორიათა მხოლოდ მცირე ნაწილია აკრედიტებული. აკრედიტებული ლაბორატორიის რაოდენობის თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოში- მხოლოდ რამდენიმე ლაბორატორიას აქვს აკრედიტაცია, თუმცა არაასერტიფიცირებული და არააკრედიტებული არაერთი ლაბორატორია გამოირჩევა პროფესიონალი კადრებითა და მაღალი ხარისხის აღჭურვილობით. აკრედიტაციის შედეგად ლაბორატორიას აქვს ხარისხის გაუმჯობესების დიდ პოტენციალი, რადგანაც აკრედიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პაციენტთა ტესტირების შეცდომების მინიმუმამდე შესამცირებლად. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში (მაგ., საფრანგეთი) აკრედიტაცია სავალდებულოა ქვეყანაში მოქმედი ნებისმიერი ლაბორატორიებისათვის, ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპისათვის აღნიშნული მოთხოვნის საკითხის გადმოტანა საქართველოში არ იქნებოდა გამართლებული, მაგრამ თუ შემოვიღებდით ლაბორატორიების გრადაციას სერტიფიცირების მიხედვით და აკრედიტაცია ლაბორატორიას აიყვანს უმაღლეს საფეხურზე, კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები შეეცდებოდნენ და შეძლებდნენ დაენერგათ ხარისხის სტანდარტები, რაც თავის მხრივ გაზრდიდა მათ სანდოობის ხარისხს პაციენტებისა და ექიმების მხრიდან .

თუ ისო 9001 სტანდარტი ძირითადად მომხმარებელზეა ორიენტირებული და მეტად ზოგად საკითხებს შეეხება, აკრედიტაციის სტანდარტებში ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე როგორიცაა: ლაბორატორიის პერსონალი, მათი მოვალეობებისა და ფუნქციების დელეგირება, ტრენინგები და პროფესიული განვითარება, ასევე მომარაგების უწყვეტობა, ინსტრუმენტების შენარჩუნება გამართულ მდგომარეობაში, ლაბორატორიას უნდა გააჩნდეს სტანდარტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ხარჯების ეფექტურობა- მარაგების მართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ლაბორატორიული მომსახურების სფეროში.

ადამიანური რესურსების კუთხით საქართველოში ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, რაც

მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში - ლაბორატორიული მედიცინის პროფესიონალებისა და ტექნიკოსების არასაკმარისი რაოდენობა, ამიტომ ლაბორატორიის თანამშრომელთა სპეციალიზაციისა და პროფესიული განვითარების მიზნით, საჭიროა უწყვეტი განათლების ციკლების დანერგვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ლაბორატორიების სტანდარტიზაციაში, საქართველოში შედარებით დიდი ლაბორატორიები ფლობენ საკუთარ საინფორმაციო სისტემებს (LIMS), თუმცა მცირე ლაბორატორიებში ამ კუთხით აღინიშნება გარკვეული სირთულეები, რაც პრე და პოსტანალიზური შეცდომების გარკვეულ წყაროს წარმოადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხო ლაბორატორიული მომსახურებების შენარჩუნება, ლაბორატორიულ მომსახურებაში კვლევისა და ეთიკის მხარდაჭერა. ლაბორატორიის მუშაობის პროცესში შეცდომების აღმოჩენის შემდეგ, მიზეზის ძიება და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩატარება. ლაბორატორიული მომსახურებების მდგრადი დაფინანსება, ლაბორატორიების ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა მოთხოვნის შესაბამისად და ხარისხის უზრუნველყოფა.

რომ შევაჯამოთ, ნებისმიერი ქვეყანა უნდა ისწრაფოდეს არსებული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისაკენ "აკრედიტაცია" (ეროვნული ან საერთაშორისო) არის ნებაყოფლობითი პროცესი, და წარმოადგენს დიდ სარგებელსა და ხარისხის ნიშნულს მომხმარებლებისთვის.

მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ლაბორატორიის უდიდესი როლი, ლაბორატორიის ხარისხიანად მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობა კოვიდ დიაგნოსტიკაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სერტიფიცირებული თუ აკრედიტებული ლაბორატორიების სიმცირისა საქართველოში, მთავრობისა და ჯანდაცვის სისტემის სწორი მენეჯმენტით, ლაბორატორიებმა იტვირთეს დიდი ტვირთი და საქართველოში არსებული ლაბორატორიების კვალიფიციური პერსონალი კოვიდ დიაგნოსტიკის მიმართულებით მუშაობს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად.

გამოყენებული წყაროები:

1. ISO 9001:2015. QuALITY Ma ნაბეჭდ ენტ შქსტ ბ: ღექუმენტს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ მ ი ა : ჰტტა://ᲧᲧᲧ.ᲘᲡᲝ.ᲝᲠᲒ/ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ/62085.ᲰᲢᲜ
2. ჰტტა://ასქᲝᲠ/ᲥᲣᲐᲚᲘᲢᲘᲡ/ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐ/ᲥᲣᲐᲚᲘᲢᲘᲡ-ᲛᲐᲜᲐᲑᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡᲥᲢᲔ
3. ᲓᲘᲜᲐᲕᲝᲒᲘᲥᲝ. 2014 ᲬᲚ;62(6):629-34. **[Usef ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ISO 15189 ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲗᲕᲘᲡ]**
4. ASIA PAᲒIFIᲒ ᲨᲝᲠA0EGY FOR ᲨᲝᲠENGTHENING HEAL0H LABOᲠA0ORY SEᲠVIᲒE'Შ ((2010-2015)

Medical laboratory Standardization processes in Georgia

Dzneladze Nana

PhD student of Georgian Technical University

Kutateladze Rusudan

Professor of Georgian Technical University

Summary

The purpose of this article is to present the need of implementation of quality management systems in medical laboratories and introduce the role of quality systems to improve laboratory management. The authors discuss, analyze and compare the situation of medical laboratories in Georgia to other countries of the world in this regard.

Keywords: Medical Laboratory, International Quality Standards, Quality Management Systems,Quality control, Laboratory acreditation.

სექცია IV
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

Participatory budget as a tool of budget planning of territorial community funds

Tetiana V. Bielska
Doctor of Science in Public Administration, Associate Professor of Management and Public Administration Department O.M. Beketov National University of Urban Economy in Kharkiv

Ali H. Khalife
Mayor of city Sarafand, Lebanon, post-graduate student of the Department of Management and Public Administration of O.M. Beketov National University of Urban Economy in Kharkiv

Beridze Lika
Academic Doctor of Economics, Associate Professor, Department of Transport and Mechanical Engineering Management, Georgian Technical University

Goderdzishvili Bella
Academic Doctor of Economics, Assistant Professor, Department of Business Administration, Georgian Technical University

Abstract

ნაშრომში ავტორთა მიერ განხილულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების, ინფრასტრუქტურული პროექტების, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ეფექტიანობა, ადგილობრივ ბიუჯეტებში, ადგილობრივ ბიუჯეტებში, ადგილობრივ ბიუჯეტებში.

An in-depth study of the concept of participatory budgeting, as a *participatory budget*, is considered in the article, the concept of "budgeting" and "participatory budgeting" are analyzed. The article also analyzes the main stages of participatory budgeting and the main problems of its implementation.

ნაშრომში ბიუჯეტირებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ეფექტიანობა, ადგილობრივ ბიუჯეტებში, ადგილობრივ ბიუჯეტებში, ადგილობრივ ბიუჯეტებში

In the United Kingdom, partnerships between universities and industry are widely encouraged [8]. Lord Sainsbury of the UK has been an energetic champion of partnerships between universities and industry. In 2006 in Norway, Harald Olsen and Brynjar Yoshino.

In 2007, the National Department of Research and Innovation of the Russian Federation «An Action Plan of Research and Innovation» [4].

In Leaning to new experiences of cooperation between universities and industry in 2017, in partnership with Microsoft Research Institute of Computer Science and Technology M. Institute of Computer Science and Technology partnership with the Institute of Computer Science and Technology.

Because of the growing importance of partnerships between universities and industry, the Ministry of Education and Science of the Russian Federation has created a special department.

- new technologies;
- medical equipment;
- software;
- the development of information technology;
- electronic and nanotechnology;
- electromagnetic and radio;
- and other technologies and innovations.

Partnerships between universities and industry are a key factor in the development of the economy. The main goal of partnerships between universities and industry is to create a new product or service, and to create a new market or industry. In the United States, the Bayh-Dole Act has been a key factor in the development of partnerships between universities and industry. The Act has allowed universities to own the intellectual property rights to inventions made with federal funding, and to license them to companies for commercialization. The Act has also allowed universities to form spin-off companies to commercialize their inventions. The Act has also allowed universities to form joint ventures with companies to develop new products and services.

მ ანაბარ;

- ი კომენტატორებმა ბლოგი ოფეი ესე ოფოლმეტნდ;
- პარტიციპაციისა ოფეფოტეს ოფოლმეტრომ;
- პუბლიკაციებეაობს ანდლეულ ინფორმაციას.

ეხე ფოფ ატოოფა პარტიციპაციებულმეტოლფაკალაცხლრეგ ფოლოფ ცოდიტეი

1) ავაილაბილიფოფ ანიაფსოოფ;

2) აპერ ანენტ ბარტეოფისაპრაკ;

3) პუბლიპარტიციპაციისეულმეტოლ.

ეხე სტაპოფლოველი ენტანდ ალოტოოფა პარტიციპაციებულმეტარ: სუმ ისი ოფაოფიცტეერეოტინდ სელფინოფაოფეტ,ცოფტ,ლფმიტოოფტ ანდ ი კომენტატ[9, c. 101-102].

As პარფოფეპ Pოლეს ანალიაDe მ ოფეკ შეპაოფ Pოოფ , ა ცოფნიცოლ Pოლეიცოფეტიფოოფ ოფეფ MinიფოოფFoოფ Afპიოოფ ლეპუბლიფეPოლ ანდ ტეჩ ანალიპ MinიფოოფFoოფ Afპიფ ეიფ ანდ Devელეი ენტ(DFAOD) ინUkოინ ი 2016 ეას ლაკეიდ ტეკ პოეიტ"Pარტიციპაციებ Bულმეტ- Opპოოფიტეიფ პარტიფიპეიპ ეფეკეპეაუფოფეი".

Iნ Decემ ბერ2016, ტეოსპოლეფეფ ეფ ოიტოფ ოფეკ ალეკეიტ ოფოფეკულმეტფეფ2017, ეკიცეკ ასიცოლიტეიდ ბეკ ტეPუბლიპარტეიკ"Foოეიფ ინაეიLოკ ულმეტეიდ ეფ ტეკ ეუბლეიდინ ოფ ტეკ30 ციტეიUkოინ.Iფეტეიდ ოფეკ ეკ 20 ციტეიფეიდ ბეკ ტეკ ეფ ოიტოფ, ტეოფ ისა კოსიტულეფეკ ეპარტიციპაციეიციტეიფ ტეკ ესსიეიფ ტეკ ლოფლეფეიციდ,610 ციტეიფეიფ ისა კოსიტულეფეკ ეპარტიციპაციეიფ ბეკ ტეკ კოფოფ ეასეკ ოიციტაციეიფ

An ი კოფაკეპარტეიციეფეიფ ციტეიფ ინეტეკ ეიკეპარტეიფ ოფეკ ბულმეტეიციდეიციეიფ ოფეიფლეიციეიფ ეუფეიფ ეიციტეიფ ტეკ ლეიფეიციეიფ ოფეკ ლეიფ ეიციეიფ ეფ ბულმეტეფ ეფ ეიფ ბულმეტეიციეიფ 11 ციტეიეეეიფ ბეკ ტეკ ეიციეიფ, ციფლეიციეიფ ეიციტეიციეიფ ბულმეტეიციეიფ ეიციეიფ ეფ ბულმეტეიციეიფ ეიციეიფ: Krეკ ეიციეიფ, Krეკეეე

�ოსებულ ფორმა ანდ მ ეანს ოფიციალურ ენ.

ჩ ინ ოლნ ბ ბ ენ ოსებულ ენ ინ ე ბ ულ ბ ეტ ა ერ ოლ ს ოფ ე მ უნ ი ციპ ალ ურ ბ ულ ბ ეტ ი - ბ ყ ნ ე B ულ ბ ე ტ ს ოლ ოფ Geo ინ ა ანდ ტ ე L ოფ ალ ურ ე ენ ტ ე ბ ულ ბ ეტ ი [12]. ინ ე ბ ულ ბ ეტ ი ს ენ ტ ი ფ ი ოფ ის ა ფ ა ნ ალ ურ ბ ულ ბ ეტ ი ჩ ინ Hall ანდ ს ენ ტ ტ ფ ე ჩ ინ ჩ ოფ ენ ი ციფ On ცა ყ ე ა ერ ა ა ულ ი ფ ი ა ინ ს ოფ ა ფ ა ბ ულ ბ ეტ ი ს ენ ტ ი ფ ი ოფ ის ა ელ ფ ფ ფ ე ა ლ ინ ი ს ენ ი ოფ ბ ე ჩ ინ ჩ ოფ ენ ი ციფ.

Desp ინ ტ ფ ე ა ლ ოლ ინ ალ ოფ ბ ულ ი ენ ციფ ენ ტ ; ბ ე ერ ა ერ ა ს ენ ციფ ს ოფ ბ ა ინ ტ ე ბ ; ი ა ანდ ენ ოფ ე ერ ტ ი ; ინ ა ერ ა ერ ა ტ ფ ე ბ ე ს ტ ოფ ს ოფ ენ ტ ი ოფ ენ ციფ ენ ტ.

IDFI ოფ ა ი ნ ი ციფ ოფ ა ტ ი ოფ ა ა ულ ბ ფ ე ენ ციფ B ა ტ ინ ; ს ტ Ak ა ა ფ ფ ა ; ბ ე ა ანდ ს ტ Fro ინ ტ ფ ე ა ინ ინ ტ ფ ოფ K ე ტ ა ; ი ინ ჩ ოფ ენ ციფ ს ენ ჩ ინ ჩ ოფ ენ ციფ ს ენ ჩ ინ Ha ლ ფ ფ ბ ულ ბ ე Dep ა ერ ტ ინ ტ A ფ ი ინ ა ფ ფ ბ ულ ბ ე Dep ა ერ ტ ინ ტ P ულ ფ ფ ლ ა ინ ფ ფ ბ ულ ბ ე L ინ ა ფ Dep ა ერ ტ ინ ტ / ფ ე ერ ბ ე ; Hu ინ ა ნ ფ ლ ა ფ ; Dep ა ერ ტ ინ ტ / ფ ე ერ ბ ე ; ბ ე ერ ბ ; ბ ე ; ბ ; ბ ; ბ

8. შალიკაშვილი. 2007. ‘შუბ-შაჰარნ Aმოცა ეხეთეგეოიბPარტიციპაციური ბუჯეტები. ინშეაჰ Anკარ (ედ). Pარტიციპაციური ბუჯეტები. ჯ ასვიბტე ოეე Iნტეგრატიონ Bანკ ფორ ლეცისტრატიონ ანდ Devელოპმენტ/ეეჯ ოფ Bანკ
9. MeტროPარტიციპაციური ბუჯეტი. – Режим доступу: ჰტტპ://პარტიციპატორიანელ.ეუ/146
10. Eვალუატიონ ოტ ოსიგოლეშ ენტPრეტეიუBატეო,Kuტაისი Akკალეეეე Muნიციპალიტეტ ფორDevელოპმენტ Freელდ ოგინფორ ატიე,(USAID), (GGI), 2017.
11. Assესმენტ ენტეფ ოტიზეკვოლეშ ენტPრეტეიუBატეო,Kuტაისი Aკკალეეეე Muნიციპალიტ(DFI), ოხილ2017
12. Eშოვანი ჩარტერ ოLოკალ შეlfეrნმენტ, 15.04.1985 (ეფექტი Aპრილ 2005)

მოქალაქეთა ჩართულობა - როგორც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის დაგეგმვის ინსტრუმენტი

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად მიღებული მუნიციპალური ბიუჯეტის სარგებელი, რომელიც წარმოდგენილია როგორც მოსახლეობის ხელისუფლებასთან დიალოგის ახალი პლატფორმა საზოგადოებრივი ერთობლივი პრობლემების გადასაჭრელად, კერძოდ: ქუჩების მოპირკეთება, დასასვენებელი ადგილების კეთილმოწყობა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა დასახლებებში; ახალი თემის ლიდერების გამოჩენა; მონაწილეობის დონე, მომსახურების გაფართოება და გამჭვირვალობის დონე, მოქალაქეების მიერ იმ ახალი კომპეტენციების შეძენა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

პანდემია და პროფესია-მასწავლებელი

აბესაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მსოფლიოში არსებულმა რეალობამ და პანდემიის გამო შექმნილმა სიტუაციამ ზოგადი განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. დღეს ისე, როგორც არასდროს, ონლაინ-სწავლება ყველაზე განხილვადი თემაა. Covid-19-ის გამო დისტანციური სწავლების ონლაინ-მოდელზე გადავიდა, არა მხოლოდ საქართველოს არამედ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლიდან მალევე გამოიკვეთა პრობლემები და გამოწვევები, რომელიც აღნიშნული სწავლების ფორმას ახლდა. საგულისხმოა ისიც, რომ გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა სრულიად სასკოლო საზოგადოება, ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი ოჯახები. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიით განპირობებული ონლაინ-სწავლების მოდელზე გადასვლა სკოლებისთვის მოულოდნელი იყო, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ მეტ-ნაკლები წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ამოცანებს და აკადემიური წელი დაძლეულად ჩაითვალა.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, პროფესორ-მაწავლებელი, განათლება, ონლაინ-სწავლება.

შესავალი

თანამედროვე დინამიურ ეპოქაში ინტერნეტი და ისტ (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) ტექნოლოგიები მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობისთვის ხელმისაწვდომი და ხშირად გამოყენებადი რესურსია. მიუხედავად, მისი აქტუალობისა, ხელმისაწვდომობის და გამოყენების სიხშირისა, Covid-19-ის პანდემიამდე ჩვენი სკოლებისთვის ის არ წარმოადგენდა სწავლებისათვის სჭირო ესოდენ მნიშვნელოვან კომპონენტს. Covid-19-მდე, საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყნებს, საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებს, სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლის გამოცდილება არ ჰქონიათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ დისტანციურმა სწავლებამ წარმოქმნა ბევრი ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის პრობლემები.

იყო დრო, როცა მასწავლებელი უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას მისი პრაქტიკის განმავლობაში ეფექტურად იყენებდა და შეეძლო მიღებული განათლებით მშვიდათ წარემართა თავისი საქმიანობა. დღეს კი, „ერთხელ მიღებული განათლება“ მასწავლებელს აყენებს აუცილებლობის წინაშე, მოიძიოს ახალი სასწავლო სტრატეგიები, მეთოდები და ტექნოლოგიები ცოდნის გასაღრმავებლად, ვინაიდან ძალზე სწრაფად იცვლება განათლების სისტემაში არსებული მოთხოვნები და საჭიროებები. შესაბამისად, ინტერნეტ-ტექნოლოგიების და დისტანციური სწავლების გამოყენება პედაგოგებს დამატებით მოთხოვნებს უყენებს.

კარგად განვითარებული ონლაინ საგანმანათლებლო მომსახურეობის მიმწოდებელნი აღიარებენ, რომ პედაგოგიური პერსონალი გადამწყვეტ როლს თამაშობს ხარისხიანი, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში. მათ ამისათვის განსაზღვრული აქვთ სტრუქტურები, პროფილები და როლები. მეტიც, ისინი სისტემატურად ახდენენ საჭიროებისამებრ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ელექტრონული სწავლების კონტექსტში მუშაობისთვის. განსაკუთრებით კი ეს ეხება მათ, ვინც გადმოდის ტრადიციული, პირისპირ სწავლების ფორმატიდან, დისტანციურ სწავლებაზე. ასეთ პერსონალს სჭირდება როგორც ტექნოლოგიური ასევე, მეთოდური დახმარება სასწავლო ტექნოლოგიების ფლობასა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში.

მიუხედავად ამ ტიპის გადამზადების აუცილებლობისა, საქართველოს 60 000-მდე მასწავლებელი პანდემიის გამო იძულებული გახდა სწავლების პირისპირ ფორმატიდან დისტანციურ მოდელზე გადასულიყო, ყოველგვარი მომზადების გარეშე.

დღეს ყველა აღიარებს, რომ დისტანციური სწავლება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც

ალტერნატივა და არა განათლების მიღების ერთადერთი ფორმა. ეს შეიძლება იყოს დროებითი ღონისძიება, რომელსაც სკოლა მომზადებული უნდა დახვდეს, არა მხოლოდ ადამიანური რესურსის, არამედ პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

ონლაინ რეჟიმში გაკვეთილის წარმართვა არ გულისხმობს, მხოლოდ მოსწავლესა და მასწავ-ლებლს შორის კომუნიკაციას. აუცილებელია სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელება, ყველა საჭირო კომპონენტის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სწავლების ფორმა განსხვავდება პირისპირ სწავლების ფორმისაგან. საჭიროა სპეციალური პროგრამები, მიზნობრივად და მისაღწევ შედეგზე ორიენტირებით, ოპტიმალურად გაწერილი ონლაინ საგაკვეთილო დრო და მიზნის მისაღწევად გამოყენებული საწავლების შესაბამისი სტრატეგიები, მეთოდები და აქტივობები.

ცხადია, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული მასწავლებლისგან ტექნოლოგიების გამოყენების მეტად განვითარებული უნარების ფლობას გულისხმობს და შეუძლებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვა, თუ პედაგოგისთვის ბუნდოვანია პროცესი, ან მის წინაშე არსებული გამოწვევები.

ძირითადი ტექსტი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა შეხვდა პანდემიას მოუმზადებელი. 2020 წლის 16 მარტიდან გამოცხადებულმა ონლაინ სწავლებამ გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია, როგორ მასწავლებლებში ასევე, მშობლებში. ზოგიერთმა სკოლამ მალევე აუღო ალღო რეალობას (მაგ: კერძო სკოლებმა) და განაახლა სასწავლო პროცესი. ეს შეძლეს მხოლოდ იმ სკოლებმა, რომელთაც გარკვეულწილად ჰქონდათ ონლაინ სწავლების გამოცდილება, იცოდნენ თავისი მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სკოლის ბაზაზე არსებული საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი, ონლაინ სწავლების პროცესი დაიწყო ისე, რომ არ არსებობდა ადაპტირებული საგნობრივი სასწავლო გეგმები და არც მასობრივად იყო ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები.

პირველ ეტაპზე მასწავლებლების ნაწილმა ჩათვალა, რომ ონლაინ-სწავლება გულისხმობდა, თითოეული საგნისთვის გამოყოფილ 45 წუთიან საგაკვეთილო ფორმატს, ისევე, როგორც პირისპირ სწავლების დროს და სცადა უკვე ნაცადი ფორმატის ახალ რეალობაზე მორგება. მასწავლებლების ნაწილმა კი, გადადგა უფრო ფრთხილი ნაბიჯები და მხოლოდ სატელეფონო საუბრებით ან სოციალური ქსელის საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციით შემოიფარგლა. ცხადია, რომ მკაფიო ინსტუქციების არ არსებობის პირობებში 60 000-მა პედაგოგმა სცადა ონლაინ-სწავლების პროცესის წარმართვა ისე, როგორც მას ჰქონდა ეს წარმოედგინილი.

ასეთ პირობებში კი, როდესაც არ არსებობს საგნის ადაპტირებული სასწავლო გეგმა, შესაბამისი საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი და თუნდაც მოდიფიცირებული საგაკვეთილო ცხრილი, დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, როგორც მოსწავლეები, ასევე, მათი მშობლები. ონლაინ-სწავლების პირველ ეტაპზე გაურკვეველი იყო თუ, რომელი პლათმორმის გამოყენება იქნებოდა ეფექტური სასწავლო მიზნებისა და უკეთესი შედეგის მისაღწევად. თუ, სად იქნებოდა შესაძლებელი მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა და პროცესის ეფექტურად მართვა, ან რა ტიპის რესურსის გამო-ყენების შესაძლებლობას იძლეოდა კონკრეტულად ესა თუ ის პლათფორმა და რა ტიპის აქტივობების გამოყენება იქნებოდა მეტად ეფექტური, როგორც მასწავლებლებისათვის ასევე, მოსწავლეთათვის.

მიუხედავად ბევრი სირთულისა, საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მალევე მოახერხა რიგი საკვანძო საკითხების ორგანიზება და წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა. მაგალითად, განისაზღვრა თუ, რომელი საგანმანათლებლო პლათფორმა იქნებოდა გამოყენებული სასწავლო პრო-ცესის წარმართვისათვის. ხელმისაწვდომი გახადა, როგორც სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, ასევე, დამხმარე ლიტერატურა და თვითონ საგანმანათლებლო საიტებზე არსებული სხვა-დასხვა ტიპის საგნობრივი დავალებები. საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა-ზე ზრუნვამ ერთგვარი აქციის სახეც კი მიიღო და საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში სხვადასხვა საერთა-

შორისო ორგანიზაციებმა, განათლების მესვეურებმა და პედაგოგებმა აქტიურად დაიწყეს ონლაინ-სწავლების მეთოდების და რესურსების ერთმანეთთან გაზიარება. სოციალურ ქსელებში შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, სადაც პედაგოგები ერთმანეთს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში დაგროვილ ემპირიულ გამოცდილებას უზიარებდნენ. ასეთი აქციის მონაწილე გახდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი, ღასან ხალილი, რომელმაც ხელი მოაწერა მემორანდუმს, საქართველოს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის შექმნისა და გაზიარების შესახებ: „პანდემიამ შეცვალა ბავშვების, მშობლების და მასწავლებლების ყოველდღიური რეალობა. სოციალური დისტანცირება, თვითიზოლაცია და სკოლისა თუ სკოლამდელი დაწესებულებების დახურვა საზოგადოებისთვის დიდი სტრესია. ამ მემორანდუმის ხელმოწერით, გაეროს ბავშვთა ფონდი იღებს ვალდებულებას, პარტნიორებთან ერთად, შეიმუშაოს და ხელმისაწვდომი გახადოს ონლაინ რესურსები და სახელმძღვანელოები სწავლისა და სწავლებისათვის, რაც ძალზე საჭიროა საგანგებო ვითარებაში“(ღასან ხალილი).

ასევე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატელევიზიო პროექტს „ტელესკოლა“, რომლის ფარგლებშიც ჩაიწერა ტელეგაკვეთილები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ტელესკოლის ხანმოკლე საგაკვეთილო ფორმატი და მოდიფიცირებული გაკვეთილის გეგმა მასწავლებლებს დაეხმარა, იმის გაანალიზებაში თუ, როგორი უნდა ყოფილიყო ონლაინ გაკვეთილი. დროის რა მონაკვეთზე შეიძლებოდა კონკრეტული თემის ადაპტირება და საკვანძო საკითხებზე ყურადღების გამახვილება. „ტელესკოლა“ ასევე, მეტად ხელმისაწვდომი იყო იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც არ ჰქონდათ ინტერნეტზე წვდომა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც იჩინა თავი პრობლემებმა. იყო რეგიონები, სადაც ხშირად ხდებოდა ელექტროენერგიის წყვეტით მიწოდება (მაგ. სვანეთი), რის გამოც მოსწავლეები ვერ ახერხებდნენ ტელეგადაცემის ყურებას. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდა მოსწავლეებს და ცდილობდა თითოეული მათგანისთვის ცალ-ცალკე თემის ირგვლივ ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას.

არანაკლებ, პრობლემური აღმოჩნდა ტელეფონოთ კომუნიკაციაც, მით უფრო იმ შემთხვევებში, როდესაც მოსწავლეს არ ჰქონდა პირად მომხმარებაში საკუთარი ტელეფონი და მასწავლებელი კომინიკაციის წყაროდ იყენებდა მშობლების ან ბებია-ბაბუების ტელეფონებს. იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც ბავშვის წარმომადგენელი გამოთქვამდა პრეტენზიას და ადგილი ჰქონდა გარკვეულ უხერხულობებსაც. ასეთ შემთხვევებში მოსწავლესთან კავშირი ფერხდებოდა და ვერ ხორციელდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში.

მიუხედავად ზემოთ დასახელებული პრობლემებისა, დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ზოგადსაგანმანათლებლო სიტემამ, აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმებული კოლეგების დახმარებით და გამოცდილების გაზიარებით, შეძლეს სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელება. მართალია, რთულია პროცესის შედეგის ხარისხის შესახებ მსჯელობა, მაგრამ მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინება, რომ პანდემიის პირობებში და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ეს იყო ერთადერთი საშუალება, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩასართვად.

მიუხედავად სხვადასხვა განხორციელებული ღონისძიებებისა, საქართველოს პადაგოგიურ კორპუსში არაერთი მასწავლებელი აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც ვერ შეძლო, გარკვეული უნარების დეფიციტის გამო საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვნი მონაწილეობა. დღემდე უცნობია იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეძლეს ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართვა და როგორ მოახერხა კონკრეტულად თითოეულმა სკოლამ აღნიშნული პრობლემების დაძლევა.

სასწავლო პროცესი დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ დღემდე არ არსებობს სკოლებში ონლაინ-სწავლების მოდიფიცირებული სასკოლო და საგნობრივი სასწავლო გეგმები. არ გვაქვს ონლაინ სწავლების სასწავლო სტრატეგიების, მეთოდებისა და აქტივობების არც რეკომედირებული ფორმატი და არც მათი ეფექტურობის გასაზომი ინდიკატორები. მეტიც, უცნობია შეფასების სისტემა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დისტანციურად სწავლების პირობებში. პანდემიის დროს სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებდნენ განმავითარებელი

შეფასებით, მიუხედავად ამისა, მათ სასწავლო წლის ბოლოს მოუწიათ განმსაზღვრელი შეფასების გაკეთება, რომელიც მხოლოდ პირველი და მეორე სემესტრების ექვსი სასწავლო კვირის განძილზე მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით განისაზღვრა. რთულია ასეთი შეფასების პირობებში მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე დაკვირვება ან წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდართან შესაბამისობაში გაზომვა. ცხადია, რომ სიტუაციის გათვალისწინებით ამგვარი შეფასება იყო მოსწავლეთა ერთგვარი წახალისება, რომელთაც პანდემიის პირობებში დაძლიეს ონლაინ-სწავლების სირთულეები და მეტ-ნაკლებად ეფექტურად გაართვეს თავი მათ წინაშე არსებულ საგანმანათლებლო ამოცანებს. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია წახალისების ამგვარ ფორმას სისტემატური სახე მიეცეს. მით უფრო, თუ მსოფლიო პანდემიის მეორე და მესამე ტალღას ელოდება. შეფასების საკითხის დარეგულირება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად ბარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები და არსებული სისტემით სწორედ ქულაა ის, კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტი, არა მართო იღებს უფლებას განაგრძოს სწავლა განათლების მომდევნო საფეხურზე, არამედ ეძლევა საშუალება მოიპოვის აღნიშნული განათლების დაფინანსება. მართალია, მოსწავლეებს მიეცათ საშუალება, რომ ონლაინ-დავალებების/ტესტირების საშუალებით გამოესწორებინათ მათთვის არასაურველი ქულები, მაგრამ რამდენად შესაბამისობაში იქნება მიღებული ქულა ცოდნასთან, ამის დაგენა შეუძლებელია.

ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ყველა არსებული ხარვეზის გათვალისწინებით მოხდეს სკოლების მიერ სრულყოფილი დისტანციური სასწავლო პროგრამების შემუშავება, რომელიც არსებული გამოცდილების გათვალისწინებით მოგვცემს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში სრულყოფილად წარვმართოთ სწავლების პროცესი.

დასკვნა

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ზოგადი განათლების სისტემაში არა, მხოლოდ სასკოლო, არამედ, საკანონმდელო დონეზეა აუცილებელი ცვლილებების განხორციელება. გადასახედია „მასწავლებლის სტანდარტი“ და დასაზუსტებელია ის მოთხოვნები, რომლის შესრულების ვალდებულებაც უჩნდება მასწავლებელს დისტანციური სწავლების განხორციელების პერიოდში. აუცილებელია სკოლებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება, რადგან მათ დაუმოკიდებლად შეძლონ არსებული ადამიანური თუ ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვა. შესაძლებელია, ცალკე განისაზღვროს იმ მასწავლებელთა კომპეტენციის ჩარჩო, რომელთაც მიეცემათ უფლება დისტანციურად წარმართონ არა მარტო სასწავლო პროცესი, არამედ, მოახდინონ სასწავლო პროცესესის წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო გეგმების მოდიფიცირება და ადაპტირება. შეძლონ სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება, საჭიროებისამებრ სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და ყველა იმ სასწავლო, თუ ფსიქო-ემოციურ გამოწვევებზე რეაგირება, რომელიც თან ახლავს დისტანციურ სწავლებას.

აუცილებლობად მიმაჩნია, რომ გაიზარდოს სასკოლო საზოგადოების ცნობადობა დისტანციური განათლების მიმართ. ყველა საჯარო სკოლაში მომზადდეს და განისაზღვროს კონკრეტულად, მათი სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამისად შერჩეული დისტანციური სწავლების ფორმა, ყველა საჭირო კომპონენტის, მექანიზმებისა თუ, ინსტრუმენტების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.
2. კუპატაძე ქ. „ელექტრონული სწავლება“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2009
3. კაპანაძე დ. ლომინაძე თ. ჟვანია თ. თოდუა თ. კობიაშვილი ა. „დისტანციური სწავლების ორგანიზება“. სტუ 2008
4. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №39/ნ 2014 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

5. მეტრეველი ლ. მონოგრაფია - „დისტანციური სწავლების სისტემების დანერგვის მეთოდიკური ასპექტები, ფსიქოლოგიის სწავლების მაგალითზე“ 2008წ. თბილისი
6. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 6[1]“დისტანციური სწავლება.
7. „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება N205 2020 წლის 31 მარტი ქ. თბილისი
8. „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N15/ნ 2020 წლის 31 იანვარი.
9. Казимова Т. А. „Дистанционные образовательные технологии в школе“. Министерство образования и науки Российской Федерации ФГБОУ ВО „Уральский государственный педагогический университет“ Институт физики, технологии и экономики Кафедра технологии и экономики. Екатеринбург 2016
10. Нехорошева Н. В. „Методы дистанционного образования“. Москва 2016 год
11. https://www.unicef.org/georgia/ka
12. https://www.microsoft.com/en-us/education/remote-learning
13. https://www.nais.org/articles/pages/tips-for-setting-up-temporary-distance-learning-at-your-school/
14. https://en.unesco.org/covid19/educationresponse
15. http://www.amcham.ge/res/statements/0027/educations-geo-02.pdf

Pandemic and profession-teacher

Abesadze Ketevan
PhD student of Georgian Technical University

Summary

The existed reality and pandemic situation in the world caused a lot of challenges in the educational system. Nowadays, distance learning is the most discussed subject. Because of Covid-19 pandemic, not only Georgia moved to distance learning method, but also many educational systems in many different countries.

From the very beginning many problems occurred during the distance learning process. Also it is very noticeable that the whole educational society: teachers, administration, students and their parents faced these problems and challenges as well.

Despite of starting distance learning process was unplanned for Georgian educational system, we can say that this process was successful and the academic year was overcame.

თანამედროვე საარჩევნო სისტემები

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დგებუაძე მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე საარჩევნო სისტემები და მათი ამ ფორმებამდე განვითარების ექსკურსი. თანამედროვე საარჩევნო სისტემები, ხმის მიცემის დღეისათვის დამახასიათებელი პროცედურებით, მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. თუმცა, მათ ჩამოყალიბებას საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა.

ცივი ომის დასრულებამ და ლიბერალიზმის იდეების ტრიუმფმა მთელ მსოფლიოში, განსაკუთ-რებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, გამოიწვია ფორმალური დემოკრატიული პრინციპების მასობრივი დანერგვა. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ქვეყნები, მართლაც, დემოკრატიული განვითარების გზას დაადგნენ, მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობა საუკეთესო შემთხვევაში ფასადურ დემოკრატიად ჩამოყალიბდა და მათი ტრანზიცია დემოკრატიისკენ ვერ დასრულდა.

ჩვენს სტატიაში ყურადღება გამახვილებულია დამკვიდრებული დემოკრატიისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ საარჩევნო სისტემებზე, მათ დადებით და უარყოფითი მხარეებსა და მანდატების გამოთვლის მეთოდებზე. გაანალიზებულია გერმანელი მეცნიერების იოახიმ ბენკეს, ფლორიან გროტცისა და ქრისტოფ ჰარტმანის შეხედულებები მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების პერსპექტივებზე.

საარჩევნო სისტემების განვითარების ისტორია და მისი თანამედროვე პრაქტიკა, წარმატებული ქვეყნების მაგალითზე, არაერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სინამდვილისთვის ზუსტი კოპირება რომელიმე სისტემის შეუძლებელია, მაგრამ ფუძემდებლური პრინციპების გაზიარება და მასზე ეფექტიანი ახალი პარადიგმის აგება სრულებით შესაძლებელია.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო სისტემები, დემოკრატია, ევროკავშირი, პარლამენტი, არჩევნები, ბარიერი, პოლიტიკური კონკურენცია.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს ქვეყნები საუკუნეების მანძილზე აყალიბებდნენ დემოკრატიას. ეს პროცესი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და მოითხოვს, განსაკუთრებით სამართლიანობის კუთხით. დემოკრატია მხოლოდ აქტიურ და ინიციატივიან მოქალაქეთა ხელშეწყობით ყალიბდება, რომელთათვისაც ძვირფასია თავისუფება. ის სამართლიანი არჩვნების გარეშე კი, წარმოუდგენელია. სწორედ საარჩევნო პროცესის სამართლიანი წარმართვა განსაზღვრავს სახელმწიფოში არსებული დემოკრატიის ხარისხს და ხელისუფლების ლეგიტიმურობას. არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა, საარჩევნო ადმინისტრაციის გამართული ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

არჩევნები ყოველთვის კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოში ხორციელდება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის ჭეშმარიტ დემოკრატიულ ან მანიპულაციურ ხასიათს. გარემო კი, თავის მხრივ, გარკვეული პარამეტრებით ზეგავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე. თავისუფალი არჩევნები ან, საერთოდ, შეუძლებელია, ანდა მანიპულირების ინსტრუმენტი ხდება ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ელიტა და საზოგადოებრივი ჯგუფები არჩევნებში ხედავენ არა შერიგებისა და დაბალანსების საშუალებას, არამედ გავლენის განმტკიცებისა და მოწინააღმდეგეების

მორჩილებისადმი იძულების იარაღს.

საზოგადოებაში უნდა არსებობდეს პიროვნების, უმრავლესობის ნებისა და უმცირესობის უფლებების პატივისცემის ატმოსფერო. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ამომრჩევლები და კანდიდატები თავს თავისუფლად გრძნობდნენ, არ იყვნენ მოქცეულნი სხვადასხვა მუქარის ქვეშ.

ამომრჩეველთა საარჩევნო განათლება უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა შეგნებულ ხასიათსა და კომპეტენტურობას. ამის გარეშე არჩევნები წარმოადგენს, არა ხალხის ნების გამოხატულებას, არამედ მასობრივი მანიპულირების იარაღს, რომელსაც პოლიტიკური ელიტა იყენებს.

თანამედროვე საარჩევნო სისტემები, ხმის მიცემის დღეისათვის დამახასიათებელი პროცედურებით, მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. თუმცა, მათ ჩამოყალიბებას საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა.

ცივი ომის დასრულებამ და ლიბერალიზმის იდეების ტრიუმფმა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, გამოიწვია ფორმალური დემოკრატიული პრინციპების მასობრივი დანერგვა. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ქვეყნები, მართლაც, დემოკრატიული განვითარების გზას დაადგნენ, მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობა საუკეთესო შემთხვევაში ფასადურ დემოკრატიად ჩამოყალიბდა და მათი ტრანზიცია დემოკრატიისკენ ვერ დასრულდა [1]. უფრო მეტიც, მათი ნაწილი დროის განმავლობაში კიდევ უფრო ავტორიტარული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ შეინარჩუნა ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორიცაა რეგულარული არჩევნები, ხელისუფლების შტოების ფორმალური დაყოფა, მრავალპარტიული სისტემა და ა.შ.

გასტილის ინდექსის მიხედვით, ქვეყანა შეიძლება ჩავთვალოთ არჩევით დემოკრატიად, თუ იგი 4 კრიტერიუმს აკმაყოფილებს: 1. ქვეყანაში შექმნილია მრავალპარტიული, კონკურენტული პოლიტიკური სისტემა; 2. ყველა ზრდასრულ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში; 3. რეგულარულად ტარდება არჩევნები, სადაც დაცულია ხმის მიცემის კონფიდენციალურობა, არ არის მასობრივი გაყალბება და შედეგები ძირითადად ასახავს ხალხის ნება-სურვილს; 4. პოლიტიკურ პარტიებს აქვთ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები საკუთარი სათქმელი მიიტანონ ამომრჩევლამდე მედიისა თუ ღია საარჩევნო კამპანიის საშუალებით [2].

ყოველდღიურობაში ტერმინი არჩევანი თავისთავში მოიცავს ამორჩევას და გადაწყვეტილების თავისუფლებას რამდენიმე შინაარსსა და პერსონალურ ალტერნატივებს შორის. კონკურენტულ არჩევანში დემოკრატიის ორი ძირითადი პრინციპი ვლინდება: ერთი მხრივ, საზოგადოების ყველა წევრის სრული და თანაბარი მონაწილეობა, და, მეორე მხრივ, თავისუფალი კონკურენცია სხვადასხვა იდეებსა თუ ადამიანებს შორის ხელმძღვანელობის პოზიციების დაკავებაში. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული არჩევანი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების სფეროსა და განსხვავებულ ორგანიზაციებში გახდა სტანდარტი.

დემოკრატია კონკურენტულ არჩევნებში მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ეს მნიშვნელობა არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნორმატიული მიზნებიდან გამომდინარეობს. პირველი, ისინი ხორცს ასხამენ სახალხო სუვერენიტეტის იდეას. მხოლოდ რეგულარული არჩევნების შედეგადაა შესაძლებელი სხვადასხვა ინტერესების გაერთიანება საზოგადოებაში და წარმომადგენლობითი ორგანოების განსაზღვრა, რომელთა უმრავლესობაში ხდება მთავრობის ფორმირება და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შეესაბამება ხალხის ნებას, ან პასუხისმგებელია მასზე. მეორე, არჩევნები მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის აუცილებელი ინსტრუმენტია. მიუხედავად იმისა, რომ დამკვიდრებულ დემოკრატიებში პოლიტიკური მონაწილეობის მრავალი სხვა შესაძლებლობაა (მაგალითად, მოქალაქეების ინიციატივები ან დემონსტრაციები), არჩევნები საშუალებას აძლევს ინდივიდებს შეასრულონ სხვადასხვა როლი (როგორც ამომრჩევლებმა, კანდიდატებმა, კამპანიამ, ან კომისიის წევრებმა საარჩევნო უბნებში) და რეგულარული ინტერვალებით აქტიურად შეიტანონ თავისი წვლილი პოლიტიკურ პროცესში. მესამე, არჩევნები დემოკრატიული თანასწორობის იდეალს განასახიერებს იმით, რომ ყველა მოქალაქეს აქვს ხმების ერთი და იგივე რაოდენობა და, შესაბამისად, თითოეული ინდივიდის არჩევანს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თანაბარი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში, როგორც წესი, არსებობს დიდი განსხვავებები შემოსავლის, განათლებისა და სოციალური სტატუსის მხრივ, უთანასწორობის ეს ფორმები ვერ ახდენენ გავლენას დემოკრატიულ

არჩევნებზე. როგორც გერმანელი მეცნიერი იოახიმ ბენკე აღნიშნავს: „მონაწილეობის სხვა ფორმებთან შედარებით, არჩევნები პოლიტიკური მონაწილეობის ეგალიტარულ (ფრანგ. Egalitaire <egalite თანასწორობა - გამათანასწორებელი) ფორმებს შორის ბოლო ადგილზე არ დგას, რადგან ისინი შრომატევადია და ცოტა სპეციფიურ წინარეცოდნას მოითხოვს“ [3].

საარჩევნო სისტემების გამოყენების გეოგრაფია ასეთია: 2005 წლისათვის მსოფლიოს 199 ქვეყნიდან 91–ში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად გამოიყენებოდა მაჟორიტარული ტიპის სისტემები, 72 ქვეყანაში – პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები, 30–ში კი შერეული სისტემები (დარჩენილი 6 ქვეყნის საარჩევნო პროცედურა არც ერთ ამ სისტემაში არ ჯდება). აღსანიშნავია, რომ დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში მეტწილად პრორპორციული სისტემები გამოიყენება [4]. თუმცა, ყველა მათგანს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საარჩევნო სისტემები ეროვნული არჩევნებისას ევროპაში ასე გამოიყურება:

- პარტიული სიის პროპორციული წარმომადგენლობა 31 ქვეყანაში: ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, სან მარინო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და შვეიცარია;
- ერთი გადასაცემი ხმის მიცემა 2 ქვეყანაში: ირლანდია და მალტა;
- წევრთა შერეული პროპორციული წარმომადგენლობა (ასევე ცნობილია, როგორც წევრთა დამატების სისტემა) 2 ქვეყანაში- გერმანია და უნგრეთი;
- პარალელური ხმის მიცემა / შერეული სისტემა 5 ქვეყანაშია: ანდორა, იტალია, ლიტვა, მაკედონია და უკრაინა [5].

გფრ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო-ბუნდესტაგი აირჩევა ისეთი საარჩევნო სისტემით, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში „პერსონიფიცირებული პროპორციული წარმომადგენლობა“ ეწოდება. დეპუტატთა ნახევარს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიან ოლქებში, ხოლო ნახევარს-პროპორციული სისტემით, მხოლოდ იმ პარტიების, რომლებმაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი მთელი ქვეყნის მასშტაბით. პირველი ხმით ამომრჩეველი ირჩევს მაჟორიტარს საარჩევნო ოლქში. არჩეულია ის კანდიდატი, რომელმაც ფარდობითი უმრავლესობა პირველი ხმით მოიპოვა. ასეთნაირად გაიცემა მანდატები ჯამში 299 საარჩევნო ოლქში. გამარჯვებული კანდიდატები პირდაპირ ხვდებიან ბუნდესტაგში. მათი ადგილები იწოდება „პირდაპირ“ მანდატებად. მეორე ხმა, განსხვავებით პირველისგან, წინასწარი ნუმერაციით განსაზღვრულ პარტიულ სიებს მიეცემა და განაპირობებს ბუნდესტაგის პარტიულ-პოლიტიკურ ერთობას, რომელიც ფედერალურ დონეზე პროპორციული პრინციპით დაითვლება.

მანდატების განაწილებაში მხოლოდ ის პარტიები მონაწილეობენ, რომლებმაც მეორე ხმათა 5%, ან მინიმუმ 3 მაჟორიტარული მანდატი მიიღეს. გამონაკლისს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობის პარტიები. რადგან ერთი პარტიის მაჟორიტარული მანდატები მათ მიერვე მიღებული პარტიული სიის მანდატებს ემატება, ამიტომ, თუ ერთი პარტიის მაჟორიტარული მანდატები მეტია პარტიული სიით მიღებულ მანდატებზე, მათი სრული გათანაბრება საპარლამენტო პარტიებისთვის გათვალისწინებულია. ამის გამო მაჟორიტარული არჩევნებისას მიღებული მანდატები ვერ ახდენენ გავლენას პარლამენტის ფორმირებაზე, არამედ ემსახურება მხოლოდ პროპორციული საარჩევნო წესით გაცემული საერთო მანდატების „პერსონიფიცირებას“. მანდატების რაოდენობის გამოთვლა ხდება რამდენიმე საფეხურით:

1. საწყისი განაწილება: არჩევნების წინ ბუნდესტაგის 598 (მაგ. ერთ-ერთ არჩევნებზე) გასაცემი მანდატი, გერმანიის 16 ლანდის შესაბამის მოსახლეობაზე, სენ-ლაგის მეთოდის მიხედვით, პროპორციულად ნაწილდება. თითოეული საარჩევნო მხარის შიგნით მანდატები ორი ხმის საშუალებით იმ პარტიებს მიენიჭებათ, რომლებიც ადგილების განაწილებაში იღებენ მონაწილეობას. პარტიის მანდატების რაოდენობა, ფედერალურ ლანდში, გამოითვლება როგორც მინიმუმი ამ ბუნდესლანდის მოპოვებული პირდაპირი მანდატების რიცხვისა და იმ მანდატების რაოდენობისა, რომლებიც ამ ლანდში მაჟორიტარული და პროპორციული წესითა არის მიღებული. ეს საწყისი ციფრები შემდგომი შეჯამებისთვის

გამოიყენება როგორც საარჩევნო კვოტა. ამ კვოტის საშუალებით განისაზღვრება ცალკეულმა პარტიამ რამდენი მანდატი უნდა მიიღოს ქვეყანაში.

2. ზედა ზღვარის განაწილება: მეორე ეტაპი ემსახურება ფედერაციის ფარგლებში პარტიებს შორის მეორე ხმის შედეგების დათვლას(მანდატების გათანაბრებას). ამისათვის ადგილების საერთო რაოდენობა იმდენ ხანს მატულობს, სანამ ყველა პარტია თავისი მეორე ხმით (ასევე სენ-ლაგის მეთოდით) პროპორციულად მინიმუმ იმდენ ადგილს მიიღებს, რამდენიც (იხ.პირველი ნაბიჯი) ფედერაციის ფარგლებში მინიჭებული აქვს. ამით გათანაბრება ორიენტირდება იმ პარტიაზე, რომელიც საწყის განაწილებაში ყველაზე მაღალი პროცენტით არის წარმოდგენილი.

3. ქვედა ზღვარის განაწილება: ერთი პარტიის ადგილების რაოდენობა ზედა განაწილებიდან, ორი ხმის შესაბამისად, პარტიული სიის პროპორციულად ასევე სენ-ლაგის მეთოდით განაწილდება. თუმცა, პარტია ყოველ ბუნდესლანდში იმდენ ადგილს ღებულობს, რამდენიც პირდაპირი მანდატებით მოიპოვა. ამიტომ შესაძლებელია, რომ პროპორციულად გასაცემი ადგილების რაოდენობა წინასწარ ამოიწუროს, რომ ერთმა პარტიამ ერთ ლანდში უფრო მეტი მანდატები მოიპოვოს მაჟორიტარული მანდატების სახით, ვიდრე პროპორციული არჩევნების გზით მიიღებდა. მაშინ, როდესაც ამ პარტიამ სხვა ბუნდესლანდში იმდენი პირდაპირი ხმა ვერ მიიღოს, რასაც პროპორციული წესით მიიღებდა. პარლამენტის ახალ სიდიდესთან მიმართებაში, რომელიც გათანაბრებით ფორმირდება, საქმე მიდის ზედმეტი მანდატების წარმოქმნასთან, რომლებიც ბუნდესლანდებში სიის არგაცემული მანდატებით კომპენსირდება და დროზე ადრე ადგილების გაცემის შეჩერებას იწვევს. სიის მანდატები, რომლებიც ერთ პარტიას ერთ რომელიმე ლანდში აქვს, გაიცემა თანმიმდევრობით და მათ აქვთ უპირატესობა ოლქის წარმატებულ კანდიდატებთან შედარებით [6].

გერმანიის სისტემა იმდენად დაბალანსებულია, რომ მთავრობის ვერ ფორმირების საფრთხე ნაკლებად მოსალოდნელია. ამას ხელს უწყობს Saint-Lague-ს მეთოდით მანდატების განაწილება, რადგან პროფესორების შუგარტისა და კერის შეხედულებით, მისი საშუალებით პარლამენტში მცირე პარტიები უკეთაა წარმოდგენილი, ხოლო D’Hondt-ის მეთოდი დიდი პარტიების მიმართ არის მიკერძოებული და ამცირებს პარტიათა რიცხვს [7].

საფრანგეთის პარლამენტი ორპალატიანია. ეროვნული ასამბლეა 577 დეპუტატისგან შედგება და ერთმანდატიან ოლქებში აბსოლუტური უმრავლსობის მაჟორიტარული სისტემით ირჩევა. შემდეგ ტურში ის კანდიდატები მიიღებენ მონაწილეობას, ვინც ხმათა 12,5% მიიღო. სენატი („ზედა“ პალატა) შედგება 305 სენატორისაგან. მათ ირჩევენ არაპირდაპირი გზით დეპარტამენტებიდან (ამომრჩეველთა კოლეგიის მეშვეობით) 9 წლის ვადით. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება სენატორთა მესამედის განახლება.

დიდი ბრიტანეთი უძველესი კონსტიტუციური(საპარლამენტო) მონარქიაა. პარლამენტის ზედა პალატა-ლორდთა პალატა დღემდე მემკვიდრეობის პრინციპით ყალიბდება. იგი არქაულია. პალატის შემადგენლობაში შედის ოთხი კატეგორიის წევრი: ამჟამად 795 მემკვიდრეობითი პერი [8], რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს ეს ადგილი და მემკვიდრეობით გადასცემენ მათ; დედოფლის მიერ დანიშნული დაახლოებით 450 პერი (ბრიტანეთის წინაშე დამსახურებისათვის), რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ატარებენ ამ სტატუსს, მაგრამ მემკვიდრეობით ვერ გადასცემენ; 26 სულიერი ლორდი (ეკლესიის წარმო-მადგენელი); 12 მოსამართლე ლორდი (სულიერი და მოსამართლე ლორდები პერებს არ წარმოადგენენ).

მთავარ როლს ბრიტანეთის პარლამენტში-ქვედა, თემთა პალატა ასრულებს. მას ირჩევენ ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. არჩევი-სათვის აუცილებელია მეტი ხმის მიღება სხვა კანდიდატთან შედარებით. თემთა პალატა ამჟამად შედგება 650 დეპუტატისგან. მოსახლეობის ზრდასთან ერთად დეპუტატების რაოდენობაც იზრდება. კანდიდატი შეიძლება იყოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი. მას სჭირდება 10 ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება და საარჩევნო საწინდრის 500 გირვანქა სტერლინგის (დაახლოებით 750 აშშ დოლარი) გადახდა. საარჩევნო გირაო არ უბრუნდება თუ ოლქში ვერ მოაგროვებს ხმების 5%-ს. რეალურად შეუძლებელია კანდიდატი გახდეს დეპუტატი, თუკი ოლქში იგი არ წამოაყენა ლეიბორისტულმა ან კონსერვატიულმა პარტიამ.

მმართველი პარტია, რომელიც აყალიბებს მთავრობას, საარჩევნო პროცესში გარკვეულ

უპირატესობას ფლობს ოპოზიციის წინაშე. მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს არჩევნების თარიღი (ან 5-წლიანი ვადის ბოლოს, ან პარლამენტის ვადამდე დათხოვნის გზით). ამით არაერთხელ ისარგებლა მარგარიტ ტეტჩერმა, როცა მისი პარტიის პოპულარობა მაღალი იყო. მან პარლამენტი ვადამდე დაითხოვა.“ აქედანაც ჩანს, რომ მაჟორიტარული სისტემა ორპარტიული პარლამენტის მიღების დიდ ალბათობას იწვევს და მმართველობაში მყოფი ძალა ყოველთვის გამოიყენებს თავის უპირატესობას. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საქართველოში მიზანშეწონილი არ არის ეს სისტემა. თანაც, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მაჟორიტარ კანდიდატებად, უმეტეს შეთხვევაში, ბიზნესის წარმომადგენლები არიან, ეს კიდევ ერთი არგუმენტია ამ სისტემის მიზანშეუწონლობისა.

ესტონეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ესტონეთის სახელმწიფო კრება-რიგიკოგი. ის შედგება 101 დეპუტატისგან და აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით 5 %-იანი ბარიერით.

ლატვიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი-სეიმი, რომელიც შედგება 100 დეპუტატისგან. ლატვიის სეიმი აირჩევა პროპორციული სისტემით 5 %-იანი ბარიერით. ლატვია იყოფა ცალკეულ საარჩევნო ოლქებად და დეპუტატების რაოდენობა, რომელიც მოცემული ოლქებიდან აირჩევა, განისაზღვრება ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად.

ლიეტუვას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი-სეიმი, რომელიც შედგება 141 დეპუტატისგან. 71 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სიტემით, ხოლო 70-პროპორციულით, პარტიული სიებით, 5%-იანი ბარიერით [9].

ზემოთ წარმოგენილი საარჩევნო სისტემების სირთულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გერმანელი მეცნიერების იოახიმ ბენკეს, ფლორიან გროტცისა და ქრისტოფ ჰარტმანის მიერ შემუშავებული მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების პერსპექტივები [10]:

	მაჟორიტარული/უმრავლესობის სისტემის მომხრეთა პერსპექტივა	**პროპორციული სისტემის მომხრეთა პერსპექტივა**
პარტიული სისტემა	პარტიულ-პოლიტიკური ფრაგმენტაცია იწვევს პოლიტიკურ არასტაბილურობას	პარტიულ-პოლიტიკური ფრაგმენტაცია ასახავს საზოგადოების მრავალფეროვნებას
მთავრობის შემადგენლობა	ერთპარტიული მთავრობები ხელს უწყობენ პოლიტიკურ ეფექტურობას	კოალიციური მთავრობები პოლიტიკურ ეფექტურობასთან ერთად ხელს უწყობენ, გადაწყვეტილებების მიღებას
პოლიტიკური კონკურენცია და კონფლიქტების დარეგულირება	ანტაგონიზმი მთავრობასა დ ოპოზიციას შორის მკაფიო პოლიტიკურ ალტერნატივას ქმნის	ყველა პარტიის თანამშრომლობა და მოლაპარაკება უზრუნველჰყოფს კონფლიქტის მდგრად გადაწყვეტას
პოლიტიკის განვითარება	პოლიტიკის შეცვლა არჩევნების შემდეგ სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების მონაცვლეობით	პოლიტიკის თანდათანობით შეცვლა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობების/პარტიების წარდგენით
დემოკრატიის მოდელი	უმრავლესობის დემოკრატია (გამოსვლის უპირატესობა-ლეგიტიმაცია)	კონსენსუსი, დემოკრატია (შესვლის უპირატესობა-ლეგიტიმაცია)

დასკვნა

საქართველოში დღეს არსებული ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკური სპექტრის შეხედულება და არა მარტო მათი, აგრეთვე საზოგადოების, პროპორციული საარჩევნო სისტემისკენ იხრება. შესაბამისად, გასაზიარებელია ზემოთ ნახსენები გერმანელი მეცნიერების (იოახიმ ბენკე, ფლორიან გროტცი, ქრისტოფ ჰარტმანი) მიერ წარმოდგენილი მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების პერსპექტივები.

ჩვენს მიერ საარჩევნო სისტემების გაანალიზება გვიჩვენებს რაოდენ რთულია მათი შერჩევა, რაც განსაზღვრავს არჩევნების სამართლიანად ჩატარების ხარისხს.

საარჩევნო სისტემების განვითარების ისტორია და მისი თანამედროვე პრაქტიკა, წარმატებული ქვეყნების მაგალითზე, არაერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სინამდვილისთვის ზუსტი კოპირება რომელიმე სისტემის შეუძლებელია, მაგრამ ფუძემდებლური პრინციპების გაზიარება და მასზე ეფექტიანი ახალი პარადიგმის აგება სრულებით შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Carothers, 2002;
2. Freedom House, 2016b;
3. Joachim Behnke, Florian Grotz, Christof Hartmann, Wahlen und Wahlsysteme, De Gruyter Oldenbourg, Berlin, 2017, არჩევნები და საარჩევნო სისტემები, გვ.5;
4. http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf, უკანასკნელი ნახვა 27.01.2020წ.;
5. https://www.electoral-reform.org.uk/which-european-countries-use-proportional-representation/, უკანასკნელი ნახვა 27.01.2020წ.;
6. Joachim Behnke, Florian Grotz, Christof Hartmann, Wahlen und Wahlsysteme, De Gruyter Oldenbourg, Berlin, 2017, არჩევნები და საარჩევნო სისტემები, გვ.183;
7. Shugart& Carey, 2004;
8. https://members.parliament.uk/members/Lords?page=40, ბრიტანეთის პარლამენტი, უკანასკნელი ნახვა 27.01.2020წ.;
9. მ.მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, „მეცნიერება“, თბილისი, 2003წ. გვ. 444-463;
10. Joachim Behnke, Florian Grotz, Christof Hartmann, Wahlen und Wahlsysteme, De Gruyter Oldenbourg, Berlin, 2017, არჩევნები და საარჩევნო სისტემები, გვ. 91;

MODERNIZATION OF ELECTORAL SYSTEMS

Abralava Anzor
Professor of Georgian Technical University

Dgebuadze Marine
PhD sdudenti of Georgian Technical University

შუამავალ

ნებისმიერ ცივილიზებულ Modern ელექტორალურ სისტემას ანდა ფეიერვერკულ ენას აცხადებენ ეფექტურ Modern ელექტორალურ სისტემას, აცხადებენ ტრეპარფეტულ ტაქტიკურ ტრანზიტულ, დატაკავ ტრეპ 19ტ.ეტაფზე. Hიუ ეფექტერ ფორ ატიფეტ მ ოფ ტან ა ჰუნდრედ ყეარს.

ინე ენდ ოფეე ცეფლ არანდ ტეტეა ავ ოფლიბერალისტიკ ტეფ ოფ ოლდ,ფეკ(ტ)ალ ფეე ცონტიფეფეე ფორ ერეფეტეტანტ ანდ ტეე Eუროპეან სოციალ ფორეა, ფდ ტოფეე მ ასს ინტეფეცტიფ კლეენტალეფ ფორ ალ ლემ ოფტეფ ინ ეფეფ Fორეე მ ოფ ვარტეეს ეცონტეფ ავე ინდეედ ემ ბარეედ ოფ ეეატეფ ოფ ოფტეფ ენტ, ბუტ ეფ ალ ალფო ბერავე, ატეეს,ეფ ე ფçალ ლემ ოფტეს.

ინ ა ოფ ეხამ ინეს ეე ცონტლემ ოფ ანდ ეხ ინ ბ კოფეეფეტეფ ინ ალ ეფეფ, ეერ ალვანტეეს ანდ ლალვანტეეს, ას ეეალს მ ეეფ ფორ ფორ ალ ინ ბ მ ანალ. ინე ოფ ანალ ანალეს ეე ვეეს ოფGეე ან სეინ ინ ბ ეეეეم ბეენკე, Fლეეან Gოფ ანდ ჩ ჰოფ ავ Hარ ანნ ოფ ეე კოფეეფ ოფ ალ ანდ კოფ ოფ ალ ანალ ანალ ფ.

ინე ჰეეფ ოფეე ლემ ენტეეფ ელექტორალ სისტემ ანდ ინ ოფ ოფ ინ ეხ ამ ალ ეფ ალ ცონტეფ ეს აკეს ინ ფლეენ ალ ანეფ ბერეფ ინ ალ.

Iტეს ინ კოფეენ ტეეფ ეეეე

საჯარო მართვაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები

აგირბაია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში ავტორი განიხილავს თუ რა ზეგავლენა მოახდინა XXI საუკუნეში მიმდინარე ტექნოლოგიურმა განვითარებამ ბიზნესში და სახელმწიფო მართვაში არსებული პარადიგმებზე. შესაბამისად ადამიანთა შესაძლებლობების და მოთხოვნილებების საზღვრებზეც. ამ ფონზე ინოვაცია და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და მუდმივი განახლება ისეთივე საჭირო ხდება ქვეყნისა თუ კომპანიების, საწარმოების განვითარებისთვის და საერთაშორისო დონეზე წარმატებულ პოზიციონირებისთვის, როგორც ადამიანისთვის ჰაერი და ჟანგბადი. ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშნელოვანი გავლენა მოახდინეს საჯარო ადმინისტრირების მეთოდებზე. ხშირად გვხვდება ცვლილებები საჯარო ადმინისტრირების სფეროში, როგორიცაა ტექნოლოგიური, პოლიტიკური და გლობალიზაცია, ის ფაქტორები, რომლებიც ხსნის ახალ მიმართულებას. საჯარო ადმინისტრირების სფეროში ბოლოდროინდელი ცვლილებები ელექტრონული მმართველობის და ტექნოლოგიურ ცვლილებების ჩათვლით, იწვევს სამომავლო ინოვაციების დანერგვას საჯარო ადმინისტრაციის სფეროში. ჩვენ სწორედ ციფრული საჯარო მართვაში ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების თანამედროვე ტენდენციებს და პერსპექტივები განვიხილეთ აღნიშნულ ნაშრომში. ასევე ის გამოწვევები, რომელიც ახლავს ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას საჯარო მართვაში.

კვლევის დასასრულს ავტორი შეფასებით, ტექნოლოგიებს აქვთ საჯარო სერვისების ოპტიმიზაციის და გარდაქმნის დიდი პოტენციალი და მთავრობამ უნდა მოიცვას ეს ტენდენციები მათ შემდგომ სტრატეგიულ დაგეგმვაში. პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება უნდა გახდეს საჯარო და კერძო სექტორის სავიზიტო ბარათი, მოქალაქეებში და მომხმარებლებშ ნდობის გასამყარებლად და შესანარჩუნებლად. ტექნოლოგიის პრიორიტეტები უნდა დადგინდეს ბიზნეს ტენდენციების კონტექსტში, როგორიცაა ციფრული კაპიტალი, ეთიკა და მონაცემთა უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობა, ციფრული ტექნოლოგიები, ტენდენციები, ციფრული ადმინისტრირება, პერსეპქტივები.

ძირითადი ტექსტი

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების აქტიური და რაციონალური გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარების ერთერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს. ამავდროულად უზრუნველყოფილი იქნება ისეთი ამოცანა, როგორიცაა დემოკრატიის გაღრმავება, მოსახლეობის ფართო ფენების აქტიური მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

ინოვაციური ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება საჯარო სტრუქტურებს ხელს უწყობს იყვნენ უფრო გამჭვირვალეები და სამოქალაქო საზოგადოება დროულად ინფორმირდება ქვეყანაში მიმდინარე ყველა სიახლეზე თუ ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაციით. საჯარო სამსახური წარმოადგენს სოციალურ ინსტიტუციას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს სოციუმის მოთხოვნები. ამდენად, საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტიანობის შეფასება მნიშვნელოვანია არა მარტო სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. აღნიშნული თემის კვლევა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს სინამდვილეში იგი ნაკლებადაა შესწავლილი, ამასთან ქართულ ენაზე ფაქტობრივად არ არის ფუნდამენტალური გამოკვლევა საჯარო სამსახურში ახალი ციდრული ტექნოლოგიების გამოყენების ტენდენციების შესახებ, რომელიც შედარების საშუალებას მოგვცემდა სხვა ქვეყნის მაგალითებთან ან ჩვენი ქვეყნის განვითარების, პროგრესის განსასაზღვრად. მაშინ, როდესაც ციფურლი ტექნოლოგიები განსაზღვრავს და წარმართავს დღეს საქმისწარმოების ოპერატიულობას და რაციონალურ გადაწყვეტას.

2000 წელს, საუკუნის დასაწყისში, ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვი გახლდათ 400 მილიონი მომხმარებელი, რომელიც 8 ჯერ მეტია, 2015 წელს - 3.2 მილიარდი. 2019 წელს - 4.5 მილიარდი, ადამიანი მოიხმარს ინტერნეტს, რამდენიმე წელიწადში შეიძლება წინასწარ განვიხილოთ, რომ მსოფლიოს ყოველი მოსახლე როგორღაც ინტერნეტით იქნება ან ფართო ქსელთან არის დაკავშირებული. საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვი, 2012 წელს, 483.3 ათას აბონენტი შეადგინა („კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი," „კავკასიის ბარომეტრი 2012 – საქართველო"), როდესაც 2017 წელს, 657,052 აბონენტია (Forbes.ge), რაც ცალსახად ცხადყოფს მოსახლეობაში ციფრული ტექნოლოგიების როლის გაზრდას და ამავდროულად იზრდება მოქალაქეების მოთხოვნები საჯარო ციფრულ სერვისების ხელმისაწვდომობასთან და მაღალი ხარისხით. აღნიშნული ტენდენცია ცალსახად ცხადყოფს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საჯარო სერვისები და სტრუქტურები პასუხოდნენ გლობალიზაციის და პროგრესის თანმდევ ახალ სტანდარტებს, რამეთუ კერძო კომპანიები ასევე იღებენ ციფრულ ტრანსფორმაციას, რადგან გაითვალისწინეს, რომ ამგვარი ქმედებების შეფერხება მათ კონკურენციას გაუქმებს და შეიძლება გამოირიცხოს ბაზარზე საერთოდ. ამ მიზეზით, მათ დაიწყეს ყველაზე მეტი ციფრული ინოვაციების შექმნა და დანერგა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, ბლოკჩეინების შექმნით, სოციალური ქსელებში მაქსიმალური ადაპტირებით და ოპტიმიზაციით და ა.შ. ამასთან, სანამ მოქალაქეებმა დაიწყეს აქტიურად ციფრულ ახალი ენაზე საუბარი, საჯარო სტრუქტურებში არ შემცირებულა ციფრული საზრიანი მომხმარებლების მოქალაქეების მოლოდინი, რომლებიც ეძებენ იმავე დონის და სიჩქარის სერვისებს, რასაც არიან მიჩვეული Google, Facebook, ამაზონისგან. ამასთან, საერთო სიტუაცია შორს არის ამ მოლოდინების შესრულებისგან საქართველოში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ამ კუთხით არის პროფესიონალური კადრების გადამზადება ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების კუთხით. როგორც კერძო სექტორის მსგავსად, საჯარო სექტორსაც სჭირდება საკუთარი ძალის ინტეგრირება პროფესიონალებთან, რომლებსაც შეუძლიათ ციფრული ტრანსფორმაციის გამკლავებისთვის საჭირო უნარების მიწოდება. ამ ტრანსფორმაციის მართვისთვის სახელმწიფო ადმინისტრაციას დასჭირდება ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და მენეჯმენტის უნარები, შესაბამისი პროფესიული ტრენინგი. კერძოდ, ყველაზე სიღრმისეული საკითხებში ყურადღება უნდა დაეთმოს სამართლებრივი რეგულირების საკითხებს და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ასევე ციფრული მენეჯერისთვის საჭირო უნარება, საკომუნიკაციო და უცხო ენის უნარების განვითარება. ერთ-ერთი თანმდევი გამოწვევა და პრობლემა საჯარო მართვაშია არის უკუკავშირის მექანიზმები ნაკლებობა სამთავრობო სტრუქტურებისთვის ელექტრონულ სერვისებთან მიმართებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: - კომენტირების/საჩივრის საშუალება, ანუ ვებგვერდის ბოლო თავი, ჩამოსაშლელი მენუ სერვისის მიწოდების შემდეგ და ა.შ.;

- ფორუმები, ბლოგები;
- ონლაინ კვლევა ან კონსულტაციები, ონლაინ გამოკითხვები;
- მულტიფუნქციური სოციალური მედიის გამოყენება.

საქართველოში ჩატარებული ელექტრონული ჩართულობის კვლევის მიხედვით, „საჯარო ინსტიტუტების ვებგვერდები ძირითადად ორიენტირებულია ცალმხრივ კომუნიკაციაზე, რაც გამოიხატება ინფორმაციის გაცვლაში და არ უზრუნველყოფს ისეთი განხილვის პლატფორმას, როგორიცაა ბლოგ-ფორუმები. იმ ვებგვერდების უმრავლესობას, რომლებზეც მონიტორინგი ჩატარდა, არ აქვს ონლაინ სერვისების შეფასების ფორმები, რომლების მეშვეობითაც მოხდება პრობლემის იდენტიფიცირება და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მოქალაქეებთან ერთად, ვკითხულობთ „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018" დოკუმენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო ხდება ისეთი მიმართულების ტრენინგები და პროფესიული გადამზადება კადრების, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ქსელებში თუ ვირტუალურ სივრცეებში, ტექნოლოგიებში სახელმწიფო სტრუქტურების სწრაფად და ეფექტიანად ფუნქციონირებას.

ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან და საჯარო ადმინისტრირებაში ინტეგრაციასთანე ერთად განსაკუთრებით იზრდება ინფორმაცის დაცულობის საკითხები. უსაფრთხოების მთავარი საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები, მგრძნობიარე მონაცემების მენეჯმენტში და მათი შენახვის საკითხებში. ჩვენი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა 3 ძირითადი

საფრთხე და რისკი რაც ამ პროცეს ახლავს: პერსონალური ინფორმაციის დაცულობა; კიბერშეტევები საჯარო სისტემებზე/სერვისებზე; სამართლებრივი რეგულაციები; ამის არაერთი მწარე გამოცდილება ჰქონია საქართველოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის პერიოდში და შემდგომაც.

საერთაშორისო ტენდენციები: ესტონეთი - ციფრული ტექნოლოგიების საჯარო მართვაში გამოყენებით ერთ-ერთი მოწინავე წარმატებული ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია ინტერნეტით ელ. კენჭისყრა, ონლაინ სამედიცინო რეცეპტის მიღება, ელექტრონული საგადასახადო დავალებების შევსება, ციფრული ხელმოწერა და ციფრული იდენტიფიკაცია, რომლითაც ფართოდ სარგებლობენ მოქალაქეები.

დიდი ბრიტანეთი - სამთავრობო ვებსაიტების, პორტალების გამართულობა და დაცულობა განსაკუთრებით მაღალ სტანდარტებზე აყვანილი, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით გააჩნია კარგი მოქნილობა, რაც იძლევა ონლაინ სერვისების აქტიური გამოყენების შესაძლებლობას, მოსახმარად მარტივია პორტალები სპეციალური გზამკლევების დახმარებით, უშუალო ინტერაქცია მთავრობასა და მომხმარებლებს შორის.

საქართველო - სოციალური ქსელები, ვებსაიტები და პორტალები, სხვადასხვა ონლაინ სერვისები, იუსიტიციის სახლის, შემოსავლების სამსახური და სხვა. ჩვენ ასევე გვაქვს ესტონეთის მსგავსად ციფრული ხელმოწერა, რომლის შესახებ ცნობადა ძალიან დაბალია, ამასთანავე მოსახმარად არც ისე პრაქტიკული, რაც მოქალაქეებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, ანალოგიური სიტუაცია საჯარო სერვისების ბევრი სფეროში, რაც მნიშვნელოვან ხარვეზებს იწვევს და გამოწვევაა საჯარო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანიებისთვის, ადმინისტრატორებისთვის.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯეროთ და გამოვყოთ რამდენიმე ტენდენცია და პერსპექტივა საჯარო მართვაში ციფრული ტექნოლიგიების გამოყენებასთან დაკავშირებით: მთავრობებმა, კერძო სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და სხვა მნიშვნელოვანმა დაინტერესებულმა პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოქალაქეები აღჭურვილი იქნენ ციფრული უნარებით, რომ ისარგებლონ დასაქმების და მეწარმეობის შესაძლებლობებით, ინკლუზიური ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების მშენებლობისთვის.

სახელწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ციფრული მოქალაქის / მოქალაქეობის (Digital Citizen (ship)) იდეის პოპულარიზაციას, რაც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიებთან დამეგობრებული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას (Tech-friendly), ასევე აქტუალურ საკითხებზე მოქალაქეების მყისიერი ინფორმირების დონეს და შესაბამის უკუკავშირს, რაც ხელს შეუწყობს აქტიურ მოქალაქეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შოთა დოღონაძე, გენადი იაშვილი - „საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა“, „ცის ნამი“ თბ., 2013.
2. Bernhard Krabina, Po-Wen Liu, Maria A. Wimmer A Digital Georgia e-Georgia strategy and action plan 2014-2018 https://dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy.pdf
3. Strielkowski, W.; Gryshova, I.; Kalyugina, S. (2017). Modern Technologies in Public Administration Management: A Comparison of Estonia, India and United Kingdom.
4. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69
5. https://www.worldbank.org/en/topic/governance/brief/govtech-putting-people-first

MODERNIZATION AND PROTECTION OF THE DIGITAL INFORMATION

Agirbaia Giorgi
PhD Student of Georgian Technical University

შესავალი

XI საუკუნე,აუდიოვიზუალური ინფორმაციის ეპოქა, ინტერნეტი ანდსოციალურ ქსელებმა ინტერნეტ 21საუკუნეში. ეს დროა, როდესაც ინფორმაციის ანდ პერსონალურ ფაილებზე ფიზიკურ დონეზე ინფორმაციის პაროლი ხელოვნურ ინტელექტზე ალგორითმებზე ცალსახად ასოციაციურია ინფორმაციულ დონეზე ინფორმაციის პაროლი ინფორმაციი)

ეხლა აუდიოვიზუალურ ინფორმაციასავე გრაფიკულ ინფორმაციაც ანდ ტექსტი ხან პაროლებიც ანდ ტაბულური ინფორმაციაც ანდ ტაბულური ინფორმაციაც ან ტაბულურ ინფორმაციაც ანდ ტაბულურ ინფორმაციაც. Pრივატ ანდ სენსიტიურ პერსონალურ დატა ელექტრონული ა ბასინეს ცარ ფრეე პაროლიდ პროტექტედ ტუილდ ე აიგნინგე ფაილებიანდ ცინში ერ. ითვნლურ კრიპტოგრაფიულ ტულ სეფ ინ ცენტრალიზებულ ფორმატ, ანდ დატასეიფ

Keკეოდ: Pაროლიდ ინფორმაციი, Digიტალ ინფორმაციისეინგ, Digიტალ ინფორმაციPროტექტედ.

ორგანიზაციებში არსებული მართვის სტილი, ლიდერი თუ ხელმძღვანელი

ანთია არკადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ჩვენ ვხედავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის განვითარების განსხვავებულ დონეს. გვებადება კითხვა, რა წარმოადგენს მათი ეკონომიკური თუ სოციალური დიფერენცირების საიდუმლოს? განსაზღვრავს ამას ხალხის ხასიათი, არის ეს შედეგი იქ არსებული და სწორად შერჩეული მართვის სტილის? რამ გამოიწვია სხვადასხვა რეგიონებში თუ ქვეყნებში მართვის განსხვავებული სტილის ჩამოყალიბეა და არის თუ არა ეს სახელმწიფოების განვითარების საიდუმლოს გასაღები? ამ კითხვებზე პასუხებს დიდი ხანია იკვლევენ მეცნიერები. რა თქმა უნდა ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული პასუხი ამასთან მიმართებაში არ არსებობს, რადგან მართვის ფორმებთან ერთად ბევრი ისეთი ფაქტორიც შეიძლება განსაზღვრავდეს ქვეყნის განვითარების დონეს და მის ეკონომიკურ ზრდას, როგორიცაა რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა, საკანონმდებლო ბაზა და ა.შ. მაგრამ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მართვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მართვა გვევლინება ადამიანის ცხოვრების აუცილებელ ელემენტად. მართვა არის მიზანმიმართული მოქმედება საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებზე, ადამიანთა საქმიანობასა და ურთიერთობებზე. მართვის ბუნება მომდინარეობს მისი სოციალური ფუნქციიდან. ის მიმართულია იმ პროცესების მოწესრიგებისკენ, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს.

მიუხედავად ყველაფრისა როგორც მთლიანად ქვეანაში, ასევე, მასში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციებში არსებული მართვის პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ცალკეული ორგანიზაციის თუ მთლიანად ქვეყნის ეფექტურობის დონეს. აღნიშნული მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე და განხორციელებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ლიდერებს. მათი მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და არჩეული მართვის სწორი სტილი არის ორგანიზაციის და შესაბამისად ქვეყნის განვითარების საფუძველი.

ამ სტატიაში მოკლედ მოვახდენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი სუბიექტების მოქმედებების განსხვავებულ ინტერპრეტირებას, ასევე ორგანიზაციებში არსებულ განსხვავებულ მართვის ფორმების ანალიზს და კვლევებისა და დაკვირვებების მეშვეობთ გამოტანილ დასკვნებს გავასაჯაროვებ.

საკვანძო სიტყვები: ლიდერი, მენეჯერი, ორგანიზაცია, კომპეტენციები.

შესავალი

როცა დავფიქრდებით ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის წყაროებზე, გვებადება კითხვა, სად დევს ქვეყნის ნაციონალური წყარო? რაზე გამოიმუშავებს სახელმწიფო თანხებს? მაგალითად რა შემოსავლებით არსებობს საუდის არაბეთი ან რუსეთი? პასუხი მარტივია, რა თქმა უნდა - ბუნებრივ რესურსებზე დაყრდნობით. რაც შეეხება იაპონიას, ტაივანს, სინგაპურს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ა.შ.შ.-ს, ამ შემთხვევაში სწორი პასუხი განსხვავებულია - მათი ძირითადი შემოსავალი დამყარებულია მატერიალიზებულ კომპეტენციებზე. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, რომ ვთქვათ რა არ ჰყოფნის საქართველოს მატერიალიზებულ კომპეტენციებში? რამდენადაც უცნაურად არ ჟღერდეს, ჩვენ არ გვყოფნის ლიდერის პოტენციალი.

დღეს ჩვენი პლანეტა იმყოფება ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკური ცვლილებების წინაშე ბოლო ათასწლეულის განმავლობაშ. ახლა დგას მუდმივი, შეუჩერებელი ცვლილებების ეპოქა. ის ითხოვს ხელმძღვანელებისგან სიმამაცეს, რეალობისთვის თვალის პირდაპირ გასწორებას, რისკებზე წასვლას, ქაოსის შემთხვევაში სიმშვიდის შენარჩუნებას. ჩვენს ქვეყანაში, როგორც საბჭოთა, პერიოდში, ასევე დღესაც სოციალური და ეკონომიკური კლიმატის ტოტალური ცვლილებების დროს დიდმა და მოუქნელმა, მნიშვნელოვანმა და ძლიერმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ადაპტირება და მათი დიდი ნაწილი განადგურდა ან განაგრძობს განადგურებას, ხოლო პატარა, მოქნილი და უბრალო

საწარმოები, კოოპერატივები, ბიზნემენები გადარჩნენ და ნაწილი ოლიგარქებადაც კი გადაიქცნენ.

ახალი ეპოქა ითხოვს არა მეთაურებს და მენეჯერებს, არამედ ლიდერებს. ესენი არიან ქვეყნის ეროვნული რესურსი. ყოველი განვითარებული და წარმატებული სახელმწიფო ორიენტირებულია განათლების სისტემაში დანერგოს სწავლების ისეთი ფორმები და მეთოდები სადაც ახალგაზრდა თაობას ასწავლიან აზროვნებას, მოქნილობას, ინიციატივის გამოვლენას, შეფასებას და ახალი იდეების გენერირებას, შედეგად კი ღებულობენ ახალგაზრდა ადამიანურ რესურს, რომელსაც გააჩნია ნოვატორული ნიჭი, ქარიზმა, ავტორიტეტი, ორგანიზებული ხედვა, პოზიტიური აზროვნება, თვითრწმენა, ნდობა. მათ აქვთ ადამიანების დაფასების, გამოწვევების მიღების, კარგი კომუნიკაციის, თვითკონტროლის (კონფლიქტურ და სტრესულ სიტუაციაში) და კრახის ღირსეულად მიღების უნარი. ასეთ ადამიანებზე დგას დღეს ცივილიზებული სამყარო.

ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ იმ ძირითად განსხვავებებზე რაც არსებობს ხელმძღვანელსა და ლიდერს შორის და როგორ აისახება ეს ორგანიზაციების მართვის პროცესში.

ძირითადი ნაწილი

ადრე დასავლურ მეცნიერებებში მიაჩნდათ რომ იყო ფორმალური და არაფორმალური ლიდერი, ხოლო დღევანდელ რეალობაში ხშირად გამოიყენება ურთიერთსაპირისპირო მართვის სუბიექტები ლიდერი და ხელმძღვანელი. მოდით განვსაზღვროთ მათი ფუნქციები და დავადგინოთ ძირითადი განსხვავება ლიდერსა და ხელმძღვანელს შორის.

ხელმძღვანელობა ძირითადად ფორმალური ხასიათისაა, რომელიც დამოკიდებულია თანამდებობაზე და არა პიროვნებაზე, ლიდერობა კი არსებითად არაფორმალური და სოციალური ფენომენია. ყველა ხელმძღვანელი არ გვევლინება ლიდერად და არც ყველა ლიდერი იკავებს ხელმძღვანელის თანამდებობას. ხელმძღვანელობა უფრო ცალკე პროფესიაა. არ არის შემთხვევითი, რომ არსებობს ბევრი მენეჯმენტის სწავლრბის ფორმები და მეთოდები. ეს ნიშნავს, რომ მენეჯერმაც უნდა აიმაღლოს ხელმძღვანელობისთვის საჭირო პროფესიული ცოდნა და უნარები. მას უნდა შეეძლოს საქმიანობის დაგეგმვა, დავალებების დელეგირება, კონტროლის განხორციელება, კომუნიკაციის აგება, სხვადასხვა ინდიკატორების გამოთვლა და ა.შ. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გამოჩენილი მმართველები თავის თავში ავითარებდნენ ლიდერის კომპეტენციებსაც, სხვებზე გავლენის მოხდენის ტექნიკასაც, მათ დარწმუნებისა და მოტივირების უნარს, მაღალი აქტიურობის გამოხატვის მზაობას და სასიცოცხლო ტონუსის გამომუშავენას. ამ თვისებების გარეშე ხელმძღვანელი რისკავს დარჩეს მარტო ფორმალურ ფიგურად კოლექტივში. ლიდერობა და ხელმძღვანელობა ადამიანური მოქმედების სფეროებია, რომელიც ყველას არ შეუძლია, უფრო მეტიც, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მსგავსი აქტიურობა დიკომფორტსაც კი უქმნის ვიდრე სიამოვნებისა და თვითრეალიზაციის განცდას. ამ კომპეტენციების განვითარება უფრო მარტივია იმ ადამიანებში, რომლებსაც ბუნებრივად აქვთ აღნიშნული კომპეტენციები ბოძებული, მაგრამ მიძინებული და დარჩენიათ მხოლოდ მისი გამოღვიძება და გამოვლენა.

როგორც ვთქვით ძირითადი განსხვავება ლიდერსა და ხელმძღვანელს შორის არის ის, რომ ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნება ოფიციალურად, ხოლო ლიდერი ხდება არაფორმალურად. თუ თქვენ გიკავიათ ხელმძღვანელის პოზიცია, ეს ნიშნავს, რომ გაქვთ უპირატესობა მოიპოვოთ ლიდრის პოზიცია კოლექტივში, თუმცა ეს მარტო არ გაქცევთ ნამდვილ ლიდერად.

სიტყვა ხელმძღვანელს თავისთავად აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, რომელთა განმარტებები განსხვავებულად ხსნის მის არსს სიტყვის გამოყენების კონტექსტში. პირველი მნიშვნელობით - ის არის პროფესიული მოღვაწეობის ხედვა, რომელსაც სჭირდება განსაზღვრული ცოდნა ადამიანთა მართვის შესახებ. მეორე მნიშვნელობით - ის არის სამუშაო თანამდებობა, რომელსაც აქვს სხვადასხვა სახელები/დასახელებები ისტორიული ეპოქიდან, კანონმდებლობიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე. მაგალითად თავმჯდომარე, დირექტორი, გენერალური დირექტორი, რექტორი, მმართველი, უფროსი, ზემდგომი, მთავარი, მენეჯერი და სხვა, ასევე - ოფიციალური პირი (მეთაური), რომელიც მეთაურობს რომელიმე სტრუქტურას ან მის ნაწილს და ასრულებს რომელიმე იერარქიულ მართვის ფუნქციას. მოცემული მნიშვნელობით შეიძლება ვისაუბროთ საერთოდ ხელმძღვანელზე, როგორც კოლექტიური

ასევე განზოგადოებული ხედვით, ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. მეოთხე მნიშვნელობით - პირი, რომელიც გვევლინება ვიღაცისთვის მენტორად, რომელიც ეხმარება მას ნებისმიერი პროფესიის განვითარებაში.

ხელმძღვანელს/მეთაურს, ახასიათებს პასიური პოზიციის დაკავების ტენდენცია მიზნებთან მიმართებაში. მეტწილად ის აუცილებლობით ორიენტირდება ვინმე ზემდგომის მიერ დასახულ მიზან-ზე და პირადად მისით არ არის დაინტერესებული. ხელმძღვანელი პირველ რიგში აყენებს წესრიგს დაქვემდებარებულებთან მიმართებაში. ემოციური ურთიერთდამოკიდებულება პრაქტიკულად გამო-რიცხულია. მისთვის დაქვემდებარებულები მხოლოდ მუშები არიან, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. ხელმძღვანელი ყოველთვის ელოდება და ვალდებულია მიიღოს პატივისცემა თავისი თანამშრომლებისაგან. ის მიზნების მისაღწევად და დაქვემდებარებულთა მოტივაციისთვის იყენებენ კონტროლს და მათ მართვაში დასჯა აღემატება წახალისებას. წარუმატებლობა და ჩავარდნები უფრო განიხილება ვიდრე მიღწევები. იგი ახალი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში იყენებს ძველ გამოცდილებას და მინიმუმამდე დაჰყავს ახალი გზების ძიების შესაძლებლობა რთულ სიტუაციებში. ხელმძღვანელისთვის რთულია სამუშაოს შესრულების დროს სიცხადისაკენ და სიზუსტისაკენ სწრაფვა. ის ამჯობინებს საქაღალდე მოხსენებებს ვიდრე, მეტად საინტერესო მაგრამ არსად დაფიქსირებულ საუბრებს. ის ამჩნევს მარა არ აღიარებს თანამშრომლების ნიჭს. ხელმძღვანელი არ საჭიროებს უფლებამოსილების დელეგირებას, ის ეჭვით უყურებს ყოველ ახალ იდეას, რომელიც მისგან არ მომდინარეობს. ხელმძღვანელს არ გამოსდის „რთულ“ თანამშრომლებთან მუშაობა და ამიტომაც ვერ უზრუნველყოფს დაიცვას ორგანიზაცია კრიტიკულ პერიოდში. ის მშვიდად ღებულობს საქმეში ჩადებულ თანამშრომელთა მინიმალურ წვლილს. მას არ გამოსდის წარმატების კრიტერიუმების დადგენა და აქედან გამომდინარე ხალხი უინიციატივოდ მიჰყვება მას ყოველგვარი მიმართულებისა და შთაგონების გარეშე.

რაც შეეხება ლიდერს (leader), ის არის ადამიანი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ჯგუფში, მისი წევრებისთვის მიმართულების მიცემაში, კონტროლის და ცვლილებების განსახორციელებაში, რათა მიღწეულ იქნას საერთო მიზანი. ლიდერად ყოფნა ნიშნავს, რომ შეგეძლოს გააკეთო ყველაფერი და ჩადო საერთო საქმეში, დაარწმუნო სხვები ამ საქმის შესრულების აუცილებლობაში, დასახული მიზნის მიღწევადობაში და გაუჩინო მათ კმაყოფილების შეგრძნება. ზოგადად, ჯგუფის წევრის მდგომარეობა უფრო მაღალია მაშინ, როცა ის იდენტიფიცირებულია ჯგუფის ნორმებთან და მიზნებთან. ლიდერი არა მარტო საკუთარი თავის გამოხატვაა, არამედ ის გვევლინება გუნდის მოთხოვნების გამომხატველად ორგანიზაციაში.

გ. კუნცი და ს.ო. დონნელი (цит. по Кричевский, 1996) წერდნენ „თუ დაქვემდებარებულების მართვაში ზემდგომები ხელმძღვანელობენ მხოლოდ მენეჯმენტის მიერ დადგენილი წესებითა და საჭიროებებით, მაშინ დაქვემდებარებულები მუშაობის დროს ავლენენ თავიანთი შესაძლებლობების 60 ან 65%-ს. ამ დროს ისინი მარტო მოვალეობებს ასრულებენ იმ დონეზე, რომ სამსახური შეინარჩუნონ“. დაქვემდებარებულთა შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენების მისაღწევად ხელმძღვანელმა მათ უნდა გაუღვივოს პასუხისმგებლობის გრძნობა ლიდერული დამოკიდებულების გამოყენებით. ეს მიიღწევა სხვადასხვა მეთოდებით მაგრამ მათ ყველას საფუძვლად უდევს დაქვემდებარებულთა მოთხოვნილებები, მათი გაცნობიერება და გათვალისწინება.

ლიდერი თავის ურთიერთობებს ადამიანებთან აწყობს ნდობაზე დაყრდნობით, მათი მოტივირებითა და შთაგონებით, საკუთარი ქცევის მაგალითებით, ერთობლივი მუშაობის საფუძველზე სადაც წარმატებები და მიღწევები აჭარბებს შეცდომებს, შედეგად ერთობლივი თუ სუბიექტური შეცდომების აღიარდება ხდება იოლად და იძებნება მათი მოგვარების გზები. ლიდერი სულ ცდილობს მიიღოს ახალი და არაერთმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზები. რისკზე წასვლა და მაგაზე პასუხისმგებლობების აღება თანამედროვე ლიდერის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია. მას ახასიათებს გუნდში მიმდინარე პროცესების ანალიზი, ახალისებს საუკეთესო ნიმუშებს, იყენებს დაუგეგმავ მაგრამ დამსახურებულ დაჯილდოებებს. ლიდერი ყოველგვარი შიშისა და საფრთხის გარეშე კვალიფიციურად გადასცემს უფლებებს, შეუძლია მათი მართვა და შედეგების მიღება. ის ქმნის

პოზიტიური უკუკავშირის შესაძლებლობას, მხარს უჭერს თანამშრომელთა გონივრულ ინიციატივებს მიმდინარე მიზნების ფარგლებში. ლიდერს შეუძლია დაამყაროს მისაღები ურთიერთობა „რთულ“ თანამშრომლებთან მათთან კონფლიქტის გარეშე და ამავე დროდ არ დაუშვას ურთიერთობებში სიცარიელე. ეს ადამიანი იცავს თავის კოლეგებს, მაგრამ მოითხოვს მათგან საერთო საქმეში მაქსიმუმის ჩადებას. ლიდერს გააჩნია ორგანიზაციის წარმატების ხედვა, ის შთააგონებს თანამშრომლებს და გამარჯვებას ზეიმობს კოლეგებთან ერთად.

უნდა ითქვას, რომ სოციალური ფსიქოლოგიაში ტრადიციულად ლიდერობის სტილზე ტარდება გამოკვლევები და არა ხელმძღვანელობაზე, რადგან ეს უკანასკნელი სხვადასხვა ორგანიზაციაში მისი ფუნქციებიდან, ნორმატიული აქტებიდან და შიდა წესდებებიდან გამომდინარე დირექტირებულია.

მართვის პროცესში ეს ორი სხვადასხვა სუბიექტი ლიდერი და ხელმძღვანელი განსხვავებულად უძღვებიან ორგანიზაციებს. მათი ქცევები და ქმედებები სხვადასხვაგვარია. ლუპა, რომლითაც ხელ-მძღვანელები ათვალიერებენ დღეს ქვეყანას ეს არის მოგება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ჭეშმარიტ პრინ-ციპულობას შენს ბიზნესზე ხედვისთვის გაძლევს სხვა ლუპა. გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები პირდაპირ დაქვემდებარებულების განვითარების პროპორციულია, მათზე ზრუნვა და მათი დაფასებაა.

დასკვნა

თანამდეროვე სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის ფორმირება მოხდეს ლიდერად, რაც ორგანიზაციების საქმიანობას გახდის მეტად წარმატებულს. ლიდერობის თეორიულად შესწავლა შეუძლებელია მაგრამ მისი დასწავლა შეიძლება საკუთარ თავთან დიდი მუშაობით და შესაბამისი გარემოს არსებობით. ჩვენ არ გვჭირდება მეთაურები და ხელმძღვანელები, რომლებიც მარტო დაწერილი წესებითა და კანონებით აპელირებენ, ჩვენ გვჭირდება სხარტი აზროვნების ახალგაზრდები, მყისიერი გადაწყვეტილებების მიღების უნარით, ნოვატორული ნიჭით და სხვებზე ზრუნვის შესაძლებლობებით. მენეჯერებს მართვისთვის განსაკუთრებული აღზრდა არ სჭირდებათ ისინი მოქმედების გაწერილ კანონებსა და წესებსაც იყენებენ, რომლებსაც სამსახურში ახვედრებენ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ლიდერული უნარებისა და კომპეტენციების დანერგვას სასწავლო დაწესებულებებში, რადგან იქ მომზადებული პერსონალი, რომლებიც ქვეყნის მომავალს წარმოადგენს, იქნება მდიდარი არამატერილური რესურსის მატარებელი, რომელიც შეძლებს დიდი მატერიალური რესურსის მოზიდვა- აკუმულირებას ისე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება.

ლიტერატურა:

1. ხარაძე ნ. „ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება“. თბილისი. 2009წ
2. ხარხელი მ. ქეშელაშვილი გ. „მენეჯმენტის საფუძვლები“. თბილისი 2013წ
3. ქიტიაშვილი ა. „ლიდერობა და გუნდის მართვა“. თბილისი 2013წ
4. ბარათაშვილი და სხვანი. მენეჯმენტი I ნაწილი
5. Андреева Г.М. Социальная психология, М., Асток-Пресс, 2006
6. Шибутани Т. Социальная психология, Ростов-на-Дону, Феникс, 2005
7. Аронсон Э., Уилсон Т., Эйкер Р. Социальная психология, СПб, Прайм-Еврознак, 2004
8. Парыгин Б.Д. Социальная психология, СПб, СПбГУП, 2003
9. Агеев В.С. Межгрупповое взаимодействие: социально-психологические проблемы, М., МГУ, 1991
10. Клейнман П. Психология. Люди, концепции, эксперименты / П. Клейнман. — М.: Изд-во Манн, Иванов и Фербер, 2012.
11. Андреева Г. М. Социальная психология. Учебник для высших учебных заведений / Г. М. Андреева. — 5-е изд., испр. и доп. — М.: Аспект Пресс, 2007.
12. Батыгин Г.С Лекции по методологии социологических исследований / Г. С. Батыгин. — М.: Аспект Пресс, 1995

Management in Organization, Leadership Management

Antia Arkadi
PhD student of Georgian Technical University

Summary

In the article the author considers the management in organization, leadership management and management in the field of information technology. The author analyzes the management in the field of information technology and draws conclusions.

In the article the author considers the management in the field of Information technology. The author analyzes the management in the field of information technology and draws conclusions. The author considers the management in the field of information technology, analyzes the management in the field of information technology and draws conclusions. The author considers the management in the field of information technology, analyzes the management in the field of information technology and draws conclusions.

Here we are talking about the management in the field of information technology and management in the field of information technology, we are talking about the management in the field of information technology, we are talking about the management in the field of information technology, we are talking about the

ელექტრონული მმართველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ბარბაქაძე თამარი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გლობალიზაციისა და უდიდესი ტექნოლოგიური განვითარებისა პირობებში, საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურებისა და ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება მსოფლიო მასშტაბით უმოკლეს დროში. ეს მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ადამიანებისა და სახელმწიფოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეცვალა ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება, სწორედ ამის შედეგია ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება. ამ პროცესმა კი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურება, ციფრული დემოკრატია.

ძირითადი ტექსტი

ელექტრონული მმართველობა გულისხმობს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მთავრობის ეფექტიანბის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, შესაბამისად ელექტრონული მმართველობა მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. დღესდღეობით კი იგი წარმოადგენს სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვან მექანიზმს.

ელექტრონული მმართველობა მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიის პოტენციალს, მის ეფექტიანობასა და ქმედითობას. იგი ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ურთიერთქმედებას, პროფესიული და საზოგადოებრივი პერსპექტივენის ზრდას. ამას გარდა აყალიბებს ბიზნესისა და მთავრობების ახალ შესაძლებლობებს, უფრო დინამიურს ხდის საზოგადოების ჩართულობას სახელმწიფოს მართვის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის პრაქტიკულილი დანერგვა და განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება :

- ელ-მმართველობა მოქალაქეებისათვის - G2C
- ელ-მმართველობა ბიზნესისთვის - G2B
- ელ-მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისათვის - G2G
- ელ-მმართველობა საჯარო მოხელეებისათვის - G2E

ელექტრონული მმართველობა არ ვითარდება, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში მეტი კომპიუტერის შეძენითა და ვებგვერდის შექმნით. ეს უპირველეს ყოვლისა არის პროცესი, რომელიც მოითხოვს დეტალურ დაგეგმვას, საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების გონივრულ გამოყენებასა და პოლიტიკურ ნებას.

ელექტრონული მმართველობა მოიცავს:

- სამთავრობო ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას
- მოქალაქეების ჩართულობას, სახელმწიფო მოხელეებთან უშუალო კონტაქტის გზით
- მთავრობის ინფორმაციულ გახსნილობას, მისი საქმიანობის მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოჩენის გზით
- ინტერაქტიულობას, რაც ხსნის საზღვრებს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისთვის და აძლევს მათ თანაბარ შესაძლებლობას ონლაინ რეჟიმში მიიღონ სამთავრობო

მომსახურებები, დაზოგონ დრო და ფინანსები.

საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას, რაც შესაბამისად ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესებას, მათ შორის, ელექტრონული მომსახურების განვითარებას და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოებას.

საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნისა და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებებელი ორგანოა სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“. მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებას ქვეყანაში ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. მონაცემთა გაცვლის სააგენტო აწარმოებს ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრს „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში.

ელექტრონული მმართველობის გლობალური ტენდენციების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი წყაროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ რეგულარულად ჩატარებული კვლევები. ბოლოს ასეთი კვლევა ჩატარდა 2018 წელს, ცხრილში წარმოდგენილია ყველაზე მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნები.

ცხრილი N1: ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი ვქყნების მიხედვით

N	ქვეყნები	ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი
1	დანია	0,92
2	ავსტრალია	0,91
3	კორეა	0,90
4	დიდი ბრიტანეთი	0,90
5	შვედეთი	0,89
6	ფინლანდია	0,88
7	სინგაპური	0,88
8	ახალი ზელანდია	0,88
9	საფრანგეთი	0,88
10	იაპონია	0,88
11	ამერია	0,88
12	გერმანია	0,88
13	ნიდერლანდები	0,88
14	ნორვეგია	0,86
15	შვეიცარია	0,85

წყარო: www.un.org

მოცემული ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე მაღალი შემოსავლით და ეკონომიკური სტაბილურობით გამოირჩევიან, რამაც განაპირობა ელ-მმართველობის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი. ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას. აღნიშნული ქვეყნები კი ამ დარგშიც მაღალი IT ინფრასტრუქტურით გამოირჩევიან.

რაც შეეხება საქართველოს 2018 წლის შეფასების მიხედვით საქართველოს მაჩვენებელი შეადგენდა 0.69-ს, რითაც მე-60 ადგილს იკავებდა 193 ქვეყანას შორის. თუ შევადარებთ გასულ წლების მონაცემებს 2016 წელს 0.61, ხოლო 2014 წელს 0.60-ს შეადგენდა. გატარებული რეფორმების შედეგად ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად გაუმჯობესდა ელექტრონული მმართველობისა და ელექ-

ტრონული ჩართულობის განვითარების მაჩვენებლები. მიუხედავად მზარდი ტენდენციისა საქართველო მაინც ჩამორჩება ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (0.77). ამას გარდა, აღნიშნულ ინდექსზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა - ეს გულიზმობს ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობას, მობილური ტელეფონის მომხმარებელთა რიცხვს და სხვა. საქართველოს ყველაზე დაბალი შედეგი ამ კომპონენტში აქვს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს
- ონლაინ-სერვისების კომპონენტი - ამ კომპონენტით ფასდება ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სამთავრობო ვებგვერდების არსებობა და ფუნქციონირება.
- ელ-ჩართულობის მაჩვენებელი - ასახავს თუ რამდენად მზად არის ხელისუფლება ახალი ტექნოლოგიების დახმარებით ხელი შეუწყოს მმართველობის პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობას.
- ადამიანური კაპიტალის კომპონენტი - ეს კომპონენტი ასახავს თუ რა პოტენციალი აქვს საზოგადოებას ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების კუთხით.

გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევის მიხედვით, ელ-მმართველობის ინდექსი ქვეყნების უმეტესობაში ონლაინ სერვისებისა და ელ-მმართველობის სტანდარტების სწრაფი განვითარების გამო გაიზარდა.

საქართველოში ელ-მმართველობის სფეროების განვითარების შეფარდება

წყარო: www.idfi.ge

IDFI (ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი)-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობის ელექტრონული ჩაბმულობის ინდექსის მიხედვით აქვს. ეს ყოველივე კი საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებს და მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას მოითხოვს მთავრობისა და ბიზნეს სექტორისგან. 2010 წლიდან დღემდე ამ კუთხით დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა, დაინერგა ბევრი სახელმწიფო-ელექტრონული მომსახურების პორტალი, როგორიცაა:

- საკანონმდებლო მაცნე - matsne.gov.ge
- შესყიდვების ერთანი ელ-სისტემა - www.procurement.gov.ge
- ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - eTreasury
- დოკუმენტბრუნვის მართვის ელ-სისტემა - eDocument
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა - eBudget

ასევე სხვადასხვა სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის სისტემები, რაც მოსახლეობას უმარტივებს მარტივად და სწრაფად მოახდინონ მათთვის სასურველი სერცისებით სარგებლობა.

მიუხედავად რიგი ტენდენციებისა, ქვეყნის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა აქცენტების გააკეთება ელექტრონული მართველობითი გარემოს განვითარების პოლიტიკაზე,

ასევე დარგობრივი მიმართულების ელექტრონული კომერციის განვითარების სახელმწიფო პროგრამებზე. პირველ რიგში საჭიროა ონლაინ სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინტერნეტისა და ციფრული კომუნიკაციების განვითარება. რეგიონულ დონეზე მათი დანერვგა და წახალისება, რადგან შეინიშნება რეგიონთაშორისი ციფრული უთანასწორობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- D.N Gupta "Strategioes for successful E-governance" – 2008
- ელექტრონული გამჭვირვალობა საქართველოში - „ელ-მმართველობა - საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო"
- ქ. როსტიაშვილი - „ელ-მმართველობა საქართველოში" – 2010
- www.dea.gov.ge
- www.idfi.ge
- www.un.ge
- www.geostat.ge

ORGANIZATIONAL-LEGAL FRAMEWORK OF ELECTRONIC-GOVERNMENT IN GEORGIA

Barbakadze Tamari

PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შუამავალი

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტენსიური ინტეგრაციის ერა ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობის ახალ საშუალებებს აძლევს. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებისა და ელექტრონული მმართველობის ეფექტიანობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ადეკვატურ განვითარებაზე დამოკიდებულია. ელექტრონული მმართველობა ეფექტიანობისა და ეკონომიკურ ეფექტურობის ერთ-ერთ ინსტრუმენტად ითვლება. ელექტრონული მმართველობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ადეკვატურ განვითარებაზე დამოკიდებულია.

სოცკონფლიქტის თემატური მედიარეზონანსი, უახლეს პრობლემატურ ფონზე

გვაზავა თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

დღევანდელი რეალობის და პრობლემების ფონზე, ძალზე აქტიურად, გარემო პირობების გათვალისწინებითმთელ მსოფლიოში ხდება ძალადობის სოციალური ფონით წარმოჩენისა და განხილვის პროცესი მედიაში. ამის მაგალითია ქართული მედიასივრცეც. ტელეკომპანია რუსთავი 2-ეთერში, უკვე 2020 წლის 7 აპრილს შემდეგი სიუჟეტი გავიდა, სადაც მთავარი პრობლემა იზოლირებული მსხვერპლის მდგომარეობა და სტატისტიკის შეუსაბამობა იყო, ვინაიდან სოციალურად გაუწონასწორებელ და პანდემიის ფონზე არსებულ სივრცეში, გაჩნდა ძალადობის ფაქტების გაუცხადებლობის ეჭვიც და სოცკონფლიქტების უფრო მეტად ძალადობრივ ასპექტებში გადაზრდის საფრთხეც. თუკი მოვიხმობთ გამოცდილებას, რომლის თანახმადაც მსოფლიო მედიის ყურადღება ამ ასპექტებისადმი დიდ ყურადღებას იჩენს, მაშინ მივხვდებით რასთან გვაქვს საქმე - ეს ერთგვარი პარალელია, სოციუმში გარემო პირობებით შექმნილი მდგომარეობის ზეგავლენისა მოძალადის ფსიქიკაზე და პირიქით - სოცკონფლიქტის არსის სახეცვლილების, გლობალური პრობლემების ფონზე, როდესაც ძალადობის შედეგები არა მხოლოდ გლობალური სოციალური უთანასწორობის ფონზე, არამედ მთელ მსოფლიოში არსებულ არსობრივ პრობლემასათან - პანდემიის რეალობასთან არის კავშირში. იწყება თემის რეალური რეინტეგრაციის პროცესი. ბუნებრივია, რომ პრობლემა ბოლომდე არ აჩენს თავს, თუმცა მედია მაინც ცდილობს მის არსში ღრმად ჩაწვდეს.

საკვანძო სიტყვები: მედიარეზონანსი, სოცკონფლიქტი, პანდემია, მსოფლიო მედია, რეინტეგრაცია.

შესავალი

რეალობა, რომელიც მსოფლიოს უპირველეს პრობლემად იქცა, საშუალებას აძლევს თანამედროვე მედიას, ჩაწვდეს არა მხოლოდ მოვლენათა არსს, არამედ ახალი რაკურსით წარმოაჩინოს სინამდვილე და ამით თეამტური რეინტეგრაციის პროცესი, სასურველი მიმართულებით განავითაროს. პანდემიის ფონზე გამძაფრებული საფრთხეები და კონკრეტულად ძალადობის ფაქტების აღმოჩენის პროცესი, მედიარეზონანსული თემის რეინტეგრაციის ერთ-ერთი მაგალითია.

ძირითადი ტექსტი

სოცკონფლიქტიდან წარმოქმნილი და გარემო პირობებით ინსპირირებული ძალადობა როგორც შედეგი, სოცკონფლიქტი, როგორც დამკვიდრებული ფონი და ახალი გამოწვევა - პანდემია როგორც ხელშემწყობი ფაქტორი, ამ სამეულის გაერთიანებით, პრობლემის ინტეგრირება მედიაში და შემდეგ მედიასაშუალებების მიერ მისი რეინტერგრირება სხვადასხვა სტრუქტურებისთვის საყურადღებო მიმართულებით, საქართველოში უკვე პროცესად ყალიბდება.

,,...კორონავირუსის გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პარალელურად, თვითიზოლაციაში მყოფ ქალებს მოძალადე ოჯახის წევრებთან სახლში დღეების და კვირების გატარება უწევთ. გამოიკვეთა პრობლემაც - მსხვერპლმა ქალებმა არ იციან დასახმარებლად ვის მიმართონ, რადგან შესაბამისმა დაწესებულებებმა მუშაობა დროებით შეწყვიტა. როგორ უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენზე ოჯახში სისტემატურად ძალადობენ და განსაკუთრებით იზოლაციის დროს - ამ კითხვას დღეს დეა გოშხეთელიანმა უპასუხა, 26 წლის ქალი ძალადობის მსხვერპლი წელიწადისა და 10 თვის განმავლობაში იყო, საბოლოოდ მან სამართალდამცველებისა და მედიასაშუალებების დახმარებით თავისი უფლებების დაცვა შეძლო.“...[1] - ვკითხულობთ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ოფიციალურ

[1]მოძალადე ოჯახის წევრებთან ერთად გამოკეტილი ქალები - ვის უნდა მიმართონ ძალადობის მსხვერპლებმა კარანტინის პირობებში - 07-04-2020

გვერდზე, სადაც ამ სიუჟეტის არსებობა უკვე ნიშნავს სათანადო აქტუალობის წარმოჩენას თემასთან დაკავშირებით.

მართალია, ტელემედიასაშუალებათა მიმართ სავარაუდოდ კიდევ ბევრი შესწორება და კორექტირების აუცილებლობა გახდება საჭირო, ამგვარ თემატიკასთან კავშირში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რეინტეგრაცია და პრობლემის სხვადასხვა ასპექტით გაანალიზება მედიაჩართულობის კვალდაკვალ, ან მისი თანამონაწილეობით დგება.

ის, რომ ამ პრობლემასაც თავისი საერთაშორისო ნიშნულიდან უხდება განხილვა, უკვე საყოველთაოდ მიღებული წესია, ამიტომ სიუჟეტში იგივე პრობლემის შესახებ ითქვა, რომ:

,,...გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერესმა გლობალური პანდემიის ფონზე ოჯახური ძალადობის ფაქტების მატებაზე ისაუბრა, სახელმწიფოებს შესაბამისი რეკომენდაციები მისცა და მათი დაცვისკენ მოუწოდა.პანდემიის გავრცელების და თვითიზოლაციის პირობებში საქართველოში ოჯახში ძალადობის ზრდა არ ფიქსირდება, სტატისტიკას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უცვლელი მაჩვენებელი აშინებთ ქალთა უფლებადამცველებს. ...სტატისტიკა აშინებთ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებმაც ძალადობის პრობლემაზე განცხადებაც გაავრცელეს და შემდეგ მთავრობის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ. ... სტატისტიკის მიხედვით, 2020 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში შესაძლო ძალადობის და ოჯახური დანაშაულის 1480 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, მთავრობა ახლა ახალ გამოწვევებზე მორგებული მოდელის შექმნას ცდილობს, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მოქალაქეების ინფორმირებულობისა და დახმარებისთვის იქნება შექმნილი."[1]

თუ ამ გზავნილს მივყვებით, აღმოჩნდება რომ მედიასაშუალებით ხდება ერთგვარი უნდობლობისა და სტატისტიკური მონაცემებისადმი ეჭვის გამოღვიძებაც - რაც ხშირ შემთხვევაში რადიკალურ დამოკიდებულებას აჩენს სოციუმში, მაყურებელში, მკითხველში - მას უბრალოდ აღარ სურს დაიჯეროს სტატისტიკის, რომელიც როგორც ითქვა ,,უცვლელია"...

პრობლემის რეინტეგრაცია, ჩემი აზრით, ამ შემთხვევებში სწორედ იმ აუცილებლობის გათვალისწინებას ითხოვს, რომელიც უკვე არა საერთაშორისო გამოცდილებას არამედ მენტალური ხაზის ძიებას უნდა დაეფუძნოს.

თუ კომპლექსურ კვლევებში, სადაც საერთაშორისო საბაზისო მონაცემები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ექსპერტების შეფასებები, თავის კუთვნილ დროსა და ადგილს იკავებს, მაშინ მით უმეტეს, შსს-ს მიერ გაცხადებული მდგომარეობის და სტატისტიკის უცვლელობის შესახებ ინფორმაციაში რეალური მიზეზიც უნდა იყოს მოძიებული - ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ დასაშვებია რა თქმა უნდა ამ სტატისტიკის სრულიად რეალური სახით არსებობაც. ამის საპასუხოდ, საჯარო სივრცეში და მედიაპორტალებზე ხელმისაწვდომი ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური განცხადება, რომელიც საქმეთა შესწავლის, მონიტორინგის, მოცემულობათა ერთიანი ჯაჭვის ფაქტობრიობაზე დაყრდნობით აცხადებს შემდეგს:

,,...აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, პანდემიის გავრცელების პირობებში, არ შეინიშნება ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზრდა.

...2019 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დაფიქსირებული შეტყობინებები ემთხვევა 2020 წლის თებერვალში 112-ში დაფიქსირებული შეტყობინებების ტენდენციას.

2020 წლის იანვარში შესაძლო ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის დაახლოებით 520-მდე ფაქტზე დაიწყო გამოძიება..."[2]

თუ შესაძლებელია, რომ პანდემიის პირობებში, სოციალური თანასწორობის საკითხი მეტ-

---

21:5http://rustavi2.ge/ka/news/160596?fbclid=IwAR0ThP5C2B0H1rhP_eL4lvKEO5hx61quE34862tAsyrlkCFjVCiYMpSJtsEგად. 09.04.2020 თ. გვაზავა.

[1]მოძალადე ოჯაის წევრებთან...07-04-2020

21:5http://rustavi2.ge/ka/news/160596?fbclid=IwAR0ThP5C2B0H1rhP_eL4lvKEO5hx61quE34862tAsyrlkCFjVCiYMpSJtsEგად. 09.04.2020 თ. გვაზავა.

[2]შინაგანსაქმეთასამინისტროაგრძელებსოჯახშიძალადობისწინააღმდეგეფექტიანბრძოლას03-04-2020 https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-agrdzelebs-odjakhshi-dzaladobis-tsinaaghmdeg-efeqtian-brdzolas/13440 გად. 09.04.2020 თ. გვაზავა

ნაკლებად უფრო ადეკვატურად იქნას აღქმული პატარა ქვეყნების მაგალითზე და ამაში მთავარ როლს ეროვნული მენტალობის ნიშნები ასრულებენ, მაშინ რატომ არ განიხილება ამ პრობლემასთან კავშირში ისიც, რომ ძალადობის უცვლელი სტატისტიკის მიზეზი ისევ ეროვნული მენტალური ხასიათობრივი ნიუანსების არსებობაში შეიძლება იყოს? ან რატომ არ ხდება ეს მიზეზი საპასუხო კითხვითი რეაქციის მამოძრავებელი მედიაში?

ალბათ სწორედ იმის გამო, რომ სამწუხაროდ, თემის რეინტეგრაციის პროცესში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბდა ქართულ მედიაში ნებისმიერ სოცკონფლიქტში კომპლექსურობის ზუსტი გაგების - მასში ინტერდისციპლინარული წესით კვლევის ტრადიცია. ეს რომ ჩვეულებრივ რეჟიმში განვრცობადი პროცესი იყოს, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სპეციალისტთა არა ცალკეული არამედ სწორედ მენტალურ ჭრილში არსებული პასუხები, ამგვარი ტელეანალიზის მთავარი დამხმარე კომპონენტი იქნებოდა. ვიმეორებთ - აქ არ იგულისხმება ფსიქოლოგის ცალკეული, ერთეული და სიტუაციური მოცემულობების ანალიზი, რომლის ნაკლებობაც ნამდვილად არ შეინიშნება ქართულ მედიასივრცეში.

თუ უფრო მარტივად მივუდგებით ამ საკითხს, შესაძლებელია შემდეგნაირადაც ითქვას: - თუ დასავლეთ-ევროპის ან სხვა ქვეყნებში, იზოლაციის პირობებში მაჩვენებელი ოჯახური ძალადობის ფონზე მაღალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე სქემით და მასობრივი ფსიქოლოგიის იდენტური გამოვლინებით უნდა ვითარდებოდეს სიტუაცია საქართველოშიც, ქვეყანაში, სადაც უკვე კონკრეტული მახასიათებლები: გარემო, ყოფის აღქმის თავისებურებები, სამხრეთისა და ცნობიერების ნიუანსები შეიძლება პირიქით, იზოლაციაში სხვა სიტუაციის შენარჩუნების თუნდაც ინსტიქტურ პრეცედენტს ქმნიდნენ. ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვას - შესაძლებლობას ვგულისხმობთ, თუმცა ამისათვის მასისა და ინდივიდის ფსიქოანალიზის გარკვეული თუნდაც ზედაპირული მახასიათებლების წინ წამოწევაა საჭირო. თუმცა, თუ მედია ძალადობის შესახებ ინფორმაციის ორგვაროვნებაზე კამათის საშუალებას იძლევა მაყურებელთან, მაშინ მიზეზთა გაანალიზებას ბევრად დიდი დრო უნდა დაეთმოს და მენტალური ანალიზი ამ შემთხვევაში, აუცილებელი იქნება.

ბოლოს და ბოლოს, ეს მედიარეზონანსის საზღვრების გაფართოებისკენ მიმართულ გზასაც სჭირდება იმისათვის, რათა თემის წინ წამოწევისას, ერთ რომელიმე მოცემულობაში ლოკალიზება საერთო ტენდენციად არ იქცეს და ისედაც სოციალურ მედიასივრცეში გაბატონებულმა ამ მოვლენამ უარესი შედეგი არ გამოიღოს - არ დაემსგავსოს ამგვარი ინფორმაციის, ფაქტების შეჯერება-გაანალიზებისპროცესში შავ-თეთრი პოზიციებისა და ალტერნატიულად ორიენტირებული ორგანიზაციების აზრის გამოთქმის საშუალებას მხოლოდ მოკლებულს, სხვადასხვაგვარი ვერსიების არსებობას.

2020 წლის 26 აპრილს, გადაცემაში ,,რა დროს ძილია“ სწორედ ეს ხიფათები და ძალადობის პრევენციის საკითხები განიხილა ოლგა ბაბლუანთან ერთად, ელისო ამირეჯიბმა, ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის რეგიონულმა კოორდინატორმა და სწორედ აქ გაჩნდა აზრი ძალადობის დაფარული ფაქტების და პოსტპანდემიური რეაქციის შესახებ, რაც შესაძლებელია მართლაც გამოჩნდეს და სახლმწიფო და რეზონანსული ფაქტორი აქ გადამწყვეტ როლს შეასრულებს.[1]

ვინაიდან თავად შიშის ფაქტორი აქტიურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში და ეს ნამდვილად არ არის დამოკიდებული ევროპული ყოფიერების ხასიათზე, ამიტომ ის არსებობს და სრულად მის აღმოფხვრას ვერავინ შეძლებს. ამიტომ, გარკვეული სოციუმის პროცენტი ძალადობის მსხვერპლთა შორის, დამოკიდებული შიშის ფაქტორზე გაცხადებისა და საჯაროობის მიმართ, მუდმივად იარსებებს. სხვა საკითხია ის თუ რატომ დგება აუცილებლობა იმის მტკიცების, იმატებს თუ არა მისი რაოდენობა თვითიზოლაციის პირობებში.

რამდენადაც ფაქტები და მონაცემები მეტყველებს - ეს რეალობა უცვლელი რჩება, თუმცა ჩვენ ვუშვებთ შესაძლებლობას იმისა, რომ მონაცემები შეიცვალოს.

იურგენ ჰაბერმასმა, რომლის თეორიული კვლევები სოცკონფლიქტების შესახებ და აგრეთვე საჯარო სივრცის პერპსექტივაში აღქმული მრავალფუნქციური ასისტემური განვითარების შესახებ

[1]რა დროს ძილია, ტ/კ ,,იმედი https://www.facebook.com/1514132185535322/posts/2644623505819512/გად. 2.05.2020 თ. გვაზავა

დღეს თანამედროვეობის პრობლემური სპექტრის ერთი ნაწილის ახსნას ემსახურება ხშირად, ეს პროცესები ზოგად სოციოსისტემურ ჭრილში გაიაზრა.

აღსანიშნავია, რომ ჰაბერმასის ცნობიერების მკვეთრ გარდატეხებთან დაკავშირებული კვლევები სწორედ სხვადასხვა ტიპის სოცკონფლიქტებიდან ამოზრდილი ძალადობის და კერძოდ ბავშვების მიმართ თუ ოჯახში, ქალთა მიმართ თუ ნარკოდამოკიდებულების მიზეზთა ნიადაგზე შექმნილი ფაქტების მიმართ დამოკიდებულებაში აისახება.

რაც შეხება საქართველოს - აქ გვემატება კიდევ ერთი ფაქტორი. მაგალითად, ეთნიკურ უმცირე-სობებში, ოჯახში ძალადობა ხშირად სტანდარტად ქცეული მოვლენაა განსხვავებული პრობლემებით - სხვა კულტურა, ინტეგრაციის პრობლემა, კომუნიკაცია სრულფასოვანი სტანდარტების მიღება.

შესაბამისად, ნამდვილად ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ დღევანდელი მოცემულობის კიდევ ერთ, მთავარ რგოლში - სოცკონფლიქტის მედიასივრცეში ინტეგრაციის საკითხში, დავეყრდნოთ უკვე თეორიულად არსებულ, მაგრამ აქამდე პრაქტიკულად მხოლოდ გარკვეულ ლოკალურ საზოგადოებრივ ჯგუფებზე მორგებულ თეორიას.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, სოცკონფლიქტის მედიარეზონანის პარალელებს სრულიად თავისუფალი სისტემური მიდგომა ახასიათებთ. დღეს ეს მოვლენა მედიასაჯარო სივრციდან მართულ საინფორმაციო სისტემას ებმის - საბოლოოდ ეს ყველაფერი საზოგადოებრივი ცნობიერების სრულ სტრუქტურულ ტრანსფორმაციამდე მიდის და მისთვის ქმნის ახალ-ახალ სივრცეებს. იმ შემთხვევებში, სადაც სოცკონფლიქტური სიტუაციების სხვადასხვა გამოვლინებაზე და ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ვსაუბრობთ, რეაქცია აშკარად შექცევადია - ჯერ ტელემედიარეზონანსი იმკვიდრებს თავის ადგილს და მხოლოდ შედეგ იწყება მასობრივი საზოგადოებრივი ემოციის მართვის პროცესი სოციალურ ქსელებში, სადაც რეზონანსი აგრეთვე სტრუქტურულად ჩამოყალიბებული და კარგად ორგანიზებული მექანიზმია, რომელიც უკვე არა ერთი, არამედ რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი საზოგადოებრივი სფეროს და გაერთიანების (პირობითი გაერთიანებების) ტრანსფორმაციაზე მეტყველებს ყოველი ახალი ფაქტის, შემთხვევის ტელერეპორტაჟის რეზონანსული სახეცვლილება უკვე სოციალურ სივრცეში - იქ, სადაც ჯგუფური პოზიციის და აზრის დამოკიდებულებათა ტრანსფორმაციის გზა იწყება.

ფაქტია, რომ დღეს სოციალური რეზონანსის საკითხი თვით სოცკონფლიქტებს იმდენად მჭიდროდ უკავშირდება, რომ ძალზე რთულია მისი პირველადი და მეორეული ეტაპების გამოყოფა თუ არ მივეჩვევით საწყისის მოძიებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოძალადე ოჯახის წევრებთან ერთად გამოკეტილი ქალები - ვის უნდა მიმართონ ძალადობის მსხვერპლებმა კარანტინის პირობებში - 07-06-2020 21:5http://rustavi2.ge/ka/news/160596?fbclid=IwAR0ThP5C2B0H1rhP_eL4lvKEO5hx61quE34862tAsyrlkCFjVCiYMpSJtsEგად. 09.04.2020 თ. გვაზავა.
2. რა დროს ძილია, ტ/კ ,,იმედი https://www.facebook.com/1514132185535322/posts/2644623505819512/გად. 2.06.2020 თ. გვაზავა
3. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-agrdzelebs-odjakhshi-dzaladobis-tsinaaghmdeg-efeqtian-brdzolas/13440 გად. 09.04.2020 თ. გვაზავა
4. იურგენ ჰაბერმასი, https://civiledu.wordpress.com/2013/11/22/%E1 22.11.2013, გად.10.05.2020,

[illegible]

Tamar Gvazava
PhD student of Georgian Technical University

[illegible]

On [illegible]

Ke[illegible]

ელექტრონული მმართველობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

გოჩიტაშვილი ლალი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აფციაური ია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დვალი თორნიკე
KPMG Georgia, უფროსი აიტი სპეციალისტი

შიუკაშვილი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და, ამასთან, გაცილებით უფრო ეკონომიური, დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები. მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, რეგიონებთან, ბიზნესთან, ასევე უმჯობესდება თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა. ელექტრონული მმართველობა აადვილებს და აჩქარებს საქმეთა წარმოებას და მოქალაქეთა მომსახურებას. საქართველო კარგ საწყის პოზიციაშია: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავრცელებისთვის არსებობს მაღალი პოლიტიკური ნება, დაიწყო ბევრი იმედისმომცემი პროექტისა და ინიციატივის განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული მთავრობა, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომუნიკაციები, მართვის გამჭვირვალობა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა ცხოვრების საერთო სურათი. ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა არნახული სიხ-წრაფით ინფორმაციის მოპოვება-გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, რამაც დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ტექნოლოგიურმა ძვრებმა გავლენა მოახდინა არა მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოების სოციალური შემადგენლობაზეც, რამაც ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და მათი მმართველობის რეჟიმები.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარების შედეგია ციფრული დემოკ-რატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება. აღნიშნული შესაძლებლობა მნიშვნელო-ვანია მთავრობის მხრიდან მოქალაქეების საჭიროებების ეფექტიანად და დროულად დაკმაყოფილე-ბისთვის, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების კიდევ უფრო აქტიურ განვითარებას.

ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ქვეყნის მართვის პროცესში ინფორმაციისა და კომუ-ნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას. იგი მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო-თაშორის ურთიერთობებს. ელექტრონული მმართველობის ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური კომუნიკაციური სისტემები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეიქმნას

სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები, განთავსდეს ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტის მდგომარეობის, კონკურსების, ვაკანსიების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები, რაც უპრეცედენტოდ ზრდის ხალხის მონაწილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვის საქმეში.

ელექტრონული მმართველობა მოიცავს:

- სამთავრობო ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას;
- მოქალაქეების ჩართულობას, სახელმწიფო მოხელეებთან უშუალო კონტაქტის გზით;
- მთავრობის ინფორმაციულ გახსნილობას, მისი საქმიანობის მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოჩენის გზით;
- ინტერაქტიულობას, რაც ხსნის საზღვრებს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისთვის და აძლევს მათ თანაბარ შესაძლებლობას ონლაინ რეჟიმში მიიღონ სამთავრობო მომსახურებები, დაზოგონ დრო და ფინანსები.
- ელექტრონულ მმართველობას განაპირობებს :
- ტექნოლოგიური პროგრესი;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება;
- ინტერნეტი და სხვა, ანუ ყველაფერი ის, რაც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ზოგადად, ელექტრონული მმართველობა არის სახელმწიფოს ნება, გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები, რათა მთავრობის მიერ გაწეული მომსახურება გახადოს უფრო ეფექტური და ეფექტიანი, მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი [1]. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ელექტრონული მთავრობის თვითმმართველობის ახალი შესაძლებლობების დამკვიდრებას ოთხი ძირითადი მიმართულებით, რაც უკვე ფართოდაა დანერგილი და გავრცელებული დასავლეთში:

1) ელექტრონული მმართველობა მოქალაქეებისათვის G2ჩ (Gიმერმ ენტტრიზე „სახელმწიფო მოქალაქეებისათვის”). მოცემული ფორმის ფარგლებში ხორციელდება სამთავრობო უწყებების და მოქალაქეების ურთიერთქმედება ელექტრონული სერვისების მეშვეობით. ამასთანავე, სახელმწიფო მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ელექტრონული მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროსცესში.

2) ელექტრონული მმართველობა კერძო კომპანიებისთვის G2B (Gიმერმ ენტ ტოBუსინესს - სახელმწიფო ბიზნესისთვის"). ამ ფორმის ელექტრონული მმართველობის დანერგვა საშუალებას იძლევა სახელმწიფო ორგანოების დანახარჯების შემცირების საშუალებას გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის (ე-პროკურმენტ) მეშვეობით.

3) ელექტრონული მმართველობა სხვადასხვა დარგის და დონის მმართველობის (ეროვნული, სუბ-ეროვნული, ადგილობრივი) ორგანოებს შორის G2G (Gიმერმ ენტ ტოGიმერმ ენტ მმართველობა მმართველობისათვის"). ელექტრონული მთავრობა საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით საშუალებას იძლევა დამყარდეს შიგა და გარე კავშირები სახელმწიფო ორგანოებს შორის.

4) ელექტრონული მმართველობა საჯარო მომსახურებისთვის G2E (Government to Employee - მმართველობა სახელმწიფო მოხელეებისათვის");

5) ელექტრონული მმართველობა არაკომერციული სექტორისთვის G2N (Government to Non-Profit)-ელექტრონული მთავრობა არაკომერციული (არასამთავრობო) ორგანიზაციებისთვის. ეს ფორმა წარმოადგენს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველაზე უფრო სუსტად განვითარებულ ფორმას. მისი ძირითადი დანიშნულებაა ინფორმაციული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მიზნით [3].

სახელმწიფოს, ბიზნესის, მოქალაქეების და არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ურთიერთქმედების სქემა მოცემულია ნახაზზე 1.



ნახ.1 ელექტრონული მმართველობის ურთიერთქმედების ფორმები

დღესდღეობით, ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა მსოფლიო პრობლემაა. სახელმწიფო მართვის გამჭვირვალობა, საქმის წარმოების სისტემატური ანგარიშგება, სამართლიანი და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხალხის მომსახურება - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სახელმწიფო მართვის სისტემას და საზოგადოების დინამიურ სოციო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებას. ნაყოფიერი სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე, საქართველოში ამ ახალი სისტემების დანერგვას, კერძოდ, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ელექტრონული საქართველოს სტრატეგია არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობებით, რომლებსაც ელექტრონული მმართველობა გულისხმობს. იგი უფრო ფართო მცნებაა და უკავშირდება ინოვაციურ სფეროებს, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო სიახლეებით დაინტერესებული ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

CERT.GOV.GE. - 2010 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. სააგენტოს მიერ მიმდინარეობს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც საშუალებას იძლევა, ერთ სივრცეში იყოს თავმოყრილი და კონსოლიდირებული, სახელმწიფოში არსებული საჯარო საინფორმაციო ბაზები და სერვისები,რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა უწყებებში. გააქტიურდა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულება, შეიქმნა კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი - CERT.GOV.GE. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველოში შეიქმნა მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE- ეს არის სივრცე, სადაც რიგით მოქალაქესა თუ ბიზნესის წარმომადგენელს შეუძლია ახალი პირადობის მოწმობის გამოყენებით, დისტანციურად, მარტივი პროცედურების გავლით ისარგებლოს სხვადასხვა სახელმწიფო მომსახურებით.

Sda.gov.ge - პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტების გამგეობასა და საკრებულოში რეალურ რეჟიმში აამუშავა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელებს. პროექტის მიზანს ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემების დანერგვა და რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მუნიციპალური სერვისებით შეუფერხებელი მიწოდება წარმოადგენს. შედეგად, მუნიციპალიტეტებში, საქმის წარმოებისას მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საოპერაციო და ადამიანური ხარვეზები, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი სრულიად გამჭვირვალე გახდება. ამ ეტაპზე შერჩეულია 9 საპილოტე მუნიციპალიტეტი: ქარელი, ახმეტა, ყვარელი, ხაშური, ხობი, ჩხოროწყუ, ზუგდიდი, გორი და მცხეთა.

MY.GOV.GE - მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისები. იგი აერთიანებს სახელმწიფოში არსებულ ელექტრონულ სერვისებს და სთავაზობს მოქალაქეებს გამარტივებული ფორმით, ე.წ. „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მომსახურებას.

MY.GOV.GE-ს მეშვეობით შესაძლებელია ბიზნესის რეგისტრაცია, ჯარიმების, საბიუჯეტო დავალიანებისა თუ კომუნალური გადასახადების გადახდა.

პორტალზე შესასვლელად არსებობს ორი გზა:

1. ახალი პირადობის მოწმობა, ბარათის წამკითხველი მოწყობილობა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი.;
2. საიტზე რეგისტრაცია მომხმარებლისთვის სასურველი სახელისა და პაროლის მითითებით;

www.naec.ge - აბიტურიენტთა ონლაინ რეგისტრაცია, სამაგისტრო გამოცდაზე ონლაინ რეგისტრაცია,

www.notary.ge - მოქალაქეს საშუალებას აძლევს დაჯავშნოს ვიზიტი მისთვის სასურველ ნოტარიუსთან [1].

napr.gov.ge - ახალი ელექტრონული მართვის სისტემა. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონული მართვის ახალი სისტემა დანერგა. სისტემა, რომელიც კანცელარიის პროგრამის საფუძველზე შეიქმნა, სრულად მოდერნიზებული და ახალი ფუნქციებით აღჭურვილია და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ საქმისწარმოებას. მისი ამოქმედების შედეგად მოქალაქეთა მომსახურების დრო კიდევ უფრო შემცირდა, თავად პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა. ასევე, დაიხვეწა განაცხადების მიღების, შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები [5].

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - არის საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუ-ნარიან გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის. სისტემა მრავალენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული) და მასში განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწ-ვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონული სერვისები - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა ელექტრონული სერვისების დანერგვის სტრატეგია. დღეისათვის, სამინისტრო მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ მომსახურებებს:

- სახელმწიფო სანომრე ნიშნის დაჯავშნა;
- შიდა ტრანზიტის სანომრე ნიშნის ვადის გაგრძელება;
- მართვის მოწმობის თეორიული გამოცდების ბილეთები.

ელექტრონული მმართველობის განვითარებისთვის განხორციელებული პროექტების შედეგად, საქართველომ დააფიქსირა წინსვლის მზარდი დინამიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელ-მმართველობის საერთაშორისო რეიტინგებში, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება.

კვლევის შედეგები ქვეყნდება მსოფლიოს 193 ქვეყნებს შორის ორი რეიტინგის მიხედვით:

- ელ-მართველობის განვითარების ინდექსი;
- ელ-ჩართულობის ინდექსი.

2018 წლის შეფასების მიხედვით, საქართველოს ელ-მმართველობის მაჩვენებელია 0.69, რითიც საქართველოს 193 ქვეყანას შორის მე-60 ადგილი უკავია. ორი წლის წინ, 0.61 ქულით, საქართველო 61-ე პოზიციას იკავებდა, შესაბამისად 2018 წელს საქართველომ საკუთარი ქულა 0.08 ერთეულით, ხოლო რეიტინგის პოზიცია ერთი ადგილით გაიუმჯობესა . ელ-ჩართულობის მხრივ ქვეყანამ შეფასება 0.06 ერთეულით გაიუმჯობესა, თუმცა რეიტინგში მისი ადგილი 11 პოზიციით გაუარესდა. კერძოდ, 2016 წელს საქართველოს 0.56 ქულა და 76-ე ადგილი ჰქონდა, წლევანდელი მონაცემებით, მაჩვენებელი 0.62-მდეა გაზრდილი, ხოლო გლობალურ რეიტინგში ქვეყნის პოზიცია 76-დან 87 ადგილამდე ჩამოქვეითდა. აღნიშნული სხვა ქვეყნების მიერ ამ მიმართულებით საქართველოსთან შედარებით უფრო სწრაფი

განვითარების ტემპით შეიძლება აიხსნას (სურ.1)[4].



სურ.1. საქართველოს შედეგები წლების მიხედვით

ელექტრონული საქართველოს ხედვა გულისხმობს უფრო ეფექტურ და ეფექტიან საჯარო სექტორს, რომელიც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ელექტრონული სერვისების შემოთავაზებას. ამ სერვისების გაუმჯობესებული გამოყენება და პროცესებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ, მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

დასკვნა

საქართველო, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ ჯერ-ჯერობით იმყოფება განვითარების დაბალ საფეხურზე, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ძლიერი პოზიციები გააჩნია ადამიანური რესურსის მხრივ, თუმცა, სერიოზული ხარვეზების წინაშე დგას უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის, გამოყენების, მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის მხრივ. სწორედ ამას ცხადყოფს ეს კვლევაც. მართალია, საქართველოს ქულები ორივე ინდექსში მცირე-დით გაუმჯობესდა, თუმცა ქვეყნის პოზიცია გლობალურ რეიტინგში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. პირიქით, რეგრესი დაფიქსირდა ელ-ჩართულობის ინდექსის შემთხვევაში. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, ხელისუფლებამ ჩამოაყალიბოს უფრო ამბიციური დღის წესრიგი და გაითვალისწინოს ელექტრონული მმართველობის უახლესი საერთაშორისო ტენდენციები და ინოვაციური მიდგომები, რათა ქვეყანამ შესძლოს ელექტრონული მმართველობის მხრივ დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოვება და მეტიც-მათი სრული დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰტტპ://ლაგრ.გე/შლაფ/Eგრ–GuიფBიოგ.კდვ
2. ჰტტპ://ოფმგე/გე/ეგრშერანცეინგეფფიაფიოფლტნლენციფ
3. Зауташвили Д., Бардавелидзе А. „Формы взаимодействия электронного правительства“ XI Международная научно практическая конференция «Инновации на основе информационных и коммуникационных технологий» Сочи. Россия. 2014 г. стр. 575 -577.
4. ჰტტპ://ოფმგე/გე/გეფფიაფინ-ენდ–ე–გრშერანცეიფლეხ–2018;
5. ჰტტპ://ნაპრგრ.გე/პ/832.

M[illegible] ანაბეჭდ ენ[illegible]in Georgia

Gochitashvili Lali
Professor of Georgian Technical University

Apciauri Ia
Associate Professor of Georgian Technical University

Dvali Tornike
KPMG Georgia. Senior IT specialist

Shiukashvili Mariam
Associate Professor of Georgian Technical University

შუმმ არყ

E[illegible]ანაბეჭდ ენ(E-[illegible]ერ ენ[illegible]ასალ[illegible] [illegible] [illegible] [

ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, როგორც საჯარო მმართველობის ეფექტურობის ზრდის ფაქტორი

გუმბათოვი ქიარიმ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მმართველობითი ზემოქმედების ისეთი უმნიშვნელოვანესი ხერხების მცირე შესწავლულობა, როგორებიცაა ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია, წარმოადგენს საჯარო მიმართულების მეცნიერების ხარვეზების მკაფიო მაგალითს.

სახელმწიფოთა განვითარების მთელი ისტორია მეტწილად უკავშირდება ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების ბრძოლას, თუმცა ცხოვრების მთელი წყობისათვის მათი მნიშვნელობა ძირფესვიანად შეიცვალა დროთა განმავლობაში. თავდაპირველად, გზების სუსტი განვითარების პირობებში, ცენტრალიზაცია გართულებული იყო, თუმცა მისკენ მიილტვოდა მოსახლეობის მხოლოდ მცირე, მმართველი ნაწილი, ვინაიდან მისთვის ცენტრალიზაცია იყო მას დაქვემდებარებული ხალხის თუ ხალხების მთელი მასის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპლუატირების საშუალება. ასე იყო ძველი, აღმოსავლური დესპოტიების დროს, მაგალითად სპარსეთში. რომის იმპერია, პირიქით, ადგილობრივი დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გააზრებისა და შეფასების წყალობით უფრო მდგრადი იყო. იგი აღიარებდა ქალაქებისა და პროვინციების თვითმმართველობას (არჩევითი მაგისტრატები წარმოადგენდა პოლიციურ და სასამართლო ძალაუფლებას). დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მთელს ევროპაში (ბიზანტიის გარდა) შექმნილი სახელმწიფო წყობილება ადგილს არ უტოვებდა ძლიერ, ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს ვითარება მიესადაგებოდა გერმანელებსაც, კელტებსაც და სლავებსაც. მაგრამ ცენტრალიზაციისაკენ მიილტვოდა თანდათან გაძლიერებადი სამეფო ხელისუფლება. როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით ყველაზე დიდ წარმატებებს სამეფო ხელი-სუფლებამ საფრანგეთში მიაღწია. XIX საუკუნეში განვითარდა ლტოლვა პიროვნებისა და პოლიტიკური თავისუფლებისაკენ, რომელიც გაცილებით უკეთ არის დაცული განვითარებული დეცენტრალიზაციის პირობებში, ვიდრე ასეთის გარეშე. ამის გათვალისწინებით ჩნდება ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციათა ერთმანეთისაგან მკაცრი გამიჯვნა.

საკვანძო სიტყვები: დეცენტრალიზაცია, ცენტრალიზაცია, დეკონცენტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო მმართველობა, თვითმმართველობის რეფორმა, მმართველობის ეფექტიანობა

ძირითადი ტექსტი

ლიტერატურაში განსხვავდება დეცენტრალიზაციის რამდენიმე ტიპი: ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია, რომლის დროსაც ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალური ხელისუფლების ანგარიშმგებელია; პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, რომლის დროსაც ადგილობრივი ხელისუფლება თეორიულად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია, გადაეცა უფლებამოსილებები და პასუხისმგებ-ლობანი; საბიუჯეტო დეცენტრალიზაცია დაკავშირებულია განაწილებული ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების გადაცემასთან; დაბოლოს, კერძო სექტორისათვის დაგეგმვისა და ადმინისტრირების ჩათვლით სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციების გადაცემის უზრუნველმყოფელი საბაზრო დეცენტრალიზაცია.

სახელმწიფო (საჯარო) მმართველობის დეცენტრალიზაცია – ეს არის რთული კომპლექსური ცნება. ყველაზე ზოგადი თვალსაზრისით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია წარმოადგენს აუცილებელი უფლებებით, მოვალეობებითა და რესურსებით აღჭურვილი სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის, მმართველო-ბითი ზემოქმედების მქონე კომპეტენტური სუბიექტების მიერ გარკვეული მოცულობის სახელი-სუფლებო უფლებამოსილების გადაცემას. მმართველობითი ფუნქციების ამგვარი გადანაწილების საბოლოო მიზანს შეადგენს სახელმწიფოებრივ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, ასევე, ცხოველ-

ქმედობის ყველა რეგულირებად სფეროში ყველაზე ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

საერთო ტენდენციის ფარგლებში ყველა ქვეყანაში არსებობს დეცენტრალიზაციის თავისი მიზეზები, ფორმები და შედეგები ისევე, როგორაც უნიკალურია ყველა მათგანში ბუნება, გენეზისი და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობათა ევოლუცია და მათში ასახული საბაზისო, საზოგადოებრივი ფასეულობები, მაგალითისთვის, ბრიტანეთის სამოქალაქო საზოგადოება, გერმანიის სახელმწიფოებრიობა, საფრანგეთის მოქალაქეობრიობა. თუმცა, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში სახელმწიფოებრივი მმართველობის რეფორმირების ანალიზი იძლევა სხვადასხვა ქვეყნებში წარმოქმნილი და რეალიზებული დეცენტრალიზაციის სამი ძირითადი მოდელის გამოყოფის შესაძლებლობას: „დევოლუცია“ ინგლისში, „დეკონცენტრაცია“ საფრანგეთში და „დელეგირება“ გერმანიაში.

„დევოლუციის“ ცნება წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოსთვის ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებული მოვლენების პროცესში და გულისხმობდა საშინაო საქმეების მართვის მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უფლებამოსილებების ფართო სპექტრის გადაცემას. მოგვიანებით ამ ტერმინის გამოყენება დაიწყეს XX საუკუნის მეორე ნახევარში რეფორმების აღსანიშნავად, რომელთა შინაარსი მდგომარეობდა რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაცემაში.

დეკონცენტრაცია გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების დავალებით შექმნილი საქვეუწყებო ტერიტორიების მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სისტემის არსებობას. დევოლუციისაგან განსხვავებით დეკონცენტრაცია ითვალისწინებს ადმინისტრაციული იერარქიის ურთიერთობების მართვას მაშინ, როცა დევოლუცია გამორიცხავს რაიმე სახის იერქრქიული ურთიერთობების არსებობას სახელმწიფოსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

დეკონცენტრაციის ერთერთ ელემენტს შეადგენს ტერიტორიული კომპეტენციის სამსახურებისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება. პრაქტიკაში ტერმინი „დელეგირება“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შუალედური სიტუაციების აღსანიშნავადაც: სახელმწიფო ძალაუფლებისა და უფლებამოსილებების დელეგირება ხდება დეცენტრალიზებული ხელისუფლებისათვის (ანუ, არჩევითი და არა ზემოდან დანიშნული) და ხორციელდება სახელმწიფოს სახელითა და ინტერესებში, ანუ, მოცემულ შემთხვევაში დეცენტრალიზებული ხელისუფლება ხდება სახელმწიფოს მიმართ ანგარიშმგები.

ასეთი სიტუაციები არ განიხილება, როგორც ცენტრალიზაცია და აღინიშნება, როგორც ძალაუფლებისა და უფლებამოსილებების დელეგირება. კონკრეტულ შემთხვევაში შერჩევით ლეგიტიმურობას შეუძლია უზენაესი ხელისუფლების კონტროლის, ან პირიქით, დელეგირებული ძალაუფლებისა და მოვალეობების შესუსტება.

დეცენტრალიზაციის მიმართ მიდგომებში განსხვავებები მეტწილად განისაზღვრება ცენტრ–ლოკალურ ურთიერთობათა შინაარსითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოტენციალით. რეფორმებისა და თანამედროვე თვითმმართველობის ანალიზმა, ასევე, შეიძლება გააჩინოს სხვადასხვა დასკვნის გაკეთების საფუძველი. ბიუჯეტის, მოსამსახურეთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა და ა.შ. მიხედვით ბრიტანეთს აქვს ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლება. ფორმალური ადგილობრივი ავტონომიის კრიტერიუმისა და ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობიდან გამომდინარე დასკვნა სხვა სახისაა. ინგლისში რეფორმებმა გამოიწვია ის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ცენტრალური ძალაუფლებისგან შეიძინა ყველაზე შეზღუდული ძალაუფლება.

ორი პროცესი – ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია – მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სისტემაში და შეუძლებელია ამ პროცესების ცალკე ანალიზი, ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში ჩამოყალიბებული მდგრადი კავშირების მახასიათებლების გარეშე. მართვის თანამედროვე სისტემისათვის აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ სფეროებში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ელემენტების შეწონილი და დასაბუთებული შეთავსება.

ცენტრალიზაციის ძირითად ნიშნებს შეადგენს:

- სახელისუფლებო უფლებამოსილებებისა და გადაწყვეტილებების კონცენტრაცია მართვის ერთიან ცენტრში;
- რესურსების კონცენტრაცია;
- საქმიანობის კოორდინირება ცენტრიდან ხელისუფლების ყველა დონეზე;
- კავშირების იერარქიულობა;
- სპეციფიური სტრუქტურა;
- დეცენტრალიზაციის ნიშნებს განეკუთვნება:
- ობიექტებთან მაქსიმალური სიახლოვე;
- გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობა;
- რესურსების უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი მონაწილეობისა და კონტროლის ხელმისაწვდომობა;
- თვითრეგულირება;
- შესაბამისი ინსტიტუციონალური ორგანიზაცია.

დეცენტრალიზაცია, თავისი არსით, წარმოადგენს ხელისუფლების ფუნქციონირების პროცესში შეთანხმებულად რეალიზებული ელმენტების სიმრავლის მომცველ სისტემას. ანუ, სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციას შეუძლია გამოვიდეს, როგორც: მმართველობითი ზემოქმედების პრინციპი; მართვის მეთოდი; მმართველობითი რეჟიმი; საჯარო ძალაუფლებისა და საჯარო მმართველობის ორგანიზების ფორმა; უფლებამოსილებათა გადანაწილებისა და რეალიზების პროცესი; საჯარო მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის ელემენტი.

ცენტრალიზაცია აღიქმება, როგორც სახელმწიფოებრივი წყობილების სისტემა, რომლის დროსაც ცენტრალური ხელისუფლება მიისწრაფვის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ზოგადი მიმართულების არა მხოლოდ რეგულირებას, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ხელმძღვანელობას, დაუქვემდებაროს ადგილობრივი ცხოვრების ყველა ან დიდი ნაწილი უშუალოდ საკუთარ ზემოქმედებას. ცენტრალიზაციის საპირისპიროა დეცენტრალიზაციის სისტემა, რომლის დროსაც ხდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებების მოცულობა ფართოვდება ცენტრალური ხელისუფლების უფლებათა ხარჯზე[1].

დეცენტრალიზაციამ საგულისხმო გავლენა მოახდინა ურთიერთობებზე ცენტრალურ ხელისუფ-ლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის, თუმცა ეს არ მიუთითებს მომხდარ ცვლილებათა თვითნებურ ხასიათზე. დეცენტრალიზაციის საზღვრები დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფ-ლების განკარგულებაში არსებულ პოლიტიკურ წონაზე, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებზე. ამას გარდა, მმართველობის დეცენტრალიზაცია არ არსებობს სახელმწიფოს გარეთ, იგი ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივითა და კონტროლის ქვეშ.

ფრანგი მეცნიერი ჟან–მარი ბესე განმარტავს დეცენტრალიზაციას, როგორც მარტივ, განუყოფელ (შემადგენლების გარეშე) ცნებას: „დეცენტრალიაცია – არის სისტემა, რომლის დროსაც არაცენტრალურ (არჩევით) ორგანოებს, ადგილობრივად მიჩნეული საქმეების მიმართ გააჩნია გადაწყვეტილების მიღე-ბის უფლება, ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკუთარ ურთიერთობებში ზემდგომ ორგანოსთან მიმართებაში დაქვემდებარების გარეშე“. დეცენტრალიზაციის ცნებასთან იგი აკავშირებს მართვის ისეთ ორგანიზაციულ საშუალებებს, როგორიცაა ცენტრალიზაცია (დეცენტრალიზაციის ანტითეზას) და დეკონცენტრაციას (როგორც ცენტრალიზაციის სახესხვაობას). ცენტრალიზაცია მის მიერ განიმარტება, როგორც სისტემა, რომლის დროსაც ადმინისტრაციულ ამოცანებს მიკუთვნებული ყველა გადაწყვეტი-ლება დამოკიდებულია სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრალურ ორგანოებზე[2].

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის საჯარო მმართველობის სფეროში გამოიყოფა ისეთი ხერხები, როგორებიცაა დეცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია, ამასთან, ეს

---

[1] ენციკლოპედიური ლექსიკონი ფ.ბროკჰაუსი და ი.ა. ეფრონი: ბროკჰაუზ-ეფრონი, 1890-1907. -URL: [illegible]

[2] ფრანგული სამართლის პორტალი : [illegible]394

უკანასკნელი წარმოადგენს მმართველობითი უფლებამოსილებების კონცენტრაციასა და დეკონცენ-ტრაციაზე დაფუძნებულ რთულ კატეგორიას.

ამგვარად, საჯარო ხელისუფლების ცენტრალიზაცია – ეს არის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობით განპირობებული და დადგენილი (როგორც წესი) საკანონმდებლო წესით განხორციელებადი, დეცენტრალიზებული ქვესისტემიდან ცენტრალიზებულზე სახელისუფლებო უფლებამოსილებების გადაცემის პოლიტიკურ–სამართლებრივი პროცესი, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და მის რეალიზებას შორის ვადების მინიმიზაციის მიზნებისათვის.

ხელისუფლების ორგანოების დეცენტრალიზაციის პროცესი არის კანონზომიერი, საზოგადოების დემოკრატიზაციის, სახელმწიფო ხელისუფლების ტრანსფორმაციის, ძალაუფლების განაწილების, მოქალაქეების მიერ პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების მოპოვების, კერძო საკუთრების შემოღების შედეგი. თანამედროვე ეტაპზე, საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში არსებობს გარკვეული წინაპირობები, რომლებსაც შეუძლია თავისი როლის შესრულება ძალაუფლების ორგანოების დეცენტრალიზაციის საქმეში. დემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობაში, მმართველობის სწორედ ადგილობრივი ორგანოები უშუალოდ წყვეტს ყოველდღიურ, ყველაზე საყურადღებო საზოგადოებრივ საკითხებს. ეს განაპირობებს შედარებით მაღალ მმართველობრივ დაინტერესებასა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების საქმიანობაშიმოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას.

ცენტრალიზებული მმართველობითი ქვესისტემა – ეს არის სისტემა, რომელშიც მის ელემენტებს შორის ურთიერთობების სისტემის საფუძველში დევს დაქვემდებარების პრინციპი. ცენტრალიზებული, მმართველობითი სისტემის შიგნით სახელისუფლებო უფლებამოსილებათა ვერტიკალური გადანაწილება მოცულია ცნებებით „ძალაუფლების კონცენტრაცია“ (სახელისუფლებო უფლებამოსი-ლებათა ქვემოდან ზემოთ გადასვლა), „ძალაუფლების დეკონცენტრაცია“ (სახელისუფლებო უფლე-ბამოსილებათა ზემოდან ქვემოთ გადასვლა). დეცენტრალიზებული მმართველობითი ქვესისტემა – ეს არის სისტემა, რომელშიც მის ელემენტებს შორის ურთიერთობების სისტემის საფუძველში დევს კოორდინაციის პრინციპი. ამასთან, დეცენტრალიზებული ქვესისტემის ყოველი ცალკეული ან კომპლექსური ელემენტი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი ცენტრალიზებული ან ცენტრალიზებულ – დეცენტრალიზებული სისტემა. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციაზე გავლენას ახდენს, როგორც ობიექტური, ასევე, სუბიექტური ფაქტორები.

დასკვნა

ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს შეადგენს: სახელმწიფოს ტერიტორია, მოსახლეობის რაოდენობა, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, მმარ-თველობის ფორმა, პოლიტიკური რეჟიმი, საქმიანობის სფეროები (ადმინისტრაციულ – პოლიტიკური, ეკონომიკიური, სოციალურ – კულტურული), მოქმედი კანონმდებლობა, სახელმწიფოებრივ – სამარ-თლებრივი ტრადიციები, სახელმწიფოს/მთავრობის მეთაურის პიროვნება (სახელმწიფო ხელისუფ-ლების უმაღლესი ორგანოს ავტორიტეტი).

ახალი საჯარო მენეჯმენტისა („ნიუ პუბლიკ მანაჯმენტ“) და ხელმძღვანელობის („ბიზნესმენეჯ) თანამედროვე კონცეფციები ახდენს ყურადღების კონცენტრირებას სახელმწიფო მმართველობის მაღალ შედეგიანობაზე, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში პოლიტიკურ პლურალიზმზე, მმართვე-ლობითი იერარქიის ქვედა დონეებზე უფლებამოსილებათა დელეგირებაზე, ძალაუფლების უფრო დაბალანსებულ გადანაწილებაზე, პასუხისმგებლიანობასა და ანგარიშვალდებულებაზე, მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარებასა და გაფართოებაზე.

დეცენტრალიზაცია – ეს არის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობით განპირობებული და დადგენილი საკანონმდებლო წესით განხორციელებადი, დეცენტრალიზებული ქვესისტემიდან ცენტრალიზებულზე სახელისუფლებო უფლებამოსილებების გადაცემის პოლიტიკურ–სამართლებრივი პროცესი, მმართველობითი გადაწყვეტილების ყველაზე ეფექტური მიღებისა და შესრულების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ.ბ ოლქვაძე, კ. კანდელაკი, დ.ლოსაბერიძე, თ. ჩიქოვანი, „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში“ 1991-2014, თბილისი, 2015
2. შ. დოლონაძე, გ. იაშვილი, საჯარო სამსახური საქართველოში - რეფორმები, გამოწვევები, თბილისი, 2013
3. დავით ლოსაბერიძე, „თვითმმართველობა საქართველოში“, პოლიტიკის ანალიზი - დეცენტრალიზაციის პროცესის ზოგადი შეფასება (1991-2012), თბილისი
4. თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის დეცენტრალიზაციის პროცესი, სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალური ქსელი R-CSN, თბილისი, 2016, http://www.isfed.ge/geo/tvitmmartvelobebi/tvitmmartvelobis-organoebis-sakmianoba-da-detsentralizatsiis-protsesi
5. დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764626?publication=0 (ბოლო წვდომა: 20/04/2020)
6. გრძელვადიანი სტრატეგია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი
7. თვითმართველობის განვითარებისთვის 2017-2029 ძირითადი ორიენტირები. (2017). თბილისი. http://nala.ge/uploaded/nala/2018-04/20180409154753148742662 3.pdf (ბოლო წვდომა: 20/04/2020)
8. Ланко Д.А. Децентрализация в политическом процессе, Москва, 2002 ჰტტპ://ვველიბრა.ცომ/ლიტერატურა/ეკონომიკა-ბ-კოლიტიკა -კოლიტიკა (ბოლო წვდომა: 20/03/2020)
9. Грин Д.Дж. Возращение в гражданское общество: Социальное обеспечение без участия государства / пер. с англ. М.: Новое изд-во, 2009.
10. Вюртенбергер, Т. История и легитимация децентрализованной государства // Организация региональной и местной власти: опыт государств — членов Европейского Союза: журнал по международному и сравнительному праву. 2005. С. 9-15
11. ლეფორს ლ.A.ჯ . Becoming a citizen: Participation in democracy, identity and welfare in modern Britain & France, 1988.
12. ლოერB. Denhardt & Janet V. Denhardt „Public Administration: An Action Orientation“ ISBN-10: 0-495-50282-0, ISBN-13: 978-0495-50282-1 GEORGIAN LANGUAGE EDITION EDITED BY ILIA TOKAOE UNIVERSITY, ©2012, Publication Date: 2013
13. Decentralization and Local Governance in Eastern Europe and Central Asia, Association of Local Democracy Agencies (ALDA) and Network of Associations of Local Authorities in Eastern Europe (NALAS), Tbilisi 2011 ჰტტპ://ალდა-ეფეე.ეუ/ფილეს/ალდა/ალდა_ნალას_ბროშურა_ენგლ.პდფ Decentralization and Local Governance SEE-ეს-30062011. პდფ (ბოლო წვდომა: 26/03/2020)
14. ჩაფლეჯ ქალი, ეხე ჩენტრალიზაციი Decentralization Issue, Lეხემ ბოუ: Publication Office of the European Union, 2015, ISBN 978-92-79-48684-5 ჰტტპ://ეცეფო.ეუროპა.ეუ/ინსტიტუციები/დგ14_ენ.პდფ (ბოლო წვდომა: 26/04/2020)

The decentralization of power as a factor of increasing the effectiveness of public administration

Gumbatov Kiarim

PhD student of Georgian Technical University

შუმმ არყ

[illegible]

საქართველოს სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუციური განვითარებისა და პერიოდიზაციის საკითხისათვის

დანელია ვაჟა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სასპორტო საქმიანობის წინა პლანზე წამოწევამ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, სასპორტო მედიაკომუნიკაცია წარმოშვა, რომლის უმთავრეს მიზანს საასპარეზო ამბებისა თუ მოვლენების ასახვასთან ერთად, სპორტის ამა თუ იმ სახეობის თვისებებსა და განვითარების თავისებურებებზე შეხედულებების ჩამოყალიბება, მისი შემეცნებით-გამომსახველობითი დახასიათება, საზოგადოებრივი აზრის, განწყობის ფორმირება და გამოხატვა წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც საქართველოს სპორტის ჟურნალისტიკის პერიოდიზაციას ეხება, განხილულია სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუცია ჩასახვიდან დღემდე. მის საუკუნენახევრიან ისტორიაში ნაჩვენებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სისტემის განვითარებისა და სპორტის როლის მნიშვნელოვანი ეტაპები სათანადო ასპექტების გათვალისწინებით.

როგორც თავისი ეპოქის ჟურნალისტიკის სისტემის ნაწილი, სპორტის ჟურნალისტიკა პირდაპირ არის დამოკიდებული განვითარების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებთან. ამასთანავე, სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუცია მჭიდროდ უკავშირდება იმ ამოცანებს, რომლებსაც სახელმწიფო და საზოგადოება ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში პრიორი-ტეტად მიიჩნევენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული სპორტის ჟურნალისტიკის პერიოდიზაციის ძირითად კრიტერიუმებად სპორტის სფეროში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოხატული სოციალურ-პოლიტიკური თავისებურებები, სპორტის ჟურნალისტიკის ფუნქციური დანიშნულება, მისი სისტემის რაოდენობრივი და ხარისხობ-რივი მახასიათებლები, ტექნოლოგიური თავისებურებები გავითვალისწინეთ.

კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა, ქართული სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუციური განვითარება ოთხ პერიოდად დაგვეყო: I პერიოდი. სპორტის ჟურნალისტიკის ჩასახვიდან მე-20 საუკუნის 20-ან წლებამდე, II პერიოდი. მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლები, III პერიოდი. მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, IV პერიოდი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

საკვანძო სიტყვები: სპორტის ჟურნალისტიკა, ევოლუცია, პერიოდიზაცია, განვითარების ეტაპები, მედიაკომუნიკაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მესხური თამაშები.

შესავალი

პერიოდიზაცია, როგორც ისტორიული შემეცნების მეთოდი, კვლევებში შედარებით ნაკლებად გამოიყენება, არადა, ისტორიულ-შედარებით და პრობლემურ-ქრონოლოგიურ მეთოდებთან ერთად ის საშუალებას იძლევა არა მარტო მოვლენების ზოგადი თუ კერძო თვისებების გამოსავლენად, არამედ ისტორიული პროცესების სურათის შესაქმნელად.

ჩვეულებრივ, სპორტის ჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი ეტაპების გამოსაყოფად მეცნიერთა ერთი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებებს იყენებს. მაგალითად, პოსტსაბჭოურ სივრცეში სპორტის ჟურნალისტიკის განვითარების სამ თვალშისაცემ პერიოდს გამოარჩევენ. რუსი მკვლევარი ე. სლუსარენკო, სწორედ, სამ მოდელზე ამახვილებს ყურადღებას: რევოლუციამდელ, ანუ პარტნიორულზე (1917 წლამდე), საბჭოთა, ანუ ინსტრუმენტულსა (1917 – 1990 წლების) და თანამედ-როვე, ანუ კომერციულზე (1991 წლიდან დღემდე).

მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპებით შემოფარგვლა პერიოდის ხანგრძლივობის, ფორმაციული სირთუ-ლეებისა თუ წინააღმდეგობების გაუთვალისწინებლად ევოლუციის მხოლოდ რაუნდებად დაყოფაა და

არა მისი შინაგანი ბუნების გახსნა.

უფრო დანაწევრებული, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ოთხი პერიოდი, ვფიქრობთ, შედარებით მეტ საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ ეტაპებს შიგნით მიმდინარე პროცესების განვითარებას, ჩამოვაყალიბოთ რთული და მრავალმხრივი ისტორიული პროცესების მთლიანი სურათი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით .

საქართველოს სპორტის ჟურნალისტიკის პერიოდიზაციის ისტორიისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვითარების შიდა კანონზომიერებებისა და სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ვითარების ერთობლიობათა გამოყენება, რომლებმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც სისტემის, ევოლუციის ეტაპები განსაზღვრეს.

ძირითადი ტექსტი

სპორტის ჟურნალისტიკას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ეროვნულ თამაშობებზე, გართობა-დასვენებაზე, ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდასა თუ სპორტთან დაკავშირებულ სხვა თემებზე პუბლიკაციები საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. მაგალითად, ჟურნალ „ცისკარში“ ფიზიკურ აღზრდაზე კორესპონდენცია 1861 წელს დაიბეჭდა. აღზრდა ისე უნდა წარიმართოს, რომ „ჭაბუკთა კაცთა შინა განმტკიცდეს გრძნობანი სხეულთა და ზნეობათანი“, - წერს ჟურნალი.

თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ სპორტის ჟურნალისტიკას იმ დროიდან ეყრება საფუძველი, როცა საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალ-გაზეთებში მიზანმიმართული და სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობა - აქტუალური სასპორტო ინფორმაციების შეკრება, დამუშავება და გავრცელება დაიწყო. ამ მხრივ, გზამკვლევად მოგვევივლინა გაზეთი „დროება“, რომელმაც 1866 წლის 15 (27) აპრილს თბილისში გამართულ დოღზე ვრცელი კორესპონდენცია დაბეჭდა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სპორტის ჟურნალისტიკის პირველი პერიოდი მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება. ეს პროცესი გრძელდება 1920 წლამდე, სანამ ჯერ კიდევ არ იყო „სპორტის“ ერთგვარი გააზრება. ამ ეტაპიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1982 წლის 17 ოქტომბერს „დროებაში“ დაბეჭდილი ეთნოგრაფ ივანე გვარამაძის წერილი მესხურ თამაშებზე. კორესპონდენციაში ქართული სპორტისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტებია დასახელებული. კერძოდ, ის, რომ ცხრაწყაროსთან თურმე ოთხ წელიადში ერთხელ იმართებოდა ანტიკური ოლიმპიადების მსგავსი შეჯიბრებები, რომლის გამარჯვებულებს ფიჭვის, დაფნის ან ძეწნის (ტირიფი) ტოტებისგან დაწნული გვირგვინით აჯილდოებდნენ. საგულისხმოა, რომ ასპარეზობებში ქალებიც მონაწილეობდნენ. თანაც გვარამაძის „ოლიმპიური ვარჯიშობები“ პიერ დე კუბერტენის მიერ ოლიმპიური თამაშების აღორძინებამდე 14 წლით ადრე გამოქვეყნდა.

მასობრივი კომუნიკაციის განვითარების ეპოქაში სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუციის ახალი ეტაპი იწყება. სპორტის სხვადასხვა სფეროს გაფართოებამ, საზოგადოების ცხოვრებაში მათი როლის გაზრდამ საქართველოში სპეციალური პერიოდული გამოცემის დაარსების საჭიროება გამოიწვია. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პირველი სასპორტო ჟურნალ „შევარდენის“ სამზეოზე გამოჩენა. ამ სატანვარჯიშო გამოცემის ორი ნომერი ქუთაისში 1920 წელს დაიბეჭდა. ქართული სპორტის ჟურნალისტიკის მე-2 პერიოდის დასაწყისად სწორედ 1920 წელი მივიჩნიეთ. „შევარდენის“ გამოცემას მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში მოჰყვა სხვა სასპორტო ჟურნალ-გაზეთები - „ფიზიკური კულტურა“, „საბჭოთა ფიზკულტურა“, „თავდაცვა და ფიზკულტურა“, „პროლეტარული ტურისტი“, „Физкультурник Закавказья“; „საქართველოს ფიზკულტურელი“ და „ფიზკულტურელი“.

1934 წლის 13 აპრილს დაიბეჭდა პირველი ქართული სასპორტო გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელი“, რომელსაც 1936 წლიდან „ფიზკულტურელი“ ეწოდა, ხოლო 1949 წლიდან დღემდე „ლელოს“ სათაურით გამოიცემა. კვლევითა და პირველწყაროების შედარება-შეპირისპირებით სხვადასვა დასახელების ამ სამ გაზეთს შორის სამართალმემკვიდრეობითობა დავასაბუთეთ.

გასული საუკუნის 20-30-ანი წლების ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობამ დაგვანახვა, რომ ამ პერიოდის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები მეტწილად პროპაგანდისტული ხასიათისაა. ის

მოქალაქეთა სამხედრო-ფიზიკურ და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, სამშობლოს გმირული დაცვისთვის მზადყოფნას ემსახურებოდა. დიდი ადგილი ეთმობოდა სპორტის ეროვნული სახეობების აღდგენის პრობლემებს, შრომის დანაწილებასა და აქტიურ დასვენებას, ტურიზმს, სპორტის საქმოსანთა მხილებას.

თანდათან სასპორტო თემატიკა რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც გაიზარდა. სპორტის ჟურნალისტიკა ცდილობდა, ინტენსიურად და საკმაოდ კვალიფიციურად გაეშუქებინა მაღალი მიღწევების სპორტი. ჟანრებიც მრავალფეროვანი გახდა. ჩნდება სასპორტო ინფორმაციების მიწოდების ახალი ფორმა - დაიჯესტი, გაზეთებში გაიზარდა ფოტოებისა და ფოტორეპორტაჟების რიცხვი, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სპორტის განვითარებისთვის.

ახალგაზრდა ქართული საბჭოთა ფიზკულტურულ-სასპორტო პრესა გახდა მემკვიდრე რევოლუციამდელი სპორტის ჟურნალისტიკისა, რომლის ჩასახვასა და განვითარებას სათავეში ედგნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, გიორგი ნიკოლაძე და სხვები, ამიტომაც ძლიერ ფესვებზე აღმოცენებული საბჭოთა პრესაც მყარად იდგა ფეხზე.

ქართული სპორტის ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდად, შესაძლოა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი, კერძოდ, 50-80-იანი წლები გამოვყოთ. ეს ის პერიოდია, როცა სპორტის ჟურნალისტიკის ისტორიაში ნათლად აირეკლება ეპოქის ზოგადკულ-ტურული და პოლიტიკური ასპექტები. სპორტის სხვადასხვა სახეობა და სპორტის ჟურნალისტიკა ეროვნული შეგრძნებების გამოღვიძებასა და გამყარებას უწყობდა ხელს. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გაზეთი „ლელო“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1949 წლის 10 ივლისიდან გამოიცემა. სწორედ ეს თარიღი მიგვაჩნია ქართული სპორტის ჟურნალისტიკის მესამე პერიოდის (1949-1990) დასაწყისად.

ქართული სპორტის განვითარება-პროპაგანდაში „ლელომ“ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა: 1964 წელს გაზეთმა ჩამოაყალიბდა „საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია“, 1989 წელს „ლელოს“ ბაზაზე დაარსდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი; „ლელო“ იყო პირველი, რომელმაც მხარი დაუჭირა თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ჩემპიონატისგან ჩამოშორებას.

ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებიდან სპორტის ჟურნალისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით „მართვეს“, „კომუნისტს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „*Заря Востока*-ს“ და სხვებს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან, საბაზრო ეკონომიკის წინა პლანზე წამოწევასთან ერთად შეიცვალა ძველი სისტემა, რომლითაც სპორტი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და მისი ადგილი ახალმა სისტემამ - მაღალი მიღწევების სპორტმა დაიკავა. ამან სასპორტო პრესა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა და ისიც ახალ ტალღაზე გადაეწყო, რაც ქართული სპორტის ჟურნალისტიკის მე-4 ეტაპის დასაწყისად მიგვაჩნია. ამ პერიოდში გამოჩნდა ახალი სასპორტო გამოცემები - „სარბიელი“, „მთავარი სპორტი“, „ოლიმპი“, „სპორტი“, „ბურთი და მოედანი“, „ფეხბურთი“, „მსოფლიო სპორტი“, „ქართული ფეხბურთი“, „11X11“, „ლელო-week”, „ოლიმპიელი“, „ათიანი“, „ფალავანი“, „საჭადრაკო სამყარო“, რომლებმაც გაზეთ „ლელოსთან“ ერთად ქართული სპორტის ჟურნალისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

დასკვნა

მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სასპორტო თემაზე გამოქვეყნებულ მასალებზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ქართული სპორტის ჟურნალისტიკა თავისი ეპოქის ჟურნალისტიკის სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და პირდაპირ იყო დაკავშირებული განვითარების იმ ზოგად ფაქტორებთან, რომლებსაც პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური ხასიათი ჰქონდა. ქართული სახელმწიფოს მსგავსად, მან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გრძელი და რთული გზა გამოიარა და ყველა სიძნელესა თუ გამოწვევას გაუძლო.

კვლევამ დაგვანახვა, რომ სპორტის ჟურნალისტიკა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და სპორტის ურთიერთკავშირში ყალიბდებოდა. სასპორტო პრესაზე მათი ზემოქმედების ხარისხი ეპოქაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც ქართული სპორტის ჟურნალისტიკის ევოლუციური განვითარების ანალი-

ზის საფუძველზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებლად მივიჩნიეთ, მისი განვითარების ოთხი პერიოდი გამოგვეყო.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის თქმის საფუძველსაც გვაძლევს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ევოლუციურ პროცესებში ჩაღრმავებამ, არ არის გამორიცხული, ქართული სპორტის ჟურნალისტიკის განვითარების ახალი ასპექტები წარმოაჩინოს და ჩვენ მიერ გამოყოფილი პერიოდების ქვეეტაპებად ან უფრო მეტ პერიოდად დაყოფა მოითხოვოს, რაც მომავლი კვლევა-ძიების საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდარ გუგუშვილი, ოლიმპიური ენციკლოპედია, თბ. 1997;
2. ავთანდილ ციბაძე, ფიზიკური აღზრდის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება საქართველოში (1857-1919 წლების ქართული პრესის მასალების მიხედვით), თბ., 1982;
3. "ცისკარი", 1861, #5; გვ. 68;
4. „დროება", 1866, 15 (27) აპრილ, #7;
5. „დროება", 1882, 17 ოქტომბერი, #217;

Evolutionary of Georgian Sports Journalism For development and periodization

Danelia Vaja

PhD student of Georgian Technical University

Summary

Sports journalism has a long history in Georgia. The first publications on the topic of sports have appeared in public-political magazines and newspapers since the second half of the 19th century. On April 15 (27), 1866, the newspaper Droeba published an extensive correspondence on a horse race held in Tbilisi. Georgian sports journalism has been under construction since then.

The results of the study of the materials published in the Georgian periodical press allowed us to divide the evolutionary development of Georgian sports journalism into four periods: I period. From the birth of sports journalism to the 1920s, period II. 20s-30s of the 20th century, III period. From the 1940s to the collapse of the Soviet Union, period IV. From the 90s of the 20th century to the present day.

საინფორმაციო სივრცე კორონავირუსის პირობებში - რისკები და გამოწვევები

ერისთავი რატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

COVID-19-ის პანდემიის ფონზე, მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო მეტი საფრთხე ექმნება თავისუფალი საინფორმაციო გარემოს არსებობას. არსებულმა ეპიდემიამ ერთის მხრივ იმ უამრავი „კრიზისის გამოვლენასა და გაძლიერებას შეუწყო ხელი", რომელიც ჩრდილს აყენებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ხელს უშლის მედიის თავისუფალ მუშაობას და დამატებით, კიბერ-უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ქვეშ აქცევს ნებისმიერ ინდივიდს. ხოლო მეორეს მხრივ, მომეტებულმა დეზინფორმაციამ და საინფორმაციო პროპაგანდამ განსაკუთრებით მოწყვლადი გახადა საზოგადოების კონკრეტული ჯგუფები.

კორონავირუსი ხელს უწყობს ზოგიერთ რეჟიმს, თავისუფლად ისარგებლონ არსებული მოცემულობით და მაქსიმალური შეზღუდვები დააწესონ ისეთი ინფორმაციის უწყვეტ გავრცელებაზე, რომლის აკრძალვაც „ნორმალურ დროში" მათ გაუჭირდებოდათ. მაგალითად, ისეთი ავტორიტარული რეჟიმები კი, როგორებიც ჩინეთი და ირანი არიან, 2020 წლის პირველ ნახევარში სულ უფრო მეტ დეტალს მალავდნენ ვირუსის გავრცელების რეალურ ფაქტებზე.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსი, მსოფლიო, სამხრეთ კავკასია, ინფორმაცია, მედია, თავისუფლება, კიბერ-უსაფრთხოება.

ძირითადი ტექსტი

პრესის თავისუფლების ინდექსი მსოფლიოში

საერთაშორისო ორგანიზაცია Reporters Without Borders-მა (RSF), მსოფლიოში პრესის თავისუფ-ლების 2020 წლის ანგარიში გამოაქვეყნა და მოცემული რეიტინგის მიხედვით, 180 სახელმწიფოდან ბოლო ადგილებს თურქმენეთი და ჩრდილოეთ კორეა იკავებენ. სიას სათავეში ნორვეგია უდგას, მეორე ადგილზე კი ფინეთია. კორონავირუსის საბაბით, მედიის წინააღმდეგ გატარებულმა რეპრესიებმა ჩინეთი 177, ხოლო ირანი 173 ადგილზე მოაქცია.

ოფიციალური პეკინის კომუნისტური რეჟიმი მაქსიმალურად ზღუდავს COVID-19-ის თაობაზე რეალური სურათის ჩვენებას მსოფლიოსთვის.

რაც შეეხება საქართველოს მეზობელ რუსეთს, ოფიციალური მოსკოვი კვლავ აგრძელებს ინტერნეტის კონტროლს, კიდევ უფრო დახვეწილი მეთოდების (სპეციალური კანონმდებლობით) გამოყენებით, რის გამოც იგი 149 ადგილს იკავებს პრესის თავისუფლების ინდექსში.

Reporters Without Borders-ში აცხადებენ, რომ მალე თურქმენეთმა შესაძლოა სრულად დახუროს ინტერნეტ-წყაროებზე თავისუფალი წვდომა საკუთარი მოქალაქეებისთვის და მათ მხოლოდ ცენზურა გავლილი ვერსია მიაწოდოს.

საინტერესო მდგომარეობაა ევროკავშირის წევრ უნგრეთში, სადაც მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის მთავრობამ სპეციალური კანონი მიიღო „ცრუ ინფორმაციის შესახებ", რომელსაც უკვე უწოდეს არაპროპორციული და იძულებითი ღონისძიება.

RSF-ის ანგარიშით, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ე.წ. Strongman ლიდერი, რომელიც სახელისუფლებლო შტოებს შორის ნაკლების სუბორდინაციის პირობებში, ერთპი-როვნულად მართავს სახელმწიფოს, ატარებს ინფორმაციისა და ახალი ამბების შემზღუდავ ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში (რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში), კორონავირუსის პირობებში დაწესდა გარკვეული შეზღუდვები მედიის წარმომადგენლებისთვის „ყალბი ინფორმაციის გავრცელების მოტივით".

პრესის თავისუფლების ინდექსი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში

Reporters Without Borders-ის ანგარიშში საქართველო მე-60, სომხეთი 61-ე, ხოლო აზერბაიჯანი

168-ე ადგილს იკავებს.

არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, მედიის თავისუფლებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორია კვლავ ევროპაა, რომელსაც შემდეგ ამერიკისა და აფრიკის კონტინენტები მოჰყვება. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი კი პრესის თავისუფლების ყველაზე უხეში დარღვევებით გამოირჩა.

აღმოსავლეთ ევროპის/ცენტრალური აზიის რეგიონს (სადაც სამივე კავკასიური სახელმწიფო არის მოქცეული) ბოლოდან მეორე ადგილი უკავია ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის (MENA) შემდეგ, რომელიც ყველაზე მეტად საფრთხის შემცველი ტერიტორიაა ჟურნალისტებისთვის.

2019 წლის რეიტინგთან შედარებით, საქართველოს პოზიცია უცვლელია. ანგარიშის მიხედვით ქართული მედია პლურალისტური, მაგრამ მაინც კვლავ ძალიან პოლარიზებულია. ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული რეფორმების შედეგად გაუმჯობესდა მედიის მფლობელთა გამჭვირვალობა და სატელიტური ტელევიზიის პლურალიზმი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მედიის მეპატრონეები კვლავ კარნახობენ კუთვნილ ორგანიზაციებს სარედაქციო პოლიტიკას.

2019 წლის რეიტინგთან შედარებით, სომხეთის პოზიციაც არ შეცვლილა. მოხსენების მიხედვით, ამ სახელმწიფოში მედია-მრავალფეროვნება არსებობს, მაგრამ „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მედიის პოლარიზაციის შემცირება. არსებული უმთავრესი ტელეარხების სარედაქციო პოლიტიკა მათი მფლობელების ინტერესებთან თანხვედრაშია. ჟურნალისტური დამოუკიდებლობა და მედია-საკუთრების გამჭვირვალობა სასურველისგან ჯერ კიდევ შორს არის. შეშფოთების საფუძველს იძლევა ჟურნალისტების წინააღმდეგ არსებული არაერთი სასამართლო პროცესი. საგანგაშოა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების მონაწილეობა „დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში“, რასაც სოციალური მედიის მომხმარებელთა დაპატიმრება, ასევე ჟურნალისტიკის თაობაზე, სამოქალაქო აქტივისტებისა და თავად ჟურნალისტების მონაწილეობა-განხილვის გარეშე, საკანონმდებლო ნორმების ზრდა მოსდევს. აქვე აღსანიშნავია, რომ ე.წ. საგამოძიებო ჟურნალისტიკა კარგად არის განვითარებული, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის კორუფციას.

სომხური მედიის დიდი ნაწილი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული, რომლებიც კორონავირუსული პანდემიის პარალელურად აქტიურად ებრძვიან პრემიერ მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მთავრობას. ეს ეხება როგორ სატელევიზიო, ასევე ბეჭდურ და ინტერნეტ მედია-საშუალებებს.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2019 წელთან შედარებით, ამ სახელმწიფომ ორი საფეხურით უკან დაიხია. ადგილობრივი მედია სრულად კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. დამოუკიდებელი ჟურნალისტები ან ბლოგერები აბსურდული მიზეზებით იხდიან სასჯელს. გარდა ამისა, ხშირია მედიის წარმომადგენლების შევიწროვების, შანტაჟის, ქრთამის გადაცემის შემთხვევები.

გარკვეული პოზიტიური იმედები 2019 წლის ბოლოს გაჩნდა, როდესაც დაანონსებული რეფორმების ტალღას, პრეზიდენტის მრჩევლის, ე.წ. მედიის მთავარი ცენზორის ალი ასადოვის გადადგომა მოჰყვა, მაგრამ რეალურად სიტუაცია დღემდე უცვლელია. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაყალბების ფაქტების და ოპოზიციური განწყობების გაშუქების გამო ჟურნალისტების წინააღმდეგ არაერთი დევნა განხორციელდა. რეალურად დამოუკიდებელი მედია-საშუალებები სრულად დაბლოკილია. ის ჟურნალისტები, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ არიან და ამ გზით ცდილობენ ინფორმაციის ობიექტურ გავრცელებას, ადგილობრივი მთავრობა აზერბაიჯანში მცხოვრებ მათ ოჯახის წევრებს დევნის და ავიწროვებს. კორონავირუსულმა პანდემიამ კი კიდევ უფრო მეტად შეზღუდა ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება საქართველოს მეზობელ ამ სახელმწიფოში.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე კიბერ-უსაფრთხოება სულ უფრო აქტუალური ხდება

დღესდღეობით კიბერ-დამნაშავეები, კორონავირუსის გავრცელების პარალელურად, სულ უფრო მეტად ვითარდებიან და ზიანს აყენებენ კიბერ-სივრცის დაუცველ ნაწილს, რაც ტრანსნაციონალური საფრთხის წინაშე აყენებს მთელ მსოფლიოს.

რა წარმოადგენს ყველაზე ფართომასშტაბიან კიბერ-საფრთხეს, რომელიც კორონავირუსულ პანდემიასთან არის კავშირში? როგორ შეიძლება პირადი მონაცემების, კუთვნილი ორგანიზაციის თუ

მასში დასაქმებულების უსაფრთხოების დაცვა არსებულ პერიოდში?

„ფიშინგი (Phishing) და სოციალური ინჟინერიის თაღლითობები“ - კომპანია Norton-ის უსაფრთხოების სპეციალისტების თქმით, კიბერდამნაშავეები კორონავირუსის თემატიკით დატვირთულ ელ-ფოსტას სულ უფრო ხშირად გზავნიან, რომელიც შენიღბულია ისეთი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების სახელით, როგორებიც მაგალითად აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრი (CDC) ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაა (WHO).

ე.წ. Phishing mail სოციალური ინჟინერიის თაღლითობის სახეს წარმოადგენს, რომელიც განმარტებულია როგორც თავდასხმის სახეობა, „პირადი ინფორმაციის მისაღებად/მოსაპოვებლად, ელ-ფოსტის ან მავნე ვებ-გვერდების გამოყენებით, სანდო ორგანიზაციის საფარი ნიღბით“. ასე მაგალითად, ზოგიერთი Phishing mail მიმღებს/ადრესატს სთავაზობს „კორონავირუსისგან თავდასაცავად საჭირო სამედიცინო რჩევებს, რომელიც ჯანდაცვის პროფესიონალების მიერაა შემუშავებული“.

ზემოხსენებული საფრთხისგან თავდასაცავად, საკითხის სპეციალისტები რამდენიმე რჩევას აძლევენ ინტერნეტ-მომხმარებლებს:

პირველი - მომხმარებელი უნდა მოერიდოს ელ-ფოსტაზე გამოგზავნილ ისეთ ბმულებზე გადასვლას, ან თანდართული ფაილის გახსნას, რომელიც ე.წ. junk email-ს წარმოადგენს; მეორე - მომხმარებელმა COVID-19-ის თაობაზე ინფორმაციის მისაღებად მხოლოდ სანდო წყაროები უნდა გამოიყენოს, მაგალითად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვებ-გვერდი; მესამე - არ უნდა გაეცეს პასუხი არათემატურ ან ე.წ. junk email-ს; მეოთხე - მომხმარებელმა არ უნდა გააზიაროს პირადი ან ფინანსური სახის ინფორმაცია, თუ მას ამას სთხოვენ; მეხუთე - მომხმარებელმა არ უნდა განახორციელოს შემოწირულობა „საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის“, თუ აღნიშნული ორგანიზაციის რეალური ვინაობა გადაუმოწმებელია.

დეზინფორმაცია - ყველასთვის ცნობილია, რომ ყალბი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ინტერნეტის მეშვეობით გავრცელება საკმაოდ პოპულარული და მარტივი მეთოდია (თუნდაც საქართველოში რუსული დეზინფორმაციული კამპანიის მოყვანაც საკმარისია, რედ.). ამ მიმართულებით, დეზინფორმაცია, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში გამოიყენება უსაფუძვლო შიშისა და პანიკის (როგორც ეს 5G ინტერნეტის შემთხვევაში დაიწყო, რედ.), ზოგიერთ შემთხვევაში ქსენოფობიისა და რასიზმის გასავრცელებლად.

COVID-19-ის თაობაზე დეზინფორმაციის თავიდან ასარიდებლად და ინფორმაციის წყაროების ავთენტურობის დასადასტურებლად, უმჯობესია მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების პირად გვერდებზე თუ პროფილებზე ინფორმაციის მოძიება/გადამოწმება.

„ყალბი საქონელი“ - კორონავირუსული პანდემიის პარალელურად საკმაოდ მოთხოვნადი გახდა ჯანმრთელობის დასაცავად საჭირო სამედიცინო აღჭურვილობა (პირბადე, ხელთათმანები და ა.შ.), რაც შესანიშნავ პლაცდარმს ქმნის ე.წ. ყალბი საქონლის ბაზრის შესაქმნელად. ინტერნეტ-მომხმარებლების ნაწილისთვის, კიბერ დამნაშავეების მხრიდან ხდება ზემოხსენებული ტიპის პოპულარული პროდუქციის შეთავაზება, რაც ავტომატურად დეზინფორმაციის ან ისტერიის მსხვერპლად აქცევს თითოეულ ადამიანს.

კიბერ-უსაფრთხოება ყველა დონეზე - კორონავირუსული პანდემიის გამო, უამრავი დასაქმებული სახლის პირობებში მუშაობს და უამრავი კომპანია გადავიდა დისტანციური სამუშაო რეჟიმის პოლიტიკაზე. შესაბამისად, დასაქმებულების მხრიდან აუცილებელი გახდა კიბერ-უსაფრთხოების მკაცრი პროტოკოლების დაცვა, ისე, რომ არ მოხდეს განსაკუთრებით სენსიტიური მონაცემების „არასასურველ ხელში“ მოხვედრა.

ამავდროულად, კიბერ-უსაფრთხოება მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს სამთავრობო/საჯარო ორგანიზაციებისთვის. კორონავირუსული პანდემია იდეალური პლაცდარმია კიბერ-დამნაშავეებისთვის, რათა მათ შეძლონ საჭირო ინფორმაციის „მოპარვა“ სამთავრობო ქსელებიდან, ან თუნდაც ე.წ. უსაფრთხო მესენჯერებიდან.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ 2020 წლის დეკადა გადამწყვეტი იქნება ზოგადად ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების მომავლისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ COVID-19-ის პანდემია და სხვა მრავალი კრიზისი შეუქმნის მას საფრთხეებს. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ბოლო ათწლეულების ტექნოლოგიური განვითარებით შეცვლილმა ტრადიციულმა მედია გარემომ მსოფლიო და ჩვენი ქვეყნები ახალი გამოწვევის - მცდარ ინფორმაციასთან, საინფორმაციო პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან გამკლავების საკითხის წინაშე დააყენა. იმის მიუხედავად, რომ პანდემიასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გაურკვევლობა, ერთი რამ ცხადია საზოგადოებისთვის დღეს საფრთხეები უფრო მეტად არასამხედრო ან არამძალადობრივი საშუალებებით წარმოიქმნება, ამიტომ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ინდივიდი თავად იყოს შინაგანად პასუხისმგებელი ინფორმაციის გავრცელების სისწორეზე და რაიმე ტიპის საფრთხე არ შეუქმნას საზოგადოების ყველაზე მეტად მოწყვლად ჯგუფებს.

ლიტერატურა:

1. 2020 World Press Freedom Index: “Entering a decisive decade for journalism, exacerbated by coronavirus” (21.04.2020), www.rsf.org
2. For Cybercriminals, a Global Pandemic Presents an Opportunity (17.04.2020), www.fairobserver.com
3. Coronavirus and International Security: Risks and Opportunities (01.05.2020), www.rusi.org
4. Coronavirus, invisible threats and preparing for resilience (20.05.2020), www.nato.int
5. The Impact of COVID-19 on National and Global Security (21.05.2020), www.american.edu

ინფორმაციული საფრთხეები COVID-19-ის - რისკი ანდ ცვალებადობა

Eristavi Rati

PhD student of Georgian Technical University

შუამავალ

ინფორმაციული ომები COVID-19 პანდემიის ფონზე ეხება ინფორმაციულ ომებს ინფორმაციულ ტერიტორიებზე ინფორმაციულ ომებს, რომელიც ეფუძნება "ცრუ ინფორმაციის" ან "ცრუ ინფორმაციის" ინფორმაციულ ომებს, ინფორმაციულ ომებს, ინფორმაციულ ომებს,

პროფესიული განათლების სისტემა და მიმდინარე გამოწვევები

თავზარაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველოში ყველაზე დიდი გამოწვევაა უმუშევრობა, კვლევების თანახმად,უმუშევრობა ადრეულ ასაკში ნეგატიურად აისახება როგორც სამომავლო დასაქმების პერსპექტივაზე ასევე შემოსავალზე.სტატისტიკის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,უმუშევრობის დონე ქართველ ახალგაზრდებში(15-25)30% აჭარბებს,ხოლო იმ ახალგაზრდების წილი რომლებიც არც მუშაობენ და არც სწავლობენ 26%ია.მოიაზრება რომ პროფესიული განათლება ერთ-ერთი უმოკლესი გზაა ახალგაზრდების დასაქმებისკენ, იმიტომ რომ აკადემიურ განათლებასთან შედარებით, მასში მაღალია პრაქტიკული უნარების სწავლების კომპონენტი, ეს კი გარკვეულწილად აქრობს გამოცდილების ნაკლებობას, რის გამოც ახალგაზრდებს ძალიან უჭირთ სამსახურის დაწყება. დღესდღეობით რა პროფესიებზეცაა მოთხოვნა შრომის ბაზარზე, უფრო მეტად შესაბამისობაშია პროფესიულ ვიდრე აკადემიურ განათლებასთან. ამ ფონზე, მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტად შეიმუშავა პროფესიული განათლების განვითარება და განსაზღვრა 2013-2020 პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, სადაც ძირითად მიზნად დასახულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება. პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის დაბალი ჩართულობა ერთ ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ბიზნესმენმა დაინახოს, რომ მათ მიერ პროფესიულ განათლებაზე გახარჯული თანხა რეალურად ინვესტიციაა. აუცილებელია ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებმა იგრძნონ საკუთარი მნიშვნელობა, მათი ფუნქციები და როლები პროფესიული განათლების სისტემაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. ფაქტია, რომ პროფესიული განათლების სისტემის გაძლიერება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად.

საქართველოში პროფესიული განათლების კუთხით პრობლემები ძალიან ბევრია, არ არის პოპულარული ეს მიმართულება, საზოგადოებას ამ მიმართულების ხსენებაზე „ცუდი მოსწავლეების თავშესაფარი“ ახსენდება პირველ რიგში. არადა პროფესიული განათლების სისტემის მაღალ საფეხურზე ყოფნა აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის.აუცილებელია საზოგადოების შეხედულებების შეცვლა ამ მიმართულებით, ამის შესაძლებლობა და ყველაზე დიდი ბერკეტი სახელმწიფოს ხელისუფლებას აქვს,ამ პრობლემის გადაჭრა მისი პრეროგატივაა და აუცილებელია ამ კუთხით სწორი ნაბიჯების გადადმა.ამისთვის რიგი ნაბიჯებია გადასადგმელი.მიგვაჩნია რომ სხვადასხვა მიმართულებებით მუშაობა აუცილებლად გამოიღებს შედეგს, მიღწევადია პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და სწავლის მაღალი ხარისხის დანერგვაც, ასევე მიღწევადია დამსაქმებლების დაინტერესება პროფესიონალი კადრებით და მათი ჩართულობის გაზრდაც პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაში.

ძირითადი ტექსტი

პროფესიულ განათლებას საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. პირველად მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი სხვადასხვა მიმართულებების სახელობო და სამეურნეო სკოლებს. ასევე შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომელთა ბაზაზე დღესაც კი მოქმედებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. ქვეყანაში უმაღლესი განათლების პოპულარობის გამო დიდხანს პროფესიულ განათლებას არ ექცეოდა ყურადღება, მხოლოდ 2005 წელს დამტკიცდა „პროფესიული განათლების კონცეფცია“. იმ ეტაპზე სახელმწიფო დაქვემდებარებაში იყო 80 დაწყებითი პროფესიული დაწესებულება,კერძო პროფესიული სასწავლებელი 184, რომლებშიც სწავლობდნენ შესაბამისობრივი ჯგუფის მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 3.6%. იმ ეტაპზეც მთავარ პრობლემად ასახელებდნენ პროფესიული განათლების სისტემის არაადეკვატურობას, ეროვნული ეკონომიკისათვის

კვალიფიციური კადრების მომზადებაში მისი უფუნქციობა, დაბალი საზოგადოებრივი პრესტიჟი.

2005 წლის კონცეფცია ,საქართველოს პროფესიული განათლებისს ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევდა: მიმზიდველობას, რაც ყველა ასაკის ადამიანის დაინტერესებას მოიცავდა, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სასწავლებლების ტიპებისა და მომზადების მიმართულებების, სასწავლო გეგმების მრავალფეროვნებას. ხელმისაწვდომობას, ეფექტიანობასა და მაღალ ხარისხს, თანამედროვეობას. კონცეფციაში ჩაშლილი იყო დასახული მიზნების მისაღწევად პროფესიული განათლების ამოცანები, ესენია: საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება სწავლების უწყვეტობის, მრავალსაფეხურიანობის, მრავალფეროვნების საფუძველზე; პროფესიული განათლების გარდაქმნა ღია, დინამიკურად განვითარებად სახელმწიფო-საზოგადოებრივ სისტემად;

დღეს-დღეობით, საქართველოს, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტოს წყაროებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებს 18 ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი, 7 სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი, 41 ავტორიზებული კერძოპროფესიული საზოგადოებრივი კოლეჯი.

პროფესიული განათლების სფეროს განვითარების მიზნით შეიქმნა „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭო“, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით, მთავრობის მიერ. საბჭოს მიზანია პროფესიული განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების სფეროში პოლიტიკის ფორმირების პროცესში საბჭოს მხარეების ჩართულობის, მათ მიერ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების საქართველოს მთავრობისთვის ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის მომზადების გზით.

საბჭოს მხარეთა ვალდებულებები 1. საქართველოს მთავრობა ვალდებულია: ა) უზრუნველყოს საბჭოს მხარეების ჩართულობა სხვადასხვა სტრატეგიული საკითხების განხილვის პროცესში; ბ) უზრუნველყოს საბჭოს მხარეების დროული ინფორმირება, საბჭოს სხდომის ორგანიზება, საბჭოს სხდომის დღის წესრიგისა და ოქმების გაზიარება; გ) უზრუნველყოს სოციალური პარტნიორობის პრინციპის წახალისება პროფესიული განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე; დ) უზრუნველყოს პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული საჯარო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია პროფესიული განათლების კუთხით; ე) უზრუნველყოს საბჭოს სამდივნოს დაკომპლექტება ადამიანური რესურსით და მისი ფუნქციონირება, რაც გამოიხატება საბჭოს სამდივნოს მიერ ინფორმაციის დროულ მოძიებაში, დამუშავებასა და გაზიარებაში, საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვაში, საბჭოს სხდომების ოქმების შედგენასა და საბჭოს წევრ მხარეებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფაში; ვ) საბჭოს სამდივნოს მეშვეობით უზრუნველყოს სხვადასხვა კვლევებისთვის კითხვარების დაგეგმვა/მომზადება და სოციალური პარტნიორებისთვის მიწოდება მათი შევსების მიზნით; ზ) საბჭოს სამდივნოს მეშვეობით უზრუნველყოს სოციალური პარტნიორების მიერ ინიცირებული/დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების კოორდინაცია და ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრ მხარეთა ინფორმირება, ასევე, მათი ადმინისტრაციული მხარდაჭერა

2017 წელს მომზადდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021წწ), რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგია მოიცავს სისტემის ყველა მიმართულებას: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ საკითხებს განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროებში. 2018 წელის სექტემბერში ძალაში შევიდა პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემის ხარი-

სხისა და მოქნილობის გაუმჯობესებას - ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის მოქნილი კავშირის დამყარებას, პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მექანიზმის ჩამოყალიბებას, ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარებას და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას. კანონის დანერგვის ფაზა ორწლიანია ახალი კანონმდებლობის შესაბამისად სისტემური ცვლილებების განხორციელება დაკავშირებულია კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს დამტკიცებასა და ამოქმედებასთან. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო საქართველომ 2010 წელს დაამტკიცა და 2014 წლიდან მიმდინარეობს მისი განვითარების პროცესი. ეტაპობრივად ჩამოყალიბდა ჩარჩოს ახალი სტრუქტურა და კონცეფცია, რომელიც თავსებადია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, სამუშაო პროცესში ჩართულები იყვნენ ევროპის განათლების ფონდის (ETF) საერთაშორისო და ადგილობრივი სპეციალისტები.საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ითვალისწინებს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვ-ნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად. 2017-2018 წლებში, კერძო სექტორის მხრიდან გაზრდილი დაინტერესების შესაბამისად, გაიზარდა დუალური პროგრა-მების რიცხვიც და 2018 წლის მონაცემებით, დანერგილია 23 დასახელების დუალური პროგრამა აგრა-რული, ტურიზმის, სარკინიგზო ტრანსპორტის, მშენებლობის და ინჟინერიის მიმართულებით. გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და 2017-2018 წლებში სტუდენტები პირველად მიიღო ყაზბეგისა და თიანეთის (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ასევე ლაგო-დეხისა (კახეთი) და ხობის (სამეგრელო) მუნიციპალიტეტებში არსებულმა ფილიალებმა. საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაფუძნდა (ა)აიპ სამშენებლო კოლეჯი "კონსტრუქტ2". მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები კასპის (შიდა ქართლი), ხულოსა (აჭარა) და ჩოხატაურის (გურია) მუნიციპალიტეტებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2017წელს პროფესიული განათლების მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯე-ტის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 36,5 მილიონი ლარი.

2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 43,8 მილიონ ლარს.ხოლო 2019 წელს გაიზარდა - 48.7 მლნ ლარამდე.

დასკვნა

უმუშევრობის დასაძლევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროფესიული განათლების განვითარება, სწორედ ამ პრინციპით მთავრობამ შეიმუშავა 2013-2020 წლის პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია,ერთ-ერთი მთავარი პრობლემად სახელდება პროფესიული განათლების სისტე-მაში კერძო სექტორის ჩართულობა, ამ მიმართულების გასავითარებლად რიგი ნაბიჯები იდგმევა და მომავალშიც გადაიდგმევა.პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში მრავალ წელს ითვლის, პირველად მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი სახელობო და სამეურნეო სკოლებს, ამ პერიოდიდან ნელ-ნელა ვითარდება ეს მიმართულება,თუმცა სამწუხაროდ ბოლო პერიოდს თუ გადავხედავთ ძალიან დაკარგა პროფესიულმა განათლებამ პოპულარობა. დიდხანს ამ მიმართულებას არ ექცეოდა ყურად-ღება,2005 წელს დამტკიცდა “პროფესიული განათლების კონცეფცია”ამის შემდეგ 2017 წელს მომზადდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021წწ), რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. 2018 წელის სექტემბერში ძალაში შევიდა პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხისა და მოქნილობის გაუმჯობესებას.

აუცილებელია მომავალში გაგრძელდეს ამ მიმართულების პოპულარიზაციის ზრდა,აუცილებლად უნდა მოხდეს ახალგაზრდების დაინტერესება,რაც საკითხის პოპულარობით და დამსაქმებელთა მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.etaloni.ge/geo/main/index/665
2. https://forbes.ge/news/3329/profesiuli-ganaTlebis-reformis-Sefaseba
3. https://www.mes.gov.ge/uploads/debuleba....pdf
4. https://www.mes.gov.ge/prof_edu.php?id=3&lang=geo
5. https://eqe.ge/geo/parent/787
6. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) ანგარიში
7. 2019 წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 23.7 მლნ ლარით http://www.ghn.ge/news/212248

VOცაფრალფუცაფრესქსმ ანდ ცურანტცჰალლეგ

Tavzarashvili Nino
PhD student of Georgian Technical University

შუმ არყ

Unემ კლმ ენტ ნ ტ ბ ბ ს ტ ბ ალ ნ ბ ე ნ Geoრ ი ა,ა ც (((

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში საჯარო მმართველობის დაწესებულებების საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა

იარღანაშვილი ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბაღათურია ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველო კვლავ დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, რომლებიც სასამართლო სისტემის განვითარებას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ეფექტიან ადგილობრივ მმართველობას, გენდერული თანასწორობის მიღწევას, მედიის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება. უმნიშვნელოვანესია, საჯარო დაწესებულებებში არსებობდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგიები, ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებულ, ან/და დაგეგმილ პროექტებზე. ეს ყოველივე ხელს უწყობს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთსანდოობის ხარისხის ამაღლებას და ამკვიდრებს გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: ორმხრივი კომუნიკაცია; დემოკრატიული სახელმწიფო; ღია მმართველობა; საკომუნიკაციო სტრატეგია; ეფექტიანი მართვა.

ძირითადი ტექსტი

საჯარო, პოლიტიკური მმართველობის პროცესი მოიცავს მთელს საზოგადოებას/საზოგადოებრივ ურთიერთობებს ზოგადად (Public Affairs). არსებობს მოსაზრება, რომ დღესდღეობით ვერ ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა იდენტიფიკაცია, ვერ ხდება საზოგადოებრივი რესურსების დროული და ეფექტიანი მიწოდება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დემოკრატია გულისხმობს პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც უნდა ბატონობდეს საზოგადოება და მაქსიმალურად რეალიზებული იყოს მისი შემადგენელი ჯგუფების მრავალფეროვანი ინტერესები. აქ ადამიანი „ყველაფრის საზომია“, თუმცა ცხადია, რომ ამ განსაზღვრების ფარგლებში დემოკრატიის სხვადასხვა გაგება მოიაზრება. კონტროლის თვალსაზრისით, დემოკრატია არის სისტემა, რომელშიც საზოგადოების უმრავლესობა აკონტროლებს პოლიტიკურ ლიდერებს. სახელმწიფო, საჯარო მმართველობის დაწესებულებები საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გარეშე დემოკრატიულ პრინციპებს ვერ განახორციელებს. წინააღმდეგ შემთვევაში მივიღებთ არაფუნქციონალურ დემოკრატიას, რაც პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველოს მაგალითზე ნათლად იკვეთება.

ადამიანი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს დემოკრატიულ პროცესებში და დემოკრატიის ძირითადი ღირებულებები: ინდივიდუალიზმი, თანასწორობა და თავისუფლება სწორედ ადამიანის მიმართებაში არსებობს და განიხილება.

ღია მმართველობის დამკვიდრება- კანონმდებლობა, როგორც მინიმუმ, უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების განათლებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ინფორმაციის მასშტაბი, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია, ასევე ამ ინფორმაციის მიღების პროცედურა და ფორმები.

სახელმწიფო ორგანოები მოტივირებულნი უნდა იყვნენ გადაწყვიტონ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები. აღნიშნული თვალსაზრისით ინფორმაციის უმთავრესი წყარო თავად საზოგადოებაა, რომლის ფორმირება ცალკეულ ჯგუფებად მიმდინარეობს. ამ ჯგუფებს სპეციფიური ინტერესები გააჩნიათ, რომელთა რეალიზაციაში ხორციელდება სახელმწიფო პოლიტიკა.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოქალაქეებთან ღია

დაგულწრფელ კომუნიკაციას პასუხისმგებლობის განაწილების და ნდობის მოპოვების მიზნით. ამ მხრივ ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების გამოყენება მეტად გამოსადეგია, აძლევს რა ხალხს ინფორმაციაზე უფრო იოლ წვდომას და აადვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველო კვლავ დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, რომლებიც სასამართლო სისტემის განვითარებას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ეფექტიან ადგილობრივ მმართველობას, გენდერული თანასწორობის მიღწევას, მედიის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება. დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე საქართველომ უნდა გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები და გაზარდოს ხელისუფლების ყველა შტოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ქვეყნის მიზანია მისი ყოველი მოქალაქის ინტერესების დაცვა და გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს ყოველივე კი შესაძლებელია მხოლოდ საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ღია, ეფექტიანი და ორმხრივი კომუნიკაციის პირობებში.

უმნიშვნელოვანესია, საჯარო დაწესებულებებში არსებობდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგიები, ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებულ, ან/და დაგეგმილ პროექტებზე. ასევე მუდმივად ხორციელდებოდეს კვლევა, თუ როგორია ამა თუ იმ პროექტისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ან დამოკიდებულების პროგნოზი.

საზოგადოების ინფორმირებულობა და მისი აზრი ქვეყნის საჯარო მმართველობის სისტემის გამართულობის ერთ-ერთი ინდიკატორიცაა და შესაძლოა კატალიზატორიც ,რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს გაჭიანურებულ პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციაში მყოფი საქართველოსთვის, რომელიც დამოუკიდებულობის აღდგენიდან ცდილობს განვითარდეს, როგორც, სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო, სწორედ ამიტომ საჯარო უწყებებმა და მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სწორი გამოყენებით საზოგადოების ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, რაც გაზრდის აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

ამდენად აუცილებელია დემოკრატიული მმართველობის ყველა პრინციპის დაცვა, პირველ რიგში საჭიროა საჯარო, სახელმწიფო სამსახურებში საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და გათვალისწინება, რათა საბოლოოდ ქვეყანამ შეძლოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება.

იყო პოლიტიკოსი ნიშნავს იმას, რომ იყო კარგი კომუნიკატორი და არა უბრალოდ კარგი სფიქერი ან ორატორი, მითუმეტეს როდესაც ქმედება და საუბარი თანხვედრაში არაა. ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაცია სრულყოფილია მაშინ, როდესაც ის ორმხრივია და შეიცავს უკუკავშირის რგოლს, რაც ნაციონალურ მოძრაობას სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ სრულებით არ აინტერესებდა. მათი მთავარი მიზანი იყო რეალური მოვლენებისგან ყურადღების მაქსიმალური გადატანა. ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია საბოლოოდ ხალხის აღელვება და პროტესტი, რომელმაც სავალალო შედეგი გამოიღო ნაციონალური მოძრაობისათვის და რაც ყველაზე ცუდია, მოხდა PR მნიშვნელობის დაკნინება და უკვე დღეს მისი უგულვებელყოფა არსებული ხელისუფლების მხრიდან, რაც ასევე ნაგატიური და არაპროდუქტიულია სახელმწიფოსთვის, მისი დემოკრატიული განვითარებისთვის.

ფაქტობრივად ნაციონალური მოძრაობა არ ურთიერთობდა საზოგადოებასთან, ის უბრალოდ გადაწყვეტილებების მიღების შემდგომ , ამ დაწყვეტილებების მართებულობის პროპაგანდას ეწეოდა (რაც სრულებით არ ნიშნავს საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის არსებობას). ამის საპასუხოდ ქართული ოცნების ხელისუფლება სავარაუდოდ დისტანცირებას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობებისგან, შესაძლოა სწორედ მისი წინამორბედის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, იმის მიუხედევადაც კი, რომ PR ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობები იმ დიდი ჯაჭვის ერთ- ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც ქვეყნის, სახელმწიფოს და განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების და პასუხისმგებელი ხელისუფლების განვითარებას უწყობს ხელს.

დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლების ვალდებულება და ფუნქცია უნდა იყოს საზოგადოებისაგან, მისივე აზრის გაგება, ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, საზოგადოების მოლოდინის პროგნოზირება,აგრეთვე საზოგადოების ინფორმირება ხელისუფლების მიერ მიღებულ

გადაწყვეტილებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე, საზოგადობრივი აზრის ფორმირება და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად მისიმობილიზება. და ბოლოს საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ. სწორედ აღნიშნული ფუნქციების რეალიზება უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ურთიერთბების მეშვეობი

დასკვნა

თავისუფალი, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა რთული პროცესია, სადაც მოხელეთა პროფესიულ განვითარებას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. იგი ითხოვს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მართვის ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მმართველობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, თავადვე განსაზღვრავს სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხს, ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიულ და ჰარმონიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპების: ღიაობის, გამჭვირვალეობისა და ანგარშვალდებულების განმტკიცებას.

აუცილებელია, თითოეულ საჯარო უწყებას შემუშავებული ჰქონდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგია. ეს ყოველივე ხელს უწყობს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთსანდოობის ხარისხის ამაღლებას და ამკვიდრებს გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპებს.საზოგადოებასთან მკაფიო, გამჭვირვალე, ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია პირდაპირ აისახება პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაზე, სახელმწიფო მართვის ეფექტიან ფუნქციონირებაზე და ზოგადად ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდის გრძელვადიან წარმატებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე. ”რიტორიკა”.რედაქტორი- აკაკი ურუშაძე. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1981.
2. რ.ბ. დენჰარტი, ჯ. ვ. დენჰარტი „საჯარო მმართველობის მოქმედების კურსი“ თბილისი 2012წ.
3. გ. ბაღათურია, ო. ბაღათურია „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში“ თბილისი 2015წ.
4. ე. ჰოფმანი „საზოგადოება და სახელმწიფო. ადგილობრივი დონე სომხეთსა და აზერბაიჯანში“ 2017წ.
5. ავტორთა კოლექტივი: ა. ცინცაძე, გ. ბაღათურია, ქ. ქოქრაშვილი, მ. მამარდაშვილი, გ. ხომერიკი, ო. ბაღათურია, ვ. მკრტჩიანი - ,,სახელმწიფო პოლიტიკა (Public Police) შესავალი სპეციალობაში” დამხმარე სახელმძღვანელო, 2002 წ.
6. მ. დარჩია - ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა სამთავრობო სტრუქტურებში'', 2007
7. შ. დოღონაძე, ო. ქოჩორაძე „საქმიანი ურთიერთობები“ თბილისი 2013
8. მ. მუსხელიშვილი ,,სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი“ თბილისი 2006 წ.
9. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია 2006;
10. გ. ბრუმი, ს. კატლიპი, ა. სენტერი „საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი“ 2010
11. ე. ჰეივუდი „პოლიტიკური იდეოლოგიები“ 2004
12. თ. ჯაგოდნიშვილი „ქართული ორატორული ხელოვნება“ თბილისი 1999
13. ვ. პაპასკირი „სახელმწიფო, პოლიტიკა და მასმედია;
14. ვ. შუბითიძე „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს“ ელფი 2000,
15. მ. ქავთარაშვილი „იმიჯმეიკინგი, როგორც პიარტექნოლოგია“
16. საჯარო გამოსვლის ტექნიკის საფუძვლები- სალექციო კურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2014
17. Ronald Reagan, Farewell Address, Washington, DC, January 11, 1989.
18. John Street. “Celebrity Politicians : Popular Culture and Political Representation”.2004

[illegible] [illegible] [illegible]

ჭკვიანი ქალაქი და ჭკვიანი მობილობა

კანდელაკი ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ჭკვიანი ქალაქის კონცეფცია. გაანალიზებულია ჭკვიანი მობილობის როგორც ე.წ. ,,სმარტ ქალაქის" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის როლი ქალაქის მართვის გაუმჯობესების პროცესში. სტატიაში განმარტებულია თუ რა იგულისხმება ჭკვიან სატრანსპორტო სისტემაში და რა უპირატესობები აქვს მას. სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული ,,COVID 19"-ის პირობებში მუნიციპალური ტრანსპორტიდან მომდინარე საფრთხეებზე, ასევე მის საჭიროებაზე და იმ რეგულაციებზე, რომლებიც უნდა დაწესდეს დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ჭკვიანი ქალაქი, ჭკვიანი მობილობა და სატრანსპორტო სისტემის მართვა, ,,COVID 19".

ძირითადი ტექსტი:

„ჭკვიანი ქალაქის" კონცეფცია გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ისეთი სისტემების შექმნას და დანერგვას, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ მონაცემების ავტომატურ რეჟიმში შეკრებას, გაანალიზებას და ქალაქის თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების მიწოდებას. ,,ჭკვიანი ქალაქის" ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ძალისხმევა მიმართულია სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ხარჯების და რესურსების მოხმარების შემცირებაზე. მსგავსი მიდგომა ზრდის მოქალაქეებსა და მმართველობის ორგანოებს შორის ჯანსაღ კომუნიკაციას [1]. ჭკვიანი ქალაქი დაფუძნებულია ტექნოლოგიაზე და ორიენტირებულია შედეგზე. ის აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: ჭკვიანი მართვა, ჭკვიანი ტექნოლოგიები, ჭკვიანი ხალხი, ჭკვიანი ცხოვრება, ჭკვიანი გარემო და ჭკვიანი მობილობა.

ჭკვიანი ქალაქის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია ჭკვიანი მობილობა. ჭკვიან მუნიციპალურ ტრანსპორტს, ელექტრონულ და ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს მგზავრთა კომფორტულ, სწრაფ და უსაფრთხო მობილობაში, მისი მეშვეობით თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ შესაძლებლობა ქალაქში მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებზე განახორციელონ უფრო მოქნილი და სწრაფი კონტროლი. ჭკვიანი მობილობა გულისხმობს კარგად შეკავშირებული, მოქნილი და ეფექტური სატრანსპორტო სისტემის შექმნას [2].

ჭკვიანი საქალაქო სატრანსპორტო სისტემა გულისხმობს: 1) მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის ისეთ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალური ტრანსპორტის ნაკადების ოპტიმიზაციას და ავტომატიზაციას; 2) მარშრუტის საინფორმაციო სისტემას და ელექტრონულ გრაფიკს, რომელიც მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას სასურველი მარშრუტის შესახებ; 3) უსაფრთხოების და სატრანსპორტო საშუალების კონტროლის სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილებას; 4) ყველა სახის მუნიციპალურ ტრანსპორტზე მორგებულ და ერთიან საბარათე სისტემას, რომელიც მგზავრს საშუალებას აძლევს ერთი ბარათის გამოყენებით გადაადგილდეს მისთვის მისაღები, ნებისმიერი მუნიციპალური ტრანსპორტით.

ჭკვიან სატრანსპორტო სისტემას აქვს შემდეგი უპირატესობები: 1) მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტურობა და ხელმისაწვდომობის გაზრდა აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობს მოქალაქეთა ხარჯების დაზოგვას, ქალაქს მიმზიდველს ხდის ტურისტებისთვის; 2) ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებას. სხვადასხვა მუნიციპალურ სატრანსპორტო საშუალებაზე წვდომის შეთავაზება, რეალურ დროში გრაფიკები და შეუფერხებელი მგზავრობა, ამცირებს პირადი ავტომობილების გამოყენებას და ხელს უწყობს ქალაქის

ეკოლოგიურ გაჯანსაღებას; 3) ჭკვიანი პარკირების გზით ქალაქებს შეუძლიათ შეამცირონ პარკირების პრობლემა სპეციალური მობილური აპლიკაციების დახმარებით, რომლებიც მოქალაქეებს მიაწვდიან ინფორმაციას თავისუფალ საპარკინგე ადგილებზე.

ძირითად შემთხვევებში, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვის პროცესი სამ ეტაპს აერთიანებს:

პირველი ეტაპი - მგზავრებისათვის ხდება ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილების გრაფიკის, დროისა და ადგილის შესახებ შესაბამისი ვებ-გვერდის ან სპეციალური პროგრამის მეშვეობით. ასევე, მუშავდება ყველა სახის მუნიციპალურ ტრანსპორტზე მორგებული და ერთიანი საბარათე სისტემა, რომელიც მგზავრს საშუალებას აძლევს ერთი ბარათის გამოყენებით გადაადგილდეს მისთვის მისაღები, ნებისმიერი მუნიციპალური ტრანსპორტით: თბილისის ტერიტორიაზე ავტობუსებით, მეტროთი და საბაგიროებით მგზავრთა გადაყვანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ახორციელებს. ხოლო მგზავრთა გადაყვანას $მ^2$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებით (მიკროავტობუსი) კი კერძო კომპანია შპს ,,თბილისის მიკროავტობუსი“ უზრუნველყოფს.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში, შესწავლილი იქნა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი - http://ttc.com.ge/ [3]. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მგზავრს აქვს შესაძლებლობა დაგეგმოს მგზავრობა, მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია გრაფიკებზე და მარშრუტებზე, ნახოს ავტობუსი რეალურ დროში, ვებ-გვერდის მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველი გაჩერების ტაბლოდან. ამასთან, კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს მობილურ აპლიკაციას Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

როგორც გამოიკვეთა, ნაკლებად ინფორმაციულია თბილისის მიკროავტობუსების კომპანიის მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი [4]. ვებ-გვერდიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია სასურველი მარშრუტის სვლაგეზთან დაკავშირებით. ასევე, ინფორმაცია მარშრუტის მანძილზე, ხანგრძლივობასა და ტარიფზე.

რაც შეეხება ერთიან საბარათე სისტემას, თბილისში მოქმედი „მეტრომანის" ბარათი წარმოადგენს მუნიციპალურ ტრანსპორტში (მეტრო, ავტობუსი) და რიყე-ნარიყალას საბაგიროთი მგზავრობის საფასურის გადახდის უნივერსალურ საშუალებას. „მეტრომანის" ბარათის მფლობელები ავტომატურად სარგებლობენ ფასდაკლების სისტემით მუნიციპალურ ტრანსპორტში (მეტრო, ავტობუსი), მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა „მეტრომანის" ბარათით გადაიხადონ მგზავრობის საფასური თბილისში მოქმედ მიკროავტობუსებშიც. ამასთან, ,,მეტრომანის" ბარათით სარგებლობისას მგზავრი სარგებლობს ფასდაკლების სისტემით.

მეორე ეტაპი - ე.წ. ,,სმარტ შუქნიშნის“ სისტემის მოწყობა: დედაქალაქში ჭკვიანი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობისა და გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით, ასევე, საკონსულტაციო კომპანიის - GOPA [illegible] ექსპერტების უშუალო მონაწილეობით შემუშავებული იქნა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების გამოყენებით დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას [5].

აღსანიშნავია, რომ ჭკვიან სატრანსპორტო სისტემებში დიდი როლი უჭირავს შუქნიშნების ერთიან ბაზას, რომელიც მოძრაობას და საცობებს ავტომატურ რეჟიმში აკონტროლებს. ჭკვიანი შუქნიშნები საგზაო მოძრაობის კონტროლის ინტელექტუალურ სისტემას წარმოადგენს. ისინი არეგულირებენ ტრანსპორტის გაჩერებისა და მოძრაობის დროსა და ხანგრძლივობას გზის კონკრეტულ მონაკვეთზე შექმნილი სიტუაციის მიხედვით.

მესამე ეტაპი - უსაფრთხოება და კერძო ავტომობილების კონტროლის სისტემა: მოცემულ ეტაპზე, მუშავდება შესაბამისი სისტემა, რომელიც ახორციელებს მძღოლების ინფორმირებას ცუდი ხილვადობის, მოსალოდნელი საცობის თუ ახლომდებარე ავტოავარიის შესახებ. მსგავსი სისტემის შემუშავება საკმაოდ ძვირი და რთულად განსახორციელებელი პროცესია. შესაბამისად, არსებული ვითარების გათვალისწინებით, უფრო რელევანტურად მიგვაჩნია პირველი და მეორე ეტაპებით გათვალის-

წინებული ღონისძიებების სრულყოფილად გატარება.

ჭკვიან მობილობაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს და ახალ ვირუსს „COVID 19“, რომელმაც თითქმის სრულად შეცვალა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დღის წესრიგი. დადგენილია, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი განეკუთვნება ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის ჯგუფს შემდეგი მიზეზების გამო: 1) დახურულ, უჟანგბადო სივრცეში იმყოფება უამრავი ადამიანი, რომელთაც ერთმანეთთან აქვთ მჭიდრო და ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივი კონტაქტი; 2) არ ხდება ავტობუსის მგზავრთა კონტროლი იმ მიზნით რომ გამოვლინდეს პოტენციურად ინფიცირებული ადამიანი; 3) ტრანსპორტში მგზავრებს კონტაქტი აქვთ ისეთ მოწყობილობებთან როგორიცაა: კარის სახელურები, საბარათე სისტემა და სხვა, საიდანაც დიდია ვირუსის გადაცემის ალბათობა.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბევრ ქვეყნებში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში, პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად, გარკვეული ვადით შეიზღუდა მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. უდაოა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი წარმოადგენს გადაადგილების უმთავრეს საშუალებას, განსაკუთრებით პანდემიის დროს, რისთვისაც, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ტრანსპორტით მინიმალური მომსახურების შენარჩუნება, უსაფრთხოების ნორმების დაცვით. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია რომ უზრუნველყოფილი იქნას როგორც მომსახურე პერსონალის, ისე მგზავრთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ამისათვის კი აუცილებელია კომპეტენტური უწყებების რეკომენდაციების დაცვა და მათი მითითების შესრულება.

დასკვნა

როგორც კვლევამ გვაჩვენა, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვის პირველი ეტაპი თბილისში მეტნაკლებად განხორციელებულია. მიგვაჩნია, რომ მგზავრთა გადაადგილების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ავტობუსების მსგავსად, მიკროავტობუსების შესახებაც ვებ-გვერდის ან სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით უფრო მეტი ინფორმაცია იყოს მგზავრთათვის ხელმისაწვდომი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საათნახევრის განმავლობაში უფასოდ მგზავრობის უფლება გავრცელდეს არა მხოლოდ მეტროსა და ავტობუსში, არამედ მიკროავტობუსში გადაჯდომის დროსაც. მნიშვნელოვანია, რომ თბილისში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვის პროცესში შუქნიშნებთან მიმართებაში სრულფასოვნად განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: შუქნიშნების მართვის ცენტრის მოდერნიზაცია, შუქნიშნების ერთმანეთთან სინქრონიზაცია და კავშირი მართვის ცენტრთან, მუნიციპალური ტრანსპორტის პრიორიტეტული მოძრაობის სისტემის დანერგვა, შუქნიშნებისა და არარეგულირებადი გზაჯვარედინების ტრანსპორტის აღმრიცხველი და გამონაბოლქვის დეტექტორებით აღჭურვა და სხვა.

რაც შეეხება პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენას, ამ შემთხვევაში, უნდა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები: 1) სატრანსპორტო საშუალებებში თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს მგზავრთა ქცევის წესები (სასურველია ილუსტრირებული, რადგან მათი აღქმა შეძლოს მგზავრთა უმრავლესობამ); 2) აუცილებელია, როგორც მძღოლების, ისე კონტროლიორების გადამზადება/სწავლება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ თვითონ, რა მითითებები უნდა მისცენ მგზავრებს და რა უნდა მოიმოქმედონ მაშინ, თუ სახეზეა დაინფიცირების შესაძლო შემთხვევა; 3) სატრანსპორტო საშუალებებში უნდა დამონტაჟდეს სპეციალური სადეზინფექციო ხსნარების დისპანსერები; 4) ყოველდღიურ რეჟიმში უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია და სპეციალური საშუალებებით დამუშავდეს სატრანსპორტო საშუალების შიდა სივრცე; 5) სასურველია თუ ერთი ბრუნის შემდეგ, სატრანსპორტო საშუალება რამდენიმე საათის განმავლობაში აღარ გავა მარშრუტზე (ზაფხულის პერიოდში და მცირე მგზავრთანაკადის პირობებში, სხვა შემთხვევაში, ერთეულების არსებული რაოდენობა ამის საშუალებას არ მოგვცემს) და იდეალურია თუ ამ პერიოდში ასევე მოხდება მისი შიდა სივრცის დამუშავება; 6) მგზავრები სატრანსპორტო საშუალებაში უნდა განთავსდნენ სათანადო დისტანციის დაცვით და პირბადეებით (სასურველია ასევე ხელთათმანების გამოიყენება). ამისათვის, სკამებზე უნდა გაკეთდეს სათანადო აღნიშვნა; 7) მძღოლები

და კონტროლიორები ასევე უნდა იყენებდნენ პირბადეებს და ერთჯერად ხელთათმანებს; 8) მძღოლის კაბინა უნდა იყოს იზოლირებული მგზავრებისგან; 9) მძღოლების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია თუ ავტობუსებში ასვლა/ჩამოსვლის დროს მგზავრები ისარგებლებენ მხოლოდ უკანა კარით.

მოცემული წესების დაცვის შემთხვევაში, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის დროს, ვირუსით დაინფიცირების რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ჭკვიანი მობილობის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სერვისების განახლება და მათი მგზავრთათვის სწრაფი, უსაფრთხო, კომფორტული და ხელმისაწვდომი გადაადგილების შეთავაზება უნდა ხდებოდეს გარემო პირობების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახობაძე მერაბ, ტაკიძე ნატალია - ,,მუნიციპალური მმართველობის სრულყოფის გზები „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფციის საფუძველზე“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი ღია დიპლომატიის ასოციაცია სამეცნიერო ჟურნალი ,,ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)", ხელისუფლება და საზოგადეობა - 2019, XIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისი, 2019 წ. გვ.76;
2. ინტერნეტ-პლატფორმა ,,Her Mobility, ჭკვიანი ქალაქის მობილობა, ვებ-გვერდი: ბოლო ნახვა: 17.05.20;
3. შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ვებ-გვერდი: ბოლო ნახვა: 17.05.20;
4. შპს ,,თბილისის მიკროავტობუსი“-ს ვებ-გვერდი: ბოლო ნახვა: 17.05.20;
5. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდი: ბოლო ნახვა: 17.05.20.

A სმ არ ფ ი ნ ა ნ დ ა ს მ ა რ ფ ი ო ბ ა

Kandelaki Ketevan
PhD student of Georgian Technical University

შ ე მ ა ე ბ ი

ი ნ ი ს ა ტ ი ც ვ ლ ე ბ ი ტ ა ს მ ა ტ ე ბ ა A სმ ა ნ ფ ი ო ბ ი ს ნ ა ვ ლ ი ს ე ბ ე ბ ს ა ს ი ე ო ბ ე მ ი ზ ე კ ო ნ ტ ა ქ ტ ი ს ა ნ ტ ი ს ე ბ ი ს ა ნ ტ ი ს ე ბ ი ს ა ნ ტ ი ს ე ბ

სამართლის კულტურის საკითხისათვის საქართველოში

კეცხოველი ირმა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სამართლის ისტორია სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ქართული სამართლებრივი კულტურის ჩასახვისა და განვითარების ისტორიული წინამძღვრები ასახულია ჩვენამდე მოღწეული იურიდული ძეგლების საფუძველზე. აღსანიშნავია ის, რომ ქართველი ერის ისტორიის კულტურული და პოლიტიკური დონე თავად არის სამართლებრივი კულტურის მემკვიდრეობა.

აქვე მინდა აღვნიშნო საქართველოს მთისა და ბარის სამართლებრივი განსხვავებულობა და ცხოვრების წესი, რომლის მახასიათებლები დღემდეა შემორჩენილი და უფრო საინტერესოს ხდის არა მარტო საქართველოს გეოგრაფიულ სივრცეს, არამედ, აგრეთვე, საინტერესოა სხვა ქვეყნების ტრადიციათა ფონზეც და მიმზიდველს ხდის სამართლებრივი კულტურის მრავალწახნაგოვან მოტივაციებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამართალი უძველესი დროიდანვე ინარჩუნებდა რელიგიურ ელფერს და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ამყარებდა საკანონმდებლო წესრიგს, რომელიც გამოხატული იყო მორალური მახასიათებლებითაც. აქედან გამომდინარე, სამართლის კულტურა საქართველოში ორგანულად უკავშირდება პოლიტიკური კულტურის ისტორიასაც.

საკვანძო სიტყვები: სამართალი, სამართლის კულტურა, სახელმწიფო ინტერების, სჯულის კანონი.

ძირითადი ტექსტი

ნაწილი პირველი

ქართველი ერი სამართლის მეცნიერებისა და მართლმსაჯულების დარგში აწარმოებდა მნიშვნელოვან მოღვაწეობას და XII საუკუნიდან დადებითი გავლენა იქონია სისხლის სამართლის ინსტიტუტებისა და სასჯელთა სისტემის ჰუმანურ ხასიათზე. აქვე დავძენთ, რომ რაც უფრო კულტურული და ცივილიზებულია ერი, მით უფრო ჰუმანურია სამართლის კოდექსებიც.

ქართული სამართლის ისტორია თავად განსაზღვრავს ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარების შედარებით მაღალ დონესაც და სამართლის ჰუმანურ ხასიათსაც. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქართული სისხლის სამართალი სხვა ერთა მაშინდელი სისხლის სამართალთან შედარებით უფრო ლმობიერიც იყო, თუმცა XIX საუკუნემდე კანონი იყო მკაცრიც და ულმობელიც, ზოგჯერ ინკვიზიციური ნორმებითაც განსაზღვრული, განსაკუთრებით შეიმჩნეოდა მეზობელ ქვეყნებში.

სამართალი ჰუმანიტარული დისციპლინის მრავალასპექტიანი გაგებაა. კანტი სამართალს უწოდებდა როგორც პირობების შემაერთებელს, რომლის დროსაც განუკითხაობის ერთი მათგანის პირობა შეთანხმებულია მეორესთან, თავისუფლების წესების ერთობლიობასთან. ასე, რომ თანამედროვე პოლიტიკური კულტურის ისტორიაში სამართალის კულტურა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც თავისუფლების ნორმა. არსებობს უამრავი მეცნიერული მიმდინარეობა, რომლებიც სამართლის ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენს: სამართლის თეორია, ეს არის ბუნებრიობის, სამართლის მატერიალური თეორია, ფსიქოლოგიური თეორია და ა.შ.

ქართულ სამართლის ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარებმა წარმოგვიდგინეს ნაშრომების მთელი გალერეა, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოში სამართლის კულტურის შესწავლის საკითხებს: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისთვის“ (1952 წ.) „იოანე ბაგრატიონის სჯულდება“ (1957) „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“ (1-2 ტომი, 1963 წ. 1965 წ.) „ქართული სამართლის ძეგლები,“ „ქართული სამართლის წყაროები“ (2002 წ.) „სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში“ (1952 წ. თსუ შრომები, ტ 47) „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები“ (1960) „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“ (1-3 ტტ.1940-1963 წ) და სხვა.

აღსანიშნავია გიორგი ნადარეიშვილის ქართული სამართლი მკვლევარის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ფაქტიურად სამართლის კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხება რომელთა შორის აღსანიშნავია „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია," თბ.2005 წ, „ქართული სამართლის ისტორია" თბ.2011 წ. „ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები საქართველოს სამართლის ისტორიიდან" I, თბ, 1946 წ. „ბ.ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი" თბ, 2000 წ, და სხვა.

ქართული სამართლის ისტორიის კვლევის სათავეებთან დგას ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 1928-1929 წლებში სამ ტომად გამოსცა „ქართული სამართლისისტორია" - დოკუმენტური მასალისა და პირველწყაროებზე დაყრდნობით შეაფასა ქართული სამართლის ისტორია, მისი განვითარების საფეხურები საუკუნეების მანძილზე და შეიძლება მივიჩნიოთ ქართული სამართლის კულტურის ძეგლად.

უძველეს ხანაში სამართალი დამყარებული იყო ზნე-ჩვეულებებზე. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ „ესე ვითარი ჩვეულებაი აქ უნდა წმინდასა მამასა ჩვენსა ეფთვიმეს, რამეთუ სამთა დღეთა შვიდეულისათა - ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევსა - სენაკსა თვისსა მზის დასვლასა პური და წყალი იხმარის"-ო. სამართალი ან ერის საზოგადოებრივი ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების გაჩენილია. უძველეს ხანაში სამართალი და ერის ზნე-ჩვეულება ერთიდაიგივე იყო, ხოლო შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და მოქალაქეობრივი ცხოვრება შექმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებებს დაშორდა და კანონმდებელი სამართლად გადაიქცა. რაც შეეხება გამონათქვამს „სამოქალაქო წესნი", სამოქალაქო სამართალს კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ მოქალაქეობრივ, კულტურულ ცხოვრებას.

რაც შეეხება ქართულ საეკლესიო სამართალს იგი უმთავრესად მსოფლიო ეკლესიის კანონმდებ-ლობას ემყარებოდა და მსოფლიო ეკლესიის სამართლის მთავარ წყაროდ არის მიჩნეული.

აქედან გამომდინარე საეკლესიო კრებები ამავე დროს იყო კანონმდებლობის სათავე ერთის მხრივ, „მსოფლიო კრებაი", მეორე მხრივ „ადგილობრივი კრებანი." განსაკუთრებული გავლენიანიობის წყალობით საყოველთაოდ მოწონებული და მიღებული იყო ტერმინი „ეპისტოლე კანონიანი". რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერაში ნათქვამია: „გრიგოლ ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკვირველთ მოქმედისა ეპისტოლე კანონიანი, დიდისა ბასილის". საეკლესიო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ მწერლობის ის დარგი იქცა, რომელიც ცნობილ მოძღვართადმი მიმართული კითხვების საპასუხოდ დაწერილ ნაწარმოებს წარმოადგენდა. მაგალითად სახელმწიფო სამოსამართლო წესების მიხედვით არსენ იყალთოელს ტერმინად ნახმარი აქვს „შეკრებაი კანონთაი" და სხვა. მაგალითად სიტყვა „წესი" ხშირად გვხვდება ქართულ მწერლობაში, მაგალითად ექვთიმე მთაწმინდელი „წესში" გულისხმობს ჩვეულებებს „წესი იყო მამისა ჩუანისაი (ეფთვიმესი), რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობენ", ან „წესი იყო მამისა ჩუენისაი, რომელ უკუეთუ დუდი რაიმე საქმე არნ, გინა სამეფოი, გინა ბჭიბისაი, ეკლესიას დაიბნის ძმანი" და სხვა.

„დასტერლამალი" რომელიც ქართული სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. აქვე აღსანიშნავია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება" და „მეფის კურთხევის წესი" გვიჩვენებს, საქართველოს სახელმწიფო წყობილება ისევე როგორც საზოგადოებრივი წყობილება განვითარებისუნარიანი იყო. აღნიშნული ძეგლები ემსახურებოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესებს. ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა საკუთრების დაცვას და სხვა. სახელმწიფო სამართლის ამ მნიშვნელოვან ძეგლს სახელმწიფო მიდგომა სჭირდებოდა და ამიტომაც ტექსტი დაყოფილი იყო ცელკეულ კარებად, რათა სახელმწიფო მოხელეებისთვის მისი გამოყენება გაეადვილებინათ.

სასამართლო წარმოება თავისი განვითარების პირველ საფეხურზე ჩემი აზრით სამართლის კულ-ტურის ისტორიაში მხარეთა შუაკაცთა შემარიგებლურ სამედიატორო ხასიათი საკმაოდ მნიშვნელოვანი მახასიათებელია. სამართლის მნიშვნელობას აძლიერებს ის, რომ მისი წყარო ქართული ადათობრივი სამართალია. რომელიც გამოყენებულია როგორც: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებაში, ასევე სასამართლოს პროცესის, სასამართლო წყობილებაში, ძველი ქართული სისხლის სამართალში; აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ, საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საოჯახო სამართალში, საქორწინო სამართალში, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობის

საკითხებში, მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების საზოგადოებრივი მორალის და საერთოდ ცხოვრებისა და, თუ საკანონმდებლო ნორმების ძირითადი განმსაზღვრელი იყო ეკლესია, რომელიც თავისი სტრუქ-ტურით, ფაქტიურად მეორე სახელმწიფო იყო სახელმწიფოში. იგი საკმაო პოლიტიკური და უფლებრივი შეუვალობით სარგებლობდა და დამოუკიდებელი სასამართლო წარმოების წესებს ფლობდა. აქვე ავღნიშნავ „სჯულის კანონს", რომელიც თარგმნილი იყო ბერძნულიდან და რომელიც აქტიურად წარმო-ადგენდა საერთო ქრისტიანული ეკლესიის ნაწილს (ამ საკითხე ვისაუბრებ თემის შემდეგ ნაწილში).

XVI-XIX საუკუნეებში დაშლილი საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი ხშირად გამომდინარე ცვალებადი მდგომარეობით იცვლებოდა, მაგრამ არ იცვლებოდა მეფეებისა და მთელი საზოგადოების რელიგიურ-კულტურული ფონი. ჩნდებიდა კიდეც რელიგიური დოგმებიც, რაც სამწუხარდო, ნათლად აისახა იმ პერიოდის როგორც კულტურულ, ასევე სამართლებრივ წესებშიც. ხოლო ამჯერად ჩვენი მიზანია და შევეხეთ მხოლოდ სამართლის კანონების დანერგვა, მისი აღსრულება და სხვა თეორიული საკითხები. კანონი სხვადასხვანაირი იყო ქრისტიანულ სახელმწიფოშიც (ვგულისხმობ, მაგალითად, პეტრე I-ის ბრძანებულებას ორცოლიანობის შესახებ 1721 წელს), მხოლოდ პირობა იყო რომ მართლმადიდებლურ რწმენაზე უარი არ უნდა ეთქვათ. კანონის მიხედვით, ასეთი გადაწვეტილება საქართველოში არ მიუღიათ და არც დაფიქსირებულა.

რაც შეეხება საქართველოში ქართულ სამართლებრივ კულტურას და სამართლებრივ ცხოვრებას, ყოველთვის განაპირობებდა ჩვენი წინაპრების მაღალ მართლშეგნებას და რაც მთავარია საქართველოს მემკვიდრეობით ერგო უძლიერესი სამართლებრივი კულტურა. საქართვლოს ისტორიის ხანგრძლივი და დატვირთული ცხოვრება მართალია, ყოველთვის არ იყო ერთგვაროვანი, მაგრამ მრწამსი სამართლიანობისა ყოველთვის თან სდევდა; თითქმის ყველა სახელმწიფო მოღვაწე მეფე იყო, თუ ეკლესიის მსახური, ყველა პოლიტიკური პერიპეტიების მიჯნაზე სამართალი მუდამჟამს ემსახურებოდა ხალხს და მომავალს. ძნელიც არის და რთულიც ყველა ის აურაცხელი წინააღმდეგობები, რომელიც ქართველმა ხალხმა გადაიტანა თავისი ისტორიის მანძილზე, მაგრამ ფაქტი ერთია, ის შეუდრეკელი ძლიერება სულისა და ხორცისა თან სდევდა ყოველთვის.

სამართლის ისტორია კაცობრიობის სულიერ კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია ქართული სამართლებრივი კულტურის ჩასახვისა და განვითარების ისტორიული წინამძღვრები ასახულია ჩვენამდე მოღწეული იურიდიული ძეგლების საფუძველზე. აღსანიშნავია ის, რომ ქართველი ერის ისტორიის კულტურული და პოლიტიკური დონე არის სამართლებრივი კულტურის მემკვიდრეობა. ამავე დროს შესაძლებლობა გვეძლევა განვიხილოთ ის ტრადიციული, თუ რიტუალური ნორმებიც, რომელიც ესოდენ ახასიათებდა საქართველოს, როგორც ადრეულ, ასევე შუა საუკუნეებში შეიცავდა მრავალ ნორმატივებს, რომელთა გამოძახილმა დღემდე მოაღწია. (განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სქესობრივ-ასაკობრივ მონაცემების მიხედვით, როდესაც ადრეულ საუკუნეებში ინიციატორი გამო-დიოდა ტომის ბელადი; ხოლო შემდგომ პერიოდში „უხუცესნი", ან „ბერნი", რომელიც, ფაქტიურად, წინამძღოლს ნიშნავდა). ზემოთ აღვნიშნე ის, რომ მეზობელი ქვეყნების ხალხთა ზნე-ჩვეულებები, ბევრად ჩამორჩება ქრისტიანული წყობის ქვეყნების ცხოვრების წესს, მიუხედავად ამისა, რიტუალური გაზვიადებული ფორმები შემორჩენილია დღევანდელ საქართველოში. აქვე მინდა ავღნიშნო, საქარ-თველოს მთისა და ბარის სამართლებრივი ტრადიციების განსხვავებულობის ზოგიერთი მახასიათებ-ლები, მაგრამ, ჩემი აზრით, დღემდე შემორჩენილ ტრადიციათა წესი საინტერესოს ხდის არა მარტო საქართველოს გეოგრაფიულ სივრცეს, ასევე სხვა ქვეყნების სხვადასხვა სახის ტრადიციები ანსხვავებს სახელმწიფოთა შორის სამართლის კულტურას და, ზოგ შემთხვევაში, ცხოვრების წესის მახასიათებ-ლებსაც.

ლიტერატურა:

1. ივ.ჯავახიშვილი, ტ VII, თბილისი, 1984 წ.
2. ივ.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. VI, თბ, 1982
3. ი.დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953
4. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.
5. ქართული სამართლის ისტორია, თბ, 2011 წ.
6. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისთვის, თბ. 1952
7. სამართალი ვახტანგ VI-სა, თბ. 1981
8. ქართლის ცხოვრება ტ I I თბ.1959
9. ჟ. ერიაშვილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ძველი მოსახლეობის ეთნო-სოციალური სტრუქტურის საკითხები თბ. 2001 წ.

Abo[illegible] in G[illegible]

Ketskhoveli Irma
Professor of Georgian Technical University

[illegible]

Hi[illegible] First [illegible] Geo[illegible]

[illegible] Geo[illegible]

ელექტრონული ტენდერების სისტემის მოდიფიცირება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის

კობიაშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კიკნაძე მზია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქუთათელაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვს ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ამიტომ განსაკუთრებით აქტუალურია ინოვაციური ბიზნესმოდელების შექმნა და მომსახურების წვდომის ამაღლების ახალი გზების მოძებნა, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის წინსვლას.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ელექტრონული ტენდერების დანერგვა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში. ამ მიმართულებით დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა ტენდერების ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

სტატიაში წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების ელექტრონულ ტენდერებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათი ამ სფეროში მოტივირების დაბალი დონის მიზეზების დასადგენად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, გაანალიზებულია აღნიშნული შედეგები, დასაბუთებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისთვის საჭირო ღონისძიებები, შემოთავაზებულია ელექტრონული ტენდერების მოდიფიცირების გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთათვის ელექტრონულ ტენდერებში ჩართულობის მოტივაციის გაზრდას.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაცია, ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული შესყიდვები, მცირე და საშუალო ბიზნესი, მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ანალიზი.

ძირითადი ტექსტი

„GOOD GOVERNANCE“-ის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია საჯარო ფინანსების ეფექტურად მართვა. საჯარო ფინანსების კარგი მართვა კი ღია, გამჭირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო შესყიდვის გარეშე წარმოუდგენელია [1].

ნებისმიერი განვითარებისაკენ მსწრაფი სახელმწიფო ცდილობს განივითაროს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი საკუთარი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და რადგანაც სახელმწიფო შესყიდვები ყველაზე მეტად იზიდავს კორუფციას, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაუმართაობა ქვეყანაში მუდმივად ანტიკორუფციულ სიტუაციას განაპირობებს.

საქართველოში 2010 წლიდან სახელმწიფო ტენდერები ტარდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ერთიანი ელექტრონული სისტემა წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მიმწოდებლებს და იძლევა საშუალებას ელექტრონული ფორმით წარიმართოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, კერძოდ, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფიქსირდება და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი ხდება შემსყიდველი ორგანიზაციების წლიური გეგმები, დოკუმენტაციები, სატენდერო განცხადებები და მიმწოდებელთა სატენდერო წინადადებები, სატენდერო კომისიის სხდომების ოქმები, კორესპონდენცია მიმწოდებლებთან, ხელშეკრულებები და შესყიდვებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია [2].

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვს მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედია.

უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად მოხდა ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება, უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის გაცილებით კომფორტული გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, კორუფციასთან ბრძოლა, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება. ამან გარკვეული ეკონომიკური ზრდა განაპირობა, მაგრამ სამეწარმეო სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში მაინც 20%-ზე ნაკლებია.

ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ელექტრონული ტენდერების დანერგვა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში, რამაც განაპირობა [3-6]:

გამჭვირვალობა. შესყიდვების პროცესი, დაწყებული ტენდერის გამოცხადებით და დამთავრებული გამარჯვებულის დასახელებით, საჯაროდ ხელმისაწვდომია ელექტრონული შესყიდვების ვებგვერდზე.

ეფექტიანობა. შესყიდვების ელექტრონული სისტემა ეფექტიანია არა მხოლოდ მასში მონაწილე კომპანიებისთვის, არამედ სახელმწიფო დაწესებულებებისთვისაც, რადგან ყველა პროცედურა, დაწყებული კომპანიების განაცხადების მიღებით და მათი ტექნიკური მონაცემების შეფასებით და დამთავრებული ფასების შეთავაზებით და გადახდით, ელექტრონული სისტემის ფარგლებში ხდება.

თანაბარი პირობები და კონკურენცია. შესყიდვების სისტემის ფუნდამენტური მოთხოვნებია თანაბარი პირობები და კონკურენცია. ელექტრონულმა სისტემამ ასევე გაუმარტივა საქმიანობა რეგიონულ კომპანიებს.

ღირებულება და ხარისხის გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ გამორიცხავს სხვა კრიტერიუმების გამოყენებასაც, შესყიდვების დროს მაინც ფასს ექცევა ყველაზე დიდი ყურადღება და გადაწყვეტილებაც შემოთავაზებული ფასის საფუძველზე მიიღება. ბიზნესსექტორის არაერთი წარმომადგენლის თქმით, გადაწყვეტილების მიღების დროს ფასისა და ხარისხის კრიტერიუმის ერთდროულად გამოყენება დადებით გავლენას მოახდენს შესყიდვების პროცესის ეფექტურობაზე.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა ინოვაციური ბიზნესმოდელების შექმნა და მომსახურების წვდომის ამაღლების ახალი გზების მოძებნა, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს ელექტრონულ ტენდერებში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის მონაწილეობის სტიმულირებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას და საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესის გაძლიერებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების ელექტრონულ ტენდერებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათი ამ სფეროში მოტივირების დაბალი დონის მიზეზების დასადგენად ჩავატარეთ კვლევა, რისთვისაც შევარჩიეთ 18 მცირე და 10 საშუალო საწარმო.

კვლევა ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვის ფორმაში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა საწარმოებმა, როგორიცაა: აგროფირმები, რესტორნები, მინიმარკეტები და მარკეტები, ხის დამამუშავებელი საწარმოები, საკონდიტროები, ლითონის ნაკეთობების დამამზადებელი საწარმოები, აფთიაქები, ფეხსაცმლის ინდკერვის საწარმოები და ტანსაცმლის სამკერვალოები.

კვლევისათვის შედგენილ იქნა 30 კითხვა, რომელთა მიზანი იყო მცირე და საშუალო საწარმოების ელექტრონულ ტენდერებში არმონაწილეობის მიზეზების დადგენა და, საზოგადოდ, ბიზნესის ამ სექტორში არსებული პრობლემების ანალიზი. კითხვებზე პასუხების დასამუშავებლად გამოვიყენეთ რაოდენობრივი შეფასების მეთოდი. კვლევა შედგებოდა შემდეგი ბიჯებისაგან:

- შეიქმნა გამოკითხვისათვის საჭირო კითხვების ჩამონათვალი;
- ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა ორი ჯგუფისათვის. ერთში გაერთიანებული იყო მცირე საწარმოები, მეორეში – საშუალო საწარმოები;
- დამუშავებულ იქნა მიღებული რიცხვითი მონაცემები;

- კვლევის შედეგების მიხედვით აიგო მონაცემთა ცხრილი;
- კვლევის შედეგები სხვა მონაცემებთან ერთად გამოყენებულ იქნა რეკომენდაციების დასამუშავებლად ელექტრონული ტენდერების სისტემის მოდიფიკაციისათვის იმ მიზნით, რომ ელექტრონული ტენდერების სისტემა მაქსიმალურად ხელშემწყობი გახდეს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მიერ ელექტრონული ტენდერების გამოყენების თვალსაზრისით ჩატარებულმა კვლევებმა და ბოლო ათწლეულში დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა მათი ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

1. მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის საჭიროა ელექტრონულ შესყიდვებში შეიქმნას სპეციალური ოფცია მხოლოდ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. ოფციის ორგანიზაცია უნდა ისეთი ფორმით მოხდეს, რომ ის უზრუნველყოფდეს მარტივ წვდომას და გარკვეულ შეღავათებს უწესებდეს მცირე მეწარმის სტატუსის მქონე პირებს. ეს მათი ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მოტივაციას გააძლიერებს; შეღავათის შესაძლო სახეებია: 1) მოსაკრებლის გაუქმება ტენდერში მონაწილეობისათვის; 2) ტენდერისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოცულობისა და ამ დოკუმენტაციისადმი წაყენებული მოთხოვნების მინიმუმამდე დაყვანა; 3) პრეტენდენტების განხილვის დროს მცირე მეწარმის სტატუსის მქონე საწარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა კვლევის მიზნით მცირე მეწარმეთა გამოკითხვა. გამოკითხულთა 98%-მა ელექტრონულ შესყიდვებში მათი არმონაწილეობის მიზეზად დაასახელა პირველადი მოსაკრებლის გადახდა. მოსაკრებლის გადახდა მცირე მეწარმის ფინანსურ მდგომარეობაზე აისახება უარყოფითად და, ამასთან, შესაძლოა ეს დანახარჯი ფუჭი აღმოჩნდეს, რადგან მან ვერ გაიმარჯვოს ტენდერში. გამოკითხულთა 74%-მა კითხვაზე „რა შემთხვევაში მიიღებდით მონაწილეობას ელექტრონულ ტენდერში“ უპასუხა, რომ ისინი აუცილებლად მიიღებდნენ მონაწილეობას ტენდერში, ამისათვის აუცილებელი დოკუმენტების ნაკრები რომ უფრო მცირე იყოს და ამ დოკუმენტების მოსაგროველად არ იყოს დიდი დრო საჭირო.

2. გამოკითხულთა 57% ამბობს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის შევსება შრომატევადია, საჭიროებს დიდ დროსა და ძალისხმევას. ამიტომ სასურველია მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის შევსების წესის გამარტივება, რაც გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო დროს შეამცირებს და დოკუმენტაციის შედგენისას შესაძლო შეცდომების რაოდენობასაც მინიმუმამდე დაიყვანს.

3. ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მეწარმეების 76% უჩივის ინფორმაციის სიმცირეს ბაზარზე არსებული საქონლის, მისი ფასებისა და პარამეტრების შესახებ. მართლაც, საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით ერთ-ერთი პრობლემაა გასაყიდი საქონლის შესახებ ინფორმაციის ნაკლები ხელმისაწვდომობა. საქონლის ფასების ყოველდღიური მონიტორინგის მიზნით საჭიროა შეიქმნას მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ქვეყანაში იმპორტირებული თუ ადგილობრივი პროდუქციის შესახებ და აგრეთვე ინფორმაცია მათი ფასებისა და მათი ტექნიკური პარამეტრების შესახებ. მონაცემთა ბაზაში ასევე საჭიროა აისახოს ბაზარზე არსებული ფასების ყოველდღიური მონიტორინგის შედეგები. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი დინამიკური უნდა იყოს. ამ პროცესის შედეგად შეიქმნება პროდუქციის ასორტიმენტთან და მის ღირებულებასთან მიმართებაში დინამიკურად ცვალებადი მონაცემთა ბაზა, რომლის ყოველკვირეული განახლების ვალდებულება ექნება შესაბამის დარგში არსებულ თითოეულ ფირმას. სისტემაში ავტომატურად მოხდება ფირმების მიერ ატვირთული მონაცემების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშება და საშუალო საბაზრო ღირებულების დადგენა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაციები გამოიყენებენ ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას. აღნიშნული მეთოდიკა უაღრესად გააადვილებს ბაზრის კვლევის პროცესს და რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ ფასად მოხდება ტენდერის გამოცხადება, რაც გამოიწვევს თანხების რაციონალურ ხარჯვას და იმთავითვე გაზრდის ეფექტურობას. კითხვაზე „რა აზრის ხართ პროდუქციისა და ნედლეულის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნაზე?“ მცირე საწარმოთა წარმომადგენლების 25,6%-მა უპასუხა, რომ ეს ძალიან სასარგებლო იდეაა, 24,3%-მა უპასუხა, რომ ეს არაფერს შეცვლის, ხოლო 50,1%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. იმავე კითხვაზე პასუხები საშუალო ზომის

საწარმოთა წარმომადგენლების მხრიდან ასე განაწილდა: 53,2 % – „იქნება ძალიან სასარგებლო“, 13,5 % – „არაფერს შეცვლის“, 33,3% – „მიჭირს პასუხის გაცემა“.

4. ელექტრონული ტენდერების ეფექტიანობას გააძლიერებს კოპირების მეთოდის დანერგვა, რაც გულისხმობს არშემდგარ ტენდერებში განმეორებითი მონაწილეობის პროცედურის გამარტივებას. დისკვალიფიცირებული მიმწოდებლებისა და არშემდგარი ტენდერებისათვის ამჟამად ხდება ტენდერის თავიდან გამოცხადება, რაც დროის ზედმეტ ხარჯვას განაპირობებს. გარდა ამისა, საჭირო ხდება დოკუმენტაციის გარკვეული მოდიფიცირება, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ართულებს ხელახალი რეგისტრაციის პროცესს და იწვევს ტენდერში მონაწილის მოტივაციის შემცირებას. ამიტომ მიზანშეწონილია ტენდერის განმეორებით გამოსაცხადებლად იყოს არშემდგარი ტენდერის კოპირების მეთოდით მარტივად განახლების შესაძლებლობა. კითხვაზე „უფრო მეტად მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ელექტრონულ ტენდერებში, თუ გაადვილდებოდა მათში ხელმეორედ მონაწილეობის პროცედურა?“, მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა 95,5%-მა, ხოლო საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა 96,9%-მა უპასუხა, რომ აუცილებლად მიიღებდა.

5. კითხვაზე „უფრო აქტიურად მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ელექტრონულ ტენდერებში, თუ გექნებოდათ მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღების გარანტია?“, მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა 97,3%-მა, ხოლო საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა 99%-მა უპასუხა დადებითად.

შესაბამისად, საჭიროა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი რისკები და შემუშავდეს ტექნიკური დავალების დახვეწისათვის საჭირო რეკომენდაციები, რათა უხარისხო საქონლის ან მომსახურების მიღების ალბათობა შემცირდეს. ამისათვის კი ტენდერის გამოცხადებამდე აუცილებელია საქონლის შესყიდვამდე მოხდეს ხარისხიანი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შესწავლა.

6. კითხვაზე „უფრო აქტიურად მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ელექტრონულ ტენდერებში, თუ ქართული პროდუქციის წარმოება უფრო მეტად იქნებოდა წახალისებული?“ მცირე მეწარმეთა 96,3%-მა უპასუხა დადებითად, ხოლო საშუალო მეწარმეთა 100%-მა იგივე კითხვას დადებითი პასუხი გასცა. ამიტომ მიზანშეწონილია ქართული წარმოების წახალისება. ამ მიზნით ელექტრონული ტენდერების სისტემაში უნდა დაემატოს ახალი ოფცია ქართული პროდუქციის წარმოებაზე შეღავათის დაწესებისათვის, კერძოდ, ტენდერის შესაბამის ფანჯარაში უნდა შეიქმნას დამატებითი ველი შეღავათის დასაწესებლად იმ კომპანიებისათვის, რომლებიც საკუთარი ქართული პროდუქციით მიიღებენ ტენდერში მონაწილეობას. შეღავათი შეიძლება იყოს: 1) მოსაკრებლის გაუქმება ტენდერში მონაწილეობისათვის; 2) წარმოებული დოკუმენტაციის რაოდენობასა და მისადმი წაყენებული მოთხოვნების მინიმიზაცია; 3) განხილვისას იმპორტირებულ საქონელთან შედარებით ქართული პროდუქციისათვის პრიორიტეტის მინიჭება.

7. კითხვაზე „მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე?“, რესპოდენტთა საშუალოზე ნაკლებმა ნაწილმა უპასუხა დადებითად, კერძოდ, დადებითი პასუხების რაოდენობა მცირე მეწამეთა მხრიდან შეადგენდა 40,2%-ს, ხოლო საშუალო მეწარმეთა მხრიდან – 27,4%-ს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია საზოგადოდ ტენდერებზე და კონკრეტულად მათ კერძო სახეობებზე.

ტენდერი აუქციონის გარეშე გამორიცხავს შემსყიდველისათვის ტენდერის დასრულების შემდეგ ერთზე მეტი მიმწოდებლის დანახვას ამ მიმწოდებლის დისკვალიფიკაციამდე ან გამარჯვებულად გამოვლენამდე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს შემსყიდველის მხრიდან კონკრეტული კომპანიის მიმართ სიმპათიის გაჩენას.

8. ელექტრონული ხელმოწერის უზრუნველყოფა. ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონული საშუალებებით შექმნილი მონაცემი (სუბიექტის ვინაობის შემცველი ინფორმაცია), რომელიც დაკავშირებულია ლოგიკურად სხვა ელექტრონულ ინფორმაციასთან და მიზნად ისახავს ამ დოკუმენტის ავტორის ვინაობის განსაზღვრას. ხელით შესრულებული ხელმოწერის მსგავსად, ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტის ავტორის იდენტიფიკაციის მიზნით. განსხვავებით ჩვეულებრივი ხელმოწერისაგან, ელექტრონული ხელმოწერა არ არის ხელმომწერის მიერ საკუთარი ხელით შესრულებული; ის იქმნება ელექტრონული მოწყობილობისა და შესაბამისი კომ-

პიუტერული პროგრამის გამოყენებით. ამის გამო ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულ ურთიერთობებში. (მაგალითად, კომუნიკაცია კომპიუტერის ან ინტერნეტის მეშვეობით). ელექტრონული ხელმოწერის ყველაზე გავრცელებულ სახეობებს წარმოადგენს: ხელმოწერა ელექტრონულ ფოსტაში შედგენილ წერილზე, ან PIN-ი, რომელიც შეყვანილია მფლობელის მიერ, ან კლასიკური ხელმოწერის ფაქსიმილე.

კითხვაზე „ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობა გაამარტივებდა თუ არა თქვენს მონაწილეობას ელექტრონულ ტენდერებში?“ მცირე საწარმოთა წარმომადგენლების 45,4%-მა უპასუხა, რომ მიიღებდა, 22,7%-მა უპასუხა უარყოფითად, ხოლო 38,9% ვერ განსაზღვრა, იქნებოდა, თუ არა ელექტრონული ხელმოწერის შემოტანა მათი გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი. საშუალო მეწარმეთა შემთხვევაში კი ეს ციფრები შემდეგნაირად გადანაწილდა: „კი“ – 50,2%, „არა“ – 38,3%, „მიჭირს პასუხის გაცემა“ – 11,5%.

9. კითხვაზე „ხართ თუ არა ინფორმაციის დამუშავების მეტი ავტომატიზების მომხრე ელექტრონული ტენდერების წარმოებაში?“, რესპოდენტების პირველი ჯგუფის წარმომადგენელთა 64,5%-მა გასცა დადებითი პასუხი, ხოლო მეორე ჯგუფის წარმომადგენელთა – 72%-მა. საქონლის მიღების დროს სასაწყობე დაწესებულებების მიერ პროდუქციას მიენიჭება უნივერსალური კოდი, რომლის საშუალებითაც აიტვირთება პროდუქციის ნაშთი როგორც სასაწყობე სისტემაში, ისე ელექტრონულ სისტემაში, რის შემდეგაც სისტემა თავად მოახდენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფას, ითვლის მონაცემებს, თუ რა დონეზე შესრულდა ხელშეკრულება. გამოითვლის საჯარიმო სანქციებს, თუ კომპანია ჯარიმდება და დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე ახდენს თანხის გადარიცხვას, რომელსაც ასახავს საკუთარ ანგარიშგებაში. ფაქტობრივად, აღნიშნული ინოვაციის დანერგვის შემთხვევაში, როგორც შესყიდვების სპეციალისტის, ისე ბუღალტერის საქმიანობის დიდი ნაწილი განხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით.

კითხვაზე „რა აზრის ხართ ელექტრონულ ბუღალტერიაზე?“, რესპოდენტთა 60% პირველი ჯგუფიდან დაეთანხმა პასუხს „დადებითი“, 40% ამ საკითხზე ჩამოყალიბებული არ არის, უარყოფითი პასუხი არავის გაუცია. რესპოდენტთა მეორე ჯგუფიდან პასუხს „დადებითი“ მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 73,5%-მა, 25%-ს არ აქვს სათანადო პასუხი, ხოლო კითხვაზე უარყოფითად უპასუხა გამოკითხულთა 1,5%-მა.

დასკვნა

იმის გამო, რომ მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში იზღუდებოდა სამეწარმეო საქმიანობა, მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ვითარდებოდა სათანადოდ, რამაც განაპირობა ჩამორჩენა ამ სფეროში. ბიზნესის ამ ფორმების განვითარებაში ერთ-ერთ მასტიმულირებელ ფაქტორად გვესახება მათი ელექტრონულ შესყიდვებში აქტიურად ჩართვა. შემსყიდველი ორგანიზაციები არ ახდენენ მათ სათანადოდ სტიმულირებას, ეს კი საფუძველს უქმნის გამოწვევას – მცირე და საშუალო მეწარმეთა ელექტრონულ ტენდერებში არმონაწილეობას.

ამ ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მცირე და საშუალო საწარმოთა ფართო ჩართულობა, როგორც წესი, დადებითად აისახება არა მხოლოდ ცალკეული შესყიდვის შედეგებზე, არამედ თავის კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს დასაქმებასა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე.

უკანასკნელ წლებში ელექტრონული ტენდერების გამოყენების გამოცდილებამ აჩვენა მათი ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა ინოვაციური ბიზნესმოდელების შექმნა და მომსახურების წვდომის ამაღლების ახალი გზების მოძებნა, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სათანადო სურვილისა ჩამოყალიბებას ტენდერებში მონაწილეობისათვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ.ქუთათელაძე, ა.კობიაშვილი, მ.მელიქიძე. ელექტრონული სერვისების როლი საქართველოს რეალობაში. სტუ, შრომები, #3(509), თბილისი, 2018, გვ. 79-86.
2. ა.კობიაშვილი, მ.მელიქიძე. ელექტრონული ტენდერების გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი. სტუ, არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, #22, თბილისი, 2018, გვ.183-187.
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo
4. http://www.doingbusiness.org/~/media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Annual-Reports/English/DB13-full-report.pdf
5. http://www.pwc.com/gx/en/paying-taxes/overall-ranking-and-data-tables.jhtml
6. EBRD. Turning Best Practice into Policy: Public Procurement Reform Agenda. 2013. http://www.ebrd.com/downloads/research/law/lit113.pdf

Modifying the Electronic Tender System to Support Small and Medium-Sized Business

Kobiashvili Ana
Professor of Georgian Technical University

Kiknadze Mzia
Professor of Georgian Technical University

Kutateladze Ketevan
Professor of Georgian Technical University

შუმმ არყ

შმ ალ ფ ლ მ ემ ფ -სიზ ფ ს ნ ესსალ ან (კ ფ ა ნ ა (ნ ლ ვ ელ (ენ ფ (((

ადამიანური რესურსების მართვა ადგილობრივ თვითმმართველობებში

ლომიშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი

აბტრაქტი

ადამიანური რესურსები ორგანიზაციის ყვლევაზე უნიკალური და ძვირადღირებული კაპიტალია. მისი ეფექტიანი მართვა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომაა, რომ ადამიანური რესურსების მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მის ხარისხზეა დამოკიდებული შრომის ეფექტიანობა ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.

ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა და პროცესების გაუმჯობესება. ადგილობრივი თვითმართველობაში საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების განყოფილებები საკმარისად ვერ უზრუნველყოფენ საჯარო მოხელეთა სწორ მართვას და მათი ფუნქცია ძირითადად კონტრაქტის გაფორმებით ამოიწურება, საჯარო მოხელეთა პროფესიული უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია, ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება პროფესიულ მოთხოვნებს და სამუშაო აღწერილობებით არ არის სრულყოფილი. აქედან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ დონეზე სწორად შერჩეული კადრები, კვალიფიციური მოთხოვნების შესაბამისად ძლიერ ადგილობრივ თვითმართველობას ქმნის, რომელიც მოსახლეობას უკეთეს პროგრამებსა და მომსახურებას სთავაზობს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსი, ადგილობრივი თვითმართველობა, კადრები, საკადრო პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

მუნიციპალური მართვის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების წარმატებით გადაწყვეტა. იგი განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე, როდესაც დღის წესრიგში დგება ადგილებზე მუნიციპალური სტრუქტურების ეფექტური ფუნქციონირების და ადგილობრივი საკადრო პოლიტიკის გატარების საკითხი. განვითარებული ქვეყნების თვითმმართვლობათა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადამიანური რესურსების მართვაში მუნიციპალიტეტების დონეზე შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ეტაპი:

1. ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნილების დაგეგმვა ანუ ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება;
2. მუნიციპალური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე პერსონალის მოწვევა და ადგილებზე თანამდებობების მიხედვით პოტენციურ კანდიდატთა რეზერვის შექმნა;
3. შერჩევა. სამუშაო ადგილების მიხედვით შექმნილი რეზერვიდან საუკეთესო კანდიდატების შერჩევა;
4. მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისათვის ხელფასისა და შეღავათების განსაზღვრა. ადგილებზე სპეციალისტთა დაქირავებისა და შენარჩუნების მიზნით;
5. ადგილებზე კადრების პროფესიული ორიენტაცია და ადაპტაცია ანუ იმის გათვითცნობიერება თუ რას მოელიან მათგან ორგანიზაციაში;
6. ადგილობრივი კადრების სწავლება. ტრენინგ-სემინარების პროგრამების დამუშავება შრომითი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს სამუშაოთა ეფექტურად შესრულებას;
7. შრომითი საქმიანობის შეფასება. შრომითი საქმიანობის შეფასების მეთოდიკის დამუშავება და მისი დაყვანა შემსრულებლებამდე;
8. დაწინაურება, დაქვეითება, გადაყვანა, განთავისუფლება. მუნიციპალურ სტრუქტურებში მაღალი ან დაბალი პასუხისმგებლობის თანამდებობებზე მუშაკთა გადაადგილების მეთო-

დების დამუშავება;

9. ხემძღვანელი კადრების მომზადება-გადამზადება. ამ მიზნით სათანადო პროგრამების დამუშავება.

მუნიციპალურ სტრუქტურებში საკადრო პოლიტიკის პირველი ეტაპის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ადამიანური რესურსების სწორად დაგეგმვა, რომელიც უკავშირდება შტატებითა და პერსონალით დაკომპლექტებას. დღეისათვის ქვეყანაში მომქმედ მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების დაგეგმვას საფუძვლად უდევს არსებული რესურსების შეფასება, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს კადრების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება.

ქვეყანაში ეკონომიკური გარემოს ცვლილებები მნიშვლენოვან გავლენას ახდენს ადამიანური რესურსების მოთხოვნაზე, რაც მუნიციპალიტეტების ხემძღვანელებისაგან მოითხოვს მიმდინარე პროცესების და ტენდენციების გააზრებას და მის საფუძველზე ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დამუშავებას. მუნიციპალიტეტების ხემძღვანელობამ უნდა განახორციელოს სამუშაოს სტრუქტურის გაანალიზება. ამ სახის ანალიზი ეყრდნობა რამოდენიმე მეთოდს, რომლის ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება მუშაკთან უშუალო გასაუბრებას და მის საფუძველზე სათანადო ინფორმაციის მიღებას. სამუშაოს სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია საფუძვლად უდევს შრომითი რესურსების დაგეგმვის შემდგომ ღონისძიებებს. აგრეთვე სამსახურებრივი ინსტრუქციის ანუ მუშაკის ტექნიკური დავალების შედგენას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მის ძირითად მოვალეობათა და უფლებათა სრულყოფილ ჩამონათვალს.

პერსონალის მოწვევის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა თანამდებობის მიხედვით კანდიდატთა რეზერვის შექმნა, საიდანაც მუნიციპალიტეტი შეარჩევს ყველაზე უფრო მისაღებ თანამშრომლებს. ამ მიმართულებით საქმიანობის საშუალებად ითვლება განცხადების გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ან ადგილობრივი მოსახლეობის მოწვევა მუნიციპალიტეტის შესაბამის განყოფილებაში განცხადების შესატანად.

ზემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით შემდეგ ეტაპს წარმოადგენს კადრების შერჩევა, რომლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა შემდეგი სამი მეთოდით ინფორმაციის მიღება; გამოცდა, გასაუბრება და შეფასება.

თანამედროვე მიდგომებით აღიარებულია გამოცდის რამოდენიმე სახე. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს დასახული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობების გაზომვა. ეს მეთოდი შესაძლებელია წარმატებით იქნეს გამოყენებული იმ სფეროებში სადაც არის საშუალება დემონსტრირებულ იქნეს კონკრეტული სამუშაო(სტენოგრაფია, მეტყველება, წერითი სამუშაო). მეორე მეთოდი ფსიქოლოგიური ხასიათისა და მიზნად ისახავს კანდიდატის ინტელექტის, საკუთარი ძალების რწმენის, ემოციური მდგომარეობის და ა.შ. განსაზღვრას.

ხელფასისა და შეღავათების განსაზღვრისას საჭიროა მოქნილი და ეფექტიანი მიდგომა, რათა სათანადოდ იქნეს ანაზღაურებული მუშაკის შრომა მისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და სხვა პარამეტრების შესაბამისად. თანამედტოვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანთა რესურსების განვითარების რეგულირება, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი განეკუთვნება პროფესიულ ორიენტაციასა და სოციალურ ადაპტაციას კოლექტივში.

ადამიანის ახალ საზოგადოებაში შესასვლელად ორგანიზაციები იყენებენ როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ საშუალებებს. ფორმალურად, როდესაც ხდება ადამიანის დაქირავება, ორგანიზაცია აწვდის მას სათანადო ინფორმაციას იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატის იმედები იყოს რეალური. როგორც წესი, ყოველივე ამას ლოგიკურად მოსდევს სპეციალური შრომითი ჩვევების სწავლება და საუბარი იმის შესახებ, თუ რა ითვლება ეფექტურ საქმიანობად.

არაოფიციალურ ურთიერთობათა დროს ახალი მუშაკები ეცნობიან ორგანიზაციის დაუწერელ წესებს. ვინ ფლობს რეალურ ხელისუფლებას, როგორია წინსვლის რეალური შანსი, შრომის ნაყოფიერების რა დონეს თვლიან მისაღებად კოლეგები და ა.შ. ნორმები, სამუშაოსადმი დამოკიდებულება და ღირებულებები, რომლებიც მიღებულია არაფორმალურ ჯგუფებში, შეიძლება მოქმედებდნენ ორგანიზაციის ოფიციალური მიზნების როგორც საზიანოდ ისე სასარგებლოდ.

მუნიციპალიტეტებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების მოთხოვნა. ბევრი მათგანი, ამავე დროს, დიდ ყურადღებას აქცევს შრომითი რესურსების საერთო ხარისხს. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი რეალური გზაა კვალიფიციური პერსონალის შერჩევა, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა მუშაკთა სისტემატიური სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება, რაც საშუალებას აძლევს ყოველ მათგანს სრულად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ამ ღონისძიებათა საბოლოო მიზანს წარმოადგენს სათანადო ჩვევებითა და შესაძლებლობებით აღჭურვილი პერსონალით ორგანიზაციის ოპტიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც წარმატებით შეასრულებს დასახულ ამოცანებს.

სწავლების მნიშვნელოვა საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა სამწუხაროდ, ბევრი ხემძღვანელი სათანადოდ ვერ აცნობიერებს მასთან დაკავშირებულ ყველა სირთულეს. სწავლება სასარგებლო და აუცილებელია სამ ძირითად შემთხვევაში: როდესაც ადამიანი მიდის ახალ სამსახურში, როდესაც ადამიანს ნიშნავენ ახალ თანამდებობაზე ან მას ავალებენ ახალი სამუშაოს შესრულებას და როდესაც შემოწმება დაადგენს, რომ ადამიან არ აქვს სათანადო უნარ-ჩვევები დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესასრულებლად. ზოგიერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების ეფექტიანობას, მდგომარეობს შემდეგში:

1. სწავლებისათვის საჭირო მოტივაცია. ადამიანებს უნდა ესმოდეთ პროგრამის მიზნები, როგორ აამაღლებს სწავლება მათ შრომის ნაყოფიერებას და ამავე დროს, მათ საკუთარ მოთხოვნილებებს;
2. უნდა შეიქმნას სწავლებისათვის ხელსაყრელი კლიმატი. ეს გულისხმობს მსმენელთა წახალისებას, მათ აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში, მასწავლებელთა მხრიდან მხარდაჭერას. დადებითი ეფექტი მოაქვს სწავლების ჩატარებას სპეციალურ სასწავლო ცენტრებში.
3. თუ უნარ-ჩვევები, რომლების სწავლებისას უნდა გამომუშავდეს, რთულია, მაშინ სწავლების პროცესი მიზანშეწონილია გაიყოს თანმიმდევრულ ეტაპებად. პროგრამის მონაწილეს უნდა ჰქონდეს საშუალება პრაქტიკულად განიმტკიცოს მიღებული ცოდნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს მომდევნო ეტაპს;
4. მსმენელებმა უნდა იგრძნონ სწავლების შედეგების უკუკავშირი, რაც უნდა დაეფუძნოს განვლილი მასალის მყარ ათვისებას. ეს შეიძლება მოხდეს მასწავლებლის მხრიდან შექების, წარმატების დაფიქსირების ფორმით, ან, თანამედროვე ინფორმაციული სისტემებით სწავლებისას, უშუალო უკუკავშირის სახით პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების სწორად გადაწყვეტის დროს.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მუშაკის საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხის განსაზღვრა, ანუ საქმიანობის შედეგების შეფასება. საზოგადოდ, იგი ემსახურება სამ ძირითად - ადმინისტრაციულ, საინფორმაციო და მოტივაციურ მიზანს.

ადმინისტრაციულ ფუნქციებს განეკუთვნება სამსახურებრივი დაწინაურება, დაქვეითება, გადაყვანა, შრომითი ხელშეკრულების გაუქმება. სამსახურებრივი გადაადგილებები ეხმარება ორგანიზაციას შეავსოს ვაკანსიები იმ მომსახურებით, რომელთაც უკვე გამოამჟღავნეს თავიანთი შესაძლებლობები.

საინფორმაციო ფუნქციები. საქმიანობის შედეგების შეფასება საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას ადამიანთა ინფორმირების საშუალება მათი საქმიანობის შედარებითი დონის შესახებ. ამ საქმიანობის სათანადოდ წარმართვის შემთხვევაში მუშაკი არა მარტო იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს იგი, არამედ იმის თაობაზეც, თუ რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და რა მიმართულებით უნდა მოხდეს მათი სრულყოფა.

საქმიანობის შედეგების შეფასება წარმოადგენს აგრეთვე ადამიანთა ქცევის მოტივაციის მნიშვნელოვან საშუალებას. ძლიერი მუშაკების განსაზღვრით ადმინისტრაციას შეუძლია სათანადო რეაგირება მოახდინოს პერსონალის დადებით საქმიანობაზე მადლობის გადახდის, ხელფასის გაზრდის ან სამსახურებრივი დაწინაურების ფორმით, რასაც სასურველია ჰქონდეს სისტემატური ხასიათი.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ხემძღვანელი კადრების მომზადება, რომელიც ძირითადად ხორციელდება იმისათვის, რომ ხემძღვანელი მუშაკები ღრმად დაეუფლონ იმ მეთოდებსა და ჩვევებს,

რაც საჭიროა ორგანიზაციი წინაშე დასმული მიზნების მისაღწევად. სხვა მოსაზრებით იგი საჭიროა ისეთი მაღალი დონის მითხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა პროფესიული ზრდა, წარმატება, საკუთარი ძალების გამოცდა. ასეთი ღონისძიებები შესაძლებელია ორგანიზებული იქნეს ლექციების, ლიტერატურის გაცნობის, ტრენინგების და საქმიანი თამაშების გზით. განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება სამსახურებრივი როტაციის მეთოდი. შედარებით ქვედა რგოლის ხემძღვანელის ერთი განყოფილებიდან მეორეში 6 თვიდან ერთ წლამდე პერიოდით გადაადგილების გზით ორგანიზაცია აცნობს ახალ ხემძღვანელს საქმიანობის სხვადასხვა მხარეს. ასეთი ცოდნა აუცილებელია უფრო მაღალ თანამდებობებზე მუშაობისას, მაგრამ იგი განსაკუტრებით სასარგებლოა მმართველობითი იერარქიის დაბალი რგოლის ხემძღვანელებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებაც. რომელიც წარმოადგენს როგორც კონკრეტულად ადამიანთა რესურსების მართვის, ისე საერთოდ მუნიციპალური მმართველობის სათანადო განხორციელების ინსტრუმენტს. მხედველობაში გვაქვს მუნიციპალური საინფორმაციო სისტემების ფორმირება და განვითარება.

თანამედროვე დონის მუნიციპალური მმართველობა წარმოუდგენელია ძლიერი და სათანადოდ ორგანიზებული საინფორმაციო სისტემების გარეშე. პრობლემა განსაკუთრებულ აქტივობას იძენს თანამედროვე ეტაპზე. მმართველოვის ადგილობრივი ორგანოების საკუთრებისა და ბიუჯეტისადმი ახლებური დამოკიდებულება ლოგიკურად განაპირობებს საკუთარი რესურსების წყაროების მოძიების ამოცანის აქტუალობას, ამავე დროს იცვლება მიღებული გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის შეფასების კრიტერიუმები, რადგან მუნიციპალიტეტების საქმიანობა ფასდება უკვე მოსახლეობის სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

დასკვნა

აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობებში მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე ეტაპზე დაწყებული რეფორმების გაგრძელებას, რაც საშუალებას მოგვცემს თვითმმართველობის ფენომენის გაფართოვებისა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართვისა მუნიციპალიტეტების მართვაში. ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების დაჩქარებული ფორმირებისა და მათ აქტიურ ჩართვას ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისა და მისი ხარჯვის გამჭვირვალობის მონიტორინგში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. მაჩეხაშვილი - ,,ადამიანური რესურსების თანამედროვე მენჯმენტი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, დისერტაცია, თბილისი 2019წ.
2. ნ.პაიჭაძე, ე. ჩოხელი და სხვა - ,,ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში, ჟურ. ეკონომისტი, თბილისი, 2016 წ.
3. ადამიანური რესურსების მართვა ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე - საქ. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოცოაცია, სახელმძღვანელო, თბილისი, 2019წ.

HUმ ან რსურცმ ანაბემ ენტინ ლულ ზეერმ ენტ

Lomishvili Maia
Assistant-Professor of Georgian Technical University

შუმმ არყ

Hუმ ან რსურცის ან ა უნიუუ ანდ ეხვენსზე ასეტზრეზე ოზანისტს. Iტ ეუზეზეზე მ ანაბემ ენტს ან ი კოზნტ ზეცზრტ ტე ცუნტს ეცტრი ცბარ ტ. ინაკს ვ ეყ ტე მ ანაბემ ენტუვუ ან რსურცის ტ ესეეიალ ი კოზნტუტე მ ოზერ სბე ოუვ ტზდ ზეეზმ ენტი ეუზეეუზზრტ ანყ ზულ ოუვ ან აცზრ დეენს ტ ტ ქუალ.

Aტტ ლულ ელ ზეერმ ენტ ლ ეზლ ი ს ი კოზნ ტ ტ ი ანაბ ეუზეზ ვუ ან რსურცს ანდ ი ა ერ ზე ა ერ ზ ეს.Iნ ლულ ელ ზეერმ ენ ტ ტ Dep ა ერ ენ ტ ი ზ ეტ ტ ა ერ ლ ი ცნ Hu მ ან ღ ესურ ცის ზ ა ზ ტ ა ერ ზ ი ყ ა ექ ა ტ ე მ ანაბემ ენ ტ ზ ერ ა ზ ლ ი ცერ ა ნ ტ ს ანდ ტ ე ი ერ ზ ენ ტ ტ ი ტ ს მ ა ტ ლ ეზ ი ფ ნ ცტ ა ნ ტ ,ა ერ ზ ს ი ტ ს ა ლ კ ი ლ ს ანდ ქ ა ლ ი ტ ე ა ტ ი ტ ზ ა ლ ი ტ ს ა ერ ა ნ ტ ს ერ ზ ენ ა ერ ზ ს ი ტ ს ა ლ ,ანდ ა ერ ი ცი ი კ ლ ე ტ ზ ზ ი ტ ,ა ერ ი ცერ ა ნ ტ ს ერ ზ ენ ა ერ ზ ს ი ტ ს ა ლ ,ანდ

სოციალური პოლიტიკა არჩევნებში

მელაძე ციალა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

არჩევნებს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი უკავია დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში. თითოეული მოქალაქე ამ დღეს წყვეტს თავისი ქვეყნის ბედს. არჩევნებზე საუბრისას ყველაზე მეტად საგულისხმოა თუ რას ითხოვს კონკრეტული ქვეყნის ამომრჩეველი მასში მონაწილეობის მისაღებად. რაც უფრო მაღალია ამომრჩეველთა ჩართულობა მით უფრო მისაღებია მისი საბოლოო შედეგი.

ჩვენ 2020 წლის 15 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით ვაწარმოეთ ფართო მასშტაბის სარჩევნო გამოკითხვა, ხოლო ამჯერად სტატიაში წარმოგიდგენთ მთაწმინდის, ვაკისა და საბურთალოს ოლქის ფარგლებში, არჩევნების სხვადასხვა პერიოდში დასაქმებული პირები.

დღეს არსებული პანდემიური გარემოს შეფასებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარჩევნო გარემო ვერ იქნება სრულყოფილი და საარჩევნო სუბიექტები ვერ მოახდენენ სათანადოდ ამომრჩევლებთან პირდაპირი კომუნიკაციის დამყარებას. შესაბამისად მათ მოუწევთ ალტერნატიული საშუალებების მოძიება ამომრჩევლებთან ურთიერთობისთვის. საბოლოო ჯამში ეს მდგომარეობა მოითხოვს მეტი სიფრთხილით და ორგანიზებით ჩატარდეს არჩევნები და ამომრჩეველმა დაუბრკოლებლად შეძლოს არჩევანის გაკეთება. ამ ყოველივეს კი ესაჭიროება საარჩევნო სისტემაში ნაკლები ბიუროკრატია და თანამედროვე, ელექტრონული ტექნოლოგიის მასშტაბურად დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: არჩევნები, საარჩევნო გამოკითხვა, საარჩევნო სუბიექტები, ამომრჩევლები

ძირითადი ტექსტი

არჩევნებს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი უკავია დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში. თითოეული მოქალაქე ამ დღეს წყვეტს თავისი ქვეყნის ბედს. არჩევნებზე საუბრისას ყველაზე მეტად საგულისხმოა თუ რას ითხოვს კონკრეტული ქვეყნის ამომრჩეველი მასში მონაწილეობის მისაღებად. რაც უფრო მაღალია ამომრჩეველთა ჩართულობა მით უფრო მისაღებია მისი საბოლოო შედეგი. აქედან გამომდინარე ყველა ქვეყანა ცდილობს გაიგოს თუ რა საშუალებით მიიზიდოს ამომრჩეველი და როგორ შეუქმნას მათ კომფორტული საარჩევნო გარემო. ჩვენს მიერ გამოკითხული იყო პირები, რომლებსაც ხშირად უწევდათ ურთიერთობა ამომრჩევლებთან, ესენია: საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები და არჩევნებში ჩართული მხარეები. მათ ვთხოვეთ შეეფასებინათ დღევანდელი საარჩევნო გარემო და ასევე ესაუბრათ ამომრჩევლების ძირითად მოთხოვნებზე. ჩვენ 2020 წლის 15 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით ვაწარმოეთ ფართო მასშტაბის სარჩევნო გამოკითხვა, ხოლო ამჯერად სტატიაში წარმოგიდგენთ მთაწმინდის, ვაკისა და საბურთალოს ოლქის ფარგლებში, არჩევნების სხვადასხვა პერიოდში დასაქმებული პირები. ამათგან გამოიკითხა 153 პირი, აქედან შევარჩიეთ ის პასუხები, რომლებიც ყველაზე მეტად ასახავდა საარჩევნო პრობლემატიკას. გამოკითხულთაგან ოლქში დასაქმებული იყო 27 (17,6%), საუბნო კომისიაში დასაქმებული 32 (20,9 %), საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები 7 (4,6%), დამკვირვებლები 87 (56,9%). რაც შეეხება გენდერულ ბალანსს - 63 (41,2 %) არის მამაკაცი, ხოლო 90 (58,8 %) ქალი.

საზოგადოდ კვლევა წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მიეძღვნება საარჩევნო პროცესში არსებული პრობლემების შესწავლას; რათა საარჩევნო სისტემაში შემოვიტანოთ ახალი მეცნიერული გზა.

კითხვაზე თუ როგორ შეაფასებდით საარჩევნო გარემოს? გამოკითხულთა უმეტესობამ საარჩევნო გარემო შეაფასა დემოკრატიულად. აღინიშნა, რომ დღეს არის შედარებით სამართლიანი და მშვიდი საარჩევნო ვითარება წინა წლებთან შედარებით. თუმცაღა მიგვაჩნია, რომ სასურველია დემოკრატია იყოს პროგრესირებადი, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს საარჩევნო სისტემის მეტად გაუმჯობესებას.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ხშირია დაძაბული სიტუაციები, თუმცა შემცირდა არჩევნების ჩატარებისას არსებული ექსცესების რაოდენობა. მიუხედავად ამისა საარჩევნო

კანონმდებლობა საჭიროებს მეტ მოქნილობას, რათა საარჩევნო პროცესები წარიმართოს უფრო მშვიდ და თავისუფალ გარემოში.

აუცილებელია საარჩევნო სისტემაში ახალგაზრდა თაობის ჩართულობა, რაც მეტად ეფექტურს გახდის საარჩევნო გარემოს. შესაბამისად ცესკოს სწავლების ცენტრი მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და სათანადოდ გადამზადებას.

აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესებულია ამომრჩეველთა ინკლუზიური გარემო, რაც ხელს უწყობს შშმ პირთა მაქსიმალურ ჩართულობას არჩევნებში, ასევე არჩევნებში ნელ-ნელა ინერგება საარჩევნო ხმის მიცემის მოდერნიზებული წესი. შესაბამისად სისტემა იძენს გამართულ და სტაბილურ ხასიათს.

არჩევნებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მედიის როლს, რომელიც მნიშვნელოვნად ქმნის საარჩევნო კლიმატს. მისი საქმიანობა განაპირობებს ამომრჩეველთა ნდობას საარჩევნო პროცესებისადმი. მედია უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური, თავისუფალი და ხელს უნდა უწყობდეს საარჩევნო სუბიექტების მხრიდან ჯანსაღი კამპანიის წარმოებას და იცავდეს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს. იგი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საარჩევნო პროცესებში ყოველგვარი მიკერძოების გარეშე.

კითხვაზე თუ რა ესაჭიროება ამომრჩეველს ბევრი არაერთგვაროვანი პასუხი მივიღეთ; შეგვიძლია პასუხები ორ ნაწილად დავყოთ. ერთი ნაწილი საუბრობდა თუ რას ითხოვს ამომრჩეველი არჩევნების ჩატარებისას, კერძოდ ესენია: კენჭისყრის პროცესის გამარტივებული ფორმით ჩატარება, ინფორმირებული საარჩევნო გარემო, თანამედროვე, ხელმისაწვდომი სერვისებით სარგებლობა. მეორე ნაწილი კი წარმოგვიდგენს იმ ამომრჩევლების მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება არჩევნების შემდეგ გასატარებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა: სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერება, სამუშაო ადგილების შექმნა, ტერიტორიული მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა, ხელისუფლების ეფექტური მუშაობა.

საზოგადოდ საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა უზრუნველყოფდეს ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას, რაც დაკავშირებულია მის საინფორმაციო კამპანიასთან. დღევანდელი ეპედემიური ვითარებიდან გამომდინარე უმჯობესია შეიცვალოს ინფორმაციის მიწოდების გარკვეული წესები: საარჩევნო ბარათების დარიგების ნაცვლად ამომრჩეველს არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა მობილური (სმს) , ფოსტა ან ა.შ.

თითოეული ამომრჩეველი ითხოვს დაიხვეწოს საარჩევნო სისტემა იმ დონეზე, რომ მისი ხმა იქნება დაცული და არჩევნები ჩატარდება სამართლიან, თავისუფალ, გამჭირვალე გარემოში, ყოველგვარი ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. ეს არის მათი უპირობო მოთხოვნა ყოველი არჩევნების ჩატარებისას.

საარჩევნო პრაქტიკამ აჩვენა რომ ძირითადად ამომრჩეველი ორიენტირებულია კონკრეტულ საარჩევნო კანდიდატებზე ანუ მათ პიროვნულ თვისებებზე, ამიტომ ხშირ შემთხვევაში საფუძვლიანად არც კი ეცნობიან მათ საარჩევნო პროგრამებს. საკუთრივ საარჩევნო პროგრამები მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს ამომრჩეველთა საჭიროებებზე, რაც გულიხმობს პოპულისტური დაპირებების ამოღებას აღნიშნური პროგრამიდან. მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო გარემო; საარჩევნო ადმინისტრაცია და პოლიტიკური სუბიექტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული ამომრჩეველთან ურთიერთობაში, გამართონ შეხვედრები საჯარო სივრცეებში და უკეთ გააცნონ საზოგადოებას მათი გეგმები და ამოცანები.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ უნდა დავაინტერესოთ ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ყოველივე მიიღწევა საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო სუბიექტების კოორდინირებული მუშაობით. პირველ რიგში ამომრჩევლამდე ჩვენ უნდა მივიტანოთ დროული და საჭირო ინფორმაცია არჩევნების შესახებ, რაც მიიღწევა სწორი საინფორმაციო კამპანიით. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ამომრჩევლების სამოქალაქო, საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას. ამომრჩეველმა უნდა იგრძნოს, რომ მის ხმას დიდი ძალა აქვს. ბევრჯერ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ხდება მიზეზი არჩენებზე საკუთარი არჩევანის დაფიქსირების.

ხშირ შემთხვევაში ამომრჩევლის გააქტიურებას განაპირობებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, კერძოდ პოლიტიკური და სოციალური ფონი; რაც გულისხმობს ამომრჩეველის მოთხოვნილებას არსებული ხელისუფლების სასწრაფოდ შეცვლის ან პირიქით მისი შენარჩუნების, რათა სხვა

პოლიტიკური ძალა არ მოვიდეს სათავეში. შესაბამისად ისინი არჩევნებში ერთვებიან განსაკუთრებით მაშინ როდესაც მათი ხმა გადამწყეტია ქვეყნის განვითარების პროცესში. ასევე არჩევნებში ამომრჩეველთა გააქტიურებისთვის შეგვიძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება გავხადოთ სავალდებულო, რაც გულისხმობს იმას რომ საარჩევნო უბანზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში განვსაზღვროთ გარკვეული სანქციები, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს არ გახდება აუცილებელი თუ საარჩევნო ადმინისტრაცია და საარჩევნო სუბიექტები იმუშავებენ ეფექტურად.

დღეს არსებული პანდემიური გარემოს შეფასებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარჩევნო გარემო ვერ იქნება სრულყოფილი და საარჩევნო სუბიექტები ვერ მოახდენენ სათანადოდ ამომრჩევლებთან პირდაპირი კომუნიკაციის დამყარებას. შესაბამისად მათ მოუწევთ ალტერნატიული საშუალებების მოძიება ამომრჩევლებთან ურთიერთობისთვის. საბოლოო ჯამში ეს მდგომარეობა მოითხოვს მეტი სიფრთხილით და ორგანიზებით ჩატარდეს არჩევნები და ამომრჩეველმა დაუბრკოლებლად შეძლოს არჩევანის გაკეთება. ამ ყოველივეს კი ესაჭიროება საარჩევნო სისტემაში ნაკლები ბიუროკრატია და თანამედროვე, ელექტრონული ტექნოლოგიის მასშტაბურად დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცესკო, „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, თბილისი, 2019, გვ. 8-58
2. ცესკო , „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, თბილისი, 2019 გვ. 21-27
3. წულაძე ლ., „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, თბილისი, 2008 გვ. 6-41
4. https://matsne.gov.ge/document/view/1557168?publication=58, საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი (ბოლო გადამოწმება 11.05.2020)
5. http://cesko.ge/geo/static/3241/2019-tslis-27-oqtombris-sakrebuloebis-shualeduri-archevnebis-angarishi, 2019 წლის 27 ოქტომბრის საკრებულოების შუალედური არჩევნების ანგარიში (ბოლო გადამოწმება 11.05.2020), გვ. 13-27

[illegible]

Meladze Tsiala

PhD student of Georgian Technical University

Summary

E[illegible] Fro[illegible] A[illegible] 5 [illegible] Ma[illegible] 10, 2020, [illegible] Mta[illegible], V[illegible] ANd [illegible]

Ass[illegible] A[illegible] All [illegible] Ult[illegible]

Ke[illegible]: E[illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible]

ფსიქოლოგის საგანმანათლებლო როლი - დისტანციური სწავლების პროცესში

მეტრეველი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

XXI საუკუნის საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები და პრინციპები, ტექნიკური პროგრესი და ტექნიკური პროცესები ახალ – ახალ პრობლემებს ქმნის და დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმების პროცესებზე. რა თქმა უნდა, საჭიროა არსებული საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია, მართვის ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდებისა მიზნის გზების ძიება. ეს გზა კი ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე გადის. თუ ამ გზას გავყვებით, მაშინ ობიექტური სინამდვილის ასახვისათვის ჩვენი აღქმის აპარატი უნდა გადაეწყოს ვირტუალურზე, რასაც განსაზღვრული ადგილი უკავია ევოლუციური ცვლილებების გზაზე და აპრიორულს უახლოვდება.

მიზნის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებთან. ეს შეთანხმებული ურთიერთ-მოქმედება, ცხადია, გამოიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს და ამოატივ-ტივებს სწავლების ახალ ტექნოლოგიების ნაირსახეობას, რომელიც განსაზღვრავს განათლების მომა-ვალს, და მასზე დაყრდნობით საფუძველი ეყრება ჩვენი ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითა-რებას, დანარჩენ სამყაროსთან ადაფტირებასა და ინტეგრირებას მსოფლიო საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, ფსიქოლოგია, ადაფტირება, აპრიორული, საინფორ-მაციო ტექნოლოგიები, საგანმანათლებლო სისტემა.

შესავალი

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სწავლებას მრავალფეროვანი ხასიათი აქვს, რასაც ხსნის, დღეს, უკვე პედაგოგის და მოზარდთა ურთიერთობების, ფორმების და მრავალფეროვან მეთოდ-თა გამოყენების სიხშირე. სწავლება საკმაოდ რთული პროცესია , მას საუკუნეების განმავლობაში აკვირ-დებოდნენ და იკვლევდნენ სწავლულები, ადგენდნენ გარემო ფაქტორებს , განწყობის, მოტივაციის, პედაგოგისა და მოსწავლეების ურთიერთობების მნიშვნელობას და გავლენას სწავლების ხარისხზე.

მოგეხსენებათ, სწავლება ორმხრივი, ერთიანი, ორგანიზებული პროცესია, რომელიც მიმდინარე-ობს ერთი მხრივ მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით და მეორე მხრივ მოსწავლის აქტიური ჩართულობით, სადაც ხდება ცოდნა- ჩვევათა გადმოცემა და მოსწავლეების მხრიდან მათი ათვისება. სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე, როდესაც მნიშვნელოვანია მათი განვითარების პროცესი და მათ მიერ მიღწეული შედეგები. მოსწავლე უნდა აღიჭურვოს ცოდნით და იმ უნარ - ჩვევებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის სულიერ და ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას და თვითგანვითარებას: მოამზადებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და სრულფასოვნ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელ-თა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდე-ბურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური განათლება, მასწავლებელი, მოსწავლე, სტუდენტი, ფსიქოლოგი, სწავლების მეთოდი.

ძირითადი ტექსტი

მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცადა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ.

აუცილებლობა მოითხოვს, რომ გავეცნოთ, ტერმინის მოკლე და ყველაზე გავრცელებულ განმარტებას. რა არის „მეთოდი“ ?

ცნება "მეთოდი" სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს.

მიმდინარე საუკუნის საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები და პრინციპები , ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები ახალ-ახალ პრობლემებს ქმნის და დიდ ზეგავლენას ახდენს განათლების არსებულ სისტემებზე. აქედან გამომდინარე საჭიროა არსებული საგანმანათლებლო სისტემის ძიება, დადგა დრო, ობიექტური სინამდვილის ასახვისთვის. ადამიანის აღქმის აპარატი გადაეწყოს ვირტუალურზე, რასაც განუსაზღვრელი ადგილი უჭირავს ევოლუციური ცვლილებების გზაზე. და იგი აპრიორულს უახლოვდება. მიზნის მისაღწევად საჭიროა, მემკვიდრეობითი პედაგოგიური გამოცდილება და მეცნიერული კვლევების შერწყმა, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ეს შეთანხმებული ურთიერთმოქმედება, ცხადია, გამიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს, რომელიც განსაზღვრავს განათლების მომავალს და საფუძველს უყრის ჩვენი ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას. დანარჩენი სამყაროსთან ადაფტირებას და ინტეგრაციას მსოფლიო საზოგადოებაში.

დისტანციური სწავლების დროს, სტუდენტისადმი/ მოსწავლისადმი პირველი რიგის ფსიქოპედაგოგიკური მხარდაჭერაა კეთილგანწყობილი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა. ამ სენტენციაში ვგულისხმობთ, რომ სტუდენტს/ მოსწავლეს დავეხმაროთ, რათა გამოიმუშაოს ინდივიდუალური უნარ -ჩვევები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სწავლების სხვადასხვა ფორმების, მათ შორის ტრადიციულობის, ეფექტურად შერწყმაზე.

ამასთანავე მინდა გავაკეთო მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო შენიშვნა :რა გასაკვირიც უნდა იყოს, დისტანციურ სწავლებაზე, ყველას დაშვება არ შეიძლება. მაგალითად, მიზანშეუწონელია დისტანციურ სწავლებაში ჩავრთოთ ისეთი პირები, რომლებსაც აქვთ მძიმე ნერვიული პრობლემები: დეპრესია, შიშები, აკვიატებული აზრები და სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევაში დისტანციური სწავლება, შეიძლება უარყოფითი, ანუ რადიკალური შედეგი მოჰყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება ტრადიციულთან შედარებით ფლობს შეუფასებელ უპირატესობას, ამასთან ერთად მას აქვს არაერთი „წყალქვეშა დინებაც“, რისი გათვალისწინება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი განმარტება, როგორც ვიცით დისტანციურ სწავლებას ორი ფორმა აქვს: პირველი , როცა ლექცია სემინარების ტრადიციული ფორმით გადაგვაქვს ინტერნეტ ვებ - გვერდზე და სტუდენტი მას იყენებს, როგორც ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებას; და მეორე, როცა ვიყენებთ აქტიურ ფორმას, ანუ დიალოგი სტუდენტებს შორის ან სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის. რომელიც მიმდინარეობს ინტერაქტიულ რეჟიმში (რეალურ დროში), როგორც პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა ინტერაქტიურ რეჟიმში მომუშავე, როგორც სტუდენტები, ისე პედაგოგებიც აწყდებიან ფსიქოპედაგოგიკური ხასიათის სიძნელეებს. ასეთ სიძნელეებად შეიძლება მივიჩნიოთ ქსელური დისკუსიების გამოცდილების უქონლობა, ელექტრონული ფოსტით პედაგოგთან პირადული ურთიერთობების ჩვევების დაბალი დონე.

ლექტრონული სასწავლო მასალის დამოუკიდებლად თვითორგანიზებისა და რაციონალურად გამოყენების პრაქტიკის უქონლობა, საკომუნიკაციო და კომპიუტერული ტექნიკის ეფექტურად გამოყენების უნარი ჩვევების დაბალი კულტურა და სხვა.

ერთ -ერთ ძირითად პრობლემად შეძლება ჩავთვალოთ ყველაზე მთავარი ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც თან სდევს ადამიანის მიერ ინტერნეტში ვიზუალური ფორმით მოცემული

ინფორმაციის აღქმას, მით უმეტეს, თუ ეს ინფორმაცია მოცემულია სიტყვიერი ფორმით (მულტი-მედიური საშუალებები, ვიდეო - აუდიო ტელეკონფერენციები და სხვა). ასეთი ვერბალური ფორმით მოწოდებულ ინფორმაციას, სტუდენტიც და პედაგოგიც გამოჰყავს ახალ სოციალურ როლში , ამ დროს მკვეთრად იცვლება სწავლების ტრადიციული მიდგომები და მათ წინაშე ჩნდება აბსოლუტურად ახალი, უჩვეულო, არატრადიციული ფორმები.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული დაბრკოლებები დღევანდელ ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის მეტ - ნაკლებად დამახასიათებელია- ცხადია, ეფექტური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, რის გამოც, აქტუალურად მიგვაჩნია ამ პრობლემაზე სამეცნიერო - პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს ჩატარება. დისტანციური კურსების შექმნის ავტორები და ასევე პედაგოგები, აუცილებლად უნდა იღებდნენ სათანადო კონსულტაციებს, პროფესიონალ - ფსიქოლოგ ექსპერტებთან, რომელთაც აქვთ ახალი საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგებთან მუშაობის სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენ მიერ მოძიებულ ლიტერატურაში მოყვანილი კონკრეტული ფაქტების ანალიზის საფუძველ-ზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შემუშავდეს დისტანციური სწავლების ფსიქო - პედაგო-გიკური პრობლემების მოწესრიგების კონცეფცია. ამავე მასალის გაანალიზების საფუძველზე, აღნიშნულ კონცეფციაში ძირითად მიმართულებად შეიძლება შევარჩიოთ შემდეგი სამუშაოები ;

ანალიზურ - დიაგნოსტიკური, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და მეთოდური. განვიხი-ლოთ ეს მიმართულებები ცალ- ცალკე.

ანალიზურ -დიაგნოსტიკური მუშაობა. ფსიქოლოგის ანალიზურ - დიაგნოსტიკური მუშაობა დისტანციურ პროცესში უნდა მოიცავდეს:

* დისტანციური კურსის მონიტორინგის განხორციელებას, რომლის მიზანია დისტანციური სწავლების ეფექტურობის შეფასება.

* მსმენლის ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლას, მისი შემეცნებითი და პროფესიული ინტერესების გამოვლენას, ინდივიდუალური სტილის განსაზღვრას და სხვა. რომელთა მიზანია ინტერ-ნეტის პირობებში მსმენლის „ინდივიდუალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის“ გამომუშავება.

*მსმენელისა და სასწავლო პროცესის ურთიერთმოქმედების მონიტორინგს, რომლის მიზანია ამ პრობლემური და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა, რომლსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს ინტერნეტში მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო მოღვაწეობა - ფსიქოლოგის საგანმანათლებლო მოღვაწეობა დისტანციური სწავლების პროცესში მოიცვას სხვადასხვა ღონისძიებას, ყოველი ღონისძიება ემსახურება ინტერნეტ მომხმარებელს ზოგადი ფსიქოლოგიური წიგნების ამაღლებას და მისი მიზანია, ამ მიზეზების აღმოფხვრა, რომელიც იწვევს დისტანციური სწავლების სისტემის მთლიანობის მუშაობის რღვევას, ფსიქოლოგიური განათლება მსმენელმა შეიძლება შეიძინოს, როგორც ინტერაქტიურ რეჟიმში (ფსიქოლოგიური კონსულტაციები კონკრეტულ შეკითხვებზე), ისე ქსელში (ვებ - საიტებზე) განვითარებული ფსიქოლოგიური საინფორმაციო რესურსები ლოგიკურად უნდა იყოს შერჩეული და დალაგებული. იმისდა მიხედვით, თუ ვისთვისაა ეს ინფორმაცია განკუთვნილი (მოსწავლე, მასწავლებელი, პროექტების კორდინატორი, კონსულტანტი, ხელმძღვანელი, სცენარისტი და ა. შ); ხასიათდებოდეს სიმარტივით, თვალსაჩინოებებით და იყოს პრაქტიკულად ადვილად გამოყენებადი. საკონსულტაციო მუშაობა. ეს მუშაობა გულისხმობს ფსიქოლოგის ურთიერთობას დისტანციური სწავლების მონაწილე სხვადასხვა ჯგუფთან. ეს ურთიერთობა მოიცავს:

* დისტანციური კურსების მომზადების ავტორთა კონსულტაციებს სასწავლო მასალის შერჩევის, ამ მასალის ინტერნეტში განთავსების ფორმას და მისი დიზაინის საკითხებში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ სასწავლო დისტანციური კურსები მომზადდეს თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად;

* დისტანციური სწავლების სისტემაში მონაწილეთა კონსულტაციებს პირადი და პროფესიული განვითარების საკითხების, აგრეთვე მიზნად ისახავს მონაწილის ინდივიდუალურ მიდგომას და თავისებურებების რეალიზებას;

* კონსულტაციების სწავლების პროცესში წარმოქმნილ კონკრეტულ პირად პრობლემებზე, რაც ხელს უწყობს ქსელთან კომუნიკაციების განხორციელებას და სწავლების ეფექტურობის ამაღლებას. აღნიშნული ფსიქოლოგიური კონსულტაციები შეიძლება ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს მიმოწერით (ელექტრონული ფორმით) ან დიალოგურ რეჟიმში. ჯგუფური განახლების ხასიათს (ტელეკონფერენციები, დისკუსიები, ჩათი, კონფერენციები რეალურ დროში)ჯგუფური ტრენინგების ხასიათს ინტერნეტის ქსელის გამოყენებით.

* მეთოდური მუშაობა . ეს ნიშნავს, რომ დისტანციური კურსის შემქმნელსა და კურსის წამყვან მასწავლებელთან ერთად ფსიქოლოგი ამუშავებს კურსის ფსიქოლოგიურ კომპონენტებს, რომლებიც წარმოადგენს განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ კომპონენტებს, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ მექანიზმს სწავლებისადმი ინდივიდუალურ - დიფერენცირებულ მიდგომასა და მაღალი დონის მოტივაციის უზრუნველსაყოფად.

საბოლოოდ, დისტანციური სწავლების პროცესის განხორციელებაში ფსიქოლოგი მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ფორმითა და დანიშნულებით.

დისტანციური სწავლების მენეჯერს ეხმარება კადრის შერჩევაში, მონიტორინგის ორგანიზებაში.

რეკლამის გაკეთებასა და „პიარ“ კამპანიაში.

კურსის შემქმნელ ავტორებს, მსმენელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, კონსულტაციას უწევს შინაარსიანი სასწავლო მოდულების ფორმირებაში, ინფორმაციის გადაცემის ფორმის შერჩევაში, საკონტროლო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში.

დისტანციური სწავლების კოორდინატორებს აძლევს რეკომენდაციებს დისტანციური სწავლების მონაწილეთა ფსიქოლოგიური მზადყოფნის საკითხებში, ეხმარება მონაწილეთა ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრაში, მონიტორინგის მომზადებასა და ჩატარებაში, სასწავლო ჯგუფის ფორმირებაში, პირდაპირი და უკუკავშირების განხორციელების ორგანიზებაში.

* დისტანციური სწავლების მსმენელებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევს სწავლების ინდივიდუალური ტრაექტორიის განსაზღვრისათვის, კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისათვის, ეხმარება ვირტუალურ სამყაროში ადაპტაციის უნარ - ჩვევების გამომუშავებაში, კომპიუტერთან, საკომუნიკაციო სისტემებთან და სასწავლების სხვა ელექტრონულ საშუალებებთან ურთიერთობების შიშის დაძლევაში.

ცხადია, ასეთი დონისა და შინაარსის მქონე სამუშაოს ჩასატარებლად, რაც დაკავშირებულია დისტანციურ სწავლებასთან, ფსიქოლოგს უყენებს ახალ, სპეციფიკურ მოთხოვნებს, ეს მოთხოვნები ფსიქოლოგიურთან ერთად შეიცავს არა მარტო მომხმარებლის, არამედ გაცილებით მაღალ დონეზე, კომპიუტერთან და საკომუნიკაციო საშუალებებთან ურთიერთობების ცოდნას. ამიტომ, ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს, სპეციალური ცოდნა; როგორც ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის, ასევე ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლებში, კერძოდ, კი ინტერნეტის სფეროში; ექსპერიმენტული სამუშაოს ორგანიზების (ინდივიდუალური და ჯგუფური) სფეროში და მისი ინტერნეტში გამოყენების ცოდნა.

დასკვნა

ამრიგად, როგორც ზემოთ (არაერთხელ აღვნიშნეთ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაირსახეობის ერთ-ერთი ფორმაა დისტანციური სწავლება. რომლსაც დღევანდელი პედაგოგიური ტერმინოლოგიით ინტერნეტ -განათლების ტექნოლოგია ეწოდება. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ - განათლების მიმართულება დღეისათვის წარმოადგენს სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებს. მას დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპის განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პროგრამებში.

აღიშნული ტერმინი ცალსახად გამოხატავს რომ, დისტანციური სწავლება ზოგადად, შორი მანძილიდან სწავლებას ნიშნავს, ანუ პროცესს, როცა სწავლების გარკვეული ნაწილი მიმდინარეობს თანამედროვე ტელეკომუნიკაციური სისტემების გამოყენებით (ინტერნეტის გლობალური ქსელის, რისი საშუალებითაც ხდება სასწავლო მასალის მომხმარებლებზე - მოსწავლე, სტუდენტი მიწოდება. ასე რომ, მოსწავლე, სტუდენტი, იყენებს რა ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციულ რესურსებს, ინდივი-

დუალურად იღებს სასურველ ცოდნას თავისი ინტერესის სფეროში დისტანციური სწავლების ძირითადი ინფორმაციული რესურსები კომპიუტერული ცოდნის ბაზები, ელექტრონული საწვრთნელები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, მულტიმედია, ელექტრონული სახელმძღვანელოები, საკონსულტაციო და საკონტროლო სისტემები (ტექსტური, გრაფიკული, ხმოვანი, ანიმაციური და ა. შ.) ყველაფერი ეს არსებულ ტრადიციულ სახელმძღვანელოებთან, დამხმარე სახელმძღვანელოებთან, მეთოდურ მითითებებით და ა. შ. ცოდნის მიღების აქტიურ გარემოს ქმნის. ასეთი აქტიური გარემოს შექმნა ხელს უწყობს მასწავლებლისა და მოსწავლეს შორის ერთგვარ საინტერესო და სახალისო ურთიერთობის დამყარებას. „ამრიგად დისტანციური სწავლება, ეს არის არა, მხოლოდ, ტექსტების წაკითხვა ინფორმაციულ ნაკადში, არამედ მთლიანი პროცესი, რომელიც შეიცავს ინტერნეტში სასურველი ინფორმაციის ძიებას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, კამათს, კონსულტაციებს, საშინაო დავალებების გაცემა -შესრულების მიმდინარეობას, საკურსო პროექტებს, სადიპლომო და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოების შესრულებას, სამეცნიერო კვლევების თუ პერიოდული გამოცემებით სარგებლობას და სხვა.“ ასევე გთავაზობთ, კორესპოდენტული სკოლის ევროპის ასოციაციის (AECS) პრეზიდენტის Bemd Schachtsiek-ის აზრს დისტანციური სწავლების შესახებ: „დისტანციური განათლება ეს გაცილებით მეტია, ვიდრე კითხვა, მოსმენა, ჩვენება, დამოუკიდებლად შესწავლა, გაცილებით მეტია, ვიდრე ტრენინგები, ღია სწავლება.“

და ბოლოს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დისტანციური სწავლების აუცილებლობაზე და საჭიროებაზე მეტყველებს ჩვენი დღევანდელი სინამდვილე, „განათლება პანდემიის პირობებში“- სადაც დისტანციური სწავლება განიხილება, როგორც განათლების მიღების ალტერნატიული საშუალება კორონა ვირუსმა და მის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასასვლელად ნებისმიერ დროს უნდა ვიყოთ მზად, რათა არ შეწყდეს განათლების მიღების ციკლი და ნებისმიერმა მსურველმა შეძლოს შეუფერხებლად ინფორმაციის მიღება.

ლიტერატურა

1. ვოშტოკი ო. ჟურნალი „ პედაგოგიკა“ N1 მოსკოვი 2007წ.
2. ანდრეევი ა. ა. - დისტანციური სწავლების დიდაქტიკური საფუძვლები 2000წ. მოსკოვი
3. გუსტირი ა. ვ. დისტანციური განათლების ნორმატიული უზრუნველყოფის პრობლემები/ინოვაციები რუსეთის განათლებაში. 2000წ. მოსკოვი
4. დისტანციური განათლების სისტემის შექმნისა და განათლების კონცეფცია რუსეთში . მოსკოვი., 1999წ.
5. პოლიტიკა საგანმანათლებლო სფეროში და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები. ინფორმატიკა და განათლება N5, მოსკოვი. 2009წ
6. რელფმან ე. რ. სასწავლო ინფორმაციის კონსტრუირების ფსიქოლოგიური საფუძვლები /პედაგოგიკა; სასწავლო სახელმძღვანელო მოსკოვი. 2015წელი.
7. მეტრეველი.ლ თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, ტექნოლოგიები და კომუნიკაციები საგანმანათლებლო სივრცეში, ჟურნალი -მართვის ავტომატიზებული სისტემები. N 2 (26) თბილისი 2118წ

[illegible]

Metreveli Lia
Professor of Georgian Technical University

შუამავალი

Mo[illegible] 21[illegible] [illegible] O[illegible], [illegible] [illegible] [illegible]

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - სპორტის ერთი გაკვეთილი

მძინარაშვილი გიორგი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

„ო, სპორტო, შენ მიგვანიშნებ სწორ, პატიოსან გზას,
რომელსაც ეძებენ ადამიანები ცხოვრებაში დასახული
მიზნის განხორციელებისათვის“
(პიერ დე კუბერტენი)

„სპორტი ყოველი ადამიანის მემკვიდრეობის ნაწილია და
მისი უქონლობა ვერასოდეს ვერაფრით კომპენსირდება“
(პიერ დე კუბერტენი)

აბსტრაქტი

საქართველოს სასკოლო საგანმანათლებლო რეფორმებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში და შესაბამისად ახალ სასწავლო პროცესში ფიზიკური აღზრდის ნაცვლად ჩართო ახალი სავალდებულო საგანი სახელწოდებით „სპორტი“. სპორტმა საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა და თავისი დადებითი მრავალმხრივი მნიშვნელობით საზოგადოების მოვლენად იქცა.

ვითარდება მეცნიერებები, იხვეწება საგნებისადმი მოთხოვნები სკოლებში, მუშავდება სხვა-დასხვა საგნების სრულყოფილი მეთოდები, სისტემები. ამასთან ერთად უნდა მოხდეს მოსწავლეთა სპორტული განათლების სრულყოფა და მათი ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება და ამაღლება საქართველოში, როგორც დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, დღემდე მიღწეულია გრანდიოზული სპორტული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სასწავლო, სპორტი, განათლება, სკოლა.

ძირითადი ტექსტი

ადამიანის ჰარმონიულ განვითარებასა და სრულყოფაში განსაკუთრებულად დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა სასკოლო ასაკის პერიოდს. სასკოლო ასაკში ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი პირბაა- მისი დამოკიდებულება ფიზიკურ აღზრდასთან და სპორტთან. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიზანი და ამოცანები განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნებით. ჯანმრთელობის განმტკიცება ,ფიზიკური თვისებების

ჰარმონიული განვითარება, ადამიანის მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირება-განვითარება-სრულყოფა ეს არის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ძირითადი მიზანი და ამოცანა.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემებში სპორტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს. ეს გარემოება სხვადასხვა მიზეზით აიხსნება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, სპორტი არის ფიზიკური აღზრდის ერთ–ერთი საუკეთესო საშუალება და მეთოდი. სპორტი გამოირჩევა სხვადასხვა დონის და მნიშვნელობის კავშირების სიფართოვით, პოპულარობით. სპორტი არის საუკეთესო საშუალება ადამიანმა, სპორტსმენთა გუნდმა, ქვეყანამ მოკლე დროის პერიოდში გაითქვას სახელი საერთაშორისო ასპარეზზე. სპორტის საგნობრივ პროგრამაში რაციონალურად და თანამიმდევრულად წარმოდგენილია დასახული მიზანი და ამ მიზნის განხორციელებისათვის ეფექტური მეთოდები და საშუალებები. გააზრებულად არის ჩამოყალიბებული სპორტის საჭირო და სასურველი სახეობები მათი ჯგუფების მიხედვით.

სპორტის გაკვეთილის ასამაღლებლად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა და რეალობად ქცევა:

- საჯარო და კერძო სკოლებში უნდა მოხდეს კვალიფიციური, კომპეტენტური, შესაბამისი

ხარისხის და განათლების დიმპლომიანი სპეციალისტების მოწვევა და დასაქმება;

- მასწავლებელი-პედაგოგი გარდა შესაბამისი განათლებისა და ხარისხისა უნდა იმყოფებოდეს კარგ სათანადო სპორტულ ფორმაში, ვალდებულია ერკვეოდეს ყველა სპორტის სახეობის წესებში, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით, ფლობდეს მათში მომხდარ ცვლილებებს და კარგად ასრულებდეს ამ სპორტის სახეობების ტექნიკურ ელემენტებს (ილეთებს);
- სკოლა უზრუნველყოფილი და აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზებით, გასახდელებით, მრავალფეროვანი და კარგი ხარისხის სპორტული ინვენტარით ;
- ყველა საფეხურის ბავშვი უნდა იყოს აღჭურვილი სპორტული ფორმით. სწავლის პროცესში და სემესტრის ბოლოს ბავშვები და მოზარდები უნდა ფასდებოდნენ- ათ ბალიანი სისტემით, როგორც სხვა სასკოლო სავალდებულო საგნებში. ამით ჩვენ გავზრდით მოსწავლეთა მოტივაციასა და სტიმულს, მათ ინტერესს სპორტის გაკვეთილისადმი ;
- სამუშაო კვირაში სპორტის გაკვეთილი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე უნდა ტარდებოდეს არანაკლებ 3-4 ჯერ კვირაში. ამით ჩვენ გავზრდით და ავამაღლებთ კუმულაციური ეფექტის შესაძლებლობას ;
- სკოლის სპორტის პედაგოგი უნდა ფლობდეს გაკვეთილზე და გაკვეთილის გარეთ მოსწავლეთა დაცვას ტრავმებისაგან და დაზიანებებისაგან;
- სემესტრების ბოლოს მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ არსებული და მიღებული სპორტული ნორმატივები მათი ასაკისა და სქესის მიხედვით;
- ბავშვებმა აქტიური და ინტენსიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შიდა სასკოლო, ქალაქისა და რესპუბლიკურ ტურნირებზე და პირველობებზე;
- სპორტის პედაგოგმა უნდა შეძლოს პროგრამაში არსებული სპორტული სახეობების გარდა მეტად გამოიყენოს მრავალფეროვანი სავარჯიშო კომპლექსები-მოძრავი თამაშები, ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის ელემენტები,ტურისტული ლაშქრობები;
- სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების მიზნით მასწავლებელმა უნდა ეცადოს გამოიყენოს ყველა ის არსებული ეფექტური და რაციონალური მეთოდი,რომ პერსპექტივაში მოსწავლეებს მიეცეს საშუალება, დაინტერესდნენ სპორტით, როგორც შეიძლება- მათი მომავალი პროფესიით.

ყველაფრის ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე და გათვალისწინებით ჩვენ ვიყენებდით და ვიყენებთ ქ.თბილისში # 69 და ქ.გორში # 12 საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის ჩატარების ერთ-ერთ ფორმას:

გამოყენებული მეთოდებისა და პროცესის მოკლე აღწერა:

სასწავლო პროცესის ეფექტურობის და მრავალფეროვნების ამაღლების მიზნით ჩვენ ჩავატარეთ სპორტის გაკვეთილი ქართული ხალხური ეროვნული თამაშების გამოყენებით ინტეგრირებული მუსიკასთან და ავირჩიეთ სამი ქართულ-ეროვნული თამაში:

1. ძიძგი-ძიძგი მამალა(წრიდან გაყვანა„ასკინკილა“);
2. მოწინააღმდეგის გადაძალვა(მწყემსთა ჭიდილი);
3. მუთაქებით ბრძოლა(მხედრის ჩამოგდება).

ჩვენს მიერ არჩეული გაკვეთილი შედგება სამი ნაწილისაგან: მოსამზადებელი, ძირითადი და დასკვნითი. მოსამზადებელი ნაწილი მოიცავს 10-15 წუთს; ძირითადი 20-25 წუთს და დასკვნითი 5 წუთს. მოსამზადებელ ნაწილში ხდება ბავშვების მომზადება ძირითადი ნაწილისათვის. პირველ რიგში ხდება მათი ორგანიზება და შემდგომ სამწყობრო, წყობითი, ზოგადგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშების გამოყენებით ბავშვების მომზადება გაკვეთილის ძირითადი ნაწილისათვის. ქართული ხალხური ეროვნული თამაშების სპეციფიკიდან გამომდინარე ბიჭები მონაწილეობენ სამივე თამაშში, გოგონები კი პირველ და მეორეში.

I თამაში სახელწოდებით: „ძიძგი-ძიძგი მამალა - ამ თამაშის წესი შემდეგია:

მოსწავლეები, თითო-თითო მონაწილე ორივე გუნდიდან გამოდის სპორტული მოედნის

ცენტრალურ წრესთან, შედის წრეში, კრავენ ხელებს უკან წელზე, დგებიან საპირისპიროდ სახით წინ ერთმანეთის გვერდით და ასკინკილა მხრებითა და მკერდით ცდილობენ მოწინააღმდეგის გაყვანას წრიდან. წაგებულად ითვლება ის მოსწავლე, რომელიც გავა წრიდან (სურ. 1), რომელიც გახსნის ხელებს (სურ. 2) ან იატაკს შეახებს მეორე ფეხს (სურ. 3). შესაბამისად თითოეულ გამარჯვებულ მოსწავლეს ეწერება ერთი ქულა. დაგროვილი ქულებიდან გამომდინარე ამ თამაშში იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მოაგროვებს მეტ ქულას:

სურათი 1 სურათი 2 სურათი 3

ზემოთ აღნიშნული მეორე თამაში, სახელწოდებით ,,მოწინააღმდეგის გადაძალვა“ საწყისი მდგომარეობა შემდეგნაირია: გუდნებიდან თითო-თითო მოსწავლე ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ტანვარჯიშის ლეიბზე სხდებიან გაშლილი მხრების სიგანეზე ოდნავ მოკეცილი მუხლებში ფეხებით, სახით ერთმანეთის მიმართ.

მოწინააღმდეგეთა ტერფებს შორის მოქცეულია 1 მ სიგრძის და 0,3 მ სიმაღლის ფიცარი, რომელიც ასრულებს დასაყრდენ და გასამაგრებელ ფუქნციას. ზუსტად ფიცრის ზემოთ 10-15 სმ-ის დაშორებით უჭირავთ 1 მ-ის სიგრძისა და 10-12 სმ დიამეტრის ჯოხი (სურ. 4). მასწავლებლის სასტვენზე ან სიტყვიერ სიგნალზე მოსწავლეები ცდილობენ გადაძალონ მოწინააღმდეგე თავის მხარეს. მოგებულად ითვლება ის მოსწავლე, რომელიც გადაძალავს მოწინააღმდეგეს თავის მხარეს (სურ. 5), ან დაეუფლება ჯოხს (სურ. 6). შესაბამისად გამარჯვებულ მოსწავლეს ეწერება ერთი ქულა. დაგროვილი ქულებიდან გამომდინარე ამ თამაშში იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მოაგროვებს მეტ ქულას.



სურათი 4 სურათი 5 სურათი 6

III თამაში სახელწოდებით ,,მუთაქებით ბრძოლა “: შემოიფარგლება შემდეგი წესებით: ,,თითო-თითო მოსწავლე ორივე გუნდიდან მონაწილეობს ამ თამაშში. ისინი სხდებიან ტანვარჯიშის იარაღზე სახელწოდებით „დვირი” („წონასწორობა”), როგორც ცხენზე, მის ცენტრში სახით ერთმანეთის მიმართ 50-70 სმ დისტანციაზე, ფეხებს არ აჯვარედინებენ. ხელში უჭირავთ თავის სიმაღლეზე ნაჭრისაგან შეკერილი ბამბით სავსე პატარა მუთაქები წონით 1 – 1,2 კგ. ტრავმები რომ ავიცილოთ დაზღვევისათვის დვირის ორივე მხარეს იდება ტანვარჯიშის ლეიბები (სურ. 7). მასწავლებლის სასტვენზე ან სიტყვიერ სიგნალზე მოსწავლეები უშენენ ერთმანეთს მუთაქებს. წაგებულად ითვლება ის მოსწავლე, რომელიც:

თამაში სახელწოდებით ,,მუთაქებით ბრძოლა შემოიფარგლება შემდეგი წესებით: ,,თითო-თითო მოსწავლე ორივე გუნდიდან მონაწილეობს ამ თამაშში. ისინი სხდებიან ტანვარჯიშის იარაღზე სახელ-წოდებით დვირი (წონასწორობა), როგორც ცხენზე, მის ცენტრში სახით ერთმანეთის მიმართ 50-70 სმ დისტანციაზე, ფეხებს არ აჯვარედინებენ. ხელში უჭირავთ თავის სიმაღლეზე ნაჭრისაგან შეკერილი ბამბით სავსე პატარა მუთაქები წონით 0,5 – 0,8 კგ. ტრავმები რომ ავიცილოთ დაზღვევისათვის დვირის ორივე მხარეს იდება ტანვარჯიშის ლეიბები (სურ. 7). მასწავლებლის სასტვენზე ან სიტყვიერ სიგნალზე მოსწავლეები უშენენ ერთმანეთს მუთაქებს. წაგებულად ითვლება ის მოსწავლე, რომელიც:

1. ჩამოვარდება დვირიდან (სურ.8).
2. შეახებს ხელს დვირს (სურ.9).
3. გაუვარდება მუთაქა (სურ.10).
4. გადააჯვარედინებს ფეხებს.

შესაბამისად გამარჯვებულ მოსწავლეს ეძლევა 1 ქულა. სამი თამაშის შედეგებიდან და დაგროვილი ქულებიდან გამომდინარე ვლინდება გამარჯვებული ჯგუფი. გაკვეთილის მესამე დასკვნით ნაწილში მასწავლებელი აფასებს ჩატარებულ გაკვეთილს, აძლევს ბავშვებს საშინაო დავალებას და ემშვიდობება მათ.



სურათი 7 **სურათი 8** **სურათი 9** **სურათი 10**

შედეგი:

- მოსწავლე ხალისით მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობებში თანატოლებთან, სხვა სქესის, ეროვნების, აღმსარებლობის უფროსი და უმცროსი ასაკის პარტნიორებთან ერთად; გუნდური თამაშებისას იცავს დისციპლინას, აკონტროლებს საკუთარ ქცევებს და ემოციებს, არ ეგება პროვოკაციაზე;
  ადეკვატურად აღიქვამს მოგებას და წაგებას (გაწონასწორებულად გამოხატავს გრძნობებს); მოქმედებს სხვებთან შეთანხმებულად საერთო სპორტული მიზნის მისაღწევად;
- აქტიური ვარჯიშებით აუმჯობესებს ადრე ათვისებულ ძირითად მოტორულ ჩვევებს;
- მონაწილეობს ყველანაირ გუნდურ თამაშში, როგორც გუნდის სრულუფლებიანი წევრი;
- აღნიშნული ქართულ-ეროვნული თამაშობების საშუალებით შეიძლება გავარკვიოთ ბავშვების მონაცემები, ამ თამაშობების საშუალებით ვითარდება ფიზიკური თვისებები, როგორიცაა: სიმარჯვე, სისწრაფე, ძალა, მოქნილობა და გამძლეობა;
- რაც შეეხება მოსწავლეების მონაცემების გარკვევას სხვადასხვა პარამეტრებში და ვარჯიშებში, არსებობს ასაკიდან გამომდინარე ბავშვების და მოზარდების შეფასების და მათი მონაცემების განსაზღვრის ნორმატივები და ამ ნორმატივების ცხრილები.

დასკვნა

სპორტი ყოველთვის იყო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, ჩვენს ქვეყანაში ეტაპობრივად ჩატარებულმა რეფორმებმა თავისი დადებითი შედეგი გამოიტანა.ხდება მოსწავლე - ახალგაზრდობის დიდი აქტიურობით ჩართვა სასწავლო - საწვრთნო პროცესის სპეციფიკაში,

რომელიც მიმდინარეობს და სრულდება ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სკოლის აქტიური მუშაობით ხდება მოსწავლეთა დაინტერესება სპორტით.

ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ ფიზიკური აღზრდის ხალხურ პედაგოგიკას განვიხილავთ, როგორც აღზრდის პროცესის ერთიანი კომპლექსისათვის ხელშემწყობ ერთ-ერთ საშუალებას. მკვლევართა დიდი უმრავლესობა აღიარებს, რომ ხალხური პედაგოგიკა ქმედითი სტიმულის როლს ასრულებს აღმზრდელობითი ეფექტის გაძლიერებაში, კერძოდ, ეს ითქმის სასწავლო პროცესისა და მით უმეტეს ფიზიკური აღზრდის შესახებ. ამასთან, სწორი ორგანიზაციის პირობებში, იგი ხელს უწყობს მოვარჯიშეთა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის ამაღლებას და მოტორული უნარ-ჩვევების ფორმირებასა და ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გზამკვლევის კრებული სპორტის სახეობებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII–XII კლასები), თბილისი, 2010.
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები (მესამე ნაწილი), სპორტის თეორია, თბილისი, 2007.
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი II, თბილისი, 2004.
4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2002.
5. ვ.ელაშვილი ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიკა, თბილისი 1989.

Iნ ბენეფალ ფუკაუ ფ სცეოფ ოე საორტლეს

Mdzinarashvili Giorgi
Assistant Professor of Gori State Teaching University

შუმმ არყ

A საორგასალაქს ბეეს ოე ოგტვ ( ) კ ოორგანარ(ა)ტ(ი)ოგ ა სოგ(ი)ეტ(ი)ვ ეკ ასელ(ფ)ოოგ ს ლ(ი)ე ინ(ო)ოოცუ(ნ)ტ(ა)ოგ ( ) ( ) ( )

საქართველოში განხორციელებული ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები და შესყიდვების დაგეგმვის ეტაპამდე განსახორციელებელი ღონისძიებები

ნადირაძე გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში ჩამოყალიბებულია პოზიცია საქართველოში მიმდინარე ელექტრონულ შესყიდვებზე და შემოთავაზებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის ეტაპზე ჩასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც წინ უნდა უსწრებდეს ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებას, შესყიდვების გეგმაში მოცემული ყოველი კონკრეტული ციფრის/ასიგნების უკან აუცილებელია იდგეს ორგანიზაციის მიერ დასაბუთებული შესასყიდი ობიექტის საჭიროების მიზანშეწონილების საკითხი, შესასყიდი ობიექტის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების ჭრილში, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის. ამ კუთხით განხილულია ბაზრის კვლევის გარკვეული მიმართულებები და წარმოდგენილია გარკვეული დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: შესყიდვები, ტენდერი, კონკურენცია, კორუფცია.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის დროს, თავისუფალი ბაზრის პირობებში მოთხოვნა მიწოდების საფუძველზე სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებელ ორგანოს, განსაკუთრებული როლი აკისრია საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციასა და რესურების განაწილებაში, ასევე სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვადასხვა აქტუალური პრობლემების შესაძლო მოგვარებაში.

სახელმწიფო არის შიდა ბაზარზე შემოთავაზებული საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელი. მთლიანობაში სამთავრობო შესყიდვების ბაზარი არის მაკროეკონომიკური სისტემა, რომელიც მოიცავს ერთ სისტემაში ურთიერთმოქმედ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც გვევლინებიან ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განუყოფელ ნაწილად.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შესყიდვები პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის დინამიკასა და სტრუქტურაზე. სახელმწიფო ყიდულობს იმ პროდუქტებს, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვის სისტემების ფუნქციონირებისთვის, განათლებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების, ჯარის ფუნქციონირებისათვის, სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად და ა.შ.

სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი სიდიდე პროდუქციის შეძენაზე მოითხოვს სპეციალური პროცედურების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც ხდება სახელმწიფო სახსრების ეფექტურად გამოყენება, აღრიცხვა და კონტროლი.

ისტორიული რაკურსი დაგვეხმარება თვალი მივადევნოთ თუ როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში.

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მსოფლი ბანკის მხარდაჭერით, IDF გრანტისა და შპშ კრედიტის სახსრებით.

1998 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის ივლისიდან;

2001 წლის მარტში კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები. ამ ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი გამოეყო სამინისტროს და რეორგანიზებულ იქნა დამოუკიდებელ ორგანოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ;

2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“ დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფორმები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ნორმების შეუსრულებლობისათვის.

2005 წლის 20 აპრილს მიღებული იქნა შესყიდვების ახალი კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული კანონით ცვლილებები განიცადა შესყიდვის განხორციელების საშუალებებმა, შეიცვალა შესყიდვის საშუალების შერჩევის წესი, შეიცვალა შესყიდვების დაგეგმვის წესი, საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნის აუცილებლობა მთლიანად შემსყიდველი ორგანიზაციის არჩევანზე გახდა დაფუძნებული შესყიდვის შინაარსიდან გამომდინარე. აღნიშნული კანონმდებლობა დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებებს განიცდის. ძირითად ცვლილებას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ელექტრონულ პლატფორმაზე გადასვლა, რაც განხორციელდა ექსკლუზიურად ელექტრონული ფორმით. 2010 წლის დეკემბრის თვიდან სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ გაუქმდა ე.წ. „ქაღალდის ტენდერები“ და დაინერგა ელექტრონული შესყიდვები. ქაღალდებზე დაფუძნებული ტენდერი შეიცავდა კორუფციის მაღალ რისკს, ასევე, კონკურენციის შეზღუდვის, შესრულების მაღალი ხარჯებისა და გამჭვირვალობის დეფიციტის არსებობის საშიშროებას, ასვე არ იყო მოქნილი სისტემა გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს იმას, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო სატენდერო დოკუმენტაცია დახურული კონვერტით ჩაებარებინა შემსყიდველი ორგანიზაციის ოფისში - შემსყიდველის რეგისტრირებულ მისამართზე. ელექტრონული შესყიდვების პლატფორმის დანერგვით საქართველოს შესყიდვების სისტემა გახდა ბევრად უფრო გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, მაქსიმალურად დაცულია თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია და შემცირებულია კორუფციის რისკი. ამასთან შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ადგილზევე, ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია შესყიდვაში მონაწილეობის მიღება და შემდგომი მონიტორინგი. საქართველო ერთერთია იმ რამდენიმე ქვეყნის ჩამონათვალში, რომლებმაც ცენტრალიზებული და ყოვლისმომცველი ელექტრონული შესყიდვების სისტემა შემოიღეს. სისტემა ინოვაციურია და დიდ წილად ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს.

ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენება იძლევა ბიჯების გაკეთების ეტაპების გაკონტროლების, საბიუჯეტო სახსრების ბოროტად გამოყენების პრევენციის და სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფის შესაძლებლობის. ამ სისტემისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის მონიტორინგის ხელმისაწვდომობა, რაც იძლევა მომხმარებელთა მიერ სახსრების ეფექტიანად ათვისების და ტენდერში მონაწილე მხარეების მხრიდან შეთავაზებების განხორციელების შესაძლებლობას.

ელექტრონული შესყიდვების სისტემა ხელს უწყობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, გვთავაზობს რა გამჭვირვალობის მაღალ დონეს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, შესყიდვის პროცედურის დაწყებიდან ხელშეკრულების დადებამდე, კერძოდ:

- შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში (მაგ. სატენდერო განცხადებები, სატენდერო დოკუმენტები, სატენდერო კომისიის ყველა გადაწყვეტილება და ა.შ) სატენდერო წინადადების ფასის წარდგენა ისევე როგორც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების გამოქვეყნება, ხდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

- ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია სისტემაში არარეგისტრირებული პირებისთვისაც კი, ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებგვერდზე. ამგვარად, სახელმწიფო შესყიდევბის მონიტორინგის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო მოხელეების ჩართულობით და შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერაც;

- ამაღლდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების პროცესის მონიტორინგის ეფექტიანობა. შემსყიდველ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ ფისკალური წლის დასაწყისში, ელექტრონული სისტემის საშუალებით, გამოაქვეყნონ შესყიდვების წლიური გეგმა

- სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ელექტრონული მომსახურების დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ელექტრონული მმართველობის სერვისებისაკენ. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამარტივებამ და გეოგრაფიული უთანასწორობის აღმოფხვრამ გამოიწვია

კონკურენციის ზრდა და სახელმწიფო დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება

კორუფციის რისკის შემცირებისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სააგენტოს მიერ დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შექმნა, რომელიც შედგება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო. 2011 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ელექტრონული მოდული. აღნიშნული მოდული საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს ოფისიდან გაუსვლელად, ელექტრონულად წარუდგინონ დავების განხილვის საბჭოს საჩივრები სატენდერო და საკონკურსო პროცედურების შესაძლო დარღვევების შესახებ. ელექტრონული მოდული არის საჯარო და ნებისმიერ პირს შეუძლია იხილოს ტენდერებზე და კონკურსებზე წარდგენილი საჩივრები, მათზე თანდართული დოკუმენტები და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკის და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები ბოლო წლების განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10-11%-ს შეადგენს.

ახალი ელექტრონული შესყიდვების სისტემის შემოღება და შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივი დახვეწა დადებითი მოვლენაა და კორუფციის დონის შემცირებას უწყობს ხელს, ამავდროულად ზრდის ეფექტურობას და კონკურენციას. აღსანიშნავია რომ საკანონმდებლო ბაზაც დიდ წილად ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში უფრო ეფექტური პროცედურებითაც გამოირჩევა.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ზემოთ გატარებული ღონისძიებებისა არსებობს რიგი ფაქტორები რომლის გათვალისწინებაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის სახელმწიფო შესყიდვების სისტემას, უზრუნველყოფს კორუფციის კიდევ უფრო შემცირებას.

საქონლის, მომსახურების სამუშაოს შესყიდვა იწყება არა ტენდერის გამოცხადებიდან არამედ მათი დაგეგმვიდან, ანუ შესყიდვაზე საბიუჯეტო სახსრების გამოყოფიდან. იმისათვის რათა ეფექტურად განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კორუფციის ნიშნები, აუცილებელია შემსყიდველმა ორგანიზაციებმა საქონლის, სამუშაოს, მომსახურების შესყიდვის დაგეგმვის ეტაპზე უზრუნველყონ არსებული/გამოყოფილი ასიგნებების რაციონალური განაწილება და ხარჯვა, ანუ შესყიდვები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ეფექტურად, რაც იმას ნიშნავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დაგეგმვის ეტაპზე მკაცრად უნდა იქნეს დასაბუთებული ამა თუ იმ შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, რაც უნდა ეყრდნობოდეს შემსყიდველისთვის თითოეული შესასყიდი ერთეულის საჭიროების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას. აუცილებელია შესყიდვების გეგმაში ყოველი ციფრის უკან იდგეს მკაცრად არგუმენტირებული ეკონომიკურ-ტექნიკური გათვლა. შესასყიდი საგნის საჭიროების დასაბუთება შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საექსპლოატაციო და სხვადასხვა პირველად ბუღალტრულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ასევე ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე. შესყიდვების გეგმაში მოცემული ყოველი ციფრი უნდა ეყრდნობოდეს საექსპლოატაციო და ტექნიკური მონაცემებით განსაზღვრულ ნორმებს, დამატებითი ერთეულის ზღვრულ სარგებლიანობას. ამასთან კონკრეტული შესასყიდი ობიექტის სავარაუდო/საწყისი ფასის განსაზღვრისას აუცილებელია ჩატარედეს ბაზრის კვლევა, მოხდეს ფასების შესაბამისი გაანგარიშება. ბაზრის კვლევის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, რაოდენობრივ, თვისობრივ აღწერილობაზე. შესყიდვის ობიექტის გარშემო უნდა დაისვას შემდეგი კითხვები: რა, რატომ, როგორი, რამდენი და როდის უნდა იქნეს შესყიდული? დაგეგმვის ეტაპზე, ბაზრის კვლევისას და შემდგომში შესყიდვის ეფექტურად განხორციელების მიზნით იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტად სპეციფიური მოთხოვნები და ამ მხრივ შემცირებული იქნეს კორუფციული რისკები,

მნიშვნელოვანია გამოიყოს შესყიდვის ობიექტის ის აუცილებელი ტექნიკური პარამეტრები/სპეციფიკაციები, რომლებიც აუცილებელია შემსყიდველ ორგანიზაციაში არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ყოველი კონკრეტული მონაცემი, პარამეტრი/სპეციფიკაცია უნდა გამოდიოდეს შემსყიდველის საჭიროებიდან და ემყარებოდეს რეალურ დასაბუთებულ გათვლებს, რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნული კონკრეტული პარამეტრის ტექნიკურ დავალებაში ჩაწერას შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან.

საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტურობის შეფასება უნდა დაიწყოს გასული წლების შესყიდვების ანალიზით, არსებული მარაგების გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდის სახელმწიფო შესყიდვების ტიპებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დადგენით, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის საწყისი ფასების გაანგარიშებით და დასაბუთებით. გასული პერიოდის/წლების შესყიდვების დეტალური ანალიზი, აგრეთვე არსებული მონაცემების ანალიზი, ხელს უწყობს საქონლის, სამუშაოების და მომსახურებების სამომავლო საჭიროებების განსაზღვრას. ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ადრე განხორციელებული შესყიდვების სტრუქტურა და დაიგეგმოს შესყიდვა მომავალი პერიოდისთვის.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტურობის შეფასება უნდა წარიმართოს შესყიდვების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე დაწყებული შესყიდვის დაგეგმვიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე. ამავდროულად კონკრეტული შესყიდვის ობიექტის საჭიროებაზე დასაბუთება, ბაზრის კვლევა, ეკონომიკურ-ტექნიკური მიზანშეწონილობა უნდა იყოს საჯარო, როგორც შესყიდვის დაგეგმვის პროცესში, ისე მისი განხორციელებისას. აქედან გამომდინარე დაინტერესებულ პირს/მომხმარებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს განსაზღვროს კონკრეტული შესყიდვის სოციალური სარგებლობა, შეაფასოს შესყიდვის განხორციელების ფინანსური ეფექტურობა და საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილების ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 20.04.05 №1388-I
2. ბიულეტენი №1 - სახელმწიფო შესყიდევების სააგენტო 2002 წ
3. „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულება №536, 31.03.16.
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის ანგარიში
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის ანგარიში
6. Bრეიზ7, Pუბლიკური ინტე-Pრიორიტეტული ინტერესების კრიზის Goვერნანსი Maნაგმენტ; Auგუსტ 2011
7. OECDWAYDS PUBLIC PROCUREMENT KEY PERFORMANCE INDICATORS. PUBLIC Maგა, PUBLIC შეცდომა Di10 10. PUBLIC Procurement Kნოწლებ Eხცანგე Pლ 2009 . Iსტანბულ Maქ 2014

შტაბ ELEMENTS Project Management and Management Achieved Project Management

Nadiradze Gocha
PhD student of Georgian Technical University

Summary

I ჰავე ფრო ედ ა კოზიტიოს ტე ცშინელ ეფექტივრობამ ენტ1ნGeoრიაანდ ტე მ ეაუთომ ენტ ტიე ტაენ ბე ტ Pროგრამ E ნტ1ტ ტე სტ ალ ბრ ამ ენ ტ ალ ნ ს ტ ალ, ვ ი C მ შ ტ ა რ ა ე ლ ტ ე ი ა ლ ე ნ ტ ა ტ ი ო ბ ე ა ა ს ე ი ე ბ ა ბ ა მ ენ ტ I ტ ი ს ნ ე ე ს ს ა ფ ფ ფ Pროგრამ E ნ ტ ტ ა ტ ე ა ა ნ ბ ე რ ა ს ი ნ ნ მ ენ ტ ნ ა ბ ა მ ენ ტ ა ლ ა ნ ტ ე ა ბ ა ე ლ ნ ი ფ ი ლ ი ნ ბ ა ა ტ ი ო ბ ა ნ ნ ე ე ს ი ნ ბ ტ ა ტ ბ ა ბ ა ბ ა

მედია ფასეულობათა ტრასფორმაციის სამსახურში

საგინაშვილი ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მედიის რაობისა და მის წინაშე არსებული გამოწვევების ჩვენი ნებისმიერი კველვა არ იქნებოდა სრულფასოვანი, თუკი ჩვენ არ გავითვალისწინებთ თანამედროვეობის ერთერთ მთავარ გამოწვევას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული დღევანდელი კომუნიკაციების უკიდურეს განვითარებასთან და თავადვეა ამ განვითარების მიზეზი - ამ ორ მოვლენას შორის ძლიერი კავშირი და უკუკავშირი არსებობს, ამ საყოველთაო, შეუქცევად მოვლენას კი - გლობალიზაცია ეწოდება.

საკვანძო სიტყვები: მედია, ფასეულობათა ტრანსფორმაცია, გლობალიზაცია, პატრიოტიზმი.

ძირითადი ტექსტი

"ტერმინი „გლობალიზაცია" ინგლისური სიტყვადან „Globe"-დან მომდინარეობს, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო „Global" - მსოფლიოს, გლობალურს. ტერმინის წარმოშობა უკავშირდება ამერიკელი სოციოლოგის რ.რობერტსონის სახელს, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა." (1)

ამ გადასახედიდან მედია-მკვლევარებმა უნდა განვსაზღვროთ ჟურნალისტიკის როლი გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ხშირად ნაციონალური ინტერესები ეჯახება ე.წ. ზენაციონალურ ღირებულებებს. სწორედ ესაა ჩვენი წინამდებარე კვლევის საგანი.

განსაკუთრებული საფრთხე, რომელსაც გვიქადის „საზღვრებს გარეშე მსოფლიო" - ესაა უსამშობლო ცნობიერების „მსოფლიო მოქალაქეების" თაობების ჩამოყალიბება. ამ მხრივ მეტად სიმპტომატურად, ნიშანდობლივად და ამავდროულად, საგანგაშოდ ისმის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნოდარ ლადარიას განაცხადი:

„დროთა განმავლობაში სახელმწიფო საზღვრები სულ უფრო გამჭვირვალე გახდება – ეს არ ნიშნავს მხოლოდ სავიზო ფორმალობების გამარტივებასა და გაქრობას. ცვლილება შეეხება იმას, რასაც ოდესღაც მსოფლმხეველობას უწოდებდნენ… განვითარებული ადამიანებისათვის სამშობლოსა და სახლის ცნება გაფართოვდება და დაუახლოვდება, შემდეგ კი დაემთხვევა გლობალურ მასშტაბს.

ამ დრომდე შორს არ არის. უეჭველი გარემოება, რომ საქართველოში საარჩევნო ასაკს მიღწეულ-თათვის პირადი თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების საკითხი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკური სუვერენიტეტის საკითხი, მიგვანიშნებს, რომ მოვალს ჟამი და აწვე არს.

გვინდა თუ არა, მოვესწრებით იმ ჟამს, როცა პატრიოტიზმი, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ცალკეულ ნაძირალათა კი არა, მოხუცთა საყოველთაო თავშესაფარი გახდება". (2)

ასე ეფარებიან გლობალიზაციის ფასეულობებს უსამშობლო ცნობიერების კოსმოპოლიტები, რომელებიც ცდილობენ საზოგადოებაში ახლებური სტანდარტის დამკვიდრებას, თითქოს პატრიოტიზმი, სამშობლოს ცნება, ტრადიციული ღირებულებები უკვე რეტროგრადობა, არქაიზმი და ჩამორჩენილობაა. ეს მით უფრო საშიშია, როცა საქმე ეხება არა რიგით მოქალაქეს, არამედ მას, ვისაც მომავალი თაობების აღზრდა-განათლების სამჭედლო აბარია.

თვალსაჩინოებისთვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: რამდენიმე წლის წინ გახლდით საზოგადოებრივ მაუწყებელში გამართულ ბრიფინგზე, რომელიც მიეძღვნა ახალ საეთერო ბადეს. ჩემს კითხვაზე - პომპეზურად წარმოდგენილ საეთერო ბადეში რამდენი გადაცემა იყო ისეთი, რომლებიც ეროვნული, პატრიოტული ღირებულებების პოპულარიზაციას მოახდენდა,- იმჟამინდელი გენერა-ლური დირექტორის ლევან ყუბანეიშვლის მოადგილემ გიორგი ჭანტურიამ მიპასუხა, რომ ისინი ვერ მოახდენდნენ საზოგადოების დაზომბირებას. ხოლო ჩემს საპასუხო კითხვაზე - მაშ, ილია ჭავჭავაძე თავისი პატრიოტული შემოქმედებით ახდენდა თუ არა საზოგადოების ზომბირებას - მენეჯმენტისგან პასუხი ვერ მივიღე.

აი, ზოგადად როგორი მენტალობის ადამიანებს უპყრიათ ხელთ ტელევიზიების მართვის

სადავეები და ამდენად, აღარც უნდა გვიკვირდეს, რომ საინფორმაციო ომების წარმოების ეს მძლავრი იარაღი დღეს, ფაქტობრივად, ტვინების გამორეცხვის უმთავრეს ბერკეტად ქცეულა.

ამრიგად, კაცობრიობის თანამედროვე რეალობაში სახეზე გვაქვს გლობალური მასშტაბის ყოვლის მომცველი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ კაცობრიობის მატერიალურ ღირებულებებსა და ქვეყნების სუვერენიტეტზე, არამედ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობასა და ადამიანთა მსოფლხედვაზე. თუკი საქართველოს ისტორიულ წარსულში დედები შვილებს ზრდიდნენ სამშობლოსა და სარწმუნოებისადმი თავდადების სულისკვეთებით, პირადი და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთმიმართებაში კი პრიმატი ერის ჯანსაღი ნაწილისთვის ყოველთვის სახელმწიფო ინტერესების მხარეს იხრებოდა, დღევანდელ დღეს ხდება ფასეულობების ერთგვარი გაყალბება და ჩანაცვლება სულ სხვა, „ზოგადსაკაცობრიო“ ღირებულებებითა და სტანდარტებით.

ვნახოთ, თუ ტოვებენ გლობალიზაცია და მისი პირმშონი ვაკუუმს სააზროვნო სივრცეში და სამშობლოს, ეროვნულობის, პატრიოტიზმისა და მამულისადმი თავდადების ცნებებს ანაცვლებენ თუ არა სულ სხვა, თანამედროვე, მოდური, საერთაშორისო ფასეულობებით: ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, თვითგამოხატვის უფლებითა და თავისუფალი, ლიბერალური სამყაროს სხვა ღირებულებებით, საითაა მიმართული ყველა საერთაშორისო დეკლარაცია, პაქტი თუ კონვენცია. მაგალითად მოვიყვანოთ რამდენიმე:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;

საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან;

ადამიანის უფლებათა სფეროში ამ საბაზისო დოკუმენტში, ისევე როგორც ძირითად საერთაშორიოდ აღიარებულ დეკლარაციებში, არსად არაა მოხსენიებული მოქალაქის, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ნომინალური უჯრედის მოვალეობები საკუთარი ქვეყნის მიმართ, არამედ ძირითადად მთელი აქცენტი გადატანილია მისი პირადი არჩევანისა და ლიბერალური თავისუფლების რეალიზაციის უფლებაზე კანონის ფარგლებში, რაც თავისთავად არაა ცუდი და რისი უზრუნველყოფაც ამ საერთაშორისო კონვენციით ევალება სახელმწიფოს, როგორც პიროვნული განვითარების გარანტს, თუმცა ეს განვითარება არამც და არამც არაა მიმართული საერთო, ეროვნული, კოლექტიური, სახელმწიფოებრივი ინტერესების მსახურებისკენ, არამედ მხოლოდ რაღაც ამორფული პიროვნული თავისუფლებების რეალიზაციის მიმართულებით.

ამ გადასახედიდან მითუფრო საინტერესოა ჩვენთვის, როგორც მედია-მკვლევარებისთვის, თუ რა ფასეულობებს ემსახურება ზოგადად ქართული ტელემედია და მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებელიც და რა წვლილი მიუძღვის მას ფასეულობათა გადაფასების თანამედროვე პროცესებში, რის შესასწავლადაც საკვლევ პერიოდად ავიღე 2018 წლის 5 ივლისიდან 12 ივლისამდე პერიოდი.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, თითქმის გამონაკლისების გარეშე, ქართული მედიაც გლობალური ტენდენციების ტყვეობაშია, რის დასტურადაც გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ტელეარხების დიდ უმრავლესობაში ხსენებულ საკვლევ პერიოდში არცერთხელ არ ხსენებულა სიტყვა „სამშობლო“. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი რადიოს ერთადერთი გადაცემა „ლიტერატურული საუბრები თამაზ ტყემალაძესთან ერთად“, სადაც დროის ამ ინტერვალში სამშობლოს ცნებამ რამდენჯერმე გაიჟღერა.

მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქართული ტელეარხების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ ყოფილა ხსენებული ასევე სიტყვა „გლობალიზაცია“; შესაბამისად, არ მოწყობილა დისკუსიები თანამედროვეობის ამ დიდი გამოწვევის დადებითი და უარყოფითი მხარეების, მისგან მომდინარე საფრთხეების შეფასებით.

ამ ყველაფრის ფონზე როგორ იქცევა ქართული მედია სრულ ბოიკოტს უცხადებს, გარკვეულწილად, ანტიგლობალისტურ - ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის, მიგრანტების მასობრივი ჩამოსახლების, მათზე ბინადრობის უფლების უკონტროლოდ გაცემისა და მსგავსი მოვლენების საპროტესტო აქციებს.

ანტიგლობალისტური აქციების გაშუქების სრული ბოიკოტის ფონზე სრული სურათის

შესაქმნელად აუცილებელია, პარალელი გავავლოთ, თუ რა ტიპის აქციებსა და აქტივობებს აშუქებს ქართული მედია და რა ტიპის რესპოდენტები ჭარბობენ უმრავლეს გადაცემებში. საილუსტრაციოდ კმარა თუნდაც 17 მაისის ხსენება, როცა თბილისის ცენტრში ჯიუტად ცდილობს ელჯიბიტი თემი საჯარო აქციის მოწყობას და რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო და ამავდროულად, ნიშანდობ-ლივია - იგი მედიის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. ვგონებ, კონტრასტი სრულებით ცხადია.

ასევე შეუიარაღებელი თვალით ჩანს, რომ თითქმის ყველა არხზე თოქშოუების სასურველი სტუმარები არიან, მაგალითად, რელიგიურ-პოლიტიკური, ორგანიზაცია „გირჩის“ წევრები და არა მხოლოდ რიგითი სტუმრები, არამედ მედიის მთავარი ფიგურანტები, რომელთა ოდიოზურ აქტივობებს ყოველთვის დიდი გულმოდგინებით აშუქებენ ქართული ტელევიზიები. ასე, მაგალითად სატელევიზიო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა „გირჩის“ ინიციატივები მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის, ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციისა და შემდგომი ლიბერალიზაციის, პროსტიტუციის ლეგალიზაციის, სავალდებულო სამხედრო სამსახუ-რიდან წვევამდელების მასიური გამოხსნისა და სხვათა შესახებ, რაც ასევე უნდა განვიხილოთ გლობალიზაციისა და მისი თანმდევი ფასეულობათა გადაფასების კონტექსტში.

თანამედროვე ქართული მედიის ძირითადი ტენდენციების კვლევისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი ბანალური ჭეშმარიტება - მედიის განვითერების ამ თანამედროვე ვექტორების უკანაც მოჩანს ფულის ფაქტორი - „ვინც იხდის ის უკვეთავს მუსიკას“: მედიის დაფინანსებასა და შესაბამისი ინსტრუქციებით მის აღჭურვაში აქტიურად არიან ჩართული რიგი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, „ღია საზოგადოება -საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და ა.შ.

დასკვნა

ამრიგად, სახეზეა ღირებულებათა ერთგვარი ტრანსფორმაციის პროცესი - „სამშობლოს“ ცნების ნაცვლად „სამოქალაქო საზოგადოება“; „პატრიოტის“ ნაცვლად - „მოქალაქე“, „სამშობლოსადმი თავდადების“ ნაცვლად კი - „უმცირესობათა უფლებები და თავისუფლებები“, რაშიც გადამწყვეტ როლს სწორედ მედია თამაშობს, სრულებით კონკრეტულ რიცხვებში გამოხატული დაფინასების სანაცვლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 11.06.2020; 16/15; http://mastsavlebeli.ge/?p=1002
2. 11.06.2020; 16/12; https://www.presa.ge/?m=society&AID=63092

MEDIAN TO SERVICE VALUES ORIENTATION

Khatuna Saginashvili
PhD student of Georgian Technical University

შუმმ არყ

Iნ ალიტ ნ ოფ ტ ,ეხ ეფ ედ ეველ ედ ი ,ი ,ი ,

საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს) როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში

სუხიშვილი სოფიო
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში გაერო ჩაერთო 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც დაიდო მოსკოვში. იგი ითვალისწინებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაეროს სამშვიდობო მისიის ამოქმედებას, მაგრამ ცეცხლის განახლების გამო ორგანიზაციამ საქმიანობა აღნიშნულ რეგიონში ვეღარ გააგრძელა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა მოხერხდა სწორედ გაეროს შუამავლობის საფუძველზე, 1994 წლის 14 მაისს.

გაეროს სამშვიდობო მისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მოგვარებაში. გაეროს მისია 2008 წლის 7 აგვისტომდე რჩებოდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" რეგიონში, სადაც საომარი მოქმედებები დაიწყო. გაეროს უშიშროების საბჭო კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მოუწოდებდა, რომ 2008 წლის N1808 რეზოლუცია არ დაერღვიათ და არ გამოეყენებინათ სამხედრო ძალა მოქალაქეთა, ადგილობრივთა წინააღმდეგ, არ დაეშვათ ეთნიკური ნიშნით ძალადობა, უზრუნველეყოთ დევნილთა ქონების დაცვა.[1]

საკვანძო სიტყვები: გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ადამიანის უფლებათა დაცვა, ოკუპირებული ცხინვალი, ოკუპირებული აფხაზეთი.

ძირიტადი ტექსტი

2008 წლის 29 მაისის რეზოლუციით „აფხაზეთიდან, საქართველო, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაერომ პირველად აღიარა ქართველთა მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდა ოკუპირებულ აფხაზეთში. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ეუთოს სამიტების დასკვნებს (1994 წლის ბუდაპეშტის დეკლარაცია, 1996 წლის ლისაბონის დეკლარაცია, 1999 წლის სტამბოლის დეკლარაცია).

გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 წლის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს აფხაზეთიდან დევნილ პირთა, „ეთნიკური წმენდის" მსხვერპლთა საკუთრების უფლების დაცვას. ორგანიზაცია ამ დოკუმენტით წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებდა, არ დაეშვათ თავიანთი მოქალაქეების მიერ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დევნილთა საკუთრების, ქონების შემენა.

ცნობილია, რომ გაერო ზოგადად ერიდებოდა „ეთნიკური წმენდის" ფაქტის აღიარებას, თუმცა 1992-1993 წლების მოვლენებმა უჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 24 მაისის მოხსენებით ცნება „ეთნიკური წმენდა" ახსნილი იყო, როგორც ტერორის, სისასტიკის გამოჩენით განსაზღვრული ტერიტორიიდან ეთნიკური, ან რელიგიური ჯგუფების გასაძევებლად მიმართული პოლიტიკა. ამავე წელს საქართველოში ამოქმედდა სახელმწიფო კომისია, რომელიც ითვალისწინებდა ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტების შესწავლასა და საერთაშორისო დონეზე გატანას ამ საკითხისა. გაეროს უშიშროების საბჭოსა და ადამიანის უფლებათა კომისიაში ყოველწლიურად ქვეყნდებოდა აფაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ მოხსენებები.

1995 წლიდან გაეროში გამოქვეყნებული მასალები ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის შესახებ იყო მეცნიერულად გაანალიზებული და ერთვოდა სათანადო დასკვნებიც. მოხსენებებში აფხაზეთის მოვლენები შესწავლილი იყო ეთნიკური წმენდის საერთაშორისო

[1] ჯანგიანი, გ., ლექციების კრებული აფხაზეთის თემაზე, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2015, გვ. 49, 59; https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/leqtsiebis-krebuli-aphkhazethis-themaze-qarthuli.pdf, grass.org.ge, ნანახია: 8. 05. 2020.

მაგალითების შესაბამისად. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აფხაზეთის ომში დაიღუპა 6 000 ეთნიკურად ქართველი, ხოლო 200 000-ზე მეტი ეთნიკური ნიშნით განდევნეს ტერიტორიიდან.

მართალია, 90-იან წლებში საგანგებოდ შექმნილი საქართველოს სახელმწიფო კომისია რეგულარულად უგზავნიდა გაეროს აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტებზე დასკვნებს, მაგრამ უშიშროების საბჭოსა და ადამიანის უფლებათა კომისიას მაშინ მკვეთრი რეაგირება არ მოუხდენია.[1]

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სხვადასხვა დროს მიღებული რეზოლუციებით დაგმობილია ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში მიმდინარე მძიმე პროცესები, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დანაშაულებრივი ქმედებები, ადგილობრივ მოქალაქეთა მძევლად აყვანის ფაქტები და სხვა ძალადობრივი აქტები. მაგალითისათვის 2000 წლის 28 ივლისის გაეროს უშიშროების საბჭოს N1311 რეზოლუციაში უარყოფითადაა შეფასებული აფხაზეთის ომის შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები, დარღვევა ადგილნაცვალი პირებისა და დევნილების განუყოფელი უფლებებისა, ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფით დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებლებს.[2]

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია იყო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პირველი, რომელმაც დაგმო აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ეთნიკური წმენდა. კერძოდ, ეს მოხდა 1994 წელს, ბუდაპეშტის სამიტზე. ოდნავ მოგვიანებით, 1996 წლის 3 დეკემბერს ლისაბონის სამიტზე მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ეუთოს წევრი სახელმწიფოები აფხაზეთში სეპარატისტების მიერ განხორციელებული ქმედებების შესაფასებლად აღნიშნავდნენ: „ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას“, რომელიც გამოიხატება აფხაზეთში ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურებითა და იძულებითი გაძევებით“.[3]

ეუთომ 1999 წლის ნოემბერში მიიღო სტამბოლის დეკლარაცია, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების დასკვნები, რომ 90-იან წლებში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა ქართველთა „ეთნიკური წმენდა“, განდევნისა და ფიზიკურად მოსპობის სახით. დოკუმენტი შეიცავდა სიახლეს, მიუთითებდა 1998 წლის მაისში გალში დაბრუნებულ დევნილებზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე, ანუ, თუ როგორ ცდილობდნენ სეპარატისტები ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებასა და შევიწროებას. სტამბოლის დეკლარაციის თანახმად, 2000 წელს გალში ეუთოსა და გაეროს წარმომადგენლებს უნდა შეესწავლათ ადგილზე ვითარება, თუმცა მაშინ ეს ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ეს დოკუმენტი უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც ხაზგასმულია ქართველთა „ეთნიკურ წმენდაზე“, ამდენად, იპყრობს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას.

ეუთოს მიერ მიღებულ ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების დასკვნებს ეყრდნობა გაეროს საბჭოს რეზოლუციები, მიღებული 1995-2006 წლებში, დოკუმენტებში ნათქვამია, რომ დაუშვებელია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტით განპირობებული დემოგრაფიული ცვლილებები.

აღსანიშნავია მოგვიანებით, 2008 წლის 29 მაისს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუცია. რუსეთს აქვს რეალური სამართლებრივი ბერკეტი, რომ ვეტო გამოიყენოს გაეროს უშიშროების საბჭოში კონფლიქტების შესახებ გადაწყვეტილებების გასაბათილებლად, მაგრამ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე 90-იან წლებში ქართველთა მიმართ განხორციელებული „ეთნიკური წმენდის“ შესახებ ეუთოს სამიტების დასკვნები დღემდე ძალაში რჩება. ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ეფექტიანობაზე მეტყველებს ის, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის აღნიშნულ დოკუმენტში, რუსეთის მხრიდან ვეტოს შესაძლებლობის პირობებში, აქცენტირებულია სეპარატისტების ძალადობისაგან ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე.[4]

ევროსაბჭოს როლს ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის

---

[1] ალექსიძე, ლ., საერთაშორისო სამართალი და საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომც.2012, გვ. 520-523.

[2] კონფლიქტი აფხაზეთში - ქრონოლოგია, საქართველოს პარლამენტი, გვ. 7, http://www.parliament.ge/files/617_8236_839496_617_8236_545725_qronologia.pdf,

[3] ალექსიძე, ლ., საერთაშორისო სამართალი და საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომც.2012, გვ. 523.

[4] ალექსიძე, ლ., საერთაშორისო სამართალი და საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომც.2012, 520- 526.

კუთხით გამოკვეთს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედება და ადამიანის უფლებათა ევროპული საბჭოს მუშაობა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის კონვენციის მუხლი 1 ეხება ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულებას. მასში ნათქვამია, რომ „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“.[1]

კონვენციის პირველი კარი შედგება 18 მუხლისაგან, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა: მუხლი 2 (სიცოცხლის უფლება); მუხლი 3 (წამების აკრძალვა); მუხლი 5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება); მუხლი 6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება); მუხლი 7 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე); მუხლი 10 (გამოხატვის თავისუფლება); მუხლი 11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფფლება); მუხლი 13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება), მუხლი 14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), მუხლი 15 (კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს).[2]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედებას ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში აქვს ის მნიშვნელობა, რომ სწორედ მის საფუძველზეა შესაძლებელი რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სარჩელით ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა. ამასთანავე, აქ თავს იჩენს სერიოზული პრობლემა, კერძოდ, ის, რომ რუსეთი კონვენციის შემკვრელი ძალაა, რომელიც, ამავდროულად, აკონტროლებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიას. ე. ი. აფხაზეთში მცხოვრებმა სასამართლოში სარჩელი უნდა შეიტანოს ევროპული კონვენციის საფუძველზე, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, ასე მოიქცეს ადგილზე ყოფნისას. აქედან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროპული კონვენცია რომ ქმედითი იყოს, საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში კონვენციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის კონტროლის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს განსხვავებული მიდგომა ოკუპირებული ტერიტორიების მკვიდრთა საქმეებზე, მაგრამ შემოსულ საჩივრებს სერიოზულ ყურადღებას უთმობს. მაგ: ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან 8 დევნილმა პირმა უჩივლა რუსეთს სტრასბურგის სასამართლოში საკუთრების უფლების ხელყოფისათვის. აღნიშნული სასამართლოს დასკვნით, საკუთრების უფლება ვეღარ აღდგებოდა, აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციას ზარალის კომპენსირება დაეკისრა.

რეზონანსული იყო არჩილ ტატუნაშვილისა და გიგა ოთხოზორიას სიცოცხლის ხელყოფაზე ევროპულ სასამართლოში შესული საქმეები, რომლებიც გულისხმობდა ოკუპირებული აფხაზეთიდნ დევნილი პირების უფლებების დარღვევას.

ევროპულ სასამართლოს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა უფლებების დაცვის კუთხით დიდი ძალა არა აქვს, ვინაიდან რუსეთის დაქვემდებარებაში არსებული რეგიონიდან სარჩელი, ფაქტობრივად, არ შეაქვთ ოკუპანტის წინააღმდეგ. მართალია, ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლო შეზღუდული არიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ევრო საბჭოს როლი ამ საქმეში მაინც დიდია, პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ ის პრევენციის ფუნქციას მაინც ასრულებს.[3]

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის წარმოსაჩენად ისაყურადღებოა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მე-20 კონსოლიდირებული ანგარიში „კონფლიქტი საქართველოში“, რომელიც 2019 წლის 3 ნოემბერს განიხილა ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა. ანგარიშში შესწავლილია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში, 2019 წლის აპრილი-სექტემბრის პერიოდის მიხედვით.

---

[1]ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვვენცია, მუხლი 1, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0, ხელმისაწვდომი 8.05.2020 მდგომარეობით.

[2] იქვე.

[3] გეგენავა დ., ჯიქია მ., ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კონსტიტუციური რეფორმა და სასამართლოს უზენაესობა საქართველოში (სტატიათა კრებული), თბილისი, 2017, გვ. 183-195, ნანახია: 5. 05. 2020.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ანგარიშში გამოკვეთილია ისეთი მწვავე პრობლემები, რო-გორიცაა: ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვა სოფლებში: ჩორჩანასა და გუგუტიანთკარში; გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა; ქართულ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა; უკანონო დაკავებები; ეთნიკური ქართველების იძულება უცხოელებად დარეგისტრირებაზე. ანგარიშში, ასევე, აქცენტირებულია გალის მუნიციპალიტეტში კონფლიქტების აღკვეთისა და მათზე რეაგირების სამართლებრივი ბერკეტების კვლავ ამოქმედების აუცილებლობაზე.[1]

დასკვნა

ნაშრომში შევისწავლეთ საერთაშორისო ორგანიზაციათა (გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს) როლი ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. კვლევის აუცილებ-ლობა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღემდე პრობლემურია, ხშირია ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მათი აღკვეთის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივი მექანიზმებისა და პრაქტიკული ნაბიჯების შესწავლა.

კვლევის შედეგების თანახმად, ეუთო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელმაც დაგმო ქართველთა „ეთნიკური წმენდა“ 90-იან წლებში ოკუპირებულ აფხაზეთში და დღემდე დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

გაერო 90-იანი წლების აფხაზეთის ომის მოვლენების მკვეთრ შეფასებას თავს არიდებდა, მხოლოდ 2008 წლის რეზოლუციაში აღიარა 90-იან წლებში სეპარატისტთა მიერ განხორციელებული „ეთნიკური წმენდა“ ქართველთა მიმართ.

ევროპის საბჭოს მოქმედება შეზღუდულია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რამდენადაც აღნიშნულ რეგიონებში ქართული სახელმწიფო ვერ უწევს კონტროლს ევროპული კონვენციის უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებას, თუმცა ევროპულ კონვენციასა და ევროპულ სასამართლოს მაინც აქვს გარკვეული პრევენციული როლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ლ., საერთაშორისო სამართალი და საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 520-523.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვვენცია, მუხლი 1, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0, ხელმისაწვდომი 8.05.2020 მდგომარეობით.
3. გეგენავა დ., ჯიქია მ., ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კონსტიტუციური რეფორმა და სასამართლოს უზენაესობა საქართველოში (სტატიათა კრებული), თბილისი, 2017, გვ. 183-195, ნანახია: 5. 05. 2020.
4. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მე-20 კონსოლიდირებული ანგარიში „კონფლიქტი საქართველოში“,https://mfa.gov.ge/getattachment/News/2019-clis-13-noembers-evropis-sabchos-ministrta-mo/SG_Inf(2019)32E.pdf.aspx, ხელმისაწვდომი 4.05.2020. მდგომარეობით.
5. კონფლიქტი აფხაზეთში - ქრონოლოგია, საქართველოს პარლამენტი, გვ. 7, http://www.parliament.ge/files/617_8236_839496_617_8236_545725_qronologia.pdf, ხელმისაწვდომი 8.05.2020 მდგომარეობით.
6. ჯანგიანი, გ., ლექციების კრებული აფხაზეთის თემაზე, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2015, გვ. 49, 59; https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/leqtsiebis-krebuli-aphkhazethis-themaze-qarthuli.pdf, grass.org.ge, ნანახია: 8. 05. 2020.

[1]ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მე-20 კონსოლიდირებული ანგარიში „კონფლიქტი საქართველოში“,https://mfa.gov.ge/getattachment/News/2019-clis-13-noembers-evropis-sabchos-ministrta-mo/SG_Inf(2019)32E.pdf.aspx, ხელმისაწვდომი 4.05.2020. მდგომარეობით

ლიდერის როლი გენდერული სტერეოტიპების კვლევის დროს

ფაჩულია სოფიო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

„როდესაც ადამიანს ხვდები, პირველი, რასაც არჩევ არის ,,ქალია თუ კაცი?"
თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია ის, რომ ამას ყოველთვის,
დაუფიქრებლად და მტკიცედ აკეთებთ" .
ზიგმუნდ ფროიდი

რეზიუმე

ლიდერის როლში ქალები ყველა მხრიდან ზეწოლის ქვეშ ექცევიან: როგორც ლიდერები, ისინი სიმტკიცეს და მამაკაცურობას უნდა ავლენდნენ, მაგრამ როგორც ქალები, ისინი ,,ზედმეტად მამაკაცურნი" არ უნდა იყვნენ. კაცებთან მიმართებაში პარალელს თუ გავავლებთ ქალი ლიდერების მიმართ შეინიშნება ნაკლებად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მათ გაცილებით მეტი დაბრკოლებები ხვდებათ ლიდერის როლში, უფრო იშვიათად აფასებენ როგორც ეფექტურ ლიდერებს. ქალები, რომელთაც დაბალი თვითშეფასება გააჩნიათ და ზოგადად ეჭვი ეპარებათ თავიანთ შესაძლებლობებში ირჩევენ სტერეოტიპებთან ასიმილაციის გზას, უფრო თავდაჯერებულები კი მზად არიან ღირსეულად შეეწინააღმდეგონ დადგენილ სტერეოტიპებს.

გენდერი ეფექტური ლიდერობის სტილის ხედვის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ტრადიციულად მამაკაცური და ავტოკრატული სტილიდან უფრო დემოკრატიული და ტრანსფორმაციული ლიდერობის ქალურ სტილში გადაიზარდა.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, ლიდერობა, გენდერული თანასწორობა, გენდერული მეინსტრიმინგი, გენდერული ასპექტების ინტეგრირება, სექსუალური შევიწროება, სექსუალური ძალადობა

შესავალი

გენდერის (სოციალური სქესის) და ლიდერობის მიმართ გრძელვადიანი ინტერესი თვალშისაცემია საზოგადოების ფართო მასებში. აღნიშნული თემებისადმი მიძღვნილი სტატიები ძირითადად ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს ეხება (Book, 2000; Bowman, Worthy, & Greyser, 1965). ეს განსხვავება ჩაანაცვლა ქალთა ისეთმა შეხედულებამ, რომელიც მათ მამაკაცზე დაბლა აყენებდა (მაგ. ზოგი ვარაუდობდა, რომ ქალებს არ ჰქონდა შესაბამისი უნარები და თვისებები მენეჯერული წარმატებისათვის; (Henning & Jardin, 1997), გამოიკვეთა უფრო თანამედროვე და პოპულარული შეხედულება, რომელიც ლიდერ პოზიციაზე ქალს, მამაკაცთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს (Book, 2000, Helgesen, 1990). 1970-იან წლებამდე მამაკაცი მკვლევარების მხრიდან ინტერესის ნაკლებობის და ლიდერობაში სქესთა თანასწორუფლებიანობის ტრადიციული შეხედულების გამო, მკვლევარები გენდერთან და ლიდერობასთან დაკავშირებული საკითხებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ (Chemers, 1997). ბოლო დროს ამერიკულ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ლიდერ პოზიციებსა და აკადემიურ სფეროში ქალთა მზარდმა რაოდენობამ, მდედრობითი სქესის ლიდერების მიმართ ინტერესი გააღვივა.

ეფექტურ ლიდერ ქალებს ვხვდებით სხვადასხვა სფეროში. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერ- მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, ყოფილი ინდოეთის პრემიერ მინისტრი ინდირა განდი, ჩილეს პრეზიდენტი ვერონიკა მიშელ ბაჩელე, ოთხვარსკვლავიანი გენერალი ენ დანვუდი და სხვ. როცა საქმე ქალებს ეხება ებადებათ კითხვა რამდენად ეფექტური ლიდერები არიან ქალები მამაკაცებზე, რა განსხვავებები შეინიშნება მათი მართვის სტილში მამაკაცების მართვის სტილთან მიმართებაში. მკვლევართა დაკვირვებით განსხვავებული მოსაზრებები ფიქსირდება. ნაწილის მტკიცებით სქესი ლიდერობის სტილთან და ეფექტურობასთან უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ არის დაკავშირებული (DDobbins & Platz, 1986; van Engen, Leeden, &

Wullemsen, 2001; Powell, 1990). Eagly და Johnson-მა(1990) დაადგინეს, რომ სტერეოტიპული შეხედულებების საპირისპიროდ, ქალები, კაცებთან შედარებით, განსხვავებული სტილით ლიდერობდნენ. სხვაობები მათი მართვის სტილში ვლინდებოდა ძირითადად ისეთ ვითარებაში, სადაც ქცევის რეგულირება წარმოებდა სოციალური როლებით. აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო დემოკრატიული, მონაწილეობითი სტილით ლიდერობდნენ ვიდრე კაცები. 1987 წლიდან 2000 წლამდე ჩატარებული კვლევების მიმოხილვის მეტაანალიზით იგივე შედეგები გამოიკვეთა.

Eagly, Jphannesen-Schmidt, და van Engen–ის (2003) მიერ ჩატარებული მეტა-ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ლიდერი ქალების სტილი, მამაკაცების სტილთან შედარებით, უფრო ტრანსფორმაციულია და ქალები უფრო მეტად იყენებენ დამსახურებულ ჯილდოს ვიდრე კაცები. კვლევებით მამაკაცი დაქვემდებარებული თანამშრომლების მიერ ქალ ლიდერთა დაბალი შეფასება, ქალ ტრანსფორმაციულ ლიდერებზეც ვრცელდება (Ayman, Korabik, & Morris, 2009).

გენდერი „აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად, გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორის გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციისა და ასაკის მიხედვით. გენდერი განსაზღვრავს პიროვნების მდგომარეობას/პოზიციასა და ღირებულებას მოცემულ ვითარებაში. გენდერი ნიშნავს ქალებს, კაცებს, გოგოებსა და ბიჭებს შორის ურთიერთქმედებას, ამასთან ურთიერთქმედებას, როგორც ქალებს შორის, ისე კაცებს შორის. ამგვარად, ცნება „გენდერი“ არ ეხება მხოლოდ ქალს“.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს „თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს ქალებისთვისა და კაცებისთვის, გოგოებისთვისა და ბიჭებისთვის. თანასწორობა არ ნიშნავს ქალებისა და კაცების გათანაბრებას, არამედ იმას, რომ ქალებისა და კაცების უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული ადამიანის სქესზე“.

გენდერული მეინსტრიმინგი (კომპლექსური გენდერული მიდგომა) – ეს არის „ყოველი დასაგეგმი საქმიანობის, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის, ნებისმიერი სფეროსა და ყველა დონის პროგრამების ქალებსა და მამაკაცებზე ზეგავლენის შეფასების პროცესი. საქმე ეხება სტრატეგიას, რომელიც ქალებისა და კაცების წინაშე არსებულ პრობლემებსა და მათ მიერ შეძენილ გამოცდილებას მოიაზრებს პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვის, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების განუყოფელ ნაწილად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში; ამგვარად ქალები და კაცები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, ხოლო უთანასწორობა მიუღებელია. საბოლოო მიზანი კი გენდერული თანასწორობის მიღწევაა“.

გენდერული ასპექტების ინტეგრირება ნიშნავს ქალებსა და კაცებს შორის გენდერული სხვაობების შეფასებას, რომელიც აისახება მათ სოციალურ როლსა და ურთიერთქმედებაში, ძალაუფლების განაწილებასა და რესურსებზე მისაწვდომობაში. გენდერული ასპექტების ინტეგრირების მიზანია ქალთან და კაცთან მიმართებით კონკრეტული ვითარებისა და მოთხოვნების გათვალისწინება და მხედველობაში მიღება იმისა, თუ როგორ ახდენს სამხედრო მოქმედებები მათზე განსხვავებულ ზემოქმედებას.

ძირითადი ტექსტი

გენდერული განსხვავებები ლიდერობაში უთანასწორობას აგრეთვე იმითაც ხსნიან, რომ ქალები უბრალოდ განსხვავდებიან მამაკაცებისაგან. ქალთა ნაკლები წარმომადგენლობითობა ელიტურ და წამყვან/ლიდერ პოზიციებზე განპირობებულია ლიდერობის სტილსა და ეფექტურობაში განსხვავებებით. ქალსა და მამაკაცს შორის სტილში არსებულმა ნებისმიერმა სხვაობამ, არ შეიძლება ქალი არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს, პირიქით, ამან ქალთა ერთგვარი უპირატესობაც კი შეიძლება განაპირობოს (Eagly & Carli, 2003; Powell, 1990; Vecchio, 2002). კვლევებით დასტურდება, რომ ქალები ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ ისეთივე ერთგულებას ამჟღავნებენ, როგორსაც კაცები, ხოლო ორივე ერთად კი აღიარებენ, რომ მათი სამსახურებრივი როლი მეორეხარისხოვანია მშობლის და მეუღლის როლთან შედარებით (Bielby & Bielby, 1998; Thoits, 1992). ემპირიული კვლევები კი მართლაც გვიჩვე-

ნებენ, რომ ქალები ნაკლებად წამოწევენ საკუთარ თავს ლიდერის პოზიციაზე (Bowels & McGinn, 2005).

ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ძალოვან სტრუქ-ტურებს სამართლებრივ ვალდებულებად ეკისრება, სტრუქტურა იმასაც აღიარებს, რომ საჭიროა საუკეთესო და განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანების მოზიდვა სისტემაში როგორც კაცების ასევე ქალებისაც. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მდედრობითი სქესის პერსონალის შენარჩუნების დეფიციტია. მისიებში მონაწილეობამ განსაკუთრებით გაზარდა მდედრობითი სქესის პერსონალის როლი, რომლებიც ოპერაციული სარგებლობით გამოირჩევიან, კერძოდ მათ მისიებში ძირითადად საზოგადოებასთან ურთიერთობის და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაში ჰპოვეს გამოყენება.

„ჩვენი ძალა ჩვენს სისუსტეშია, ჩვენს სისუსტეს კი საზღვარი არ აქვს“ უ. შექსპირი "ჰირვეულის მორჯულება".

ტრადიციულად ქალები შეიარაღებულ ძალებში ოდითგანვე არასაკმარისად იყვნენ და არიან წარმოდგენილნი. მათი საქმიანობა ძირითადად დამხმარე, ლოგისტიკური, ადმინისტრაციული და სამედიცინო პოზიციებით შემოიფარგლება. ხელმძღვანელ თანამდებობაზე და მაღალი სამხედრო ჩინით ცოტა ქალია. ბარიერები კი, რომლებთანაც თავიანთი სამსახურის პერიოდში უწევთ პირისპირ დარჩენა ძირითადად შეიძლება იყოს: სექსუალური შევიწროება, სექსუალური ძალადობა, უარი მათთვის სასურველ ქვედანაყოფში ქალების დანიშვნაზე, მათ შორის ბავშვებზე ზრუნვის საჭიროების მქონე ქალებისთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნა. დაბრკოლება ძალოვან სტრუქტურაში მრავალფეროვნების შენარჩუნებაში შეიძლება იყოს მიკერძოებული პროცედურები სამსახურებრივი დაწინაურების საკითხებში, კერძოდ თვალშისაცემია მამაკაცებისადმი მინიჭებული უპირატესობა. ეს სტერეოტი-პები და ბარიერები შეიძლება დაიმსხვრეს და დაძლეულ იქნას მხოლოდ ლიდერო-ბით. შეიარაღებულ ძალებში ქალთა სრული მონაწილეობისთვის საჭიროა პრიორიტე-ტი მიენიჭოს გენდერული ნიშნით შევიწროებას, დისკრიმინაციას, დაშინებასა და ძალადობის პრევენციას.

კვლევები გვაჩვენებს, რომ მრავალფეროვანი და გენდერულად დაბალანსებუ-ლი გუნდები უკეთეს შედეგებს აღწევენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ინოვაცია და პრობლემების გადაწყვეტაა მნიშვნელოვანი.

ქალები კაცებთან შედარებით როგორც ეს კვლევებითაც დასტურდება ლიდე-რობისას არანაკლებ ეფექტურები არიან, გამოირჩევიან საქმისადმი ერთგულებით, მოვალეობის უმაღლესი შეგრძნებით დაკისრებული საქმისადმი და მოტივი-რებულები მათ წინაშე მდგარი გამოწვევის ლიდერის ფუნქციის შესრულებით, თუმცა მამაკაცებისაგან განსხვავებით არ მიაჩნიათ, რომ მათ სჭირდებათ თავის წარმოჩენა. ფაქტიურად ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობა ლიდერობის ჭრილში უფრო სტერეოტიპულ ხასიათს ატარებს. სტერეოტიპები ხომ რეალურად არასწორი წარმოდგენის შექმნის მაპროვოცირებელი გახდა. გენდერული სტერეოტიპები ხომ იმასაც განსაზღვრავენ თუ როგორია შესაფერისი ქცევა ქალისა და მამაკაცისთვის.

ლიდერის როლში ქალები ყველა მხრიდან ზეწოლის ქვეშ ექცევიან: როგორც ლიდერები, ისინი სიმტკიცეს და მამაკაცურობას უნდა ავლენდნენ, მაგრამ როგორც ქალები, ისინი ,,ზედმეტად მამაკაცურნი" არ უნდა იყვნენ. კაცებთან მიმართებაში პარალელს თუ გავავლებთ ქალი ლიდერების მიმართ შეინიშნება ნაკლებად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მათ გაცილებით მეტი დაბრკოლებები ხვდებათ ლიდერის როლში, უფრო იშვიათად აფასებენ როგორც ეფექტურ ლიდერებს. ქალები, რომელთაც დაბალი თვითშეფასება გააჩნიათ და ზოგადად ეჭვი ეპარებათ თავიანთ შესაძლებლობებში ირჩევენ სტერეოტიპებთან ასიმილაციის გზას, უფრო თავდაჯერებულები კი მზად არიან ღირსეულად შეეწინააღმდეგონ დადგენილ სტერეოტიპებს.

გენდერი ეფექტური ლიდერობის სტილის ხედვის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ტრადი-ციულად მამაკაცური და ავტოკრატული სტილიდან უფრო დემოკრატიული და ტრანსფორმაციული ლიდერობის ქალურ სტილში გადაიზარდა. 2014 წლის კვლევის „კაცები და გენდერული ურთიერთო-ბები“-ს საფუძველზე გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეთა გამოკვეთილი უმრავლესობა (69%) უმაღლესი განათლების არმქონეა; უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი 31%-ია. აღნიშ-ნული ტენდენცია დასტურდება როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში. გენდერული თანას-

წორობის მოწინააღმდეგე ქალების 74%-ს უმაღლესი განათლება არ აქვს, ხოლო კაცების შემთხვევაში 65%-ს არ აქვს უმაღლესი განათლება.

გენდერული სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა და ვაჟებში არსებული მასკულინური აღქმა და მესიჯები ერთგვარ ზეწოლას ახდენს მოზარდ ბიჭზე, ის აუცილებლად შეეცდება საპირისპირო სქესთან მიმართებაში იყოს დომინანტი, ძლიერი და შეუპოვარი. მშობლის მხრიდან მცდელობა „ნამდვილი კაცის“ სტერეოტიპის შექმნისა მოძალადე კაცად ჩამოყალიბებით დასრულდა.

ლიდერობის სტილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამოცანებს და საქმის მოთხოვნებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ხალხს. ადამიანები იმდენად მნიშვნელოვანია, რამდე-ნადაც ისინი საჭიროა კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. მმართველზე დაქვემდე-ბარებულ თანამშრომლებთან კომუ-ნიკაციას მნიშვნელობა არ ენიჭება, იმ შემთხვევის გარდა, როცა კომუნიკაცია ინსტრუქციების მისა-ცემადაა საჭირო. ამგვარი სტილი შედეგებზეა ორიენტირებული და ადამიანები ამ შედეგის მისაღწევი საშუალებაა. ლიდერი არის მომთხოვნი, უყვარს კონტროლი, მძიმეა და გადამეტებულ ძალაუფლებას ავლენს.

დასკვნა

და ბოლოს შეჯამებისთვის არსებული სტატისტიკით ქალები უპირატესობას ანიჭებენ მოღვა-წეობის ტრადიციულ სფეროებს, ისეთ სამსახურს, რომელიც ადამიანების დიდ წრესთან ურთიერთობის საშუალებას იძლევა. მამაკაცები კი უპირატესად ირჩევენ უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოს, რომელიც პერსპექტიულიცაა კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. ლიდერი თავის მხრივ ზრუნავს პიროვნულ განვითარე-ბაზე, ისწრაფვის დასახული მიზნების მიღწევისთვის, იყენებს მთელ პოტენ-ციალს თვითრეალიზაციისთვის. მას კარგად აქვს გათავისებული, რომ თუ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს არ გააკეთებს ნაკლები შანსი ექნება იყოს წარმატებული და არ დაიჩაგროს. ამ ცხოვრებისეულ და უშეღავათო ბრძოლაში ქალები არიან ჩართულები მამაკაცების მხარდამხარ და პირადი მაგალითით ამტკიცებენ, რომ ტოლს არ დაუდებენ მამრობითი სქესის ძლიერ წარმომადგენლებს, რითაც ამსხვრევენ არსებულ სტერეოტიპებს. მათ გაითავისეს, რომ მიუღწეველი არაფერია, რომ მათ აქვთ უნარი გახდნენ საუკეთესო ხელმძღვანელი, დედა, მეუღლე და სხვ. „ეფექტიანი ლიდერობა“ ხომ სათანადო ქცევის მოდელირებას, ნეგატიური სტერეოტიპებისა და არასათანადო ქცევის წინააღმდეგ ბრძოლას მოიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. NATO Bi-Strategic Command Directive, Integrating UNSCR 1325 and Gender Perspective into the NATO Command Structure [ნატოს სტრატეგიული სარდლობის დირექტივა «გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325-ისა და გენდერის კონცეფციის ინტეგრირება სარდლობის სტრუქტურაში»);
2. გაეროს გენერალური ასამბლეის ოფიციალური ანგარიშები (1997), დამატება # 3 (A/52/3/Rev.1), თავი 4, პარ. 4).
3. „გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325-ისა და გენდერის კონცეფციის ინტეგრირება სარდლობის სტრუქტურაში“-ნატოს სტრატეგიული სარდლობის დირექტივების საფუძველზე.
4. ლიდერობა: თეორია და პრაქტიკა/ პიტერ გ. ნორთჰაუზი დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, მე-5 გამოცემა. გვ.80, გვ. 287 , 2010 საავტორო უფლება ეკუთვნის SAGE Publications, Inc
5. ფებრარო ა.რ. და რიტუ მ. ჯილი, „გენდერი და სამხედრო ფსიქოლოგია“ ჯოან ს. კრაისლერისა და დონალდ მ. მაქქრეარის გამოცემაში „სახელმძღვანელო ფსიქოლოგიაში გენდერული კვლევების შესახებ“, ტომი 2: „გენდერული კვლევები სოციალურ და გამოყენებით ფსიქოლოგიაში“ (ნიუ-იორკი/ დორდრეხტი/ ჰაიდელბერგი/ ლონდონი: სპრინგერი, 2010), გვ. 671–696;
6. კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები“-ს კვლევა. გვ.4,გვ.49. განხორციელდა

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA) მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის-თვის საქართველოში“ ფარგლებში. თბილისი 2014

7. წერეთელი მ., „გენდერი-კულტურული და სოცილური კონსტრუქტი“, თბ. 2006. გვ. 66; წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით;
8. „ლიდერობა: თეორია და პრაქტიკა“, ნორთჰაუზი პ. გ. დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, მე-5 გამოცემა. 2010, გვ.80, 280, 287; საავტორო უფლება ეკუთვნის SAGE Publications, Inc.
9. „გენდერული ასპექტების ინტეგრირება შეიარაღებული ძალების შიდა ზედამზედველობაში“ Bastick, Megan, Integrating a Gender Perspective into Internal Oversight within Armed Forces (Geneva: DCAF, OSCE, OSCE/ODIHR, 2014).
10. გენდერი და საჩივრების განხილვის მექანიზმები: სახელმძღვანელო შეიარაღე-ბული ძალებისთვის და საჩივრების განმხილველი ინსტიტუტებისთვის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, შევიწროების, დაშინებისა და ძალადობის პრევენციისთვის (ჟენევა: DCAF, 2015). მეგან ბასტიკი, გვ. 40;

LEADERS DILEMMA DEALING WITH GENDERED STAKEHOLDERS

Pachulia Sophio
PhD Student of Georgian Technical University

შუმმ არყ

ჯ ოუ ენ ლეაჯ არ უნდრასსეიდ ფოუ ალდეს - ას ლაიერ, ტეკ ნეედ ტოდემ ოსტაფეთმ ნესს ანდ მ ასფლეთ, ჰოუ ევერას ოუ ენ, ტეკ სკულფიფცე ოფფას“ტოემ ასფლეთ”. Iფუ ე ცე ვარ ატტენდ ფუარს მ ენ ანდ ოუ ენ ლეაჯ, ფ ე ინლეფ ტაფფეკ არ ლფსკრიმინალ ფორმ ლატენალ ენ ენ ენ

გამჭირვალობა საჯარო სამსახურებში

ქათამაძე ნატო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი.

აბსტრაქტი

იმისათვის რომ სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტურად იმუშაონ, საჭიროა, სახელმწიფო ორგანოების თანმიმდევრული და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ისეთი მმართველობა, რომელიც შექმნის მმართველობის მოქნილ, გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი მოითხოვს მთელი რიგი რეფორმების გატარებას. მართალია ჩვენი ქვეყანა ცდილობს გაითვალისწინოს საეთაშორისოდ აღიარებული რეკომენდაციები, მაგრამ პრობლემები მაინც მრავალადაა, რაც ნათლად ჩანს როგორც საკანონმდებლო და ისე აღსრულების ნაწილში. იმისათვის რომ რეფორმები წარმატებით განხორციელდეს აუცილებელია, ადეკვატურად იქნას აღქმული ის პრობლემები, რომლებიც აფერხებენ ამა თუ იმ რეფორმის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (მიღებული იქნა 27. 10. 2015 წლის 27 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 01. 01 2017 წ. 2017) განისაზღვრა, - როგორც სამსახურში მიღების წესი, ასევე ის რეგულაციები, რომელებიც მოიცავს კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, კარიერის მართვას, მობილობას, რეზერვის პირობებს და წესებს... მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ მრავლადაა გაუმჭვირვალედ ჩატარებული კონკურსები და ატესტაციები, იკვეთება ნეპოტიზმის ნიშნები. რაც საბოლოო ჯამში იძლევა არაკვალიფიციური კარდებით არაეფექტურ მმართველობას.

სტატიის მიზანია: საჯარო სამსახურებში არსებული იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც, ხელს უშლიან ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ასევე, წინადადებების შეთავაზება, რომლებიც უფრო გამჭვირვალეს გახდის კონკრეტული უწყებებში ჩატარებულ კონკურსებსა და ატესტაციებს.

საკვანძო სიტყვები: გამჭვირვალობა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება; საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულება, დემოკრატიული მმართველობა, საჯარო მმართველობა. კონკურსები. ატესტაციები.

ძირითადი ტექსტი

გამჭვირვალობა საჯარო სტრუქტურებში, ერთერთი აუცილებელი პირობაა. დემოკრატიის პროცესში საჯარო სამსახურები ვალდებულია უზრუნველყონ საჯარო მმართველობისა და თავად საჯარო სამსახურის მართებული ფუნქციონირება, იმ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

საჯარო მმართველობის ეფექტურობის მიღწევის მიზნით აუცილებელია საჯარო სამსახური იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და რაც მთავარია აპოლიტიკური. ბოლო 3 ათეული წელია, საქართველოში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება, ყველა ჯერზე, წინასაარჩევნოდ თითოეული მათგანი გამოთქვამდა წუხილს არსებულ ნეპოტიზმსა და პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან დაკავშირებით და დებდა „პირობას“, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, თუმცა მიუხედავად დაპირე-ბებისა პრობლემა მაინც პრობლემად დარჩა და მუდმივი განხილვის საგნად არის გადაქცეული. სამეცნიერო წრეებში, ხელისუფლებასა და ოპოზიციაში მუდმივად არის მსჯელობა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან, არსებულისგან განსხვავებით, მეტ ყურადღებასა და სწრაფ რეაგირებას. ამავდროულად, საჯარო სამსახურებში საქმიანების პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის საგარეო იმიჯიც.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ლეონარდ უაიტი აღნიშნავდა: „სახელმწიფო მმართველობის

სწავლება უნდა დავაკავშიროთ პოლიტიკური თეორიის ისეთ განზომილებებთან, როგორიცაა სამართლიანობის, თავისუფლების, კანონმორჩილებისა და პიროვნების საქმიანობაში სახელმწიფოს როლი[1]".

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც განხორციელდა 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის პერიოდში და ეხებოდა სამინისტროებში პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესსა და მეთოდოლოგიას, შუალედური შეფასების ჩატარების ხანგრძლივობას, შედეგების შეფასებას და მის საფუძველზე გაცემული ფულადი ჯილდოების ოდენობას,- გამოვლენილი იქნა, რომ სამინისტროების დიდმა ნაწილმა დაარღვია კანონის მოთხოვნები. კერძოდ, საჯარო მოხელეთა შეფასება განახორციელეს ვადის გასვლის შემდეგ, ასევე, აღმოჩნდა რომ საჯარო მოხელეებს არ გააჩნდათ დაკავებული თანამდებობების შესაბამისი კომპეტენცია. რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებდა საჯარო მოხელეთა შეფასებას და აფერხებდა ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების პროცესს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საჯარო მოხელის შეფასების სრულყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზანს საქართველოს საჯარო სამსახურში. ვინაიდან სწორედ კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, მათ მოქმედებასა და კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე საქართველოს იმიჯის განმტკიცება.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35-მუხლი განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების პირობებს, თუმცა, თუ სტატისტიკას გადავხედავთ ხშირად კონკრეტული უწყებების საკვალიფიკაციო მოთხოვნები მორგებულია სასურველ კანდიდატებზე, ასევე საინტერესოა ის ფაქტიც რომ კანონის თანახმად კონკურსს ატარებს კონკრეტული უწყების მიერ შერჩეული საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც ხშირ შემთხვევაში სიმბოლური ხასიათისაა, ვინაიდან ხშირად, კომისიის ყველა წევრი, წარმოადგენს იმ კონკრეტული სამსახურის „ნდობით აღჭურვილ პირს, სადაც ხშირად იკვეთება ხოლმე ნეპოტიზმის ნიშნები. მართალია, საჯარო სამსახურის თანამშრომელს, ბიუროს უფროსის დავალებით (მუხლი 38. პუნქტი 3) უფლება აქვს ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში დაესწროს კონკურსის მიმდინარეობის პროცესს თუმცა, ეს იმდენად იშვიათ ხასიათს ატარებს, რომ შეიძლება ითქვას-არც ესწრებიან.

ასევე აღსანიშნავია, უკვე დასაქმებული საჯარო მოხელეების შეფასების სისტემის გაუმართავობა. ხშირია არაკვალიფიციური კადრების სიმრავლე და ერთეული კვალიფიციური კადრების დატვირთვა დამატებითი ფუნქციებით. მართალია საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 45_ის საფუძველზე ხელმღვანელს აქვს უფლება დამატებით, დროებითი ფუნქციების დაკისრების, მხოლოდ პირის თანხმობით და გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არა მუდმივად.

საყურადღებოა ატესტაციის ჩატარების პროცესის გამჭვირვალობაც... თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ე.წ. „ტესტირებას", ხშირ შემთხვევაში ეწირებიან განსხვავებული პოლიტიკური კუთვნილების მქონე საჯარო მოსამსახურეები. რომელთა დიდი უმრავლესობა სასამართლოს ძალით ცდილობს საკუთარი სამსახურეობრივი პოზიციისა და უფლებების აღდგენას. იმისათვის, რომ მათთვის არასასურველი პირები გაათავისუფლონ, საჯარო სამსახურის ხელმძღვანელი პირები ხშირად მიმართავენ ე.წ. რეორგანიზაციის პროცესს, რათა უმტკივნეულოდ მოხდეს მათი სამსახურებიდან ჩამოშორება, მაშინ როცა ერთი კვირის შემდეგ იგივე ფუნქციების მატარებელ ოდნავ სახეშეცვლილ სამსახურებში უკვე თავისუფლად ასაქმებენ მათთვის სასურველ ადამიანებს.

არცთუ ისე მცირეა შემთხვევები როცა ხელისუფლებების ცვლილებების შემდეგ საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა გარკვეულ კატეგორიაზე მიმდინარეობს „შეთავაზება" პოლიტიკური კუთვნილების შეცვლასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან სამსახურების დაკარგვით. ზოგი თანხმდება, ზოგიც არა და ამ შემთხვევაშიც, განთავისუფლებულთა ბოლო გზა სასამართლო დავაა. მაგალითისათვის შემიძლია მოვიყვანო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაგალითი სადაც, ბოლო 5 წლის განმავლობაში, სასამართლომ 7 გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, სადაც

[1] White L., The study of public administration. NewYork: Macmillan, 1948. გვ10

ცალსახად იკვეთებოდა მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული უკანონო და სუბიექტური გადაწყვეტილებები. თუმცა, ვინც სასამართლოს არ მიმართა, უმიზეზოდ განთავისუფლებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია მიზეზი კი ის ნიჰილიზმი და უიმედობაა რომელიც მსგავს განთავისუფლებას ახლავს თან.

აღარაფერს ვამბობ, კონკრეტულ ადგილობრივ თუ სახელმწიფო უწყებებში შექმნილ აიპიებზე, სიპებზე, რომელთა საქმიანობას არ არეგულირებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და სადაც კადრევის არჩევის/გადარჩევის პროცესი ექსკლუზიურად კონკრეტული უწყებების პრეროგატივაა, რითაც სარგებლობენ კიდეც. თუ ბოლო პერიოდის სტატისტიკას გადავხედავთ მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება სადაც მრავლადაა არაკვალიფიციური კადრები, რომლებიც აზიანებენ კონკრეტული სამსახურების იმიჯსა და განვითარებას.

დასკვნა

მიუხედავად უკანსაკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა და საკანონმდებლო დონეზე გატარებული პროგრესული ნაბიჯებისა, საჯარო სამსახურებში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება კანონის აღსრულების პროცესი. რიგი სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში უხეშად არღვევენ კანონის მოთხოვნებს და ჩაფლული არიან ნეპოტიზმსა და კორუფციაში. იმისათვის რომ ქვეყანა დაადგეს ქვეყნის აღმშენებლობის დემოკრატიულ გზას ამისათვის აუცილე-ბელია თავიდან იქნას აცილებული საჯარო სამსახურის პოლიტიზირება. ამისათვის კი აუცილებელია, გავითვალისწინოთ ისეთი ევროპული ქვეყნების გამოცდილება რომლებმაც ეს გზა უკვე გაიარეს, რათა სწრაფად ვიფიქროთ პრობლემების ხარისხიან და სწრაფად მოგვარებაზე. ეფექტიანი საჯარო მმართველობა კი ხელს უწყობს კორუფციული გარიგებების შემცირებას და საჯარო სტრუქტურების მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლებას. სასურველია საკონკურსო საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე იყოს დამოუკიდებელი და არ წარმოადგენდეს იმ კონკრეტული უწყებას სადაც კონკურსი მომდინარეობს. სასურველია ეს იყოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ „არჩეული“ პირი. ასევე კარგი იქნება თუ, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლის დასწრება ატესტაცია-კონკურსებზე იქნება აუცილებლად სავალდებულო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.(მუხლები: 38-38-45)
2. გიორბელიძე მ. ბარათაშვილი ნ. „შეფასების სისტემისადმი საჯარო მოხელეთა დამოკიდებულების შესწავლა საჯარო სამსახურში“ - მომზადებული და გამოცემულია საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UKAID-ის მხარდაჭერით. თბილისი 2017.
3. „შეფასების სისტემისადმი საჯარო მოხელეთა დამოკიდებულების შესწავლა საჯარო სამსახურში“, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid – ის ხელშეწყობით, ჩატარებული კვლევა. თბილისი. 2017.
4. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა „სამინისტროებში პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესსა და მეთოდოლოგიაზე“ 2018 წლის 01.01-31.12
5. White L., The study of public administration. NewYork: Macmillan, 1948. გვ.10

[illegible] in P[illegible]

Katamadze Nato
Assistant-professor of Georgian Technical University

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

Keywords: [illegible]

სესხის ხელშეკრულების ისტორიული ექსკურსი
(შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

შამათავა ირაკლი
კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, სესხის ხელშეკრულების წარმოშობისა და განვითარების ტენდენციები, ისტორიული ექსკურსი – რომის, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის, ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით. სტატიაში შესწავლილია სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება კონტინენტური ევროპის ქვეყნებზე დაყრდნობით; განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, რუსეთის, თუ კვებეკის სახელმწიფოთა მაგალითები.

სტატიის აქტუალობა მზარდია, რამდენადაც სესხის ხელშეკრულება სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირშია და ეკონომიკური პროცესების განვითარების პარალელურად, თანამედროვე პირობებში, უფრო და უფრო საჭირო ინსტრუმენტი ხდება. მით უფრო, რომ ქართულ კანონმდებლობაში, ბოლო ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რაც უპირველესად უკავშირდებოდა საფინანსო ბაზარზე მონიტორინგის გამკაცრებას და სასესხო ურთიერთობებში მხარეთა უფლებების (კრედიტორისა და მოვალის) თანაბარზომიერ დაცვას. ამასთან, სტატიაში განხილული საკითხები მნიშვნელოვანია მეცნიერ-კომპარატივისტებისთვის, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისთვის და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: სესხი, სესხის ხელშეკრულება, ისტორიული ექსკურსი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა, სამართლებრივი ბუნება.

ძირითადი ტექსტი

სესხის ხელშეკრულება, სამოქალაქო სამართალში, კლასიკურ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება. სესხის ხელშეკრულება შეთანხმებაა, რომლითაც „კრედიტორი გარკვეული დროით სარგებლობისთვის გადასცემს მოვალეს ნივთს ან ფულად თანხას. ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც მიზნობრივი, ასევე არამიზნობრივი“.[1]

სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები ჯერ კიდევ რომის სამართლის წიაღში განვითარდა, თუმცა აღნიშნული ინსტიტუტი დროთა განმავლობაში, მნიშვნელოვნად მოდიფიცირდა. ისტორიულად, სესხის ხელშეკრულება იმგვარ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლის დასადებადაც, გარდა მხარეთა შორის შეთანხმების საჭიროებისა, აუცილებელი იყო ნივთის რეალური გადაცემაც. შესრულების სავალდებულოობა სწორედ ნივთის გადაცემის შემდეგ წარმოიშობოდა.[2] რომის სამართალი უძველესი დროიდან სესხის ხელშეკრულების სამ სახეობას განარჩევდა:

1. Mutuum, Mutui Datio (სესხი) – ცალმხრივად მავალდებულებელი ხასიათის გარიგებად მიიჩნეოდა, სადაც მოვალე საკუთრებაში იძენდა კრედიტორის კუთვნილ, გვარეობით ნივთს (Genus) და ვალდებული იყო ვადის გასვლისას დაებრუნებინა იმავე რაოდენობის შესაბამისი ნივთი.[3] ამ განმარტებიდან შესაძლებელია გამოვყოთ სესხის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ასპექტები. პირველ ყოვლისა, „გარიგების ნამდვილობისთვის საჭირო იყო სახეზე ყოფილიყო გამსესხებლის საკუთრებაში არსებული გვარეობითი ნივთი, რომელსაც საკუთრებაში გადასცემდა მსესხებელს. შემდგომ ამისა, მსესხებელი ვალდებული ხდებოდა დაებრუნებინა არა იგივე ნივთი, რომელიც მიიღო, არამედ იგივე რაოდენობის, ტიპისა და ხარისხის ნივთი“.[4] რომის სამართალი სესხის ხელშეკრულებას

---

[1] *Donnely M.,* The Law of banks and credit institutions, 2000, 369.

[2] *Lorenzen G. E.,* Causa and Consideration In The Law Of Contract, Yale Law Journal, 1919, 623; *Zimmermann R.,* The Law Of Obligations, 1990, 188; *Хаксельберг Б, Л., Ровный Б,* Консенсуальные и реалные договоры в гражданском праве, 2004.

[3] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართლის საფუძვლები, თბ, 2013, 216.

[4] *Zimmermann R,* The Law Of Obligations, 1990, 153.

უსასყიდლოდ განიხილავდა, თუმცა მხარეებს ანიჭებდა შესაძლებლობას შეთანხმებულიყვნენ ხელშეკ-რულების არსებით პირობაზე – საპროცენტო სარგებელზე, რომელიც აუცილებლად გარკვეულ სტან-დარტებში მოექცეოდა.[1] დადგენილი იყო სარგებლის ზღვრული ოდენობა 1-დან 8 %-მდე, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საჯარო ხელისუფლება გამუდმებით ებრძოდა სამევახშეო საქმიანობას. გამომდინარეობს რომ, კრედიტორის მხრიდან განსაზღვრულ არაგონივრულ საპროცენტო სარგებელს, რომის სამართალი, ზღვრული საკანონმდებლო შკალით უპირისპირდებოდა.[2]

2. ძველი რომაული სამართალი სპეციალურ სასესხო ურთიერთობას – საზღვაო სესხს[3] (Foenus Nauticum) ითვალისწინებდა, მოთხოვნაც განსაკუთრებით აქტუალური იყო, რამდენადაც საზღვაო ვაჭრობა იმ დროის უმთავრეს შემოსავლიან საქმიანობად ითვლებოდა. Mutuum, Mutui Datio-სგან განსხვავებით, საზღვაო სესხი სასყიდლიანი იყო. კრედიტორს მხოლოდ საზღვაო ექსპედიციის წარმატებით დასრულების შემდეგ შეეძლო სესხის სარგებელთან ერთად დაბრუნება.

3. Commodatum – სესხი ტიპიური თხოვების ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რამდენადაც ითვალისწინებდა კრედიტორის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის (მოვალისთვის) დროებით სარგებლობაში გადაცემას.[4] ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება გარიგების უსასყიდლო ხასიათ და გადაცემული საგნის ინდივიდუალური, მოუხმარი ბუნება იყო, რაც უკავშირდებოდა ხელშეკრულების მხარეთა მეგობრულ ურთიერთობას. მოხმარებადი საგნის სესხად გადაცემაც დაიშვებოდა, თუმცა იმ შეზღუდვით, რომ ამ საგნების დანიშნულებისამებრ გამოყენება არ მოხდებოდა, რის მაგალითს წარმოადგენდა ეგზოტიკური ხილის სესხება სუფრის მოსართავად და არა საკვებად.

1964 წლის საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსი სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას აწესრიგებდა 391-ე მუხლით: „სესხის ხელშეკრულებით ერთი მხარე (გამსესხებელი) გადასცემს მეორე მხარეს (მსესხებელს) საკუთრებად ან ოპერატიული მართვისათვის ფულს ან გვარეობითი ნიშნებით განსაზღვრულ ნივთს, მსესხებელი კი კისრულობს დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე თანხა ან იმავე გვარისა და თვისების იმდენივე ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო, თუ ხელშეკრულებაში ვადა არ არის დადგენილი, - გამსესხებელის მოთხოვნისთანავე“.[5] აღნიშნული დანაწესით, სესხის ხელშეკრულება ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებად მოიაზრებოდა, რომლითაც, მხოლოდ გამსესხებელს წარმოეშობოდა ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაებრუნებინა მიღებული თანხა ან გვარეობითი ნივთი, ხოლო მსესხებელს საპასუხო ვალდებულება არ გააჩნდა. ამასთან, ხელშეკრულების დასადებად, მხარეთა შორის მხოლოდ შეთანხმება არ იყო საკმარისი. თანხის ან ნივთის რეალურად გადაცემა სავალდებულო პირობას წარმოადგენდა. ამავე კოდექსის 392-ე მუხლი არეგულირებდა ხელშეკრუ-ლების დადების მომენტს, რომლის მიხედვითაც „სესხის ხელშეკრულება ითვლება დადებულად ფულის ან ნივთის გადაცემის მომენტიდან“.

საგულისხმოა, რომ პროცენტის მარეგულირებელი ნორმა არსებობდა ზემოხსენებულ კოდექსში, კერძოდ: 216-ე მუხლის რედაქციით, „როდესაც სარგებლიანი სესხით წლიურად გადაკვეთილია 6 %-ზე მეტი, მსესხებელს უფლება აქვს ნასესხები ფულის დაბრუნებით ვადამდე განთავისუფლდეს ვალდებულებისაგან, თუ რომ ვალის დაბრუნებას აცნობებს გამსესხებელს სამი თვით ადრე და წინასწარ გადაუხდის ერთი თვის სარგებელს“. ამასთან, პროცენტის დაწესების უფლება მხოლოდ იურიდიულ პირს, საკრედიტო დაწესებულებას გააჩნდა, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში,

---

[1] იხ., *მეტრეველი ვ,* რომის სამართლის საფუძვლები, თბ, 2009, 74.

[2] შენიშვნა: აღნიშნულ მოდელი 2017 წლიდან ქართულმა კანონმდებლობამ კვლავ გაიზიარა, როდესაც სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით, 625-ე მუხლის მე-2 ნაწილში რამდენჯერმე შეიტანა ცვლილება და საბოლოოდ, სესხის წლიური ეფექტურ საპროცენტო განაკვეთად დაადგინა 50 %.

[3] შედრ: საქართველოს საზღვაო კოდექსის 204-ე მუხლი (საზღვაო იპოთეკა) ანალოგიაა რომის სამართლის იმ მოდელისა, რასაც ეწოდებოდა Foenus Nauticum. ნორმის დისპოზიციით, „ნებისმიერი გემი, მათ შორის მშენებარეც, ან უფლება მასზე შეიძლება გემთმფლობელმა (დამგირავებელმა) დააგირაოს (იპოთეკა) სესხით ან სხვა ფინანსური უზრუნველყოფით იპოთეკის მიღების გზით.

[4] *გარიშვილი მ, ხოფერია მ,* რომის სამართლის საფუძვლები, თბ, 2013, 218.

[5] საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 391-ე მუხლი (1986 წლის მდგომარეობით) http://www.library.court.ge/upload/Soviet_Regime_Civil_Code.pdf.

საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროებისა და ქალაქის ლომბარდების სასესხო ოპერაციების საშუალებით. წინამდებარე რეგულაციის დარღვევით, სესხზე პროცენტის დაწესება მევახშეობად ითვლებოდა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.

სესხის ხელშეკრულება, უძველესი დროიდან დღემდე, მრავალგზის მოდიფიცირდა, რამდენადაც, როგორც ქართული ისტორიული წყაროების მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი თავის თხზულებათა მრავალტომეულში აღნიშნავს, „სესხი და ვალი სოციალური ცხოვრების ისეთ სფეროს ეხება, რომლის შესახებაც ცნობები ისტორიულ ძეგლებში, რასაკვირველია, არ შეიძლება რომ იყოს. ამ პრობლემის შესასწავლად საკანონმდებლო და მოქმედი სამართლის ძეგლებია საჭირო, უმთავრესად ვალის წიგნები. ერთის გარდა ამ ხანის ვალის წიგნი გადარჩენილი არ არის: ჯერჯერობით მაინც გამოქვეყნებული არ ყოფილა. ასეთ პირობებში მკვლევარს სესხსა და ვალზე ბევრი არაფრის თქმა არ შეუძლიან, რათგან ხელთ მას შეიძლება მხოლოდ ამის შესახებ ტერმინოლოგია და თითო-ოროლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შემთხვევით გადარჩენილი ცნობა ჰქონდეს".[1] იმ ხანაში, როდესაც საღმრთო წერილი ქართულად ითარგმნებოდა, სიტყვა „სარგებელი" ჯერ სესხისა და ვალის სამართალთან დაკავშირებული ცნების აღმნიშვნელი ტერმინი არ ყოფილა და იგი მხოლოდ ზედსართავია სახელის „სასარგებლო"-ს შესატყვისი იყო, ხოლო „ ვასხი" უდრის ბერძნულს, რაც ძველს და ლათინურს mutuus-ს უდრის ე.ი სესხს, სარგებლად გაცემულ ფულს, თუ სახმარს.

ერთ-ერთ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილი განიხილავს საკითხს სარგებლის კანონიერ სიდიდესთან მიმართებით და იშველიებს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს, სადაც მეფე გიორგი ბრწყინვალეს დადგენილი აქვს სარგებლის კანონიერი ზღვარი, რაც შეადგენს 20 %-ს. საინტერესოა ერთი კონკრეტული ვალის ხელშეკრულებაც, (მე-XIII ს. შუა წლები; შიომღ. ისტ. საბ. 62) რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით აბსოლუტურად გამართულია, რადგან შეიცავს ვალის შესახებ ხელშეკრულების კანონიერ ფორმას. (თავისი არსით, ხელშეკრულება ფორმის დაცვით დადებულ გარიგებათა ნიმუშს განეკუთვნება). ვალის ხელშეკრულებაში მითითებულია მოვალისა და მსესხებლის ვინაობა; ვალის აღების მაიძულებელი გარემოება; ვალის აღების სუბიექტური ნებელობა, ანუ ნების ავტონომიურობა, კონტრაჰენტის თავისუფლება; აღებული ვალის თვისება და რაოდენობა; ვალის აღების თარიღი; სარგებლის პერიოდულად გადახდის ვალდებულება და სესხისათვის გადასახდელი ყოველწლიური თუ ყოველთვიური სარგებლის თვისება და ოდენობა - ძირითადი თანხის სრულად გასტუმრებამდე; მოწმეთა დასწრება და მათი დამადასტურებელი ხელრთვა. წყარო აშკარად მოწმობს ქართული სამართლებრივი აზროვნების სიღრმეს, რამდენადაც მსგავსი დოკუმენტის შედგენა არათუ მაშინდელ, დღევანდელ პირობებშიც ითხოვს საფუძვლიან იურიდიულ აზროვნებასა და სპეციფიკურ განათლებას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (შემდომში — „გსკ") რეფორმამდე სესხის ხელშეკრულების ცნებას §607-ე ეხებოდა: „მათ ვინც მიიღეს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი, ვალდებულნი არიან გამსესხებელს დაუბრუნონ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი".[2] ქართული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, გსკ-ში ერთმანეთისგან გამიჯნულია ფულის და ნივთის სესხის ხელშეკრულება. კოდექსის §488-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა შეთანხმებული ოდენობით. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს ნაკისრი პროცენტი და ვადამოსულობისას დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა". ნორმის შემადგენლობა, უფლება-მოვალეობების გადანაწილება ინტერპრეტაციის საშუალებას აღარ იძლევა. სესხის ხელშეკრულება არის კონსენსუალური ხელშეკრულება,[3] გადალახულია ის მოსაზრება, რომელიც სესხის ხელშეკრულების დადებას უკავშირებდა გამსესხებლის მიერ მსესხებლის ფულის გადახდას (უარყოფილია რეალური ხელშეკრულების თეორია).[4] მოქმედი

---

[1] *ჯავახიშვილი ივ.,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ, 1984, 329-330.

[2] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §607, 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/.

[3] *Forster C.,* Schuldrecht Besonderer Teil, 2012, 237; ასევე Brox., Walker., Besonderes Schuldrecht., 2013, 229.

[4] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ, 2014, 365.

რედაქციით, გამსესხებელი ვალდებულია გადასცეს საკუთრების უფლება ფულზე, ხოლო მსესხებელს წარმოეშობა ვალდებულება დათქმულ დროს დააბრუნოს მიღებული თანხა.[1] ამ განმარტებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სესხი კლასიკურ ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებად მიიჩნევა.[2]

გსკ ერთმანეთისგან განასხვავებს ფულის სესხის ხელშეკრულებას, იგივე სესხის ხელშეკრულებას, რომელიც ყველაზე გავრცელებული ტიპიური ფორმაა (§488-505) და ნივთის სესხის ხელშეკრულებას (§607-609). კოდექსი ზედმიწევნით სრულყოფილად აწესრიგებს ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებს: ა) გამსესხებლის ძირითადი ვალდებულება არის სესხის თანხის გადახდა; ბ) გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადაცემულ ფულზე არა მხოლოდ მფლობელობა, არამედ საკუთრებაც გადასცეს; გ) მსესხებელს უნდა შეეძლოს გადაცემული ფულის დახარჯვა (განკარგვა); დ) მსესხებელი არ არის ვალდებული, გამსესხებელს დაუბრუნოს გადაცემული კონკრეტული კუპიურები და მონეტები, არამედ მან გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა,[3] ანუ გასესხებულ თანხაში იგულისხმება მისი ოდენობა და არა განსაზღვრული ფულადი ნიშნები.[4] გერმანული სამართალი ორიენტირებულია არა მხოლოდ ერთი მხარის (კრედიტორის) დაცვაზე, არამედ გვთავაზობს მომხმარებლის დამცავ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: ფორმის დაცვისა და ინფორმაციის გაცემის მავალდებულებელი იმპერატიული ნორმები (§512, §491ა, §492, §493, §494); ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებები (§495); მომხმარებლის მიერ შესაგებლის წარდგენის უფლების გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობა, თამასუქისა და ჩეკის აკრძალვა (§496); გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტის დათვლის ხელსაყრელი წესი (§497); ხელშეკრულებაზე უარის თქმის დებულებები; ასევე გერმანიის საპროცესო კოდექსის §688-ის მე-2 ნაწილი, რომლითაც გამოირიცხება დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესით წარმოება მომხმარებლის მიმართ. გსკ-ის §688 განიხილავს იმგვარ მოთხოვნებს, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული ოდენობის თანხის ევროში დაკისრებას, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, მსგავს შემთხვევებში მიიღება გადახდის ბრძანება. გსკ-ის §246, თავისი არსით, მეტად საყურადღებოა, რადგან ადგენს კანონისმიერ საპროცენტო განაკვეთს. თუ ვალს კანონის ან გარიგების მიხედვით უნდა დაერიცხოს პროცენტი, მაშინ საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ ოთხ პროცენტს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. მსგავსი მარეგულირებელი ნორმა პირდაპირ გვთავაზობს წლიური საპროცენტო განაკვეთის გონივრულ შკალას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ბაზარზე დომინირებული კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ხარჯზე. ის, რაც ზღვრულ დანაწესს ცდება, გსკ ამორალურ გარიგებად მიიჩნევა. ამ მხრივ, ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითად დებულებებთან, სადაც აღნიშნულია, რომ „მხარეს შეუძლია საცილოდ გახადოს ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის: ა) იგი დამოკიდებული იყო მეორე მხარეზე ან ენდობოდა მას, იმყოფებოდა ეკონომიკურად გაჭირვებაში ან განიცდიდა უკიდურეს ხელმოკლეობას, იყო საქმეში ჩაუხედავი და წინდაუხედავი, არ გააჩნდა საქმიანი ურთიერთობის წარმოების უნარი ან გამოცდილება, და ბ) მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ეს და, მოცემული გარემოებებისა და ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, პირველი მხარის მდგომარეობისგან მიიღო მეტად გაუმართლებელი ან შეუსაბამოდ დიდი სარგებელი“.[5]

გსკ-ის §288 იცნობს ისეთ ნორმასაც, როგორიცაა ვადის გადაცილების პროცენტები, რა დროსაც, ვადის გადაცილების პროცენტი შეადგენს საბაზისო განაკვეთს დამატებულ წლიურ ხუთ პროცენტს. კოდექსის §247-ე განმარტავს ბაზისურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც შეადგენს 3,62 პროცენტს. იგი იცვლება ყოველი წლის პირველ იანვარს და პირველ ივლისს იმ ნიშნულით, რომლითაც საწყისი

---

[1] *Markesinis Sir B., Unberath H., Johnston A.,* The German Law Of Contract, 2006, 151.

[2] *Maultzsch O.,* Vertagliche Schuldverhaltnisse, 2013, 95.

[3] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ, 2014, 367.

[4] *Weidenkaff,* in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Vorbemerkungen vor §488, Rn. 3.

[5] ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბ:, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები., თარგმანი: ზ. ჭეჭელაშვილისა, მუხლი 4: 2004, 109, 242.

სიდიდე გაიზარდა ან შემცირდა პროცენტის ბაზისური განაკვეთის ბოლო ცვლილების შემდეგ.[1] გერმანული კოდექსი §248-ში მთლიანად გამორიცხავს პროცენტის პროცენტის დასაშვებობას და ბათილად მიიჩნევს ისეთ შეთანხმებას, რომლითაც გადასახდელ პროცენტებს კიდევ უნდა დაერიცხოს პროცენტები, ხოლო §272-ე მუხლით, „თუ მოვალე ვადაზე ადრე იხდის უპროცენტო ვალს, მაშინ მას არა აქვს შუალედური პროცენტების გამოქვითვის უფლება".

ქართული სამოქალაქო კოდექსი, გსკ-სგან განსხვავებით, სასესხო ურთიერთობის მომწესრიგებელ რამდენიმე ნორმას შეიცავს, რაც გაწერილია 623-628[1] მუხლებში და გერმანული სამართლის ანალოგს მცირედით უახლოვდება. ქართული სამართალი არ აწესრიგებს ისეთ ურთიერთობებს, როგორიცაა: ფინანსური დახმარებისა და განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები მეწარმესა და მომხმარებელს შორის, არ საუბრობს სესხის ხელშეკრულების ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტულ-არასტანდარტულ უფლებაზე, ამასთან არ წარმოგვიდგენს მომხმარებლის დაცვის სამართლებრივ ინსტუმენტებს, ფორმის დაცვის სავალდებულოობისას არსებულ სტანდარტებზე, ფორმის დაუცველობის სამართლებრიც შედეგებზე, იურიდიული ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობებზე, მსესხებლის მიერ ვადის გადაცილებაზე, სესხის მთლიანი თანხის დაბრუნებაზე, ნაწილ-ნაწილ გადასახდელი სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში, მსესხებლისა და გამსესხებლის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებაზე, ხარჯების შემცირებაზე, კრედიტუნარიანობის შემოწმებაზე, ხელშეკრულების პირობების შეცვლის დაუშვებლობაზე და სხვა. ყოველივე ზემოთქმული, ქართული კანონმდებლობით, შესაძლოა ხელშეკრულებაში იყოს განხილული და მხარეებს შორის არსებობდეს სპეციალური შეთანხმება, თუმცა სადავო ურთიერთობისას, საკითხის კვლევა ხდება კოდექსის სხვადასხვა მუხლებზე დაყრდნობით და არა ვთქვათ იმ ნაწილიდან, რომელიც სესხის ხელშეკრულებაში შეიძლებოდა ასახულიყო. მსგავსი ნორმების წარმოუდგენლობა ან არასრულად წარმოდგენა სსკ-ში ქმნის მომხმარებლის უფლების დარღვევას და მოვალის თავდაცვისუნარიანობის სამართლებრივი გზა მოუწესრიგებელია, ამდენად, თუკი კოდექსის მიზანი არის საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, აუცილებელია პრობლემური საკითხების კომპლექსური მოწესრიგება და ხელშეკრულების მხარეებს არ მიეცეს თვითნებური განმარტების შესაძლებლობა. რაც უფრო მოწესრიგებული და სრულყოფილი იქნება კანონი, მით ნაკლები შესაძლებლობა ექნება მხარეს მისთვის სასარგებლო ინტერპრეტაცია მისცეს ამა თუ იმ ნორმას.

სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები კვებეკში ერთმანეთისგან განასხვავებს თხოვებასა და მარტივ სესხს. მარტივი სესხის შემთხვევაში, მსესხებელი ხდება სესხით გადაცემული ნივთის მესაკუთრე და მას ეკისრება ამ ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი მისთვის ნივთის გადაცემის მომენტიდან. თხოვება ყოველთვის უსასყიდლო ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომლითაც გამნათხოვრებელი, გადასცემს სხვა პირს, მონათხოვრეს, ნივთს სარგებლობაში ამ უკანასკნელის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მისთვის დაბრუნების ვალდებულების პირობით, მაშინ როცა მარტივი სესხი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც გამსესხებელი ფულის განსაზღვრულ ოდენობას ან სხვა მოხმარებად ნივთს გადასცემს მსესხებელს, რომელიც, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე ოდენობის თანხა, იგივე სახისა და ხარისხის ნივთი. თუმცა, ეს არ უნდა განიმარტოს ისე, რომ კვებეკის სამოქალაქო კოდექსი (შემდომში — „კსკ") არ იცნობს სასყიდლიან სესხს. იმავე კოდექსის 2315-ე მუხლით, „ივარაუდება, რომ მარტივი სესხი არის უსასყიდლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ან ის წარმოადგენს ფულის სესხს, რა შემთხვევაშიც ივარაუდება, რომ ის არის სასყიდლიანი". კსკ 2330-2331-ე მუხლებში ეხება პროცენტის ნაწილსაც: „სესხის თანხას ერიცხება პროცენტი მსესხებლისათვის თანხის გადაცემის დღიდან, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვა შედეგად იწვევს პროცენტის თანხის დაფარვასაც". კსკ 2332-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას გააბათილოს ხელშეკრულებები, დაადგინოს მისგან გამომდინარე ვალდებულებების შემცირება ან ვალდებულებათა

[1] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §247, 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/.

შესრულების პირობების გადახედვა ერთ-ერთი მხარის ზარალიანობის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს სახელშეკრულებო შეთანხმებათა კანონიერების შეფასება.

საინტერესოა სესხის ხელშეკრულების თანამედროვე ფრანგული მოდელი, რომელიც იზიარებს საკუთრების გადაცემის კონსენსუალურ პრინციპს.[1] გერმანული სამართლისგან განსხვავებით, საფრანგეთში საჭიროა მხოლოდ ხელშეკრულების დადება და საკუთრებაც გადაცემულად ითვლება. ამის გათვალისწინებით, საინტერესოა, ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია მისი ძალაში შესვლის მიხედვით. არსებობს კონსენსუალური, სავალდებულო ფორმის ხელშეკრულებები, რასაც უნივერსალური ხასიათი აქვს და აგრეთვე რეალური ხელშეკრულებები. ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისები, რომლებიც კონსენსუალიზმის შეზღუდვად განიხილება.[2] რეალური ხელშეკრულების დროს საჭიროა არა მხოლოდ შეთანხმება, არამედ ნივთის რეალურად გადაცემაც.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1874-ე მუხლის მიხედვით, არსებობს ორი ტიპის სესხის ხელშეკრულება. ერთი ცნობილია, როგორც Loan For Use ან Commodate, ხოლო მეორე Loan For Consumption ან მხოლოდ Loan.[3] პირველი მათგანი კლასიკური თხოვების ხელშეკრულებაა, როდესაც ნივთის გადაცემა მისი განადგურების, დანიშნულების მოსპობის გარეშე ხდება. მოცემულ შემთხვევაში გამსესხებელი (გამნათხოვრებელი) რჩება ნივთის მესაკუთრე, ხოლო მსესხებელი (მონათხოვრე) ვალდებულია ხელშეკრულების გასვლის შემდეგ დააბრუნოს მიღებული ნივთი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1892-ე მუხლი ეხება სესხის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ხდება მსესხებლისთვის ნივთის საკუთრებაში გადაცემა. ცნება ფორმულირებულია იმგვარად, რომ ნივთი უკვე გადაცემულია მსესხებლისთვის, რითაც ხაზგასმულია ხელშეკრულების რეალური ხასიათი და ცალმხრივად მავალდებულებელი ბუნება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 311-1, 311-2, 311-3 თავებში სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებია წარმოდგენილი და იმთავითვე განსხვავდება ზემოხსენებული სამართლებრივი სკოლებისაგან. კოდექსი თავდაპირველად განმარტავს კრედიტორისა და დებიტორის სამართლებრივ დეფინიციებს, შემდეგ წარმოგვიდგენს სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულებისა და გარიგებების საპროცენტო შკალას, რაც შეადგენს 1 %-ს, ასევე სამ თვეზე მეტი ვადით გაცემულ სესხებს, რომელთა შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი შეადგენს - 2 %-ს, ხოლო, ის, ვინც მიზნად ისახავს პროფესიული საქმიანობის დაფინანსებას, ექცევიან 3 %-იან შკალაში, 4 %-იან განაკვეთში ექცევა საკრედიტო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია უძრავ ქონების საკუთრებაში გადაცემასთან, სალიზინგო ოპერაციებთან, საბანკო აქციების ან სააბონენტო აქციების შეძენასთან, ქონების მშენებლობასთან, სარემონტო სამუშაოებთან და ექსპლუატაციის ხარჯებთან. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი იცნობს ეფექტური და წლიური საპროცენტო განაკვეთის ტერმინებს. პროცენტის დაანგარიშებისას, მომხმარებელს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია, რა სახის პროდუქტს მოიცავს სესხი, საკომისიო გათვალისწინებული არის თუ არა, რამდენია შუამავლის/სასესხო მაკლერის ან/და იურიდიული მომსახურების საფასური. ზემოაღნიშნული ნორმების დამრღვევთათვის, გათვალისწინებულია ფულადი სასჯელი, რაც შეადგენს 4500 ევროს.[4]

იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1813-ე მუხლის მიხედვით, სესხი არის კონტრაქტი, რომლითაც პირი სხვა პირს გადასცემს ფულს ან გვაროვნულ ნივთს, ხოლო სხვა პირი ვალდებულია დააბრუნოს იმავე რაოდენობის, სახისა და ხარისხის.[5] ცნებიდან გამომდინარე, მხოლოდ მსესხებლის ვალდებულება იკვეთება, რადგანაც თანხის ან გვაროვნული ნივთის გადაცემის ვალდებულება ნორმიდან არ ვლინდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულების საგნის გადაცემა, იტალიის მოქმედი კანონდებლობით, სესხის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი პირობაა.

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსისთვის უცხო არ არის რეალური კონტრაქტები, რომელთა

---

[1] *Sacco R.,* Legal Formants: A Dynamic Approach to Comparative Law, American Journal of Comparative Law, 1991, 230.

[2] *Fages B.,* Droit des obligations, 2007, 28.

[3] საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1874 მუხლი, 1804 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html.

[4] Article L313-1, https://www.legifrance.gouv.fr/content/download/1960/13727/version/3/file/Code_29.pdf, 9.

[5] იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1813 მუხლი, (2012 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით).

დასადებად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება არ არის საკმარისი, საჭიროა ქონების რეალური მიწოდებაც.[1] რეალური ხელშეკრულების მიმართ კრიტიკა უფრო და უფრო იმატებს და ხელშეკრულების რეალურად აღიარება სირთულეებთან არის დაკავშირებული. თხოვება - Loan For Use, რეალური ხელშეკრულების კლასიკური მაგალითია და დღესდღეობითაც ინარჩუნებს იურიდიულ ბუნებას. „წიგნი 7A“, სადაც მოცემულია სესხის ხელშეკრულების ინსტიტუტი, დღემდე არ ჩამოყალიბებულა საბოლოო სახით და მასში ცვლილება მომავალშიც იგეგმება. კოდექსის ძველი რედაქციით „სესხის ხელშეკრულება არის კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (გამსესხებელი) გადასცემს გარკვეული რაოდენობის გვაროვნულ ნივთს სხვა მხარეს (მსესხებელის), იმ პირობით, რომ სხვა მხარე უკან დაუბრუნებს იგივე რაოდენობის, სახისა და ხარისხის ნივთს“.[2]

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსიც განასხვავებს კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებებს, რომლებიც არსებობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ მათი ასახვა საკანონმდებლო დონეზე მოხდა. მართალია, ზემოხსენებული კლასიფიკაცია პირდაპირ არ განიმარტება კოდექსში, მაგრამ ის გამომდინარეს ხელშეკრულებაზე შეთანხმების შესახებ წესებიდან.[3] კოდექსის 433-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „კონტრაქტი იმ მომენტიდან მიიჩნევა შეთანხმებულად, როდესაც პირს, რომელსაც შესთავაზეს ოფერტი, განახორციელებს აქცეპტს“.[4] ამ წესიდან გამონაკლისი მოცემულია ამავე მუხლის მეორე ნაწილიდან და ხელშეკრულების დასადებად, მხარეთა შორის არსებული შეთანხმების გარდა, მოითხოვს ნივთის რეალურ გადაცემასაც. ამ ტიპის კონტრაქტად რუსულ სამართალში მოიხსენიება სესხის ხელშეკრულება. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 807-ე მუხლის მიხედვით, გამსესხებელი გადასცემს ფულს ან გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებლის ვალდებულება ისეთივეა, როგორც სხვა კოდიფიკაციების შემთხვევაში.

აღსანიშნავია 2008 წლის 23 აპრილს ევროკავშირის მიერ მიღებული სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივა N 2009/48 EG, რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობის დარეგულირებას, რათა არ მომხდარიყო შედარებით სუსტი მხარის — მომხმარებლის უფლებ(ებ)ის შელახვა.

დასკვნა

საუკუნეების მანძილზე, მზარდი ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო თუ ცალკეული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, მოქალაქეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ ინსტიტუციას, სწორედ ამიტომ, სესხის ხელშეკრულების პრაქტიკული მნიშვნელობა და საჭიროება ყველა დროებაში განსაკუთრებულია.

ეკონომიკური პროცესების პარალელურად, მით უფრო იმ პირობებში, რომ ნებისმიერი სამართალურთიერთობა დაკავშირებულია აღნიშნულთან, სესხის ხელშეკრულება ინდივიდუალური ფორმებით ტრანსფორმირდა. ის, რაც მისაღები აღმოჩნდა რომის სამართლისთვის, განსხვავებულად მოწესრიგდა გერმანულ-ფრანგულ სამართალში, თავისებურად საინტერესოდ სტრუქტურდა ძველქართულ თუ თანამედროვე სამოქალაქო კოდექსში, რაც იმის დასტურია, რომ სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ევოლუცია ყველა ქვეყანაში ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით წარიმართა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1900 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/).
2. იტალიის სამოქალაქო კოდექსი, 1942 (2012 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით).

[1] *Busch D., Hondius E., Kooten J. Van., N. Schelhass H., M. Schrama W,* The Principles of European Contract Law and Dutch Law, 2002, 77.

[2] ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1791 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.dutchcivillaw.com/legislation/dcctitle7a7a1313.htm#title7a14.

[3] *Orlov V.,* Introduction to Business Law in Russia, 2011, 151.

[4] რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 433, ნაწილი 1 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით) http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru083en.pdf.

3. კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით).
4. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ru/ru083en.pdf).
5. ს.ს.ს.რ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1964, ტფ, http://www.library.court.ge/upload/Soviet_Regime_Civil_Code.pdf.
6. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1804 (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html).
7. საქართველოს საზღვაო კოდექსი, 1997 (17.09.2019 წლის მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29908?publication=34).
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 (21.05.2020 წლის მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108).
9. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1986 წლის მდგომარეობით, http://www.library.court.ge/upload/Soviet_Regime_Civil_Code.pdf).
10. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი (2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, http://www.dutchcivillaw.com/legislation/dcctitle7a7a1313.htm#title7a14).
11. ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბ:, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები., თარგმანი: ზ. ჭეჭელაშვილისა, 2004, 109, 242.
12. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბ, 2013, 216, 218.
13. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ, 2014, 365, 367.
14. მეტრეველი ვ, რომის სამართლის საფუძვლები, თბ, 2009, 74.
15. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ, 1984, 329-330.
16. BუსცჰD., Hინდუს, E., Koრფნ შ Vან, N. შცჰელდსsH., M. შცჰმ ა ჯ , ინ P რ ინ ციპ ს ოf E ა ro პ ე ან ჩ ოტ ა ნ ფ L ა ნ ანდ D ეტ ა ს L ა ნ, 2002, 77.
17. DoნნეფფM., ინ L ა ნ ოფ ბ ა ნკ ს ანდ ც ომ ერ ც ი ალ ბ ა ნ კ ს, 2000, 369.
18. Fages B., Drოტ ე ბ ოფ ობ ლ ი გ ა ც ი ებ ი, 2007, 28.
19. Foსტ ე ბ., შ ც ჰ ელ ფ ც ჰ B ე ს ი ფ ი ერ ი ი ნ ი ა, 2012, 237; ა ს ე ვ ე B ო ს., ჯ ა ლ ბ ა, B ე ს ი ფ ი ერ ს შ ც ჰ ელ ფ ც ჰ., 2013, 229.
20. L ო ინ ზ ს G. E., ჩ ა ს ა ანდ ჩ ო ს ი ფ ერ ტ ი ს ინ ი ნ L ა ნ O ფ ბ ო ტ ა ნ ფ, Yale L ა ნ ჟ ურ ნ ა ლ, 1919, 623
21. Maრ ე ს ი ი ს ს ი ი B., Unბ ე რ ტ H., ჟ ინ ს ტ ი A., ინ ე Gerმ ა ნ L ა ნ O ფ ბ ო ტ ა ნ ფ, 2006, 151.
22. Maულ ტ ზ ს O., V ე რ ა ჯ ი ი ბ ა ც ე ულ ფ ერ ა ჯ ი ი ს ე, 2013, 95.
23. Orლ ფ V., I ნ ტ ერ ფ ე ც ტ ი ო ნ B ე ს ი ნ ე ს L ა ნ (ნ ფ ს ი ა, 2011, 151.
24. შ ა ც ფ ლ., L ე ბ ა ლ To რ ა ნ ტ ა A D ქ ნ ა მ ი (A პ ა რ ტ ა ც ი ტ ფ ო ი პ ა რ ტ ი ი L ა ნ, Am ე რ ი ც ა ჟ ურ ნ ა ლ ფ ბ ო ი პ ა რ ტ ი ი L ა ნ, 1991, 230.
25. ჯ ე ი ფ ნ ა ა ფ (((P ა ლ ა ტ ი BGB Koმ მ , 72. Auფ ლ, 2013, V ო ზ ე მ ერ შ ნ ბ ე ნ ვ ო ლ ფ 488, ფ ნ. 3.
26. ძ ი ბ ა ერ ა ნ ნ ფ., ინ ე L ა ნ O ფ O ხ ლ ი ბ ა ბ ი, 1990, 188; 153.
27. ძ ი ბ ა ერ ა ნ ნ ფ., ინ ე ნ ე ნ Ge რ ა ნ ლ ფ ბ ო ლ ი ბ ა ბ ი, (((

Historical Exclusion of Law on Agreement
(Roman Paradigm-Legal Nature)

Shamatava Irakli
Doctoral student at the School of Law Caucasus University

შუამდინარეობა

ეს არტიკული ეხება ძველ ლათინურ სამართალში ერთ-ერთ ინსტიტუტს, კერძოდ, ნებისმიერ ადამიანს, ისტორიულად ანდ Geoრიან არეალში. ეს არტიკული ეხება ეს ინსტიტუტი ერთ ლეგალურ ცნებასა და ფენომენს, ესაა ადამიანი ეს ეხება პლინიუს Gerმ ანდ, Fraნცე Iტალიელ Netეორეტიკოს, ღუსიანდ Quეზეც

ეს რელევანტურია ეს არტიკულის ავტორისთვის, ეს ფენომენი ადამიანი, ეს ფენომენი ადამიანი ინტერესებს, ანდ ინკარნირებულია ეს დღევანდელ ინტერესებში, ისტორიული ნაბ მ ოდ ანდ მ ოდ ნეგესსარ ტოდინმ ოდერ ცივილიზაციი

Moრეოვერ, ინტერესებია, ეს Geoრიანლეგალურ ანალიზებში ინტერესებს ინტერესებია ბედ ვ ეცვალა არსებულ ეს ტერმინი ეს ინტერესი ოდ ოსიერეს ინტერესებია ადამიანურ ექვალორეცენტოდ ერეინ ოდეს ეს პარტიკულარიზმ ანდ ლეგალინტერესი

Aტეს საე ე ფეე, ეს ისეს დინერესედ ინეს არტიკულეცერეიალეზინგ ეარლეიზეს ანალიზეს ინტერესებიანდ ზორეეს ინტერესებში.

Keკ ოდ: Lონ, Lონ Aგრეთ ენტ, Hისტორიკალ Exclusion, ჩ ოდ პარადეიმ-Lეგალ ნეიერ, Lეგალ ნატურე.

სწავლისადმი დემოტივაცია მოსწავლეებში და თანამედროვე სოციალური თეორიების გამოყენება სასწავლო პროცესში

ცოტნიაშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

საკონფერენციო თემა ეხება სწავლისადმი დემოტივაციას მოსწავლეებში და თანამედროვე სოციალური თეორიების (ჩარლზ ჰორტონ კული,ჰერბერტ ბლუმერი,ჰაროლდ გარფინკელი) გამოყენებას სასწავლო პროცესში. როგორ უნდა მოაგვაროს პედაგოგმა აღნიშნული პრობლემა და შექმნას ისეთი გარემო,სიტუაცია,ურთიერთობები,რომელიც გაზრდის მოტივაციას და მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.რას გულისხმობს სწავლისადმი დემოტივაცია მოსწავლეებში და როგორ უნდა ვეძიოთ მისი გადაჭრის გზები.რას გულისხმობს „სარკისებრი მეს“ თეორია,სიმბოლური ინტერაქციონიზმი და ეთნომეთოდოლოგია.მათი დაკავშირება და გამოყენება სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: დემოტივაცია,მოტივაცია,“სარკისებრი მეს“ თეორია,სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ეთნომეთოდოლოგია

შესავალი

სწავლისადმი დემოტივაცია მოსწავლეებში და მისი აღმოფხვრის გზები,განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა განათლების სამინისტროსთვის.იგი ძალისხმევას არ იშურებს ამ პრობლემასთან გამკლავებისთვის.მოსწავლეების და მასწავლებლების წახალისების მიზნით ასობით პრიზის თუ ჯილდოს საშუალებით ცდილობს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას და მათ მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.სწორედ ამაზეა დამოკიდებული თითოეული ახალგაზრდის მომავალი და ჩვენი ქვეყნის ბედი.ამიტომ, პედაგოგს დიდი მისია აკისრია, მან ზუსტად უნდა განუმარტოს მოსწავლეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი განათლება და ცოდნა, როგორ და რისთვისაა განათლების მიღება საჭირო და შემდეგ მისი პრაქტიკაში გამოყენება.

ძირითადი ტექსტი

ჩემი აზრით, იმისათვის რომ ეს პრობლემა აღმოვფხვრათ, პირველ რიგში უნდა ვეძიოთ დემოტივაციის გამომწვევი მიზეზები მოსწავლეებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველ რიგში უნდა დავადგინოთ რა იწვევს მოსწავლეებში სწავლის სურვილის დაქვეითებას და რა ფაქტორებით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული.ამის მრავალი მიზეზი არსებობს:

- მასწავლებლის პიროვნულობა და კომპეტენტურობა.მათი ურთიერთდამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ.პედაგოგი დიდ როლს ასრულებს მოსწავლის აღზრდა-განათლების საქმეში.შესაბამისად, მოსწავლის მოტივირება სასწავლო პროცესის მიმართ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პედაგოგზე და მის კომპეტენტურობაზე.მას შეუძლია ისე წარმართოს საგაკვეთილო პროცესი,რომ გამოიწვიოს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და მათი აქტიურობა საგაკვეთილო პროცესში.
- მოსწავლის თავდაჯერებულობის ნაკლებობა.არსებობენ მოსწავლეები ,რომლებსაც ნაკლები თვითრწმენა აქვთ და ფიქრობენ, რომ არ შეუძლიათ სწავლა. ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს მათზე და შედეგად, მათ უვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი და დემოტივირებულნი არიან სასწავლო პროცესის მიმართ.
- სკოლის არაადეკვატური აღჭურვილობა(ტექნიკური მხარე).მიუხედავად იმისა,რომ ამ ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანაში უამრავი რამ გაკეთდა ამ კუთხით:მოხდა სკოლების რეაბილიტაცია და მათი სათანადო ინვენტარით აღჭურვა, ზოგიერთ რაიონში რჩება სკოლები,რომლებშიც არაა სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარი,იმისათვის რომ

მოსწავლეებმა სრულფასოვანი განათლება მიიღონ. ესეც შეძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი მათი დემოტივაციის.

- მრავალრიცხოვანი კლასები,რომლებშიც 30-35 მოსწავლე სწავლობს,შეიძლება მოახდინოს უარყოფითი გავლენა მოსწავლის მოტივაციაზე.
- სახელმძღვანელოები ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა,იმისათვის,რომ მოსწავლეს აღუძრას სწავლის სურვილი და ა.შ.

უკვე დავინახეთ,რომ სწავლის მოტივაცია ჩნდება მოსწავლის მოთხოვნილებების,მიზნების, ემოციების, ინტერესების,რწმენებისა და ატრიბუციების ურთიერთქმედებით ამოცანის ტიპთან, ავტონომიასა და აღიარებასთან,დაჯგუფების სტრუქტურასთან,შეფასების პროცედურებთან, მოცემულ დროსთან.

სანამ თითოეული მოსწავლისა და თითოეული კლასისათვის არ იქნება შესრულებული ოთხი ბაზისური პირობა,არც ერთი მამოტივირებელი სტრატეგია არ იქნება წარმატებული.პირველი:კლასში არ უნდა იყოს ხელის შემშლელი ფაქტორები. მეორე:მასწავლებელი უნდა იყოს მომთმენი და გულშემატკივარი ადამიანი,რომელიც მოსწავლეებს არ სჯის შეცდომების გამო. ყოველი მოსწავლე შეცდომას უნდა განიხილავდეს,როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობას.

მესამე: დავალება გამომწვევი უნდა იყოს,მაგრამ მართებული.თუ სამუშაო ძალიან მომზადებაში. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახალისო და სასარგებლო აქტივობაა,რომელსაც მოსწავლეები სიამოვნებით ასრულებენ.

ფოკუსირებას მოახდენენ დავალების დასრულებაზე და არა მასალის ჩაწვდომაზე და ბოლოს: სასწავლო ამოცანები ავთენტიკური უნდა იყოს ,ამოცანას კი ავთენტიკურს კულტურის გავლენა ხდის.

„სარკისებრი მეს“ თეორია. მასწავლებელი მოსწავლეებისთვის მოდელია,ამიტომ თუ პედაგოგი აგრძნობინებს მათ,რომ მისთვის მნიშვნელოვანია თუ რას ფიქრობენ იმაზე,1. თუ როგორ უყურებენ სხვები? ანუ მოსწავლეები ამ შემთხვევაში. 2 როგორ აფასებენ მოსწავლეები იმას,რასაც მასწავლებელში ხედავენ? 3. რა დამოკიდებულება აქვს პედაგოგს ამ შეფასებების მიმართ? ამჯერად საუბარი იმას შეეხება,რომ ჩვენ სხვების მეშვეობით აღვიქვამთ საკუთარ იდენტობას.სარკე აქ მეტაფორაა იმ სინამდვილისა,რაც ნაწილობრივ ჩვენი შექმნილია. აქედან გამომდინარე,თუ პედაგოგი მოახერხებს ,რომ მოსწავლეებს დაანახოს როგორი მოტივირებული და მონდომებულია სასწავლო პროცესის მიმართ და რომ მოსწავლეების აზრი მისთვის მეტად მნიშვნელოვანია მისთვის,ეს მოსწავლეების მოტივაციაზე ნამდვილად დადებითად იმოქმედებს. ჩემი აზრით „სარკისებრი მეს“ თეორიის გამოყენება პრაქტიკაში, კერძოდ ,სასწავლო პროცესში გაამართლებს.

ჰერბერტ ბლუმერი. „არასიმბოლურ ურთიერთქმედებაში ადამიანები უშუალოდ ჟესტებსა და ერთმანეთის მოქმედებებზე რეაგირებენ,ხოლო სიმბოლურ ურთიერთქმედებაში ისინი ერთმანეთის ჟესტების ინტერაქციას ახდენენ და ინტერაქციის პროცესში მიღებულ მნიშვნელობათა საფუძველზე მოქმედებენ. ბლუმერის აზრით,სიმბოლური ინტერაქციონიზმი სამ ძირითად პრინციპს ემყარება:

1.ადამიანები იმ მნიშვნელობების მიხედვით,რომლებსაც ისინი საგნებს ან მოვლენებს აძლევენ და არა გარეგან(სოციალურ) და შინაგან (ორგანიზმის მოთხოვნილებების) სტიმულებზე უბრალო რეაგირებით მოქმედებენ.სიმბოლური ინტერაქციონიზმი საზოგადოებრივ და ბიოლოგიურ დეტერმნიზმს უარყოფს,მაგრამ მნიშვნელობის დეტერმინიზმს აღიარებს.ადამიანის ქცევა და მოქმედება მნიშვნელობებითაა დეტერმინირებული.

2.მნიშვნელობები ფიქსირებული და წინასწარჩამოყალიბებული კი არ არის, არამედ ინტერაქციულ სიტუაციებში ხდება მათი ჩამოყალიბება,მოდიფიცირება,განვითარება და ცვლილება. დადგენილ ნორმებს ინტერაქციის მონაწილენი ყოველთვის ბრმად და ავტომატურად მიყვებიან.ამ პოსტულატით სარგებლობენ იმიჯმეიკერები,როდესაც ცდილობენ პოლოტიკური ლიდერები ძლიერი პიროვნების სიმბოლოდ წარმოადგინონ,რითიც მათ თავდაპირველ მნიშვნელობას ცვლიან.

3. მნიშვნელობები ინტერპრეტაციის გამოვლინებებია, რომლებიც ინტერაქციონისტულ კონტექსტებში განხორციელდნენ.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის საფუძველზე შესაძლებელია,მოსწავლეებს ან მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ინტერაქციულ სიტუაციებში მოხდეს მათი მოტივაციის ამაღლება საინტერესო

დისკუსიებისა და ურთიერთქმედების საფუძველზე.პედაგოგი უნდა ყურადღებით იყოს,რომ ასეთი ხელსაყრელი მომენტი მოსწავლეების სასკეთოდ გამოიყენოს.ხშირად მოაწყოს გაკვეთილზე ნაყოფიერი დისკუსიები,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შორის ინტეგრაციას.

ბლუმერმა სოციალური პრობლემის ქოლექტიური წარმოდგენის ხუთი სტადია გამოყო,ესენია:

1.სოციალური პრობლემის წარმოშობა.

2.პრობლემის ლეგიტიმაცია.

3.პრობლემასთან მიმართებაში მოქმედებათა მობილიზება

4.მოქმედების ოფიციალური გეგმის ჩამოყალიბება და

5.ამ გეგმის ტრანსფორმირება მისი ემპირიული განხორციელების გზაზე:

ეს ხუთივე სტადია,ჩემი აზრით პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს სასწავლო პროცესში და მათი გამოყენებით შეეცადოს აღმოფხვრას „სწავლისადმი დემოტივაცია მოსწავლეებში“

ეთნომეთოდოლოგია

იმისათვის,რომ პედაგოგმა უკეთ გაარკვიოს, კერძოდ, თუ რა იწვევს დემოტივაციას მოსწავ-ლეებში, შემუძლია გარფინკელის მსგავსად,უშუალოდ გახდეს მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვ-რების მონაწილე, თვალი ადევნოს მათ ინტერესებს,მისწრაფებებს,სურვილებს და დასკვნა გააკეთოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა გზით შეუძლია აღნიშნული პრობლემის მოგვარება ეთნომეთოდოლოგიის გამოყენებით.

დასკვნა

ზემოთ განხილული და წარმოდგენილი საკითხები სწავლისადმი მოსწავლეების დემოტივა-ციასთან და მოტივაციასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში.ვფიქრობ,რომ თანამედროვე სოციალური თეორიების გამოყენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაეხმარება პედაგოგს სწავლების პროცესის უკეთ და ხარისხიანად წარმართვაში.იმისათვის,რომ ზემოთ განხილულ საკითხებში უკეთ გაერკვეს პედაგოგი, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, პრობლემის იდენტიფიცირება და მისი მოგვარების გზებზე მუშაობა.შედეგად,იგი შეძლებს წარმატებული და მოტივირებული კლასი ჰყავდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განათლების ფსიქოლოგია-ანიტა ვულფოლკი
2. ჩარლზ ჰორტონ კული
3. ჰერბერტ ბლუმერი
4. ჰაროლდ გარფინკელი(ეთნომეთოდოლოგია)

Deმ ოფვატ ოფლეანინ ფდენ ანდ ფე უსე ოფ ოდერ სოციოლოგიეს ინ ფლეანინგ

Tsotniashvili Nana

PhD student of Georgian Technical University

შუმ არყ

ინ ეიფ ცენტურიეს ოფ ეფ ფლ ოფ ინ ფ ინ ფ ინ

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინოვაციური მექანიზმების სრულყოფა საჯარო სამსახურში

წვერავა ლაშა
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე პირობებში საჯარო სფეროს ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირება ხელმძღვანელების მმართველობითი მოღვაწეობის მუდმივ სრულყოფას მოითხოვს. მმართველობითი ინოვაციები სახელმწიფო დაწესებულებებში მიმართული უნდა იყოს უშუალოდ კორპორატიული ურთიერთობების გაუმჯობესებისადმი, თანამშრომლობის სტილის შეცვლისადმი, სამუშაოს ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისადმი.

მმართველობითი გადაწყვეტილების კლასიფიკაციის კრიტერიუმებად თანამედროვე მეცნიერებაში გამოიყოფა: სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობები, გადაწყვეტილების შინაარსი; გადაწყვეტილების ფორმა; გადაწყვეტილების მოქმედების დრო.

მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მმართველობითი ინოვაციების მოძიებისა და რეალიზაციის პროცესს მუდმივი ხასიათი ქონდეს. ახალი მმართველობითი ინოვაციების დანერგვა შეუძლებელია თეორიის ცოდნის, მასზე მოქმედი ფაქტორების გააზრების გარეშე.

მოცემულ სტატიაში განხილულია საჯარო სამსახურში მმართველობითი გადაწყვეტი-ლებების მიღების ინოვაციური მექანიზმების სრულყოფის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური, მმართველობითი გადაწყვეტილებები, მართვის ეფექტიანობა, ინოვაციები, მექანიზმები.

ძირითადი ტექსტი

მმართველობითი გადაწყვეტილებები სხვადასხვა განსაზღვრებებისა და ნიშნების მიუხედავად, ფართო გაგებით მართვის ფუნქციის რეალიზების ინსტრუმენტია, ვიწრო კუთხით კი მიზანზე ორიენტირებული ალტერნატივის არჩევაა. მმართველობითი გადაწყვეტილებები შეიძლება დახასიათდეს როგორც სამართავ სისტემაში წინააღმდეგობების გადალახვის თავისებური საგანი მცირე ან მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის პირობებში. „მმართველობითი გადაწყვეტილების“ დეფინიციის განხილვა და ანალიზი მრავალასპექტიანი კატეგორია, რომელშიც მართვის პროცესის სუბიექტური და ობიექტური მდგენელების თავისებური სიმბიოზი ხორციელდება.

გადაწყვეტილების მიღების მართვის პროცესის ობიექტურ მდგენელებად ითვლება სიტუაციის პარამეტრები, რესურსები და სხვა შეზღუდვები, მათ შორის შეზღუდვები გარე გარემოს მხრიდან.

მიზანშეწონილია აღვნიშნოთ ხელმძღვანელის უფლებამოსილებების მოცულობის შესახებ. ამ დროს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის თვითონ უფლებამოსილების მოცულობა, რამდენადაც ხელმძღვანელის პასუხისმგებლობასთან შესაბამისობა. დაუშვებელია (რაც ხშირად ხდება პრაქტიკაში) როდესაც უფლებამოსილებები ჭარბობს პასუხისმგებლობას. არც საწინააღმდეგო სიტუაციაა უკეთესი, როდესაც ხელმძღვანელი აგებს პასუხს სხვა პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. [1]

თანამედროვე მეცნიერებაში მიიჩნევა, რომ პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების შეუსაბამობა, მათი არასწორი ფორმულირება ზღუდავს ხელმძღვანელის შემოქმედებით პოტენციურ შესაძლებლობებსა და არსებული რესურსებით გონივრულად მანევრირების უნარს. ამგვარი ნეგატიური წინაპირობის არსებობის შემთხვევაში კი იზრდება ხელმძღვანელის მიერ მოუმზადებელი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის ალბათობა სხვაზე პასუხისმგებლობის გადატანით. მაგრამ უმჯობესია, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელი ძალაუფლებრივი პრეროგატივების ნაცვლად საკუთარ ავტორიტეტს დაეყრდნოს. ამ შემთხვევაში იზრდება როგორც ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთების, ასევე მისი ეფექტიანად რეალიზების პერსპექტივა.

მმართველობითი გადაწყვეტილების კლასიფიკაციის კრიტერიუმებად, თანამედროვე მეცნიე-

რები გვთავაზობენ შემდეგს: სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობები; გადაწყვეტილების შინაარსი; გადაწყვეტილების ფორმა; გადაწყვეტილების მოქმედების დრო.

მმართველობითი გადაწყვეტილებები - მართვის ობიექტზე მიზანმიმართული სანდო მონაცემების ანალიზზე დამყარებული ზემოქმედების აქტია. მართვის პროცესში ხელმძღვანელი რიგ კონკრეტულ ფუნქციებს ახორციელებს, რომელთა შორის არის:

- კოლექტივის საქმიანობისა და საკუთარი სამუშაოს ორგანიზაცია და დაგეგმვა;
- დავალებების განაწილება და ხელქვეითების ინსტრუქტაჟი;
- ხელქვეითების კონტროლი;
- ანგარიშის მომზადება, ანალიზი და დამტკიცება, სამუშაოს შედეგების შემოწმება და შეფასება;
- ტექნიკასა დატექნოლოგიებში არსებული სიახლეების გაცნობა;
- ახალი იდეებისა და წინადადებების განხილვა;
- მიმდინარე კორესპოდენციის გაცნობა;
- კრებების ჩატარება;
- ანგარიშგების ფორმების შევსება;
- კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

კლასიფიკაციის ყველა სახეობა ფუნქციურად გამართლებულია. მნშვნელოვანია განზოგადოებული სახით წარმოგიდგინოთ მმართველობითი გადაწყვეტილებების ტიპოლოგია მეტად დამახასიათებელი ნიშნების კრიტერიუმების მიხედვით:

- შინაარსის მიხედვით: გეგმიურ-ორგანიზატორული, კოორდინა–ციული, კონკრეტული;
- სფეროების: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ტექნიკური, ტექნოლოგიური;
- მიმღები სუბიექტის: ერთპიროვნული, კოლეგიალური და კოლექტიური;
- მოქმედების დროით: გრძელვადიანი, საშუალოვადიანი, მოკლევადიანი;
- გადასაწყვეტი პრობლემის მასშტაბის მიხედვით: სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული;
- შემუშავების მეთოდით: მეცნიერულად დასაბუთებული და ინტიუტურ - ემპირიული;
- მიღების ინიციატორის მიხედვით: ზემდგომი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივების ინიციატივით;
- ორიგინალურობის დონით: სტერეოტიპური (განმეორებადი) და შემოქმედებითი;
- გადაწყვეტილების მიღების დონის მიხედვით: უმაღლესი, საშუალო, ქვედა დონე. [2]

ზოგჯერ სხვა კლასიფიკაციური ნიშნებიც გამოიყენება, მაგალითად ნიშანი, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვასხვაოთ ფუნქციონალური და ოპერაციული გადაწყვეტილებები. თუ ფუნქციური გადაწყვეტილებები ამოცანის არსს გამოხატავენ, დავუშვებთ ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივ რეგულირებას, მაშინ ოპერაციული გადაწყვეტილებები ახასიათებენ გადაწყვეტილების ფორმირების პროცედურულ ასპექტს, აჯგუფებენ საინფორმაციო წარმონაქმნების პროცედურებს მათ მსგავსებისა და განსხვავებების მიხედვით, რომლებსაც მივყავართ გადაწყვეტილების შედეგის მიღებამდე. დასახელებული გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია მჭიდროდ უკავშირდება თვითონ გადაწყვეტილების ცნების გაორებულობას - როგორც ინფორმაციის გარდაქმნის შედეგი (ფუნქციონალური ასპექტი) და როგორც ამ შედეგის მიღებისათვის ინფორმაციის გარდაქმნის პროცესი.

კლასიფიკაციის ფუნქციონალური სქემის განმსაზღვრელი ნიშნებია:

1. გადაწყვეტილების დონე, მასშტაბი;
2. რეგულირების პერიოდის ხანგრძლიობა;

სასურველია ანალოგიური მიდგომის შემუშავება სხვა კლასიფიკაციური ჯგუფებისათვის, რითაც ისინი პრაქტიკულად გამოყენებადი ხდებიან. საჭირო ხდება იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამართლებრივი ნორმების პარალელურად მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

- ამ პროცესში მონაწილე პირების პიროვნული თვისებები;
- მათი სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური შეხედულებები;

- ორგანიზაციული ფაქტორები - ორგანიზაციის სტრუქტურული აგებულება, არსებული დონეები მართვის იერარქიაში;
- უშუალო ზემოქმედი ფაქტორები - მართვის პერსონალის კვალიფიკაცია, უფლებამოსილებების დელეგირება, თანამშრომელთა ჩართულობა გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში.

მართვა - სუბიექტებისა და ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან ადამიანებზე და ეკონომიკურ ობიექტებზე შეგნებული მიზანმიმართული ზემოქმედების პროცესია მათი მოქმედებების წარმართვისა და სასურველი შედეგების მიღების მიზნით. მართვის პროცესში ინოვაციების დანერგვა ხელს უწყობს მინიმალური ხარჯებით სასურველი შედეგის მიღებას.

დღეისათვის მკაფიოა, რომ ინოვაციებისადმი მეცნიერული და პრაქტიკული ინტერესი მნიშვნელოვნად მაღალია. ფართოდ განიხილება ინოვაციური პრობლემატიკა სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებზე, სასწავლო დაწესებულებებში კი მიმდინარეობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება. ინოვაციები და ინოვაციური მოღვაწეობა არ კარგავს აქტუალობას. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გამოჩენილმა ავსტრიელმა მეცნიერმა ი. შუმპეტერმა შემოიტანა ინოვაციების ცნება. ეკონომიკური თეორიაში განიხილება ინოვაციების ხუთი ტიპი:

1. ახალი პროდუქტის შეტანა;
2. წარმოების მეთოდი;
3. ახალი ბაზრის შექმნა;
4. ნადლეულისა და ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების ათვისება;
5. მართვის სტრუქტურის რეორგანიზაცია.

ეკონომიკის განვითარების ინოვაციური გზას საფუძვლად უდევს ცნება „ინოვაცია“ (სიახლე), ანუ ახალი ელემენტების შემოტანა ადამიანის საქმიანობის მრავალფეროვნებაში მათი საქმიანობის შედეგების გაზრდის მიზნით.

მეცნიერები კ.რ. მაკკონელი და ს.ლ. ბრიუ ცნებებს ინოვაციასა და ახალშემოღებას სინონიმებად იყენებენ, ამ ცნებებში გულისხმობენ ახალი პროდუქტის წარმოებას, ახალი საწარმოო მეთოდის დანერგვას ან ბიზნესის ორგანიზაციაში ახალი ფორმის გამოყენებას. თანამედროვე ინოვაციური თეორიის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანელმა მეცნიერმა გერჰარდ მენშმა. პერიოდულად გამოსცემენ კვლევებს ამ თემაზე ამერიკელი მეცნიერებიც, როგორიც არიან ბაუმოლი, ფრიმანი, ლერნერი, მაკკონელი, შტრნი და სხვები. თითოეული ამ მეცნიერთაგანი ცდილობს მოუძებნოს მეცნიერული ახსნა ინოვაციური დარგების მკვეთრ ზრდას და ეკონომიკაზე მათ გავლენას. [3]

უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებული როლი ენიჭება ინოვაციების სუბიექტს. რადგან ნებისმიერი ინოვაციის რეალიზება განსაზღვრულ ძალისხმევასა და ხარჯებს უკავშირდება, გამოყოფენ სახელმწიფო-სამართლებრივ ინოვაციას. სახელმწიფო-სამართლებრივი ინოვაცია შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით ხორციელდება, მაგ. პარლამენტის, არჩევითი ორგანოებისა და სხვ. მიერ. ამისათვის იგი იყენებს ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკებს, საკრედიტო ორგანიზაციებს, საპენსიო ფონდებს, სადაზღვევო კომპანიებს და ფონდებს.

ეპოქალური ინოვაციები რამდენიმე საუკუნეში ერთხელ ხორციელდება და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს ღრმა ტრანსფორმაციით და ახალ ტექნოლოგიურ ან ეკონომიკურ ფორმაზე, ახალ სოცალურ–კულტურულ წყობაზე გადასვლით ხასიათდება. ამის მაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება, დამწერლობის შექმნა, სახელმწიფოს შექმნა, სამრეწველო პროგრესი,

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, გლობალიზაციის გაფართოება და ა.შ.

საბაზისო ინოვაციები რადიკალურ ცვლილებებში გამოიხატება ტექნოლოგიურ ბაზასა და წარმოების ორგანიზების მეთოდებში, სახელმწიფო-სამართლებრივ და სოციოკულტურულ წყობაში, სულიერ ცხოვრებაში და ა.შ. მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მმართველობითი ინოვაციების მოძიებისა და რეალიზაციის პროცესს მუდმივი ხასიათი ქონდეს.

ახალი მმართველობითი ინოვაციების დანერგვა შეუძლებელია თეორიის ცოდნის, მასზე

მომქმედი ფაქტორების გააზრების გარეშე.

ცნება „მმართველობითი ინოვაცია“ ჩვენს მიერ ხელმძღვანელის შემოქმედებით მოღვაწეობის შედეგად განიხილება, რაც ახალი მმართველობითი ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების დანერგვას უკავშირდება. ინოვაცია ახალი იდეა, საგანი და საშუალებაა, რომელიც გამოიყენება პირველად და მისი დახმარებით არსებითად იცვლება ორგანიზაციის ფუნქციონირების ფორმა.

მმართველობითი ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის სირთულე რიგი მიზეზებით არის განპირობებული, კერძოდ როგორიცაა:

- ძველიდან ახალზე გადასვლა გულისხმობს ჩვეული სტილის, ქცევის და აზროვნების შეცვლას, ჩამოყალიბებული ინტერპერსონალური ურთიერთობების გარდაქმნას.
- ინოვაციებს თან ახლავს რისკი, შედეგების ნაწილობრივი განუსაზღვრელობა, შესაძლო გაუთვალისწინებელი პრობლემები და უარყოფითი შედეგები. [4]

როგორც მართვის თეორიასა და პრაქტიკაშია ცნობილი, ხელმძღვანელი მართვის პროცესში იყენებს როგორც კომუნიკაციის და ისე თანამშრომელთა შრომითი ქცევის ფორმირების მეთოდებს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ხელმძღვანელი ფლობს ინოვაციებისადმი მიდრეკილებისა და ორგანიზაციის მიზნების მიღწევისათვის ქვეშევრდომების სტიმულირების უნარს. ინოვაციური ტიპის ხელმძღვანელმა იცის რომელი მიზნების მიღწევა სურს და აქვს თანამშრომელთა მოტივირების უნარიც. თანამედროვე პირობებში შეუძლებელი გახდა ერთპიროვნული მართვა. ხელმძღვანელი – არის ადამიანი, რომელიც ფლობს ძალაუფლებას. ასევე იგი უნდა იყოს ლიდერი, რომელსაც საკუთარი ავტორიტეტისა და მაღალი პროფესიონალიზმის მეშვეობით შეუძლია სხვების მოტივირება. გარდა ამისა იგი დიპლომატია, რომელიც ამყარებს კონტაქტს ზემდგომ ხელმძღვანელბთან, წარმატებით შეუძლია გადალახოს შიდა და გარე კონფლიქტები. და ბოლოს, რაც ვფიქრობთ მთავარია – ხელმძღვანელი უნდა იყოს ინოვატორი, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ მიღწევებს, სამეცნიერო კვლევებს, აქვს ინოვაციების შეფასებისა და წარმოებაში დანერგვის უნარი.

დასკვნა

ინოვაცია სახელმწიფო მართვაში განისაზღვროება როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ საქმიანობის ახალი მიმართულებებისა და ახალი შრომითი პროცედურების შემუშავება სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტისათვის. ამრიგად, ინოვაცია საჯარო სამსახურში წარმოადგენს ახალი პრობლემებისა და ძველი პრობლემების ახლებურად გადაწყვეტისათვის ახალი ეფექტიანი და შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მოძიებას. გარდა ამისა სახელმწიფო მოღვაწეობაში ინოვაციური მოღვაწეობა არ იძლევა ფიქსირებულ, საბოლოო შედეგებს, იგი გადაწყვეტილებების მოძიების ღია შემოქმედებითი პროცესია.

წარმოდგენილ სტატიაში ასევე ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებული როლი ენიჭება ინოვაციების სუბიექტს. რადგან ნებისმიერი ინოვაციის რეალიზება განსაზღვრულ ძალისხმევასა და ხარჯებს უკავშირდება. საბაზისო ინოვაციები რადიკალურ ცვლილებებში გამოიხატება ტექნოლოგიურ ბაზასა და წარმოების ორგანიზების მეთოდებში, სახელმწიფო-სამართლებრივ და სოციო–კულტურულ წყობაში, სულიერ ცხოვრებაში და ა.შ. მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მმართველობითი ინოვაციების მოძიებისა და რეალიზაციის პროცესს მუდმივი ხასიათი ქონდეს. ღსანიშნავია, რომ ახალი მმართველობითი ინოვაციების დანერგვა შეუძლებელია თეორიის ცოდნის, მასზე მომქმედი ფაქტორების გააზრების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Яковец Ю.В., – “Эпохальные инновации 21 века”. - М.: Экономика, 2004 - С. 18.
2. Матвеев А.В. – “Управленческие инновации в деятельности руководителя коммерческой фирмы”. Дис. к.э.н., М. 2000
3. Учитель Ю.Г. – “Разработка управленческих решений”. - М.: 1011ИТИ-ДАНА, 2007
4. ЗТ%ЗУ%У .ЕС%ЗЗ Ц.ЗЕ?ЗАЗЕ=SЕ%ЗЕЗ&s=74 - უკ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ზ დ გ ა და მ ოწ მ ე ბ ული ი ქ ნ ა 25.05.2020

[illegible]

Tsverava Lasha

შუმმ არყ

Iნ მ ოდერ ცინლიტ[illegible]ტ ეფ[illegible]ბ ოტ ორ[illegible]ბ ოტ ორ[illegible]ბ ოტ ორ

ინკლუზიური სწავლების ზოგიერთი საკითხი საქართველოს სკოლებში

წიკლაური ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - „ინკლუზიური სწავლების ზოგიერთი საკითხი საქართველოს სკოლებში“ განხილულია ინკლუზიური სწავლების მდგომარეობა საქართველოს საჯარო სკოლებში. ამ ფორმატით განათლებას იღებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდები და ტრანზიტულ განათლების პროგრამებში ჩართული ბენეფიციარი მოზარდები. მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით ასწავლიან. ამ გეგმებს უნდა ადგენდეს სპეციალური ჯგუფი, რომელშიც შევა მოსწავლის მშობელი, საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი, სპეციალისტი.

კვლევამ აჩვენა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესი არ არის კორდინირებული საქართველოს სკოლების 52,8%-ში მას ადგენს საგნის მასწავლებელი. აღმოჩნდა ისიც, რომ დაბალია მასწავლებელთა კომპეტენციები. ისინი არ იმაღლებენ კვალიფიკაციას ტრენინგებით. ეს ნიშნავს მათ უპასუხისმგებლობას და გულგრილობას დაკისრებული სამუშაოს მიმართ. დადგინდა ისიც, რომ ასეთ მოსწავლეებზე მთელ რიგ სკოლებში გარემო პირობებიც არ არის ადაპტირებული. ჩატარებული კვლევა იძლევა იმ დასკვნის გაკეთების უფლებას, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლება არ დგას სათანადო დონეზე. ასეთი სწავლის მქონე მოსწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ არ იქნება მზად დასაქმებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური სწავლება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ტრანზიტულ განათლების პროგრამის მოსწავლე.

ძირითადი ტექსტი

უკანასკნელ წლებამდე ქვეყნის ინკლუზიური ზრდის საკითხი არც დამდგარა და არც გამოკვლეულა. მეტიც, დღესაც კი თვით ინკლუზივს და ინკლუზიურ ზრდას მეცნიერები სხვადასხვანაირად განმარტავენ. ამ ტერმინების შინაარსთან არსებობს მეცნიერების რამდენიმე თვალსაზრისი:

- „ინკლუზიური განვითარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ეკონომიკური ზრდა, რომელიც მიმართულია მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მიზნით რესურსების სამართლიანი განაწილებისკენ“ [1];
- „ინკლუზიური ზრდა არის ისეთი განვითარება, რომელიც მიმართულია კეთილდღეობის ზრდისკენ და უთანასწორობის შემცირებისკენ, მოსახლეობას შორის სიმდიდრისა და კეთილდღეობის პირდაპირი და თანაბარი განაწილებისკენ“ [2];
- „ინკლუზიური ზრდა არის ეკონომიკური მოდელი, რომელიც მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნისა და განვითარებისკენ, სოციალური თანასწორობისკენ“ [3];
- „ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ეკონომიკური ზრდის კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, ეკონომიკური პროცესში ფართო ჩართულობას“ [4].

ამ განმარტებებში ყველგან ჩანს ქვეყნის ზრდა და განვითარება, სამართლიანობა, უთანასწორობის შემცირება, თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და ეკონომიკურ პროცესებში მოსახლეობის ფართო ჩართულობა. თვით სიტყვა „ინკლუზივი“ ჩართულობა-ჩაბმულობას ნიშნავს და ქვეყნის განვითარების კონტექსტში იგი მის ისეთ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს, როდესაც ნაკლებად სოციალურად დაცული ჯგუფებიც (ღარიბები, შეზღუდული შესაძლებლობის პირნი, მიგრანტები და სხვები) ჩართული არიან ეკონომიკურ საქმიანობაში და თავიანთ საზრდოს თვითონვე გამოიმუშავებენ.

საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ეს გამოწვევა, რომელსაც ინკლუზიური ზრდა ეწოდება და მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „საქართველო - 2020“-ში ჩაწერა: „ქვეყანა რადიკალური და სწრაფი რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, თუმცა, საქართველოში

გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა... საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია. ჩვენი მთავარი მიზანია ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ჩართულობის საფუძველზე“ [5, გვ. 2].

ეს დოკუმენტი 2013 წელს შემუშავდა და ის პერიოდიც თითქმის გავიდა (2015-2020 წ.წ.), რომელ პერიოდზეც საქართველოს მთავრობამ ინკლუზიური ზრდა დაგეგმა. გარკვეული ზრდა მართლაც მოხდა, მაგრამ მისით მიღებული სიკეთე არ შეხებიათ მოწყვლად ჯგუფებს. კვალავაც მაღალია უმუშევრობა 2018 წელს (12,7%), შემოსავლებში უთანასწორობა (0,35) და სხვა.

ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით რადიკალური ღონისძიებები არის გასატარებელი. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება არის სკოლებში ინკლუზიური სწავლება.

ინკლუზიური სწავლება ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს (სსსმ) და ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამების ბენეფიციარებს. სსსმ-ში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსის მქონე მოსწავლეები, ხოლო მეორეში ისინი, რომელთაც ეს სტატუსი არა აქვთ, მაგრამ აღენიშნებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სეროზული პრობლემები. მათ უმრავლესობას ქუჩაში მოუხდა ცხოვრება, გადაიტანა სიცოცხლისთვის საშიში დაავადებები, მიეჩვია ალკოჰოლს, თამბაქოს, ნარკოტიკს და ა. შ. ამან შეცვალა მათი ბიოქიმიური ბალანსი და უარყოფითად იმოქმედა მათ ნერვულ სისტემაზე. ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება, როგორც მათ აკადემიურ მიღწევებზე, ისე სოციალურ ურთიერთობებზე.

ამ მოზარდების დიდ ნაწილს კრიმინალური გამოცდილება აქვს, რომელიც მათთვის არ განიხილება როგორც მიუღებელი და არასწორი. მათთვის ნაკლები ღირებულება აქვს სწავლასა და შრომას. ეს მოზარდები განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობებს ადრეული ბავშვობიდან არიან მოკლებულნი. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ მათ ჩამორჩენა აქვთ ასაკის შესაბამის განვითარებაში და სასკოლო სისტემას ცხოვრებისეული გამოცდილებით განპირობებული მახასიათებლებით სრულიად მოუმზადებელნი ხვდებიან. ისინი სკოლაში რაღაცნაირად „განსხვავებულად“ გამოიყურებიან, რაც ხშირად მათი მიუღებლობის, მოსწავლეთა რიგებში ბუნებრივი ჩაურთველობის მიზეზი ხდება.

საქართველოს მთავრობამ ინკლუზიური სწავლების საკითხსაც ყურადღება მიაქცია. იმ ღონისძიებებში, რომლებიც „საქართველო-2020“-ში არის ჩამოთვლილი განათლების ხარისხის ასამაღლებლად ერთ-ერთად დასახელებულია „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა შეზღუდული უნარის მქონე პირების განათლების და დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად“ [5, ვ. 52].

ეს ღონისძიება არა მხოლოდ სამთავრობო დოკუმენტებში იქნა დეკლარირებული, არამედ, შემუშავდა ინკლუზიური განვითარების გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, გამოიცა ინკლუზიური სასწავლო გარემოს მონიტორინგის ინდიკატორები [6], 2016 წელს დაიწერა საქართველოში ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ანგარიში და სხვა.

საქართველოში ინკლუზიური სწავლების შესაფასებლად და ამ სწავლებით დაკავებულ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა და ტრანზიტული განათლების პროგრამაგავლილ ბენეფიციართა ეკონომიკურ საქმიანობაში (მაგალითად, მიკრო და მცირე ბიზნესში) ჩასართავად, 2017 წელს, საქართველოს 28 საჯარო სკოლაში, სადაც ისინი სწავლობენ ჩატარდა მონიტორინგი. გამოიკითხა 26 დირექტორი, 63 საგნის მასწავლებელი და 26 თანამშრომელი. შესწავლილი იქნა მოსწავლეთა ორი სამიზნე ჯგუფი: 1. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე მოსწავლეები; 2. ტრანზიტულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოსწავლეები.

როგორც წესი, ამ ტიპის მოსწავლეთა სწავლება ინდივიდუალური სწავლების გეგმებით (ისგ) მიმდინარეობს. მის შედგენაში ჩართული უნდა იყოს მშობელიც, მასწავლებელიც, სპეცპედაგოგიც, ფსიქოლოგიც ანუ ისგ-გუნდი. მონიტორინგით აღმოჩნდა, რომ გარკვეულ სკოლებში ამ გეგმას ძირითადად ადგენს თავად საგნის მასწავლებელი (52,8%) და მხოლოდ 32,1%-ში ისგ-გუნდი. ასეთი

მიდგომა აჩენს ეჭვს, რომ ინდივიდუალური სწავლების გეგმა შეიძლება არაკომპეტენტურად იყოს შედგენილი, მით უფრო, რომ 35,6% შემთხვევაში ამ მოსწავლეთა მშობლები გეგმის შედგენაში არ იყვნენ ჩართულნი [7, გვ. 7].

დადგინდა, რომ შემოწმებულ სკოლებში სპეცმასწავლებელთა ნაკლებობაა. 1 - მასწავლებელი ჰყავს სკოლების 35%-ს, 3 - მასწავლ;ებელი - 18%-ს, 2 - მასწავლებელი - 40%-ს, 4 - მასწავლებელი - 6%-ს, არცერთი - 1%-ს. მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ გამოკვლეულ სკოლებში სპეცმასწავლებელთა ნაკლებობა ინკლუზიური სწავლების წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს.

ამ ტიპის სწავლებაში მონაწილე მასწავლებლების კომპეტენციები სპეციალური 20 დებულებიანი შკალით მოწმდება. კომპეტენციების ამაღლება ხდება ტრენინგებზე, ვორკშიპებსა და გადამზადებებში. მონიტორინგმა აჩვენა, რომ საგნის მასწავლებლებს მხოლოდ ერთ ტრენინგში აქვთ მონაწილეობა მიღებული, სპეცმასწავლებლებს კი 2-ჯერ [7, გვ. 12]. მათ 22,9%-მა განაცხადა, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია ტრენინგების შესახებ, ნაწილმა, კერძოდ, სპეცმასწავლებლების - 41,6%-მა კი მიზეზიც კი ვერ დაასახელა [7, გვ. 12]. ჩვენი აზრით, ეს მათ უპასუხისმგებლობასა და საქმისადმი გულგრილობაზე მიუთითებს.

მონიტორინგმა აგრეთვე აჩვენა, რომ შემოწმებული სკოლების უდიდესი ნაწილი ვერ ახერხებს ამ ტიპის მოსწავლეებზე სრულფასოვნად მორგებულ ფიზიკური გარემოს შექმნას - ლიფტი არა აქვს 66,4%-ს, სასადილო - 17,5%, ავეჯი (ეტლით მოსარგებლისთვის) – 61,3% და სხვა [7, გვ. 20].

რაც შეეხება ტრანზიტულ პროგრამებში ჩართულ მოსწავლეთა სწავლების მონიტორინგს ამ სფეროშიც გამოვლინდა ნაკლოვანებები. სკოლების 50,8% არ გამოყოფს არც ერთ საათს პროგრამაში ჩართულ ამ მოსწავლეებზე საგაკვეთილო პროცესის გარეთ [7, გვ. 33], სკოლების 46%-ს არა აქვს მათთან სასწავლო პროცესის მიღმა არავითარი არაფორმალური ურთიერთობა. ესეც ამ ბავშვების მიმართ მათ გულგრილობაზე მიუთითებს.

ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავს. ამის მიუხედავად, მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ უნდა დასაქმდნენ, სასკოლო გარემო ჯერ კიდევ ბოლომდე მხარდაჭერილი არ არის. მასწავლებლები პასიურად მონაწილეობენ პროგრამებში, არა აქვთ მათ საკმარისი ცოდნა ამ ტიპის ბავშვებთან მუშაობის და ა. შ.

დასკვნა

განხილული საკითხი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლება დაბალ დონეზეა და ამ გარემოში *მომზადებული ბავშვები სკოლის დამთავრების შემდეგ, დასაქმებისთვის მზად არ არიან.*

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღ. შამანს, Bლანკეტ, DrზეზეიM., ჩოობან G. ინეIნცლუზიეDevელეპმენტ2018 შეიმ არ ანდ Data Hig ჯალეტ. Genეეა, შეიტზლეკ ჯ ოლდEცეიეიიეიიG Foრეიმ // ჯ ოლდEცეიეიიG Foრეიმ. URL: ჰტტპს://ეეე

6. მახარაძე თ. (2015). ინკლუზიური სასწავლო გარემოს მონიტორინგის ინდიკატორები საქართველოში, თბ., გამომცემლობა „ნეკერი“.
7. საგარეო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი, კვლევის ანგარიში, თბ., 2017.

შეფასებისა და მეცადინეობის შეჯამება

Tsiklauri Irine
PhD student of Georgian Technical University

შემაჯამებელი

ინტეგრირებული ეს ის ფაქტია, რომელიც ინGeoრმაციანსაცავიდან ტექსტურ ინGeoრმაციანაშალიდან ინფორმაციის ამოღებას. ადამიანისგან ინფორმაციის ამოღებისას ორგანიზაციის ინტერფეისი ინფორმაციის ამოღებისთვის ადამიანი არ ელოდება ინფორმაციის ამოღებას. ეს ეფექტურია ინფორმაციის ამოღებისას. ეს ეფექტურია ინფორმაციის ამოღებისას. ეს ეფექტურია ინფორმაციის ამოღებისას.

ეს ეფექტურია ინფორმაციის ამოღებისას. ეს ეფექტურია ინფორმაციის ამოღებისას. ეს ეფექტურია ინფორმაციის ამოღებისას.

ადგილობრივი თვითმმართველობის დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა და თანამედროვე გამოწვევები

ჯანტურია მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება თანამედროვე საქართველოში, ქ. თბილისში ელექტრონული მმართველობის განვითარების ასპექტებს. კერძოდ, ერთიანი ელექტრონული პლატფორმისა და ელექტრონული განცხადებების პორტალის განვითარების საკითხს, ელექტრონული მმართველობის მნიშვნელობას ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების საქმეში.

ნაშრომში ნაჩვენებია სახელმწიფოს ხედვა და რეაგირება ქვეყნის წინაშე მდგარ ზოგიერთ ახალ გამოწვევაზე. განხილულია ცვლილებების პროცესში გამოვლენილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

თავისუფალი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა მრავალასპექტიანი პროცესია, რომლის საფუძველს წარმოადგენს ისეთი რთული სოციალურ-სისტემური მოვლენა, როგორიცაა საჯარო მმართველობა. ამ უკანასკნელის წარმატება კი 21-ე საუკუნის სწრაფად ცვალებად გარემოში დიდადაა დამოკიდებული ელექტრონული მმართველობის მუდმივ სრულყოფაზე და სწრაფ, უხარვეზო განვითარებაზე.

საჯარო მმართველობა ეფუძნება დემოკრატიული მმართველობის პრინციპებსა და ფასეულობებს, რაც მისი წარმატების გარანტია. საჯარო მმართველობის სივრცეში გატარებული ნებისმიერი რეფორმა ნაკლებად წარმატებული იქნება მოქნილი ელექტრონული მმართველობის სისტემის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანობა, ხელმისაწვდომობა, მოქალაქეზე ორიენტირებულობა.

ძირითადი ტექსტი

დღეის მდგომარეობით საქართველოში საჯარო დაწესებულებების დიდი უმრავლესობა ელექტრონული მმართველობის რეჟიმზეა გადასული. ელექტრონულად ხორციელდება ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გადაგზავნა, გადაწყვეტილების მიღება, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედება მოსახლეობასთან, საკუთარ თანამშომლებთან და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან. მუდმივად მიმდინარეობს ელექტრონული მმართველობის მოდელის დახვეწა და შესაბამისი რეფორმების გატარება.

თანდათანობით მეტად გამართული ხდება ელექტრონული მმართველობის შეუფერხებლად მუშაობისათვის საჭირო ტექნიკური მხარე. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაძლიერდა IT მიმართულებაც, რაც ელექტრონული დოკუმენტბრუნვით სარგებლობისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფოს დამოკიდებულება ელექტრონული მმართვველობის მნიშვნელობის მიმართ არაერთ დოკუმენტშია ასახული. მათ შორისაა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს მიღებული დადგენილება "საქართველო 2020" [1], რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 6-წლიან სტრატეგიას განსაზღვრავს. მასში ნათლად ჩანს სახელმწიფოში ელექტრონული მომსახურების განვითარებისა და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოების ხედვა.

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის არაერთი მოთხოვნა მოიცავს ელექტრონული მმართველობის გამოყენების აუცილებლობას (ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სისტემა, მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და სხვა.) [2].

დღეისათვის თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის, ადმინისტრაციული ინფრომაციის დაცულობისა და უსაფრთხოების ერთიანი სისტემა არსებობს. მოქალაქეთათვის ამოქმედდა ,,ერთი ფანჯრის პრონციპი", რაც ბევრად უფრო მოქნილს ხდის საჯარო სამსახურის ფუნქციონირებას და მოქალაქეთათვის მეტად მოსახერხებელია.

ონლაინ დოკუმენტბრუნვამ საჯარო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციის დონე მკვეთრად გააუმჯობესა.

მოქმედი სისტემა ერთნაირად ხელმისაწვდომია ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოსათვის დოკუმენტებზე დაშვებისა და ხედვის განსხვავებული დონით.

ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოქალაქეებისათვის შეთავაზებული ელექტრონული სერვისები გახდეს რაც შეიძლება მეტად ეფექტიანი, ხელმისაწვდომი, მოქნილი, გამჭვირვალე, სწრაფი, ეკონომიური და რაც მთავარია მაქსიმალურად ორიენტირებული მოქალაქეებზე.

თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ელექტრონული მმართველობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ელექტრონული დოკუმენტბუნვის ერთიანი სისტემის დანერგვის მხრივ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად თბილისის მთავრობის მიერ 2013 წლის 10 დეკემბერს მიღებული N30.86.1586 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (MSDA), რომლის წესდების საბოლოო ვერსია თბილისის მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის N06.30.185 განკარგულებით დამტკიცდა[3].

,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ფუნქციების, სტრუქტურისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა გაწერილი მის წესდებაში.

სააგენტოს მიზანია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვითა და გამოყენებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და თბილისის ტერიტორიული ორგანოების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა, ელექტრონული საქმისწარმოების გამარტივების პროცესის ხელშეწყობა, თბილისის მოქალაქეთა მომსახურების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

სააგენტოს ფუნქციებს შორის უმთავრესია საკრებულოს, მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ერთიანი ელექტრონული სერვისების პორტალის შექმნა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მოქალაქეთათვის ერთი ფანჯრის პრინციპით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სერვისების მიწოდება, მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის კონტროლი და შეფასება და სხვა.

სააგენტოს დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის მთავრობა).

,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ სტრუქტურა შედგება სამი ელემენტისაგან:

1. მოქალაქეთა მომსახურების განვითარების მიმართულება
2. ელექტრონული სისტემის განვითარების მიმართულება
3. ადმინისტრაცია

ამრიგად, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს თავის უფლებამოსილებაში აქვს მოქცეული ელექტრონული მთავრობის განვითარება თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე (თუმცაღა იგეგმება პროექტი, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს მთელ საქართველოს).

,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“(MSDA) წესდების საფუძველზე შეიქმნა და დაინერგა დოკუმენტბრუნვის ახალი, ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რომლის ელექტრონული პლატფორმაა apps.municipal.gov.ge

დოკუმენტბრუნვის პროგრამასთან ერთად ამოქმედდა საჯარო დაწესებულების მიერ ელექტრონულად გაცემული დოკუმენტაციის ვალიდურობის დადგენის ვებ-გვერდი document.municipal.gov.ge

,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებული კიდევ ერთი ვებ-გვერდია my.municipal.gov.ge, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში განცხადებების ონლაინ შეტანა.

ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის დანერგვა თითქმის უხარვეზოდ და უპრობლემოდ განხორციელდა, რასაც ვერ ვიტყვით

მოქალაქეთა თვითმმსახურების ელექტრონულ პორტალზე (my.municipal.gov.ge). მიუხედავად პლატ-ფორმის არსებობისა, მას ნაკლები გამოყენება ჰქონდა. მოქალაქეები ამჯობინებდნენ ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოებში მისვლას და განცხადებების ხელზე წარდგენას. აღნიშნულ ქმედებას ძირითადად განაპირობებდა ორი პრობლემის არსებობა:

1. ელექტრონულად შეტანილ დოკუმენტაციაზე ID ბარათით ხელმოწერის აუცილებლობა, რაც საჭიროებს გარკვეული ტქნიკის შემენა/ისტალაციას, შესაბამისად მოითხოვს როცორც გარკვეულ ფინანსებს, ასევე გარკვეულ ცოდნას.
2. ზოგიერთი განცხადების წარდგენისათვის აუცილებელი, კანონით განსაზღვრული შაბლონური დოკუმენატციის ელექტრონული ნიმუშის არ არსებობა.

საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო (პანდემიის საფრთხე COVID-19) მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო დაწესებულებების დიდი ნაწილი გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე[**4**]. აღნიშნული გადაწყვეტილება რაღა თქმა უნდა შეეხო მოქალაქეთა მომსახურების ცენტრებსაც.

არსებული ვითარების შედეგად უალტერნატივო გახდა განცხადებების ელექტრონულად შეტანის სერვისი.

ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრამ გადაუდებელი მნიშვნელობა შეიძინა.

ხარვეზებიდან ერთერთის გადაჭრის მიზნით საქართველოს მთავრობამ განახორციელა გარკვეული ცვლილებები და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების მოქმედება შეაჩერა საქართველოს მთავ-რობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების „საქართველოში ახალი კორონა ვისრუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ 13-ე მუხლის 3-ე პუნქტის შესაბამისად [**5**]

ცვლილებების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის ელექტრონული განცხადებების თვითმმსახურების პორტალზე განაცხადის გაკეთების ნაწილში განხორციელდა ცვლილება და გაუქმდა ID ბარათით ხელმოწერის საჭიროება, რამაც მოქალაქეებს საშუალება მისცა ყოველგვარი შეფერხების გარეშე განეხორციელებინათ ნებისმიერი სასურველი მიმართულებით განცხადების წარდგენა ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს სტრუქტურებში.

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ მოქალაქეებზე ორიენრიტებული სერვისების განვითარებას, დღეისათვის მოქმედი ცვლილება არ უნდა იყოს დროებითი ხასიათის. ასევე, გადასაწყვეტია ელექტრონული შაბლონური დოკუმენტაციის არარსებობის საკითხი.

ვთვლი, რომ ამ ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტის შემდეგ თვითმმსახურების პლატფორმა და შესაბამისად ელექტრონულად განცხადებების შეტანა ადგილობრივ თვითმმართველობაში გახდება ბევრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოქალაქისათვის, ხოლო ელექტრონული მმართველობა მთლიანობაში გახდება უფრო ეფექტიანი და მოქალაქეებზე ორიენტირებული, დაიზოგება სხვადასხვა სახის რესურსი (ფინანსები, დრო და ა.შ.).

დასკვნა

დღევანდელ რეალობაში უდავოა, რომ წარმატებული ელექტრონული მმართველობის გარეშე წარმატებული დემოკრატიული სახელწიფოს არსებობა წარმოუდგენელია.

საქართველოში მთავრობის მიერ გატარებული არაერთი რეფორმისა და გარკვეული წარმატე-ბების მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი ცვლილება იქნება საჭირო, რათა სამთავრობო მომსახურება გახდეს უფრო ეფექტიანი, დახვეწილი, ხელმისაწვდომი, სრულად ელექტრონული და მეტად ორიენტირებული მოქალაქეებზე. ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად სულ უფრო მზარდია მოთხოვნა მაღალი ხარისხის ადმინისტრაციულ სერვისებზე, უწყვეტ მომსახურებასა და ,,ერთი ფანჯრის პრინციპზე“.

სახელმწიფო დღემდე დიდ რესურს ხარჯავს ელექტრონული მმართველობის განვითარებაში, რისი საბოლოო მიზანიც სახელმწიფოსათვის სერვისების ეფექტიანობის ამაღლება და სხვადასხვა მიმართულებით ხარჯების შემცირებაა.

სახელმწიფოს მხრიდან ახალ გამოწვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება და ნაკლები ბიუროკრატია საქართველოში ელექტრონული მმართველობის მეტად წარმატებული ფუნქციონირების წინაპირობაა, რაც სამომავლოდ საქართველოს როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2014 წლის 17 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 ქ. თბილისი ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“
2. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
3. საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=29
4. ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის N06.30.185 განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თბილისის პორტალის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N30.86.1586 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
5. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულება ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზთვრის შესახებ“
6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება ,, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“

A უნიფიცირებული ელექტრონული სერვერის ინტეგრაცია ინტერნეტ მომხმარებლებზე

Tchanturia Mariam

PhD student of Georgian Technical University

შუმმ არყ

Iნტერნეტ რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ელექტრონულ-გზიერმ ინტეგრაციას ეხება ინფორმაციის საცავსა ელექტრონულ ოფიციალურ ინფორმაციულ.

Despიტად ერთ-ერთ ადგილზე ესაა ელექტრონულ ბეჭდვა გზიერმ ინფორმაციას ანყ ცალკეს ფილიალებს ნელელ ტრანზაქციებ გზიერმ ინტ სერვერმ ორ ელექტრონულ ინტეგრაციასა ინფორმაციის ერთ-ერთ ინფორმაციულ ინტეგრაციაზე ჯ ინტეგრაციაზე, ეს ლემ ანდ ფრაზა ქალაქმა ინფორმაციულ სერვერ-ინტეგრაციის სერვერ "ერთ-სტოპ ეკონ" ინფორმაციაზ.

ამეე სტატიაში ავაგებ ა ლიტერატურულ ინ ტ ლეველი ინტეგრე-გზიერმ ინტეგ ულინტეგრაციაზ ეკონ ინფორმაციულ ეს ელექტრონულ ოფისერების ფორტ ინტ ინფორმაციულ ვარიანტ ლიმიტ.

Quიც ანდ ელექტრონ რასკოსე ტრიალ ცალკეს ფრო ეს სტატიაში ლესლარაცეტ ის ა პრერეკვიზიტ ფორტ ჰიფენ სერვერ-ინტეგრაციაზ ოფე-გზიერმ ინტინ Geoრია, ჰიც ერილეს Geoრიატ ჰ ჰოლანდ ლეველ ლეველი ინტ ა ლემ ოფიციალ ფეხ ფერ.

ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში

ჭყონია ნატალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება თანამედროვე სამყაროს გამოწვევებში ქართული სასკოლო განათლების სახელმწიფო სტრატეგიას ბოლო ოცწლეულის განმავლობაში და ასახავს საქართველოში ხარისხიანი და თანაბარი სასკოლო განათლების შესაძლებლობის მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: ზგემი, ესგ, სასკოლო სასწავლო გეგმა, საჯარო სკოლა, კერძო სკოლა.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის წარმატებულ მომავალი განათლებულ თაობაშია:

„სკოლამ ისე უნდა ამზადოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ქვეყნის სასარგებლოდ ყოფნისა, ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, პატიოსანი რამ საგანი იქონიოს ცხოვრებისა, ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა“.-/ილია ჭავჭავაძე./

თანამედროვე საგანმანათლებლო ენით, ღონე სწავლის უნარია, ხერხი-სწავლის სტრატეგია (სწავლის სწავლა) და წყურვილი-შინაგანი მოტივაცია. ამდენად, მარტივი და დღესაც გენიალურია ილიას პროგრამა: სკოლამ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბოს ქვეყნის სასარგებლო ადამიანად ყოფნის **მოტივაცია, უნარი და სტრატეგიები.** დემოკრატიული სახელმწიფო მოქალაქეთა თავისუფლების დაცვით ვითარდება, რისთვისაც ილიასეული „საერთო გონებრივი სიმწიფე“-ხარისხიანი სასკოლო განათლება აუცილებელი წინაპირობაა. ნებისმიერი სისტემის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მისი მდგრადობა, რაც დაწყებული საქმეების ახალი წამოწყებებითა და ინიციატივებით გამდიდრებას პროპორციების დაცვით გულისხმობს. განათლების სისტემას ბევრი დაინტერესებული მხარე და მომხმარებელი ჰყავს. შესაბამისად, იგი მრავალკომპონენტიანია და სენსიტიურია დიდი რყევების მიმართ. განათლებაში ჩატარებული ცვლილებები გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს მდგრადი შედეგების ფორმირებას. ამდენად, განვითარების გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია სწორი და გრძელვადიანი ხედვა ამ დარგში. კრიტიკულ პედაგოგიკაში განმანათლებლის როლი წარმოდგენილია, როგორც განმანთავისუფლებლის[1]. განათლება არ განიხილება, როგორც ტექნიკა და განმანათლებლები არ არიან მხოლოდ კონკრეტული საგანმნათლებლო მეთოდების შემსრულებლები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების კომპლექსურობას და მის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებს. ქართულ სკოლას დიდხანს გაუგრძელდა ე.წ. გარდამავალი პერიოდი საბჭოური სისტემიდან. საქართველოს ზოგად განათლებაში ახალი სტანდარტები მტკივნეულად მკვიდრდებოდა. დღემდე ჩატარებული რეფორმების განხორციელების შედეგად დაგროვილი გამოცდილებისა და გლობალური გამოწვევების მიმართ მზაობის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დღის წესრიგში კვლავ მწვავედ დგას ქართული სასკოლო განათლების ეფექტიანობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების საკითხი. ოდითგანვე აქტუალური ქართული განათლება განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა. ამ პერიოდიდან განათლების სახელმწიფო პოლიტიკა იმ რეფორმებით განისაზღვრება, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციასა და თავისუფალი განვითარების ხელშეწყობას. სახელმწიფოს მხრიდან განათლება პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული და იხარჯება დიდი ადამიანური თუ მატერიალური რესურსი, თუმცა განათლების რეფორმების წარმატება არასაკმარისია, რასაც ადასტურებს საერთაშორისო თუ შიდა კვლევები: წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS); მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების კვლევა (TIMSS); მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA); მასწავლებელთა განათლების და განვითარების საერთაშორისო

[1] Tisdell and Taylor 2000.

კვლევა (TEDSM); სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS).[1] გამოვლინდა საქართველოს განათლების სისტემაში [2]არსებული ხარვეზები მსოფლიოს წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებ-თან და საერთაშორისო ტენდენციებთან მიმართებაში. 2012-2018 წლებში საატესტატო გამოცდებში საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობა წლიდან-წლამდე არ მცირდებოდა: 2016 წელს მოსწავლეების 25% დარჩა საგამოცდო ზღვარს მიღმა, 2017 წელს - 27%, ხოლო 2018 წელს - 24.5 %. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, 148 ქვეყანას შორის საქართველოს საგანმანათლებო სისტემის ხარისხით - 105-ე ადგილი (3.2 ქულა)-აქვს. [3]ამჟამად არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამოწმებს საშუალო განათლების წარმატებით დასრულებას და ადასტურებს სახელმწიფო დოკუმენტის, ატესტატის მისაღებად საჭირო დონეს.

საქართველოში ზოგადი განათლების მიმართ დაკვეთას ასახავს ზგემი(2004)[3] სახელმწიფო დოკუმენტი, სადაც აღწერილია თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ, რათა ზრდასრულ ასაკში ადამიანმა შეძლოს საკუთარი თავისთვის, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის სარგებლის შექმნა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ზოგადმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. მოსწავლეებში 21-ე საუკუნის სწავლების კომპეტენციების განვითარება, ქვეყნის ღირებულებებისა და ფასეულობების შენარჩუნება. შუალედური რგოლი-სისტემური მექანიზმი, რომელიც „ზგემს“ გახდის ქმედითუნარიანს, გახლავთ სახელმწიფო დოკუმენტი-ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ). სწორედ მასში უნდა ვიკვლიოთ ხარისხის განმაპირობებლები, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს სასკოლო განათლება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით დასახული შედეგების მიღწევას. რატომ ვერ ამზადებს ზოგადსა-განმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა მოსწავლეებს განათლების შემდგომი საფეხურების-თვის, შრომითი საქმიანობის დაწყების, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციისათვის.

2004 წლოდან დღემდე ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დოკუმენტის (ესგ) კომპონენტები წლების მანძილზე ფართო მსჯელობის და ექსპერიმენტების საგანი იყო მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და განათლების ექსპერტებს შორის. (84 ცვლილება[4].) ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ყველა ცვლილება სამ ძირითადი ამოცანას ემსახურებოდა: ა) სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვა-დიანი მიზნების როლის გაზრდა-მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყოველწლიური მოკლევადიანი მიზნები (შედეგები და ინდიკატორები) ჩაანაცვლა საფეხურებრივმა გრძელვადიანმა მიზნებმა

ბ) სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნება - მესამე თაობის სასწავლო გეგმაში **სავალდებულოდ განისაზღვრა კონსტრუქტივისტული პარადიგმის უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო პრინციპები**

გ) სკოლების ავტონომიურობის ხარისხის გაზრდა - ეროვნული სასწავლო გეგმა ორ ნაწილად გაიყო: **საფეხურის** სტანდარტები, რომლებიც წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნებს საქართველოს ყველა სკოლისთვის და წლიური პროგრამები, რომლებიცრეკომენდაციებს იძლევა სასკოლო

[1] ი. გურგენაშვილი https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-08/288.pdf
[2] ი. კუტალაძე https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=5&tid=4
[3] ზგემი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0
[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=84

კურიკულუმების შექმნისა და განვითარებისთვის.

კვლევების თანახმად დგინდება, რომ კერძო სკოლები უფრო მეტად არიან ახლოს სახელმწიფო დაკვეთასთან. სწორედ აქ იჩენს თავს სკოლების ავტონომიურობის და ფარული კურიკულუმის არსი. 2020 წლიდან ყველა სკოლა შექმნის თავის ორიგინალურ პროდუქტს-სასკოლო კურიკულუმს. შედეგად, სწავლება სკოლებში თანდათან დაუახლოვდება ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რომელიც „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მიმდინარეობს, ეროვნული საგანმანათლებლო მეგაპროექტია. მისი განხორციელების იმდენი გზა არსებობს, რამდენი სკოლაცაა საქართველოში. შესაბამისად, ყველა სკოლა საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინების და რესურსების გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმს, რომელიც უზრუნველყოფს ესგ-ის კონკრეტული სკოლის კონტექსტში გადატანას, რაც 2003 წლიდან 20020 წლამდე პერიოდის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. „ახალი სკოლის“ მოდელი ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. ქართული სკოლა წარმატებით დაასრულებს ექსპერიმენტების ხანგრძლივ პერიოდს.

დასკვნა

მართვა ერთდროულად მეცნიერებაც არის და ხელოვნებაც, რომელიც ვლინდება ხელისუფლების მიერ საზოგადოების მართვაში. მართვის ეტიმოლოგიური არსიდან გამომდინარე „მართვა“ (governance) ვარაუდობს „ტარებას“ (steering), ანუ გარკვეული მექანიზმების გამოყენებას, საჭირო გზით წარმართოს საზოგადოება. განათლება სახელმწიფოს განვითარების ერთადერთი საშუალებაა სტაბილური და დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის, რომლებიც ეფექტურად მოემსახურებიან მოქალაქეებს, რათა მათ შეძლონ გლობალიზაციის პროცესში ეკონომიკური ინტეგრაცია და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჰარმონიზაცია. მყარი ეროვნული თვითშეგნებით, კიბერუსაფრთხოების დაცვითა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით მსოფლიო გამოწვევებთან გამკლავება. ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და თანამედროვე სტანდარტების განათლების თანაბარი შესაძლებლობით სკოლა უნდა იქცეს მოზარდთა ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ძალების გაშლა-განვითარების სარბიელად, რათა ჩვენმა ქვეყანამ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი გლობალურ სამყაროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. დოღონაძე ო.ქოჩორაძე სამეცნიერო ჟურნალი ხელისუფლება და საზოგადოება № 2(46) 2018 (ისტორია, თეორია, პრაქტიკა). № 2 (46) 2018. თბილისი. „ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ

ა“- ნინა ხატიაშვილი, ოთარ ქოჩორაძე თანამედროვე ქართული სახელმწიფოს სულიერი უსაფრთხოება გვ 156-160
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/275153/1/Xelisufleba_Da_Sazogadoeba_2018_N2.
2. ჯანაშია ს. (1 აგვისტო 2011), განათლების რეფორმის 5 წელი, გაზეთი ტაბულა. თბ „მიეცეს თავისუფლება საქართველოს სკოლებს? „
https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/School%20reform-GEO.pdf
3. „რა უნდა ვიცოდეთ აუცილებლად განათლების სისტემის შესახებ— (2012) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
https://elibrary.emis.ge/ge/books/details/138
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე
http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
5. ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991 – 2013 წლები/
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/zaqaria_qitiashvili.pdf
6. სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში. 2019
https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf
7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ №1330.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=84

[illegible] in [illegible]

Chkonia Natalia
PhD student of Georgian Technical University

[illegible]

[illegible]

პიარისა და პროპაგანდის ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურება

ჭიაურელი ვანო, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტრელკოვა რუსუდანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პიარის ცნება გახდა ჩვენი დროის სავიზიტო ბარათი. მთელი ცივილიზებული სამყარო არა მარტო მიეჩვია ამ ტერმინს, არამედ პიარი იქცა სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სუბიექტის ურთიერთგაგებისა და თანხმობის მიღწევის ეფექტურად მომუშავე ხელოვნებად და მეცნიერებად. „მოდურობის“ გამო პიარის ცნებას ხშირად უადგილოდ იყენებენ და მასში დამახინჯებულ აზრს დებენ. მოღვაწეობის ამ მიმართულებისადმი ზედაპირული დამოკიდებულება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, ფაქტიურად უბიძგებს იმისკენ, რომ საზოგადოება განიხილოს როგორც მოტყუების ობიექტი და სუბიექტების ეგოისტური ინტერესების მიზნებში მანიპულირების საშუალება. პიარის ინსტიტუციონალი-ზაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდება მრავალი ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: პიარი, პროპაგანდა, მასობრივი ინფორმაცია, აგიტაცია, მანიპულაცია, ფსიქოლოგიური ომი.

ძირითადი ტექსტი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვიმყოფებით პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ზოგიერთ ჩვენგანს არ შეუძლია ახსნას თავისი ქცევა და აზრები, მაგრამ ვცდილობთ სხვები დავარწმუნოთ იმაში, რაც არ გვინახავს. ამასთან არ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ შესაძლებელია ვიღაცა ახდენს ჩვენით მანიპულირებას. ასე შეიძლება შეუმჩნევლად გავებათ პროპაგანდის მახეში.

ტერმინ „პროპაგანდის“ ქვეშ ხშირად იგულისხმება მოსახლეობაში ფსიქოლოგიური ზემოქ-მედების მეთოდი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კომუნიკაციის მეშვეობით. პროპაგანდა ზემოქმედების მეთოდია, რომელიც ასრულებს ცნობიერების ღირებულებითი რეგულაციის ფუნქციას და ეფუძნება შედარების და შეფასების ფსიქოლოგიურ მექანიზმებს. ძალიან ხშირად ტერმინ „პროპაგანდასთან“ ერთად იყენებენ ტერმინ „აგიტაციას“. ტერმინ „პროპაგანდის“ სინონიმებად ასევე ტერმინებს „ტყუილი“, „მანიპულაცია“, „ფსიქოლოგიური ომი“, „ტვინების გამორეცხვა“ ხმარობენ. სინამ-დვილეში პროპაგანდის მიზანი იმაშია, რომ გაავრცელოს აუდიტორიაში გარკვეული იდეოლოგია წინასწარ ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად. ხშირად პროპაგანდა იღებს „გააქტიურებული იდეო-ლოგიის“ ფორმას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ კომერციულ და პოლიტიკურ პროპაგანდას. პოლიტიკური პროპაგანდა იმით განსხვავდება კომერციულისაგან და ტრადიციული რეკლამისაგან, რომ ის არა მხოლოდ აქებს და იძლევა დადებით შეფასებებს, არამედ მოწინააღმდეგეების და კონკურენტების უარყოფით შეფასებებზეც არ ამბობს უარს. პოლიტიკურ პროპაგანდაში ხშირად გამოიყენება ხერხები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ანტირეკლამა. პროპაგანდას აქვს თავისი სარეკლამო საქონელი - აზრები, სტერეოტიპები, ცხოვრების სტილი და ა.შ. ის მონაწილეობს სახელმწიფოების, მთავრობების პოლიტიკის წინწაწევაში, მონაწილეობს იმიჯის ფორმირებაში და ამასთან იყენებს როგორც ტრადიციული დარწმუნების, ასევე სუგესტიური ზემოქმედების მეთოდებსაც.

პროპაგანდაში ფსიქოლოგიის გამოყენება ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში დაიწყო. განსა-კუთრებულ წარმატებას ამ სფეროში მიაღწიეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც იყვნენ აშშ, კანადა, გერმანია და საბჭოთა კავშირი, ანუ იმ ქვეყნებმა, რომლებიც XX საუკუნეში ძირითად დაპირისპირებულ პოლიტიკურ მხარეებს წარმოადგენდნენ.

მკვლევარების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინდივიდების ქვეცნობიერი შეღწევის

მეთოდების ძიება. ამისათვის ხდებოდა პროპაგანდის შინაარსის დეტალური ანალიზი, ინდივიდების განათლების, ნაციონალობის, ინტელექტისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინება. ამ კვლევების მიზანს წარმოადგენდა პროპაგანდისტური ზემოქმედების მაქსიმალური ეფექტის მიღწევა.

პროპაგანდა ყოველთვის ერთი აზრის, იდეის, პრინციპის სასარგებლოდ არწმუნებს. ამერიკელ ფსიქოლოგებს მიაჩნდათ, რომ პროპაგანდისტული ქმედებები შეიძლება გამოკვლეულ იქნას შემდეგი სქემით: კომუნიკატორი - კომუნიკაცია - რეციპიენტი. მაგრამ „კომუნიკატორის“ ცნება პირობითია. ეს შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც აქვს უშუალო კონტაქტი სხვა ადამიანთან, ან ის, ვინც იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. კომუნიკატორის როლში შეიძლება გამოვიდეს ადამიანი, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე მხატვრული (სიმბოლური) საშუალებების მეშვეობით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრაქტიკაში დღეს ფართოდ არის გამოყენებული ქვეცნობიერი სტიმულირების მეთოდები, როდესაც აუდიტორიის დამოკიდებულების ფორმირება გარემომცველი სინამდვილისადმი ხდება სტანდარტიზებული გამარტივებული წარმოდგენების (სტერეოტიპები, იმიჯი, მითები, ჭორები) მეშვეობით, რომლებიც ახალი ამბების ნაკადში არიან შეზავებული და მასობრივ ცნობიერებაში ავტომატურად იწვევენ დადებით ან უარყოფით რეაქციას კონკრეტულ მოვლენაზე.

განსაკუთრებით მყარია ადამიანის მიერ რაციონალურად გააზრებული და ემოციურად გათავისებული ემოცია. დამაჯერებელ ზემოქმედებას ქმნის რაციონალური, ემოციური, ლოგიკური და ფსიქოლოგიური საწყისების ერთიანობა.

დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებულ საზოგადოებაში უფრო ეფექტურად მოქმედებენ ლოგიკური დარწმუნების მეთოდები. ტირანიის, დიქტატურის და მონარქიის პირობებში ხალხი უფრო მეტად ექვემდებარება შთაგონებას. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორია ამის ნათელი მაგალითია. პროპაგანდა ჩართული იყო პიროვნების დეპერსონალიზაციის პროცესები. სახელმწიფო მექანიზმში „ჭანჭიკის“ კონცეფციის მიხედვით ხალხი დაარწმუნეს, რომ „შეუცვლელი არავინ არის“. პრესამ, როგორც პროპაგანდისტული მანქანის ინსტრუმენტმა, შთააგონა ადამიანი, რომ ის პარტიისა და სახელმწიფოსაგან დავალებულია იმით, რომ ის სისტემის ელემენტია და აქვს ბედნიერება იაროს ნათელი მომავლისაკენ.

ამერიკელი ფსიქოლოგების დ. კრეჩის და რ. კრაჩფილდის აზრით, პროპაგანდის გავლენის ქვეშ ყველა ინდივიდი ისე იქცევა, თითქოს მისი ქცევა გამომდინარეობს საკუთარი გადაწყვეტილებიდან. ისინი თვლიან, რომ შესაძლებელია ადამიანის ჯგუფით მანიპულირება ისე, რომ ყოველ მათგანს ეგონება, რომ ის მოქმედებს საკუთარი რწმენის, გადაწყვეტილებების საფუძველზე. ეს მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პროპაგანდა განიხილება, როგორც სტიმულირების გარკვეული ფორმა, რომელსაც წარმატების შემთხვევაში მივყავართ შთაგონებამდე. პროპაგანდის მთელი პროცესი შეიძლება დაყვანილ იქნას გამოყენებული სტიმულების ანალიზამდე და ინდივიდის შთაგონების მიღების ხარისხამდე. შთაგონებაში იგულისხმება ლოგიკური არგუმენტების და უდავო ფაქტების არქონით ინდივიდზე ზეგავლენის პროცესი. სპეციალისტები ერთმანეთისაგან განასხვავებენ პირველად შთაგონებას, რომლის არსიც დაიყვანება უკრიტიკო აღქმაზე და პრესტიჟულ შთაგონებას, რომელიც მიიღება ავტორიტეტული წყაროს მეშვეობით. ამერიკული ფსიქოლოგიისათვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი ისეთი პროპაგანდის განხილვა, რომელიც შთაგონებით ზემოქმედებაზეა დამყარებული ფსიქიკის არა რაციონალური, არამედ ემოციური კომპონენტების მეშვეობით.

შთაგონების ერთ-ერთი ხერხი, რომელიც გამოიყენება თანამედროვე ჟურნალისტიკაში - რეზონანსის შექმნაა, რომლის არსიც იმაშია, რომ გამოიყენება აუდიტორიის მგრძნობიარობა რასობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ სიტუაციებზე. აუდიტორიას მიაჩნია, რომ სიგნალი არა გარეგანი წყაროდან, არამედ თავად მათგან მომდინარეობს. საზოგადოებრივი ცნობიერების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე ჩნდება ნაციონალური პროპაგანდის მყარი პრინციპები: ნაციონალური სტერეოტიპები და ნეგატიური განწყობები სხვა ერებისადმი, საკუთარი ეთნიკური „განსაკუთრებულობის“ და „უპირატესობის“ განცდა. საინფორმაციო საშუალებები ინფორმაციას გადმოსცემენ ემოციურ და დრამატულ ფორმაში.

ტრადიციულ კომერციულ რეკლამასა და პროპაგანდას აქვს ბევრი საერთო ნიშანთვისება. ტრადიციული კომერციული რეკლამა კონკრეტულ ადამიანს არწმუნებს იმაში, რომ მან უნდა იყიდოს კონკრეტული საქონელი ან მომსახურება, რომლებიც მას რეალურად შეუძლია შეამოწმოს და შეაფასოს, ხოლო პროპაგანდა, როგორც წესი, აწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელსაც ადამიანი შესაძლებელია პირადად ვერასოდეს ვერ შეხვდეს. ასეთი ინფორმაციის სანდოობაზე ადამიანს მსჯელობა შეუძლია სხვა, მაგრამ მსგავსი ინფორმაციის საშუალებით. ამასთან, მიღებული ინფორმაციის სანდოობის კრიტერიუმი, როგორც წესი, ხდება ინფორმაციის მიმღების უკვე ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება, მისი მსოფლ-მხედველობა, განწყობები, ან სხვა ადამიანები, რომლებიც მისთვის ავტორიტეტები არიან. ე.ი. ერთი ინფორმაციის სანდოობის წყარო არა თავად ობიექტია, არამედ სხვა ინფორმაცია. ეს ყველაფერი ქმნის პირობებს იმისათვის, რომ პროპაგანდისტმა გამოიყენოს ადამიანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხები, ისე რომ ხშირად არც ფიქრობს იმაზე, რომ შესაძლებელია შემოწმებულ იქნას მიღებული ინფორმაციის სანდოობა.

ხაზსგასასმელია, რომ პროპაგანდა არა მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის გადაცემაა. ხშირად მას, ისევე როგორც სარეკლამო კომუნიკაციის სხვა სისტემებს, პირადი რეგულაციის კანონებით აგებენ.

კერძოდ, მომხმარებელს ინფორმაცია ისეთნაირად გადაეცემა, რომ მან იცოდეს არა მარტო ის, რაც ხდება მსოფლიოში, არამედ ჰქონდეს სურვილი, გადასცეს ეს ხმები თავის ნაცნობებს. პროპაგანდას სენსაციურობის ელემენტებიც შეიძლება ჰქონდეს და პიროვნების სოციალური ორიენტირებულობის მოტივაცია მოახდინოს.

ამ შემთხვევაში ადამიანს აქვს საშუალება, თავი იგრძნოს ამა თუ იმ სფეროში გათვითცნობიერებულ, კარგად ინფორმირებულ სპეციალისტად. ასეთი ტაქტიკა, როგორც წესი, განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ ქვეყნებში, სადაც ბევრი ხალხია და რომლებიც ამაყობენ იმით, რომ ყოველთვის პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობის კურსში არიან. ამ შემთხვევაში საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის იქმნება მასობრივი ინფორმაციის წყაროები: გაზეთები, ჟურნალები, რადიო- და ტელეგადაცემები, რომლებსაც ენდობიან. ჩნდება პოპულარული წამყვანები, კომენტატორები, პოლიტიკური მიმომხილველები, სპეციალისტები და ფაქტობრივად ინფორმაციის მიწოდების გზებისა და საშუალებების მოდის კანონმდებლები, რომლებიც ამას ისე აკეთებენ, როგორც ეს მომხმარებლის მიზნობრივ ჯგუფს მოეწონება. ასევე შეიძლება გაჩნდეს ინფორმაციის შინაარსზე მოდა.

დასკვნა

პროპაგანდა, მისი წყაროს და ინფორმაციის სანდოობის მიხედვით იყოფა: „თეთრ“, „რუხ“ და „შავ“ პროპაგანდად. „თეთრი“ პროპაგანდის შემთხვევაში ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და მისი წყაროების დადგენა შესაძლებელია დიდი სიზუსტით. „რუხი“ პროპაგანდის შემთხვევაში ზუსტი წყაროს დადგენა რთულია, ხოლო ინფორმაციის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშაა. „შავი“ პროპაგანდა იყენებს მცდარ წყაროს, ავრცელებს ტყუილს და განიხილება, როგორც „დიდი ტყუილი“. პროპაგანდის საფუძველია გარკვეული ღირებულებები და იდეოლოგია, მისი საშუალებების ვარირება ხდება ჩვეულებრივი ტენდენციური ინფორმაციიდან აშკარა ტყუილამდე, ხოლო მიზნები ყოველთვის პროპაგანდისტის სასარგებლოდაა განსაზღვრული.

სექცია V

ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები

The principles of mutual benefit of eco-innovative collaboration in small and medium-sized enterprises

Beáta Fehérvölgyi
Professor, University of Pannonia, Faculty of Business Economics, Hungary

Kutateladze Rusudan
Professor of Georgian Technical University

Viktória, Csizmadiáné Czuppon,
Professor, University of Pannonia, Faculty of Business Economics, Hungary

Chachava Nino
Associate Professor of Georgian Technical University

Pailodze Nino
Professor of Georgian Technical University

Abstract

ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ადამიანებს ეზრდებათ ინოვაციურ ეკოლოგიურ პროდუქტებზე მოთხოვნა. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს. ეკოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნეს-ურთიერთობა ეხმარება ორგანიზაციებს, ეფექტურად ფუნქციონირებენ ბაზარზე, ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ ინოვაციებს შორის ურთიერთობა, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს, ეს ეხება ეკოლოგიურ ინოვაციებს.

Manაგერებისტოლოგიური, ბეჰავიორალური კატეგორიებიდან, რელევანტურია ტექნოლოგიურად ორიენტირებული ინოვაციური ორგანიზაციებისა ბაზრებზე შესვლისა და ბაზარზე ერთად SME Manაგერ SME Manაგერებად Keყ პარტნიორებად ურთიერთობა ეხმარება ეკოლოგიურ ინოვაციებს SME.

ეს ნაშრომი MSM შესავლენად ეკოლოგიურ ინოვაციებს რეგიონალურ - ეროვნულ იცეცლენიც ანალიზია. ეკოლოგიურ ინოვაციებზე იყო ინSMEს.

From ტა კონფლიქტურ ტენდენციებს ურთიერთ ურთიერთ ჯ ჰატსეფერსტანიტელ ჯ ჰერ არ ყოფილა? ჯ ჰაKeყ რესურსებს დოყოფა? ჯ ჰანანატრალესურსებს არ ავაილაბლეფოფ? ჯ ჰერ არ ყოფრ ეროვაას? ჯ ჰაფლოყოფ ნეედ (პარტნიორებიესეფრეკონინოვატორ ჰაფს ყოფესანეს ფრეეკონინოვატორ- ჯ ჰაფ ცან'ტყოფ დოფ ყოფრ ფ? ჯ ჰატერ ტენ ბენეფიტანდ ვალუ ოფყოფრეკონინოვატივრესს? ჯ ჰყ ინფორ კოფანეს მ ეფექტანდ ცე პარტნერნაფეს ინბუსინეს კლანდენეფ ენფრეკოპარტნერ? Hoფ დოყოფ მ ანაგე ყოფრფნალ დეფინეფ ფრეკონინოვატორ ჰოარ ყოფრფალექ Pარტნერ?

KეყWორდს Bენეფიტ,ეკონინოვატორ, Keყ Pარტნერ, Keყ დესიგნ.

INTRODUCTION

ეს ეფლიკატიონეკონინოვატივრესურსSME დეპენდს ეფექტ ტენდერეფექტ მ ანალიტიკოსფრ ის სიფ ცან ბე ცონსიდერდ.

- პრაქტიკოფფან - ფჰიგ მ ეანს ეფლიკატიფ იტანსტოერ ანდ ეფისენერ ტოფეფნე ტენ ბაან ინ ეკო პროდესსSME, ტოგანფლე ფნე სჭანფიტიონ ჰანანატფლესფრ ყოფ ფჰე ან ეფ, დეფნე ტენ ბაან ოფეკონინოვატიონSME, დეველოფენ სტანფეფეფეფ ფრეერენ;

- Aცტივობა – ცალკეული ტიპიური ბიზნეს პარტნიორი ფრანჩაიზინგის ფორმატში ენტერპრაიზი ან კორპორაციული ტიპის ორგანიზაციებისა. ეს ეტაპი შეიცავს ინფორმაციის ფრაგმენტებს ეროვნული ენაზე ეროვნული ბიზნეს SME ბიზნეს დეპარტამენტის ნებართვა. ინფორმაციის ცხელი ხაზი – ტელეფონი ცალკეული ბიზნეს კლასტერებისა ან მეორე ბენეფიციარები, ტელეფონებში ვიზიტორებმა ინფორმაციის ფურცლებზე ვიზიტორებმა ან ელექტრონული პარტნიორი კომპანიები, ვებ ბანერები ინტერნეტ კომპანიებში;
- ეს დონეზე – ცალკეული ტიპის პარტნიორ ფრანჩაიზინგი მ ეანს ტიპ კომპარტიმენტალიზებულ დონე ენა,ორენოვანი ინფორმაციის ეროვნული პარტნიორი ეს დონე ენ მ ა ბე ტიმ ეი ფინანსურ ფუნდირებაზე, ეროვნული ენტერპრაიზი ინფორმაციის ფონდ ვალდებულებებ ტიპ პარტნ.

Main Body

How to Define Key Partner Criteria:

- Development Key Criteria (Education ენა)
- Identify Vector Vs Effectiveness SME;
- ფინანსური კეი რესურსი აცნობიერებ ეტაპი ინტერნეტ ენა ენ ენ ენ

- conferences
- webinars
- feedback from Business Relationship
- Etc.

ჯ ვალდებულებათა ეფექტიანობა: ეფექტიანობა ეხება პარტნიორობის ეფექტურობას ეფექტურობა ეფექტურობა ეფექტურობა



Figure 3: Key elements



Figure 4: Key Partnership Ecoinnovation in SME

Magaze elektronuli vitarebis kveda partnebi SME. Mas shoris ikurtebian: Use tsa sazogadoebis angarishvebi; Dev elektronuli biznesis modelebis aprobireba (sakhelmdzghvanelebshi, modelebshi anda lebis tekhnologiebshi); gadasvlis tsesebi kveda partnebi (dekhtsatsemis Magazeebi enis)

Zirithadi tsesebi dadebis mkhartebivit: tsesebi dadebis mkhartebivtsemisatvis anda tsesebi tsvlilebis mkhartebivit Key partnebi

tsesebi dadebis aris sxvadasxvanairi:

- Prosesebi
- Brendebi
- Volume
- Biznesis
- Valutsemisatvis
- Shesatsavlebi
- Quantsebadobe

- ემ ბელდნეს
- Muლტიმედიმ ენსიონს
- ინსტიტუციონალურ Manაგემენტ ენტ



Fiგურა 5: ინოვაციური ეკოლოგიური ინოვაციის Key Partnership-ის Development ენტ

ჭ ვაკანტურ ტეტ ჭანნელლიდერ პარტნიორებ

- ოლეს
- ლილიგულეს
- ჩ ოზოლენცს
- აბრეშ ენტსლოვ ენტელ

Auტონომიურ Manაგემენტ- ინსტიტუციონალ(Aუტონომიურ Manაგემენტ)ისა კოლეგიალურ ა ოვენაბლიდლოვენტაეს ოვარეზიდრ ტოლოგ ტეოლეარ სვეიოვც,ველლოვნელ ოჯეც�ეე კეფლე ოვტე ინსტისტოლე კარტნერებ ოლინგ ასა ვეეიცლეფლ ეს სნნლარ ტოლიგ ლენ-ტერ, ოო ალლარნეს ბეოვეენ ტე კარტნერ, სნნგტენ ტე გოვერნინგ ბოლ ანლ სტოოლეფლ ეს

ჩონცლუზ

Deალ შეიკტე ცოლლეგტიოვეს Pარტნერ ოოEცოllნოვატიონ SME. Deოვი ე ეკალლენეოვანლ ვალეო ოო ცოლლეგტიოოEცოllნოვატიონSME; Desiგნ ტე ეოოფ Eსტალეე ა ცი ე ოს ენლერტალეგ ოვეე გოლლეგ ეცოllნოვატიონ; Deფინე ტე ოლეს ანლ

ულანეიოვცოლლეგტიოვეს კარტერ, ტიეფიი ოვDeველიი ენტDefინ ტე კერეოლ ოვცოლლეგტიონ;Maკე ლალ ი ტკარტნერ; Use ტე სვეიალეოოეე ენტსოოოტერალ ეინლოვ ენტსტოვნ ტე ცოლლეგტიოოეიონოვატიონ SME.

ლეიერენცს

1. Konstantine Abuladze, “The basements of Hotel Industry” (In Georgian Language). Tbilisi 2015.
2. Collaboration for Innovation in Tourism Organizations: Leadership Support, Innovation Formality, and Communication. January 2013. Journal of Hospitality & Tourism Research 40(3). DOI: 10.1177/1096348013495694 Project, 2010.
3. Marina Metreveli, “Environment and Ecotourism Management”. Tbilisi 2012. UDC 338.48+502/m 596 (In Georgian Language).
4. Evgeni Baratashvili, Giorgi Sulashvili, Malkhaz Sulashvili, Bela Khotenashvili, and Irma Makharashvili, “The Investment Decision-Making Principles in Regional Tourism,” 18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol. 3, No:18(5), pp. 2872-2875, May 2016.
5. ეტტეკ/ววว .ყაკოოეი/ლეტლეეე

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური კოლაბორაციის ურთიერთდახმარების პრინციპები

ბიატა ფეჰერვოლგი
პანონიის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ვიქტორია ცუპონი
პანონიის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი

ჩაჩავა ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფაილოძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ამ სტატიის თემა არის მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციური თანამშრომლობის პრინციპების შესწავლა, რაც გამოიხატება მათ ურთიერთდახმარებაზე; მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო ფაქტორების როლი საკვანძო პარტნიორობაში ეკო-სიახლეებისთვის. ამ მიზნით, ძირითადი კომპონენტები და დაივერები განისაზღვრა, დაჯგუფდა და განვითარდა. მოქმედების ნაბიჯები და კომუნიკაციის მეთოდები განისაზღვრა ერთობლივ ზედაპირებზე, რომლებიც წარმოადგენენ ფართობის და მოცულობის, 3D სტრუქტურისა და ურთიერთ სარგებელის ფორმას.

მენეჯერული ქმედებები, როგორიცაა პოზიციონირება, პოტენციურ პარტნიორებთან ქცევა, წესების განსაზღვრა და მათი განაწილება, მოტივაციის ინსტრუმენტების შემუშავება და მდგრადი აზროვნების საკითხები დამკვეთის, მომხმარებელთა და მცირე და საშუალო ბიზნესის მენეჯერს, მცირე და საშუალო ბიზნესის მენეჯერსა და მთავარ პარტნიორებს შორის, შეიქმნა, როგორც ეკოლოგიური ინოვაციების პარტნიორობის ძირითადი მამოძრავებელი ორგანიზაციები.

გადაკეთდა ეკო-ინოვაციების ურთიერთდახმარების ხასიათი სამი თვალსაზრისით - მცირე და საშუალო ბიზნესის ეკო-ინოვაციური იდეების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები.

ამ თვალსაზრისით შემუშავდა შემდეგი კითხვების პასუხები: როგორია თქვენი საწყისი პოზიცია? სად ხართ ახლა? რა ძირითადი რესურსები გაქვთ? რა ბუნებრივი რესურსები გაქვთ თქვენთვის ხელმისაწვდომი? სად არის თქვენი ეკო ხარვეზები? რა გჭირდებათ (პროდუქტი / მომსახურება) ეკო-ინოვაციისთვის? რა არის თქვენი სტრატეგია ეკო-ინოვაციისთვის? - რისი გაკეთება არ შეგიძლია საკუთარ თავზე? რა სარგებელი და ღირებულებები გაქვთ თქვენს ეკოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებით? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტრული და შედარებითი ანალიზები ბიზნეს გეგმის შემუშავებაში ეკო-პარტნიორობისთვის? როგორ ახერხებთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ეკო-ინოვაციისთვის? ვინ არიან თქვენი ძირითადი პარტნიორები?

სასტუმრო ბაზარი და მარკეტინგის სტრატეგია

აქიმიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სასტუმრო ბაზართან დაკავშირებული მარკეტინგული საქმიანობის მიმართულებები. მარკეტინგის მიზნების პირდაპირი კავშირი ბაზრის მიზნებთან. მარკეტინგის სტრატეგიის შემადგენელი ელემენტები. სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის პროგრამების შემუშავება ბაზრის გეგმიური დავალებისა და მარკეტინგის სტრატეგიის საფუძველზე. დანიშნულების ადგილის მარკეტინგის სტრატეგიის პირობების ჩამოყალიბება. დანიშნულების ადგილის მარკეტინგის სტრატეგიიდან გამომდინარე, სასტუმრო პროდუქტის ტიპების რაოდენობრივი და მრავაფეროვანი განვითარებისა და რეალიზების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო, ბაზარი, მარკეტინგი, საქმიანობა, პროდუქტი, სტრატეგია, დაგეგმვა, მიზნები, ტიპები, ღირსშესანიშნაობები, რეკლამა, ინდუსტრია, განვითარება, საინფორმაციო, ტურები, განთავსება, საშუალებები.

ძირითადი ტექსტი

სასტუმრო ბაზრის დაგეგმვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების საერთო პროცესში და მასთან დაკავშირებულ სასტუმრო პროდუქტის შექმნაში. ბაზრის დაგეგმვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი და უცხოელი სტუმრებისათვის, ისე ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალიდან გამომდინარე ტურიზმის ცალკეული სახეობების მიხედვით.

სასტუმრო ბაზართან დაკავშირებული მარკეტინგული საქმიანობა შედგება რამდენიმე მიმართულებისაგან – მარკეტინგის მიზნების განსაზღვრისაგან; მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავებისაგან; სარეკლამო-საინფორმაციო პროგრამების მომზადებისა და რეალიზაციისაგან; ტურისტულ-საინფორმაციო ორგანიზაციებისაგან.

მარკეტინგის მიზნები პირდაპირ დაკავშირებული უნდა იყოს ბაზრის მიზნებთან, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდუალურად სასტუმროს მოცულობის, განვითარების სტრატეგიის და სხვა მოცემულობების მიხედვით. მასში უნდა აისახოს შესაბამისი პოტენციურ სტუმართა ტიპების დაახლოებითი რაოდენობა, ქვეყანაში ტურისტთა ყოფნის საშუალო ხანგრძლიობა, გამტარუნარიანობა და სხვა მახასიათებლები. განვითარებულ სასტუმრო ინდუსტრიაში, მარკეტინგის მიზნები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბაზრის ტიპების შეცვლასთან, მაგ. ორიენტაციის შეცვლა უფრო მაღალხარისხიან ან სპეციალიზირებულ ბაზრებზე. ასეთი მიდგომა ბუნებრივია გამოიწვევს სასტუმეო პროდუქტის შესაბამის ცვლილებებს დაკავშირებულს – სასტუმროს ხარისხთან და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებთან. მარკეტინგის სტრატეგია მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მარკეტინგის ბუნება – მიზანმიმართული იმ სტუმრების კატეგორიაზე რომელთაც გააჩნიათ საერთო ინტერესები ან მიზანმიმართული სასტუმრო ბაზრის სპეციფიკურ სახესხვაობაზე. გამომდინარე აქედან, ცნობილი ხდება ძირითადი, დამატებითი და შემთხვევითი ბაზრები;
- პრიორიტეტული სარეკლამო – საინფორმაციო ღონისძიებების გრაფიკი რომელიც მიმართული იქნება ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე;
- სარეკლამო – საინფორმაციო საქმიანობის ძირითადი მეთოდები რომლებიც უნდა გამოიყენონ სასტუმროებმა მომხმარებლისათვის;
- დაგეგმვა დროში ან სარეკლამო – საინფორმაციო ღონისძიებების პრიორიტეტების განსაზღვრა, განსაზღვრული ბაზრის ტიპებისათვის. დაგეგმვა დროში შესაძლებელია დამოკიდებული იყოს სასტუმრო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის ვადებზე;

- ქვეყნის დადებითი იმიჯის შექმნა, შემდეგ კონკრეტულ საქმიანობაზე გადასვლა;
- მარკეტინგის ზემოქმედების შეფასება განვითარების მსხვილ პროექტებზე, ქვეყნისათვის ან მისი რომელიმე რეგიონისათვის;
- არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობებისა და დასვენების ორგანიზაციის ფორმების, ასევე სხვა პოტენციური შესაძლებლობების შერწყმა სასტუმრო პროდუქტში;
- სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიზნების ახსნა ქვეყნის საერთო განვითარების, გარემოს დაცვისა და ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული ასპექტების გათვალისწინებით;
- სასტუმრო ობიექტების ხარისხის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და პოტენციალის შეფასება;
- მოთხოვნის დონისა და გამტარუნარიანობის პოტენციალის განსაზღვრა;
- სასტუმრო ბაზრების სპეციფიკური კატეგორიების განსაზღვრა.

მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მოცემულ ვადებს. მარკეტინგის სტრატეგია დროთა განმავლობაში უნდა გადაისინჯოს იმ მოტივით თუ როგორი ტემპებით ვითარდება ქვეყანაში სასტუმრო ინდუსტრია.

სარეკლამო - საინფორმაციო საქმიანობის პროგრამა მუშავდება ბაზრის გეგმიური დავალებისა და მარკეტინგის სტრატეგიის საფუძველზე. იგი მოიცავს გავრცელების არხებისა და არსებული სხვადასხვა მეთოდების ცოდნას. ძირითადი სარეკლამო - საინფორმაციო საქმიანობის პროგრამა შესაძლებელია შემუშავდეს 1 დან 3 წლამდე, სადაც უნდა ზუსტდებოდეს ყოველწლიური სარეკლამო ღონისძიებები, აუცილებელი და გაუთვალისწინებელი ხარჯები. სარეკლამო - საინფორმაციო საქმიანობის ყველაზე გავრცელებული მეთოდებია:

- ბროშურების, პლაკატების, რუკების, გზამკვლევებისა და სხვა საბეჭდი მასალების გავრცელება სასტუმრო პროდუქტის მომხმარებლებს შორის;

- აუდიოვიზუალური მასალების მომზადება და გავრცელება პრეზენტაციებზე, ბაზრობებზე და სხვა ადგილებში;

- რეკლამა ჟურნალებში, რადიოთი, ტელევიზიით და ინტერნეტით, მიმართული პოტენციურ სასტუმრო მომხმარებლებისათვის.

- ტურისტულ გამოფენებზე და ბაზრობებზე მონაწილეობის მიღება და სარეკლამო მასალების გავრცელება;

მარკეტინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პოტენციური სტუმრებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ასეთი სახის ინფორმაციამ უნდა მოიცვას – ქვეყნის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობები, ობიექტები, მომსახურება, საკონსულოები და საელჩოები, სატრანსპორტო კვანძები და სხვა ობიექტები. ასეთი სახის ინფორმაციის ძირითადი გამავრცელებლები არიან როგორც თვით სასტუმროები ასევე, სხვადასხვა ტურისტული ორგანიზაციები.

ქვეყანაში ტურისტთა რიცხვის გაზრდისა და პოტენციურ სტუმართა ნაკადების დაგეგმვისათვის საჭიროა კვლევების ჩატარება თუ რომელი სავარაუდო ქვეყნები წარმოადგენენ ძირითად ტურისტულ ბაზარს. ასეთი ქვეყნების დადგენის შემდეგ საჭიროა ყველა იმ სამუშაოს ჩატარება რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურისტთა ნაკადების გაზრდას. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია 3-5 წლის ვადით დაიგეგმოს მიზანმიმართული საქმიანობის ჩატარება ზემოთ აღნიშნული ქვეყნების სასტუმრო ბაზრებზე.

მარკეტინგის ერთიანი სტრატეგია მოიცავს დანიშნულების ადგილის მარკეტინგსაც, სადაც, განისაზღვრება სხვადასხვა სტარტეგიები გამომდინარე სასტუმროსთან ასოცირებული ტურისტული რესურსების მრავალფეროვნებისაგან, დანიშნულების ადგილის ადგილმდებარეობისაგან და ა.შ. გამომდინარე აქედან, სასტუმრო მომსაურებასთან პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ტურისტულ რესურსებთან წვდომა ადგილმდებარეობის მიხედვით.

დანიშნულების ადგილის მარკეტინგის სტრატეგია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1) მთავარი აქცენტის გაკეთება აღმოჩენით და სათავგადასავლო ორგანიზებულ ტურებზე და

მათი რეგულარული პოზიციონირება სასტუმრო ბაზრებზე;

აღმოჩენითი ტურიზმი.

ა) ორგანიზებული კულტურული ტურები

საქართველოს ისტორიული ძეგლების სიმრავლე, მრავალფეროვნება და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე სტაბილური და მზარდი ინტერესი კულტურული ტურიზმისადმი. ასეთი მიდგომა იძლევა ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარების დიდ პერსპექტივებს, რისთვისაც საჭიროა სასტუმრო პროდუქტის შეთავაზებასთან ერთად კულტურული ღირსშესანიშნაობების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გააზრებულად ჩართვა პროგრამებში.

ბ) ორგანიზებული ეკოლოგიური ტურები

უკვე არსებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები შეადგენს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 4 %-ს. ამ ტერიტორიებზე ეკოლოგიური ტურების დაგეგმვა და ეკოტურიზმის თვალსაზრისით მსოფლიოში არსებული გამოცდილების გადმოღება და სტანდარტების შემოტანა, და სასტუმრო ბაზრებზე ამ მიმართულებით ადგილის დამკვიდრება.

2) საქართველოს როგორც საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესებისა და შეხვედრების ჩატარების რეგიონული ცენტრის იმიჯის ჩამოყალიბება.

აუცილებელია შესწავლილ იქნას საქართველოში საერთაშორისო კონფერენციების და შეხვედრების ჩატარების პოტენციური რესურსი, რათა საქართველოს ჩამოუყალიბდეს რეგიონული ცენტრის იმიჯი. აღნიშნული სეგმენტი, როგორც სასტუმრო პროდუქტი ჯერ არ არის წარმოდგენილი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად, თუმცა თბილისს რეალურად აქვს ასეთი ადგილის დასამკვიდრებლად აუცილებელი ყველა პირობა. კერძოდ: რეგიონში ცენტრალური მდებარეობა; დიდი აბრეშუმის გზის შემადგენელი რგოლი; საერთაშორისო რეპუტაციის არსებობა და სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ცენტრის როლი.

ამ ტიპის პროდუქტის ბაზარი ნამდვილად არსებობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პოლიტიკური, ბიზნეს, სამეცნიერო, კულტურული და სხვა ტიპის საერთაშორისო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები, შესაძლოა გაიმართოს თბილისში, სადაც არის რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა აუცილებელი პირობა: ტრანსპორტი, უსაფრთხოება, სასტუმრო და საკონფერენციო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და სხვ.

აღნიშნულის განხორციელება, მით უმეტეს, მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც თბილისში და სხვა ქალაქებში ფუნქციონირებს რამდენიმე მაღალი კლასისა და შესაბამისი სიმძლავრეების სასტუმროები. მცირე მასშტაბის კონფერენციების ჩატარება შესაძლებელია ასევე თბილისს გარეთაც, კერძოდ, გუდაურში, ბორჯომში, ბაკურიანში და სხვა კეთილმოწყობილ ადგილებში.

3) ადგილობრივი სასტუმრო პროდუქტის რეალიზება საქართველოში

საქართველოს მაღალი კლასის შიდა სასტუმრო ბაზარი თავისი სიდიდით არ გამოირჩევა, მაგრამ ფაქტია, რომ შედარებით სუსტად არის ათვისებული მარკეტინგული თვალსაზრისით. ამიტომ, აღნიშნულ სფეროში არსებობს აუთვისებელი რესურსი, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს შემდეგი ტიპის საქმიანობაში:

- განთავსების საშუალებების გამოყენება შავი ზღვისა და მთის კურორტებზე;
- განთავსების საშუალებების სიმრავლე და გამოყენება სამკურნალო-რეკრეაციული თვალსაზრისით ბალნეოლოგიურ და კლიმატურ კურორტებზე;
- ზამთრის სათხილამურო განთავსების საშუალებების გამოყენება მთის კურორტებზე;
- შაბათ-კვირებისა და სხვა უქმე დღეების ორგანიზება და ა.შ.

დასკვნა

სტატიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც ეხება სასტუმრო ბაზარს და მასთან დაკავშირებულ მარკეტინგის სტრატეგიას. მოცემულია სასტუმრო პროდუქტის რეალიზაციის პროცესში ჩართული სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებათა სისტემა. ბაზრის ტიპები და მასთან

არსებული დამოკიდებულებები. სასტუმრო პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული რესურსული პოტენციალი, რაც თავის მხრივ, მეტად მრავალფეროვანს და მიმზიდველს ხდის მას.

ლიტერატურა:

1. Pპილიკoტლეონ O. Bოწენ, შამ ეს Maკენს Pპ.D, შეჭემ ეს Bალდუ Maრეტინგ ფორHოსპიტალიტი ინდუსტრიაში (7ტ.Eდიტიონ)2018.
2. Davიდ. BოდინგHოსპიტალიტიMარეტინგMანაჯმენტ Eდიტიონ2016.
3. ჯოეერD. ჯეიდDavიდ. BოდინგHოსპიტალიტიMარეტინგ Mანაჯმენტ- 2018.
4. 4) Роглев Х. Й. Основы гостиничного менеджмента. – 2009.

HოტელMარკეტინგ Mარკეტინგ შტრატეგია

Akimishvili Nino

PhD student of Georgian Technical University

შუმ არყ

ინე არტიკლეში ტერმინ არეტინგი ინტერპრეტირებულია, როგორც ეკონომიკურ Dirექტორატის ერთ-ერთი ფუნქციური არეა, ბიზნეს ფილოსოფიის ელემენტია, არეა სტრატეგიის Devელოპმენტიდან ინტეგრირებული ატიტიუდებს ბასედ შიდა ფილოსოფიის კლიენტებამდე არეტინგი. Deველოპმენტი ცოდნის ფორმა დესტინაციის არეტინგ სტრატეგიაზე ინსტრუმენტია ქუალიტეტიანი დონის ენტანდსალეოფენი აცილებლად ლატენტურია.

საქართველოს მაღალმთიანეთის დემოგრაფიული გამოწვევა

ახალაია ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი

აბსტრაქტი

მთები და მთიანი რეგიონები დღეს საქართველოსათვის მეტად მტკივნეულ და მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს. მთა იყო და არის ყველა იმ სასიცოცხლო პროდუქტის მომწოდებელი, რომელიც ასე საჭიროა ადამიანებისათვის. ჩვენი მთები ხომ საქართველოს ერთგული მესაზღვრეები არიან. ყველა მაღალმთიან რეგიონს აქვს საკუთარი თვითმყოფადობა, სპეციფიკა, სიძლიერე და საკუთარი სისუსტეები. XXI საუკუნეში მოხდა მთიანეთის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მნიშვნელოვანი შემცირება, რომლის მთავარი მიზეზი შობადობის ტემპის საგრძნობი დაცემა და მიგრაციაა. მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკური პრობლემების გამო ახალგაზრდები სოფლებში ვეღარ ჩერდებიან და სამუშაოს საძიებლად დიდ ქალაქებში მიდიან. საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული ცვლილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამოწვევა მთიანი ტერიტორიებისთვის და არა მხოლოდ, როგორც პრობლემა. სტატიაში განხილულია საქართველოს მაღალმთინი რეგიონების დემოგრაფიული ვითარება. შემოთავაზებულია მაღალმთიანი რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების გზები და განხილულია ახალგაზრდებისათვის მთიანი ტერიტორიების მიმზიდველობის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: მაღალმთიანეთი, დემოგრაფია, გამოწვევა, მიმზიდველობა, ახალგაზრდები, დეპოპულაცია.

შესავალი

მთიან ტერიტორიებს თავიანთი განვითარების გზაზე ხვდებათ დემოგრაფიული გამოწვევები. მათი მოსახლეობის სიმჭიდროვე უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ტერიტორიების და ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობა შემცირებულია ან შემცირების რისკი კრიტიკულია. დემოგრაფიულ პრობლემებს ცივილიზაციის განვითარების თანმდევ პროცესად მიიჩნევენ დემოგრაფები. ასეთი დილემის წინაშე არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ცივილური მსოფლიო დგას. მის გამომწვევ მიზეზად კი შობადობა და სოციალურ- ეკონომიკური განუვითარებლობა სახელდება. ეს არ არის მარტო ჩვენი პრობლემა, ყველა განვითარებულ ქვეყანაში სოფლად რჩება მოსახლეობის ის წილი, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის განვითარებას. ჩვენთან ეს ნაწილი ქალაქისკენ იძვრის, უნდათ, რომ დასაქმდნენ, უფრო მეტად განვითარდნენ, რადგან საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები ამის საშუალებას არ იძლევა. მაღალმთიანი რეგიონები იმყოფებიან დეპოპულაციის პირისპირ.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 1582 დასახლებას მაღამთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია,სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

საქართველოს მაღალმთიანეთის დემოგრაფიული სურათი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 723.5 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვემ 1 კვ. კმ-ზე – 65.1 კაცი. საქართველოს მოსახლეობის 58.7 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, დედაქალაქის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედია და ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია (2 322.5 კაცი 1 კვ.კმ.-ზე) სხვა რეგიონებთან შედარებით. ყველაზე მცირე მოსახლეობა ცხოვრობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (29.7 ათასი კაცი) და მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ.-ზე არ აღემატება 7 კაცს. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 48.1 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 51.9 პროცენტი ქალია. 0-14 წლის მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში ჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით. სოფლებში იკლებს 16 წლამდე ბავშვების რიცხოვნობა და იზრდება 60 წელს გადაცილებული ადამიანების რაოდენობა.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე დასახლებებში დაახლოებით 331.4 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 28%-ით ნაკლებია. ამასთან, მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში 2002 და 2014 წლებს შორის თითქმის არ შემცირებულა და მთელი მოსახლეობის დაახლოებით 9%-ს შეადგენს.

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის დაახლოებით 32,3% (107 065) ცხოვრობს ზღვის დონიდან 1500 მ-ზე ზემოთ. მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის 52,1% (172 540) ცხოვრობს მცირე კავკასიონის არეალში, 33,7% (111 827)- დიდი კავკასიონის არეალში, ხოლო მთათაშორის ბარში - 14,2% (47 049).

მაღალმთიან ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეებში ცხოვრობს მაღალმთიანი დასახლებების მცხოვრებთა 35,5% (117 795), აქედან ყველაზე მეტი - 47,8% (56 219) მაცხოვრებელი მაღალმთიან აჭარაშია. მაღალმთიანი დასახლებების მცირე ნაწილი ურბანული ტიპისაა (26 ქალაქი და დაბა), მათი მოსახლეობის წილი მაღალმთიანი დასახლებების მთლიან მოსახლეობაში 15,3%-ს შეადგენს (50 537 მცხოვრები). 1 000 და მეტი მოსახლით მაღალმთიანი დასახლებების 53% (51-დან 27 დასახლება) აჭარასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებშია. ასეთი დასახლებების თანაბარი რაოდენობაა დიდ კავკასიონის დასავლეთ (4) და აღმოსავლეთ (5) ნაწილებში. ამასთან დიდ კავკასიონზე ყველაზე დიდ მაღალმთიან დასახლებაში მოსახლეობა 2,7 ათასს არ აღემატება. მოსახლეობისგან დასახლებების დაცლის (დეპოპულაციის) პრობლემა ყველაზე მწვავედ დიდი კავკასიონის მაღალმთიან დასახლებებში დგას. ბოლო აღწერებს შორის პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე მასშტაბური შემცირება, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (37,4 პროცენტი) რეგიონში 4,5. და ნაკლები მოსახლით დასახლებების რაოდენობა, სხვა გეოგრაფიულ არეალებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია მცირე კავკასიონზე არსებულ მაღალმთიან დასახლებებს შორის (25), დიდ კავკასიონის დასავლეთ ნაწილში ასეთი 56 დასახლებაა, აღმოსავლეთ ნაწილში კი ყველაზე მეტია - 227. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე ახალქალაქის, დმანისის, აგრეთვე აჭარის არ-ის მუნიციპალიტეტებში. მაღალმთიანი დასახლებების უმეტეს ნაწილში ხდება მოსახლეობის დაბერება და მოსახლეობის დემოგრაფიული ტვირთის ზრდა. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში საშუალო ასაკი 38,1 წელს შეადგენს, მაღალმთიანი დასახლებების 48,7 %-ში ის ამ მაჩვენებელზე მაღალია. ყველაზე მაღალი საშუალო ასაკი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშია (48,2 წელი)7. მოსახლეობის დაბერება ყველაზე მეტად გამოხატულია ამ რეგიონში: მოსახლეობის დაახლ. 53% გადაცილებულია 50 წლის ასაკს; ამავე რეგიონში ძირითადი რეპროდუქციული ასაკის (25-44 წლამდე ასაკის) მოსახლეობის წილი მოსახლეობის 20 პროცენტზე ნაკლებია. ბოლო აღწერით საქართველოში 255 სოფელია, სადაც 10 კაცზე ნაკლები ცხოვრობს, ხოლო 223 სოფელი გაუკაცრიელებულია. დემოგრაფიული პრობლემების წინაშე რამდენიმე რეგიონია, მათ შორის, ყველაზე რთული ვითარება მცხეთა-მთიანეთშია. ამ რეგიონში 111 სოფელია, სადაც თითო-ოროლა ადამიანი ცხოვრობს. 71 სოფელში 5 ან ნაკლები მცხოვრებია, ხოლო 39-ში 6-დან 10

კაცამდეა. ყველაზე სავალალო მდგომარეობაა დუშეთის რაიონში, რომლის 93 სოფელში 10 კაცზე ნაკლები ბინადრობს. შემდეგ მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი. იქ 20 სოფელში 5 კაცამდეა, ხოლო 17 სოფელში 6-დან 10-მდე ადამიანი ცხოვრობს. ანალოგიური სიტუაციაა შიდა ქართლში, რომლის 29 სოფლიდან 18 სოფელში 5 კაცამდეა, ხოლო 11-ში 6-დან 10-მდე ადამიანი ცხოვრობს.

მოსახლეობის სტრუქტურული დაბერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციაა. მაღალმთიანი დასახლებებიდან მიგრაციის მიზეზებად სტიქიური უბედურების სიხშირის ზრდა, მოსახლეობის მიერ დასაქმებისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემაა მიჩნეული.

სათანადო საცხოვრებელი პირობების ან სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, მაღალმთიანი დასახლებების ნაწილისათვის დამახასიათებელია სეზონური შრომითი მიგრაცია და ზოგიერთ დასახლებაში მოსახლეობა მთელი წლის განმავლობაში 9 თვეზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში ცხოვრობს. პერიფერიულობის მაღალი კოეფიციენტით (რომლითაც ისაზღვრება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან ფაქტიური მოწყვეტილობა) გამოირჩევა მაღალმთიანი დასახლებების 40%, მათი დიდი უმრავლესობის პერიფერიულობის მაღალი კოეფიციენტი გზის სირთულის შედეგია. 2002 წლის აღწერიდან 2014 წლის აღწერამდე სოფლის მოსახლეობა ნახევარი მილიონი მცხოვრებით შემცირდა, რაც საგანგაშოა. მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკური პრობლემების გამო ახალგაზრდები სოფლებში ვეღარ ჩერდებიან და სამუშაოს საძიებლად დიდ ქალაქებში მიდიან. სოფლები მალე მუდმივი მოსახლეობის გარეშე დარჩება.

მაღალმთიანი რეგიონები განსხვავებული ნიშან-თვისებების მიუხედავად დგანან საერთო გემოწვევების წინაშე, რომლებიც დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება, ესენია:

- ყველა რეგიონში მაღალმთიანი დასახლებებისთვის (მუნიციპალური ცენტრებისა და ტურისტული დასახლებების გარდა), საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე წარმოადგენს ბარიერს მოსახლეობის გადაადგილებისა და შესაბამისად სერვისებზე წვდომის და ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის თვალსაზრისით
- ცენტრალური წყალმომარაგების, და მუნიციპალური ნარჩენების მართვის სერვისი სრულად არ არის ხელმისაწვდომი მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის
- საერთო გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური შრომითი რესურსების სიმცირე და მოსახლეობაში სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო და ბიზნეს-უნარების ნაკლებობა
- ასევე, გამოწვევაა მაღალმთიანი დასახლებებში თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი განათლების ადგილზე მიღება
- საოჯახო მეურნეობებისა და ფერმერებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო ტექნიკა და აღჭურვილობა
- სპორტული და კულტურის ინფრასტრუქტურა ძირითადად მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებშია განთავსებული და მაღალმთიანი დასახლებების მაღალი პერიფერიულობის გამო მოსახლეობას გართულებული აქვთ წვდომა ამ სერვისებისადმი
- პროფესიული განათლების მიღების მიუწვდომლობა ხელს უშლის ახალგაზრდობასა და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას პროფესიის შეძენასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ყველა ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ სოფლის მეურნეობა თითქმის განადგურებულია. ხალხს არ აქვს საარსებო საშუალება. საჭიროა სოფლის მეურნეობის სისტემური განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის არა მარტო ადგილზე დაკავება, არამედ დაბრუნებაც.

დემოგრაფიული ცვლილებები ხდება ყველგან ევროპის მაღალმთიანეთშიც. დაბერება ჩვეულებრივი ტენდენციაა, ისევე როგორც ურბანიზაციის გაზრდა და მოსახლეობის კონცენტრაცია მუდმივად მზარდ აგლომერაციებში, მაგრამ დემოგრაფიული ცვლილებები განიხილება, როგორც ერთ-ერთი მთავარი უახლოესი მომავლის გამოწვევა მთლიანად ევროკავშირისათვის. როგორც ევროკომისიამ, ისე ევროპარლამენტმა გადადგეს ნაბიჯები ამ ფაქტების განხილვისა და გარკვეული

რაოდენობის დოკუმენტების შემუშავების მიზნით.

ჩვენც დემოგრაფიული ცვლილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამოწვევა მთიანი ტერიტორიებისთვის და არა მხოლოდ , როგორც პრობლემა.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ცვლილების წინაშე მყოფი ეროვნული, რეგიონალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება ინფრასტრუქტურის ხარისხის და საჯარო სერვისების მთის მოსახლეობისათვის შეთავაზების არარსებობაა. თუ მთიელებს შევთავაზებთ საკმარის ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას და სწორ სტრატეგიას, შესაძლოა, ჩვენ შევძლოთ მოსახლეობის კლების სტაბილიზაცია.

იმისათვის, რომ საქართველოს მაღალმთიანეთში ხელი შევუწყოთ დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა ჩატარდეს სიტუაციის წინასწარი დიაგნოზი, რომელიც მოიცავს შემდეგი ელემენტების განსაზღვრას:

- მოსახლეობის დონე, მოსახლეობის სიმჭიდროვე და მოსახლეობის ცვლილება თითოეულ მუნიციპალიტეტში
- ასაკობრივი სტრუქტურა და ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის ტენდენციები
- მიგრაციული ტენდენციები, რომლებიც აღწერილია ასაკობრივი სტრუქტურისა და პროფესიული პროფილის მიხედვით
- ეკონომიკური სტრუქტურა (სექტორების მიხედვით, კომპანიების ტიპის მიხედვით)
- დასაქმების მაჩვენებლები და მთაში დასაქმების ტენდენციები
- მოსახლეობის მხრიდან ტერიტორიის აღქმა: რატომ უნდა დარჩეს ან დატოვონ ისინი
- ხოლო, როდესაც საქმე ეხება მთას ახალგაზრდების მიმზიდველობისათვის სასურველია თითოეული რეგიონისათვის განვიხილოთ შემდეგი სტრატეგიული მიზნები:
- ახალგაზრდების გარე მიგრაციის შეჩერების პრევენცია
- უზრუნველვყოთ ახალგაზრდების განათლება ლოკალურად
- ახალგაზრდებმა სრულად იცოდნენ კარიერული შესაძლებლობები რომელიც რეგიონს შეუძლია შესთავაზოს, რათა დაბრუნდნენ უკან წასვლის შემთხვევაში
- გამოვიყენოთ განათლების სისტემა, მოამზადოს ახალგაზრდები მთიანეთში ადგილობრივი ეკონომიკის შესაქმნელად და განვითარებისთვის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით
- ხელი შევუწყოთ მეწარმეობის განვითარებას და ზოგადად ბიზნესის ახალი ტიპების შექმნის შესაძლებლობებს
- ხელი შევუწყოთ ცხოვრების ხარისხს, როგორც მთიან ადგილებში ცხოვრების მიზეზს
- ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებით დისტანციური სწავლების გზით სპეციალურ კურსებზე წვდომის უზრუნველყოფა და ახალგაზრდების მიერ ბიზნესის შექმნის ხელშეწყობა
- ინტერნეტი ყველაზე მეტად საჭიროა ტერიტორიის ყველაზე შორეულ ნაწილებში. ICT სავარაუდოდ ხელს შეუწყობს პრობლემების მოგვარებას, რაც იწვევს დეპოპულაციას
- ხელი შევუწყოთ ტერიტორიას, როგორც მშვენიერ ადგილს ცხოვრებისა და მუშაობისთვის
- მაღალმთიან რეგიონებში ჯანდაცვისა და მოვლის სერვისების მაღალი დონის შემუშავება

მართალია ბევრია გასაკეთებელი მთის ადგილებისთვის საკმარისი მიმზიდველობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ განათლება, და ისევ და ისევ განათლება უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდებისთვის, როგორც კარგი სტრატეგია პოტენციური მომავალი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდისათვის.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მეტი პოტენციალი არსებობს იმისათვის, რათა გავზარდოთ ახალგაზრდების ნდობა იმის გათვალისწინებით, რომ მათ წარმატებული ცხოვრება ჰქონდეთ მთიან ადგილებში.

რეგიონების ტერიტორიული განვითარების სტრატეგიებმა ხელი უნდა შეუწყოს გარემოს

შენარჩუნებას, ინოვაციების გამოყენებას და თანამედროვე მთის თემების შენარჩუნებას და განვითარებას. დასაქმების შესაძლებლობების არსებობა არის პირობა ახალგაზრდებისათვის არიერული მოლოდინების დასაკმაყოფილებლად და სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მოზიდვისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ არსებობს დიდი პოტენციალი ამ მხრივ.

ბოლოდროინდელი პანდემია ხაზს უსვამს მთიანეთისკენ მოძრაობებს და ზოგ შემთხვევაში იმ პოზიტიურ გზას, როდესაც ადამიანები მთიან ადგილებში, მიტოვებულ სახლებში უკან ბრუნდებიან. სახელმწიფოს დახმარებით დაიწყებენ მცირე ბიზნესს იქ, და მიიტანენ ახალ იდეებს მთიანი გარემოს განვითარებისათვის.

ვფიქრობ, არსებობს პირობები საქართველოს მაღალმთიანეთის რენესანსისათვის. მთიანი ტერიტორიები შეძლებენ უზრუნველყონ თავიანთი მოსახლეობა საკმარისი საცხოვრებლით, ობიექტებითა და მომსახურებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალაია ნ., სალექციო კურის „ მთიანი რეგიონების დემოგრაფია“ (ელ ვერსია) სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა, გვ.141, კეტერი:CD -5891
2. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 (პროექტი)
3. რალფ ჰაკერტი. „მოსახლეობის დინამიკა საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა“
4. „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018“. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი 2019
5. ფრენკ ილენსი „ახალგაზრდები საქართველოში“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA) თბილისი 2017
6. PADIMA -Policies Against Depopulation In Mountain Areas . Strategies to increase the attractiveness of mountain areas: how to approach depopulation in an integrated manner.

Dემ ორკავიცდ ბალლ ბრ Mუნტინ ლეგ ოცეოზია

Akhalaia Nana

Invited Professor of Georgian Technical University

Summary

Moუნტანდ ამ ოუნტანუს რგიონს არ ცოვიაჯდ ლიოზანიზეფსეს ფრGეიზიაHoწ ეეფრ ე ალ ჯ ფ ბაბ ამ ოუნტან არ სუპლეიოვიდ ეიკენტფრეს ანს. Apარდ ბაბ ბ ბ

სასტუმრო ინდუსტრიაზე ინვესტიციების გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აქიმიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებაზე ინვესტიციების გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. სადაც, მოკლედ დასაბუთებულია სასტუმრო ინდუსტრიაში ინვესტიციების განთავსების აუცილებლობა. მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის შემადგენელი ელემენტების ურთიერთ დამოკიდებულების განსაზღვრა. შერჩეულია ყველაზე ოპტიმალური ვარიანტიდან, სასტუმრო ინდუსტრიის ეფექტიანობის ფაქტორების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო, ინდუსტრია, ინვესტიცია, პროდუქცია, ეფექტიანობა, ეკონომიკურ-მათემატიკური, მოდელი, მულტიპლიკატორი, სოციალურ–ეკონომიკური, შემოსავლები, სისტემა, რესურსული, პოტენციალი, ცვლადები, ღირებულება, ზღვრული, მიდრეკილება, ეკონომიკა, ქვეყანა.

ძირითადი ტექსტი

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების მოზიდვას და შემდგომ, მისგან გამოწვეულ ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ინვესტიციების დაცვის სახელმწიფო უზრუნველყოფა. სახელმწიფოსათვის ინვესტიციების განთავსებას მაშინ აქვს ეფექტი თუ კი, ქვეყანაში შექმნილია შესაბამისი დარგის ან მისი რომელიმე მიმართულების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა. სახელმწიფომ უნდა შექმნას ინვესტიციების განთავსების ოპტიმალური გარემო, შედეგად კი, იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები, ახალი სამუშაო ადგილები და სხვ.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მეცნიერ-მკვლევარების მიერ ჩამოაყალიბებულ იქნა ამ მიმართულების თავიანთი ხედვები და დამოკიდებულებები, მისი არსი, ფუნქციები და ა.შ. ამგვარად, იგი დღეს ფუნქციონირებს როგორც სისტემა.

საქართველოს აქვს საკმარისი რესურსული პოტენციალი იმისათვის, რათა წარმოიქმნას, გაფართოვდეს და კიდევ უფრო გაღრმავდეს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროცესები, შედეგად კი, ხელი შეუწყოს ქვეყნის შემდგომ სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას.

მოცემული სტატია ეხება სასტუმრო ინდუსტრიაზე ინვესტიციების გავლენის თავისებურებებს და მის ეკონომიკურ–მათემატიკურ ჭრილში მოდელის სახით გამოხატვას.

სასტუმრო ინდუსტრიაზე ინვესტიციების გავლენის ეკონომიკურ–მათემატიკურ მოდელში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის შემადგენელი ელემენტების ურთიერთ დამოკიდებულების განსაზღვრა. სადაც, შერჩეული ყველაზე ოპტიმალური ვარიანტიდან შესაძლებელია სასტუმრო ინდუსტრიაზე ინვესტიციების გავლენის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაზე მეორადი ეფექტიანობის გათვლა.

მოსაძებნია x, y ცვლადები, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას

$$xHi(al)>0 \text{ და } yE \min (1)\rightarrow$$

სასტუმრო ინდუსტრიაზე ინვესტიციების გავლენის შედეგად, ქვეყანაში შემოსავლების განსაზღვრისათვის, შემოვიტანოთ მულტიპლიკატორი შემდეგი სახით:

$$K = xHi(al) - yE / (mp + mi + mt) \ldots\ldots\ldots\ldots (2)$$

სადაც,

x, y – არის ცვლადები

K – არის შემოსავლების მულტიპლიკატორი

Hi(al) – არის საერთო ინვესტიციების შედეგად სასტუმრო ინდუსტრიაში წარმოებული პროდუქცია ღირებულებაში გამოხატული

Hai – არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგად, სასტუმრო ინდუსტრიაში წარმოებული პროდუქცია ღირებულებაში გამოხატული

Hli – არის ადგილობრივი ინვესტიციების შედეგად, სასტუმრო ინდუსტრიაში წარმოებული პროდუქცია ღირებულებაში გამოხატული

Hi(al) = Hai + Hli ……. (3)

E – არის იმპორტულ პროდუქციაზე (საქონელი, მომსახურება) გაწეული დანახარჯები

mp – არის გადასახადის გადახდისადმი ზღვრული მიდრეკილება

mi – არის იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება

mt – არის დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება

თუ კი, yE max ..... (4) →

მაშინ, Hi(al) min ..... (5) →

mp min ..... (6) →

mi max ..... (7) →

mt min ..... (8) →

აღნიშნული ასახავს შემდეგს, როდესაც ადგილი აქვს მე (4) დამოკიდებულებას, მაშინ მცირდება ინვესტიციების ზეგავლენით სასტუმრო ინდუსტრიაში საბრუნავი ფულადი სახსრების მოცულობა, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ქვეყნიდან გაედინება ფულადი მასა და სხვა ქვეყნების ეკონომიკაში იწყებს ბრუნვას. რაც მეტი ფულადი მასა გაედინება ქვეყნიდან, მით ნაკლები სასტუმრო პროდუქტის ფორმირება ხდება სასტუმრო ინდუსტრიაში. შესაბამისად, ადგილი ექნება მე (7) დამოკიდებულებას და გვიჩვენებს, რომ რაც მეტია იმპორტული საქონელი ქვეყანაში, მით მეტია მისი მოხმარება. მე (8) დამოკიდებულება მიგვანიშნებს დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების შემცირებას, რაც გამოწვეულია სასტუმრო ინდუსტრიაში ფულადი სახსრების შემცირებით. ვერ ხდება სასტუმრო ბიზნესის გაფართოება, აღარ იქმნება და მცირდება სამუშაო ადგილები და სხვ. შესაბამისად კი, ადამიანები ვეღარ ახერხებენ დანაზოგების შექმნას. მე (6) დამოკიდებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ თუ კი, სასტუმრო ბიზნესში მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, შესაბამისად მცირდება გადასახადებიც (სახელმწიფო შემოსავლები).

თუ კი, yE = 0 ..... (9)

მაშინ, Hi(al) = max ..... (10)

mp = max ..... (11)

mi = 0 ..... (12)

mt = max ..... (13)

ეს პირობა მისაღები არ არის, რადგან არ არსებობს ქვეყანა სადაც იმპორტი არ ხორციელდება გარკვეული მოცულობებით.

თუ კი, yE min ..... (14) →

მაშინ, Hi(al) max ..... (15) →

mp max ..... (16) →

mi min ..... (17) →

mt max ..... (18) →

ეს პირობა არის ყველაზე ოპტიმალური და ასახავს იმას, რომ იმპორტულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯები მცირდება შესაბამისად კი, მცირდება იმპორტისადმი ზღვული მიდრეკილება (17), დაზოგვისადმი (18) და გადასახადის გადახდისადმი (16) ზღვრული მიდრეკილებები კი იზრდება და მიისწრაფის მაქსიმუმისაკენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით, სასტუმრო ინდუსტრიის ფუნქციონირების ეფექტიანობის (მეორადი) გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შესაძლოა შემდეგნაირად გამოისახოს:

F = K X Hai ..... (19)

სადაც,

F – არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით, ქვეყნის ეკონომიკაზე სასტუმრო ინდუსტრიის ეფექტიანობის მაჩვენებელი.

ხოლო, ადგილობრივი ინვესტიციების საშუალებით, სასტუმრო ინდუსტრიის ფუნქციონირების ეფექტიანობის (მეორადი) გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შესაძლოა შემდეგნაირად გამოისახოს:

F = K X Hli ..... (20)

სადაც,

F – არის ადგილობრივი ინვესტიციების საშუალებით, ქვეყნის ეკონომიკაზე სასტუმრო ინდუსტრიის ეფექტიანობის მაჩვენებელი.

აღნიშნულ მოდელში განხილულია ინვესტიციების საშუალებით, სასტუმრო ინდუსტრიის ფუნქციონირების სამი სხვადასხვა ვარიანტი და შერჩეულ იქნა ყველაზე ოპტიმალური (14), (15), (16), (17), (18) ვარიანტები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ კი, საჭირო იქნება ქვეყნის ეკონომიკაზე სასტუმრო ინდუსტრიის ეფექტიანობის მაჩვენებელის გაანგარიშება საერთო ინვესტიციებით (უცხოური+ადგილობრივი), მაშინ ეფექტიანობის მაჩვენებელი გამოისახება შემდეგნაირად:

F = K X Hi(al) ..... (20)

დასკვნა

აღნიშნული მოდელი ასახავს მულტიპლიკატორის ეფექტის გამოყენებით, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისე, ადგილობრივი ინვესტიციების შედეგად, სასტუმრო ინდუსტრიის ეფექტიანობის ფაქტორების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Toby Nicol, Sarah Jukes.Travel and Tourism. A Force for Good in the World. 2018.
2. Costen H.,Will Th., Reflection on Competitive Strategy and its Impact on Modern Production Concepts. Management International Review. Vol. 33, 2013/14
3. Dess G.G., Davis P.S. Generic Strategies as Determinants of Strategic Group Membership and Organizational Performance. Academy of Management Journal, 27, 3, 2014
4. WTO, International Tourism in Europe 2010-2020, Madrid, World Tourism Organization

ECONOMIC IMPACT OF TOURISM INDUSTRY ON THE ECONOMY OF GEORGIA

Barkalaia Besik

Georgian Technical University Professor

Akimishvili Nino

PhD student of Georgian Technical University

შუმმ ერყ

[illegible]

უსაფრთხოება ტურისტულ სექტორში

ბაქანიძე მაგდა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ბაქანიძე თეონა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტურიზმს აქვს პოტენციალი მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ქვეყნებში ეკონომიკურ განვითარებას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აღიარებს ტურიზმის წამყვან როლს სიღარიბის დონის შემცირებაში, რადგან ტურიზმის სექტორის მეშვეობით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები ქვეყნებში, იზრდება სავალუტო მოგება (ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას) და შემოსავლები ქვეყანაში.

სტატიაში განხილულია უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ასპექტების მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებაში. წარმოდგენილია ისეთი აქტუალური საკითხი როგორიცაა უსაფრთხოება და ტურიზმი, როგორც ეკონომიკურ დარგებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი. ტურიზმი უნდა განვიხილოთ როგორც რთული კომპლექსური სისტემა, რომლის უსაფრთხო განვითარება ითვალისწინებს ისეთი სამი კომპონენტის ინტეგრაციას, როგორიცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოება.

ტურისტული უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სისტემას, რომელსაც შეუძლია მოახდინოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტურისტული უსაფრთხოება,ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება.

ძირითადი ტექსტი

21-ე საუკუნეში ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და პრიორიტეტულ დარგს ქვეყნების განვითარებაში. ასევე ის გვევლინება,როგორც ეკონომიკის,საერთაშორისო კავშირების, საქმიანი აქტივობების მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტად. ტურიზმი თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას.

ტურიზმის პოლიტიკა არის პროგრესული ქმედებების, გაიდლაინების, დირექტივების, პრინციპების და პროცედურების კურსი, რომელიც ორიენტირებულია და საუკეთესოდ წარმოაჩენს საზოგადოების (ერის) განზრახვას, რომ ეფექტურად განახორციელონ დაგეგმვის, განვითარების, პროდუქტის, მომსახურების, მარკეტინგის და მდგრადობის მიზნები და ამოცანები ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

საერთაშორისო თანამედროვე პრაქტიკა და ასევე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნებისმიერი ქვეყნის ტურისტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ტურისტული პროდუქტის მსოფლიო და შიდა ტურისტულ ბაზრებზე განვითარების უპირველესი წინაპირობა მისი უსაფრთხოებაა. შესაბამისად, ტურიზმის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი ამოცანა ტურისტულ საქმიანობაში ჩართული ყველა მონაწილისათვის. განსაკუთრებით 11 სექტემბრის და სახელმწიფო ტერაქტების შედეგად მთელ მსოფლიოში, უსაფრთხოება გადაიქცა ტურიზმის პოლიტიკის წამყვან და მნიშვნელოვან საკითხად,როგორც ოფიციალური პირებისათვის, ასევე ხალხთა ჯგუფებისათვის. იგი ასევე მოიცავს პოლიტიკურ შეტაკებებს, კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების სხვა საკითხებს.

ტერმინს „უსაფრთხოება" სამეცნიერო ლიტერატურა განმარტავს, როგორც პიროვნების,

საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობას შიდა და გარე საფრთხეებისაგან.

ტურიზმი უნდა განვიხილოთ როგორც რთული კომპლექსური სისტემა, რომლის უსაფრთხო განვითარება ითვალისწინებს ისეთი სამი კომპონენტის ინტეგრაციას, როგორიცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოება. ტურისტული უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სისტემას, რომელსაც შეუძლია მოახდინოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა უშუალოდ ადამიანზე, მთლიანად ეკონომიკასა და გარემოზე.

მდგრადი ტურიზმი, მგზავრის უსაფრთხოება და დაცვა, ჯანმრთელობის და სამედიცინო ტურიზმი, არის მაგალითები და ფაქტორები, რომლებიც მოიცავს რეგულირებას, დაგეგმვასა და საჯარო პოლიტიკას ტურიზმში. მიმდინარე ეპიდემიამ (Covid-19) აჩვენა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანია ტურიზმისთვის. წამყვანი ტურისტული ქვეყნების გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ შეიზღუდოს მოგზაურობა ქვეყნებში ეპიდემიის გამო, გამოიწვევს მნიშვნელოვან ვარდნას მოგზაურობაში, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს მოგზაურობის მხარდაჭერაზე და ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე მსოფლიოში. ყველაზე დიდ დარტმას ამ მხრივ განვითარებადი ქვეყნები განიცდიან.კერძოდ, ტურისტული ბაზარი მნიშვნელოვნად დაზარალდა კრიზისის დროს, რაც გამოწვეულია ეპიდემიის გავრცელებით მსოფლიო მასშტაბით. თუმცა უსაფრთხოების საკითხის დაცვა უპირველესი მნიშვნელობისაა.

როგორც ავღნიშნეთ, ტურიზმის უსაფრთხოების სისტემა შედგება ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოებისგან. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- ტურიზმის უსაფრთხოების შესწავლა ეკონომიკურ ასპექტში ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რადგანაც ტურიზმს შეუძლია მოახდინოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა უშუალოდ ადამიანზე და მთლიანად ეკონომიკაზე, გარემოზე. მოგზაურობის დროს წარმოქმნილი საფრთხე იწვევს არამარტო მომხდარის გამო პირდაპირ ზიანს, არამედ უარყოფით ეკონომიკურ შედეგსაც, ისეთს, როგორიცაა ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის დაცემა. მიღებულმა ეკონომიკურმა ზარალმა კი შეიძლება გამოიწვიოს მთლიანად ტურისტული ინდუსტრიის კრახი, რაც ასევე უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.
- ეკოლოგიური უსაფრთხოება გულისხმობს უარყოფითი გავლენის შემცირებას გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. გარემოს რესურსების ოპტიმალურ გამოყენება, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პროცესების შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა წარმოადგენენ ეკოტურიზმის განვითარების მთავარ ელემენტებს; ტურიზმის ზემოქმედება გარემოზე შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი, ასევე დადებითი და უარყოფითი. ტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთობის გარეშე, მაგრამ ტურიზმის განვითარების სწორი და მიზნობრივი დაგეგმვის დახმარებით შეიძლება შევამციროთ ნეგატიური და გავზარდოთ დადებითი შედეგები;
- სოციალური უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია არის ზოგადი: სადავოა ტურიზმის მონაცემების ხელმისაწვდომობა (სახელი, მისამართი, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია) და ვის აქვს უფლება ქონდეს წვდომა ასეთ ინფორმაციაზე. რამდენად უნდა ქონდეს მთავრობებს ნებართვა ნახონ და გამოიყენონ სხვადასხვა ტურისტული ორგანიზაციების მიერ შეგროვებული ინფორმაცია. (განსაკუთრებით ავიაკომპანიების კომპიუტერულად წინასწარ დაჯავშნული, შეკვეთილი ადგილები, რეზერვაციები და პირადი ინფორმაცია). არსებობს მონაცემთა უსაფრთხოების პროგრამა სახელწოდებით ავტომატური საკონტროლო სისტემა. ამ პროგრამის გაფართოება მოხდა იმისთვის, რომ დაწყებული საბაჟო შემოწმებით შექმნილიყო დიდი მონაცემთა ბაზა ტერორიზმის რისკების შეფასებისთვის, აღმოფხვრისთვის. მათ შორის, სახელის, დაბადების თარიღის, ფრენის მარშრუტის, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია და საბაჟო ინსპექტორების ინტერვიუ და ჩანიშნული ინფორმაცია, რომელიც იყო მიღებული ყველა მოგზაურისგან ვინც შემოდიოდა და ტოვებდა ქვეყანას, ინფორმაცია საკუთრების

შესახებ, უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთავრობასა და ავიაკომპანიებს შორის. ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის პროტესტი, კონფიდენციალურობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს ასეთი ინფორმაციის არაკანონიერ გაყიდვებს მარკეტინგული მიზნებისათვის. როგორ შეიძლება მგზავრის შესახებ ინფორმაცია გამოყენებული იყოს და ვის მიერ? როდის შეიძლება ტურიზმის პოლიტიკის ჩარევა კერძო სექტორში და როგორ გააკონტროლოს მთავრობამ ასეთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ტურიზმის უსაფრთხოების შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ:

- ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგის უსაფრთხოება;
- ტურისტების, როგორც ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა სუბიექტების საფრთხოება; ტურიზმის განვითარება პირდაპირ უკავშირდება ტურისტების პირად უსაფრთხოებას. მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების დაცვას. იმ რეგიონებში, სადაც ასე არ ხდება ტურისტული ბაზარი ვერ განვითარდება.
- დესტინაციის უსაფრთხოება, რომელიც შეიძლება ტურისტმა მიაყენოს კონკრეტულ ობიექტს ან მთლიან ობიექტს (მაგ., რაიმე ინფექციის შემოტანა უცხოეთიდან, მექანიკური ზიანი).

თითოეული ამ მიმართულებით არსებობს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ზრდის უსაფრთხოების დონეს. ტურისტული რისკების მინიმიზაციის პროცესი აუცილებლად უნდა განვითარდეს შესაძლო ზიანის სახეობებსა და სიდიდესთან ურთიერთკავშირში. ტურისტული რისკის რაოდენობრივი სიდიდე განისაზღვრება როგორც მატერიალური და ფინანსური დანაკარგების შესაძლო სიდიდე, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს ტურისტულ საწარმოში ტურისტებთან მათი ურთიერთობისას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების დაცვა ტურისტული სექტორის განვითარების აუცილებელი წონაპირობაა, რამდენადაც ტურისტებისთვის უსაფრთხოება წარმოადგენს მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას მოგზაურობის განხორციელებისთვის.

ტურისტულ უსაფრთხოებაში იგულისხმება როგორც სოციალური, ასევე ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოება. ტურიზმის უსაფრთხოების შესწავლა აღნიშნულ ასპექტებში ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ტურიზმს შეუძლია მოახდინოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა უშუალოდ ადამიანზე, ეკონომიკასა და ეკოგარემოზე.

ტურიზმის სექტორში მაინც არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა: უსაფრთხო და შეუფერხებელი მგზავრობის ხელშეწყობა, ტურიზმში ტექნოლოგიის როლის გაძლიერება და ტურიზმის განვითარებისათვის მდგრადი და დაცული გზების მოძიება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა.ოქროცვარიძე,მ. ვადაჭკორია, ლ.ოქროცვარიძე „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმნეტი“, სტუ. თბ.2011
2. სალექციო კურსი „ტურიზმის პოლიტიკა“, თარგმანი: ვალერი არღუთაშვილი,2017
3. https://www.researchgate.net/publication/330637777_ekonomikuri_usaprtkhoeba_turizmis_ganvitarebashi
4. https://forbes.ge/news/1568/3-rekomendacia-turizmis-ganviTarebisTvis

შეფასებული ტურიზმის სეზონი

Bakanidze Magda
Assistant Professor of Georian Technical University

Bakanidze Teona
Associate Professor of Georgian Technical University

შუამავარ

Iმისა იყოფა ეროვნული ეკონომიკა ორ ტიპად: ეროვნულ ეკონომიკად, ანუ ეროვნულ ეკონომიკად, ანუ ეროვნულ ეკონომიკად, ანუ

ტურიზმი და მენეჯმენტის როლი მაპინძლობის დარგში

ბლიაძე მურმანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ტურიზმისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია „მუდმივი ცვლილება“აქ მომუშავე მენეჯერები კარგად უნდა აცნობიერებდნენ წარსულს,დღევანდელობას და მომავლის ხედვას, აუცილებელია პასუხისმგებლობით მოეკიდონ მიმდინარე ცვლილებებს,როგორიცაა გლობალიზაცია და საეთოდ გავრცელებული რეცესული მოვლენები. ტურიზმში მომუშავე მენეჯერბმა აუცილებლად უნდა იცოდნენ მასპინძლობის ინდუსტრია, ტურისტებისათვის კვებითი მომსახურების, მოგზაურობის და საცხოვრებლით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საკითხები. დღეისათვის უმჯობესია და აუცილებელია ყველა ტურისტული კომპანია ახალ სტრატეგიაზე გადაერთოს და ახალი ტექნოლოგიების საქმიანობაში ჩაერთოს რადგანაც ტურიზმში ახალი ტექნოლოგიების უარყოფა დამარცხების ტოლფასია.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, „მუდმივი ცელქობა“, მენეჯმენტი, ახალი ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

ახალი ტექნოლოგიების კერძოდ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანია უფრო მეტ დამსვენებელს მოიზიდავს, რადგანაც შესაძლებლობა ექნება სწორად დაგეგმოს სტრატეგია და სწორად დაარეკლამოს არსებული მდგომარეობა. მენეჯმენტის გამოცდილებას და ინოვაციებს დიდი გავლენა ჰქონდა მასპინძლობის ინდუსტრიაზე, პრობლემები რომლებსაც მენეჯმენტი უმკლავდება არ წარმოადგენენ პრობლემებს ტრადიციულ და მასპინძლურ ეკონომიკაში. ადამიანები ისევე მუშაობენ, როგორც მათი მშობლები, ისინი აკეთებენ იმას რასაც ეუბნებიან, მაგრამ მასპინძლობის მომავლის მენეჯმენტის ძირითადი საკითხები სამი ადამიანის: ტეილორის, ფეიოლის და მაილოს ნაშრომებშია მოცემული და განსაზღვრული. ტეილორის თეორიები გვაცნობენ ეფექტური წარმოების მეთოდებს, .ფეიოლი გვაფიქრებს სამუშაოს ორგანიზაციის ფორმირებაზე. მაილომ და მისმა მიმდვრებმა ყურადღება გაამახვილეს დასაქმების ინდივიდუალურ და სოციალურ გარემოზე და ეს იდეა დღეს კიდევ უფრო ფართოვდება , ინდივიდუალური მუშაკებიდან ორგანიზაციებისაკენ. ცნობილია ბიზნესის ძირითად მიზანს „ მომხმარებლის შექმნა“ რაც მომხმარებლის შეუსრულებელი მოთხოვნის დადგენას და ამ მოთხოვნების შესრულების გზის პოვნას ნიშნავს ე.ი. მომხმარებელი განსაზღვრავს თუ რა არის ბიზნესი. ბიზნესის ძირითადი ფუნქცია არის ინოვაცია და მარკეტინგი. ანუ იმისთვის, რომ გავიგოთ მენეჯმენტის ფუნქცია უნდა ვიცოდეთ სამუშაოს და ორგანიზაციის ბუნების გაგება. ცნობილი ფაქტია, რომ მარკეტინგი ძირითადად განსაზღვრავს თუ რა უნდა მომხმარებელს და შემდეგ ისეთ გზას სთავაზობს, რომელიც უფრო მარტივად მისაღწევია მათთვის. მარკეტინგი ასევე მოიცავს პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც, როგორც წესი წარმატებული მენეჯმენტის დამახასიათებელი ნიშანი ხდება. საერთოდ მარკეტინგი ცალკე გამორჩეული საქმიანობაა. მაგრამ პირველ რიგში ეს არის მთლიანად ბიზნესის ძირითადი განზომილება. ტურიზმში შეიძლება საკითხი ასე დაისვას რა არის ღირებული მომხმარებლისთვის? ყველა მომხმარებელს აქვს განსხვავებული მოთხოვნა ღირებულებისადმი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, სტუმრისთვის მნიშვნელოვანია სისუფთავე და კომფორტული საცხოვრებელი.

ტურიზმში წარმატება, რომელიც ნიშნავს შემოსავალის დანიშნულებას მენეჯმენტის სამუშაოსთან, შემოქმედებითი მიდგომით მოდის. ამასთანავე ტურიზმში მნიშვნელოვანია დაგეგმვა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე მართვაში, დაგეგმვა უნდა ვრცელდებოდეს ორგანიზაციის ყველაა დონეზე. დაგეგმვა უკავშირდება, როგორც ხანგრძლივი დიაპაზონის ორგანიზაციულ მიზნებს ისე ყოველდღიურ სამუშაოს. ორგანიზაციაში გეგმის უქონლობა იწვევს პრობლემებს, ამიტომ დაგეგმვა აუცილებელია ორგანზაციის ყველა დონეზე. დაგეგმვა არის საქმიანობა, რომელსაც მენეჯერები და თანამშრომლები ასრულებენ, რათა თვალსაჩნო გახადონ მომავალი და განსაზღვრონ მოქმედების კურსი, რომელიც განახორციელებს ორგანიზაციის მიზნებს განსაზღვრულ პერიოდში. თვით ტერმინი

დაგეგმვა გულისხმობს განსხვავებული გარემოების განჭვრეტას სხვადასხვა მიზნით. გეგმა არის არჩეული მიზნების განხორციელების მოტივირებული საშუალება, გეგმას გავლენა აქვს პოლიტიკაზე და შეიძლება მოიცავდეს წესებს , მეთოდებს და პროცედურებს, სტანდარტებს და ბიუჯეტს , გეგმას შეიძლება ჰქონდეს როგორც სტრატეგიული, ასევე ტაქტიკური ელემენტები.

კომპანიები, დიდი ხნის განმავლობაში ანვითარებენ სტრატეგიულ გეგმებს , ეს გეგმები გამოხატავენ ორგანიზაციის მომავალის მენეჯმენტურ ხედვას და ამუშავებს მიზნებს, მეთოდებს , ბიუჯეტს და მსგავს საკითხებს. დაგეგმვა მოიცავს მიზნის განსაზღვრასაც. მიზნის მისაღწევად ყველა სფეროში საჭიროა მოქმედების პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა. რაც შეეხება მმართველობის დაგეგმვას, მენეჯმენტის დაგეგმილი სამუშაო იწყება მაშინ, როდესაც იგი ადგენს მიზნებს და განსაზღვრავს პოლიტიკას , მას სჭირდება მოქმედების გეგმა , რათა განსაზღვროს თუ როგორ უნდა გამოიყენოს პოლტიკა წარმოებაში თითოეულმა მუშაკმა, რომელმაც უნდა განიხილოს საკუთარი თავი, როგორც დამგეგმავი , როდესაც იგი მოძრაობს ორგანიზაციაში მას უხდება სწრაფად შეაჯამოს სიტუაცია ადგილზე და შემდეგ განაგრძოს მუშაობა. ორგანიზაციის ფუნქცია მენეჯმენტში, ესაა ორგანიზება სამუშაო, რომელსაც მენეჯერები ასრულებენ, რათა მოაწესრიგონ ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა. ორგანიზაციული სქემა ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოს კომპანია ამ სქემით არის ერთიანი, სინამდვილეში კომპანიამ რომ ერთიანობა შეინარჩუნოს, ნებისმიერი ჯგუფის ფუნქციონირებისას აუცილებელია ხელმძღვანელობა ნებისმიერ დონეზე.

ფორმალურ ძალაუფლებას განსაზღვრავს კანონმდებლობა, მაგრამ სამუშაო ჯგუფში ადამიანები აღიქვამენ მხოლოდ ორგანიზაციას და მათი ურთიერთობები განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი შეზღუდვებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნეს ფირმებში, მენეჯმენტისთის ურთიერთობათა რაციონალიზაცია საკუთრებითაა განსაზღვრული, მცირე ფირმებში ხელმძღვანელობა დაფუძნებულია ძირითადად შემდეგ მოსაზრებაზე მე ვფლობ კომპნიას და მაქვს უფლება ვაკონტროლო ჩემი საკუთრება თუ გინდა იმუშავო აქ ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, როგორც გეტყვი. დიდ კორპორაციებში ურთიერთობათა პირობები უფრო რთულია, აქციონერები ირჩევენ კოლეგიას, კოლეგია ქირაობს ტოპ მენეჯერს, ტოპ მენეჯერი უფლებას ართმევს მართველობას ხელქვეითებზე, თუმცა ყოველივე ამის არსი დადის შემდეგზე „მე წარმოვადგენ მფლობელს მე ვარ მფლობელი “. საერთოდ მენეჯერი არის შრომის შედეგებზე პასუხისმგებელი პირი იქამდე, სადამდეც მისი ძალაუფლება ვრცელდება, ე.ი. თითოეული მენეჯერი პასუხისმგებელია იმ შედეგებზე იმ სფეროში რომელსაც იგი აკონტროლებს, სასტუმროს მმართველი არ არის პასუხისმგებელი კაპიტალურ დანახარჯებზე, რადგან ეს დანახარჯები დამოკიდებულია მფლობელის მიღებულ გადაწყვეტილებებზე საკუთრების შეძენის და ფორმირების თაობაზე. რაც შეეხება მასპინძლობის სფეროს მენეჯერებისთვის ფასდაუდებელია შეინარჩუნოს მჭიდრო ურთიერთობები ადამიანებთან, ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე.

მენეჯმენტის ფუნქციის გაცნობიერება ადამიანური რესურსების მართვაში არსებითია მასპინ-ძლობის მენეჯერების მომზადებაში. ე.ი ადამიანური რესუსების მართვა, ყველა დონეზე მასპინძლობის მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ხოლო სასტუმროებისა და რესტორნების კვალი-ფიციური მუშაკებით უზრუნველყოფა დროის მოთხოვნაა. როდესაც სამუშაო ძალის ნაკლოვანებაა, მენეჯერებს უხდებათ გუნდში მუშაობა ამ ადგილების შესავსებად წინააღმდეგ შემთხვაევაში მათ უნდა დახარჯონ დრო ახალი კადრების დასაქირავებლად. როგორც ცნობილია საწარმოს წარმატება დამო-კიდებულია დასაქმებულებზე და მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. მენეჯერების უმრავლე-სობამ უნდა იფიქროს და შეარჩიოს, ისეთი ადამიანები, რომლებიც შეესაბამებიან სამუშაო ადგილს.

უკანსკნელ პერიოდში სამუშაოზე აყვანა კომპანიების (ფირმების) მიერ ხდება ინტერნეტის საშუალებით. ეს მეთოდი არის ყველაზე ეფექტური და ეკონომირი საშუალება კანდიდატების წინასწარ შერჩევისათვის. მცოდნე კადრების დასაქმების შემთხვევაში არ არის საჭირო მისი ტრენინგის გავლა, რადგან მათ უკვე აქვთ გამოცდილება შესაბამის დარგში მუშაობის, მაგრამ ზოგჯერ გამოცდილ მუშაკებსაც სჭირდებათ ტრენინგი, რათა გაერკვნენ ოპერაციის სპციალურ პროცედურებში. ამის გამო კომპანია უპირატესობას ანიჭებს თუნდაც გამოუცელი კადრების აყვანას, მათი შეხედულებით უმჯობესია თავიდანვე ტრენინგებით დავიწყოთ, ვიდრე დავასაქმოთ ერთი ადამიანი, რომელიც ცუდი

მანევრირების მატარებელი იქნება.

ტრენინგი ნამდვილად ძვირადღირებულია, დამსაქმებლებს უნდა აუნაზღაურდეთ ის დრო, რაც ტრენინგს მოახმარს ე.ი კადრების შერჩევის პროცესი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. საერთოდ მასპინძლობის მენეჯმენტი კონცენტრირებულია კადრების დაგეგმვაზე, რადგანაც კადრების განაწილებაზეა დამოკიდებული ოპერატიული მოთხოვნების წარმატებით განხორციელება, ამიტომ შემოსავლების დიდი ნაწილი ხელფასებზე იხარჯება. საერთოდ დამსაქმებელმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული სამუშაო ადგილას შესაფერისი კადრი. როგორც ფიზიკური ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით ზოგიერთი მათგანი უნდა მოიწვიოს გასაუბრებისთვის და გადაამოწმოს მათი რეკომენდაციები.

მასპინძლობის სისტემა იმდენად მრავალ სხვადასხვა საქმიანობას მოიცავს, რომ კონტროლის ფუნქცია აუცილებელია.კონტროლი ხშირად წარმოდგენილია, როგორც განსაკუთრებული რამ, რომელ-საც ბუღალტერი უნდა პასუხობდეს. კონტროლის სისტემით მიღებული ინფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, მენეჯმენტის საქმიანობის სახელმძღვანელოა.

კონტროლის ფუნქციის შესახებ მსჯელობა მისი ოთხი დამახასიათებელი თვისებით უნდა დავიწყოთ.

1. კონტროლის სისტემას აქვს განგრძობით ხასიათი, მონაცეების შეგროვება და შენახვა ხდება მუდმივად იმ მიზნით, რომ თუ რამე არ გაკეთდა სწორედ მონაცემების ანალიზი საშუალებას მისცემს მენეჯერს შეცვალოს მოქმედება.
2. ანგარიშები უნდა გაკეთდეს დროულად, საკითხები უნდა მიეწოდოს მენეჯერს, მანამ სანამ გაიზრდება დანაკლისი
3. კონტროლი მიზნობრივი უნდა იყვეს და არავითარი ქმედება არ არის საჭირო მანამ, სანამ პრობლემა არ არის გამოვლენილი.
4. კონტროლი მოქმედებაზეა ორიენტირებული, კონტროლი ვერ განხორციელდება საქმიანობის შეფასების გარეშე.

ფინანსური აღრიცხვა დგას ნორმების საფუძველზე, რომელიც საერთოა ყველასთვის და იძლევა საქმიანობის შეფასების საშუალებას,როგორც მენეჯერებისთვის ისე სხვა პირებისთვის.

პრაქტიკულად მენეჯერის, როგორც ხელმძღვანელის საქმიანობა არ არის ლიდერობიდან განცალკევებული, ამდენად შესაძლოა ხელმძღვანელის ქვეშ ვგულისხმობდეთ ლიდერებს და პირიქით, რადგან ორივე შემთხვევა გამორიცხავს მოქმედებას, მიუხედავად იმისა კარგია ის თუ ცუდი. საერთოდ ლიდერობა ვლინდება უბრალოდ მაშინ თუ იცი ორგანიზაციის გეგმები და შედგენილი გაქვთ თქვენი საკუთარი გეგმები და თქვენი ლიდერობა უნდა დაემყაროს თქვენს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. უკანასკნელ წლებში, ლიდერობის მრავალი სტილი და თეორიები წრმოიშვა. დღეისთვის ლიდერობის შესასწავლად მენეჯერმა უნდა იცოდეს ფორმალური თუ არაფორმალური ძალაუფლების ბუნება, ძალაუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას ქმნის ინდივიდუალური მუშაკის ფსიქოლოგია და არაფორმალური ჯგუფების ზეწოლა.

ხელმძღვანელობის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ გაცემული იქნას განკარგულებები, ყველაზე კარგი გეგმებიც კი ჩავარდება თუ მის განსახორციელებლად კომუნიკაციები არ დამყარდება, კომუნიკაციის შემზღუდავი ფაქტორებია: ენა - რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ინფორმაციის მიმწო-დებლის და მიმღების განსხვავებული გამოცდილება, ცოდნა და ის გარემოებები, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება. საერთოდ ლიდერობის სტილი განსხვავებულია ადგილმდებარეობისა და მდგომა-რეობის მიხედვით, თუ თქვენ გამოუცდელი ახალგაზრდა მენეჯერი ხართ და მუშაობთ უფროსი ასაკის ადამიანთა ჯგუფთან, უფრო ფრთხილად იქცევით, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

მასპინძლობისთვის დამახასიათებელი თვისება სხვადასხვა სეგმენტში, მიუხედავად განსხვა-ვებული დეტალებისა, მაინც მსგავსია. იმ დარგებში სადაც კონკურენცია მკაცრია იმარჯვებენ ისინი, რომლებსაც აქცენტი მომხმარებლის სერვისზე აქვთ გაკეთებული. ერთ-ერთი განმარტებით სერვისი არის მომხმარებელთა ქმედება, მასპიმნძლობაში სტუმრებს სერვისი მიეწოდება ადამიანებისაგან და უფრო ნაკლებად ისეთი სისტემისგან, როგორიცაა სტუმრების მიერ ნომრის განთავისუფლების დროს,

სასტუმროს სატელევიზიო ეკრანით დისტანციურად თანხის გადახდა. სტუმრის თვალსაზრისით სერვისი არის ორგანიზაციის და მისი კადრების საქმიანობა, მომსახურებაში მოცემული დაპირების თანახმად. მასპინძლების სფეროს უმრავლეს სეგმენტში სტუმრებიც და დასაქმებულებიც პერსონალურად არიან ჩართულნი სერვისის მიწოდებაში.

დასკვნა

ტურიზმში წარმატებას,მენეჯმენტის გამოცდილებას და ინოვაციებს დიდი გავლენა ჰქონდა მასპინძლობის ინდუსტრიაზე. ტურიზმში ბიზნესის ძირითად მიზანს „მომხმარებლის შექმნა“ წარმოადგენს,ამიტომ მარკენტინგი ძირითადად განსაზღვრავს თუ რა უნდა მომხმარებელს და შემდეგ ისეთ გზას სთავაზობს რომელიც უფრო მარტივად მისაწვდომია მათთვის. მენეჯმენტის ფუნქციის გაცნობიერება ადამიანური რესურსების მართვაში არსებითია მასპინძლობის მენეჯერების მომზადებაში ე.ი. ადამიანური რესურსების მართვა ყველა დონეზე მასპინძლობის მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია,ხოლო სასტუმროების და რესტორნების კვალიფიციური მუშაკებით უზრუნველყოფა დროის მოთხოვნაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული კ. ტურიზმის საფუძვლები თბ. 2011წ.
2. ბლიაძე მ. ბლიაძე ნ. მენეჯმენტი და საერთაშორისო ტურიზმი თბ. 2020
3. ოქროცვარიძე გ., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ. . ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი თბ. 2011
4. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ჯოლია გ., ჩეკურიშვილი ნ. ტურიზმის მენეჯმენტი თბ. 2008წ
5. ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ თბ.2016-2017 წწ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური
6. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები თბ.2011
7. KKოზლ,Keller Desigნინგ ანდ Maნაჯმენტ შეფრიე Pეარსონ PreნტიcეHall, შიგაკოდ, 2006
8. Meლიდუ შ, N. ინეოზარს შეფრიცQuაფფ, ჩ შტოერშატფფიცოიანდ ჩ ულტოერდეტეინოს ტე ჰოსპიტალიტეტს Kეს ტაცკეეე ტფფიზ გოუ ტ,Grეეე, 2009.
9. ჯ ინO Quალიფფიკაციზ ჩოიმ ინტეგრეფფ ინ მ ეეტიVარდრ, ჩ შა, 9-10 Maმ, 2003
10. Meლიდუ შ, N. ინეოზარს შეფრიცQuაფფ, ჩ შტოერშატფფიცოიანდ ჩ ულტოერდეტეინოს ტე ჰოსპიტალიტეტს Kეს ტაცკეეე ტფფიზ გოუ ტ,Grეეე, 2009.
11. Александрова А. Ю. Международный туризм. Учеб. М. 2004
12. Сенин В. А. Организация международного туризма. М. "Экономика". 2005
13. Уокер Дж. Р. Введение гостеприимствею М. "Экономика". 2005
14. Разуванов, В. Менеджмент качества в туризме и гостеприммстве, Минск, 2011.

ტურიზმი ანდ ტეერფეთმ ანაბემ ენტინ ტე ჰოსპიტალიტეტს

Murman Bliadze

Professor of Georgian Technical University

შუმმ არყ

შუცეს ინ ტფფიზ , მ ანაბემ ენტფხეერეცეანდ ინოზატფეასჰადა ჴუბე ი პაცფ ტე ჰოსტფინდუსტრეეს მ ან ა შეფფიზ ოზა ბუსინეს ინტფფიზ ი ტოგეტჯ ცუსტოერსომ არეტფინ კოდ ანდ ალეაუფფეტეინგ ა ჴ ჴაფფე ცუსტოერ ანტანდტენ ოფფინგ ა ჴ აკ ტაფსმ ოდ ეკონეფფაცუსეფ ტეტ . Uნდერტაკინგ ტემ ანაბემ ენტენცტიო ინჴუმ ან რესეარცემ ანაბემ ენტინსინტიფეარიგ ტემ ანაბერ ოფფე ჰოსტHuმ ან რესეარცემ ანაბემ ენტინზე ოფტემ ოზტი კოფფანტინუეს ოფ ჰოსპიტალიტეტ ანაბემ ენტატალლეფლ,ანდ კოფფიდინ ქუალიფეჰოსტდ რესტაურანტ ოფეერ ი ტეიე ცინეეინგ ინგ ტსკ

ეკოლოგიურ მენეჯმენტში ბუნებათსარგებლობის რეგულირებისა და კონტროლის ასპექტები

გალახვარიძე ნაირა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ლოგიკა განისაზღვრება ადამიანის როგორც მთავარი ფაქტორის საქმიანობით, ამასთან უნდა ითქვას, რომ ბიოსფეროს შეუძლია არსებობა ადამიანის გარეშე, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია არსებობა ბიოსფეროს გარეშე. ჰარმონიული ურთიერთობების შენარჩუნება ადამიანსა და ბუნებას შორის წარმოადგენს მთავარ ამოცანას, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე დგას. ეს კი მოითხოვს საზოგადოებრივ ფასეულობებზე მრავალი ადრე ჩამოყალიებული წარმოდგენების შეცვლას.

აუცილებელია თითოეულ ადამიანში „ეკოლოგიური შეგნების „ განვითარება, რომელიც ტექნოლოგიების, საწარმოების მშენებლობისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების შერჩევის ვარიანტებს განსაზღვრავს.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური მენეჯმენტი,ეკოლოგიური შეგნება,ეკოლოგიური აღზრდა, სახელწიფო რეგულირება,გარემოს დაცვა,ცოდნა ინფორმაცია.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე განათლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ეკოლოგიური აზროვნების წესის ჩამოყალიბებაა. ლოზუნგიდან „ბუნებიდან ავიღოთ ყველაფერი“ აუცილებელია გავდავიდეთ ლოზუნგზე “ბუნება ჩვენი სახლია“. დემოგრაფიული პროცესები, ატმოსფეროს გათბობა, ნიადაგის ეროზია, ოზონის ფენის შემცირება, მრავალ ცხოველთა სიკვდილი, სამრეწველო ავარიები, ყოველივე ამას მივყავართ ეკოლოგიურ კატასტროფებთან. გლობალური ეკოლოგიური პოლიტიკა ჯერ არ არსებობს ეს მომავლის საქმეა, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლა უნდა განხორციელდეს დღეს. ადამიანთა მხრიდან გარემომცველ გარემოზე ეკოლოგიური ზეწოლის შემცირების ღონისძიებები შემდეგი სახით შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:

1. ყოველი ადამიანის ეკოლოგიური აღზრდა, დაფუძნებული უნდა იყოს ურთიერთგაგებაზე, შემწყნარებლობაზე, სხვათა უფლებების პატივისცემაზე, თავაზიანობასა და თვითკონტროლზე;
2. კანონთა სისტემა, მესაკუთრეთა რეგლამენტირებული მოქმედება იყოს ეკოლოგიური ზეწოლის განმახორციელებელი;
3. სახელმწიფო კონტროლის სისტემით ხორციელდებოდეს გარემომცველ გარემოზე ზემოქმედება;
4. ეკოლოგიურად სუფთა კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებით ხორციელდებოდეს ეკონომიკური ზეწოლა საწარმოებზე, რომლებიც აუარესებენ გარემომცველ გარემოს.

აქვე ყურადღება მინდა გავამახვილო ეკოლოგიურ მცნებაზე, რომ „ყველა ვინც ცხოვრობს დედამიწაზე უნდა ცხოვრობდნენ ბუნების კანონით.

ჯანმრთელობა-ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. ავადმყოფობა-ეს ბუნების პასუხია ადამიანის არაგონიერ ქცევაზე.''

ბუნებათსარგებლობის მართვის კუთხით, საინტერესო და მნიშვნელოვანია ბუნებათსარგებლობის სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის საკითხი.

ბუნებრივ ობიექტებზე ეკოსარგებლობის უფლება, განსხვავებით კერძო, სახელმწიფო მუნიციპალური და საკუთრების სხვა ფორმებისაგან არ წარმოადგენს მუდმივს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ უფლებამოსილებას. პირიქით ის დინამიურია და ეკოლოგოსარგებლიანობა შეიძლება წარმოიქმნას, შეიცვალოს, ანდა შეწყდეს კანონის დადგენილი წესით.

ეკოლოგოსარგებლიანობის უფლების წარმოქმნას სხვადასხვა საფუძველი აქვს:

- ბუნებრივი ობიექტის სახელმწიფო, ანდა სხვა პირთა საკუთრებაში გადაცემა საკუთრების, სარგებლობისა ანდა იჯარით. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ მიწის ნაკვეთები საკუთრებაში, სარგებლობაში

ანდა იჯარით. მიწით სარგებლობა შეიძლება იყოს მუდმივი ანდა დროებითი;

- ბუნებრივი ობიექტის იჯარაზე მოლაპარაკების დასკვნა. ამ შემთხვევაში საუბარია ბუნებრივი ობიექტის მოლაპარაკების პირობებით დროებით სარგებლობაზე;
- როგორც უძრავი ქონების,მიწის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა, რასაც მოსდევს მისი მონაწილეობა ყიდვა-გაყიდვის, იჯარით გაცვლის, იპოთეკის, გირაოს და ა.შ. გარიგებებში;

უძრავ ქონებაზე, რომელსაც წარმოადგენს შენობა ,ან ნაგებობა საკუთრების უფლების ტიტულის გადაცემა შენობაზე, ანდა ნაგებობაზე საკუთრების უფლების გაცემისას ამ ობიექტებთან ერთად უფლება გადადის მიწის ნაკვეთებზეც თუ კანონმდებლობით სხვა არაა გათვალისწინებული.

ეკოლოგიური სარგებლობის უფლება იცვლება შემდეგ შემთხვევებშიც;

- ერთი ბუნებრივი ობიექტის მეორეთი შეცვლის შედეგად, სახელმწიფოებრივი ანდა საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის საწყისი მოცემულობის ჩამორთმევით;
- გამოყენებული ობიექტის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შედეგად;
- გამოყენებული ბუნებრივი ობიექტის ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილების შედეგად;
- მიღებულ კანონმდებლობაში შეზღუდვების შედეგად;

ეკოლოგოურსარგებლობის უფლებათა შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს;

- ნებაყოფლობით, საკუთარი ნებით ეკოლოგომოსარგებლის უარი სარგებლობაზე;
- ეკოლოგოსარგებლობის შეწყვეტა, მაგალითად ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში;
- საფუძვლის შეწყვეტა, რომლის შედეგად წარმოიქმნა ეკოლოგოსარგებლობის უფლება, მაგალითად იჯარაზე მოლაპარაკების შეწყვეტით;
- ეკოლოგოსარგებლობის წესების დარღვევა.

განსაკუთრებით დაცული ტერიტორიებისა და ბუნებრივი ობიექტების ჩვეულებრივ სარგებ-ლობის ტერიტორიის გარდა არის განსაკუთრებული რეჟიმით ეკოლოგოსარგებლობის ტერიტორიები. კანონით გათვალისწინებულია ეკოლოგიური სიტუაციის ზონები და ეკოლოგიური უბედურებების ზონები, რომელიც ასეთებად ცხადდება ბრძანებულებით სახელმწიფო ორგანოებზე სპეციალურ უფლებამოსილების რწმუნებით წარდგენილი ეკოლოგიური ექსპერტიზისის დასკვნის საფუძველზე.

განსაკუთრებით, საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციისა და ეკოლოგიური უბედურების ზონები ფორმულირებულია კანონში გარემოს დაცვის შესახებ (1996 წელი 10 დეკემბერი) და საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ 1996 წლის 15 ოქტომბერი).

მოცემულ ზონებად ცხადდება ტერიტორიის მონაკვეთი, სადაც სამეურნეო ან სხვა საქმიანობის შედეგად მიმდინარეობს გარემომცველი ბუნებრივი გარემოს უარყოფითი ცვლილებები, რომლებიც მუქარის გამომხატველია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ანდა მოსახლეობის ჯანმრთელობის არსებითი გაუარესების შედეგია, ბუნებრივი წონასწორობისა, ბუნებრივი ეკოსისტემების დარღვევის, ფლორისა და ფაუნის დეგრადაციის გამომწვევია.

ტერიტორიის მითითებულ ზონებად გამოცხადების შედეგად მათში წყდება ,ანდა არსებითად იზღუდება ყოველგვარი საქმიანობა, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემომცველ გარემოზე იწვევენ არასასურველ ზემოქმედებას.

საერთო კომპეტენციის ორგანოების განსაკუთრებული სახით წარმოდგენა დაკავშირებულია იმით რომ:

1. ეკოლოგოსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა და გარემომცველი გარემოს დაცვა არ წარმოადგენს ამ ორგანოების სპეციალურ ფუნქციას;
2. მოცემული ორგანოების გადაწყვეტილებები ვრცელდება ყველა მოქალაქეზე და განურ-ჩევლად დაწესებულებისა, საწარმოსი და ორგანიზაციის, რომელიც მდებარეობს საერთო კომპეტენციის იურიდიული ორგანოების ტერიტორიის საზღვრებში, ფარგლებში.

საერთო კომპეტენციის ორგანოები, განსხვავებით სხვა ორგანოებისაგან ახორციელებენ ეკოლო-გოსარგებლობისა და გარემომცველი გარემოს კომპლექსურ რეგულირებას თავის ტერიტორიაზე, გინდ იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ანდა საერთო კომპეტენციის ადგილობრივი

თვითმართველობის ორგანოები.

უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების განსაკუთრებულ კომპეტენციებს მიეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- სახელმწიფო ეკოლოგიური პროგრამის დამტკიცება;
- ბუნების დაცვითი ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;
- გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში მმართველობითი ორგანოების ორგანიზაციების წესრიგისა და მოღვაწეობის უფლებამოსილების განსაზღვრა;
- ეკოლოგიური უბედურებებისა და განსაკუთრებული ეკოლოგიური ზონების დადგენა;

ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციაში შემავალი საკითხები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ეკოლოგიური პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა,პროგრამების დამტკიცება, გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლების დადგენა, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ეკოლოგიური პროგრამების დაგეგმვა, ფინანსირება, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა, ბუნების დაცვითი ღონისძიებების კოორდინაცია;
- ბუნებრივირესურსების აღრიცხვა და შეფასება, გარემომცველი გარემოს მდგომარეობის პროგნოზი, ბუნებრივი რესურსების კადასტრის წარმოება, გარემომცველი გარემოს მონიტორინგის განხორციელება;
- მავნე ზემოქმედების ნორმატივების ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე საფასურის დამტკიცება, მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვი, ნარჩენების დამარხვა, ნებართვების გაცემა ბუნებათსარგებლობაზე, მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვზე, გადაყრაზე, დამარხვაზე;
- ეკოლოგიური კონტროლი და ექსპერტიზა, ეკოლოგიურად მავნე წარმოებისა და მომსახურების შეწყვეტა, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე ყურადღების მიპყრობა;
- ნაკრძალთა საქმიანობის ორგანიზაცია, ბუნებრივი ძეგლების დაცვა, წითელი წიგნის ეკოლოგიური სწავლებისა და აღზრდის წარმოება;
- გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა.

დარგთაშორისი კომპეტენციების რეგულირების ორგანოები გამოყოფილია დამოუკიდებელ ჯგუფებად იმ მიზეზებით, რომ მათ მიერ მიღებული აქტებს აქვთ სავალდებულო ძალა სხვა ყველა საწარმოსათვის სამინისტროსა და უწყებისათვის, მაგალითად, ავტომობილების მიერ მავნე გამონაბოლქვის დასაშვები ზღვრის სტანდარტები სავალდებულოა ნებისმიერი საკუთრების, მათ შორის ამ სტანდარტის კონტროლის მეთვალყურეობის განმახორციელებელ ავტომობილებისათვის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება გარემოს დაცვის,სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროების მართვა და განვითარების ხელშეწყობა.სამინისტროს მმართველობის სფეროს ფარგლებში სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

-გარემოს დაცვის,სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

-ბუნებრივი რესურსებით (გარდა სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობისა და გაზის) სარგებლობის სფეროში სახელმწიფო მართვა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

-გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ორგანიზება და სხვა.

პარლამენტის გარემოს დაცვისა ბუნებრივი რესურსების კომიტეტი რომელიც შეიქმნა 1992 წელს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ფუნქციაც ასრულებს. იგი მონაწილეობს კანონპროექტების შედგენის პროცესში და განიხილავს მთავრობის ან სხვა საპარლამენტო კომიტეტების ინიციატივით შემოსული კანონპროექტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.. კომიტეტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს გარემოსდაცვითი საქმიანობის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოსა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის განსაზღვრა შესაბამის

ღონისძიებათა კოორდინირება და აღსრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება.

ეკოსარგებლობისა და გარემომცველი გარემოს დაცვის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან შემადგენელს წარამოადგენს, გარემოს მონიტორინგი, ეკოლოგიური კონტროლი და და ეკოლოგიური ექსპერტიზა.

გარემოს მონიტორინგის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- მეთვალყურეობა ანტროპოგენური ზემოქმედების წყაროებზე;
- მეთვაყურეობა ანტროპოგენური ზემოქმედების ფაქტორებზე;
- მეთვალყურეობა ბუნებრივი გარმოს მდგომარეობაზე დ მათში მიმდინარე პროცესებზე;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ცვლილებების პროგნოზი.

ამჟამად, საქართველოში ეროვნული მონიტორინგი მოიცავს სამ სახეს, საფეხურს:

ა. სანიტარულ ჰიგიენურ მონიტორინგს, რომელიც მეთვალყურეობს, თვალყურს ადევნებს ბიოსფეროს ცვლილებებს უარყოფითი ზემოქმედების კუთხით, ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი ცხოვრების პირობებზე.

ბ. ეკოლოგიური მონიტორინგი, რომელიც თვალყურს ადაევნებს ეკოსისიტემების საპასუხო რეაქციებს ანტროპოგენურ ზემოქმედებებზე მისი დაბინძურების შედეგად ბიოსფეროს მდგომარეობაზე, ეკოსისტემის ცვალებადობაზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის, ტყის , გაჩეხვა, გამოყენების შედეგად და ა.შ.

გ. კლიმატური მონიტორინგი, ეკოლოგიურისაგან განსხვავებით მოიცავს კლიმატურ სისტემას (ატმოსფეროს-ოკეანეებს, ხმელეთის ზედაპირს და კლიმატის სხვა გამსაზღვრელ ეკოსისტემის ელემენტებს).

მონიტორინგისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური კონტროლი, როგორც რაციონალური ეკოსარგებლობის საშუალება ითვალისწინებს მათი აღმოფხვირის მიზნით აქტიურ ჩარევას გამოვლენილ გადახრებზე.

ეკოლოგიური კონტროლი - ესაა შემოწმება ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოებისა და მოქალაქეების გათვალისწინება გარემომცველი გარემოს დაცვისა და საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებზე.

გამომდინარე, ეკოლოგიური კონტროლის მიზანს წარმოადგენს გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვა გაფრთხილება კანონის სამართლებრივი დარღვევების აღმოფხვრის -აცილების გზით.

ეკოლოგიური კონტროლის დონე დამოკიდებულია საზოგადოების ეკოლოგიურ და კულტურულ განვითარებაზე, რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება მით უფრო ეფექტიანად რეალიზდება ცხოვრების, ბინადრობის, სოციალურ-ეკოლოგიური მართვის პროცესები.

ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა პროექტთა გადაწყვეტის ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასებაა ბუნებადაცვით მოთხოვნებთან და გარემომცველ გარემოზე შედეგების ზემოქმედების რეალიზაციის კუთხით.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს გარემოს დაცვის სახელმწიფო რეგულირების ერთ ერთ ძირითად ბერკეტს, სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ საქმიანობის სანქციონირებას (დადასტურებას) სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ობიექტების სივრცით განლაგებასე. მის მიზანს წარმოადგენს სამეურნეო და სხვა საქმიანობის შესაბამისობის შემოწმება საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებთან. ის აუცილებელია გადაწყვეტილების მომზადებისას ეკოლოგოსარგებლობის სფეროში და ხორციელდება გადახდის საფუძველზე. ექსპერტიზის გადასახადს ახორციელებს მითითებული საქმიანობის დამკვეთი .

თანამედროვე პირობებში ადამიანის კავშირი ბუნებრივ გარემოსთან არსებითად შესუსტებულია. მას უწევს ისეთ გარემოში ყოფნა რომლის ხასიათიც განისასღვრება ტექნოლოგიური განვითარების დონით. იზრდება რა გარემომცველი გარემოს ფაქტორის როლი - საწარმოებს უწევთ შეასრულონ გარემოს დაცვის სულ უფრო მკაცრი ნორმატივები და წესები. აღნიშნულის ფონზე იზრდება ყოველი

ადამიანის პასუხისმგებლობა. ამ კუთხით მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან არსებული რეგულირებისა და კონტროლის მეთოდებისა, წინა პლანზე იწევს პიროვების სოციალური პასუხისმგებლობა.

დასკვნა

ბუნებათსარგებლობის სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის, ბუნებათსარგებლობის ეფექტიან მართვასთან ერთად საზოგადოების თითოეულმა წევრმა საკუთარი ზემოქმედება უნდა მოახდინოს ეკოლოგიურ გამოწვევებზე:

- როგორც პიროვნებამ, რომელიც ფიქრობს გარემომცველი გარემოს ხარისხზე, საკუთარ ჯანმრთელობაზე, მომავალ თაობათა სიცოცხლის ხარისხზე;
- როგორცპასუხისმგებელმა მოქალაქემ, რომელსაც ზემოქმედების შესაძლებლობა აქვს პოლიტიკაზე და გადაწყვეტილებებზე;
- როგორც სახლის შიგნით ნარჩენებისა და დაბინძურების პირდაპირმა მწარმოებელმა;
- როგორც დამქირავებელმა და დაქირავებულმა;
- როგორც პიროვნებამ რომელიც რეგულარულად მოგზაურობს;
- როგორც|საქონლისა|და|მომსახურების|მომხმარებელმა.

პიროვნებას შეუძლია თავისი დადებითი პოტენციალური როლი მოახდინოს გარემომცველ გარემოზე თუკი რამოდენიმე პირობა არსებობს კერძოდ,კარგი ცოდნა და ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნაირა გალახვარიძე, ნინო ჭეღელიძე „გარემომცველი გარემოს მონიტორინგის, ეკოლოგიური კონტროლის და ექსპერტიზის მენეჯმენტი“ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი მოამბე XXXVთბილისი 2019
2. А .В. Анисимов „Экологический менежмент“ Феникс, 2009
3. В. Глухов, Т. П. Некрасова „Экономические основи экологии“ .3 -е издание . Питер .2003
4. Н. Ю. Келина Н. В. Безручко Экология человека Феникс. 2009.

ECOLOGICAL ANALYSIS ENVIRONMENTAL REGULATION AND CONTROL Aspects

Galakhvaridze Naira
Professor of Georgian Technical University

Summary

ALL WORKS ON ECOLOGICAL ANALYSIS, ENVIRONMENTAL MANAGEMENT, ECOLOGICAL CONTROL AND ENVIRONMENTAL ASSESSMENT ARE BASED ON THE ENVIRONMENTAL ASSESSMENT OF THE ENVIRONMENT.

- ALL ASPECTS OF ECOLOGICAL ANALYSIS AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT ARE BASED ON ENVIRONMENTAL ASSESSMENT AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT.
- ALL ASPECTS OF ECOLOGICAL CONTROL AND ENVIRONMENTAL ASSESSMENT ARE BASED ON ECOLOGICAL ANALYSIS;
- ALL ASPECTS OF ECOLOGICAL ANALYSIS AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT ARE BASED ON ECOLOGICAL CONTROL;
- ALL ASPECTS OF ECOLOGICAL ANALYSIS AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT ARE BASED ON ECOLOGICAL CONTROL;
- ALL ASPECTS OF ECOLOGICAL ANALYSIS AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT ARE BASED ON ECOLOGICAL CONTROL;
- ALL ASPECTS OF ECOLOGICAL ANALYSIS AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT ARE BASED ON ECOLOGICAL CONTROL.

ALL ASPECTS OF ECOLOGICAL ANALYSIS, ENVIRONMENTAL MANAGEMENT, ECOLOGICAL CONTROL AND ENVIRONMENTAL ASSESSMENT ARE BASED ON ECOLOGICAL ANALYSIS AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT.

ტურიზმის გამოწვევების ზოგიერთი ასპექტი მთიან აჭარაში

გოგიტიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნადარეიშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

უკანასკნელ წლებში საქართველოს მმართველი ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მთიანი რეგიონების განვითარებას. მიღებულ იქნა კანონი („მთის კანონი“), რომელიც ითვალისწინებს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სხვადასხვა ფინანსურ და სოციალურ დახმარება-შეღავათებს; მისი მიზანია შეაფერხოს ადგილობრივი მოსახლეობის დენადობა ბარისკენ.

აჭარა, მთავარი ტურისტული რესურსის — შავი ზღვის გარდა, მდიდარია სხვა ბუნებრივ-ტურისტული ღირსშესანიშნაობებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთიან ზონაშია განლაგებული და შედარებით მცირედ არის ათვისებული.

აჭარის მთიანეთში (ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტები) ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები. მოქმედი სამრეწველო და ტურისტული საწარმოები ხასიათდებიან დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობით; გარდა ამისა, ტურისტულ ბიზნესზე უარყოფითად აისახება სტუმარმასპინძლობაში დასაქმებულთა დაბალი კვალიფიკაცია.

უახლოეს მომავალში მთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის დაგეგმილია უცხოური ინვესტიციების განხორციელება სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში და მშენებლობაში. აღნიშნული მიმართულებებით შესრულდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო და მუნიციპალური პროგრამები.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაციულ-ტურისტული პოტენციალი, საკურორტო-ტურისტული მეურნეობა, მაღალმთიანი რეგიონი, ბიზნეს-სუბიექტები, სტუმარმასპინძლობა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს მთიანი რეგიონები, ბართან შედარებით, ზოგადად მოწყვლად ტერიტორიებს მიეკუთვნებიან. მათ სუსტ საწარმოო ბაზას განსაზღვრავს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, დასამუშავებელი მიწის სიმცირე (რელიეფის გამო დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ხვედრითი წილი 1%-დან 4%-მდე მერყეობს, ამის გამო, მიწათმოქმედება მეტად მცირე როლს ასრულებს აგრარულ მეურნეობაში. დასაქმების სფეროს შეზღუდულობის შედეგად ყველგან მეტნაკლებად მიმდინარეობს მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური დეპოპულაცია. აღნიშნული გარემოებები განაპირობებენ მთიანი რაიონების უმნიშვნელო როლს ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მმართველი ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მთიანი რეგიონების განვითარებას. მიღებულ იქნა კანონი („მთის კანონი“) [1], რომელიც ითვალისწინებს 2016 წლის პირველი სექტემბრიდან მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სხვადასხვა ფინანსურ და სოციალურ დახმარება-შეღავათებს; მისი მიზანია შეაფერხოს ადგილობრივი მოსახლეობის დენადობა ბარისკენ. ამასთანავე, რიგ მთიან დასახლებაში იქმნება თანამედროვე საგზაო ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებაში გარკვეული წვლილი შეაქვს რეკრეაციულ-ტურისტული სფეროს განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მკვიდრი მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას.

საერთოდ, საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებას თან ახლავს დარგთა ისეთი კომპლექსის შექმნა, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს დასაქმების სფეროს გაფართოებას და

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას; ტურისტულ-რეკრეაციულ მომსახურებაში ერთვებიან მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგები (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია, ტრანსპორტი), რომლებიც ქმნიან დამატებით ახალ სამუშაო ადგილებს უშუალოდ ტურისტულ ზონაში ან მიმდებარე სხვა რაიონებში. მთიან რაიონებში ტურისტული ობიექტების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხშირ შემთხვევაში აუცილებელია ბარის რაიონების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება, რომელიც მთის კურორტებს და ტურიზმის ცენტრებს უზრუნველყოფს ყველა საჭირო მასალით და პროდუქტით.

აჭარა, მთავარი ტურისტული რესურსის — შავი ზღვის გარდა, მდიდარია სხვა ბუნებრივ-ტურისტული ღირსშესანიშნაობებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთიან ზონაშია განლაგებული და შედარებით მცირედ არის ათვისებული. წიწვოვანი ტყეებით გარშემორტყმული ბეშუმი, მტირალას მთის მიდამოები (ცისკარა), ოფიციალურად აღიარებული საკურორტო ადგილები (ბოგაური, სარიჩაი, საღორია, ტომაშეთი, ჩირუხი, ჯინალი, კოკოტაური, ნამონასტრევი, საბადური, სკურდას მთა, ხინოს მთა და მრავალი სხვა) სათანადო სატრანსპორტო და ეკონომიკური პირობების შექმნის შემთხვევაში არსებითი რეკრეაციულ–ტურისტული პოტენციალის მატარებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთის ტურიზმთან დაკავშირე-ბული გამოწვევები აჭარის მაღალმთიან რეგიონში. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ტურიზმის მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში. მათ ტერიტორიებზე დაფიქსირებულია რეგისტრირებული ბიზნეს-სუბიექტების სიმცირე და ინვესტიციების მცირე რაოდენობა (რომლებიც, შესაბამისად შეადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 5%-ს და 11%-ს); აღნიშნულიდან გამომდინარე, თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევისას გამოყენებულ იქნა ერთდროულად რამდენიმე კვლევითი ტექნიკა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სხვადასხვა კუთხით დაგვენახა მოცემულ მუნიციპალიტეტებში ბიზნეს-სუბიექტების პოტენციალი და გავლენა ტურიზმის განვითარებაზე.

თვისებრივი მეთოდებით კვლევისას გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური ინტერვიუ. კვლევა ჩატარდა რამდენიმე ეტაპად (კვლევის პროგრამის შემუშავება, საველე ეტაპი, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის შეგროვება, ინფორმაციის დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი, კვლევის ანგარიშის მომზადება). გარდა აღნიშნულისა, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუების სახით. ის მიზნად ისახავდა რესპონდენტებისგან დეტალური, ღრმა და თანმიმდევრული ინფორმაციის მიღებას. სიღრმისეული ინტერვიუ წარიმართა შემდეგი ფაზების მიხედვით: პრეინტერვიუ, თავად ინტერვიუ (ინტერვიუ) და პოსტინტერვიუ. საყურადღებოა, რომ სიღრმისეული ინტერვიუს მსვლელობისას წამოიწია ახალმა თემებმა, რომლებიც აქტუალური იყო გამოკვლევისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული კვლევის დაგეგმვის ეტაპზე. რაც შეეხება, სიღრმისეული ინტერვიუ "ღია" კითხვებზე დაყრდნობით წარიმართა, ანუ ისეთ კითხვებზე, რომლებიც არ სთავაზობდნენ რესპონდენტებს პასუხის შესაძლო ვარიანტებს. ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას რესპონდენტებს სრული თავისუფლება ენიჭებოდათ საკუთარი აზრის გამოხატვისას, მკვლევარი არანაირად არ "უბიძგებდა" მათ გარკვეული კატეგორიის პასუხებისკენ.

ჩვენს მიერ ყურადღება გამახვილებული იქნა სამეურნეო საქმიანობის 2 სფეროზე - სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, რადგან აღნიშნული მიმართულება ტრადიციულად იყო განვითარებული აჭარის მთიანეთში (ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო). კვლევამ აჩვენა, რომ ძალზე განსხვავებულია მდგომარეობა ხელვაჩაურში. კერძოდ, აქ სოფლის მეურნეობის და ტურიზმის გარდა, ფუნქციონირებს დამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები: სამშენებლო მასალების, ციტრუსის, რძის პროდუქტების, ყავისა და ჩაის, თაფლის, თევზის, ხორბლის, სამკურნალო მცენარეების, ასფალტისა და ბეტონის, სამშე-ნებლო ბლოკების, ცემენტის, ხის ნაკეთობების, მინის ნაკეთობების, ყურძნის, მეტალოპლასტმასებისა და ტექსტილის და აშ.

რაც შეეხება, ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის სფეროდან განვითარებული იყო შემდეგი მიმართულებები: მევენახეობა-მეღვინეობა, მეთამბაქოეობა,

მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მეფრინველეობა. გარდა აღნიშნულისა, ამჟამად, ამავე მუნიციპალიტეტებში ძირითადი საქმიანობა ხორციელდება 3 სფეროს მიხედვით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტები). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უახლოეს წლებში უცხოური (საერთაშორისო, სახელმწიფო/კერძო) ინვესტიციები (პროგრამები) აჭარის მთიანეთსა და ხელვაჩაურში განხორციელდება სამ სფეროში: I - სოფლის მეურნეობა; II - ტურიზმი (სპორტული ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, სამკურნალო, სათავგადასავლო ტურიზმი, სათხილამურო); III - მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტები). ამასთანავე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მუნიციპალური პროგრამები განხორციელდება სამ სფეროში: I - სოფლის მეურნეობა; II - ტურიზმი; III - მშენებლობა - საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტების სახით. გარდა აღნიშნულისა, დადგინდა, რომ აჭარის მთიანეთში სოფლის მეურნეობის სფეროში რეგისტრირებული და ფუნქციონირებადი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ოთხია, რაც შეეხება სიდიდეს - ესენი არიან მცირე საწარმოები, რომელთა საქმიანობის ხარისხი საშუალოა.

ასევე შეიძლება შეფასდეს არარეგისტრირებული ფერმერული მეურნეობები, რომელთა ეკონომიკური მაჩვენებლები და ხარისხი ძალიან დაბალია. იგივე შეიძლება ითქვას აჭარის მთიანეთში ტურიზმის სფეროში მოქმედი ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობაზე, მაჩვენებლებზე და ხარისხზე.

აჭარის მთიანეთში (ქედა, შუახევი, ხულო) მშენებლობის სფეროში (მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები) რეგისტრირებული და მოქმედი ორგანიზაციების მაჩვენებლები ასეთია: რაოდენობა და სიდიდე მცირეა, ხოლო საქმიანობის ხარისხი დაბალია ან საშუალოა.

კვლევამ აჩვენა, რომ ტურიზმის მომსახურების ზოგადი კულტურა რეგიონში ძალიან დაბალია. არსებული ინფორმაციით, სპეციალური ორგანიზაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად პერიოდულად ახორციელებენ გადამზადებებს და ტრენინგებს. გარდა აღნიშნულისა, გამოიკვეთა საოჯახო სასტუმროებთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც გამოიხატება ერთი მხრივ, უცხო ენის არცოდნაში, მეორე მხრივ — მართვის საკითხების არასრულყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ საოჯახო სასტუმროების დიდი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ ინსტიტუციურ სტანდარტს (საუბარია დამკვიდრებულ, არაოფიციალურ სტანდარტზე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ დიდია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ძალისხმევა, ადამიანური რესურ-სების პროფესიულ გადამზადებაში. მსურველებს სთავაზობენ კურსებს ინგლისური ენის შესწავლასა და სტუმარმასპინძლობის ამაღლებაში. ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, რომელშიც განხორციელდება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები, რაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდებას შრომის ბაზარზე. პრიორიტეტად დასახელდა ასევე, მშენებლობის სფეროც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა შესაძლოა უარი თქვან ადგილობრივი, თუნდაც კვალიფიციური სამუშაო ძალი დასაქმებაზე, რასაც მათ საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს. მიუხედავად გამოკვეთილი პრიორიტეტებისა, ამჟამად სოფლის მეურნეობის სფეროში მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედებს მხოლოდ მცირე რაოდენობის რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომელთა სიდიდე და საქმიანობის ხარისხი შეფასებულ იქნა, როგორც „დაბალი“ ან „საშუალო“.

ტურიზმის სფეროში ძირითადად ფუნქციონირებენ მცირე საოჯახო სასტუმროები, რომლებიც არარეგისტრირებულები არიან და უმეტესად ჰყავთ არაკვალიფიციური პერსონალი (ძირითადად ოჯახის წევრები). რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ადგილობრივი კომპანიები ძირითადად მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იმარჯვებენ. მათი სიდიდე და საქმიანობის ხარისხის „დაბალი“ მაჩვენებლით იქნა შეფასებული. ამჟამად მუნიციპალი-ტეტებში ძირითადად გამოკვეთილია 2 სფერო: ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტებიც, თუმცა ისინი ისეთი მაშტაბურები არ არიან.

ტურიზმის სფეროში ფოკუს ჯგუფის მიერ დასახელდა პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადი იქნება შრომის ბაზარზე და მათ დასაუფლებლად აუცილებელი იქნება ცოდნისა და უნარების გადაცემა:

საოჯახო სასტუმროს მენეჯერი, სასტუმრო/სარესტორნო მომსახურების სპეციალისტი, მზარეული, სამკურნალო ტურიზმის სპეციალისტი, საფეხმავლო გიდი, ადგილობრივი გიდი. ასევე ძალზე მცირეა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და მსმენელებს გაატარებინონ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა საკუთარი საწარმოს ბაზაზე. ადგილობრივ მოსახლეობას (15 წლის ზემოთ და ზრდასრული) ექნება მზაობა ჩაერთოს სამივე პრიორიტეტული სფეროს პროფესიების, როგორც სწავლების, ასევე მომზადება/გადამზადების პროცესში.

დასკვნა: მთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და ტურიზმის სფეროს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი მთავრობის მიერ ინვესტირების განხორციელება ტურიზმსა და მის მომიჯნავე დარგებში. სტუმარმასპინძლობის სფეროში აუცილებელია ყურადღება მიექცეს პროფესიულ გადამზადებას და მართვის სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ.
2. ნ. ნადარეიშვილი. ტურიზმის მდგრადი განვითარების ამოცანები საქართველოში. შპს ჟურნალი „ეკონომიკა“ №1-2. 2019. გვ. 157-164.
3. ნ. ნადარეიშვილი. საქართველოში ტურიზმის დაგეგმვის საკითხისათვის. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N.5 (35). 2014. გვ. 121-127.

შიდ ეასპეცტოვბურის ცჰალლშბინდ მ ონტაზრუს Adjარა

Gogitidze Giorgi
Ph.D. student of Georgian Technical University

Nadareishvili Nana
Associate Professor of Georgian Technical University

შშმ არყ

Iნ რცინტ ეაჭ, სინიშცნატგიშეოცასბეეშ ზოცსელიზ ტვ ლეველეი ენტოშ ონტანუს რბიწს ინტვსოვიე ეცზოე ეცლეველეი ენტილიეოშბვ ბოშერმ ენტოშGeoრეაAცოოლიგლ, ა ლზ ("Moუნტაეგაზ") ჰასბეეშ რცეეშდ ტაგბრეშდსვარეს ზინცეაჯდსოეაჯდინტანეტტვ კეეელჯდეშ ს მ ონტეეს რბიწს, ეგისლოაე ტოლოტვ ზლ ოლოლ ეეელტტვ ბარ

Aლზრ, ბესიეს ტგბარ არ ტოოლტ ბაზოოგე- ტე Bლ ასეეა,ალსოოოცეინოზერაშტანდ ტოოლტ ტგბარეი Iტ სეელდ ენოზეზგტ სიტოეცაგ არ ზზვ ილოგზეეინტ მ ონტეეს ზოი, ანდ ეტ ეალ ალ.

Oგე სტზყ ოზზე მ ონტანს Adზრ (Khელეგბაშ),Keდა, შკუაკვეი,Khელეი) ონიცალეეე

ტურიზმის მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილების პირობებში

ვასაძე მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სარალიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე დღეისათვის საკმაოდ აქტუალური თემაა, ბოლო წლების განმავლობაში აკადემიურ წრეებში ამ თემასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი ნაშრომი ქვეყნდება. უკანასკნელ წლებში გამართული დებატები გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ტურიზმისა და კლიმატის ცვლილების კავშირი და რამდენად ზრდადია მკვლევართა ჩართულობა საკითხში. საკანონმდებლო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბევრად ჩამორჩება ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს და ვალდებულებებს. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები სრულად არ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, მიტიგაცია, ტურისტული დესტინაცია, გლობალური ტურიზმი, მდგრადი ტურიზმი

ძირითადი ტექსტი

ტურისტული დანიშნულების თითოეულ ადგილს გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური მიმზიდველობა. ეს განპირობებულია იმ აქტივობებით, რომელსაც ის სთავაზობს სტუმარს. ტურისტული დესტინაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს შარმი და იმიჯი, რომელიც არის მისი მაცოცხლებელი. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ადვილად მიღწევადობა. თუ ტურისტული დანიშნულების ადგილი გარკვეული მიზეზით რთულად მისაღწევად იქცევა ტურისტი იძულებული ხდება ეძიოს ალტერნატივა. კლიმატის ცვლილება ორივე ზემოთ განხილულს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მას შეუძლია შეცვალოს ტურისტული დანიშნულების ადგილის ბუნება, დააზიანოს ის და შეუქმნას სირთულეები ტურისტებს ტრანსპორტირებისას. კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა პროცესებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის იმიჯსაც. მათგან ზოგიერთი საქართველოთვის საკმაოდ აქტუალურია.

კლიმატის ცვლილება პრობლემებს უქმნის თბილ რეგიონებს. ტემპერატურა უკვე ხშირად სცდება არაკომფორულ ზღვარს რაც ტურისტულ სფეროს ძლიერ აზარალებს. ტურისტები ცდილობენ შეარჩიონ შედარებით გრილი ადგილები და დაისვენონ კომფორტულად. ასეთ შემთხვევაში ხდება ტურისტული სეზონის ცვლილება ანუ დამსვენებლები ცდილობენ ოდნავ მოგვიანებით ეწვიონ ასეთ ადგილებს, რაც ხშირად სასტუმროთათვის და ტურისტულ სფეროში ჩართული სხვა სუბიექტებისათვის პრობლემებთან ასოცირდება.

საკმაოდ სერიოზულ პრობლემად ითვლება სხვადასხვა დაავადებების გააქტიურება, რაც კლიმატის ცვლილებით არის გამოწვეული. ეს ტურისტულ ნაკადებზე რა თქმა უნდა მოქმედებს. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმები ამცირებს მთლიანი ტურისტული ვიზიტების რაოდენობას და, შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალსაც.

ლიტერატურის მიმოხილვა

კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე დღეისათვის საკმაოდ აქტუალური თემაა, ბოლო წლების განმავლობაში აკადემიურ წრეებში ამ თემასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი ნაშრომი ქვეყნდება. ბუნებრივია, არის აზრთა სხვადასხვაობაც, სწორედ ეს ჯანსაღი კრიტიკა და დიალოგი მიიჩნევა სფეროს განვითარების უმთავრეს წინაპირობად. პირველი გამოქვეყნებული დებატები გლობალური ტურიზმის მაკროეკონომიკური ანალიზის თემაზე გვხვდება შემდეგ მკვლევარებს შორის: გოსლინგი და ჰოლი (2006წ) და ბიგანო, ჰამილტონი, მედისონი და ტოლი (2006წ).

ძირითადი აზრთა სხვადასხვაობაა პრობლემის განმსაზღვრელი მოდელის შემუშავებასთან

დაკავშირებით. 2008 წელს ჰოლი, ბაქლი, ბეკენი და სკოტი აქვეყნებენ კვლევას დასასვენებელი ტურიზმის შესახებ. თავის ნაწილში ბეკენმა (2008წ) აღნიშნა,რომ კლიმატის ცვლილების გამოწვევა არის ტურიზმის შესაძლებლობა გახდეს უფრო გონივრული, სისტემური, სტრატეგიული და მდგრადი.

აღსანიშნავია 2011 წელს ვიუერის მოსაზრება, რომ ლიტერატურაში კლიმატის ცვლილებაზე არაპროპორციული ფოკუსირება შეიძლება გახდეს ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ხელის-შემშლელი ფაქტორი. მან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად წამოაყენა შვიდი თეზისი და დაასკვნა, რომ: „ტურიზმისა და კლიმატის ცვლილების შესახებ რუდიმენტული ცოდნის გამო საერთაშორისო საზოგადოების კრახი კონსენსუსის მიღწევასთან დაკავშირებით მოულოდნელი არ ყოფილა“.

სკოტის (2011) აზრით, კვლევები ტურიზმში ძალაუნებურად კავშირშია კლიმატის ცვლილების კვლევებთან, განსაკუთრებით გრძელვადიანი პერიოდის განხილვის შემთხვევაში. უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული კლიმატის შეფასებები მხოლოდ და მხოლოდ ამყარებს სკოტის მოსაზრებას.

უკანასკნელ წლებში გამართული დებატები გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ტურიზმისა და კლიმატის ცვლილების კავშირი და რამდენად ზრდადია მკვლევართა ჩართულობა საკითხში. ასევე აღსანიშნი და იმედისმომცემია თუ როგორი დოზით ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთის კვლევებზე. არაერთგზის მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და მკვლევარები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ცდილობენ საკითხის უფრო ფართო ჭრილში შესწავლას.

რა თქმა უნდა, ცოდნის ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს სოცია-ლური ქსელები. ისევე, როგორც ნებისმიერ სფეროში, ცოდნა ტურიზმისა და კლიმატის ცვლილების შემთხვევაშიც არის საჭირო მონაცემების მოგროვებისა და ორგანიზების, ასევე მისი სწორი ანალიზის შედეგი. ძალიან ხშირად მკვლევართა მთავარ მოტივატორად გვევლინება სურვილი რაიმე ტექნიკური სიახლის ან გაუმჯობესების მიღწევისა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მკვლევარს ამოძრავებს სურვილი გათავისუფლდეს თავს მოხვეული მოსაზრებებისგან. სხვადასხვა საკვლევი პარადიგმა შეგვიძლია მთლიანობაში შემდეგ კატეგორიებად დავახარისხოთ: პოზიტივიზმი, კონსტრუქტივიზმი და კრიტიკული თეორია.

ტურიზმისა და კლიმატის ცვლილების შესახებ არსებულ ნაშრომებში ძირითადი წილი მოდის კლიმატის ცვლილების გავლენასა და ადაპტაციაზე. ასევე პოპულარული თემაა მითიგაცია (შერბილება). თუმცა ძირითად შემთხვევებში ავტორები გვერდს ვერ უვლიან რომელიმე საკითხს და კომპლექსურად განიხილავენ პრობლემას.

ავტორები, რომლებიც ეხებიან კლიმატის ცვლილების ზეგავლენას ძირითადად გეოგრაფიულ არეალად ირჩევენ ევროპას (ალპები) და ჩრდილოეთ ამერიკას. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში კვლევის არეალი შედარებით გაფართოვდა. ასევე მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტად იქცა კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ზამთრის სპორტზე და შესაბამისად, ტურისტულ მოთხოვნაზე ზამთრის პერიოდში.

ტურიზმისა და კლიმატის ცვლილების შესახებ ლიტერატურა ძირითადად მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება ტურისტულ მოთხოვნასა და ტურისტულ ნაკადებზე. ეს კვლევები ეყრდნობა სწავლებებს ბიომეტეოროლოგიის სფეროში, რომელიც ცდილობს დაადგინოს ტურისტისათვის კომფორტული გარემო პირობები და კლიმატის ინდიკატორები. ასევე ზოგიერთ მკვლევარი აანალიზებს პოტენციურ ცვლილებებს ინფრასტრუქტურაში, აგრეთვე კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ახალ ტურისტულ მოთხოვნებს.

თუმცა, დღეისათვის მიდგომა შედარებით შეიცვალა და ძირითად საკვლევ საკითხად იქცა ტურიზმის ჩართულობა კლიმატის ცვლილებაში. ბიქნელი და მაკმანუსი (2006) აზრით, ზამთრის ტურიზმში ჩართული სუბიექტები არ მიიჩნევენ სასწრაფო და გადაუდებლად ამ საკითხის აქტუალობას. მოგვიანებით გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ ტურისტული სექტორი არ არის მზად ჩადოს ინვესტიცია კლიმატის ცვლილებთან ადაპტაციაში. თუმცა უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მკვეთრმა ცვლი-ლებებმა აიძულა სექტორი მეტი ყურადღება დაუთმონ აღნიშნულ საკითხს. შესაბამისად, ინტერესი ძალიან მზარდია.

საკმაოდ დიდი დრო ეთმობა ტურიზმისა და მითიგაციის პოლიტიკის განხილვას. განსაკუთრე-

ბით აქტუალურია კვლევები ავიაციის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორში გამოყენებადი სხვა სატრანსპორტო საშუალებებიც. გარდა ტრანსპორტისა აქტუალური ხდება განთავსების საშუალებების მიერ სათბური აირების ემისიის კვლევაც; თუ როგორ უნდა განიკარგოს სწორად ენერგია გარემოზე მინიმალური ზიანის მისაყენებლად. არაერთ კვლევაში აღნიშნულია განახლებადი ენერგიის გამოყენებაც ტურისტულ სფეროში. შედარებით მცირე ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ტურისტული აქტივობების შედეგად გარემოსადმი მიყენებული ზიანს.

კლიმატის ცვლილების შერბილებაზე არსებული კვლევების ძირითად საკითხს წარმოადგენს შემდეგი: რამდენად ცვლის ტურისტი საკუთარ გეგმებს რათა მინიმალური გავლენა მოახდინოს გარემოზე. მიღებული შედეგები ორაზროვანია. რა თქმა უნდა, არსებობენ გარემოზე მზრუნველი და განათლებული მოგზაურები, თუმცა, მათი რიცხვი პროცენტულად მცირეა. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება თუ რამდენად იცვლება ზიანის მიყენების მაჩვენებელი მოგზაურობისას. ანუ რადენად ნაკლები ზიანი მიადგებოდა გარემოს, გარემოზე მზრუნველი ტურისტის ყოველდღიური ცხოვრების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული სექტორი სულ უფრო მეტად არის ჩართული კლიმატის ცვლილების საკითხებში, აკადემიური კვლევები, რომლებიც ეძღვნება ტურიზმის პოლიტიკას და კლიმატის ცვლილებას ძალზედ იშვიათია.

მას შემდეგ რაც ტურიზმსა და კლიმატის ცვლილებაზე პირველი ნაშრომი გამოქვეყნდა (1986), კვლევათა რიცხვი წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. განსაკუთრებული დაინტერესება არის ახალი საუკუნის პირველი წლებიდან. რაც შეეხება გეოგრაფიულ განაწილებას, აღნიშნული საკითხით აშკარად ინტერესდებიან მკვლევრები განვითარებული ქვეყნებიდან, რაც საინტერესო ფაქტია. საკვლევი ობიექტებიდან უმრავლესობა ასევე განვითარებული ქვეყანაა. ლიდერობას ინარჩუნებს ევროპა და ხმელთაშუა ზღვისპირეთი. მკვლევართა დიდი ნაწილი აქცენტს მთლიანად დედამიწაზე აკეთებს. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათი გამოყენება საკვლევად ძალზე იშვიათი შემთხვევაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი მზარდია.

საქართველოს კანონმდებლობა კლიმატის ცვლილების შესახებ მოიცავს

როგორც გარემოს, ისე ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში მოქმედებს ძირითადი ე.წ. ჩარჩო კანონებს: საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12. 1996. N 519-Iს) და საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (10.12.1997. N 1139 -Iს)., აგრეთვე, საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999). ეს კანონი ყველაზე მნიშვნელოვანია და გააჩნია პირდაპირი მიმართება კლიმატის ცვლილების სამართლებრივ ასპექტებთან. კლიმატის ცვლილების სფეროში დასახული იქნა შემდეგი გრძელვადიანი (20 წელი და მეტი) მიზნები, შემუშავბულია გზამკვლევი სამოქმედო გეგმისთვის - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა თბური ტალღების გავლენისგან. არდა ამისა, არსებობს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები რომლებზეც საქართველოა მიერთებული, მითუმეტეს, რომ მათ აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCC-1992), რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს. კლიმატის ცვლილებასთან კავშირშია სხვა გარემოსდაცვითი კონვენციები და ხელშეკრულებები. მათ შორის აღსანიშნავია: გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD-1992), რომელსაც საქართველო 1999 წელს შეუერთდა.

კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD-1992) ქმნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების სამართლებრივ საფუძვლებს.

ამ მიმართულებით უპირატესობა ენიჭება ე.წ. „ეკოსისტემური მომსახურების მიდგომაზე“ დაფუძნებულ ადაპტაციის მეთოდებს. აგრობიომრავალფეროვნების კუთხით, როგორც საადაპტაციო ღონისძიება - განიხილება გენეტიკური ბანკების ფორმირება და მათი ეფექტური ფუნქციონირება19. მიმართულება კონვენციის მხარეებისთვის ხელშემწყობ სამეცნიერო-ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

მერების შეთანხმება— ინიცირებულია ევროკავშირის მიერ ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით მუშაობენ ენერგიის ეფექტურობის ზრდასა და

განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე თავიანთ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერების მიზანია CO2-ის ემისიების მინიმუმ 20%-ით შემცირება 2020 წლისთვის, რითაც წვლილი შეაქვთ მწვანე ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ინიციატივა გაცდა ევროკავშირის ფარგლებს და მას შეუერთდნენ სხვა ქვეყნები, მათ შორის საქართველოც. ამჟამად საქართველოს მხრიდან შეთანხმების ხელმომწერია 13 ქალაქი, აქედან 8-ს გააჩნია მოქმედებათა გეგმა.

დასკვნა

მთელს მსოფლიოში აშკარად იგრძნობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ადამიანური ფაქტორი ამ ყველაფერში ძალიან დიდ როლს თამაშობს. კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ აქტიურ „ხელის შემწყობად“ ტურიზმის ინდუსრტიაც სახელდება. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანების გადაადგილება ერთი წერტილიდან მეორეში, მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა ტურისტული აქტივობები ზრდის მავნე აირების გამოყოფას და გარემოს დაბინძურების ხარისხს.

ტურიზმის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად აუცილებელია შესაბამისი რეფორმების გატარება და სწორი პოლიტიკის შემუშავება, რაზეც ყველა თანხმდება. საკითხის შესწავლა აკადემიურ წრეებში უფრო და უფრო ღრმად მიმდინარეობს, რასაც ადასტურებს აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა თვალშისაცემი ზრდა.

თუ საკითხის შესწავლის ადრეულ სტადიაზე ძირითადი საკვლევი თემა იყო კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა ტურიზმის ინდუსტრიაზე, დღეისათვის მიდგომა შეიცვალა და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ტურიზმის როლს კლიმატის ცვლილების პრობლემის მოგვარებაში და მითიგაციის პროცესში.

აკადემიურ წრეებში აქტიური დისკუსია არის გამართული, თუ როგორ უნდა მოხდეს ტურიზმის პოლიტიკის სწორად შემუშავება ისე, რომ სფერომ მინიმალური ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და ამასთან არც ინდუსტრია დაზარალდეს.

საქართველოში აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. მართალია არსებობს გარკვეული რეგულაციები საკანონმდებლო დონეზე, თუმცა უფრო კონკრეტული ზომების მიღებაა აუცილებელი. პრობლემის გადაჭრაზე მუშაობა სწორედ საკითხის სათანადო შესწავლით უნდა დაიწყოს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს საკითხი საქართველოსნაირ განვითარებად და ამავდროულად ტურისტულად აქტიურ ქვეყნებში განსაკუთრებით აქტუალურია.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საკანონმდებლო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბევრად ჩამორჩება ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს და ვალდებულებებს. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები სრულად არ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში და მეტწილად ზოგადი ნორმებისა და პრინციპების სახით გვხვდება. ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2007-2009.
2. საქართველოს პირველი ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციისადმი, 1999.
3. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციისადმი, 2009;
4. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შერბილების პრაქტიკის საბაზისო შეფასება ადგილობრივ დონეზე საქართველოში, საქართველოს

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, USAID, 2013. http://nala.ge/page/42
5. საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, 1999;
6. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, 2013, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/
7. ᲓᲔᲑᲘᲢᲜᲐᲛᲐᲢᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲰᲐᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲠᲐᲝᲑᲘᲗᲘ, UNDP/ENVSEᲩ, 2011
8. ᲩᲚᲘᲐᲜᲘ ᲰᲐᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲛᲔᲑᲘ ᲠᲐᲝᲑᲘᲗ, A VᲘᲜᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔ ᲔᲜᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ 2011
9. AᲑᲔᲒᲒ, B., Kö ᲜᲘᲒ V., BüᲠᲗᲘ,Დ., & EᲚᲜᲐᲠᲗᲘ H. (1998). ᲩᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲰᲐᲜᲒᲘᲡ ᲐᲡᲘᲜᲘᲡᲛᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
10. AmᲔᲠᲘᲙᲐ, B., NichᲝᲚᲡᲝᲜ, & VᲘᲜᲗᲠᲝᲑᲘᲡ D. (2007). ᲘᲛᲞᲚᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲰᲐᲜᲒᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲫᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
11. BᲔᲪᲕᲔᲜ, Ш., & HuᲑᲔᲠᲗ, K. (2013). ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ OpᲘᲠᲝᲜᲘᲡᲛᲘᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ MaᲜᲐᲒᲔᲛᲔᲜᲢᲘ.
12. BᲝᲠᲘᲡ, A., AnᲓᲔᲠᲡᲝᲜ, K., & PᲔᲢᲔᲠᲡᲝᲜ P. (2009). AᲘᲠᲗᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲪᲚᲝᲒᲕᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲐᲜᲓ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲓ HoᲡᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ & DeᲕᲔᲚᲝᲞᲛᲔᲜᲢᲘ.
13. GöᲚᲜᲔᲠᲗᲘ, Ш., Hall, M., PᲔᲢᲔᲠᲡᲝᲜ P., & ᲨᲘᲪᲘᲜᲘ D. (2010). ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔ: ᲩᲐᲜ ᲛᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲜᲓ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲞᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲪᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ.
14. LᲐᲜᲓᲐᲣᲠ M., PᲠᲘᲡᲢᲚᲔ., & HaidᲔᲠ . (2011). MaᲜᲐᲒᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡ-ᲪᲘᲜᲢᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ;
15. PᲝᲚᲘᲐᲜᲘ, B., ᲩᲝᲠᲩᲚᲘ, A., & McNaᲛᲐᲠᲐ, K. (2010). AᲡᲔᲡᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ.
16. ᲯᲔᲘᲠᲘ D. (2011). ᲩᲐᲜᲡᲢᲐᲜᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲬᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲗᲘᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲔᲕᲔᲚᲝᲞᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲜᲒᲘ

Vasadze Manana
Associate Professor of Georgian Technical University

Saralidze Tamar
PhD student of Georgian Technical University

ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲘ

PᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲠᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲛᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲛᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ

Covid19-ის ზეგავლენა ტრენინგ ინდუსტრიაზე

კანაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბერიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ბიზნეს სექტორისთვის თანამშრომლები ორგანიზაციის მნიშვნელოვანი აქტივია. ადამიანური კაპიტალის სწორად განვითარება დიდ როლს თამაშობს კომპანიის წარმატებაში. 2020 წელს Covid19-ის ინფექციით გამოწვეულ იზოლაციამდე, მკაფიოდ ჩანდა გლობალურად და ლოკალურად ტრენინგ მონაწილეების დადებითი დამოკიდებულება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებისადმი. მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა კი ტრენინგ ინდუსტრია ვირტუალურ რეალობაში გადაიტანა და სწორედ პრაქტიკის, მონაწილისადმი უკუკავშირის მიცემის მწირე შესაძლებლობა იქცა თანამედროვე სასწავლო პლატფორმების გამოწვევა საქართველოშიც. პრაქტიკული კურსები, რომელიც ვერ მოერგო ციფრულ ინდუსტრიას, გაჩერდა და მნიშვნელოვნად აისახა ტრენინგ ცენტრებსა და სასწავლო პრაქტიკულ დაწესებულებებზე.

Covid-19 ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებები მოახდინა, ეკონომიკურ, პროფესიულ და პერსონალურ დონეზე- ტრენინგ ინდუსტრია გამონაკლისი არ ყოფილა. სოციალური დისტანციური პერიოდის განმავლობაში ტრენინგების შესანარჩუნებლად, გლობალურად ტრენინგის ინდუსტრიაში მოქმედი ორგანიზაციების უმეტესობამ შეიმუშავა ვირტუალური სასწავლო პროგრა-მების შეთავაზების გზები. ასეთი სწრაფი გადასვლა ვირტუალურ პლატფორმაზე ამ სფეროსთვის, როგორც ტრენინგის ჩატარების პირველად საშუალებად, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა ტრენინგის ინდუსტრიაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ან შესაძლოა ოდესმეც. ამ ქცევის გამყარება კი დაიწყო მხოლოდ რამდენიმე თვეში და სტატიაში შევეხებით რა მკაფიო გამოწვევები დადგა საქართველოში ტრენინგ ინდუსტრიაში Covid19-ის შედეგად.

საკვანძო სიტყვები: **ადამიანური კაპიტალის განვითარება; ტრენინგ ინდუსტრია; პანდემიის შედეგად გამოწვევები;**

ბოლო ათწლეულის მანძილზე ტრენინგ ინდუსტრიაში ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებად ასახელებენ: ტექნოლოგიურ ცვლილებებს, მეტიც ტრენერის და ტრენინგ მენეჯერის კომპეტენციაშიც მკაფიოდ ფიქსირდება ტექნოლოგიური უნარები; Covid19-მა კი ტექნოლოგიურ პროცესზე ყველაზე დიდი აჩქარება გააკეთა და ონლაინ სწავლების ინდუსტრიად გარდაიქმნა დროებით ან გარკვეული ტრენინგ მოდულების შემთხვევაში შეიძლება ხანგრძლივი პროცესითაც. მონაწილეები მეტს ითხოვენ ვიდრე ტრენინგისგან მიღებული მოტივაციაა და სურთ მეტი პრაქტიკა, ჩართულობა და მათ სამუშაოზე დაყრდნობილი რელევანტური ინფორმაცია, რომელსაც რეალურ სიტუაციებში გამოიყენებენ. გლობალურად შერეული (Blended) მოდელი, რომელიც გულისხმობს პირპისპირ ტრენინგებს და ვირტუალურ-ტექნოლოგიურად შერწყმულ სწავლებას, რაც უფრო მოთხოვნადი ხდება. მასალებთან, ინფორმაციასთან 24 საათიანი წვდომა განიხილება ონლაინ სწავლების ერთ-ერთ უპირატესობად.

ტრენერთა ასოციაციამ ლაბორატორია Z-თან ერთად დაიწყო Covid-19-ის ზეგავლენის კვლევა ტრენინგ ინდუსტრიაზე და სანამ გაგზავნილ-გავრცელებულ კითხვარზე გვექნება შედეგები, ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია, სადაც სატელეფონო ინტერვიუთი 110 -ადამიანი გამოვკითხეთ, იკვეთება შემდეგი: გამოკითხულთა 51% „დავესწარი ტრენინგს“ უწოდებს, სოციალური ქსელით გავრცელებულ ვიდეო- ჩანაწერებს. დისტანციური სწავლების დროს გამოკვეთილ პრობლემებად ასახელებს: ინტერაქციის ნაკლებობას, ტექნიკურ ხარვეზებს, ყურადღების კონცენტრაციის პრობლემას სახლის პირობებში, განსაკუთრებით თუ ჰყავთ შვილები; ონლაინ სწავლებისას ნაკლებ ხარისხს. ონლაინ პლატფორმით, როდესაც ჩატარდა გამოკითხვა 420-რესპოდენტიდან 380 ამბობდა, რომ ურჩევნია პირისპირ სწავლება- ხოლო მხოლოდ 40 მონაწილე აფიქსირებდა აზრს, რომ მისაღებია დისტანციური

სწავლება; გლობალურად და ლოკალურად ონლაინ სწავლების ქცევის გადატანა მატებაშია და ნელ-ნელა შეიძლება მეტი შერეული (Blended) მოდელი დაინერგოს საქართველოშიც.

შევეხოთ Covid19-ის შედეგად დამდგარ რეალობას სხვა ქვეყნის მაგალითზე. ფაქტები საგანგაშოა: ამერიკის შეერთებულ შტატებში შრომის სტატისტიკის ბიუროს თანახმად უმუშევრობის დონე 14.7%-ია, რომელიც ყველაზე დიდი მაჩვენებელია „დიდი დეპრესიის" ეპოქის შემდეგ. Covid19-ის პანდემიის დროს დაახლოებით 8 კვირაში 36 მილიონმა ამერიკელმა დაკარგა სამსახური, პანდემია არ შეჩერებულა და განაგრძობს ზეგავლენას ბიზნეს ოპერაციებზე და უქმნის რეალურ საფრთხეს თანამშრომლებს, განსაკუთრებით წინა ხაზსს და საფრთხე ემუქრებათ მათ საარსებო მინიმუმს.

სონია მალიკი IBM-სწავლების სპეციალისტი და მრჩეველი ამბობს, რომ ახლა გასაკუთრებით მაღალია ტრენინგ ინდუსტრიის როლი ბიზნეს შედეგების უკეთესად წარმართვაში და თანამშრომლების ახალი უნარებით გადამზადებაში, რათა დაეხმარონ ადამიანურ კაპიტალს უპასუხონ ახალ მოთხოვნებს, გამოწვევებს და საჭიროებებს. შესაძლოა ტრადიციული ტრენინგების ჩატარების მიდგომა შეიცვალოს და მეტი ყურადღება დაეთმოს ახალ მიმართულებას, რომელიც Covid-19-მა წამოჭრა და გულისხმობს, თუ თანამშრომლები მუდმივად ცვალებად გარემოში არიან, წელიწადში ორჯერ ტრენინგზე მეტად მაღალი ღირებულება ექნება მიმართულებას, რომელიც მკვიდრდება: „UpSkilling Training"- რომელიც გულისხმობს არსებული თანამშრომლების ახალ უნარებში გადამზადებას. UpSkilling =კონცეფცია დგას მუდმივ სწავლებზე. ორგანიზაციულ კულტურაში თავს იმკვიდრებს, როგორც სიახლეების მიღებისა და სწრაფ დანერგვაზე. მეთოდები: Personal Development Plans -პერსონალური განვითარების გეგმა- თანამშრომელი თავად წერს თავის საჭიროებებს; თავის უნარების ანალიზს აკეთებს და თვით-განვითარების გეგმას უგზავნის ტრენინგ მენეჯერს/ ტრენერს;

Allocate Time During the Workday - კომპანია უფლებას აძლევს თანამშრომელს ჰქონდეს სწავლებისთვის თავისი დრო და აკეთებს შიდა შეხვედრებს ახალი გამოცდილებების გასაზიარებლად;

Job-Specific Upskilling/Credentialing Programs -სამუშაოზე დაფუძნებული სიახლეებით აღჭურვა. მენეჯერი/სუპერვაიზერი/ დარგობრივი ექსპერტი-ამარაგებს ორგანიზაციას დარგობრივი სიახლეებით.

Lunch and Learns - კვება (ლანჩი) და სწავლა; კვების დონის მნიშვნელობის მინიჭება სწავლებისთვის. კონკრეტული დროის გამოყოფა და სწავლის ქცევაში მოყვანა. ეს მიმართულება ნელ-ნელა ვითარდება, რადგან მუდმივად ცვალებად გარემოში უცვლელად ვერ დარჩებოდა ტრენინგები. გლობალური მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიის განაცხადში Covid19-ის დროს იქნა გაჟღერებული: კომპანია McKinsey: "ახლა ის დროა, რომ კომპანიებმა შეამცირონ ტრადიციული სწავლის ბიუჯეტი და მიიღონ პასუხისმგებლობა Reskilling - Upskilling- თანამშრომელების ახალი უნარებით მომზადება- გადამზადების მიმართულებით. ამ ნაწილის განვითარება ასევე დაიცავს კომპანიებს მომავალი რისკ-ფაქტორის შემცველი შემთხვევებისგან.

გლობალურად და საქართველოში ტექნოლოგიურად და მუდმივად განახლებადი ინფორმაციით აღჭურვა ტრენინგ ინდუსტრიის მიმდინარე გამოწვევად რჩება განსაკუთრებით Covid19-ის პირობებში.

დასკვნა

თანამედროვე ეპოქაში ბიზნეს სექტორის წინაშე მწვავე გამოწვევებია, განსაკუთრებით კი პანდემიის პირობებში, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ფინანსურ-ეკონომიკურ პროცესებზე გლობალურად. ბიზნეს სექტორის ამოცანაა შექმნას სწავლა-განვითარების, ტრენინგების ისეთი სტრა-ტეგია, რომელიც შეძლებს გაუძლოს გამოწვევებს და მოახდინოს ადამიანური კაპიტალის განვითარება შეცვლილ რეალობაში. უმუშევრობა, რომელიც მზარდი რიცხვია- შეიძლება შეაჩეროს ახალ უნარებში გადამზადება-მომზადების პროცესმა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ტრენინგ ინდუსტრიისადმი მზარდი ინტერესის ფონზე - ტრენინგ პროცესების სწორად განვითარება-დაგეგმვა და ჩატარება.

ტრენინგ ინდუსტრია ბოლო ათწლეულში შეიცვალა და უფრო ხელშესახებ ცვლილებებს მოითხოვს, მოლოდინი ტრენინგებისადმი უფრო მაღალია და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სულ რამოდენიმე თვეში ტრენინგ სექტორი-აიძულა ვირტუალურ რეალობას მორგებოდა. ციფრულმა ინდუსტრიამ ტრენინგები გახადა როგორც ხელმისაწვდომი, უფრო მასობრივი, ასევე გამოჩნდა არა

ერთი პრობლემა ციფრულ პლატფორმებზე გადაწყობისას. სწორად შერჩეული სწავლება კომპანიისთვის დაზოგილი დრო და ფინანსებია. ტრენინგებს, გადამზადებას შეუძლია უკეთ შეახვედროს ადამიანური კაპიტალი გამოწვევებს და მოამზადოს ისინი ახალი რეალობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Harvey 2002; Harvey, Matt & Milord 2002; Jackson 2002; Kamoche 2002; Kamoche, Debrah, Hortwiz & Muuka 2004; Kraak 2005
2. **ტრენერთა ასოციაცია,** www.Trainup.ge
3. www.efrontlearning.com
4. https://trainingindustry.com/
5. https://www.businesswire.com/

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფუზია

Kanashvili Tamar
PhD student of Georgian Technical University

Beridze Tamar
Professor of Georgian Technical University

შუამდინარეობა

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტექნიკური ცვლილებების ფონზე ტექნიკურ სფეროში ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას ადგილი ბრალეულია. ეკონომიკა ინფორმაციულ ეტაპზე ტასოფტ ბუნების სეტორისტრო ცესებზე სტრატეგიულ-ფინანსურ ენტუზიაზმი, ინოვაციურ ტალანტი ცვალებადობა ინდივიდუალურ ან ეროვნულ ეკონომიკურ დონეზე.

Unემ კლიენტ ენტ,ინოვაციის ტექ ოს, ეფექტურ პერტ პროდუქციის ოპტიმიზაციი ან ტოლგ ინნოვ სიმლაფის ი პროტოტიპირებ Geoრიატორებ ბიზ ნეს ინფორმაციე ტოლი ინფორ- ტექ პროფესიონალ ენტანდ კლიენტ ბეფორ ეფექტურ ტოლი.

ინფორმაციული ინფორმაციასეანბედინფელ ლიფეიდ ანდ რეიტინს ოფ ტალიზაციებს;Eხეფექტიანობ ინოვ ბერ ფორ ტოლ პატიენტ ფრტოლ ანდ ტექ ტექნოლოგიერ ინ ფასტ ფუ მ ინტეგ ას ფროფ ტე ტოლ სეტორ ფალეფენ ინფალიდ ინფე დიტალ ინტეგ ას მ ალ ტოლ ბიზ ბიზ ოფ ალ ინფ ასეფ, ანდ ტექ ას აპეარდნუ ბერ ფარ ინფალ ინ ფალ ინ დიტალ ინ. Pროფესიონალ ფალ ინ ისა ბრალ ინ სა ბერ ფრB ფინ ინ ფეტ ინ, რა ინ ან ბეტ ინ ან ალ ინ ან ალ ინ ალ ინ.

ღვინის როლი საქართველოს ტურიზმში

მამფორია ნანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს, რასაც მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა და ისტორიული ფაქტი ადასტურებს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მეღვინეობასთან დაკავშირებული, ათასწლეულებით დათარიღებული მრავალი ექსპონატი. ქართული ღვინის მეწარმეებმა შეძლეს მემკვიდრეობით მიღებული უნიკალური ვაზის ჯიშების, ღვინის ტრადიციული კერების ამოქმედება და მსოფლიოს ბაზარზე გასვლა. ხარისხის გაუმჯობესების გზით საქართველო ევროპულ და ამერიკულ ბაზრებს იზიდავს.

საკვანძო სიტყვები: ვაზი, ღვინო, ყურძენი, ინდუსტრია, საქართველოს ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, არქიტექტურა, განვითარება.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე მსოფლიოში ღვინო ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, ზოგიერთი ღვინოს ყოველ საღამოს წრუპავს, დაღლილობის მოსახსნელად, ხასიათზე მოსასვლელად, მოსადუნებლად, საჭმლის უკეთ მოსანელებლად, განსაკუთრებული კერძისთვის ხანდახან განსაკუთრებულ ღვინოსაც ხსნიან ხოლმე... ღვინით აღვნიშნავთ დაბადების დღეს, ქორწილს, ნათლობას, სხვადასხვა საერო თუ სასულიერო დღესასწაულს. ადამიანს უკანასკნელ გზაზეც ღვინით აცილებენ, მის გარეშე წარმოუდგენელია ქელეხი... ღვინოს ვსვამთ მეგობრულ შეხვედრებზე, შინ და გარეთ, ოჯახსა და რესტორანში, კაფესა და ბუნების წიაღში. საქართველოში უკვე დეგუსტაციებიც კი იმართება, სადაც ღვინოს პროფესიონალები და მოყვარულები ერთად სინჯავენ, აფასებენ და სწავლობენ, იმახსოვრებენ სასურველ ღვინოებს, ინიშნავენ სახელებს.

ხშირად ჩნდება კითხვები: როგორი უნდა იყოს კარგი ღვინო? როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ხარისხიანი და უხარისხო ღვინო? ვის ვენდოთ? როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომები ღვინის შეძენისას? რა უნდა ვიცოდეთ პირველ რიგში ღვინის შესახებ? როგორ შევუხამოთ ღვინო და კერძი ერთმანეთს? კიდევ ბევრი ასეთი კითხვა არსებობს, და პასუხებს ამ კითხვებზე მხოლოდ ცოდნით და გამოცდილებით თუ გავცემთ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველო, ღვინის კულტის ქვეყნიდან ღვინის კულტურის ქვეყნად იქცეს. კარგია, რომ დღეს საქართველოში ღვინის აღორძინების ხანა დგას, ჩნდება ახალი მარნები, იცვლება ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება ზოგადად ღვინისადმი, სულ უფრო მეტი უცხოელი სპეციალისტი, ღვინის ვაჭარი თუ მომხმარებელი ინტერესდება ქართული ღვინით და ეს ყველაფერი იმის გამოა, რომ ქართული ღვინო პოულობს თავის თავს და თავის ადგილს მსოფლიო ღვინის უზარმაზარ ოჯახში.

ღვინის ტურიზმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებულ ბიზნესად და საკუთარი კულტურის დემონსტრირების ეფექტურ საშუალებად ითვლება. ღვინის ტურიზმი მოიცავს ადგილობრივ ლოკალური კულტურის ცოდნას, ასევე ინფორმაციის გადაცემას. უშუალოდ, ამ დარგის დამკვიდრებულ ტენდენციად ქცევა უამრავ სხვა საკითხებსაც ეხება, თუმცა ეს დარგი არ გულისხმობს მარტო უცხოელების დაინტერესებას, არამედ იგი ქართველების ცნობიერების ამაღლებასა და ღვინის კულტურის უკეთ გაცნობას საჭიროებს. ქართულმა ღვინომ საერთაშორისო ბაზარზე გასვლა მოახერხა. უცხოელებს, რომლებიც ჩვენი ღვინით ინტერესდებიან, შეუძლიათ თანამედროვე ქართულ რეალობას, კულტურას და სხვა ღირსშესანიშნაობებს უფრო ახლოს გაეცნონ. ესეც გააზრებული და წინ გადადგმული ნაბიჯია ღვინის ტურიზმის ასაღორძინებლად. ღვინის ტურიზმი მზარდი პროცესია. წინასწარ იმის თქმა, რომ ეს მიმართულება ჩვენთან განვითარებულია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ჯერ კიდევ გვაკლია ცნობადობა და უცხოელების დაინტერესება.

ვაზის სამშობლოში ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის საკმარისი რესურსი არსებობს. ამის საფუძველს საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გვაძლევს. მსოფლიოში ცნობილი

2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია. საქართველოს შეუძლია სასიკეთოდ გამოიყენოს ყურძნის უნიკალური ჯიშების სახით არსებული რესურსი. ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს ღვინის ტურიზმმა, რომლის პერსპექტივაც დიდია საქართველოს ღვინოების სიმრავლის, რელიეფის თავისებურების, კერძებისა და ფოლკლორული მრავალფეროვნების გამო.

საქართველოში ძალიან დიდი პერსპექტივა არსებობს ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის, არსებობს მოთხოვნაც. უბრალოდ ხშირად ღვინის ტურიზმსა და ღვინის ტურზე არასწორი წარმოდგენა აქვთ. ღვინის ტურიზმი არ არის მხოლოდ ის, რომ მიხვიდე რომელიმე კომპანიაში და დააგემოვნო ღვინო. ღვინის ტურიზმი მაშინ იქნება გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი, როდესაც ტურისტი უშუალოდ იქნება პროცესში ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ტურიზმს აქვს დიდი პერსპექტივები, ბევრი რამ მოსაწესრიგებელი და დასალაგებელია. იყო მცდელობა ამ ყველაფრის გააზრებისა და შეიქმნა კიდეც სხვადასხვა სტრუქტურები. დიდ კომპანიებში, ქარხნებში, ასევე კერძო მარნებში დაიწყო ღვინის ტურიზმის განვითარება, მაგრამ ამ ყველაფერს ხშირად არ აქვს სათანადო სახე. თუმცა ეს ალბათ ადგილობრივი მარკეტინგის პრობლემაა. ამ ტურების შეფუთვა ხდება ძალიან უბრალოდ და ხშირად ტურისტისთვის ის არ არის საინტერესო. როდესაც მიდიხარ ქარხანაში, სადაც გახვედრებენ 2-3 სახეობის ღვინოს, ძალიან მშრალად გიყვებიან ამა თუ იმ ისტორიას და ეს ტური დეგუსტაციასთან ერთად სრულდება ნახევარ საათში - 40 წუთში, რაც არ არის საკმარისი და ტურისტი ხშირად რჩება უკმაყოფილო. პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რას ითხოვს მასპინძლისგან და რა მოლოდინით მოდის ტურისტი. ხშირად მოლოდინი გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც ხვდებათ ადგილზე.

ღვინის ტურიზმის განვითარებას აფერხებს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დღეს ჩვენს წინაშე დგას. თვალშისაცემია ინფრასტრუქტურის არარსებობა, ინფორმაციის ნაკლებობა. აუცილებელია ინფრასტრუქტურის უკეთ მოწყობა. მნიშვნელოვანია დეგუსტაციისას ღვინოსთან მხოლოდ ადგილობრივი კერძების შეხამება, ისევე როგორც მნიშვნელოვანია ტიპიური არქიტექტურის, ჩაცმულობისა და ღვინის ჭურჭლის შერჩევა. ასევე თვალშისაცემია გიდების განათლებისა და სერთიფიცირების პრობლემა. ყველას შეუძლია იყოს გიდი, არანაირი დამდასტურებელი მოწმობა მას არ სჭირდება. ზოგი გადამზადებულია, ზოგი კი - არა. ღვინის ტურიზმში მეტი და სიღრმისეული ცოდნაა საჭირო, რათა ტურისტებმა შეძლონ და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია.

ამდენად, აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა არის სინამდვილეში ღვინის ტურიზმი და რისთვის ჩამოდის ქვეყანაში ღვინით დაინტერესებული ტურისტი. ღვინის ტურში მონაწილე ადამიანებს ყველაზე მეტად ადგილობრივი ღვინო, მისი ისტორია და კულტურა ხიბლავთ. ეს საქართველოს არ აკლია. უბრალოდ, საჭიროა ამ ყველაფრის სწორად გამოყენება ვისწავლოთ.

დასკვნა

ღვინო ცალსახად არის დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასმელი, რომელიც მხოლოდ ალკოჰოლზე გაცილებით მეტია. მას უდიდესი და ისტორიული დანიშნულება ქონდა და აქვს კონკრეტულად საქართველოში. ქვეყანაში, რომელიც უკვე ოფიციალურად არის აღიარებული ღვინისა და ვაზის სამშობლოდ. ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვინოს. ვაზი, ისევე როგორც საქართველო, არაერთი მტრის შემოსევას გადაურჩა და სიმბოლურია რომ გადარჩენის ერთ-ერთ მიზეზად ღვინოც შეიძლება ჩაითვალოს. ღვინის ტურიზმი აშკარად არის ის სფერო, სადაც საქართველოს შეუძლია წარმატების მიღწევა.

საქართველოსთვის ღვინო ტურიზმისა და ბიზნესის განვითარების ყველაზე კარგი საშუალებაა, რასაც რა თქმა უნდა, ჭირდება სახელმწიფოს მხრიდან მეტი დაინტერესება და ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამე გაკეთდა და ეს სფერო ბოლო დროს აშკარად გამოცოცხლდა, არის კიდევ ბევრი პრობლემა, რომლის მოგვარებაც აუცილებელია. აღსანიშნავია ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, არასტაბილურობა ღვინის შიდა ბაზარზე, რომელიც აღნიშნული საქმით დაინტერესებულ პირებს არ აძლევს საშუალებას ჩაერთონ საქმეში. აღსანიშნავია განათლების პრობლემაც. უფრო მეტი ცოდნა და განათლებაა საჭირო, რათა უფრო მეტად წარმატებულ სფეროდ იქცეს ღვინისა და ღვინის ტურიზმის ინდუსტრია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://iberiana.wordpress.com/saqartvelo/koguashvili/
2. http://www.nationalgeographic.ge/
3. http://vinoge.com/
4. https://matsne.gov.ge/
5. http://forbes.ge/
6. https://allwine.ge/
7. https://www.radiotavisupleba.ge/a/24401741.html

[illegible] ine in G[illegible] [illegible]

Mamporia Nani
Associate Professor of Georgian Technical University

[illegible] [illegible]

Geo[illegible]ანწ[illegible]ნე ჰას ბეშ ცოსტ[illegible]ლ[illegible]ვ[illegible]ბ სინცეტ[illegible] ენდ ოზ[illegible] XX ტ[illegible], ანდ ბიოზ[illegible]ნდ ბიდ[illegible]ნამ ი[illegible] ზ[illegible] [illegible]ნ ჰას ალ[illegible]ეშ ესტ[illegible]ნ Geo[illegible]ანწ[illegible]ნემ აკერ ჰავ[illegible] ვენეტ[illegible]ლ[illegible]ნ[illegible]ნ[illegible]ნ

COVID-19 და მისი გავლენა სასტუმრო ბიზნესზე

მეტრეველი მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დოლიძე თინათინ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

COVID-19-ის პანდემია ახალი გამოწვევა აღმოჩნდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის. ეკონომიკის დარგებიდან, ყველაზე მეტად ტურიზმის სფერო დაზარალდა. კერძოდ, სასტუმრო ბიზნესი სრულ კოლაფსში აღმოჩნდა, შესაბამისად, შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლებიც.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მცირე და საშუალო ზომის სასტუმროები მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ - უნდა გადაეხადათ გადასახადები, გაესტუმრებინათ საკრედიტო დავალიანებები ბანკებისთვის და საფინანსო ვალდებულებები პარტნიორებისთვის, შეენარჩუნებინათ სამუშაო ადგილები და სისრულეში მოეყვანათ მომსახურების ახალი ნორმები და რეგულაციები. მსგავსი გამოწვევა საქართველოს სასტუმროებს ჯერ არ ჰქონიათ.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალი COVID-19-ის ნეგატიური ზეგავლენა სასტუმრო ბიზნესზე, ჯავშნების გაუქმების ტენდენციის ქრონოლოგია და კრიზისის დაძლევის მექანიზმების კვლევა და ანალიზი.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს პანდემიის დროს სასტუმროებზე მოთხოვნის შემცირების ანალიზი და მიღებული ზარალის იდენტიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო ბიზნესი, ტურიზმი, COVID-19, სტრატეგია, ინვესტიცია.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში სასტუმრო ბიზნესი ბოლო 15 წლის განმავლობაში ძალიან სწრაფად განვითარდა. 2013 წელს, საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 1065 განთავსების საშუალება იყო, 15967 ოთახით და 37317 ადგილით. განთავსების საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს სასტუმროები წარმოადგენდა, რომელთა რაოდენობა 418-ს შეადგენდა. უკვე 2018 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული იყო 2390 განთავსების ობიექტი 86772 საწოლი ადგილით[1].

2018 წელი საქართველოსთვის უაღრესად დიდი წარმატებების წელი (ტურისტული თვალსაზრისით) იყო. ტურიზმის დარგმა სწრაფი ტემპით განვითარება განაგრძო, შესაბამისად, გაიზარდა სასტუმრო და სამშენებლო ბიზნესში ინვესტიციების მოცულობა. სასტუმროების უმეტესობა ინვესტიციებთან ერთად საბანკო კრედიტის საშუალებით შენდებოდა და იწყებდა ფუნქციონირებას. შესაბამისად, სასტუმრო ბიზნესში გაიზარდა ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ახალი იდეების კვალდაკვალ წარმოიშვა. მაგრამ გაუთვალისწინებელმა ფაქტორმა - მსოფლიო პანდემიამ - დაანახა მფლობელებს, რომ არსებობს ისეთი რისკი, რომელზეც არასდროს უფიქრიათ!

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ წარმატების სავარაუდო პროგნოზირება შეუძებელია ბიზნესში. COVID-19-ის ფაქტორმა სრულიად შეცვალა ყველა სასტუმროს სტრატეგია და განსაკუთრებით იმ სასტუმროებისა, რომლებიც ორი წელია (დაახლოებით ეს დრო სჭირდება საშუალო ზომის სასტუმროს აშენება-გახსნას) ელოდებიან ამუშავებას და პირველ სტუმარს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სასტუმროების კრიზისი ბოლო მე-2-ე წელია სხვადასხვა ფაზაშია. 2019 წლის ივნისის მეორე ნახევარში, რუსეთის სანქციებმა სერიოზული უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ტურიზმის და განსაკუთრებით სასტუმრო ბიზნესის მიმართულებით. სანქციების

[1] ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია https://gnta.ge/ge/publication/2018-geo/

ამოქმედებისთანავე (გაუქმდა პირდაპირი ავიარეისები და სასტუმროების ჯავშნების უმეტესობა), ივლისის თვეში, გამოიწვია რუსეთიდან ვიზიტორების -6.4%-ით შემცირება, ხოლო მათგან ტურისტული ვიზიტების -14%-ით შემცირდა.

სასტუმროების უმეტესობა, რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შემდეგ, აქტიურად გადავიდა ჩინურ ბაზარზე. დაუკავშირდნენ მოცემულ ბაზარზე მომუშავე ქართულ ტურისტულ კომპანიებს და ახალი ბაზრებიც აითვისეს, თუმცა, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, საქართველოს სასტუმროებმა, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა რეგიონულმა (ყაზბეგი, გუდაური) სასტუმროებმა 30%-40%-მდე დატვირთულობის მაჩვენებლის კლება განიცადეს. ქვეყანას მსგავსი გამოცდილება უკვე გააჩნდა ღვინის ემბარგოსთან დაკავშირებით. 2019 წელს სასტუმროების ბიზნესმა ახალი მიზნობრივი ბაზრების ათვისება დაიწყო. ძირითადად, პოტენციური ვიზიტორები გამოიკვეთა აზიის ქვეყნებიდან - ჩინეთი, ტაილანდი, კორეა, ინდოეთი. კვლავ აქტიურად თანამშრომლობდა საქართველო ისრაელსა და აზერბაიჯანთან. სამწუხაროდ, ბოლო ორი წლის პერმანენტული პრობლემები პანდემიით დასრულდა და ამ სიტუაციის გამოსწორებას სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება.

საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულებადაა აღიარებული. შესაბამისად, სამთავრობო ღონიძიებები მიმართულია მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე ქვეყანის, როგორც ტურისტული დესტინაციის, პოპულარობისა და მიმზიდველობის ზრდისკენ. ბოლო მონაცემებით, www.booking.com-ზე აღრიცხულია 9167-მდე[1] განთავსების ობიექტი, რომლებიც პერიოდული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების დროს ცდილობს არამხოლოდ გადარჩენას, არამედ განვითარებასაც.

ცხრილში 1. ნათლად ჩანს საქართველოში COVID-19-ს გავრცელებისა და მასზე სასტუმრო ბიზნესის რეგირების სურათი.

ცხრილი 1. COVID-19-ს გავრცელებისა და მასზე სასტუმრო ბიზნესის რეგირება

თარიღი	**მიმდინარე მოვლენა**	**შედეგი**
6 იანვარი	ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაცია ჩინეთში მიმდინარე უჩვეულო პნევმონიის ეპიდაფეთქების შესახებ	საშუალო ზომის ბუტიკ სასტუმროს დატვირთულობა - 80%-მდეა
23 იანვარი	პირველი უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა	დატვირთვის დონე შემცირდა - 58%-მდე
28 იანვარი	საქართველოს მთავრობის განკარგულება #164 საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ; ამავე დროს აეროპორტებში თერმოსკრინინგი იწყება	დატვირთვის დონე შემცირდა - 55%-მდე
29 იანვარი	შეჩერდა საჰაერო მიმოსვლა ჩინეთთან	დატვირთვის დონე შემცირდა - 55%-მდე
31 იანვარი	ქვეყანა გადადის აქტიური ზედამხედველობის რეჟიმში	დატვირთვის დონე შემცირდა - 53%-მდე
4 თებერვალი	ლუგარის ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა ტესტირება COVID-19-ზე	დატვირთვის დონე შემცირდა - 38%-მდე
6 თებერვალი	აქტიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, ვიდეო ლექციებისა და საგანმანათლებლო მასალების ტირაჟირება	დატვირთვის დონე შემცირდა - 38%-მდე
12 თებერვალი	შემუშავდა სხვადასხვა მეთოდური რეკომენდაციები და პროტოკოლები	დატვირთვის დონე შემცირდა - 23%-მდე
24 თებერვალი	შეჩერდა საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა ირანთან[2]	დატვირთვის დონე შემცირდა - 10%-მდე
26 თებერვალი	გამოვლენილ იქნა COVID-19-ის პირველი დადასტურებული შემთხვევა	ჯავშნების გაუქმების პროცესი გრძელდება
18 მარტი	საქართველოს საზღვრები ჩაიკეტა	დატვირთვის დონე - 0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ, 2020

[1] https://www.booking.com/

[2] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში https://stopcov.ge/Content/files/govermant--report.pdf

ცხრილში წარმოდგენილი ქრონოლოგიის ლოგიკური ნაწილი იყო 3 მარტს სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების ასოციაციის თაოსნობით ტურიზმის სფეროს ორასამდე წარმომადგენლის შეკრება თბილისში, 5*-იან სასტუმრო „ვინგდემ გრანდში". სასტუმროებმა იმსჯელეს, რა საკითხებით უნდა მისულიყვნენ სახელმწიფოსთან შუამავლობის მოთხოვნით და უკვე 4 მარტს ეკონომიკის მინისტრის სახელზე დაწერილი მიმართვა სახელმწიფო კანცელარიაში შევიდა. თხოვნის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში:

„მთავრობამ მიიღოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, ტურიზმის სფეროში შექმნილი დაუძლეველი გარემოებებიდან გამომდინარე ტურიზმის სფეროში დასაქმებული ორგანიზაციების, კომპანიების და სასტუმროების მხარდაჭერის მიზნით"; მხარდაჭერას ითხოვდნენ: 1. სახელმწიფო გადასახადების გარკვეული ვადით გადავადებასა და დავალიანების შემდგომ თვეებზე გადანაწილებას; 2. ენერგო კომპანიებთან დავალიანების გარკვეულ ვადამდე გადაწევასა და შემდგომ თვეებში გადანაწილებას; 3. საბანკო სექტორიდან აღებული საბანკო ვალდებულებების გარკვეულ ვადამდე გადაწევასა და რესტრუქტურიზაციას. მიმართვაში ასევე აღნიშნული იყო, რომ „ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 100 000-ს აჭარბებს, ხოლო მოცემული სფეროდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის 20%-ზე მეტს შეადგენს".[1]

ტურიზმის დარგის წარმომადგენელთა თხოვნაზე მოხდა დაუყოვნებელი რეაგირება, კერძოდ, საკოორდინაციო საბჭოსა და პირადად საქართველოს პრემიერ მინისტრისგან. შესაბამისად, ბანკებმა 4 თვით გადაავადეს კრედიტები[2], შემუშავდა ანტიკრიზისული და პოსტპანდემიური გეგმები.

სასტუმროებში თითქმის დამთავრდა ჯავშნების გაუქმების პროცესი. სამწუხაროდ, არავინ იცოდა, ეს გლობალური პრობლემა რამდენ ხარს გასტანდა ან რა დანაკარგს უქადდა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სფეროს.

განვიხილოთ ზემოაღნიშნული ცვლილებებით მიღებული შედეგები სასტუმრო „ციტრუსის" მაგალითზე (ცხრილი 2.).

ცხრილი 2. სასტუმრო „ციტრუსის" დატვირთულობის დონე 2017-2020 წწ.

წელი	**დატვირთულობის%**	**გაყიდული ოთახების რაოდენობა**	**ADR (ფასის საშუალო მაჩვენებელი ლარში)**
2017	76.74%	4283	220.7
2018	79.45%	4437	193.43
2019	75.97%	4242	185.14
2020	19.53%	1313	160
ცვლილება	-56.44%	-2929	-25.14

წყარო: ცხრილი შდგენილია ავტორთა მიერ, 2020

ცხრილში 2. წარმოდგენილი მონაცემები (თბილისის ცენტრში მდებარე საშუალო ზომის ბუტიკის ტიპის სასტუმრო) ანალოგიურია სხვა ამავე ტიპის სასტუმროთა მონაცემებისა. პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციის გამო, აპრილი-მაისის დატვირთულობა, საქართველოს ყველა სასტუმროში 0-ს გაუტოლდა. სავარაუდოდ, თბილისში ივნისიც ასე გაგრძელდება. მსხვილმა ტურისტულმა კომპანიებმა, რომლებიც ევროპულ ბაზარზე ოპერირებდნენ, გააუქმეს ჯავშნები სექტემბრის დასაწყისამდე. 2020 წლის პირველი კვარტლის დასასრულს კი ინდივიდუალურმა მოგზაურებმაც 100%-ით გააუქმეს ჯავშნები.

ცხრილში 3. წარმოდგენილია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბოლო 4 თვის

[1] https://www.facebook.com/HorekaGeorgia/posts/2813625115384261

[2] სასტუმროებსა და რესტორნებს, ტურისტულ სააგენტოებს, სატრანსპორტო და საექსკურსიო კომპანიებს ქონებისა და საშემოსავლო გადასახადი 4 თვით გადაუვადდებათ https://www.interpressnews.ge/ka/article/589732-sastumroebsa-da-restornebs-turistul-saagentoebs-satransporto-da-saekskursio-kompaniebs-konebisa-da-sashemosavlo-gadasaxadi-4-tvit-gadauvaddebat/?fbclid=IwAR3x_xy3_FejZGS23ezQoc7AeccgELGRQSmqYXC_b4nn9FLSB0kNypxPDI8

სტატისტიკა[1]. გაუქმებულ ჯავშნებს, ვიზიტორების კლებას და ვირუსის გავრცელებას თან მოჰყვა ახალი რეალობა - საკარანტინე ზონების წარმოშობა სასტუმროებში. საკარანტინე ზონების იდეა ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში დაიბადა და ეს საქართველოს პრემიერის აზრითაც „იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება“.

ცხრილი 3. საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 2019-2020 წწ(4 თვის მონაცემების შედარება)

	2019: იანვარი	2020: იანვარი	ცვლილება	ცვლილება%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	437,218	523,689	86,471	19.8%
	2019: თებერვალი	**2020: თებერვალი**	**ცვლილება**	**ცვლილება%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	389,218	386,859	-2,359	-0.6%
	2019: მარტი	**2020: მარტი**	**ცვლილება**	**ცვლილება%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	507,064	209,945	-297,119	-58.6%
	2019: აპრილი	**2020: აპრილი**	**ცვლილება**	**ცვლილება%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	549,761	34,321	-515,440	-93.8%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სტატისტიკა, 2020

COVID-19 მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მთლიანად დარგმა განიცადოს სტაგნაცია (ეს მხოლოდ სასტუმრო ბიზნესს არ ეხება). პანდემიით დაზარალდა ტურიზმთან არაპირდაპირ დაკავშირებულ დარგებში დასაქმებული მოქალაქეები, დაწყებული მეპურიდან, რომელიც პურის დისტრიბუციას ახდენდა სასტუმროში, დამთავრებული რეცხვის სერვისით, მათ არნახული კრახი განიცადეს - დაკარგეს სამუშაო ადგილები. თუმცა არსებობს სხვა მაგალითებიც, პანდემიის დროს ბევრმა, განსაკუთრებით სასტუმროებმა რეგიონებში, სახელმწიფოს ხელშეწყობით მიიღეს იზოლაციაში მყოფი სტუმრები - სულ 84-მა სასტუმრომ. აქედან ზოგმა სასტუმრომ (მგ.: აკორი და შერატონი) უსასყიდლო უზრუნველყო კარანტინში მყოფი მოქალაქეების განთავსება და სამჯერადი კვება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხდევით სანიტარული ნორმებისა დაცვა მოითხოვდა პერსონალის ნაწილის შენარჩუნების აუცილებლობას, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა პანდემიით გამოწვეული უმუშევრობის ზრდა ქვეყანაში.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 8 ივნისიდან ყველა სასტუმრო უფლებამოსილია განაახლოს სამმიქნობა და მიიღოს სტუმრები, თუმცა უმეტესობა კვლავ დაცდას ამჯობინებს, ვინაიდან, თუ თვის განმავლობაში დატვირთულობა მინიმუმ 20%-ს არ მიაღწევს, შეუძლებელი იქნება გაზრდილ ხარჯებს გაუმკლავდნენ და ოპერირება შეძლონ. სამწუხაროდ, ჯავშნები ამ ეტაპზე თბილისის სასტუმროებს მხოლოდ სექტემბრიდან აქვთ, რადგან ავიამიმოსვლისა და საზღვრების გახსნის საკითხები ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

დასკვნა:

გლობალურმა პანდემიამ და მისმა შედეგებმა არა მარტო შეაჩერეს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება, არამედ სასტუმროების გაფართოების ტენდენცია და შესაძლებლობები დიდი ხნით გადაავადეს საქართველოში. ახალმა რეალობამ და გაურკვევლობამ ნეგატიურად იმოქმედა ინვესტიციებზე სასტუმრო სფეროში. თუმცა, საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე.

[1]https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგი ნათლად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყნის სტრატეგია გადასახედია და მასში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მოსალოდნელი საფრთხეები და გამოწვევები, შესაბამისად, გადახედვას საჭიროებს დარგის განვითარების პოლიტიკა; კერძოდ, ქვეყნის ფართომასშტაბიანი რეკლამის ფონზე საჭიროა გატარდეს აქტიური ღონისძიებები ქართული ტურისტული პროდუქტის, როგორც ბრენდის პოზიციონირების კუთხით; გაუმჯობესდეს შეთავაზებული მომსახურება და გათვალისწინებულ იქნეს სასტუმროს ოპერირების ახალი რეგულაციები და სტანდარტები; გაზრდილი საოპერაციო ხარჯების ფონზე გატარდეს კონკურენტუნარიანი საფასო პოლიტიკა; შენარჩუნდეს მომსახურების მაღალი დონე და უზრუნველყოფილ იქნეს სასტუმროს შრომითი რესურსის გადამზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი. გამომც. ,,ფავორიტი პრინტი“. 2011, თბილისი.
2. მეტრეველი. მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. გამომც. „ფავორტი პრინტი“. 2011, თბილისი.
3. სამუშაო ძალის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2012, თბ.. გვ. 1-2
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სტატისტიკა, 2020
5. ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲑᲣᲡᲘᲜᲔᲡᲓᲐᲪᲘ.ᲒᲔ/ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲐᲓ გადამოწმებულ იქნა 01.02.2019
6. ᲰᲢᲢᲠ://ᲕᲕᲕ.ᲒᲔᲝᲡᲢᲐᲢ.ᲒᲔ/?ᲐᲠᲢᲘᲙᲚᲘ=ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐ&ᲒᲠᲣᲞᲘ=2770&ᲜᲐᲬᲘᲚᲘ=ᲑᲔᲠᲘ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.06.2020
7. ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲑᲝᲢᲘᲜᲘ.ᲒᲔ/
8. ჰტტპ://ᲨᲝᲣᲗᲔᲡ.ᲒᲔ/ᲜᲔᲬᲚᲘ/3662/ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲘᲠᲔᲜᲘᲗ
9. ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲜᲘᲜᲯᲐᲔ/PᲐᲡᲣᲡUᲡᲔᲠNᲔᲚᲘᲡᲢ?ID=0ᲐᲨ5084-0108-4Ა9Ა-9Ა96-4Ლ796359ᲨᲐᲔ
10. 17.ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲛᲝᲯ.ᲒᲝᲕ.ᲒᲔ/ᲙᲐ/ᲜᲔᲬᲚᲘ/5096/?ᲨᲘᲜᲐᲡᲐᲠᲗᲘ AR3POzᲛ ᲒAmᲛ - K1ᲙᲐᲜ1ᲝM58ᲒKuDEᲚᲒDx6ᲣN1L2ᲒᲐᲠ7eSFPOᲛ ᲰᲐ01MᲒ–1ᲙᲒ
11. ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲛᲝᲯ.ᲒᲝᲕ.ᲒᲔ/ᲨᲘᲜᲐᲡᲐᲠᲗᲘ/ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ-ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ/2020/FailebᲘ/ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ–N_01-227.ᲞᲓᲤ
12. ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲒᲔᲝᲢᲐᲡᲢ.ᲒᲔ/ᲙᲐ/ᲜᲔᲬᲚᲘ/22 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.06.2020
13. ჰტტპ://ᲕᲕᲕ.ᲨᲘᲜᲐᲣᲚᲘ.ᲒᲔ/ᲒᲠᲣᲞᲘ.ᲓᲠᲣᲞᲘ/256/ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘ/1054526531274846
14. 21.ᲰᲢᲢᲠ://ᲕᲕᲕ.ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ.ᲒᲔ/ᲑᲚᲝᲒᲘ/ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ-ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ-ᲠᲝᲒᲝᲠᲪ-ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ-ᲓᲐᲜᲐᲮᲜᲔᲚᲘ-ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ-ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ-ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ-ᲒᲐ

ინსტიტუციური მოდელი „აღმოაჩინე საქართველო“ საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის

მეტრეველი მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კეკელიძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები და მათი შესაბამისობა საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიასთან რომელიც 2015 წელს იქნა შემუშავებული 10 წლის ვადით. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის მიზნებისთვის ნაშრომში შემოთავაზებულია ინოვაციური ინსტიტუციური მოდელი „აღმოაჩინე საქართველო“, რომელიც ორიენტირებულია ერთიანი, კოორდინირებული საათისებრი მექანიზმით ხელი შეუწყოს სტრატეგიის მიზნებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას: საერთაშორისო ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირებას, ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობას და არსებულ პანდემიასთან ბრძოლას, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს როგორც საქართველოსთვის ასევე მთელი მსოფლიოსთვის.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მდგრადი განვითარება, აღმოაჩინე საქართველო, პანდემია

ძირითადი ტექსტი

დღესდღეობით ჯერ კიდევ სირთულეებს აწყდება 2015 წელს მიღებული „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2025“1 მიზნების მიღწევა, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირება, ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა. საქართველოს ტურისტული ექსპორტი ძირითადად დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ტურისტულ ნაკადებზე და ნაკლებად არის დივერსიფიცირებული. გამოკვეთილია ტურიზმის სფეროში ჩართული აქტორების რეგულირების ნაკლებობა, როგორიცაა სატრანსპორტო და ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, კვებითი ობიექტები, ა.შ., რომელიც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს არასამართლიან და არაპროფესიონალურ აქტივობებს, რაც სფეროს რეპუტაციას ლახავს. 1997 წლის საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ2 ქართული ტურიზმის თანამედროვე განვითარების შესაბამისად ცვლილებებს მოითხოვს. ლიცენზირება და ხარისხის გაზრდა არის მიდგომა, რომელიც გაზრდიდა ტურიზმში ჩართული აქტორების პასუხისმგებლობასა და ხარისხიანი მომსახურებების გაწევას. მეორე მხრივ, გაზრდილი ტურისტული სერვისების ხარისხიდან მოზიდული რესურსები ტურიზმის ინკლუზიურობის, სოციალური მიზნებისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯოსებლად შეიძლება გადამისამართდეს. ლიცენზირებისა და ტურიზმის სტანდარტების პროცედურების ნაკლებობა არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც არ არის შესაბამისად განხილული ტურიზმისა და კურორტების შესახებ საქართველოს კანონში, მიუხედავად იმისა, რომ ამის მნიშვნელოვნება აღნიშნულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების 94-95 მუხლებში.3 ხელშეკრულების 328-ე მუხლი ტურიზმს ეხება და მასში

---

[1] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2025, 2015, http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020

[2] საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, დოკუმენტის ნომერი 599, 06/03/1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370? publication=9 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020

[3] European Union, European External Action Service, Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Official Journal of the European Union L 261 volume 57, L 261/45- L 261/46, 30 August 2014, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.04.2020

აღნიშნულია: „მხარეები ითანამშრომლებენ ტურიზმის სფეროში კონკურენტული და მდგრადი ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლების ხელშემწყობი ინდუსტრიის განვითარების მიზნით“.1

ზემოაღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელსაც ემატება გლობალური პანდემიის, COVID-19-ის ვირუსული მძვინვარე ფონი, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის სფეროში უამრავი და ურთულესი გამოწვევებია, რომელიც არ არის ნათლად ასახული საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკურ მონაცემებში: მომსახურების ხარისხის გამოწვევები; ტურისტული მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან განათლების/უცხო ენის დაბალი დონე; მომსახურების გაუმჯობესების პოლიტიკის არარსებობა; ადეკვატური კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც პასუხს გასცემს მიმდინარე მოთხოვნებს; ხარჯეფექტიანობის პრობლემა; ცუდი ინფრასტრუქტურა; მძღოლ-ებისა და გიდების ლიცენზირების პრობლემა; ვარსკვლავების რეიტინგის თვითმინიჭება და სხვა;

ნაშრომში განხილული გამოწვევები პირდაპირპროპორციულად აისახება ტურისტთა კმაყოფი-ლებაზე, ტურისტთა კმაყოფილება კი უზრუნველყოფს საქართველოში მათ განმეორებით ვიზიტს. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის მიხედვით ძალიან კმაყოფილ ტურისტთა რაოდენობა 53, 54 და 55 %-ს შეადგენს 2017, 2018, 2019 წლების მიხედვით2, მაშინ როდესაც ჩვენს მიერ გამოკითხული ანკეტებიდან ნათელი ხდება რადიკალურად განსხვავებული ტურისტთა კმაყოფილების ინდექსი მათი საქართველოში მოგზაურობის დროს.3

მხოლოდ 16 რესპონდენტი 111-დან ფიქრობს, რომ საქართველოში გარემო დაცულია და არ არის დაბინძურებული, მაშინ, როდესაც 95 გამოკითხულის აზრით, ეს ასე არ არის (ცხრილი 2.).

ცხრილი 2. საერთაშორისო ტურისტთა პასუხები შეკითხვაზე - „მიგაჩნიათ, რომ საქართველოში არის სუფთა და კარგად დაცული გარემო?“

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	დაგროვილი პროცენტი
ვალიდური მნიშვნელობა	1 დიახ	16	14,4	14,4	14,4
	2 არა	95	85,6	85,6	100,0
	ჯამი	111	100,0	100,0	

წყარო: მონაცემები დამუშავებულია SPSS_ში ავტორების მიერ.

ტურისტული გიდების პროფესიონალიზმთან დაკავშირებით, 31 გამოკითხული 111-დან მიიჩ-ნევს, რომ გიდები საქართველოში იყვნენ პროფესიონალები, 80 გამოკითხული ამ საკითხს უარყოფითად აფასებს (ცხრილი 3.).

ცხრილი 3. საერთაშორისო ტურისტთა პასუხები შეკითხვაზე - „ტურისტული გიდები, რომლებიც თქვენ გიწევდნენ მომსახურებას საქართველოში, იყვნენ პროფესიონალები?“

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	დაგროვილი პროცენტი
ვალიდური მნიშვნელობა	1 დიახ	31	27,9	27,9	27,9
	2 არა	80	72,1	72,1	100,0
	ჯამი	111	100,0	100,0	

წყარო: მონაცემები დამუშავებულია SPSS_ში ავტორების მიერ.

[1] European Union, European External Action Service, Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Official Journal of the European Union L 261 volume 57, L 261/116, 30 August 2014, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020

[2] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საერთაშორო ვიზიტორების კვლევა, 2017, 2018, 2019, წლები, www.gnta.ge/სტატისტიკა/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020

[3] ნინო კეკელიძის სადოქტორო ნაშრომის (საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადების ზეგავლენა საქართველოს ტურიზმის განვითარებაზე) კვლევის მასალები, 2020

მძღოლებისა და ტაქსის მძღოლების თემაზე, მხოლოდ გამოკითხულთა 14,4 % არის კმაყოფილი, მათ შორის მხოლოდ 2 ევროკავშირის მოქალაქე, ხოლო 85,6 % უარყოფითად აფასებს მძღოლების მომსახურების ხარისხს (ცხრ. 4).

ცხრილი 4. საერთაშორისო ტურისტთა პასუხები შეკითხვაზე - „კმაყოფილი ხართ მძღოლების (მათშორის ტაქსის მძღოლების) მომსახურებით საქართველოში?"

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	დაგროვილი პროცენტი
ვალიდური	1	16	14,4	14,4	14,4
მნიშვნელობა	დიახ				
	2 არა	95	85,6	85,6	100,0
	ჯამი	111	100,0	100,0	

წყარო: მონაცემები დამუშავებულია SPSS_ში ავტორების მიერ.

მნიშვნელოვანია გამოწვევების სწორი იდენტიფიცირება, რომელსაც უნდა პასუხობდეს შესაბამისი დარგობრივი პოლიტიკა. მთელ რიგ სფეროებში ცვლილებები კი ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის უკეთეს შედეგებს, მათ მდგრადობასა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ნაშრომში შემუშავებულ იქნა საქართველოს მაგალითზე მორგებული ინსტიტუციური მოდელი **"აღმოაჩინე საქართველო"**, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ნაკადების მოსაზიდად და დარგში არსებული გამოწვევების დასამარცხებლად.

დიაგრამა 1. ინსტიტუციური მოდელი „აღმოაჩინე საქართველო"

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოსაზიდად და დარგში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა, რომელშიც თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი შემდეგი ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორები:

1. **საქართველოს მთავრობა** - წარმოდგენილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ;

2. **ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, საკონსულოებისა და საელჩოების სახით;**
3. **ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ქართული სათვისტომოები და დიასპორა;**
4. **საერთაშორისო პრესა და მედია;**
5. **ევროპელი ტურისტები ვინც უკვე იმოგზაურა საქართველოში;**
6. **საქართველოს კერძო სექტორი** (ტურიზმის ინდუსტრიის მიმართულებით);
7. **საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა.**

ყველა წარმატებული პროექტის აზრი მდგომარეობს სისტემურ მიდგომაში, როდესაც ჯაჭვური, საათისებრი მექანიზმი არის აწყობილი ერთი მიზნის მიმართულებით. როდესაც საუბარია საქართველოს ტურიზმის დარგში არსებულ გამოწვევებზე და ტურისტთა ნაკადების ზრდასა და დივერსიფიციერებაზე, მნიშვნელოვანია, რომ გაანალიზებულ იქნას ყველა ის აქტორი, რომელსაც შეუძლია ტურისტთა ნაკადებსა და მათ კმაყოფილებაზე იქონიოს დიდი ზეგავლენა. აღნიშნული ინოვაციური მოდელის აზრი მდგომარეობს სისტემურ, გუნდურ და ერთიან მიდგომაში, სადაც მოთამაშე შვიდივე რგოლს გადაუნაწილდება სხვადასხვა ადმინისტრაციული, მარკეტინგული თუ სამოტივაციო აქტივობა კონკრეტული დროის მონაკვეთში და ყველა აქტორი იტრიალებს ერთი მიზნის მისაღწევად. აღნიშნული მოდელისთვის საჭიროა სპეციალური სამოქმედო გეგმის გაწერა, სადაც ყველა მოთამაშეს ექნება საკუთარი შესასრულებელი დავალება, რომელიც იქნება გაზომვადი და შეფასებადი. სამოქმედო გეგმას უნდა ჰქონდეს კონკრეტული ვადები, წინასწარ გაწერილი სასურველი მიზნები და შედეგები, რომელიც მთლიანობაში დადებითად აისახება საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებაზე და ტურიზმის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების ეფექტურ შესრულებაზე.

დასკვნა

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიას აკლია ეფექტური კოორდინირება და სტრუქტურირება. შემოთავაზებული ინსტიტუციური მოდელი კი შემატებს დარგს ერთიანობას, სისტემურ მიდგომებსა და შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებს, რომელიც წარმატებით აისახება ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე და საქართველოს, როგორც მსოფლიოში ახალი ტურისტული მიმართულების ცნობადობის ამაღლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2025, 2015, http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020
2. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, დოკუმენტის ნომერი 599, 06/03/1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370? publication=9 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020
3. European Union, European External Action Service, Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Official Journal of the European Union L 261 volume 57, L 261/45- L 261/46, 30 August 2014, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.04.2020
4. European Union, European External Action Service, Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Official Journal of the European Union L 261 volume 57, L 261/116, 30 August 2014, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020
5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საერთაშორო ვიზიტორების კვლევა,

2017, 2018, 2019, წლები, www.gnta.ge/სტატისტიკა/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.05.2020

6. ნინო კეკელიძის სადოქტორო ნაშრომის კვლევა (საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადების ზეგავლენა საქართველოს ტურიზმის განვითარებაზე), 2020

Інституціональ Model "Disco ვერ Geoზია" Fოr Geoზია სუსტი ინვესტორის დეფიციტი

Metreveli Marina
Professor of Georgian Technical University

Kekelidze Nino
PhD student of Georgian Technical University

შუმი არყ

თეე აააერ, **Інституціональ Model Disco ვერ Geoზია - Fოr Geoზია სუსტი ინვესტორის დეფიციტ ენტ** დისუსეს ფე ვალოეს ი Geoზიანტოომ ინესტორან ტეერალ ეგეტ Geoზია Natioნალური შტოოკ, ეეიც ეასეაეფ 2015 ოოკ აერდ 10 ქეაკ. Givენ ფე ეშინტ ალოეს ან ფე გიბლოკ ინესტიციალ ტოოლ , ტე აააერგოოზეს ან ინოვატივ ინესტიციალ ოელ Disეერ Geoზია", ეეიც ისოოკ ა ენიეედეოოკ ინატ ემ ეგანიმ ოეგაოეგ ოოზეკალ ანდ ეეოტ ეეოოზეს ოოკ: ი ა ოოზიგ ფე ქეალ ეეოოზეეგ ინტ ეეტ ეეოოზეეს, ეგბოდიგ ტე ქეაოეეზ ოეტ ეეოოზეს ერეიც, ა ოეე ოოკ სეტ ანალ ეეოოზ ანდ ეეეტ ეეიეეზ ფე ეშინტ ანალ ეიც სიტეეტ, ეეიც ეეზ ეეოოზ ეეეეტ ეეეეზ ეეეეზ ეეეეზ

რისკ-ფაქტორებისა და კრიზისების გავლენა ტურიზმზე

ოსიტაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნადარეიშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მსოფლიოში არსებულმა მდგომარეობამ (პანდემიისგან გამოწვეულმა კრიზისმა) დიდი ყურადღება მიიპყრო. სტატიაში ავტორი განიხილავს კრიზისებსა და თანმდევ სირთულეებს ტურიზმის სექტორში. Beaman– ის მიხედვით განიხილება კრიზისის ხუთი ძირითადი ტიპი:

- ომი
- ტერორისტული აქტები
- ბუნებრივი, სტიქიური მოვლენები
- დანაშაულებათა ტალღა
- ეპიდემია

პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ომმა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს რეალობაზე. ავტორი აღწერს ქვეყნის შიდა არეულობებისა და ომის შედეგად 1992 -1993 წლებში და 2008 წელს წარმოქმნილ ზიანს. ქვეყნების ეკონომიკა, რომელთა შემოსავლის მნიშვნელოვანი წილი განისაზღვრება ტურიზმის შემოსავლებით, იშლება კრიზისებით და კატასტროფებით, მათი ეკონომიკური განვითარება შეზღუდულია. კრიზისმა ღრმა გავლენა მოახდინა ტურისტულ ქცევაზე.

ავტორი ასევე განიხილავს ეპიდემიებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს Covid- 19 -ის პერიოდში და მის შემდგომ მიყენებულ ზიანზე. დღეს კაცობრიობა გადის ვირუსის ახალ გამოცდას. მისი ნამდვილი მასშტაბი და ზარალის მთლიანი მოცულობა ჯერ კიდევ არ არის ნათელი, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ეკონომიკას დიდი ხნის განმავლობაში მოუწევს ჭრილობების განკურნება. ჯერჯერობით, წამყვანი საერთაშორისო ცენტრების ანალიტიკოსებმა შეაფასეს, რომ კორონავირუსისგან ზარალის შესაძლო ოდენობა 1 ტრილიონიდან 3 ტრილიონ დოლარამდეა, რაც შეამცირებს გლობალურ მშპ-ს 0,5% -დან -1,5% -მდე.

საკვანძო სიტყვები: რისკ-ფაქტორები, კრიზისი, ტერორისტული აქტები, ტურიზმი, ეპიდემია.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ბიზნესად ითვლება მთელს მსოფლიოში და მისი პოპულარობა არა თუ იკლებს ყოველწლიურად პირიქით, იზრდება და ვითარდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ბიზნესი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარეა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი კვლევა ტურიზმის კრიზისთან დაკავშირებით, მათი უმეტესობა კონცენტრირებულია ტურისტების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების რიცხვთან. თუმცა, დღემდე, ცოტა რამ არის ცნობილი სხვადასხვა ტიპის კრიზისის შედეგად გამოწვეული ტურისტული ქცევის ევოლუციური განსხვავებების შესახებ. როდესაც ვსაუბრობთ შემომყვან ტურიზმზე, კრიზისის შედეგად ვაწყდებით ტურისტული ქცევის ევოლუციურ განსხვავებებს. ტურისტების მგრძნობელობის ცვალებადობა დამოკიდებულია კრიზისების წინა, არსებულ და შემდგომ პერიოდზე, მოკლე და გრძელ ბაზრებზე. ეს განსხვავება აშკარაა ტურისტების ასაკის, ვიზიტის მიზნისა და ხარჯების მიხედვით. ამ სტატიაში განვიხილავთ თუ როგორ ახდენს ტურიზმზე გავლენას კრიზისების ბუნება და ფაზები. აგრეთვე განვიხილავთ პრევენციას და შედეგებს.

იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომლის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ტურიზმიდან შემოსული თანხები განსაზღვრავს, კრიზისები და კატასტროფები არღვევს და ზღუდავს მათ ეკონომიკურ განვითარებას. კრიზისს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ტურისტულ ქცევაზე და გასავლებზე. მაგალითად,

2014 წლის ბოლოს კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ტურიზმის განვითარებაზე დასავლეთ აფრიკაში. 2003 წელს, SARS (მწვავე რესპირატორული სინდრომი) გაჩენილმა ვითარებამ მკვეთრად შეამცირა ტურიზმზე მოთხოვნილება აღმოსავლეთ აზიაში.

კვლევების უმეტესობა ემყარება და მხოლოდ აანალიზებს მიმდინარე კრიზისის პერიოდს, კრიზისიდან გამომდინარე, დროსა და მის შემდგომ ცვლილებებს. უფრო მეტიც, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ერთ მოვლენაზე და მის გავლენას ტურისტების რაოდენობაზე. ამასთან, კრიზისის გავლენა ტურისტულ ქცევაზე აშკარად დამოკიდებულია კრიზისის ტიპზე, ტურისტულ პროფილზე და მიზნებზე. კრიზისის გავლენა ტურისტების ქცევაზე მათი მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან კრიზისის დაწყებამდე და მის შემდგომ პეროდზე დამოკიდებულია კრიზისის ტიპზე. მაგ. ტურისტებს ფინანსური კრიზისის დროს ურჩევნიათ აირჩიონ ბიუჯეტური სასტუმროები და იაფი ოთახები.

მოულოდნელობისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიდგომის შესახებ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კრიზისის დროს მოგზაურობა გავლენას ახდენს ტურისტულ ქცევაზე. ფუქსის და რეიშელის (2011) გამოკვლევაზე დაყრდნობით, დადასტურდა, რომ განმეორებითი ვიზიტორები უფრო მგრძნობიარე არიან ჯანმრთელობისა და ფინანსური რისკების მიმართ, ვიდრე პირველადი ვიზიტორები. ამრიგად, ტურისტული ქცევის გაგება სხვადასხვა ტიპის კრიზისების მიმართ მნიშვნელოვანია. ამასთან, ტურისტული ქცევისა და კრიზისის შედეგად მიღებული შედეგების ევოლუციური ცვლილების უგულებელყოფა გაუმართლებულია, რადგან ისინი ტურიზმის კრიზისის კვლევის მნიშვნელოვანი შემადგენლებია.

მაგრამ კრიზისის რომელი სახეობებია, რომლებიც ლოკალურია, თუმცა დიდ გავლენას ახდენს გლობალური ტურიზმის ინდუსტრიაზე? ბეირმანი (2003) ყურადღებას ამახვილებს ხუთ ძირითად მიზეზზე:

- ომი ან კონფლიქტი და შინაგანი კონფლიქტის ხანგრძლივობა;
- კონკრეტული ქმედება ან ტერორიზმის აქტები, განსაკუთრებით ის, რაც მიმართულია ან გავლენას ახდენს ტურისტებზე;
- დანაშაულებათა ტალღა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამიზნე აუდიტორია ტურისტები არიან;
- სტიქიური უბედურებები, როგორიცაა მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა ან ვულკანის ამოფრქვევა;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეები, როგორიცაა ეპიდემიების სხვადასხვა სახეობები.

ლეპმა და გიბსონმა (2003) თავიანთ ნაშრომში გამოყვეს ოთხი ძირითადი რისკ-ფაქტორი: ტერორიზმი, ომი და პოლიტიკური არასტაბილურობა, ჯანმრთელობის პრობლემები და კრიმინალი. 2006 წელს ქ. სან-დიეგოში, ყოველწლიურ საერთაშორისო კონფენეციაზე, როდესაც შეიკრიბნენ სტუმარ-მასპინძლობის საზოგადოების კონსულტანტები (ISHC), ისაუბრეს იმ გლობალურ პრობლემებზე, რაც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის სტუმარ-მასპინძლობის განვითარებას. ეს არის ქაოსი, სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები და უსაფრთხოება.

განვიხილოთ ოთხო ყველაზე მნიშვნელოვანი კრიზისი, რაც ყველაზე დიდ ზარალს აყენებს სტუმარ-მასპინძლობის ქუდის ქვეშ გაერთიანებულ ბიზნესებს (ტურიზმი, სასტუმრო მეურნეობა, გასტრონომია).

ტერორიზმი: 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა შეძრა მთელი მსოფლიო. ამ მოვლენამ ცხადყო, თუ რამდენად მგრძნობიარეა სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრია. მას მოყვა ზედიზედ რამდენიმე ტერორისტული აქტი (კუნძულ ბალის დაბომბვები 2002 წლის 12 ოქტომბერს, მადრიდის მატარებლის დაბომბვები 2004 წლის 11 მარტს, ხშირი შეიარაღებული არეულობა სამხრეთ ტაილანდში იანვრის შემდეგ. 2004 წ., ლონდონის ტერორისტული აქტები 2005 წლის ივლისში, სასტუმროს დაბომბვები კურორტ შარმ-ელ-შეიკ ეგვიპტეში, 2005 წლის ივლისში, კ. ბალის დაბომბვების მეორე რაუნდი 2005 წლის 2 ოქტომბერს. 2016 წელს ქ. ნიცაში ტერაქტი, 2017 წელს ვესტმისტერში მომხდარი ტერაქტი) ამ ტერორისტულ აქტებს აქვთ აშკარა უარყოფითი გავლენა

ტურიზმზე, რამაც თავისი კვალი დატოვა მისი განვითარების ისტორიაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ტურისტები ხშირად არიან ტერორისტული ორგანიზაციების სპეციფიკური სამიზნეები. ტურისტებზე თავდასხმა ნიშნავს იდეურ წინააღმდეგობას დასავლურ ფასეულობებთან. მსოფლიოს სხვა რეგიონებში, სადაც ტურიზმი არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინდუსტრია, ტურისტებზე თავდასხმა შეიძლება სიმბოლო იყოს მთავრობაზე თავდასხმის.

სტიქიური უბედურებები: არაერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ტურისტული მიმართულებებისა და მარშუტების დაუცველობაზე. ზოგიერტი მეცნიერი ვარაუდობს, რომ მაღალი რისკის ეგზოტიკური ადგილის მიმზიდველობასთან ერთად მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს სტიქიური კატასტროფების მოსალოდნელი ალბათობაც, როგორიცაა ქარიშხალი, ცუნამი, ზვავი, მეწყერი, წყალდიდობა, ღვარცოფი, ვულკანის ამოფრქვევა და სხვა.

ბოლო წლებში გააქტიურებულმა სტიქიურმა მოვლენებმა, არა მარტო ქვეყნების ეკონომიკები აზარალა, არამედ ტურიზმზეც უარყოფითი გავლენა იქონია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მასშტაბური ხანძრები ამაზონის ტყეებში (ბრაზილია) 2019 წლის ზაფხულში და ავსტრალიაში 2020 წლის დასაწყისში.

მასშტაბური სტიქიური უბედურებები, დიდ ზეგავლენას ახდენენ მოგზაურთა დამოკიდებულებასა და ნდობაზე ამ ტერიტორიების მიმართ. ხშირად ხდება, რომ ტურისტი იცვლის მარშრუტს უსაფრთხოების შესაბამისად. სტიქიური უბედურების დროს ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყნის მთავრობის ოპერატიული მოქმედება სტიქიასთან გამკლავებაში და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციაში. ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს ტურისტის მიერ გაკეთებულ არჩევანზე. მეორეს მხრივ, მთავრობის მიერ არასწორი და წარუმატებელი მოქმედებები უარყოფითად აისახება ტურისტის არჩევანზე.

პოლიტიკური არასტაბილურობა და ომი: პოლიტიკური არასტაბილურობა დაკავშირებულია ქვეყნის ხელისუფლების მმართველობის მიმართ მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებასთან. ერთი შეხედვით, პოლიტიკური არასტაბილურობა და ტერორიზმი შეიძლება არ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. უფრო მეტიც, კვლევები გარკვეულ სიტუაციებში საპირისპიროს წარმოაჩენენ. ომმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მეზობელ ქვეყნებზეც, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ კონფლიქტში.

მზარდი პოლიტიკური არასტაბილურობის ეპოქაში, ტურიზმის სექტორი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება ტურიზმის წინაპირობაა; ისეთი მოვლენების საშიშროებაც კი, როგორიცაა, მაგალითად, სამოქალაქო არეულობა და ტერორიზმი, შეუძლია ტურისტებს შეაცვლევინოს დანიშნულების ადგილზე მოგზაურობის გადაწყვეტილება. პოლიტიკური არასტაბილურობის გავლენა ქვეყნის ტურიზმის სექტორზე არის მყისიერი და მეტნაკლებად გრძელვადიანი. ამასთან, ზოგიერთ ვითარებაში, ერთ ქვეყანაში არასტაბილურობამ შეიძლება გავლენა იქონიოს მეზობელი ქვეყნების ტურიზმის სექტორზეც.

ტერორიზმის მსგავსად, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ომმა შეიძლება გაზარდოს რისკის აღქმა დანიშნულების ადგილზე. ჩინეთში, ტიანანმენის მოედანზე (ქ. პეკინი) მომხდარი კონფლიქტის შედეგად, დაახლოებით 11 500 ტურისტმა გააუქმა ვიზიტები პეკინში 1989 წელს 1990 წელს სპარსეთის ყურის ომმა გამოიწვია შუა აღმოსავლეთიდან ტურისტების ისეთი მასიური ნაკადი, რომ ისრაელში ტურისტებისგან გამოთავისუფლებულ სასტუმროებს იყენებდნენ რუსი ემიგრანტების განთავსებისთვის. ისტორიულად, 1964, 1988, 1991 წლებში, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ტერორიზმმა გამოიწვია ბრიტანელი და გერმანელი ტურისტების საგრძნობი შემცირება საბერძნეთში.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1991 წ. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს ბუნება და ტურიზმი მთლიანობაში ძლიერ დაზარალდა სამხედრო შეტაკებებისა და ფორსმაჟორული ქმედებებისგან რუსეთის და სეპარატისტების მხრიდან (1992-1993წ; 2008წ.), რამაც მოსახლეობის დიდ მსხვერპლთან ერთად გამოიწვია ე. წ. ტურისტული კატასტროფები.

პირველად აფხაზეთში (1992წ.) სამხედრო ქმედებების შედეგად არა მარტო განადგურდა ქვეყნის

ძლიერი ტურისტულ-რეკრეაციული ბაზა, არამედ წარმოიშვა ათასობით დევნილი მოსახლეობა, რომელმაც თავი შეაფარა სასტუმროებს, სანატორიუმებს, პანსიონატებს და სასტუმრო მეურნეობის სხვა ობიექტებს.

მეორეჯერ, ე.წ. ტურისტული კატასტროფა დაკავშირებულია 2008 წ. რუსეთ-საქართველოს ომთან ცხინვალის რეგიონში. ბუნებამ და ეკოსისტემამ დაზიანებები მიიღო არამარტო საომარი მოქმედებების ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ანუ რუსული არმიით „დაცული“ სივრცის გარეთ. გამიზნულად იქნა დამწვარი 5 ჰა-ზე მეტ ფართობზე თბილისი-გორი-ხაშურის საავტომობილო გზის გასწვრივ არსებული ნარგავები. სრული ეკოციდი განხორციელდა ბორჯომის ხეობაში, სადაც დაიბომბა საკურორტო ზონის სიამაყე – უნიკალური წიწვოვანი ტყეები, განადგურდა ფლორისა და ფაუნის ნაწილი. მთლიანობაში დაზიანდა 1000ჰა და 140 ათასი $მ^3$ ხე-ტყე, რომელთა აღდგენისათვის 50 წელია საჭირო.

ფოთის აკვატორიაში ოკუპანტებმა ააფეთქეს და ჩაძირეს გემები და საპატრულო კატერები, რის გამოც შავ ზღვაში ჩაიღვარა 50ტ ნავთობპროდუქტი. გორი-ქარელის რკინიგზის მონაკვეთზე სატვირთო მატარებლის აფეთქებით დაიღვარა 700 ტ ნავთობი, რამაც გამოიწვია ხანძარი და ნიადაგის დეგრადაცია, დაინგრა მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლი (ეკლესიები, ციხე სიმაგრეები, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი ცხინვალში).

საომარი მოქმედებების შედეგად საკურორტო სეზონი სრულად ჩავარდა არამარტო აჭარისა და კოლხეთის ზღვისპირეთში, არამედ მთელ საქართველოში. შემცირდა უცხოელი ტურისტების მატების ტემპი წინა წელთან შედარებით (შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალებზე დაყრდნობით, 2007-2008 წლებში მატების ტემპი შეადგენდა 22%, ხოლო 2008-2009 წლებში 16%-ს). ქვეყანამ განიცადა უდიდესი ადამიანური რესურსისა და ტერიტორიის დანაკლისი, ეკონომიკური და მორალური ზიანი.

ეპიდემია: კორონა ვირუსის პანდემიად გამოცხადების შემდეგ თითქოსდა გაჩერდა სამყარო. მკვეთრად შენელდა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი. პანდემიამ მთელი დედამიწა მოიცვა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი გაიდლაინების მიხედვით დაიწყეს სახელმწიფოებმა შეზღუდვები, შეცვალეს ქცევის წესები. სამყარო კოლაფსში ჩავარდა. Covid 19 -ის გამოჩენამდეც კი სამყარო XXI საუკუნეში შეეჯახა ისეთ ეპიდემიებს როგორიცაა ებოლას ვირუსი, ღორისა და ფრინველის გრიპი და ა.შ. რა ზარალს განიცდიან ეპიდემიის შესუსტების შემდეგ სახელმწოფოები და როგორ შეცვალა წარსულის ეპიდემიებმა ისტორიის მიმდინარეობა, რომელი ეპიდემია იყო უფრო ძლიერი სამყაროსთვის, შავი ჭირი, „ესპანკა“, თუ კოვიდ 19, ეს მომავალში გამოჩნდება.

თუ გადავხედავთ ისტორიას, ვნახავთ რომ ყველაზე მაშტაბული ეპიდემია IV საუკუნეში შავი ჭირით დაიწყო, რამაც ათობით მილიონი ადამიანი შეიწირა.

მკვლევარები დღემდე კამათობენ იმაზე, თუ რომელი პანდემია მიიჩნევა ყველაზე სასიკვდილოდ. ესპანურ გრიპს ამ რანგში კონკურენციას უწევს იუსტინიანეს და ბუბონური ჭირი. ესპანურმა გრიპმა მსოფლიო 1918 წელს მოიცვა და სხვადასხვა წყაროების მიხედვით შეიწირა 50-დან 100 მილიონამდე ადამიანი. გრიპის სახელწოდების მიუხედავად, ის არ წარმოიშვა ესპანეთში, ინფექციის შესახებ ცნობები პირველად ესპანეთიდან გამოვიდა. ინდოჩინეთი ასევე განიხილება, როგორც ამ გრიპის შტამების სამშობლო, მაგრამ იქიდან ინფექცია გავრცელდა არა ევროპაში, არამედ ჩრდილოეთ ამერიკაში. ეპიდემია დაიწყო აშშ – ს კანზასის შტატში და იქიდან, პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცებთან და მუშებთან ერთად, გადავიდა ევროპულ ნაწილში და სხვა კონტინენტებზე. ამ პანდემიების დროს თუ რა ზარალი განიცადა ტურიზმის სექტორმა ძნელი სათქმელია, რადგან ეს ის პერიოდია როდესაც სტუმარ-მასპინძლობის სექტორი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ვერ ახდენდა.

დღეს კაცობრიობა გადის ვირუსის ახალ გამოცდას. მისი ნამდვილი მასშტაბი და ზარალის მომავალი მოცულობა ჯერ კიდევ არ არის ნათელი, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ ეკონომიკას დიდი ხნის განმავლობაში მოუწევს ჭრილობების მოშუშება. ჯერჯერობით, წამყვანმა საერთაშორისო ცენტრების ანალიტიკოსებმა კორონა ვირუსისგან დაზიანების შესაძლო ოდენობა 1 ტრილიონიდან 3 ტრილიონ დოლარამდე შეაფასეს, რაც შეამცირებს გლობალურ მშპ-ს 0,5% -დან -1.5% -მდე.

დასკვნა

თუ რამდენად მალე ამუშავდება ტურიზმის სექტორი საქართველოში და ზოგადად მსოფლიოში, დამოკიდებულია ამ პანდემიასთან ბრძოლის წარმატებულ მეთოდებზე. რაც შეეხება ქვეყნებს, ვფიქრობთ, რომ ის ქვეყანა რომელიც ყველაზე ნაკლები დანაკარგით გამოვა ამ მდგომარეობიდან,მისი უსაფრთხოების ავტორიტეტი ერთი-ორჯერ აიწევს მსოფლიო ტურისტების თვალში და ეს სახელმწიფოები ყველაზე მიმზიდველ და მოთხოვნად ტურისტულ ქვეყნებად დასახელდება. ვიმედოვნებთ საქართველო იქნება ამ ქვეყნების ნუსხაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ნადარეიშვილი, ქ. ქაჯაია - ეკოლოგიური უსაფრთხოება — ტურიზმის განვითარების გარანტი. I საერთ. სამეც. პრაქტ. კომფ. - ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი: ტრაპიზონი-ბათუმი 2010 წ. გვ.293-298.
2. Fuცს, M. შტრუდველი ენის ტიპის დესტიტუტA DEA აპარატ. Rეზნ Unივ Eცე. ლეგ. 2004, 4, 52–73.
3. Lეპა, A., *Gibson*, H. (*2003*). "*Tourist* ლოლეს,Pერეიდ ლიც ანდ Iნტეგრატიონ *Tourism*." Anნალს ოფ *Tourism* ლესეარ
4. A.. Murპეყ, P.E. & Bაიფერ. (1989). ოუთლოოკ ანდ დისსტეინაბ. Geoგრაპიკალ ვიეწ 79, 36-46.
5. Bეიმან, D., 2003, ლესტონ ოუთლოოკ Delსტიტუტ ჩრეა: A შტრუდიMaნაგემ ენტAპარატ, Aლლენ Unწინ, ჩრწს Nelსტ,A შსფლია
6. https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020
7. https://www.unwto.org/tourism-covid-19

Iნფლუენზის ვირუსის ანდ ცოვიდ 19 ეფექტი

Ositashvili Nino
PhD student of Georgian Technical University

Nadareishvili Nana
Associate Professor of Georgian Technical University

შუმ არყ

ეხე ცორონავირუს ტა წოლდას ატაკეს გლობალურ ატენტიონ ტა ეს. Iნ ტა არტიკლე, აფექტილესეს ტა ანდ ტა აცე პანიკ დეფიციტს ეხ ტოთალ სეტორ Fეე მ აიგეს ოფ ეკონომიკ დესეედ აცეფტიკ ტეეპ ან:

- ჭ არ
- შპეციფიკ ეკეს ფაქტორ
- ჩრე ე წაეე
- Naturალიზეტ
- Eპიდემიც

Pოლიტიკალ ანდ წარეაეე ჰადეე გლობალ პაკტ ტა ფალლოოკ Geoფიაეე აფეოლესეფეს ტა დამაგე ცესედ გყ ტა ცონტეს ინტეგრალ ანდ წარ 1992-1993 ანდ 2008 ფსკეტ. ეე ეფეკ ეესო ცონტროლ წეზ სიტუაციტა ოფ ფეინე ესლტეფალ გყ ტოთალ ფეინეს არ დეფეტედ ცოვიდ ანდ ცჯანგეეს, ანდ ტეიფეფეკ ეფლეველ ენტესლეტეფეე ცოვესპას ჰადა პოტენ ეფეკ ტოთალ ეკონომეს ანდ ოუფლოოკ.

ეხე აფეფალ ლოოკეს ეაიდ ეცანდ დწ სპეციალ ტეფეფ ტა ამე ცესედ გყ ჩიპ19 ანდ ეტს აფეეტ ტოოდ, ეფ ანეტ ბოოკ ტრეა ანეწ ტეფეფეეს. Iტ ეფეეს ცლეარ ეფეკ ეოოლ ეფ ნოტ ქეტლ გაეეფ ალ ეფ ცლეარ ეფ ეფეკ ეფ ყ ეალ ეფ ტეეალ ოოლ ფალ ეფ. ეოოგრანფ ეტს ეფ ეფ ეტ ეფ ეფ ეფ

რისკ-მენეჯმენტი ტურისტულ ბიზნესში

ტაბატაძე სესილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კომპანიების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მენეჯმენტი აფასებდეს მათთვის დამახასიათებელ რისკებს და გეგმავდეს საპასუხო ქმედებებს. ჩვენს მიერ გამოიკითხა 11 ტურისტული კომპანია, რომლებიც უმეტესად წარმოადგენენ სააგენტოებს და მუშაობენ, როგორც საქართველოში შემოსული ტურისტებისთვის სხვადასხვა მომსახურების მიწოდების მიმართულებით ასევე ეხმარებიან უცხოეთში წამსვლელ საქართველოს მოქალაქეებს. კვლევის შედეგები წარმოდგენილია სტატიაში და გაცემულია მცირედი რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება სფეროში ჩართულ კომპანიებს ბიზნესში დანერგონ რისკ-მენეჯმენტი.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, რისკ-მენეჯმენტი, რისკის მართვის გეგმა, რისკის შეფასება და ანალიზი.

ძირითადი ტექსტი

ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაში უმნიშვნელოვანესია რისკების მართვა. თუკი კომპანიებს სურთ მათი ორგანიზაცია იყოს წარმატებული, ამისათვის აუცილებელია სექტორში არსებული რისკების შეფასება და ანალიზი - კონკრეტული რისკებისთვის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ზოგიერთისთვის მიყენებული ზარალის მინიმუმამდე შემცირებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება.

ტურიზმის ინდუსტრია სწრაფად მზარდი სფეროა და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, საშუალოდ ცხრიდან ერთი ადამიანი სწორედ ამ სექტორშია დასაქმებული. ტურიზმის როლი იზრდება საქართველოშიც და წლების მიხედვით იზრდება ტურისტთა რაოდენობაც:

დიაგრამა 1. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წლების და გენდერის მიხედვით (წყარო და ინფოგრაფიკი: სტატისტიკის ეროვნული სამსახური)





ტურისტების მატებასთან ერთად, ტურისტული კომპანიები სულ უფრო მეტად ხვდებიან ინციდენტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოგზაურობას და ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამის მაგალითებია: ექსტრემალური ამინდი, პოლიტიკური არეულობა, ტერორისტული თავდასხმები და ამ ეტაპზე ყველაზე კარგ მაგალითად წარმოგვიდგა - კორონა ვირუსი (COVID – 19), რომელმაც თითქმის ნულოვანი გახადა ტურისტული კომპანიების მოგება. ამ მოვლენებმა შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ტურიზმის მიმართულებებზე.

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები ძალიან კარგად აჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტურისტული კომპანიებისთვის რისკ-მენეჯმენტი. ჩვენ განვიხილავთ ტურისტულ ბიზნესს და მათთვის დამახასიათებელ ზოგად რისკებს, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ტურისტული ორგანიზაციებისთვის.

პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს **რისკის იდენტიფიკაცია** და იმ საფრთხეების შეფასება, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნას ბიზნესს - იქნება ეს ბუნებრივი, ტექნოგენური, ბიოლოგიური თუ პოლიტიკური საფრთხეები. ჩვენ შევარჩიეთ საქართველოს ტურისტული კომპანიებისთვის დამახასიათებელი სამი მნიშვნელოვანი რისკი - უსაფრთხოება (ძარცვა, არასასურველი ვიზიტორები), ხანძარი და მომხმარებელთა უეცარი შემცირება - და გავაანალიზეთ იგი 11 გამოკითხული კომპანიის მიხედვით.

საფრთხეების შეფასების შემდგომ კომპანიამ უნდა **განსაზღვროს სტრატეგია** - რომელ რისკსზე განახორციელებს თავიდან არიდების ღონისძიებებს, რომლისთვის შედეგების შემცირების ქმედებებს დაგეგმავს, რომლისთვის რისკის გადაცემის ან რისკის შენარჩუნების სტრატეგიას განსაზღვრავს. გამოკითხულ კომპანიები მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ რისკის მართვის მეთოდოლოგია და არ ახორციელებენ სრულყოფილ რისკ მენეჯმენტს, მიმართავენ - რისკის შემცირების სტრატეგიას.

სქემა 2. ტურისტული კომპანიებისთვის დამახასიათებელი 3 მნიშვნელოვანი რისკი და გამოკითხვის შედეგები

როგორც დიაგრამიდან ჩანს უსაფრთხოების ნორმები დაცულია უმეტეს კომპანიაში (9 კომპანია), აღნიშნულის მიზეზი არის ის რეგულაციები რასაც კანონი უწესებს ბიზნესებს. ხოლო როგოც ვხედავთ, ტურისტული კომპანიების 45% არ ზრუნავს კვალიფიციური კადრების აყვანაზე და არ გეგმავს ღონისძიებები, რომელიც დაეხმარება მას მომხმარებელთა ზრდაში და მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

სტრატეგიის განსაზღვრის შემდგომ კომპანიამ უნდა შეიმუშაოს **რისკის მართვის გეგმა,** რომლისთვისაც განსაზღვრულია მრავალი სხვადასხვა მიდგომა, თუმცა საერთაშორისო მენეჯმენტის სკოლები გვთავაზობენ ერთ მარტივ მიდგომას, რომელიც წარმოდგენილია დიაგრამაზე:

დიაგრამა 3. რისკის მართვისას პრევენციისა და შედეგების შემსუბუქების მიდგომები



შერჩეული კომპანიებიდან, სამწუხაროდ არცერთ მათგანს არ გააჩნია რისკის შემცირების სტრატეგია, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. მინიმუმ კომპანიებს უნდა გააჩნდეთ უარყოფითი მოვლენის შემდგომ აღდგენის სტრატეგია, რაც ასევე არ გააჩნდათ შერჩეულ კომპანიებს.

ზემოთ აღნიშნულის გარდა მნიშვნელოვანია რისკის მართვის **პროცესის მონიტორინგი და კონტროლი.** რისკის მართვა უწყვეტი პროცესია, გარემო იცვლება და შესაბამისა, იცვლება ბიზნესისთვის დამახასიათებელი საფრთხეები. ამიტომ, რისკებს ჭირდება პერიოდული მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება. შერჩეული ტურისტული სააგენტოები არ ახორციელებენ მსგავს ღონისძიებას, თუმცა ერთ-ერთმა კომპანიამ განაცხადა, რომ თავისი არსებობის პერიოდში (10 წელია ბაარზე იმყოფება ეს კომპანია) მომხმარებელთა მოთხოვნების კვლევა განახორციელა ორჯერ და შეცვალა გარკვეული პროდუქტების მიწოდების სისტემა. აღნიშნული გარკვეულწილად წარმოადგენს კონტროლის მაგალითს, თუმცა არ არის საკმარისი მსგავსი ღონისძიების ასეთი იშვიათი განხორციელება.

დასკვნა

საქართველოს ტურისტული კომპანიების გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ რისკ-მენეჯმენტი ამ სფეროში განვითარებული არ არის, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიზნესის კონკურენტუნარიანობას და ზრდის რისკს, რომ საფრთხის დადგომისას კომპანიებს შეექმნებათ მნიშვნელოვანი ზარალი და შესაძლოა ვეღარც შეძლოს ბიზნესმა აღდგენა და ჩვეული რიტმით მუშაობის გაგრძელება.

ტურისტულ კომპანიებში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- კომპანიებმა შექმნან შტატი და აიყვანონ რისკ-მენეჯმენტის მიმართულებით მომუშავე პროფესიონალი კადრი;
- შეაფასონ სფეროში არსებული რისკები;
- განსაზღვრონ რისკის მართვის სტრატეგია და შეიმუშავონ რისკის მართვის გეგმა;
- დანერგონ რისკის კონტროლისა და მონიტორინგის ღონისძიებები.

რეკომენდაციების შესრულება დაეხმარება კომპანიებს მნიშვნელოვნად შეამცირონ მათთვის დამახასიათებელი რისკები და გახადონ ბიზნესი უფრო უსაფრთხო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნარმანია დ., რისკ-მენეჯმენტი, 2016.
2. ნარმანია დ., ფარესაშვილი ნ., რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში., თბ., 2012.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფოგრაფიკა - ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა 2019 წელი
4. RISK MANAGEMENT POLICY AND PROCEDURE – tourism Australia, 2017
5. Tourism Risk Management An Authoritative Guide to Managing Crises in Tourism - APEC International Centre for Sustainable Tourism (AICST), 2006
6. Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK
7. How to manage risks in tourism - https://www.cbi.eu/market-information/tourism/how-manage-risks-tourism/
8. https://cu.edu.ge/ka/schoolss/cts/programs-c
9. http://business.org.ge/riskis-martva/

ᲓᲘᲐᲮ ᲛᲐᲜᲐᲑᲔᲛ ᲔᲜᲐᲨᲘᲜ ᲐᲛᲔ ᲗᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲨᲘᲜᲔᲡ

Tabatadze Sesili

PhD Student of Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲘ

ᲗᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲒᲔᲝᲠᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲓᲘᲡᲮᲘᲡᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲠᲝᲛᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲕᲘᲖᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲑᲔᲠᲫᲔᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲘᲤᲘ ᲙᲐᲜᲘᲔᲡᲬᲠᲝᲤᲘᲒᲘᲡ ᲘᲜᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲚᲬᲘᲤᲘ ᲙᲐᲜᲘᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ D ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲩᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, 11 ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐᲒᲠᲘᲤᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲐᲑᲔᲛ ᲔᲜᲐᲕᲐᲢᲜᲝᲑᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲑᲔᲛ ᲔᲜᲐᲕᲐᲢᲜᲝᲑᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲐᲑᲔᲛ ᲔᲜᲐᲕᲐᲢᲜᲝᲑᲔᲡ

თბილისში, ძველი შენობების „ახალი სიცოცხლის“ შედეგად გახსნილი სასტუმროები და მათი როლი ტურიზმის განვითარებაში

ქვარაია ირაკლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქუთათელაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მალანია ელისაბედ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ქალაქების, ტურისტული პოტენციალის ამაღლებაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას მის ცენტრალურ ნაწილში. ეს პირველ რიგში გულისხმობს სასტუმროების მშენებლობას, მაგრამ დიდი ქალაქების მჭიდროდ დასახლებულ ცენტრში პრაქტიკულად შეუძლებელია თავისუფალი ადგილის გამოძებნა. აღნიშნული მდგომარეობის გამო, სასტუმროების გასახსნელად, ინვესტორები სულ უფრო ხშირად აფინანსებენ, ასეთ უბნებში არსებული ძველი შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რომლის მთავარ პირობას მათი ფასადური ნაწილის შენარჩუნება წარმოადგენს. ამიტომ, სულ უფრო იზრდება ისეთი სასტუმროების რიცხვი, რომელთა შენობები ინარჩუნებენ თავის ისტორიულ ან კულტურულ სტატუსს და ორმაგად უფრო საინტერესო არიან ტურისტებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო, მშენებლობა, ფასადი, რეკონსტრუქცია, ტურიზმი.

ძირითადი ტექსტი

თბილისში, სასტუმროების არსებობას, 200 წელზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. პირველი სასტუმრო ნაპოლეონის არმიის ყოფილი ჯარისკაცის მიერ გაიხსნა 1818 წელს, ახლანდელი ალექსანდრე დიუმას ქუჩაზე. მას მოყვა, სხვა უცხოელების მიერ, ქალაქის ყველაზე დასახლებულ ნაწილში, უფრო დიდი ზომის და ეკონომიკურად მომგებიანი სასტუმროების გახსნის პროცესი. საწყის ეტაპზე, ამ საქმის წამომწყები პირი წინასწარ ირჩევდა სასტუმროსთვის შესაფერის, ლამაზ და მოხერხებელ შენობას, რომელსაც შემდეგ ქირაობდა ან ყიდულობდა მეპატრონისგან. სასტუმროების მშენებლობა ცოტა უფრო მოგვიანებით დაიწყეს ადგილობრივმა შეძლებულმა ადამიანებმა. აღნიშნული ბიზნესით დაინტერესება, ამჟამადაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება.

უკანასკნელ წლებში, ტურისტული ნაკადების გაზრდასთან ერთად, თბილისში საგრძნობლად იმატა მოთხოვნილებამ სასტუმროებზე, რომელიც გასული წლის მონაცემებით მხოლოდ სანახევროდ აკმაყოფილებდა აქ ჩამოსვლის მსურველებს. ამასთან, ტურისტების უმრავლესობის მიზანია იცხოვროს ქალაქის ცენტრში, რომელიც ახლოს არის სხვადასხვა ღირშესანიშნაობებთან, მსხვილ სავაჭრო თუ გასართობ ობიექტებთან.

თავის მხრივ სასტუმროების ბიზნესში ინვესტიციების ჩადებით დაინტერესებული პირები, ცდილობენ სასტუმროები ააშენონ ქალაქის ყველაზე მოთხოვნად ადგილას და მაქსიმალურად კომფორტული პირობები შეუქმნან სტუმრებს. ცალკეული, კერძო ინვესტორების გარდა, საგრძნობლად გაიზარდა თბილისში, ცნობილი საერთაშორისო სასტუმრო ბრენდების შემოთავაზებები ახალი სასტუმროების მშენებლობაზე.

მიუხედავად ასეთი დიდი მონდომებისა, ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრალურ რაიონებში შეუძლებელია, მსურველებისთვის ახალი სასტუმროების ასაშენებელი ადგილების გამოძებნა. ამ მდგომარეობას ისიც ართულებს და ნამდვილად მისასალმებელია, რომ თბილისში აკრძალულია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობების დანგრევა. ეს იძლევა ქალაქის ტრადიციული იერ-სახის და მისი არქიტექტურული სტილის შენარჩუნების უნიკალურ

საშუალებას. აქედან გამომდინარე, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ერთი ძალიან კარგი ტენდენცია, რომელიც ითვალისწინებს ახალი სასტუმროების გახსნას ძველ შენობებში, რომლებსაც სრული რეკონს.ტრუქცია უტარდებათ, მაგრამ ხელუხლებელი რჩება მათი ფასადური ნაწილი. ასეთი პროექტები თავისი ორგინალობით და განუმეორებლობით გამოირჩევა

პირველ მცდელობად უნდა ჩაითვალოს სასტუმრო „ბილტმორის“ აგების კონცეპცია. მისი ავტორია ევროპაში სახელგანთქმული იტალიელი არქიტექტორი მაქსემელიან ფუქსასი, რომლის კომპანიის მიერ არის დამუშავებული „თბილისის იუსტიციის სახლისა“ და „თეატრი რიყეზე“ პროექტები. აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებდა, 1938 წელს აგებული, სოციალისტური კლასიციზმის ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული ნიმუშის, „მარქსიზმ-ლენინიზმის“ ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის შენარჩუნებას და მის დაკავშირებას 32-სართულიან ულტრათანამედროვე შენობასთან, რომელიც იმავე ეზოში იქნებოდა აგებული. შედეგად 2017 წელს გაიხსნა საქართველოში პირველი 7 ვარსკვლავიანი სასტუმრო. მის ერთ ნაწილს წარმოადგენს, ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული, კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი, ხოლო მეორე ნაწილს თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, 138 მეტრი სიმაღლის ნაგებობა. სასტუმრო გახსნის დღიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს. მასში 214 ნომერია, რომელთა ღირებულება 8 კატეგორიად არის დაყოფილი და 200-დან 3000 აშშ დოლარამდე მერყეობს.

ძალიან საინტერესო კონცეპციის საფუძველზე დაიწყო სასტუმროების ქსელის განვითარება თბილისში „აჭარა ჯგუფმა“. მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის, „ინდუსტრიული ქალაქის“ მიერ, რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კოსტავას ქუჩა 14-ში მდებარე, 1930 წელს აშენებული სტამბისა და გამომცემლობის შენობის რეკონსტრუქცია. ფასადის მთლიანად შენარჩუნებასთან ერთად, მაქსიმალურად ხელუხლებლად მოხდა მისი შიგა საწარმოო სივრცეების ათვისება და „გაშიშვლებული“ რკინაბეტონის კარკასი გადაიქცა აღნიშნული შენობის სავიზიტო ბარათად. შენობის ინტერიერის, ასეთი ორგინალური გადაწყვეტა ერთნაირად იზიდავს სანახავად, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე დედაქალაქის სტუმრებს. ამ შენობაში გახსნილია ერთი, 4-ვარსკვლავიანი, 142 ნომრიანი სასტუმრო „რუმსი“ და მეორე, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „სტამბა“ 205 ნომრით. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს სასტუმროების საქმიანობის Ahead Global-ის საერთაშორისო შემაჯამებელ კონკურსზე, სადაც 16 კატეგორიაში 87 ქვეყანის საუკეთესო სასტუმროები მონაწილეობდნენ, სასტუმროების წლის საუკეთესო კონცეფციებს შორის „სტამბამ“ მესამე ადგილი მოიპოვა და ამასთან ერთად, ხალხის რჩეულ სასტუმროდ დასახელდა.

იგივე კონცეფციის გამოყენებით, იგივე ჯგუფმა თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ გასართობ დესტინაციად გადააქცია, ნინოშვილის ქუჩაზე, დიდი ხნის წინ მიტოვებული სამკერვალო ფაბრიკა. იქ არის 98-ოთახიანი ჰოსტელი. ფაბრიკის საამქროებში, მათი მინიმალური გადაკეთებით, გაიხსნა სხვადასხვა კვების ობიექტი, ხელოვნების სტუდიები, მუსიკალური კუთხეები, საკონცერტო, საკონფერენციო, სამუშაო და დასასვენებელი დარბაზები. ნებისმიერი კატეგორიის ვიზიტორისთვის, 24 საათის განმავლობაში, უზრუნველყოფილია საინტერესოდ დატვირთული ცხოვრება. ასეთმა მრავალფუნქციურობამ მას საკმაოდ შორს გაუთქვა სახელი და „ფაბრიკა“ თბილისის სტუმრებისათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ობიექტს წარმოადგენს.

XX და XXI საუკუნის, ძალზე საინტერესო, არქიტექტურული სინთეზი იქნება 12-სართულიანი სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც სულ მალე დაიწყებს ფუნქციონირებას მელიქიშვილის ქუჩაზე. იქ არსებული, ძველი შენობა, 1930 წელს იყო აგებული ტუბერკულიოზის პირველი საქალაქო ინსტიტუტისთვის. უკანასკნელ წლებში კი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი იყო განთავსებული. შენობის არქიტექტურა გამოირჩეოდა სოციალიზმის საწყის წლებში ძალზე პოპულარული, კონსტრუქტივიზმის სტილისა და ქართული ისტორიული არქიტექტურის სახასიათო ელემენტების შერწყმით და მთავარი ფასადის ასიმეტრიული გაფორმებით. ახალი მშენებლობის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ მთელი რიგი დაზიანებების გამო, შენობის ფასადის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე საქართველოს კულტურის სამინისტრომ დაუშვა გამონაკლისი და მოხდა მისი სრული დემონტაჟი. ფასადი, თავდაპირველი სახით, მშენებლობის დასრულების შემდეგ

მთლიანად იქნა აღდგენილი, მასზე არსებული ტერაზიტული ნალესის მოწყობით. საერთაშორისო ბრენდის, 125-ნომრიან, 5-ვარსკვლავიან სასტუმროში „რამადა ვიდჰემისგან“, დაბინავებული სტუმრები, აუცილებლად ყურადღებას მიაქცევენ ძველი შენობის ფასადურ ნაწილს, რომელიც ორგანულად შეერწყა თანამედროვე არქიტექტურით გამორჩეულ ნაგებობას.

მსოფლიოში განთქმული სასტუმროს ბრენდის „ჰაიატ რიჯერსის“, 5-ვარსკვლავიანი, 170-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი იუსტიციის სამინისტროს შენობის რეკონსტრუქციასთან ერთად. ეს თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა აგებული იყო 1898 წელს. შენობის მზიდუნარიანობის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მისი შიგა კარკასული ნაწილი სიძველის გამო, აუცილებლად მოითხოვდა მთლიანად განახლებს. შენობის არსებული ფასადური ნაწილის უცვლელად შესანარჩუნებლად, როგორც რუსთაველის პროსპექტის ისე ალექსანდრე ჭავჭავაძის მხრიდან, საჭირო გახდა მთელს მის გარე პერიმეტრზე, ძველი აგურის კედლის გასამაგრებლად ძალიან რთული კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება. შენობის შიგა სივრცეში, რკინაბეტონის ახალი კარკასული ნაწილის აგებისთანავე მოხდება მისი გაერთიანება ძველ კედლებთან. სასტუმროს მიერ დასრულებული სახის მიღების შემდეგ, ძალიან ძნელი მისახვედრი იქნება, გარედან თავისი სიძველით გამორჩეული შენობის შიგნით როგორ შეიქმნა ტურისტებისათვის ძალიან კომფორტილი დასვენების და გართობის პირობები.

ორგინალურად არის გადაწყვეტილი, კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების განხორციელების პროექტი, მეორე, არანაკლებ სახელგანთქმული ბრენდის „ჰილტონის“ მიერ, 5- ვარსკვლავიანი, 200-ნომრიანი სასტუმროს გასახსნელად. ამ მიზნით, კოსტავას ქუჩის მხარეს მდებარე ფასადი, შენობის მთლიან წინა ნაწილთან ერთად იქნა შენარჩუნებული. დანარჩენი ნაწილის დემონტაჟის შედეგად გამონთავისუფლებული ფართისა და ეზოს მაქსიმალურად გამოყენების საშუალებით აიგო რკინაბეტონის მრავალსართულიანი ახალი შენობა. ძველი და ახალი შენობების ერთმანეთთან ორგანული შერწყმით, მიღებული იქნა ერთი მთლიანი, ყველასაგან გამორჩეული სასტუმრო შენობა. საინტერესოა, ძველი შენობის ისტორიაც, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში აიგო, თავდაპირველად, როგორც გამორჩეული საცხოვრებელი სახლი სოციალისტური ეპოქისათვის დამახასიათებული გრანდიოზულობით. შემდგომ წლებში ამ შენობაში განთავსებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები. მისი რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ 2006 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ ათი წლის შემდეგ მოხერხდა ამ საქმის ადგილიდან დაძვრა.

არანაკლებ საინტერესოა, კოსტავას ქუჩა 27-ში, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, სულ 32-ნომრიანი, 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო „მუზის“ მშენებლობის ისტორია. XX საუკინის დასაწყისში აგებულ სამსართულიან შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. იგი დედაქალაქის ისეთ გამორჩეულ ადგილას მდებარეობს, რომ მისი რეკონსტრუქციის პროექტის საუკეთესო ვარიანტის დამუშავებას და შეთანხმებას მრავალი წელი დასჭირდა. საბოლოოდ გადაწყდა, მხოლოდ კოსტავას ქუჩის მხარეს მდებარე ფასადის შენარჩუნება და შენობის გაფართოების განხორციელება ვერის პარკის მიმართულებით. საკმაო სირთულეები შეიქმნა ერთად-ერთი ფასადური კედლის გამაგრებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან დიდი სიფრთხილით შესრულდა და ამჟამად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

ზემოთდასახელებულ, უკვე განხორციელებულ პროექტებთან ერთად, ახლო მომავალში იგეგმება მთელი რიგი ახალი და ძალიან საინტერესო პროექტების შესრულება, ძველი შენობების ფასადური არქიტექტურის შენარჩუნებით. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 180-ნომრიანი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „რედისონ ბლუ ტელეგრაფის“ მოწყობის პროექტი. იგი ითვალისწინებს, განვითარებული სოციალიზმის ეპოქის, ერთ-ერთი უნიკალური ობიექტის, რუსთაველის პროსპექტზე, 70-იან წლებში აშენებული, ტელეგრაფის შენობის შიგა ნაწილის სრულ რეკონსტრუქციას. ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული ნაგებობა იმ დროსაც გამორჩეული იყო და ორგინალური გადაწყვეტისათვის ავტორთა ჯგუფს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია მიენიჭა. პროექტს ახორციელებს „სილკ როუდ ჯგუფი“, რომელიც წელს ხსნის 5-ვარსკვლავიან სასტუმროს „რედისონ რედ ძველი თბილისი“,

აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ძველი ფოსტის ცნობილ შენობაში. XX საუკუნის დასაწყისში აგებულ ამ შენობაში, რამდენიმე წელი მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო და სარესტავრაციო სამუშაოები.

სრულიად განსხვავებული და ტურისტული თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველი პროექტის განხორციელება დაიწყება უახლოეს ხანებში, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე, N1 ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე, რომლის მშენებლობა დავით სარაჯიშვილის მიერ იყო დაფინანსებული და განხორციელებული 1898 წელს. ეს ობიექტი, მთლიანად კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს და ნებისმიერი ცვლილება, სავალდებულო შეთანხმებების ხანგრძლივი პროცედურების გავლას მოითხოვს. ყველა საჭირო ინსტანციასთან უკვე შეთანხმებულია რამდენიმე ათეული წლის წინ უფუნქციოდ დარჩენილი საქვაბის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტი, რომელიც 4-სართულიანი სასტუმროს გახსნას ითვალისწინებს. ეს იქნება ძველი საქვაბისა და ახალი მოცულობის ურთიერთშეხამება, არა მარტო ფორმით, არამედ მასალით, რაც პირველ რიგში ძველი აგურის გამოყენებას გულისხმობს. ეჭვგარეშეა, რომ იგი, კიდევ უფრო მეტ პოპულარობას შეძენს ქალაქის ცენტრში არსებულ ამ გამწვანებულ და კარგად განაშენიანებულ სივრცეს, რომლის ათვისება მხოლოდ 2017 წელს დაიწყო.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთდასახელებული საკმაოდ ძვირადღირებული პროექტების გარდა, იგივე არქიტექტურული შეზღუდვების ფარგლებში, მრავალი დაბალბიუჯეტიანი პროექტებიც ხორციელდება და მათი ინტეგრაცია კარგად ხდება ცალკეული უბნების მიმდებარე შენობა-ნაგებობებთან. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თბილისში, განსაკუთრებით ტურისტებისთვის საინტერესო დესტინაციებზე არსებული დიდი თუ პატარა შენობა - ნაგებობების რეკონსტრუქციის შედეგად მრავალი კერძო სასტუმრო ფუნქციონირებს და ცალკეული პირებისათვის იგი, საკმაოდ მომგებიანი ბიზნესის წყაროს წარმოადგენს.

შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

თბილისის, ტრადიციული და განუმეორებელი იერ-სახის, მისი ტურისტული მიმზიდველობის შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი, განსაკუთრებით ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ისე განხორციელებას, რომ შეუცვლელი დარჩეს მათი ფასადური ნაწილები, რაც განსაზღვრავს მთელი ქალაქის არქიტექტურულ სტილს;

ყველაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მსგავსი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, ნებისმიერი ფუნქციონალური დანიშნულების მქონე ძველ შენობა-ნაგებობებში, თანამედროვე ტიპის სასტუმროების მოწყობის მიზნით, რაც უფრო გაზრდის ტურისტების ინტერესს აღნიშნული ობიექტებისადმი და ხელს შეუწყობს ტურიზმის შემდგომ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.ქვარაია. შენობების რეკონსტრუქცია მათი ფასადების შენარჩუნებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №4 (53), 2019;

2. ი.ქვარაია. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წარმოება უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2016.

Hotels opening due to "New Life", old building in Tbilisi

ანდ ფეიერფლიი ©ორიგ დეველიმ ენტ

Kvaraia Irakli

Professor of Georgian Technical University

Kutateladze Ketevan

Professor of Georgian Technical University

Malania Elisabed

Associate Professor of Georgian Technical University

Summary

Iნ ინვესტირებ ფეტ ტუფ ბიზ ნესიდ ოკუმენტ ,ფეიერ ლეველ ენტ ,ფაკ ულ ტეტ ,ინ ჟინ ერ ,ინ ფრ ასტ რუქ ტურ ,ინ ჟინ ერ ,ინ ფორ მაც ია ,ტ ექ ნ ,ინ ფორ მაც ია ,ტ ექ ნ ,ინ ფორ მაც ია ,ტ ექ ნ

ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა

ქინქლაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბესაძე ნინო
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბესაძე ოთარ
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

დღევანდელი სიტუაცია ისეთია, რომ პანდემიამ შეცვალა სამყაროს ცხოვრების რიტმი. გააქტიურდა ონლაინ კონტაქტები, საზოგადოება მოექცა მობილობის იძულებით ჩარჩოებში. რის გამოც გაცნდა ახალი გამოწვევები, შეიცვალა ცხოვრების ღირებულებები და ადამიანთა ფსიქოლოგიური განწყობები ცხოვრებისადმი შეცვლილი დამოკიდებულების ფორმებით წარმოჩინდა. შეიცვალა, როგორც შიდა ისე საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. ტრანსფორმირდა და ტურიზმიც გარკვეულწილად ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი ანალიზი, აგრეთვე იმ მოლოდინების შეფასება, რომლებიც გამოიკვეთება პანდემიის დასრულების შემდეგ. ფაქტია, საქართველოში ტურიზმის განვითარების ჩამოყალიბებული ტენდენციები შეიცვლება, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით განწყობის მოლოდინები პოზიტიურია.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ნაკადები, მობილობა, ონლაინ კონტაქტები, რაოდენობრივი ანალიზი, კორონა ვირუსი.

ძირითადი ტექსტი

2020 წელი მსოფლიო ისტორიაში შევა, როგორც ტურიზმის ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადასვლის წელი. კორონა ვირუსის გამო გამოცხადებულმა პანდემიამ საქმიანობის ეს აქტიური სფერო მიძინების ფაზაში გადაიყვანა. გაუქმდა განთავსების ყველა საშუალებებში არსებული ჯავშნები, შეწყდა საერთაშორისო ფრენები, ავიაკომპანიებიც გადავიდნენ მოლოდინის რეჟიმში. ფაქტია, რომ პანდემიამ მწვავე გავლენა სწორედ ტურიზმზე იქონია.ცხადია, ამ პროცესებს ვერ აცდა საქართველოც. ტურიზმი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტსა და მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისათვის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, მხოლოდ შიდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების იმედად დარჩა. შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში აღმოჩნდა, მოლოდინები ტურიზმის აღორძინების მიმართ პოზიტიურია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, საქართველოს მოსახლეობის 60% პანდემიის დასრულების შემდეგ გაემგზავრება ევროკავშირის ქვეყნებში სამოგზაუროდ და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 30% სწორედ ვირუსის ყველაზე მწვავედ გამოვლენილ ქვეყნებში აპირებს მოგზაურობას. სასურველი ქვეყნების სამეულს უპირობოდ ლიდერობს იტალია, რომელსაც მოჰყვება ესპანეთი და საფრანგეთი. თუ მოგზაურობის ისტორიებს გავაანალიზებთ, როგორც საერთაშორისო გამსვლელი, ისე შემომსვლელი ტურიზმისათვის 2020 წლამდე მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია ვლინდება.

მაინც როგორი იყო ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების მოძრაობის დინამიკა? როგორი მოლოდინები უნდა გვქონდეს პანდემიის დასრულების შემდეგ.

ფაქტია, საქართველოში ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს, უდიდესი ტურისტული პოტენციალის გამო, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველებისთვის: თვალწარმტაცი ბუნება, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, ზამთრის კურორტები, ისტორიული ძეგლები, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი

ქალაქები, მინერალური წყლები, ქართული სამზარეულო და რა თქმა უნდა, ქართული სტუმართ-მოყვარეობა. ეს ფაქტორები ტურიზმის განვითარების ინდიკატორებს წარმოადგენს და რაც მთავარია, ქვეყნის ცნობადობისა და მიმზიდველობის გაზრდას უწყობს ხელს.[1] ამიტომაცაა, რომ არსებობს ტუ-რიზმის კვლავ აღორძინების მოლოდინები. ბუნებრივია ეს პროცესი იქნება რთული, რომლის პარალე-ლურადაც უნდა განხორციელდეს მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა, როგორც საერთაშორისო ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით. ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურისტული ბაზრებიდან უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფას, უსაფრთხოების სტატუსის შენარჩუნებას, თუმცა მნიშვნელოვანია ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც, განსაკუთრებით კი ღირსშესანიშნავ ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზების მოპირკეთება და ა.შ.

ტურიზმის განვითარებისათვის ფრიად მნიშნელოვანია ქვეყნის ცნობადობის იმიჯის ამაღლება და სათანადო ინფორმაციის მისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ცნობადობის ხარისხი, გარკვეული ქვეყნისთვის საქართველო ჯერ კიდევ უცნობია და საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ აღიქმება ტურისტულ ქვეყნად.[2]

ფაქტია, რომ საქართველო სულ უფრო და უფრო ხდება ტურისტულად მიმზიდველი ქვეყანა ევროკავშირის ქვეყნებისათვის. 2019 მონაცემებით საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 9 357 964 მიაღწია, რაც 7,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებილი ვიზიტების რიცხვი 7 725 774 -ს გაუტოლდა, ეს კი 7,3%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებლეზე. ყველაზე დიდი მატების ტემპი დაფიქსირდა ევროპის და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით, რამაც შესაბამისად 9,5% და 8,8% შეადგინა.

	2018	2019	ცვლილება	ცვლილება %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	8 679 544	9 357 964	678 420	7,8%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	1476 194	1 632 190	155 996	10,6%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	7203 350	7 725 774	522 424	7,3%
ევროპა	6087 598	6665 255	577 657	9,5%
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	4586 233	4 988 307	402 074	8,8%

ცხრილი 1. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის ცვლილება

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

როგორც მონაცემებიდან ჩანს საქართველოში ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების დინამიკა 2011-2019 წლის მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საშუალოდ 9 წლის განმავლობაში ტურისტების რიცხვი 20%-ით იზრდებოდა ყოველწლიურად. მარტო 2019 წელს ვიზიტორების მატების ტემპმა 33% შეადგინა (იხ. ცხრ. 2)

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ	1 832,8	2 459,8	2 884,3	2 938,9	3 011,7	3 297,3	4 069,4	4 756,8	5 100,0
ევროკავშირის ქვეყნები (ათასი კაცი)	108,5	136,4	163,9	183,9	198,2	219,5	269,9	368,1	490,00

ცხრილი 2 ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების დინამიკა

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[1] ნინო აბესაძე. გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში. სამეცნიერო გამოცემა სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში. 2018. გვ.22

[2] იქვე. გვ.32

როგორც ცხრილიდან ჩანს სახეზეა ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია. შესაბამისად მზარდია მატების ტემპების დინამიკაც. ქვემოთ მოტანილი დიაგრამა აჩვენებს სწორედ ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებული ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების რიცხვის ზრდის ტემპების დინამიკას, რაც ადასტურებს აბსოლუტურად მზარდ ტენდენციას.



დიაგრამა 1. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული ტურისტების რიცხვის ზრდის ტემპების დინამიკა

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

როგორც ჩანს, 2019 წელს ევროკავშირიდან ტურისტების რაოდენობამ 490 ათასი კაცი შეადგინა, რაც 33%-ით აჭარბებს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011 წლიდან დაწყებული გამოხატულია ტურისტთა რიცხვის მატების ტენდენცია. ტემპების დიაპაზონი მერყეობს 7,8%-დან 36,4%-მდე. ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი და შესაბამისად მატების ტემპიც დაფიქსირდა 2018 წელს, როდესაც მაჩვენებელი გაუტოლდა 36,4%-ს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუმჯობესდა 2019 წელს, რადგან მიღწეული მატების მაღალი მაჩვენებელი კიდევ გაუმჯობესდა და 2019 წელს წინა წელთან შედარებით ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების რიცხვის მატების ტემპი 33%-ს გაუტოლდა.

საინტერესოა როგორია ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტების შემოსვლის გეოგრაფიული სტრუქტურა და შეიცვალა თუ არა ის უკანასკნელი წლების განმავლობაში? სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობის ტურისტი შემოდის პოლენეთიდან. 2019 წელს წინა წელთან შედარებით ამ ქვეყნიდან შემოსულთა ზრდის ტემპმა 133% შეადგინა. ტრადიციულად მაღალია გერმანიიდან შემომსვლელთა რიცხვის ზრდის მაჩვენებლები. გერმანია არის ის ქვეყანა, საიდანაც შემომსვლელთა რაოდენობაში ყველაზე მაღალი მატების ტემპი (45%)დაფიქსირდა 2019 წელს. შემომსვლელთათვის მაღალი მატების ტემპები მხოლოდ ამ ორი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
პოლონეთი	10,906	18,855	33,596	42,660	37,675	40,671	47,604	65,361	90,474
გერმანია	16,014	19,766	22,342	24,006	27,444	32,005	41,217	61,422	89,287
გაერთიანებული სამეფო	9,802	11,531	11,818	11,628	14,691	14,788	21,540	28,148	39,183
ლიეტუა	3,387	4,503	4,705	9,691	10,809	12,749	14,235	18,425	23,888
ნიდერლანდები	4,894	5,599	6,055	6,589	7,628	8,205	10,734	16,938	22,316
ლატვია	3,759	4,471	4,921	6,526	7,737	9,708	11,554	17,359	22,203
საბერძნეთი	12,642	13,919	14,921	14,787	13,635	14,456	16,613	18,148	22,097
იტალია	5,941	7,382	8,228	8,827	10,313	10,968	12,898	16,825	21,917
ჩეხეთი	3,298	4,302	5,551	5,307	6,406	7,607	9,002	13,127	15,954
საფრანგეთი	7,888	8,989	10,258	9,872	10,583	11,611	15,228	20,491	12,327

ცხრილი 3. ევროკავშირის ქვეყნების ტოპ-ათეული საქართველოში შემოსული ტურისტთა რაოდენობის მიხედვით

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სხვა ქვეყნების შემთხვევაში მატების ტემპების დიაპაზონი მერყეობს კლების 40%-დან მატების 31%-მდე. გერმანიის შემდეგ 2019 წელს წინა წელთან შედარებით მატების მაღალი ტემპები დაფიქსირდა გაერთიანებული სამეფოსთვის - 39%, ლიეტუას შემთხვევაში - 29%, ხოლო ნიდერლანდებში 31% აღინიშნა. ლატვიიდან საქართველოში 28%-ით მეტი, საბერძნეთიდან - 22%,-ით. იტალიიდან - 30%-ით, ხოლო ჩეხეთიდან 21%-ით მეტი შემოვიდა, საფრანგეთი ყოველწლიურად შემოსვლის მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა. მაგრამ 2019 წელს ტურისტული ნაკადები საფრანგეთიდან შემცირდა და ტურისტთა კლების ტემპმა 40% შეადგინა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გეოგრაფიული სტუქტურის დინამიკაში ჩამოყალიბებული ტენდენცია ოდნავ ტრანსფორმირდა 2019 წელს, თუმცა ლიდერის პოზიცია პოლონეთმა შეინარჩუნა და პირველი სამეულიც უცვლელი დარჩა. მაგრამ მეოთხე პოზიციიდან საფრანგეთმა გადაინაცვლა ბოლო პოზიციაზე, ლატვიამ და საბერძნეთმა ადგილები გაცვალეს და 2019 წელს შესაბამისად 6 დ 7 პოზიცია დაიკავეს. დანარჩენმა ქვეყნებმა შეინარჩუნეს პოზიციები (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. ქვეყნების ტოპ ათეული ტურისტთა რაოდენობის მიხედვით (2019)

წყარო:საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ახასიათებს დინამიკაში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ ტურისტთა საერთო რაოდენობაში ხვედრით წილის გეოგრაფიულ სტუქტურას.

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
პოლონეთი	10.05%	13.8%	20.5%	23.19%	19.01%	18.53%	17.64%	17.8%	18.4%
გერმანია	14.76%	14.5%	13.6%	13.05%	13.85%	14.58%	15.27%	16.69%	18.22%
გაერთიანებული სამეფო	9.03%	8.46%	7.21%	6.32%	7.41%	6.74%	7.98%	7.65%	8.0%
საფრანგეთი	7.27%	6.59%	6.25%	5.37%	5.34%	5.29%	5.64%	5.57%	2.50%
ლიეტუა	3.12%	3.30%	2.87%	5.27%	5.45%	5.81%	5.27%	5.01%	4.90%
საბერძნეთი	11.65%	10.21%	9.10%	8.04%	6.88%	6.59%	6.15%	4.93%	4.50%
ლატვია	3.46%	3.28%	3.00%	3.55%	3.90%	4.42%	4.28%	4.72%	4.50%
ნიდერლანდები	4.51%	4.11%	3.69%	3.58%	3.85%	3.74%	3.98%	4.60%	4.60%
იტალია	5.47%	5.41%	5.02%	4.80%	5.20%	5.00%	4.78%	4.57%	4.50%
ჩეხეთი	3.04%	3.16%	3.38%	2.89%	3.23%	3.47%	3.34%	3.57%	3.30%

ცხრილი 4. ევროკავშირიდან ტურისტების წილის გეოგრაფიული სტრუქტურა

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს ცალკეული ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობიდან გამომდინარე ყალიბდება ტურისტთა რაოდენობაში მათი წილის რეიტინგული კლასიფიკაცია, რომელიც ბუნებრივია ემთხვევა ტოპ-ათეულის ქვეყნების გეოგრაფიულ სტუქტურას. სექტორული დიაგრამა შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:



დიაგრამა 3. ევროკავშირის ქვეყნების ტოპ-ათეული შემოსულ ტურისტთა რაოდენობაში ხვედრითი წილის მიხედვით 2019 წელს.

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

შემოსულ ტურისტთა შორის სჭარბობენ მამაკაცები, მათი წილი ტურისტთა საერთო რაოდენობაში თითქმის 60%-ია და შესაბამისად ქალთა წილი 40%-ია.

საინტერესოა როგორია ტურისტთა ასაკობრივი სტრუქტურა? რომელი ასაკის მოსახლეობისთვისაა მიმზიდველი საქართველო?



დიაგრამა 4 ტურისტების განაწილება ასაკობრივი ნიშნის მიხედვით (2019)

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამიდან ჩანს ასაკობრივ ჯგუფებში სჭარბობს 26-35, 36-45 და 46-65 წლის ასაკის მქონე ტურისტები, რომელთა წილი ტურისტთა საერთო რაოდენობაში შესაბამისად 21.7%, 19,4% და 17,6%-ს შეადგენს. საკმაოდ მაღალია 65 წელზე ზევით ასაკის ტურისტთა რაოდენობა, რომლებსაც ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების რიცხვში 11% უჭირავს. ყველაზე ცოტა ჩვენს ქვეყანას სტუმრობს 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის ადმიანები, მათი წილი 6.7%-ია.

უნდა აღინიშნოს, როგორც ზოგადად. ისე ევროკავშირიდანაც ყველაზე მეტი ვიზიტი ხორციელდება წლის III კვარტალში, შედარებით ნაკლებია მათი რიცხვი ზამთრის პერიოდში. ეს ბუნებრივიცაა. 2019 წელს III კვარტალში ვიზიტების რაოდენობა 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 40%-ით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიზიტების ზრდას მოჰყვა ვიზიტორების რიცხვის გაზრდაც. 2019 წელსც წინა წლების ტენდენცია შენარჩუნდა და ტრადიციულად ყველაზე მეტი ვიზიტი მესამე კვარტალში განხორციელდა. ვიზიტების ზრდის პარალელურად სისტემატურად იზრდებოდა ვიზიტორების რიცხვიც. თუ გავაანალიზებთ ტურისტთა საერთო რაოდენობაში ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების ხვედრითი წილის მონაცემებს, გამოვლინდება ყოველწლიურად მისი ზრდის აბსოლუტური ტენდენცია.

დღევანდელი სიტუაცია ისეთია, რომ პანდემიამ შეცვალა სამყაროს ცხოვრების რიტმი. გააქტიურდა ონლაინ კონტაქტები, საზოგადოება მოექცა მობილობის იძულებით ჩარჩოებში. რის გამოც გაცნდა ახალი გამოწვევები, შეიცვალა ცხოვრების ღირებულებები და ადამიანთა ფსიქოლოგიური

განწყობები ცხოვრებისადმი შეცვლილი დამოკიდებულების ფორმებით წარმოჩინდა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ პანდემიამ ასეთი მწვავე გავლენა იქონია ტურიზმის განვითარებაზე. შეიცვალა, როგორც შიდა ისე საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. ტრანსფორმირდა და ტურიზმიც გარკვეულწილად ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება ის მოლოდინები, რომლებიც გამოიკვეთება პანდემიის დასრულების შემდეგ. ფაქტია საქარტველოში ტურიზმის განვითარების ჩამოყალიბებული ტენდენციები შეიცვლება, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით განწყობის მოლოდინები პოზიტიურია.



დიაგრამა 4 ტურისტთა საერთო რაოდენობაში ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების ხვედრითი წილის დინამიკა

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ გამოვიყენებთ ექსტრაპოლაციურ მეთოდს და წარსულის ტენდენციებს გავავრცელებით მომავალზე, შეიძლება განვსაზღვროთ ევროკავშირიდან ტურისტების შემოსვლის საპროგნოზო მნიშვნელობა. უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით გამოვავლინეთ ჩვენთვის სასურველი დინამიკური მწკრივის (2010-2019 წლებში ევროკავშირიდან შემოსული ტურისტების რიცხვის დინამიკა) მოსწორებისა და პროგნოზირების მორგებული მეთოდი- პროგნოზირება საშუალო აბსოლუტური მატების საფუძველზე. ჯერ მოვახდინეთ ტრენდის გამოვლენა, დინამიკური მწკრივის დონეების მოსწორება და შემდეგ გავიანგარიშეთ საპროგნოზო მაჩვენებელი 2022 წლისათვის. რადგან აღნისნულ პერიოდში ტურისტების საშუალო აბსოლუტური მატება 50.5 ათასი კაცია, 2020 წელს იმ პირობიტ, რომ აღნისნული ტენდენცია შენარჩუნდება, საქართველოს ესტუმრება 641,4 ათასი კაცი. პროგნოზი პოზიტიურია. იმედია ისევ გამოვლინდება საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტენდენცია.

გამოყენებული ლიტარატურა:

1. აბესაძე ნ, ქინქლაძე რ, ჩიტალაძე ქ, სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბილისი 2018, გვერდი 448
2. ახვლედიანი ნ, ვირსალაძე ნ, ონიანი ი-ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები, სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 51-52
3. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი. თბ. 2009
4. მეტრეველი მ, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბილისი 2014
5. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNWTO), ნიუ იორკი 2010
6. საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის ანგარიში. 2019 წელი.საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფოციალური ვებ-გვერსი https://www.geostat.ge

8. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება, თბილისი 2016
9. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციაური ვებ-გვერდი https://gnta.ge
10. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი https://police.ge
11. Aბესაძე N.,Minდოსკვილი M., Pარსაკვილი N., Geoრიჯ ასე:ოლოგ Eხაენსეს Iნტეგრაციული ტ ტე Bასიოს Grოლ ნბ Aტაბეს Iნტეგრაციულ Eცოლ ინ ანდ Maნაგმ ენ Eნგინეერინგ. Vოლუმე 11 Iსუე 11. დოი ე 2017
12. Aბესაძე N., Kiკლაძე., Pარსაკვილი N., Iნოვაციბ ინინ ოვოლოგ Floს ზონ ტე Eკონომიკ ოენტრის Geoრიაფიაცენ ბ ტ შრეცენ Eცოლ ინ ინ Eნტეგრინეერ ზიაPროვიდერს. 2019
13. Aბესაძე N.,Miნდოსკვილი M., Pარსაკვილი N. შეფასებ ტ ოდ ტ ინ ტ ტ ტ

COVID 19 - ის გამოწვევები და ქართული ტურიზმის ახალი შესაძლებლობები

ქობლიანიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ტაბიძე თამარ
სდასუ-ს მოწვეული სპეციალისტი
"შპს მეჯიქ როუდზ ჯორჯია"-ს დირექტორი

აბსტრაქტი

კორონავირუსის პანდემია მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან ვარდნას განაპირობებს. ტურიზმი, რომელიც ვირუსთან ბრძოლის ფრონტის წინა ხაზზე არსებული ინდუსტრიაა, სერიოზულ პრობლემებს განიცდის. საქართველოს, კორონავირუსის სახით, მთელი მსოფლიოს მსგავსად უდგას ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური გამოწვევა. დაანონსებული 20 %- იანი ზრდის სანაცვლოდ, ტურიზმი მთლიანად გაჩერდა.

სტატიაში განხილულია ქართული ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის სიტუაციური ანალიზი, გამოწვევები, რომელიც პანდემიიდან გამომდინარე დარგის წინაშე დგას; ასევე, მოცემულია უცხოური გამოცდილება და ადაპტაციის გზები, რომლითაც შეძლეს ან შეძლებენ მოცემული რეალობის გამკლავებას.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19, ტურიზმი, სასტუმრო ბიზნესი, საკარანტინო ზონები.

ძირითადი ტექსტი

კორონავირუსმა მიაღწია პანდემიის სტატუსს. ქვეყნებს უწევთ უპრეცედენტო ზომების მიღება, რათა მოერგონ ახალ რეალობას, პრაქტიკულად პარალიზებულია ბიზნეს სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკი გავრცელებულ ანგარიშში პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. (2) აზიის განვითარების ბანკის მიხედვით პანდემია 77$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას. გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2.9%-დან, რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აგენერირებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964-ს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. COVID-19-ის შედეგად გამოწვეული მოგზაურობის შიში და ჩაკეტილი საზღვრები ყველაზე ნეგატიურ გავლენას სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონიებს.

ამ მომენტში, მნიშვნელოვანია, სექტორი ადაპტირდეს ახალ რეალობაზე. სახელმწიფოს მხრიდან პირველი საშეღავათო პირობები ჯერ კიდევ მარტის ბოლოს დაანონსდა, 7 მაისს გაკეთებულ ტურიზმის ხელშეწყობის პრეზენტაციაზე, სამეტაპიანი გეგმა და უამრავი შეღავათი წარადგინეს, მაგალითად 2020 წელს ქონების გადასახადისგან სრული გათავისუფლება, საშემოსავლო გადასახადის წლის ბოლომდე გადავადება, მცირე ზომის 2000-დე სასტუმროებისათვის (4-დან 50-მდე ნომერი) სასტუმროსათვის სესხის საშეღავათო პირობები და სხვა. დასახელდა სასტუმრეობის გახსნის თარიღი: 15 ივნისიდან ქვეყნის შიდა დამსვენებლებისათვის და 1 ივლისიდან უცხოელი ვიზიტორებისათვის *(4).* სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანებით შეიქმნა ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი, რომელიც ერთობლივი ძალებით კრიზისის დაძლევას ემსახურება და დარგის განვითარებაზე არის მიმართული.

მიუხედავა იმისა, რომ რიგი ორგანიზაციების შეფასებით *(6)* საქართველო საკმაოდ მოუმზადებელი შეხვდა კორონა ვირუსს, ქვეყანის შდეგები შტამბეჭდავია, რაც მსოფლიოს არაერთმა საინფორმაციო არხმა თუ ორგანიზაციამ არაერთხელ აღნიშნა. ეს, ვფიქრობთ, დადებითად აისახება ა)ქვეყნის იმიჯზე, რამეთუ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკური სუბსიდიების მოზიდვას ბ)კონკრეტულად ტურიზმის დარგზეც, რადგანაც ინფექციური დაავადების გავრცელების თვალსაზრისით უსაფრთხო და ნაკლებად დაზარალებული ქვეყანის სტატუსი მნიშვნელოვნად იმოქმედებს ტურისტთა მოზიდვაზე. "გალტ ენდ თაგარტი" -ის მიერ მომზადებული ანალიზის მიხედვით, 2020 წელს ჩ OVID-19 -ის პანდემიის შედეგად ტურიზმის ზარალი პოზიტიური შეფასებით 1,2 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო პესიმისტური შეფასებით ეს მაჩვენებელი 2,8 მილიარდ ლარს მიაღწევს.

როგორ პასუხობს პანდემიის გამოწვევებს ტურისტული ინდუსტრია? როგორი იქნება პოსპანდემიური პერიოდი? როდის მიაღწევს მსოფლიო თუ ჩვენი ქვეყანა იმ ნიშნულს, რომელიც მას 2019 წელს ჰქონდა? რა ელოდება საქართველოს და რა პერსპექტივები აქვს ტურიზმის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით? რაღა თქმა უნდა, ამ კითხვაზეც კონკრეტული პასუხის გაცემა და ხელშესახებ პროგნოზებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება შეუძლებელია, ეს კითხვებია, რომელიც აქტიურად მუსირებს სამეცნიერო წრეებში და არაერთი სტრატეგიის გენერირებას ახდენს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია სასტუმროების საკარანტინო ზონებად გადაკეთება იყო.

აშშ-ს სხვადასხვა ქალაქებში (ნიუ იორკი, ჩიკაგო, ლოს ანჟელესში) ათეულობით საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო დაეთმო საეჭვო სიმპტომების მქონე ან და უსიმპტომოდ მიმდინარება კოვიდ ინფექციის მქონე პაციენტებისათვის კარანტინში განთავსებას; მალაიზიაში 50-დე ე.წ. ლაქშერი სასტუმრო იქნა გადაკეთებული კარანტინად. თუმცა ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია ქვეყანაში არსებული რესურსების.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს საკმაოდ წარმატებულად მოახერხა (1), და, ამასთანავე საკარანტინო ზონების შექმნის უმნიშვნელოვანესი პროცესი ზუსტ დროს დაიწყო. საქართველოში საკარანტინო ზონები 83 სასტუმროში მოეწყო, რის შედეგადაც დასაქმებულია სასტუმროების 2482 თანამშრომელი. 10 მარტიდან 30 აპრილამდე საკარანტინო სივრცეებში 15600-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა სავალდებულო 14-დღიანი კარანტინი.

საკარანტინო სივრცეების შექმნა, ერთის მხრივ ხელს უწყობს ესოდენ დაზარალებულ სფეროში სამუშო ადგილების შენარჩუნებას და, შესაბამისად, ათავისუფლებს სახელმწიფოს უმუშევრად დარჩენილი ადამიანებზე ზრუნვის მძიმე ტვირთისგან; მეორეს მხრივ, ძალიან სწრაფად მოძიებულმა ყველაზე ოპტიმალურმა იზოლირებულმა სივრცეებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ვირუსის სწრაფი და ფეთქებადი გავრცელების მაღალი რისკი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასტუმრო ინდუსტრია ქმნის 660 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის მთლიან შიდა პროდუქტს და უზრუნველყოფს 97 მილიარდი დოლარის სახელფასო ფონდს. მხოლოდ სასტუმრო ინდუქტრიაში ყოველი 25-ე ადამიანი არის დასაქმებული და სამუშაო ადგილების რაოდენობა 2020 წლისთვის 8,3 მილიონს შეადგენდა (7,8) და დაახლოებით ამ მოცულობითაა დაანონსებული უმუშევრობის დონე, მიუხედავად რიგი ობიექტების საკარანტინე ზონად გადაკეთებისა.

საქართველოს სასტუმროებსა და რესტორნებში დაახლოებით 44 000 ადამიანია დასაქმებული, რომლის 40 % მოდის სასტუმროებზე. შესაბამისად, საკარანტინე სივრცეების შექმნით სასტუმრო ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების დაახლოებით 13 % ინარჩუნებს სამსახურს. საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სასტუმროებში საკარანტინე სივრცეების მოსაწყობად გამარტივებული შესყიდვის 87 ხელშეკრულება გააფორმა, რომელთა საერთო ღირებულება 25 მილიონ 579 ათასი ლარია.

IDFI ინფორმაციის მიხედვით (1):

- "კურორტი საირმე" - ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ყველაზე დიდი თანხა - 2 მილიონ ლარზე მეტი და 210 ოთახის (კვებით და დეზინფექციით) ორი თვით დაქირავება.
- "იბიზ სთაილს თბილისი" - ყველაზე მცირე თანხა 3,004 ლარის ანაზღაურება, რომელსაც სახელმწიფომ მხოლოდ დეზინფექციის თანხა გადუხადა, ხოლო 100 ოთახისა და სამჯერადი

კვების მომსახურება სასტუმრომ უსასყიდლოდ გაიღო.

- სასტუმრო "ამბასადორი კაჭრეთი", - 155 ოთახის ოთახი და მოქალაქეების სამჯერადი კვებით მომსახურება უსასყიდლოდ გაიღო, სახელმწიფომ თანხა მხოლოდ 7,500 ლარი დეზინფექციაში გადაიხადა,
- ერთეული ოთახის ფასების ანალიზისას დგინდება, რომ ყველაზე მაღალი ფასი, 140 ლარი, "კურორტი საირმისა" და გუდაურის "ალპინას" ხელშეკრულებებში ფიქსირდება. ხოლო ყველაზე დაბალი - 23.60 ლარი, თბილისის "Hილტონ"-ის ხელშეკრულებაში.
- ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ყველაზე მეტი, 345 ოთახი, ბათუმის სასტუმრო "ეიფორიისგან" იქირავა, რაც 1,408,000 ლარი დაუჯდა. აღნიშნული სასტუმროს მესაკუთრეა სს "მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი", რომელიც სხვადასხვა დასახელების სასტუმროებს ფლობს როგორც ბათუმში, ასევე თბილისში. ჯამურად ამ კომპანიამ 25 მარტის შემდეგ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან გამარტივებული შესყიდვის 5 ხელშეკრულება მიიღო, რომელთა საერთო ღირებულებამ 2 მილიონ 363 ათას ლარია გადახდილი.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასტუმროებში საკარანტინო სივრცეების მოწყობისათვის 4 მილიონ ლარამდე დახარჯა. აჭარის შემთხვევაში, ყველაზე მაღალი ჯამური ფასი სასტუმრო „ველმონდში" დაფიქსირდა,
- ერთეული ოთახის ყველაზე მაღალი ფასი, 80 ლარი კი სასტუმრო "მარიას" ხელშეკრულებაში გვხვდება. სასტუმრო ინტურისტების მომსახურების საფასური 428,000 ლარია, რომელიც ასევე ზემოთ ნახსენებ სს "მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმს" ეკუთვნის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელშეკრულებების უმეტესობა მაისის შუა რიცხვებამდეა, აღნიშნული სასტუმროები დაახლოებით ერთი თვის გარეშე იქნებიან სტუმრებისა და შემოსავლის გარეშე, სანამ შიდა ტურიზმი გაიხსნება და ქართველ მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა იმოგზაუროს და დაისვენოს საქართველოს სხვადასხვა კურორტებზე.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის დასრულების ვადები ჯერ კიდევ უცნობია, ხოლო სასტუმროების გახსნის დაანონსებული თარიღი მათი მუშაობის გარკვეულწილად გამკაცრებულ წესების დაცვას გულისხმობს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: სოციალური დისტანცირება, ცვლილებები რეგისტრაციის დესკთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას; ნომრების დატვირთვა ოთახების გამოტოვებით. დარგმა საკარანტინო სივრცეების მოწყობით უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები გვიჩვენა, ხოლო პერსონალმა შესაბამისი უნარებიც შეიძინა.

ახლა სახელმწიფოების პრეროგატივაა კერძო სექტორის მხარდაჭერით შექმნან მექანიზმი, რათა სტუმართა ვიზიტები ვირუსის ახალი გავრცელების კერა არ გახდეს. შესაბამისად, მუშავდება გაიდლაინები, რაც თავის მხრივ გახდება სტუმრების უსაფრთხოებაზე ზრუნვისა და ვირუსის პრევენციის წინაპირობა.

ამ მიმართულებით კარგი მაგალითი აქვს სინგაპურს. სინგაპურმა შექმნა "სისუფთავის სერთიფიკატი" (SG ჩლეან)-იმისთვის, რომ ტურისტულმა ბიზნესებმა სერთიფიკატი მიიღონ, 7 სხვადასხვა სტანდარტი უნდა შეასრულონ.

ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა შეიმუშავა აზერბაიჯანის ტურიზმის ორგანიზაციამ ე.წ. ინოვაციური ჯანდაცვისა და სანიტარული კამპანიის სახით *(5)*

საქართველოში საინტერესო ინიციატივა წამოაყენა კომპანია KმსGეიზიაm და დაანონსა პროექტი - "ბუტიკ არდადეგები საქართველოში" - ახალი პლატფორმა შიდა ტურიზმის ხელშეწყობისთვის. პროექტი მიზნად ისახავს ტურიზმის ხელშეწყობას და შიდა ტურიზმის განვითარებას. პროექტი გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით ბუტიკური სასტუმრო სახლების კონცეფციის შექმნასა და ბრენდინგით უზრუნველყოფას. ამგვარად, შიდა ბაზარზე ორიენტაციის გზით რეგიონებში შეიქმნება ტურისტული პროდუქტი და უზრუნველყოფილი იქნება სერვისების მაღალ დონე. იდეა აღებულია ავსტრიის, იტალიისა და აშშ სასტუმრო სახლებისგან, რომელიც დამახასიათებელია ამ ქვეყნების პატარა ქალაქებისთვის.

მნიშვნელოვანი კვლევა და რეკომენდაციები იქნა მომზადებული გასტრონომიის, კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის საერთაშორისო ინსტიტუტის (IGCA0) მიერ,

რომელიც ა.წ. 29 აპრილს გაჟღერებულ იქნა ვებინარზე *(3)*; ინსტიტუტის პრეზიდენტი პროფესორი დაიან დოდი გვირჩევს: ტურიზმის ბიზნესში კლიენტთა კვლავ მოსაზიდად აუცილებელია კომუნიკაცია (და მათ შორის ციფრული) იმ განსაკუთრებულობების წარმოსაჩენად როგორიცაა, გასტრონომია და კულტურული მრავალფეროვნება, ბუნებასთან მეტი კონტაქტი, სულიერება, ხელოვნება და ისტორიის წიაღთან სიახლოვე. უმნიშვნელოვანესია ახალი გამოწვევების - უსაფრთხოება, დისტანცირება და სანიტარული ნორმების დაცვა - მზადყოფნაზე მუდმივი ხაზგასმა; მკვლევარი აღნიშნავს, რომ საქართველომ კურსი უნდა აიღოს მაღალი ხარისხის და გამორჩეული ემოციების შეთავაზებით მაღალბიუჯეტურ ტურისტებზე, რაც მომავალში შეამცირებს მოგზაურთა რაოდენობას, ხოლო დარგში შენარჩუნდება/გაიზრდება შემოსავალი და კვლავ შეიქმნება სამუშაო ადგილები. ეს მდგრადი განვითარების ამოსავალი პრინციპებია. აუცილებელია კომუნიკაცია ახლა და აღნიშვნა: რა კეთდება ჩვენი პოტენციულ კლიენტებზე ზრუნვისთვის უკვე დღეს?

საქართველოს დღესაც თავისუფლად შეუძლია აწარმოოს კამპანია საქართველოში მოგზაურობის მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორებზე დაყრდნობით; გასტრონომიის, მეღვინეობის, ფოლკლორის, მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა თემატიკის ირგვლივ შეკრული სოციალური დისტანციისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს-მიწოდებაზე ორიენტირებული კონცეფცია შეამსუბუქებს იზოლაციის გაუსაძლის მდგომარეობას და დაამყარებს ემოციურ კავშირებს.

როგორც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ზურაბ პოლოლიკაშვილი აცხადებს, საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც პანდემიის გადავლის შემდეგ სწრაფად დაიწყებს ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენას, ამ საიმედო განცხადებას რამოდენიმე საფუძველი აქვს:

1. პირველი არჩევანი მოგზაურობის მიმართულების ასარჩევად იქნება ნაკლებად დაზარალებული ქვეყნები, სადაც იქნება უსაბრთხო მოგზაურობის გარანტიები და საქართველო ამ ეტაპზე მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან შედარებით მოწინავე პოზიციაზეა;
2. პრიორიტეტი მოგზაურობის დესტინაციის არჩევანისთვის იქნება სიახლოვე და მისაღები ფასები, რადგან საწყის ეტაპზე ტურისტები მოერიდებიან შორეულ და ძვირადღირებულ მოგზაურობებს;
3. ის სუბსიდიები, რომელსაც მთავრობა ჰპირდება ტურიზმის სექტორს და საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი თანხები, რომელიც ძლიერ დაზარალებულ სფეროებზე უნდა იყოს მიმართული, ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულ ინდივიდებს მისცემს საშუალებას განახორციელონ აქტიური ქმედებები უფრო მეტი ვიზიტორის მოსაზიდად.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მინისტერიალი საქართველოში ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიმართება 2020 წლის სექტემბერში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს უსაბრთხოობას და დიდ საერთაშორისო ნდობას.

ტურიზმის სექტორი წარმოადგენს სიმდიდრისა და დასაქმების წყაროს, სოციალური ერთობის, მოსახლეობის კონსოლიდაციის, კლიმატის ცვლილებისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტს. პანდემიის შემდგომ მთავრობებს ეძლევათ შესაძლებლობა აღიარონ ტურიზმის უნიკალურობა, რომელიც არა მხოლოდ დასაქმებას უზრუნველყოფს, არამედ ხელს უწყობს თანაბარსწორობასა და ინკლუზიურობას.

დასკვნა

ტურიზმის მთლიანად გამოცოცხლების პროგნოზებზე, კონკრეტული გათვლების გაკეთება შეუძლებელია, რადგან არ არსებობს კონკრეტული ეფექტურად შეფასებული ქმედებების ნუსხა, რომელიც მსოფლიოს კორონა ვირუსთან ბრძოლაში დაეხმარება.

საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული სუბსიდირების და შეღავათების პაკეტები ტურიზმის ბიზნესს და დასაქმებულ სუბიექტებს თავი გადარჩენაში დაეხმარება.

საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც პანდემიის გადავლის შემდეგ სწრაფად დაიწყებს ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Covid 19-თან დაკავშირებული გამარტივებული შესყიდვები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
2. IDFI.. https://idfi.ge/ge/procurement_%20related_to_covid_19 - ბოლო მიმართვა 01.05.2020
3. ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი (EPRC) http://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf ვებინარი "პოსტ COVID 19-ის ეპოქაში ტურიზმის სექტორის აღდგენის სტრატეგიები". საქართველოს კულტურული მარშრუტები.
4. http://culturalroutes.gov.ge/News/vebinari-post-Covid-19-is-epoqashi-turizmis-seqtor.aspx ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/news/2020/final_tourism_presentation.pdf
5. Sanitation and Hygiene Methods and Standards Program. http://www.sahman.az/ კოვიდ 19-ის გავლენა საქართვედლოს ეკონომიკაზე, "გალტ ენდ თაგარტი“ ("Galt & Taggart") https://galtandtaggart.com/upload/reports/20074.pdf
6. Economic Impact of the Hotel Industry Showcases Potential Negative Impact of Coronavirus Pandemic. Oxford Economics research for AHLA https://www.ahla.com/sites/default/files/Fact%20Sheet_Oxford%20Study_Travel%20Industry%20Impact%20Study%20(002).pdf, -
7. State by state breakdown: Job loss figures for hotel industry from coronavirus pandemic, Oxford Economics research for AHLA- https://www.ahla.com/sites/default/files/fact_sheet_state_covid19_impacts_0.pdf; 08.05.2020.

ᲩᲝᲕᲘᲓ- 19 ᲘᲛ ᲞᲐᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲛᲘᲢᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ

Koblianidze Tamar
Professor of Georgian Technical University

Tabidze Tamar
Magic Roads Georgia LLC, Director (Country Manager)
David Agmashenebeli University of Georgia, Invited Lecturer

ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ COVID- 19 ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ხარისხის მართვის ძირითადი ასპექტები სასტუმრო ბიზნესში

ხმიადაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების და კონკურენციის პირობებში ხარისხი არის ბაზრის გადარჩენის ფუნდამენტური ფაქტორი. თანამედროვე ბიზნეს-სტრატეგია დაფუძნებულია სწორედ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის კონტროლზე, რომელიც დღესდღეობით ნებისმიერი ორგანიზაციის მენეჯმენტის მთავარი იარაღია. ამდენად ხარისხის მენეჯმენტი არის საკმაოდ რთული პროცესი, იგი მთლიანად ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებელზე, მყიდველზე. ხარისხის მართვის ფორმები და ხერხები ათასწლეულების განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა და განიცდიდა სრულყოფას. თანამედროვე პირობებში პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი ხდება კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს საწარმოს კონკურენტუნარიანობას, ეს კი შესაბამისად დადებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე ზოგადად. ტურისტული ეკონომიკა და სასტუმრო ბიზნესი მიეკუთვნება აქტივობათა ერთი და იმავე სფეროს, რომელსაც გარკვეული თავისებურებები გააჩნია და სხვადასხვა პროდუქტის ერთობლიობას წარმოადგენს, როგორიცაა სასტუმროები, რესტორნები, კულტურული დაწესებულებები და ა.შ. ტურისტები და ზოგადად მომხმარებლები მოითხოვენ ხარისხს, რაც აიძულებს ტურისტულ სააგენტოებს, სასტუმროებს და სხვა მონაწილეებს შემოიღონ ხარისხის კონტროლი, უზრუნველყონ ხარისხის მაღალი სტანდარტი და შექმნან ხარისხის მენეჯმენტის მყარი სისტემა. ხარისხის მენეჯმენტის თავისებურებები გადამწყვეტ როლს ასრულებს ზოგადად სასტუმრო ინდუსტრიაში და სასტუმრო მომსახურების გამართულობაში.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, მართვა, კონკურენტუნარიანობა, სასტუმრო, ბიზნესი

ძირითადი ტექსტი

ხარისხზე ყურადღების გამახვილება უკავშირდება კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთა შრომითი საქმიანობის დასაწყისს. მისი მართვის ფორმები და ხერხები ათასწლეულების განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა და განიცდიდა სრულყოფას. მე-19 საუკუნიდან დღემდე ხარისხის მენეჯმენტმა გაიარა რამდენიმე ეტაპი, რომელთაც არა აქვთ მკვეთრად გამოყოფილი საზღვრები, რადგან ერთის განვითარება არ მთავრდება რაღაც მომენტში, პირიქით მის სრულყოფასა და განვითარებას წარმოადგენს მომდევნო ეტაპი.

ხარისხის განსაზღვრაზე არსებობს მრავალი განმარტება, ეს აიხსნება თვით ხარისხის კატეგორიის მრავალსახეობით. მაგრამ უამრავი აზრთა სხვაობა ხარისხზე შეჯამებული აქვს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციას სსო (ISOO= Iსტანდარტიზაციის Oრგანიზაცია) შემდეგი განმარტებით: ხარისხი ესაა პროდუქციის, პროცესის ან სისტემის მახასიათებლების არსებულ ან განზრახულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (QMშ) არის ოფიციალური სისტემა, რომელიც მოიცავს სტრუქტურის, პასუხისმგებლობებისა და პროცესების დოკუმენტირებას, რომლებიც საჭიროა ხარისხის მართვის ეფექტურად მისაღწევად.

ხარისხის მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფცია ემყარება ხუთ ძირითად ეტაპს. ესენია:

1. ხარისხის მენეჯმენტის სისტემური მიდგომის ფორმირება (ტეილორის სიტემა -1905). ამ ეტაპზე ყურადღება ექცეოდა პროდუქციის პარამეტრებისა და მახასიათებლების კონტროლს. როგორც წესი კონტროლი ხორციელდებოდა საწარმოო ციკლის ბოლოს და მოითხოვდა სპეციალურად მომზადებული ხარისხის ინსპექტორების ჩართვას;
2. ხარისხის სტატისტიკური მართვა (1924წ). აქცენტი გადაიტანება პროდუქტიდან საწარმოო პროცესებზე, რისთვისაც გამოიყენებოდა სტატისტიკური მეთოდები და საკონტროლო რუქები;

3. ხარისხის ტოტალური მართვის კონცეფცია TQC (1950წ). ამ პერიოდში ხარისხის მენეჯმენტი ყურადღების ფოკუსირებას ახდენს საწარმოს ისეთი ქვესისტემების გაუმჯობესებაზე, როგორიცაა საწარმოო პროცესები, მართვის პროცესები, უზრუნველყოფის პროცესები, პერსონალის მართვა, ყიდვ-გაყიდვა, პროდუქციის გასაღება და ა.შ;
4. ხარისხის მართვა ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების ISO სერია 9000-ის საფუძველზე (1970-1980-იანი წლები);
5. ხარისხის სრული მენეჯმენტი TQM (1989-დან დღემდე), ხარისხი როგორც საზოგადოების, მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ვიწრო გაგებით ხარისხი ნიშნავს პროდუქციის ხარისხს. უფრო ფართო ინტერპრეტაციით ხარისხი აღნიშნავს სამუშაოს ხარისხს, მომსახურების ხარისხს, ინფორმაციის ხარისხს, პროცესის ხარისხს, ქვედანაყოფის ხარისხს, დასაქმებულთა - ინჟინრის, მენეჯერის, ხელმძღვანელის, მუშის ხარისხს, სისტემის ხარისხს, კომპანიის ხარისხს, მიზნების ხარისხს და ა. შ.

ხარისხის მართვა მეწარმის წინაშე აყენებს მრავალ ამოცანას, რომელთა მიღწევა განაპირობებს სასურველი დონის მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტების დაცვა არის ნებაყოფლობითი ინიციატივა, ყველა კომპანია ცდილობს მიუერთდეს მას, რათა გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე. ხარისხის მართვის ღონისძიებების ეფექტიანობისადმი მოთხოვნები მოცემულია საერთაშორისო სტანდარტებში ISO 9000, რომლის რეკომენდაციები გამოიყენება არა მხოლოდ ხარისხის სისტემის შექმნის, არამედ როგორც ხარისხის სისტემის შეფასების კრიტერიუმი კონტრაქტების დადებისას, როდესაც დამკვეთებს სურთ შემოწმება და შეფასება იმისა, თუ რამდენად საიმედოა მომწოდებელი, რამდენად სტაბილურად შეძლებს ხარისხიანი საქონლის მიწოდებას. დღეისათვის ხარისხის სფეროში ლიდერობა მიიღწევა კომპანიის ყველა ამოცანის ხარისხზე დაქვემდებარებით, რის მეთოდოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძველსაც წარმოადგენს TQM-ის პრინციპები. ამასთან ISO 9000-ის სტანდარტები წარმოადგენს მისკენ სვლის საწყის ეტაპს. TQM წარმოიქმნა რიგი მსგავსი, მაგრამ ამავდროულად განსხვავებული ნიშნების მქონე კონცეფციების განზოგადების საფუძველზე. ის შექმნეს გამოჩენილმა ადამიანებმა, „ხარისხის მასწავლებლებმა“, რითაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს ბევრი ქვეყნის ეკონომიკაზე. TQM-ის კონცეფციას მხარს უჭერდნენ ჯ. ჯურანი, ფ. კროსბი, კ. იშიკავა, ტ. შეიფი; ასევე, სიგეო სინგი, რომელმაც შექმნა „ტოიოტას“ საწარმოო სისტემა,ამერიკელი ჯონ გრუკოკა და სხვა სპეციალისტები. ხარისხის სფეროში ყველაზე ცნობილია დოქტორი ედვარდ დემინგი, რომლის პროგრამებსაც („თოთხმეტი პუნქტი“, შვიდი „სასიკვდილო ავადმყოფობა“, „სიძნელეები და ფალსტარტები“, დემინგის ჯაჭვური რეაქცია) ემყარება ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემები. ისინი მან შესთავაზა საწარმოებს 1950 წლიდან და განავითარა 1992 წლამდე.

ხარისხის მართვის სფეროში ცნობილი იაპონელი პროფესორი კაორუ იშიკავა ამტკიცებს, რომ ხარისხი უნდა ჩაიდოს ყოველ პროექტში, ყოველ პროცესში... ხარისხის კომპლექსური მართვის არსი მდგომარეობს პროდუქციის ახალი სახეების შემუშავებისას ხარისხის მართვაში... თუკი კომპანია მიყვება პრინციპს „პირველ რიგში ხარისხი“, მაშინ მისი მოგება გაიზრდება გრძელვადიან პერიოდში. თუკი კომპანიის მოქმედება გამიზნულია მოკლევადიან მოგებაზე, ის დაკარგავს კონკურენტუნა-რიანობას საერთაშორისო ბაზარზე და პერსპექტივაში სამომავლო მოგებასაც. რა თქმა უნდა ამის თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება.

მომსახურების ხარისხი – სასტუმროს მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ხარისხის მართვა სასტუმრო საწარმოში მომსახურების ორგანიზებისა და მიწოდების მაკონტრო-ლებელია,რომელიც შემდეგი მართვის სისტემის არსებობას გულისხმობს:

- პერსონალის შერჩევისა და მისი სწავლების სისტემა. სასტუმროს ადმინისტრაციამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი მუშაკების შერჩევისა და დაქირავების სამსახური, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნა და უნარ-ჩვევები მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად და მუდმივად უნდა ზურნავდეს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- სასტუმროში მომსახურების გაწევის პროცესის ხარისხისა და სტანდარტიზაციის კონტროლის

სისტემა. სასტუმრო-საწარმოების მომსახურების სტანდარტების განსაზღვრისათვის მათ მფლობელებსა და მენეჯერებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ როგორი იდეის მიწოდებას ცდილობენ ისინი თავიანთი კლიენტებისთვის. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სტუმართმომსახურების თითოეულ საწარმოს სტანდარტების საკუთარი კოდექსი ჰქონდეს. სტანდარტები მოქნილი უნდა იყოს და კლიენტების, პირველ რიგში მუდმივი კლიენტების მოთხოვნებსა და სურვილებს უნდა ასახავდეს, სტანდარტები გულისხმობს არა მარტო სტუმართა მომსახურების გამართულ ტექნიკას, არამედ პერსონალის დამოკიდებულებას თავისი სამუშაოსა და სტუმრების მიმართ;

- კლიენტების დაკმაყოფილების ხარისხის კონტროლის სისტემა იგება კლიენტების საჩივრებისა და წინადადებების ანალიზის, კონკურენტების მომსახურების ხარისხის შედარების საფუძ-ველზე საკუთარი მომსახურების გაწევის ხარისხთან. სასტუმროებს შეუძლიათ გამოიყენონ საჩივრები როგორც კონკურენტების წინაშე თავიანთი უპირატესობის ფორმირების ძვირფასი წყარო, ვინაიდან საჩივრები მიუთითებს მუშაობის სრულყოფის, უკმაყოფილო კლიენტების დაკმაყოფილების გზებზე. ამგვარად, სანიმუშო სასტუმრო ხასიათდება სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის არსებობით, ხელმძღვანელობის მისწრაფებით მომსახურების ხარისხის ამაღლებისაკენ, მომსახურების მაღალი სტანდარტებით, შეთავაზებული მომსახურების კონტროლის სისტემით, სტუმრების საჩივრების დაკმაყოფილების სისტემით.

ხარისხის ეფექტური მართვა სასტუმროში გულისხმობს:

- საწარმოს ეფექტურ მარკეტინგულ მართვას;
- ხარისხის დარგობრივი სტანდარტის დანერგვას;
- საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის დამუშავებას(ნორმატიულ აღწერილობას)
- კვალიფიკაციური მოთხოვნების გამოყენებას მუშაკების მიმართ(საკვალიფიკაციო სტანდარტი);
- პერსონალის მუშაობის ნორმირების შემოღება;
- შრომის სამართლიანი შეფასება და მოტივაცია;
- კორპორაციული კულტურის არსებობა

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასტუმრო ბიზნესის თანამედროვე რეალიებთან ადეკვატური ხარისხის სისტემის შექმნა და განვითარება უნდა იქცეს სტრატეგიულ კომერციულ იმპერატივად. სახელმწიფოების როლი მდგომარეობს მწარმოებელთა დაბალანსებულ რეგულირებაში, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას მიზნობრივი სახელმწიფოებრივი პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ამ სფეროში პროგრესის დაჩქარებისაკენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის მაღალი სტანდარტის არსებობა იწვევს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, ამაღლებს პროდუქტის კონკურენტუნარიანობას, ამაღლებს ქვეყნების ავტორიტეტს მსოფლიო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამყოლაძე გ., ამყოლაძე თ., გიორგიშვილი ნ., ლომსაძე-კუჭავა მ., კონკურენტუნარიანობა. ხარისხისა და პროექტის მენეჯმენტი, საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2009.
2. ვასაძე მ., სასტუმროს მენეჯმენტი, თბილისი 2009 - საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
3. KVALIOA INOVÁCIA PЯOSPEЯIOA / QUALIOY INNOVAOION PЯOSPEЯIOY XVII/1 – 2013, DEVELOPMENT OF QUALIOY MANAGEMENT SYSTEMS: HOW HAVE DIƎЯUPOIVE OEƀHNOLOGIƀAL INNOVAOIONS IN QUALIOY MANAGEMENT AFFECTED ORGANIƋAOIONS? DOI: 10.12776/QIP.V17I1.154, PAƎI HELLMAN, YANG LIU
4. Ишикава К. - Что такое всеобщее управление качеством? Японский путь, АОЗТ “ТКБ Интерсертифика”,г.Москва 2008

5. В. М. ЧЕЛНОКОВА, Н. В. БАЛБЕРОВА „УПРАВЛЕНИЕ КАЧЕСТВОМ“, Учебное пособие, Санкт-Петербург 2010
6. ᲗᲔᲝ MaნაგმᲔ ᲔᲜᲢᲠᲝᲠᲘᲡ , EᲓᲘᲢᲔᲓ LᲔᲡᲚᲘᲔᲠᲔᲜᲓᲠᲐᲜᲓ ᲓᲘᲒᲘᲐᲜ ᲨᲔᲯᲐᲠᲚᲘ ᲨAGE PᲣᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲝᲜ LᲝᲜᲓᲝᲜ, ᲗᲘᲝᲣᲡᲐᲜᲓ OakᲡ, NeᲕ Delh0.FirsᲢ ᲨᲔᲚᲔᲗᲘᲡ 2005

KᲔᲓ AᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡ QᲣᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ MaნაგმᲔ ᲔᲜᲢᲘᲜ ᲗᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

Khmiadashvili Nino
PhD student of Georgian Technical University

ᲨᲔᲯᲛᲐ ᲐᲠᲘ

ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲑᲓᲐ ᲨᲠᲝᲕᲐᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲥᲣᲐᲚᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲥᲣᲐᲚᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ. ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲥᲣᲐᲚᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ